

სხანი უმკომდევი

აგვისტო-სექტემბერი, 2007, №30
ფასი 5 ლარი

დათო ტურაშვილი

იყო და არა იყო რა

აკა მორჩილაძე
სალომე ასათიანი
იური ბერიშვილი
ზაზა რუსაძე

ინტერვიუ

დასმონდ ტუტუ
ჯონი დეგრანდესკო

სპეც-პროექტი

საზაფხულო
მობზაურობანი





**მაგთი
MAGTI**



შეიგრძენი უმაღლესი ლიგა!

Boss Store Tbilisi

37, Rustaveli ave.

0108 Tbilisi


Georgia

Tel:(+ 995 32) 92 10 35

Fax:(+995 32) 92 33 44

E-mail:victoria_fashion@caucasus.net

www.victoria98.com





BOSS
HUGO BOSS



22




28



44

62



70

54



№ 30

აზვისტო-სექტემბერი

სხანი შოკოლადი

- 12 რედაქტორის წერილი
- 14 ჩვენი ავტორები
- 16 კულტ მიმოხილვა
- 22 აქცენტი
მოდის ახალი ფოტოგრაფი
ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი
- 24 კომენტარი
ვის ეშინია სველი წრის?
ავტორი: გიორგი გვახარია
- 28 **А где Людя? ანუ „დანისის“ კაპის დანის**
ავტორი: ლელა გაფრინდაშვილი
- 32 დისკუსია
ქირს ავტორიტატი! გაუმარჯოს ავტორიტატს!
ავტორი: ქეთი სადღობელაშვილი
- 44 წერილი ინდოეთიდან
სამამალაი ფიქრები ინდოეთში
ავტორი: მედიკო წულაია
- 54 წერილი აჭარიდან
გზა მშვიდობისა!
ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი
- 62 ისტორია
გიო ახვლედიანი
უმცროსკლასელის მოგონებები
ავტორი: აკა მორჩილაძე
- 70 **სალომა ასათიანი**
ყველაფერი სალომა ასათიანის შესახებ
ავტორი: შორენა შავერდაშვილი



TRU  TRUSSARDI


Tbilisi · G.Tabidze Street 3/5 · (032) 93 30 05



78



86




128



94



142



102

78 იური გარიშვილი
არტ-პროვოკატორი – ჩარჩოს გარეშე
ავტორი: ნინო ბექიშვილი

86 ზაზა რუსაძე
ნავალ, დავლაპარაკები, რა იცნი, რა სდება?!
ავტორი: სალომე კიკაღვიშვილი

94 ინტერვიუ
კავშირი ტუტუსთან
ავტორი: ბრედ პიტი თარგმანი: თამარ ბაბუაძე

102 ინტერვიუ ჯონი დევიდსონისთან
ავტორი: კახა თოლორდავა

108 სპეც-პროექტი
საზაფხულო მოგზაურობანი
ავტორი: ნინო ლომაძე

128 ფოტო-პროექტი
აბრები
ავტორი: მია სუმბაძე

134 ესსე
Dreamhackers
ავტორი: დავით მაკარიძე

142 უახლესი ისტორია
იყო და არა იყო რა
ავტორი: დათო ტურაშვილი

148 ცრემლიანი სათვალე
„დარჩით ჩვენთან!“ 1994
ავტორი: გიორგი გვახარია

158 პირადი ენციკლოპედია
ავტორი: აკა მორჩილაძე

160-187 სხალი შოქოლადი – ლიტერატურა



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

საქართველოს ბანკის

ავტოანგარი

საავტომობილო სესხის "ჭი-თი სი"-ში



ახალი ავტომობილები თქვენ \$ 216-დან

ვანა - 3-72 თვეაღ

პროცენტი - 0% დან

თანამონაცემობა - 0% დან

უზენაესი სესხა - უზენაესი ავტომობილი



სხანი შოკოლადი

მთავარი რედაქტორი

შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი

ნინო ლომაძე

არტ-რედაქტორი

გიორგი ნადირაძე

რედაქტორ-სტილისტი

ნინო ბექიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:

ანა კორძია-სამადაშვილი, თამარ ბაბუაძე, სალომე კიკალაიშვილი, გიორგი გვახარია, დათო ტურაშვილი, აკა მორჩილაძე, ნინო ლომაძე, ქეთი სადღობელაშვილი, ლელა გაფრინდაშვილი, მაია ცეცაძე, ნინო ბექიშვილი, მედიკო წულაია, მაია სუმბაძე, დავით მაკარიძე, მალხაზ ხარბედა, გიორგი კაკაბაძე, გია არგანაშვილი, ანდრო ბუაჩიძე, დავით პაიჭაძე, ლაშა ბულაძე, ინგრიდ დეხრავე, შოთა იათაშვილი, თეა თოფურია, გელა ოდიკაძე, თომა ამირანაშვილი, მაგდა კალანდაძე

ფოტო

დავით მესხი, ლევან ხერხეულიძე, ნიკო ტარიელაშვილი, ქეთო ცაავა

ილუსტრაცია

მაია სუმბაძე, გიორგი მარი

დიზაინი

დავით თეთრაძე, თორნიკე ლორთქიფანიძე

მარკატივები

ქეთა ბუაჩიძე

სარეკლამო განყოფილების დირექტორი

ირინა მატოიანი

სარეკლამო განყოფილება

გვანცა გუშარაშვილი, ნესტან ავალიანი, ნინო ძიძაძე

რეკლამის განთავსება

შპს „მსა თბილისი“, ფალიაშვილის ქ. 108

ტელ./ფაქსი: 23 37 31

ელ-ფოსტა: msa@msa.ge

დისტრიბუცია

ზვიად შენგელია

გამომცემელი

„ცხელი შოკოლადი“, „კინო-ცხელი შოკოლადი“, „ოზონი“, „ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“, „დილოგი“.

შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108,

ტელ./ფაქსი: 23 37 31

ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

სტამბა

შპს „სეზანი“, თბილისი, ნერეთლის გამზ. 140

ტელ.: 35 70 02

ელ-ფოსტა: lika@cezanne-web.com

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© “M Publishing” საავტორო უფლებები დაცულია.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება აკრძალულია.

www.shokoladi.ge

გარეკანზე: დათო ტურაშვილი,
ფოტო: ლევან ხერხეულიძე





კვიზის საუბრის LCD და პლანეტის ტელევიზორები

უღებულობისა და მონიწვე ტექნოლოგიების სინთეზი

განსაცვიფებელი გამოსახულება

ambi light ფონური ნათება

HD ready

ფილიპსი
PHILIPS



დაინახე ყველაფერი მთრბიანი ყველაფერი



ბაკათაშვილის 8 - ნაკათლის 116 - ვადა-ფრანკლან 6



დიდი სიამოვნებით დავტოვებდი ამ გვერდს ცარიელს. მრავალმნიშვნელოვნების ხაზგასასმელად სამწერტლს დავსვამდი და ეს ყველაზე უკეთ გამოხატავდა ჩემს დამოკიდებულებას ამ ნომრის მიმართ. თუმცა, სამოგზაუროდ წასულს, შეიძლება გზამკვლევი დაჭირდეს.

მიუხედავად იმისა, რომ საზაფხულო არდადეგებია, ბოლო ერთი თვის მანძილზე, “ცხელი შოკოლადის” კეთების პროცესში, ბევრი ვიმეცადინე. ვიმეცადინე გოგი გვახარიას “ცრემლიანი სათვალის” ახალ თავზე, რადგან “1994 წელი” ქვეტექსტებითა და წინააღმდეგობებით არის სავსე და გაბნევეს, ვერ ხვდები, თავად ავტორის დამოკიდებულებას იმ მოვლენების მიმართ, რაზეც ყვება. ამიტომ, მას მხოლოდ გზამკვლევის ფუნქცია აქვს საკუთარ თავში მოგზაურობისათვის და თავად უნდა მიხვდეს, რა სჯობს — პაციფიზმი თუ მილიტარიზმი, გმირობა თუ “პატარა ადამიანობა”, კომპრომისი თუ უკომპრომისობა. გავიგე, რომ ნებისმიერი იდეოლოგია თავისუფლების ხარისხს ზღუდავს და სიმართლეს გაშორებს. გავიგე, რომ განთავისუფლდე, ამიტომ უნდა “მოკლა” ის, რაც გიყვარს.

ვიმეცადინე სალომე ასათიანის ტექსტზეც და მიხვდები, რომ პოლიტიკორექტულობა ახშობს მრავალფეროვნებას და გამოხატვის თავისუფლებას. სალომეს ინტერვიუშიც ნაკლები სპონტანურობაა, სამაგიეროდ, მრავლადაა თემები, რომლებიც დაგვაფიქრებს. რას ნიშნავს, იყო ტოლერანტული, ან სტუმართმოყვარე? ვის ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ – “ჩვენ ქართველები”? ისევ მითებით ვფონგლიორობთ თუ რეალობას ვუსწორებთ თავალს? არის თუ არა ჩვენთვის მრავალფეროვნება ორგანული? კითხვები ხომ უფრო საინტერესოა, ვიდრე პასუხები.

ვიმეცადინე თემაზე “ხელოვნება და ესტეტიზმი”. რატომ გვინდა, რომ ხელოვნება იყოს ესტეტიური? რატომ ვანიჭებთ ფორმას უფრო დიდ მნიშვნელობას, ვიდრე შინაარსს (“ვის ეშინია სველი წრის?”)? რატომ გვეშინია სიშიშვლისა და ბუნებრიობის და შეიძლება თუ არა, მდინარეში კაბით მობანავე ქალი თავისუფალი იყოს (А где Люда? ანუ “დაისის” კაბის დაისი)?

თუ ფიქრი გეზარებათ, ეს ნომერი ცოტა ხნით გვერზე გადადეთ და მოგვიანებით წაიკითხეთ. ან, იმოგზაურეთ “ცხელ შოკოლადის” ავტორებთან ერთად. სამოგზაურო ადგილები ამ ნომერში მრავლადაა. მხოლოდ გეოგრაფიულ ადგილებს არ ვგულისხმობ — დათო ტურაშვილი და აკა მორჩილაძე დროში მოგზაურობასაც გვთავაზობენ. გახსოვთ, გოზალა ჭავჭავაძის პროსპექტზე “დონალდობსა” და “ბაზუკებს” რომ ყიდიდა? ან სკოლის ჩანთაში ჩალვრილი სამელნე? ტროლეიბუსები და სტალინის ფოტოიანი სახლები? ჰო, იყო და არა იყო რა.

ახლა ხომ ზაფხულია და უფრო მეტი დრო გაქვთ? იმოგზაურეთ ჩვენთან ერთად საკუთარ თავში, დროსა და ვირტუალურ სივრცეში, ქალაქებსა და ქვეყნებში. რა იცით, რა ხდება და გზად რას გადააწყდებით?

“ცხელმა შოკოლადმაც” სამოგზაუროდ წასვლა გადაწყვიტა.

ამიტომ, 25 სექტემბრამდე გემშვიდობებით და ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ, ჩვენთან ერთად.

შორენა შავერდაშვილი



NOKIA
Connecting People

რას მზვინიერი, მზვინიერი.

Nokia 6300

ზოგისთვის სილამაზე - ეს ფორმაა: თხელი, დახვეწილი კორპუსი ფოლადის ელემენტებით და დიდი, ნათელი დისპლეით, რომელიც მაქსიმალურად ბუნებრივ ფერებს გადმოსცემს.

სხვებისთვის - ეს უდავო კომფორტია - ყველა აუცილებელი ფუნქციის სრული ნაკრები: MP3-ფლეიერი, მინი USB-მისაერთებელი და სტერეო Bluetooth.

რა გასაკვირია, რომ Nokia 6300 მოსწონს ყველას.



ჩვენი ავტორები



გიორგი გვასარია

ხშირად მემართება ასე. დავჯდები, ვწერ და როგორც კი შევამჩნევ, რომ ჭკუის დარიგებას ვიწყებ, ანდა, ვგრძნობ, რომ რაღაცას მხოლოდ და მხოლოდ მკითხველის გულის მოსაგებად ვამტკიცებ, ეგრევე "delete"-ს ვეამბორები ხოლმე საჩვენებელი თითით. მაგრამ ამ "სათვალემ" მთლიანად გაცვითა ჩემი კლავიატურის ეგ "ლილაკი". მთელი თვე ვწერდი. თანაც ასე - ერთს ვამტკიცებდი, მერე ვშლიდი და სრულიად სანინალმდევოს მტკიცებას ვიწყებდი. ეს ზაფხულიც ასე ავწყო - ყველა რაღაცას უმტკიცებდა ერთმანეთს - ახლობლები ჩხუბობდნენ, ერთი აზრი მეორეს უტყვდა... და, რადგანაც ძალიან მიყვარს ჩემი ახლობლები, ჩემი მეგობრები, ყველა ეს აზრი რაღაცნაირად გავითავისე.

"სათვალეც" ასეთი გამოვიდა - აზრების ბრძოლა, აზრების ომი ჩვენს თავში, იმ ხალხის თავში, ვინც ვერ ვიტანთ ძალადობას და ვამტკიცებთ, რომ მშვიდობისმყოფელები ვართ.

სანამ დავბეჭდავდი, მეგობრებს წავაკითხე. ზოგმა მითხრა, თვითორიონია აკლიაო, ზოგმა, იმდენად გინდა თვითორიონი იყო, რომ შენს ლირებულებებს დასცინიო, ზოგმა, გმირი გგონია თავი და იმდენად გაგიჟდა, რომ ამას პირდაპირ წერო, ზოგმა, როგორ არ გრცხვენია, პაციფისტებს - დეზერტირებს ეძახიო, ზოგმა რა და ზოგმა რა. ყველაზე კარგი "მეილი" ნესტან ცეცხლაძემ გამომიგზავნა, ჩემმა ბათუმელმა მეგობარმა: "გოგი, ფრთხილად იყავი, კონსტრუქციების ნგრევის პროცესში თავზე რამე არ დაგეცეს და "იზმებთან" ბრძოლაში კიდევ ერთი "იზმი" არ გაგეჩითოს!"

ასეა. რაც უფრო ვუახლოვდები "ცრემლიანი სათვალის" ფინალს, მით უფრო ძნელი ხდება წერა. ისტორიის შეფასებას დისტანცია ჭირდება. დისტანცია კი სულ უფრო და უფრო ვინროვდება. ძალიან გემინია, ის, რაც დღეს ასე მოგწონს, ხვალ შენივე ქილიკის საგანი არ გახდეს.

ჰოდა, იცოდეთ, ეს "სათვალე" ამ შიშისა და ნევროზების შედეგია. მითუმეტეს, რომ 1994 წელი, ალბათ, ყველაზე ნევროტული ხანაა საქართველოს უახლეს ისტორიაში.

ოჰ, როგორ მიყვარს ნესტანი!



სალომე კიკაშვილი

ნამდვილად ჩემი წერაა ეს ოხერი პორტუგალია. რა ვქნა და, ერთი აუხდენელი ოცნება დამჩემდა ამ ჟურნალისტ ქალს. ყველგან პორტუგალია მელანდება და მასზე ერთი გემრიელი სტატიის გამოცხობა, უკვე აუხდენელ ოცნებად მექცა. ყოველ დღე ოფისში მარტო იმიტომ დავდივარ, ველოდები როდის მეტყვიან — მიდი სალომე, შენს ვასკო და გამაზე დაწერო. ისე, ვასკო და გამასი რა მოგახსენოთ, მაგრამ პორტუგალია, რომ დედამისის უშველებელ ზურგზე განლაგებული ნამდვილი სამოთხეა, ფაქტია. ჯერ კიდევ თვითმფრინავის ილუმინატორიდან, ლისაბონის დანახვისას ისე ავლელი, რომ ემოციები ვერ დავმალე და სულ იმ დედებს დავემსგავსე, გაგანია ივლისში, მაღლივ კორპუსთან ჩამწკრივებულები რომ დგანან და საკუთარი თუ სხვისი შვილის დანახვაზე — უი, დედა შემოგვევლოსო აცრემლიანებული თვალებით რომ გაიძახიან. აი ასე, ილუმინატორს ცხვირმიჭყლეტილი ვიჯექი ლუფტჰანზას თვითმფრინავში და სრული ნეტარებით ვუყურებდი წითელი კრამიტის თავებიან თეთრ, ოკრო-ბოკროდ ჩანქნიკებულ ქათქათა სახლებს, ატლანტიკის ოკეანის მიქცევა-მოქცევას და მსოფლიოს შვიდ საოცრებაში მოხვედრილ იესო ქრისტეს უშველებელ ქანდაკებას.

ხომ ხედავთ, სვეტი, სვეტიო და სპეც-პროექტისა არ იყოს, აქაც პორტუგალია ავირჩიე თემად, რადგან ჩვენში დარჩეს და, დიდი იმედი მაქვს, რომ ამ სვეტს ჩემი რედაქტორიც წაიკითხავს და იქნებ მეც მეშველოს რამე, ოთახში დამიბაროს და მითხრას — მიდი სალომე, შენს ვასკო და გამაზე დაწერო. ჰო, ისე, ვასკო და გამასი არ იყოს, პორტუგალიის მერე ინდოეთის დასალაშქრად მივდივარ, ნიუ დელის კინოფესტივალზე. ასე რომ, მიფრთხილდით, მთავარია ემანდაც არ გავჭედო, თორეემ...



დათო გუშაშვილი

სანამ დაიწყება "იყო და არა იყო რა," მინდა ფრაგმენტულად მაინც გავისენო მიზეზი, რის გამოც სინამდვილეში ყველაფერი დაიწყო, რასაც ჩვენს წიგნში ამოკითხავთ და ჯერაც არ დამთავრებულა.

უფრო სწორედ, არსებობდა არა ერთი, არამედ უამრავი მიზეზი იმისათვის, რომ ადამიანებს უარი ეთქვათ საბჭოურ გარემოში ცხოვრებაზე და ეოცნებათ და ებრძოლათ თავისუფლების დასაბრუნებლად.

როგორც ჩანს, თავისუფლებადაკარგული ადამიანები, ისეთ თვისებებსაც კარგავენ ხოლმე, შემდეგი თაობებისთვის დაუჯერებელი თუ არა, ღიმილისმომგვრელი მაინც რომ ხდება.

ალბათ, ამიტომაც ახალი თაობის ქართველებს განსაკუთრებით უჭირთ იმის დაჯერება, რაც ბასა ჯანიკაშვილის წიგნში ხდება, რომელსაც ძალიან პროზაული სახელი ჰქვია — "რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი."

მართალია, სათაური (ალბათ, სიზუსტის გამო) პროზაული აქვს, მაგრამ ამ წიგნში ისე პოეტურად და მსუბუქად არის აღწერილი საბჭოური ყოფის აბსურდი, რომ ის, ვისაც საბჭოთა კავშირში თვითონ არ უცხოვრია, შეიძლება არც კი გაბრაზდეს.

ჩვენ კი პირიქით — ჩვენს მკითხველს ნამდვილად ვერ დავპირდებით, რომ ყოველთვის გაელიმება ჩვენი წიგნის კითხვისას, რადგან ჩვენს უახლეს ისტორიაში საკმაოდ ბევრი მწარე შეცდომა და გაკვეთილია.

თუმცა, დავით გურამიშვილის რჩევას, ამ შემთხვევაში ვერ გავითვალისწინებთ (ჯერ მწარე და კვლავ ტკბილის თვალსაზრისით) და მაინც ხუმრობით დავიწყებთ, მითუმეტეს რომ ბასა ჯანიკაშვილმა რამდენიმე ხუმრობა უბრალოდ გამოტოვა და თანაც ყოველ ხუმრობაში მოგესხენებათ რომ სიმართლის მარცვალია და თანაც, ზოგჯერ ძალიან დიდი.

მოკლედ,

იყო და არა იყო რა...



AXIS PALACE 2

34 SABURTALO STR.

Tel.: 55 34 34

25 34 34

www.axis.ge



ფოტო: ანდრეას

წრეში დატრიალებული სველი აბრესია

ბავშვთა ეროვნული გალერეა. 12 ივლისი. 19:00
 „სველი წრე“ – ასე ლაკონურად და დამინტრიგებლად ჟღერდა სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულების პერფორმანსის სახელწოდება, რომელიც ბავშვთა ეროვნულ გალერეაში წარმოადგინეს. დარბაზის ინტერიერის შუაგულში წრეზე დამსხდარმა ექვსმა ახალგაზრდამ (ელენე ნავერიანი, გაგო, გიორგი მარი, მელანო, მარი ნიკლაური, ვაჟიკო მარი) ერთმანეთს პირდაპირ სახეში („ფურთხის უკანასკნელ წვეთამდე“) აფურთხეს და ოდნავ შემცბარ პუბლიკას ნათლად მიანიშნეს, რომ მათი ნამუშევარი ჩვენს რეალობაში არსებულ აგრესიას პირდაპირ ასახავს და გადმოსცემს, რომ აგრესია მხოლოდ ცემა-ტყეპა არ არის, არამედ გარკვეული ძალაა, რომელსაც რაღაც მიზნამდეც მიჰყავხარ.

სტუდენტების მიერ დადგმული პერფორმანსი იმითაც იყო უჩვეულო, რომ არც დაგვემილი დასაწყისი ჰქონია და არც ლოგიკური დასასრული. არც რაიმე სახის დიდაქტიკურ დატვირთვას ატარებდა და მით უმეტეს არც არაფერს ქადაგებდა. ამიტომაც გამოვიდა პერფორმანსის ფორმა ბუნებრივი და ნატურალური. მათ დაგროვილი ენერჯია მხოლოდ „მოწესრიგებული აგრესიის“ სახით გამოხატეს.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი „სველი წრის“ ავტორებისთვის ხალხის რეაქცია იყო, რომელთაც პერფორმანსი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით აღიქვეს. როცა წარმოდგენის ბოლოს დამსწრე საზოგადოება მსჯელობს, ეს ნიშნავს, რომ იდეის ავტორების გარჯას უკვალოდ არ ჩაუვლია.

ავტორი: მაია ცეცაძე

ბუსეფალის დაბრუნება

“ბუცეფალი” ასე დაარქვა ოლეგ ტიმჩენკომ თავის პერსონალურ გამოფენას, რომელიც 5 ივნისს შარდენის ქუჩაზე გალერეა “ბაიაში” გაიხსნა. ასე დააბრუნა მხატვარმა ჩვენს წარმოდგენაში ლეგენდარული იმპერატორის ალექსანდრე მაკედონელის განუყრელი თანამგზავრი, მისი ყველა ტრიუმფალური გამარჯვების და დაცემის მომსწრე და მონაწილე მფრინავი ცხენი. მხატვარმა ზუსტად მონახა ფატალური მსგავსება წარსულის მრისხანე აჩრდილსა და ბავშვობაში მიტოვებულ სათამაშოებს შორის, რომლებიც ისე თავისთავად და შეუმჩნეველად მიდიან ჩვენი ცხოვრებიდან, რომ ვერც კი ვასწრებთ მათთან დამშვიდობებას. ისე, ხანდახან რომელიმე მხატვარი ან მუსიკოსი, ან პოეტი თუ მოახერხებს გაგვასხენოს ჩვენი ცხოვრების ის მომენტები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრების რიტმს ვერ უძღებენ და სადღაც შორს, ბავშვობაში რჩებიან.... წითელი და თეთრი აქცენტები კიდევ უფრო მძაფრ ჟღერადობას აძლევს მუშტაიდის ბალიდან გალერეის კედლებზე გადმოსულ მოგონებებს და ერთობლიობაში იქმნება საოცარი თეატრალური წარმოდგენა, როდესაც საგამოფენო სივრცეში შემოსული ყველა ადამიანი მხატვრის ქმედების თანამონაწილე ხდება. ასეთი იყო 5 ივნისს შარდენის ქუჩა, სავსე სიხარულით, გახსნილი ღიმილით, მეგობრების სიტბოთი და კიდევ რაღაცით, რაც ასე აუხსნელი და სასიცოცხლოდ აუცილებელია ყველა ადამიანისათვის.

ავტორი: მედიკო ნუღაია



ფოტო: ლევან ხარბაულაძე



ფოტო: ლევან ხარბაულაძე

თიზისი ბანკი სესხის აღება

მარტივია: მინიმალური საბუთების მოთხოვნა;
მინიმალური ხელფასი \$200.

ხელმისაწვდომია:

ავტოგანვადება \$4000 თვეში \$99-დან

დასვენება \$500 თვეში \$35-დან

რემონტი \$2500 თვეში \$60-დან

ტექნიკა \$300 თვეში \$29-დან

სწრაფია: სესხის დამტკიცება 24 საათში.



ს ე ს ხ ე ბ ი

მოიხსნე სსოვრება დღეს,
ბაღიხადე ხვალ

☎ 27 27 27

www.tbcbank.ge



თიზისი ბანკი
T B C B A N K

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

პირველი ქართველი ფოტოგრაფის მემკვიდრეობა

პირველი ქართველი ფოტოგრაფის – ალექსანდრე როინაშვილის სიძველისგან გაყვითლებულ ფოტოექსპოზიციას, თბილისის ისტორიის მუზეუმ „ქარვასლის“ საგამოფენო დარბაზი მასპინძლობდა. მისი ნეგატივები და ფოტოსურათები, რომლებიც დიმიტრი ერმაკოვის კოლექციაშია გაერთიანებული, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმში მოიხიეს. პროექტის ავტორმა, ლიკა მამაცაშვილმა კი როინაშვილის შემოქმედების ამსახველ მასალებს, მის მეორე წიგნში მოუყარა თავი და ფოტოგრაფის პორტრეტები თემატური სახელწოდებით დაყო: „არისტოკრატია“ და „სხვადასხვა“. წიგნში ასევე შესულია მე-19 საუკუნის პრესა როინაშვილის შესახებ და ფოტოგრაფის პირადი არქივი. ალექსანდრე როინაშვილის ფოტოგამოფენა და მეორე წიგნის პრეზენტაცია ერთდროულად მოეწყო. ექსპოზიცია მე-19 საუკუნის თბილისისა და მისი შემოგარენის საერთო ხედებს, ძველ ციხე-სიმაგრეებს, სტიქიის ამსახველ კადრებს და ოჯახურ პორტრეტებს მოიცავდა.

იმ დროს თბილისის ცენტრში 3 ფოტოსალონის მქონე შემოქმედის ფოტოობიექტივმა ძველი ქართული იერსახე შემოგინახა, თუმცა, დღეს მისი, ერმაკოვისა და კიდევ რამდენიმე ფოტოგრაფის მემკვიდრეობა ერთმანეთშია არეული და ავტორების დადგენას საჭიროებს.

ავტორი: მაია ცეცაძე



ნანა გერასიმოვას ქართული ჩვენება

5 ივლისის ცხელ საღამოს რკინის რიგის ქუჩაზე გადაადგილება კი ჭირდა. საგანგებოდ მოწვეულმა სტუმრებმა „არტ-გალერი ლაინის“ გახსნისა და ნანა გერასიმოვას პროექტ „ქართულის“ პრეზენტაციაზე მოიყარეს თავი. მხატვარ-დიზაინერის ბოლო პროექტი გალერეის სივრცეში პერსონალურ გამოფენას და ღია ცის ქვეშ კოლექცია „ქართულის“ ჩვენებას ითვალისწინებდა.

პროექტი ნამდვილად ქართულ სულს რომ წარმოაჩინდა, ამაში სტუმრები ჩვენების მოლოდინშივე დარწმუნდნენ, რადგან საღამო დათქმულ დროს 1 საათით გვიან დაიწყო. თუმცა, მოლოდინმა გამართლა და სტუმრებმაც ზაფხულისთვის ზედგამოჭრილი ჩვენება იხილეს: ჯინსებთან შეხამებული ფერადი მაისურები, ორიგინალური ორნამენტებით გაფორმებული აქსესუარები: ჩანთები, ქუდეები, შარფები... თავისუფალი სტილის სამოსში გამოწყობილი მოდელები კი ნიაზ დისამიდის რაჩიტატივს ფეხს ენერგიულად უწყობდნენ. „არტ-გალერი ლაინის“ ინტერიერი ნანა გერასიმოვას „ქართულ“ ფერწერასაც მასპინძლობდა, სადაც ავტორმა ძირითადად ძველი თბილისის პეიზაჟები გამოფინა.

განსაკუთრებული მოწონება კი, ჩვენებაზე, დიზაინერის მკვეთრი ფაქტურისგან შექმნილმა და სხვადასხვა ფორმის მაისურებმა დაიმსახურა, რომელთა ქართულთან სიახლოვეს ყველა მიხვდება, ვისაც ქართულად კითხვა შეუძლია. ჩაიცვამთ და გულზე გარკვევით გენერებათ – „ქართული“.

თუკი ჩვენებაზე შეკრებილ საზოგადოებას ნანა გერასიმოვას კოლექცია ქართულთან ერთად მოდურიც მოეჩვენა, მისი საკიდი „არტ-გალერი ლაინში“ ხშირად შესავსებიც გახდება.

ავტორი: მაია ცეცაძე



Coca-Cola

GENERAL SPONSOR

NESCAFÉ

ARTIST PRESENTER



თიბონი ბანკი
TBC BANK

FESTIVAL PARTNER



ჯეოცელ
GEOCELL

OFFICIAL SPONSOR



BLACK SEA JAZZ
FESTIVAL
27-29 August
BATUMI 2007



US3



PAROV STELAR
& BAND



PEE WEE ELLIS ASSEMBLY
Featuring FRED WESLEY



Dr. GEORGE'S
SAGA



DINI VIRSALADZE
TRIO



Organizers: EASTERN PROMOTION

MINISTRY OF EDUCATION, CULTURE & SPORTS. ADJARA AR, GEORGIA



FOR TICKET RESERVATION CALL: SEA GATES Tel +995 222 70674 www.batumijazz.com

Designed by Dina Dzhoghleva



კონტრაპუნქტი

“ეს ყველაფერი დღევანდელი საქართველოს ცხოვრებას ასახავს, თანაც, ამ გამომსახველობითი საშუალებების შერწყმით ხერხდება სინამდვილის ახლებური ასახვა, რომელიც მაქსიმალურად აახლოვებს მსმენელს, მკითხველსა და მაყურებელს ობიექტურ რეალობასთანო” – შეგვირდა რადიო “თავისუფლება” და 27 ივნისს “ქარვასლაში” საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან და თბილისის ისტორიის მუზეუმთან ერთად უჩვეულო გამოფენზე მიგვიწვია. გამოფენას “კონტრაპუნქტი” ერქვა და ეს სახელი მშვენივრად ხსნიდა მის არსსაც და მიზანსაც. ჩვენში მიმდინარე და ახლო წარსულში მომხდარი პროცესები ფოტოს, ტექსტის და აუდიომასალის საშუალებით უნდა გაცოცხლებულიყო. გამოფენაზე 14 ქართველი ფოტოგრაფის დოკუმენტური ფოტოები იყო წარმოდგენილი, ვნახეთ უკვე კარგად ცნობილი კადრებიც და რამდენიმე ახალი ფოტოც. დარბაზში ისმოდა რადიო “თავისუფლების” გადაცემების აუდიოჩანაწერები. კედლებზე კი, თითოეული ფოტოს ქვემოთ იმავე რადიოში გადაცემული ტექსტების წაკითხვაც შეიძლებოდა. ტექსტები, პირდაპირ თუ არა, ასოციაციურად მაინც უკავშირდებოდა ფოტოს. მგონი, ეს გამოფენა ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც იმით იყო, რომ დაგვანახა – ქართულ მედიას, გარდა იმ არაეთიკური კაკაფონისაა, რასაც ჩვეულებრივ, ტელევიზია გვთავაზობს ხოლმე, თურმე, შეუძლია, ასეთი იყოს — კულტურული, კორექტული, ესთეტიკურიც და ამასთანავე — უკომპრომისოც. წარმოდგენილი მასალა ნამდვილად იძლეოდა ამ ფიქრის საბაზს. “კონტრაპუნქტი” დიდი პროექტის ნაწილია, რომელსაც რადიო “თავისუფლება” მომავალში ისევ გააგრძელებს.

ავტორი: მარი ანთაძე

Pen-მარათონი – 2007

იდეა, რომელიც გამომცემლობა “დიოგენეს” ხელმძღვანელს, თამარ ლებანიძეს ხუთი წლის წინათ გაუჩნდა, ძალიანაც სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და წლევანდელი, მეხუთე Pen-მარათონი მართლაც შესაფერის ადგილას — წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში გაიმართა 28-29 ივნისს. კონკურსის მონაწილეებს ფესტივალის ორგანიზატორებმა, არც მეტი, არც ნაკლები, ზღაპრის დაწერა დაავალეს. ისინიც შეუდგნენ საქმეს, იოლი ხომ არ არის 30 საათში, თუნდაც, მცირე ზომის სრულყოფილი ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა. ჟიურის მიერ მკაცრად შერჩეულმა კონკურსანტებმა, თავი არ შეირცხვინეს და 13 ივლისს გამომცემლობა “დიოგენემ” და კონკურსის სპონსორებმა (ზაზა დარასელის ფონდი, “თელიანი ველი”, საქართველოს ბანკი” და CHF საქართველოს წარმომადგენლობა) რესტორან Two Side-ში დაჯილდოვების ცერემონია და Pen-მარათონის კრებულის პრეზენტაცია გამართეს. პირველი პრიზი და “ვერცხლის დიოგენე” ბაზო კვირტიას გადაეცა ზღაპრისათვის – “თეთრი ალები”, მეორე პრემია – ჯანო ჯიქიძეს ზღაპრისათვის – “იმშანდაგური”, მესამე პრემია და ზაზა დარასელის ფონდის სპეციალური პრიზი, პერსონალური კომპიუტერი, ნინო გუგუშაშვილს, ზღაპრისათვის “ანაგრაზმა”. ტელეკომპანია რუსთავი2-მა თეა თოფურია დააჯილდოვა სპეციალური პრიზით, “დინამიკური სახეებისთვის”.

ავტორი: მარი ანთაძე





იპოთეკური სესხი ჩვენი კუთხე

სახლის და სხვა უძრავი ქონების ყიდვას, ჩაბოლოებას და ახრახულებას

13%-დან და 25-დან

თანხის მაქსიმალურად შეუღლადვი ოდენობა;
თანამონაწილეობის მოთხოვნის არარსებობა;

სესხის ნაწილ-ნაწილ მიღების შესაძლებლობა:

- მშენებლობის ან რემონტის შემთხვევაში სესხის მიღება შესაძლებელია ეტაპობრივად აუთვისებელ თანხაზე პროცენტის დარიცხვის გარეშე.

სესხის უზრუნველყოფის ყველაზე მოქნილი პირობები:

- სესხის უზრუნველყოფა შეგიძლიათ:
- იმ უძრავი ქონებით, რომლის შეძენასაც აპირებთ;
- თქვენს საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონებით;
- ნებისმიერი სხვა პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით.

სესხის მიღების გარანტია წინასწარ:

დაგვინახავთ (8 22) 92 55 55 ყოველდღე, 24 საათის განმავლობაში.

 ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიოთა ქანაჩიანი



მოდის ახალი ფოტობრაფი!


ამა წლის 2 ოქტომბერს, 18 საათზე, თბილისში, იოსებ გრიშაშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (ქარვასლაში) იხსნება გამოფენა, რომლის ნახვაც აუცილებლად ღირს: ბაუჰაუზის ფოტოგრაფია. გამოფენის საქართველოში ჩამოსვლას თბილისის გოეთეს ინსტიტუტის ვუმადლით. შესანიშნავი გამოფენაა – 28 თებერვლამდე შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მიბრძანდეთ და ამაში თავად დარწმუნდებით.


სახელგანთქმული და პრაქტიკულად უცნობი სახელები, ფოტოსურათები, რომლებიც ნებისმიერ თავმოყვარე ფოტოგრაფს უნახავს და ის პატარა შედეგები, რომლებიც მხოლოდ კერძო კოლექციების დახმარებით შემოგვრჩა: ბაუჰაუზის ფოტოგრაფია უსაზღვროდ მდიდარია და საუკეთესოდ გადმოგვცემს თავისი დროის – დიდი იმედების და დიდი იმედგაცრუების ხანის სულს.



...
1919 წელს ვალტერ გროპიუსმა, არქიტექტორმა, ვაიმარის ხელოვნების უმაღლესი სასწავლებელი და გამოყენებითი ხელოვნების სკოლა გააერთიანა და ბაუჰაუზი დააარსა. მასწავლებლებად გროპიუსი თანამოაზრეებს იწვევდა, მათ, ვინც სავსებით იზიარებდნენ მის “მანიფესტში” ჩამოყალიბებულ იდეებს:

“ნებისმიერი შემოქმედების უზენაესი მიზანი მშენებლობაა! უნინ სახვითი ხელოვნება დიად არქიტექტურას იყო დაქვემდებარებული, და მისი ყველაზე კეთილშობილური ფუნქცია მხოლოდ არქიტექტურული ნაგებობების დეკორირებაში მდგომარეობდა. დღეს თვითკმაყოფილი სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა არ იმჩნევენ ერთმანეთს, და ამის გამოსწორება მხოლოდ ყველა ხელოვნების წარმომადგენელთა ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება. არქიტექტორები, ფერმწერები და მოქანდაკეები უნდა დაუბრუნდნენ მშენებლობის კომპოზიტიური ხასიათის გაგებას, როგორც პროცესისა მთლიანობაში, ისევე მის მრავალრიცხოვან ნაწილებში. და მაშინ მათი შრომა ჭეშმარიტი არქიტექტურული აზრით იქნება სავსე, რომელიც “სალონიურმა ხელოვნებამ” დაკარგა. ძველ სკოლებს ასეთი ერთო-





ბის შექმნა არ შეეძლო. და მართლაც, როგორ შეძლებდნენ, თუკი ხელოვნების შესწავლა შეუძლებელია? სკოლა საწარმო სახელოსნოებს უნდა დაუბრუნდეს. დიზაინერისა და გამოყენებითი ხელოვნების სამყარო, რომელიც უნინ მხოლოდ გრაფიკისა და ფერწერისგან შედგებოდა, უნდა იქცეს სამყაროდ, რომელშიც ნამუშევრები ნამდვილად იქმნება. და ჩვენს დროში ახალგაზრდებს, რომლებიც თავიანთი სუფთა ხელოვნებით ტკებებიან, ისევე, როგორც ძველ დროში, შეგირდებად რომ დაეწყით მუშაობა, ახლა აღარ გვეყოლება და უნაყოფო “მხატვრები”, რომლებიც ფუჭი სამხატვრო პრაქტიკით არიან დაკავებული, და მათი ცოდნა და ხელობა დიად პრაქტიკულ მიღწევებს მოხმარდებოდა. არქიტექტორები, მხატვრები – ყველანი ხელოსნობას უნდა დაუბრუნდეთ! იმიტომ, რომ “პროფესიული ხელოვნება” – ასეთი რამ არ არსებობს. მხატვარსა და ხელოსანს შორის განსხვავება არ არსებობს. მხატვარი უბრალოდ უფრო განვითარებული ხელოსანია. ზეცას დიდება, შთაგონების იშვიათ ნამებში ხელოვნება შეიძლება შეუცნობლად ნაყოფიერი გახდეს. მაგრამ ხელოსნობის საფუძველი ყოველი



მხატვრისთვის აუცილებელია. სწორედ ისაა ჭეშმარიტი ხელოვნების წყარო. დროა შევექმნათ ხელოსათა ახალი გილდია, კლასობრივ განსხვავებებს მოკლებული, ნაცვლად იმისა, რომ ხელოვნებასა და ხელოსნობას შორის ახალი ბარიერი აღვმართოთ! მოდიტ, გავაერთიანოთ ჩვენი სურვილები და ერთად ჩავუყაროთ საფუძველი მომავლის შენობას. ეს შენობა ერთობლივი ფორმით წარმოადგენს არქიტექტურას, ქანდაკებას და ფერწერას. და ერთ დღეს მილიონობით მუშის ხელით ის, როგორც მომავალი ახალი რწმენის კრისტალური სიმბოლო, ზეცამდე აღიმართება.”

ვიზუალური მასალის მოწოდებისთვის მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ ნათია მიქელაძე-ბახსოლიანსა და ქალბატონ თამთა გოჩიტაშვილს.

ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი

ვის ეზინია „სველი წრის“?



ავტორი: გიორგი გვახარია
ფოტო: ქეთო საავა



დასავლეთს რადიკალური კინოთი, დიდი ხანია, ვეღარ გააკვირვებ. რამდენი სისხლიც არ უნდა უჩვენო ეკრანზე და რაოდენ ნატურალისტურადაც არ უნდა გაატარო ადამიანის სხეული ხორცსაკეპ მანქანაში, ალშოთებით აღარავინ აღშფოთდება. უფრო სიცილით გასკდება. როგორც, მაგალითად, ქუენთინ ტარანტინოს ახალ ფილმზე.

ასეთი სიტუაცია იყო 1985 წელსაც, როცა ფრანგმა რეჟისორმა ქალმა, ანიეს ვარდამ ვენეციის კინოფესტივალზე "ოქროს ლომი" მოიპოვა ფილმისთვის "სახურავისა და კანონის გარეშე". თუმცა სურათის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ ფრანგულ საზოგადოებას ცოტა არ იყოს აღელვება დაეტყო. ფილმის გმირი, ახალგაზრდა ქალი, სახელად მონა, უსახლკარო მათხოვარია, რომელიც სამხრეთ საფრანგეთში ხეტიალობს, კარდაკარ დადის. არაფერი აქვს ძველი საძილე ტომრის გარდა. ერთხელაც, პოლიცია მონას გაყინულ ცხედარს გადაეყრება. გამოკითხავენ იმ ხალხს, ვისაც გოგონა ერთხელ მაინც უნახავს და დასკვნის: "მიცვალეულის ვინაობა ვერ დაუხსტდა. გაირკვა, მხოლოდ, რომ მას "მონა" ერქვა. ასოციალური ახალგაზრდა იყო..." მოწმეები ანიეს ვარდას გმირს ერთი და იგივე სიტყვებით ახასიათებენ "ჭუჭყიანი, დაუბანელი, უხეში...". ერთი ძალიან სანდომიანი ქალბატონი, უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც ეკოლოგიის პრობლემებს იკვლევს, მონას ასე იგონებს: "მანქანაში როცა ჩამიჯდა, გამოველაპარაკე, დახმარება შევთავაზე, მაგრამ ისეთი მძაფრი სუნი ჰქონდა, ისე ყარდა, რომ გული წამივიდა!"

ვენეციაში გამართულ პრესკონფერენციაზე ანიეს ვარდამ განაცხადა: "ფილმის გადაღების დროს ვცხოვრობდით იმ ადამიანებთან ერთად, რომელთაც დაბანის საშუალება არ ჰქონდათ, რომელთაც საერთოდ არ იცოდნენ, რა არის ცხელი წყალი. პირველად საშინლად

გაგვიჭირდა, მაგრამ მალე შევეჩვიეთ და მივხვდით, რომ "სუნი" - კონკრეტული კულტურის მოგონილი ცნებაა, აკვიტებული გრძნობაა, რომელიც ოდესღაც მოიგონეს ადამიანებმა... "ცუდი სუნი" ხომ არაერთი შავბნელი იდეოლოგიის წინაპირობა გამხდარა".

ბუნებრივია, ანიეს ვარდას თითქმის ვერავინ გაუგო. ისევე როგორც ვერავინ გაუგო მის გმირს - მონას... არა იმდენად ადამიანების, რამდენადაც კულტურის მიერ დევნილ გოგონას... "სახურავისა და კანონის გარეშე" მცხოვრებ მარგინალურ არსებას, რომელმაც ვერაფერი დატოვა დედამიწაზე, "მყრალი სუნის" გარდა.

თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა სადიპლომო პერფორმენსმა "სველი წრე" რატომღაც ანიეს ვარდას ფილმი გამახსენა. უფრო სწორად, არა იმდენად პერფორმანსმა, რამდენადაც იმან, თუ როგორ აღიქვა ქართულმა საზოგადოებამ ეს უმტიკვენეულო "ანცობა".

"ანცობად" პერფორმერფანსი თავად გარემოებამ გადააქცია. თავდაპირველად აქცია ეროვნულ გაღვრებაში უნდა გამართულიყო. მაგრამ მოგვიანებით, აკადემიის სტუდენტები იძულებულნი გახდნენ შეეცვალათ აქციის ადგილი. მათი პერფორმენსისთვის ბავშვთა სურათების გაღვრვა გამოიყო.

ექვსმა მხატვარმა - მთლიანად თეთრებში (თანაც ხაზგასმით გაკრიალებულ, სუფთა და აკურატულად შეკრულ "თეთრებში") გამოწყობილმა გოგონებმა და ბიჭებმა, წრე შეკრეს და მაყურებლის თანდასწრებით, ფურთხება დაიწყეს. ტუმბოებზე ისხდნენ და ერთმანეთს აფურთხებდნენ - თანაც რიტმის მკაცრი დაცვით და საათის ისრის მიმართულებით - ჯერ ერთი, მერე მეორე, მერე მესამე... ცხადია, ასეთი "სველი წრე" გაცილებით უფრო ეფექტური, უფრო პროვოკაციული იქნებოდა ეროვნულ გაღვრებაში... გამოვიდოდა,

რომ ახალგაზრდები იმის ფონზე იფურთხებოდნენ, რასაც ჩვენში "კულტურას" უწოდებენ - მაღალ კულტურას, რომელსაც შეუძლია იხსნას სამყარო, მაგრამ, ამავე დროს, თაობები "დააჩმოროს", და-თრგუნოს ახალგაზრდები. ისინი მიაფურთხებდნენ "კულტურას", რომელიც თუკი ვერ განვითარდა, ათასნაირ სტერეოტიპს შექმნის და შესაძლებელია, "მკვლელის" როლშიც კი მოგვევლინოს... რომ არა "მყრალი სუნი", მონას ხომ აუცილებლად შეიფარებდა ის ინტელექტუალი ფრანგი ქალბატონი. მაშინ ხომ აღარ გაიყინებოდა ეს უმწეო არსება? მაგრამ კულტურას სად სცალია უმწეო არსებებისთვის?

ბავშვთა ნახატების გალერიის ცარიელ და ცხელ დარბაზში პერფორმენსი უკვე სხვაგვარად აღიქმებოდა - აკადემიის კურსდამთავრებულები ჰგავდნენ ბავშვებს, რომელთაც აღარაფერი რჩებათ იმის გარდა, რომ აფურთხონ ერთმანეთს.

"დეტექტივი იქნებაო" გვარნუნიდა, "პერფორმანსისტების" პედაგოგი. ჰოდა, ჩვენც დეტექტივს ველოდით. გვეგონა, რომ ეს მონოტონური ფურთხება ბოლოს რაღაცით დასრულდებოდა - თუნდაც კოცნაში გადაიზრდებოდა... ხალხმა გაიცინა, სურათები გადაილო და დაიშალა. აზრი გამოიკვეთა - ჩვენ განუწყვეტლივ გვაფურთხებენ... და ეს რიტუალი უსასრულოდ გრძელდება. ჩვენ გვაფურთხებენ, ამიტომ, ჩვენც ვისწავლეთ ფურთხება - ზიზლით ცხოვრება... ისე, როგორც წარმოადგინეს "სველი წრე" აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა - როცა გაფურთხებენ, იმას კი არ პასუხობ, ვინც მოგაფურთხა, არამედ შენს გვერდზე მჯდომს უხდი სამაგიეროს... და, კიდევ - ყველაზე მთავარი; როცა ამას მხატვარი აკეთებს, ის უნებურად აღიარებს კიდევ, რომ თანამედროვე კულტურა თავად ემსგავსება "კოლექტიური ფურთხების" ამ ტრაგიკომიკურ რიტუალს.

პერფორმენსზე მოზრძანებული პუბლიკა უაღრესად ცივილურად მოიქცა. კაცი იფიქრებდა, რომ ჩვენ უკვე არა მარტო "უძველესი ევროპელები", არამედ ევროკავშირის უძველესი წევრები ვართ, თითქოს ჩვენც დავემსგავსეთ დასავლელ მაყურებელს, რომელსაც დღეს ველარაფრით გააკვირვებ. მაყურებელს შორის ერთი კაციც კი არ აღმოჩნდა, რომელიც იყვირებდა - "შენყვიტეთ ეს საზიზლობა!", ანდა, თავად შეაფურთხებდა ახალგაზრდა მხატვრებს. აქციის დასრულების შემდეგ, იფიქრებდით, რომ ექვსმა ახალგაზრდამ მიზანს ვერ მიაღწია, პერფორმენსი წარუმატებლად დასრულდა... "პერფორმენსი" ხომ პუბლიკის კოლექტიური არაცნობიერის აქტივიზაციას ემსახურება. აქ კი, რა მოხდა? გადაიღეს სურათები, ფირზე აღბეჭდეს ფურთხით დაფარული სახეები და წავიდნენ.

გადაღებული მასალა სადამოს ვიხილეთ, საინფორმაციო გამოშვებებში. უფრო მეტიც, "იმედმა" ახალგაზრდობის ანცობას მეორე (!) სიუჟეტი მიუძღვნა "დროებაში". ჯერ გურამ შარაძის მკვლევობა გაგვახსენეს, შარაძის ქალიშვილმა გვითხრა, რომ ეს "საწყალი, უბედური, ზრდილობიანი" არსება მკვლელი ვერ იქნებოდა, მერე კი "სველი წრის" შესახებ გვიამბეს. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კინემატოგრაფიული ხერხის, "ინტელექტუალური მონტაჟის" თანახმად, აქ ორი მოვლენა ისე დაუკავშირდა ერთმანეთს, რომ მაყურებელი უნდა მიმხვდარიყო - ბატონი გურამ შარაძის მკვლევლობის შემდეგ არა მარტო "თურქებს" ჩამოასახლებენ და ლევილის მამულს გაყიდიან, არამედ აი, ასეთ ხალხს გაეხსენება გზა!

ამის მერე ვიხილეთ ფურთხით მოცული ბიჭებისა და გოგონების



სახეები. ამის მერე ნათელი გახდა, რომ ახალგაზრდებმა მადლობა უნდა გადაუხადონ ჩვენს ტელევიზიებს. იქ, საბავშვო გალერეაში, პერფორმენსი თეატრს გავდა - შორიდან არ ჩანდა "მიფურთხებული სახეები". ტელევიზიამ კი პერფორმენსი - კინოდ აქცია. გვიჩვენა ახალგაზრდა მხატვრების ახლო ხედები, რომლებმაც დაახლოებით ისე იმოქმედა ქართულ საზოგადოებაზე, როგორც დასავლელ მაყურებელზე 1928 წელს გადაღებულმა ლუის ბუნუელის ფილმმა "ანდალუზელი ნაგაზი"... პუბლიკა თვალს ხუჭავდა იმ კადრზე, რომელშიც სამართებული ადამიანის თვალს ჭრის.

ახალგაზრდა მხატვრებმა მადლობა უნდა გადაუხადონ ჩვენს ტელევიზიებს იმიტომაც, რომ არც ერთმა, საზოგადოებრივი არხის გარდა, არ ახსნა პერფორმენსის მნიშვნელობა, არ უამბო იმ აქციებზე, რომელიც განუწყვეტლივ ტარდება დასავლეთში (მათ შორის ბევრად უფრო აგრესიულზე, ვიდრე "ფურთხებაა")... არ უთხრა მაყურებელს, რომ დიპლომების დაცვა დასავლეთის სამხატვრო სასწავლებლებში დიდი ხანია აღარ ხდება მოლბერტზე დადებული

კომენტარი

სურათებისა და რეცენზენტების თანხლებით... ამ ექვს ახალგაზრდას კი აკადემიაში სწავლის დროს უკვე იმდენი აქვს გაკეთებული (დახატული), რომ შეუძლია ასეთი პერფორმანსით დაასრულოს სწავლა... ასეთი ინფორმაცია რომ მოეწოდებინათ მაყურებლისთვის, შესაძლებელია, პუბლიკას აგრესია აღარ გამოეხატა, აღარ ეძახა "ფუ, ფუ...". მაშინ, რაღა აზრი ექნებოდა პერფორმანსს?

მაგრამ, რატომღაც მგონია, რომ ქართული საზოგადოების ასეთ აგრესიას ეს ახალგაზრდებიც არ ელოდნენ. რომელი მათგანი იფიქრებდა, რომ ეს "სამარცხვინო ფაქტი" მათ მშობლებს, განათლების სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, გია ბულაძეს, ნაცმოძრაობას და თვით, მიხეილ სააკაშვილს დაბრალებოდა? ("რას გვიშვება ეს სააკაშვილი!")... რომელი მათგანი იფიქრებდა, რომ თბილისის ინტერნეტ ფორუმზე აი, ასე გამოეხმაურებოდნენ "სველ წრეს"?

"ერთი რამე ვიცი მხოლოდ დანამდვილებით - არჩევნებამდე როგორმე დიდი სუნთქვა უნდა ავიღოთ და გავუძლოთ, მერე ყველანი გამოვცხადდეთ და ბოლომდე ვუპატრონოთ საკუთარ ხმებს - შეცდომის დაშვების არანაირი უფლება აღარ გვაქვს" (ამ მოსაზრების ავტორს ავატარად უულიეტ ბინოშის სურათი აქვს ... რა ვქნა... მერე იტყვი, რას გადაეკიდა ამ ქალსო)!

"ფუ რა საშინელება იყო. რა ჩამოაბანინებდათ იმ საზიზღრობას"

"უხ, გარყვნილმა აზრმა გამიელვა თავში. მიფურთხების პონტში, ოღონდ არა ნერწყვის და არა პირით."

ეს უკანასკნელი პოსტი განსაკუთრებული გულახდილობით გამოირჩევა. ამ პოსტით ნათელი ხდება, რომ "სველი წრის" ავტორებმა არა მხოლოდ ჩვენი საზოგადოების სარკე წარმოგვიდგინეს, არა-

მედ დაგვანახეს, როგორ გვაფურთხებენ და როგორ ვიფურთხებით (ამ მხრივ, ქართველებს რატომღაც ლიფტები უყვართ. ლიფტებში მოსდით ნერწყვი). "სველი წრის" პერფორმანსმა საზოგადოების არარეალიზებულ სექსუალურ ვნებებსა და ფანტაზიებზეც ითამაშა. "არა ნერწყვით, და არა პირით...", ე.ი. ფალოსით? ე.ი. სპერმით? და თუკი მიფურთხებული სახე მაყურებელს პორნოგრაფიულ კინოში გავრცელებულ ცნობილ კადრს აგონებს, რა არის აქ საშიში და საზიზღარი? სექსი? სპერმა?

ამაზე კიდევ ერთი აკრძალული ფილმი გამახსენდა - ეიზენშტეინის "გენერალური ხაზი". იქა ასეთი სცენა - მწველავ ქალს, მარფა ლაპკინას, სახეზე რძის წვეთები ეშხეფება. თვალს ხუჭავს, მაგრამ სახე ბედნიერი აქვს. იმდენად ბედნიერი, რომ საბჭოთა ცენზურამ სასწრაფოდ ამოიღო ეს კადრი, როგორც "გაუგებარი სიმბოლო", რომელმაც მაყურებელში შეიძლება "სექსუალური აქტის ასოციაცია შექმნას".

მაგრამ, სპერმა ხომ სიცოცხლის სიმბოლოა, ჩვენო ძვირფასო ტელემაყურებელო? რა არის, ასე გეშინიათ სიცოცხლის? ასე გეზიზღებათ?

ანდა, "სველმა წრემ" როგორ შეგაშინათ ასე, როცა ყოველ წუთას დედას იფიცებთ?

თუმცა, რატომ იფიცებთ? დღეს უფრო "ჩემი დედა!..." ასე იგინებით!

იგინებით და იფურთხებით. თუმცა, ავატარად ხანდახან "უმნიკვლო" ქალის, უულიეტ ბინოშის სურათს იყენებთ.





სადასახლებო კომპლექსი
IBERIA
სადასახლებო კომპლექსი

IBERIA კომპლექსი

მისამართი: ქვექვიძის გამზ. 49ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 25 31 13; www.iberia.ge; info@iberia.ge

А где Люда? ანუ „დაისის“ კაზის დაისი

ვუძღვნი გობონებს და ქალებს, რომლებიც მდინარეში კაბებით ხანაობენ
ავტორი: ლელა გაფრინდაშვილი



ქართულ ლუდს რომ „ალუდა“ დაარქვეს, არავის გაკვირვებია. მაგრამ, როგორც ჩანს, სახელწოდებამ მყიდველთ სიუხვე ვერ განაპირობა და ამიტომ საქმეში რეკლამა ჩართეს. იგი ჩემთვის პორნოგრაფიის პროპაგანდა უფრო იყო, ვიდრე – ამ სასმელის პრეზენტაცია. თუმცა, სწორედ მისი ამგვარი ბუნება გახდა პოპულარობის მიზეზი.

წარმოიდგინეთ: დედის და ბედის ნებიერა, რუსულენოვანი კაცი აბანოში მიდის.

რა საკვირველია, – იხდის და ხორციელ სიამეებს ეძლევა. გარანტირებული წყლის და ორთქლის აბაზანის, ქაფმოდებული ლუდის მიღების შემდეგ, გაკვირვებული ამბობს: „А где Люда?“ ქალი კადრში არ ჩანს, მაგრამ ყველა ხვდება, რომ არც კაბა აცვია და არც საცურაო კოსტიუმი, რადგან ჩაცმული ქალი ლუდთან, აბანოსთან და „ქაფთან“ არ ასოცირდება, არ აღაგზნებს.

ბოლოს ნებიერა, ადარებს რა ლუდით და ქალით მიღებულ სიამოვნებებს, დაასკვნის: „Алуда лучше, чем Люда“-ო. ეტყობა, ქალმა ჩრდილოელი სტუმრის პატივსაცემად „დაისის“ კაბა ჩაიცვა და მორჩილების ნიშნად ბავშვური/შვილობილის სახეც მიიღო. მაგრამ რადგან мужик-ი არც ნეკროფილი იყო და არც – პედოფილი, „ქაფი“ კი გამოუშვა, მაგრამ ლუდის სმა უფრო სასიამოვნოდ ჩათვალა და ეს გულწრფელად აღიარა.

მე ამ мужик-ს და Люда-ს საერთოდ მოვაშობდი აქედან როგორც გენდერული, ისე – პოლიტიკური მოსაზრებების გამო. კლიპს კი ასეთ შინაარსს მივცემდი:

ხევსური ალუდა ლუდს ხარშავს, მაგრამ თვალი იქვე მოფუსფუსე, ხინკლის მოხვევით გართული მზექალასკენ გაურბის. აღარ იცის – როგორ გამოელაპარაკოს და უცებ:

მზექალა – ვაჟაუ, შენთან დაწოლა ნეტავი დამდვა ვალადა!

გალაღდა ვაჟი და უკვე თამამად გაესიტყვა ქალს:

ალუდა – დავწვეთ, ლუდი ვსვათ, სხვაიცა გამოვა თავისთავადა!

მაგრამ ამ სცენარით „აბანოიდები“ (ეს ცნება აღებულია forum.ge-დან, რომელმაც თანამედროვე საქართველოში აბანოს პოპულარობაში დაეჭვების ნიშანწყალიც კი არ დამიტოვა) დაგვეჩაგრებიან და მართლა ქართული ლუდის რეკლამა გამოგვივა და არა – გარყვნილების. ასეთი რეკლამის შემდეგ „პოსეიდონის“ სტუმრები ლუდს აღარ მიეძალეობდნენ და ეს, ბორდელად ქცეული აბანო ვერ იმუშავებდა.

„ალუდას“ მხარი მალე სხვა, სახინკლეებისა და განცხრომის ობიექტების არანაკლებ ბილნმა მონოდებებმა დაუმშვენა და ქართული ტელევიზიებიც საკმაოდ უცნაურად იტკბარუნებდნენ პირს ვნების აღმძვრელი დაწესებულებების ჩვენებით. არც მართლმადიდებელ მშობლებს და სტუდენტებს, არც ქართულ, ტრადიციულ ოჯახში გაზრდილებს ამოულიათ ხმა. მაგრამ მათ ხომ მხოლოდ იმაზე აქვთ რეაქცია, როცა ვინმე მისი ნებით და სახალხოდ იხდის და ვინც ამბობს, რომ ეს ჩემი ცხოვრებაა, ჩემი არჩევანია და ჩემი პასუხისმგებლობა ანუ როცა პიროვნება თვითონ ადგენს თავის მორალს და

სხვები მის გადწყვეტილებებში ვერ ჩაერევიან. თორემ Люда-მ ისე გაიხადა და “ვალიც ისე მოიხადა”, რომ არავის დაუნახია.

ეტყობა, მან “ქართული სექსუალობის” დაუფლების სპეციალური ტრენინგი გაიარა. ხომ გახსოვთ, ეს ახალი ფენომენი, სულ ცოტა ხნის წინ, მუსიკალური არხის სახემ რომ შემოგვთავაზა: “ქართული სექსუალობა უფრო “დაისის” კაბაში აღიქმება (მანტიერესებს ამ გოგოს ვკითხო: თუ “დაისით” ასე მოხიბლულია, მაშინ რატომ არ უშვებს მის ეთერში არიებს ან ცეკვებს ამ ოპერიდან? – ლ.გ.), როცა ყველაფერი დაფარულია და მამაკაცს ფანტაზიის უნარი აქვს. ეს კაბა არის ქართული, ტრადიციული სამოსი, სადაც მამაკაცს ეძლევა საშუალება ფანტაზია გაიღვივოს (ახლა კი ეჭვგარეშეა, რომ სწორედ ეს კაბა ეცვა Люда-ს! ლ.გ), წარმოიდგინოს, როგორია ეს ქალის ტანი შიგნით და არა ის, რომ ყველაფერი გახდილი გვქონდეს და ფანტაზიის უნარი საერთოდ არ დაუტოვოთ მამაკაცს.

“მე მირჩევნია მდარე ხარისხის ჟურნალში ვიყო ძალიან ბავშვური სახით, ვიდრე “პლეიბოი”-ში ვულგარული სახით”.

ამ გამოსვლამ საგონებელში ჩამაგდო. ძლივს მოეუყარე თავი შეკითხვებს, რომლებზეც პასუხის გაცემა მინდა ვცადო: რატომ უნდა ჰქონდეს ზრდასრულ ადამიანს ბავშვური სახე? რატომ უნდა ჰქონდეს ამავე ადამიანს სხვადასხვა სახე ორ, თუნდაც ერთმანეთისგან განსხვავებულ ჟურნალში?

უცნაური იყო გაავებული წინააღმდეგობა და აჟიოტაჟი “პლეიბოის” ფოტოსესიის მონაწილე გოგონების წინააღმდეგ, რომელთაც თქვეს, რომ ეს მათი პროფესიაა, მათი არჩევანია და არაფერი უზნეო და ვულგარული ამაში არ არის.

მაგრამ, საზოგადოებრივი მორალის გუშაგებს საოცრად არ სიამოვნებთ, როცა მათ ეუბნები, რომ შენი სხეული შენია და სხვისი არავისი.

ამ მორალისტებს მინდა გამოვხმაურო და ვუთხრა ის, რაშიც დიდი ხანია დავრწმუნდი: როგორც ყველა ჩაცმულის ქცევა არ არის მისაბაძი, ისე ყველა შიშველზე ვერ ვიტყვით, რომ სამაგალითოა. მაგალითად, ჩაცმული პოლიტიკოსი ჯონდი ბალათურია ვერ იქნება მისაბაძი, რადგან მას შეუძლია კომპეტენტურად ილაპარაკოს იმაზე, რაც თვალთ არ უნახავს და ვერ დაუჯერებია, რომ ერთს სიშიშველე სიამოვნებს და მოსწონს, მეორეს – შემოსილობა. შენც მიდი და აირჩიე და სხვებს ნუ ჩაქოლავ იმისათვის, რომ ჯერ ვერ გადაგიწყვეტია რომელი აირჩიო.

ეს ხომ არ არის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხი, როგორც ისტორიებში, რომლებიც მორალისტების საპასუხოდ უნებურად გამახსენდა და მინდა თქვენც გაგახსენოთ.

სემიონი იხმავს / იორჰანს დედის კაბას

8 წლის სემიონი ანდრეი პლატონოვის ერთი მოთხრობის გმირია. დედამისმა მეოთხე შვილი გააჩინა და გამთენიისას გარდაიცვალა. მამა საგონებელშია ჩაეარდნილი: ტირის, თავში ხელებს იცემს, პატარებს ემალება. სემიონი კი – სასწრაფოდ იცვამს დედის კაბას და ამბობს:

“– მოდი, მე ვიქნები მათი დედა!

ახლა, კაბაში გამონწყობილი, ბავშვური ნაღვლიანი სახით, სემიონი ისევე ჰგავდა გოგოს, როგორც – ბიჭს. ცოტა დიდი რომ ყოფილიყო, – გოგოც გეგონებოდათ...

– ქუჩაში ბავშვები გოგოს დაგიძახებენ! – ეუბნება ზახარი. ახლა სულელი გოგო ხარ და არა – ბიჭი.

– დამიძახონ, მალე მობეზრდებით. მე მაინც მივეჩვევი გოგოდ ყოფნას.... მამა, მოდი დედა დავბანოთ, გავაპატიოსნოთ, მერე რამდენიც გინდა იტირე, ტირილი მეც მინდა – ერთად ვიტყოთ!”

ხომ ხედავთ, როგორ უყურებს სემიონი გახდა-ჩაცმას და საზოგადოებრივ აზრს? მისთვის მთავარია, რომ და-ძმამ უდებოდა არ შეამჩნიოს, არ იგრძნოს და ამით არ დაიჩაგრონ პატარები. როცა სასწორზე სიცოცხლე გიდევეს, მაშინ რას მიქვია ტოლ-ამხანაგების ქილიკი? ჰოდა, სემიონიც სიცოცხლეს, დედის კაბას ირჩევს და ზუსტად იცის, რომ მართალია!

უკანასკნელი „შაბაში“

მე-19 საუკუნის მიწურულს საქართველოში საშინელი სიღარიბეა. 1898 წელსაა დანერგილი ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობა “თინას ლეკური”.

ახალგაზრდობაში ცნობილი მოლეკურე თინას შვილიშვილები, სიცივისა და შიმშილისაგან შეწუხებულები, მგლებივით ყმუიან. ორი კომლის მოშორებით კი – ბატონის დღეობაა, რამაც მოხუცს იმედის ნაპერწკალი გაუღვივა გულში.





მარო, სხვახი და მაროს არჩევანი

ზაქარია ფალიაშვილის ლირიკულ-დრამატული ოპერა “დაისი” 1923 წელს, ვალერიან გუნის ლიბრეტოს საფუძველზე შეიქმნა.

ახალგაზრდა ქალი, მარო მოკლებულია ყოველგვარ თავისუფლებას. მის ბედს ჯერ მშობლები განაგებენ, შემდეგ – საქმრო. უფროსების ნების ძალით იგი ასისტავ კიაზოზე ინიშნება. ქალიშვილს კი – თავისი ბავშვობის მეგობარი, მალხაზი უყვარს. ეს საიდუმლო სოფლის მასხარამ, ცანგალამ, საქმროს აცნობა.

მტრის შემოსევის მოგერიების ნაცვლად, ეჭვით დაავადებული კიაზო ორთაბრძოლაში ინვეს მალხაზს და საიქიოს გაისტუმრებს. ასისტავს ხალხის მრისხანე სასამართლო ელოდება.

სამივე ახალგაზრდის ბედნიერების მზე ჩაეხვეწა. მარო დასტირის საყვარელ ადამიანს. კაბებს და საქმროს ის ვერასოდეს ირჩევდა და ამიერიდანაც ვერ აირჩევს, რადგან მას არ შეუძლია აირჩიოს: სამშობლო, ტრადიცია და მშობლების ვერდიქტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე – მისი გრძნობა და სურვილები.

სემიონის, თინას და მაროს ბედი გვაფიქრებინებს, რომ ბავშვისთვის, მოხუცისათვის და ახალგაზრდისთვის ყველაზე მთავარი არჩევანის თავისუფლებაა. ჩაცმაც და გახდაც შენი პერსონალური არჩევანი უნდა იყოს. ყველა საკითხი ჯერ შენს თავთან უნდა გაარკვიო და შემდეგ – მეგობრებს, ნათესავებს და მოძღვარს დაეკითხო, რადგან შენს საქციელზე მხოლოდ შენ აგებ პასუხს.

არიან გოგონები, რომლებიც მოძღვარმაც რომ დართოს ნება, – მაინც ჩაცმულები იბანავენ მდინარეში, რადგან ეს მათი არჩევანია და არა – სხვების. მათ უბრალოდ არ სიამოვნებთ საკუთარ სხეულზე მიმართული მზერა, არც ვინმეს სიშიშვლეზე ეშვებათ ნერვები და ამის გამო ქვებს არავის ესვრიან. სწორედ ისინი ამჩნევენ, რომ “დაისის” კაბის დაისს საქართველოში ხელს უწყობს არა ის, ვინც თავისი სხეული თავისი ნებით გამოაჩინა, არამედ ის, ვინც ამას უზნეობა უწოდა, რადგან მას ამის ნება არ დართეს.

“თინამ პირი დაიბანა, თავზე სუფთა, ათასის საკერებლით დაკონკილი თეთრი ჯალამის ლეჩაქი მოიხვია, ფეხებზე სუფთა ღაზლის წინდები ჩაიცვა, ფოსტლების ნაგლეჯში ფეხი ნაჰყო და დუღუკის ხმისკენ გაეშურა.

...დარბაზის გაღებულ კარებში შევიდა, მოცეკვავე ყმანვილთან მიიჭრა და გამოეთამაშა. სტუმართ ყიჟინი ასტეხეს, დართულნი და ბრწყინვალე მანდილოსანნი ისტერიულმა სიცილმა შეიპყრო. სახლის პატრონი გასახტებული, გაოცებული იდგა და არ იცოდა, რა ექნა: გაეგდებინებინა ლაქებისთვის ეს გამბედავი, კონკებში გახვეული მოხუცი, თუ სხვებთან ერთად დაეწყო სიცილი?.. თავმოშონე ვაჟკაცი არ შეკრთა, არ იუკადრისა დაგლეჯილ, ჭუჭყიან ძონძებში გახვეულ მოხუცთან თამაში და საერთო სიცილ-ხარხარით გახელებულმა დაჰკიჟინა და დაჰკიჟინა თავის მშვენიერ დამას, განივრად გაშლილი მკლავები თავზე დააწყო და მომღიმარი თვალები, ვითომ არშიყობით დამჭკნარ სახეზე დაამტერა. სიცილ-ხარხარმა სიგიჟემდე მიაღწია...

...დედაბერი უცებ შესდგა, თვალები გადაატრიალა. ერთი მძლავრად ამოიფშვინა და იატაკზე დაეცა...

უეცრად ობლებიც გამოჩნდნენ, დამტირებლები. არც ერთი მოძრაობა, არც ერთი ხმა არ არღვევდა იმ საშინელ სურათს...

– მოწყალეობა ობლებს! – წამოაყრანტალა ვილაცამ.

გულგალმობიერებულმა საზოგადოებამ ხელი იკრა ჯიბეს და უხვად გასცა მოწყალეობა.

თინას ლოცვა ასრულდა. იმან სამუდამოდ განისვენა და მისმა უკანასკნელმა “შაბაშმა” მის ობლებს ლუკმა გაუჩინა.

ეს, საუკუნისწინანდელი ამბავიც ხომ მიგვახვედრებს, რომ თინაც სიცოცხლის გადასარჩენად გამოეწყო და უკანასკნელად იცეკვა “ლეკური”.

6'0"

5'6"

5'0"

4'6"

4'0"

3'3"

3'3"



The Usual Suspects

ავტორი: ქეთი სადღოჯალაშვილი ფოტო: ლევან ხერხეულიძე



ნინო გურდული, ლევან გარბაქანიშვილი, ქეთი სადღოჯალაშვილი, ნატო ზაზაშვილი

ძირს ავტორიტეტი! გაუმარჯოს ავტორიტეტს!

ავტორიტეტს საყოველთაოდ აღიარებული გავლენის მქონე პიროვნებას უწოდებენ. კომუნისტური ეპოქის იდეოლოგებს თითქმის ყველა სფეროში სჭირდებოდათ ავტორიტეტები, მათი მეშვეობით უკეთ რომ ემართათ სიტუაცია და კომუნიკაცია დაემყარებინათ საზოგადოების გარკვეულ წრეებთან. ამ ინერციით დღემდე საზოგადოების ერთი, კერძოდ შეჩვეული ნაწილი დევნილით - გაუმარჯოს ავტორიტეტს! - მუდმივად ავტორიტეტების ძიებასა და ტყვეობაშია, მეორე ნაწილი, რომელსაც ჰეროსტრატეს კომპლექსი ვერ მოუშორებია, დევნილით - ძირს ავტორიტეტი! - ავტორიტეტების ნგრევა-ჩარეცხვას ითხოვს. ძალზე მცირეა იმ ადამიანთა რიცხვი, ვისაც ავტორიტეტების მიმართ ბუნებრივი, კრიტიკული რეფლექსია გააჩნია და კითხვების გარეშე, უპირობოდ ვერავის იღებს. ვინ ქმნის და ამკვიდრებს ავტორიტეტებს, სჭირდება თუ არა ადამიანს ავტორიტეტი და აქვს თუ არა საზოგადოებას ჯანსაღი დამოკიდებულება ავტორიტეტების მიმართ. დისკუსიაში მონაწილეობენ: პოლიტიკოსი ლევან ბერძენიშვილი, მსახიობი ნინო ბურდული და ფსიქოლოგი ნატო ზაზაშვილი.

ლევანი - დღეს სიტყვა ავტორიტეტის ნაცვლად უფრო მეტად ტერმინ ელიტას ვხმარობთ. საბჭოთა ტიპის სახელმწიფოში მწერლების, კომპოზიტორების, მსახიობების, რეჟისორებისა და მეცნიერების ელიტა გამოყენებული იყო იმისათვის, რომ მართვაში მიეღოთ მონაწილეობა. შევარდნაძე ამ თვალსაზრისით იყო კლასიკური “პატრიოტი”, იცოდა “მამული, ენა, საწარმოებოება” და ცნობდა ამ სამ ელიტას, მთავარი იყო მამულის ელიტა ანუ ისტორიკოსები, რომელთაც განუსაზღვრელი როლი ჰქონდათ, ენა, ანუ მწერლები და საწარმოებოება, ანუ სამღვდლოების უმაღლესი წარმომადგენლები, ვინც ამ ფორმულაში ვერ ჯდებოდა, ნაკლებად ელიტარული იყვნენ. მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა, ელიტის როლი იცვლებოდა, ზვიად გამსახურდიამ საერთოდ უარი თქვა არაპოლიტიკურ ელიტაზე და გამოვიდა ფორმულით, რომ არ სჭირდება ინტელიგენცია, რადგან თვითონ არის ინტელიგენტი. შევარდნაძემ დააბრუნა ის, რაც იცოდა, მაგრამ პოლიტიკურ ელიტას ძველმა ელიტამ წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია. დღევანდელი ხელისუფლება გააფთრებით ებრძვის ყველა ავტორიტეტს და ელიტას, საკუთარს გარდა. პრეზიდენტი თითო გაიშვერს და ამბობს - თქვენს წინაშეა ნამდვილი გმირი. ყოველ-

დღე პოულობენ და აპირებენ ორ, სამ, ხუთ, ჩვიდმეტ გმირსა და ავტორიტეტს.
ქეთი - გასაგებია, რომ ხელისუფლება ავტორიტეტების ერთგვარ ჩანაცვლებას ახდენს და ვინც მისიანი არ არის, არც ცნობს, მაგრამ თვითონ საზოგადოება რითაა ამ მხრივ ხელისუფლებაზე უკეთესი?
ნატო - ჩემი აზრით, ის ფაქტი, რომ გყავდეს ავტორიტეტი, სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. პირველი ავტორიტეტი ადამიანისთვის, მითუმეტეს ბავშვისათვის არის მშობელი, რადგან ოჯახი არის გარანტი არა მარტო იმისა, რომ ბავშვს დაუკმაყოფილდეს ბაზისური მოთხოვნილებები - საკვებით და საცხოვრებლით, არამედ უსაფრთხოებითაც იქნას უზრუნველყოფილი. ზრდასთან ერთად მშობელს სხვა ავტორიტეტები ენაცვლებიან. სკოლა ის მნიშვნელოვანი ადგილია, სადაც ადამიანი პირველად გამოდის ოჯახიდან და სოციალურ ურთიერთობებს ამყარებს. დღეს ყველა აღნიშნავს სკოლაში ავტორიტეტების ნაკლებობას, ფაქტია, სკოლაში პედაგოგი აღარ არის ავტორიტეტული ან თუ არის, ავტორიტარული ტიპის პედაგოგია, რომელიც ძალისმიერად ურთიერთობს ბავშვთან, როცა ავტორიტარული პედაგოგი ხდება ავტორიტეტული, შეუძლებელია ამან ზემოქმედება არ მოახდინოს ბავშვის შემდგომ ცნობიერებაზე.

საკუთარი თავიდან თუ გამოვალ, ნამდვილად მყავს ავტორიტეტი და ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, პრობლემა იქმნება მაშინ, როცა შენთვის ავტორიტეტულ პიროვნებას ან ჯგუფს გააკერპებ, სოციალურ იერარქიაში მალლა დააყენებ და ქვემოდან უყურებ. ახლა ვფიქრობდი, ივანე ჯავახიშვილის დროს რომ მესწავლა უნივერსიტეტში, რასაკვირველია, ის ავტორიტეტი იქნებოდა ჩემთვის, რადგან ის გავლენა და ძალაუფლება, რაც ავტორიტეტს აქვს, ჩემთვის ცოდნას, განათლებას და ღირებულებებს ეფუძნება.

ნიწო – პირადად ჩემთვის ავტორიტეტი ყოველთვის იყო ძალაუფლებას მოკლებული, მაგრამ პატივსაცემი და ღირსეული ადამიანი, ასეთი ბევრი არ არის. ავტორიტეტები ნამდვილად იყვნენ მშობლები, რადგან ურთიერთობები ოჯახში ნორმალურად იყო აწყობილი. სკოლაშიც იყო ერთი-ორი მასწავლებელი, მაგრამ მათი ავტორიტეტი შემოიფარგლებოდა იმ საგნებით, რასაც მასწავლიდნენ. ინსტიტუტში ავტორიტეტულობის მაგალითი იყო ქალბატონი ლილი იოსელიანი, გარდა იმისა, რომ თავისი სფერო კარგად იცის, მაღალი ღირსებების მატარებელიცაა. ბატონი მიხეილ თუმანიშვილი უდავო ავტორიტეტი იყო თავის პროფესიაში. საერთოდ, მგონია, რომ ავტორიტეტების გარეშე ძნელია ცხოვრება, მაგრამ ავტორიტეტი ორგვარი არსებობს: შემოთავაზებული და ნამდვილი, რომელიც თავად მოიპოვებს ამ სტატუსს. სამწუხაროდ, საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის შემოთავაზებული, ლობიერებული ავტორიტეტი უფრო მისაღები აღმოჩნდა, რადგან საზოგადოება არ აკეთებს ანალიზს, რის გამო გახდა ის ავტორიტეტი, რა საშუალებებს მიმართა იმისათვის, რომ ძალაუფლება მოეპოვებინა. ნამდვილი ავტორიტეტები ის პიროვნებები არიან, ვისგანაც ნებისმიერი ადამიანი სწავლობს ან იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც ინტერესს აღვივებს ამა თუ იმ სფეროს მიმართ. ჩემთვის ავტორიტეტია ყველა ის მწერალი, ვინც სამყარო აღმომაჩენინა, ყველა ხელოვანი, პოლიტიკოსი, მეცნიერი, ვისთან ურთიერთობაც ახალი გზის გახსნის იმპულსი ყოფილა. თუმცა ხელშეუხებელი ავტორიტეტი – რახან ამან თქვა, ეს ასეა! – არ არსებობს. მშობლების ავტორიტეტობის თემას მივუბრუნდები, ორი ბიჭი მყავს, 20 და 13 წლის. მახსოვს როგორი რთული ურთიერთობა მქონდა უფროსთან, როდესაც მეგობრების გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. ხშირად დგება მომენტი, როცა მეგობარი ხდება ავტორიტეტი, მშობელი მაინც უფრო ძალაუფლების მქონე ავტორიტეტია, თანატოლი კი ძალაუფლებას მაშინ იძენს, თუ დაემორჩილები, ამ დროს ცუდი და კარგი გავლენების გარკვევა აუცი-

ლებელია და მშობელი ამ შემთხვევაში უნდა დაეხმაროს შვილს.

ჰატი – ხომ არ ხდება ისე, რომ ოჯახიდან დანყებული, ჯერ მშობელია ავტორიტეტი, მერე სკოლასა და ინსტიტუტში პედაგოგი, მერე კიდევ ვიღაც შემომატება და ასე ნელ-ნელა ვიხუნძლებით ავტორიტეტებით, ყველაფერში მათ ვიმონმებთ და ნაკლები დრო გვრჩება საკუთარი თავის ზრდის, საკუთარ თავზე დამოკიდებულების, პასუხისმგებლობის განსაზღვრის და გააზრების. ალბათ, ამის ბრალია საზოგადოების მძაფრი რეაქციები იმ რეფლექსიაზე, რომელიც ავტორიტეტების მიმართ გამოითქმება ხოლმე. ამის მაგალითია ბატონი ლევანი, რომელმაც გახედა და ილია ჭავჭავაძის პოეზიაზე საკუთარი აზრი გამოთქვა, გამახსენდა ის თავდასხმებიც, რომელიც



ყველაზე დიდი ქართველი დედამიწის ზურგზე დაბადებულ ქართველთაგან არის ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ყველაზე დიდი ქართველი პოეტი არათუ არ არის ილია ჭავჭავაძე, არამედ სულ არ არის დიდი პოეტების სიაში, ილიას პუბლიცისტიკა, მისი განსაზღვრება ქართველი ხალხის ისტორიული ბედის, მისი ლიდერობა იმ ხალხისა, რომელსაც პატრონი არ ჰყავდა, მისი მოკრძალებულობა, მისი ევროპელობა ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ილია ჭავჭავაძის ლექსები იმ ქვეყანაში, სადაც იყო რუსთაველი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა და გალაკტიონი. ამ აზრმა გამოიწვია გალიზიანება და ჩაითვალა, რომ ეს ეპატაჟის სახეა და მე პოპულარობას ვეძებ, მაგრამ გადავიტანეთ ეს ყველაფერი მე და საზოგადოებამ, ანუ ცოცხალი დავრჩი.

„ჩვენთან ავტორიტეტობის საფუძვლიანი ჯერაც ვერ გახდა სოციალური, პროფესიონალიზმი, კომპეტენსია და ლირსება, რომელიც კიდევ უფრო მაღალი საფეხურია ჩემთვის. დღევანდელი საზოგადოებისთვის ავტორიტეტია ის, ვინც ახერხებს ძალაუფლების მოპოვებას“.

მოჰყვა რობერტ სტურუას აზრებს “ვეფხისტყაოსნის” შესახებ. მაინტერესებს, უკრიტიკოდ, კითხვების გარეშე, უპირობოდ შეიძლება ავტორიტეტების მიღება და აღიარება? შეუძლებელია ადამიანი ხომ ბუნებაში არ არსებობს?

ლევანი – ავტორიტეტები იცოცხლეთ, კარგი რამ არის, მაგრამ კრიტიკული აზროვნება აუცილებელია. უნდა ვთქვათ სიმართლე, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ავტორიტეტი ამა თუ იმ სიტუაციაშია ავტორიტეტი, თორემ ყველაფერში ავტორიტეტი ჯერ არ დაბადებულა და ვერც დაიბადებოდა. ჩვენ ახლა ვართ ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში, სადაც 19 მილიონი დასახელების წიგნი ინახება, წარმოუდგენელია, რომელიმე ავტორიტეტმა ამის ერთი მემილიონედი იცოდეს კარგად, შესაბამისად ყველაფრის მცოდნე ავტორიტეტი ვერავინ იქნება. ჩემთვის

ავტორიტეტი რომ სიტუაციურია, ამაზე სარტიკ ამბობდა: არ მჯერა, რომ გმირი გმირულად სვამს ჩაისო. უმარტივესი მაგალითი: არ არსებობს ჰეგელზე დიდი ავტორიტეტი ფილოსოფიაში, მაგრამ ჰეგელმა, შემოიჭრა რა კლასიკურ ფილოლოგიაში და გააანალიზა “ანტიგონე”, გაიკვია, რომ აზრზე არ არის, როგორ იქმნება ანტიკური ტრაგედია და რა პრინციპებზეა აგებული, საერთოდ ვერ გაიგო სოფოკლე და ღრმა სიბრყვე დაწერა, პირველკურსელს რომ არ ეპატიება, ისეთი ვისაც “ანტიგონე” არ ნაუკითხავს, ჰგონია, რომ ჰეგელი მართალია. ასეთი ავტორიტეტები არიან უპასუხისმგებლოები. როცა ავტორიტეტი რალაცას ამბობს, მას ავიწყდება ის, რომ შეიძლება ცდებოდეს.

ჰატი – არსებობს შეგრძნება, რომ – “მე ავტორიტეტი ვარ!” თქვენ გაქვთ ეს შეგრძნება?

დისკუსია

ლევანი – რა თქმა უნდა, არის. როგორც თქვენ გრძნობთ თქვენს წინაშე მყოფი ასაკით უფროსია თუ უმცროსი, ინტელექტით თქვენზე მაღლა დგას თუ დაბლა, იმასაც გრძნობთ, კონკრეტული ადამიანისთვის ან ადამიანთა ჯგუფისთვის ხართ თუ არა ავტორიტეტი, ამის შესაბამისად ჩნდება პასუხისმგებლობაც. ნებისმიერ ადამიანს აქვს კომპეტენციის ზღვარი და როცა აზრს გეკითხებიან და გეუბნებიან, რომ ავტორიტეტი ხარ, შეიძლება მაგარი სისულელე თქვა იმ სფეროზე საუბრისას, რომელიც ნაკლებად გესმის, რაც მოუვიდა ჰეგელს, ან თუნდაც პლატონს. კაცობრიობის ისტორიაში პლატონზე დიდი გენიოსი თავის სფეროში არ დაბადებულა, მაგრამ როდესაც სირაკუზში წავიდა სახელმწიფოს ასაშენებლად, ორჯერვე ჩაფლავდა და ისეთი იდიოტობა ააშენა, იქიდან ძლივს გამოასწრო

მელსაც შეუძლია მისთვის მიუღებელი აზრების გამო თავისივე შექმნილი ავტორიტეტი სასიკვდილოდაც კი გაიმეტოს.

ლევანი – ილიაც ხომ იმიტომ მოკლეს, რომ თავისი ავტორიტეტით ისარგებლა და საზოგადოებას უთხრა სიმართლე: ნუ გძინავს, ხელი გააძრე, იშრომე, იმოქმედე, არ ვარგებარო! რამაც ყველა გააღიზიანა. ჩემგან რომ იცავდნენ, ისეთი ხალხის მოკლულია ილია ჭავჭავაძე, რადგან ის საფრთხეს წარმოადგენდა ქართული საზოგადოებისთვის, საზოგადოებას აღიზიანებს, როცა სიმართლეს ეუბნებიან, დღეს ჩვენთან საზოგადოება ყველაზე მაღალი ავტორიტეტია, რა სისულელეც უნდა ჩაიდინოს, უნდა ვაქოთ და ვადიდოთ.

ქათი – თქვენთვის ვინ არის ავტორიტეტი?

ლევანი – ისევ ისინი, ვინც იყვნენ, სამწუხაროდ, რამე განსაკუთრებული ცვლი-



ავტორიტეტების მსხვერპლს კი არ არის საჭირო, არამედ საჭიროა ავტორიტეტების გამოკვეთა იმ ნაწილებში, სადაც ისინი ნამდვილად ავტორიტეტები არიან. კრიტიკის ბარათი არ უნდა ღარდეს არც ერთ ავტორიტეტი და შესაბამისად, მივაღწიოთ იმ აზრებს, რომ კითხვები უნდა დავსვათ ყოველთვის.

ცოცხალმა, რადგან პლატონი, თეორეტიკოსი და დიდი ფილოსოფოსი, აღმოჩნდა ცუდი პოლიტიკოსი. ყველა დისიდენტი, რომელიც სათავეში მოდის, როგორც წესი, აღმოჩნდება ხოლმე ცუდი მმართველი, იმიტომ რომ დამანგრეველის დისკურსში – დავანგრიოთ, დავლენოთ, ავბობოქრდეთ, ავლეღდეთ – მაგარია, მაგრამ როცა პრეზიდენტი გახდება, ღელავს და დამანგრეველის დისკურსი შემოაქვს, რაც ამ შემთხვევისათვის უკვე სხვა როლია. ჩვენი დღევანდელი ხელისუფალი ავტორიტეტი იყო, როგორც დამანგრეველი, მაგრამ როგორც მაშენებელი ავტორიტეტი აღარ არის, ამიტომ როცა ასაშენებელი იქნება, ის იტყვის: მოდი, ჯერ დავანგრიოთ, მერე ავაშენოთ.

ქათი – პირადად მე, ხელისუფლებაზე მეტად მაღელვებს ჩვენი საზოგადოება, რო-

ლება არ არის. ცოცხალ ავტორიტეტებზე თუ არის ლაპარაკი, სფეროს გააჩნია. ენათმეცნიერების სფეროში კვლავ ავტორიტეტია თამაზ გამყრელიძე, ჩვენს მეცნიერებაშიც დარჩნენ ავტორიტეტები. თუ ნამდვილია, ყველა მსახიობი ავტორიტეტია, თუ ყალბია და ტელევიზია ან რომელიმე სპონსორი ქმნის მისგან ავტორიტეტს, ეს ყოველთვის მაღიზიანებს. იმ დარგში, რომელიც მაღელვებს – პოეზიასა და მწერლობაში ცოტა შემოგვაკლდა ავტორიტეტები და ეს არის გარკვეული ბედნიერება, რადგან მინდა მწერალი იყოს მწერალი და მისგან არ ველოდებ პასუხს კითხვაზე – რა უნდა ქნას საქართველომ. ამას ვეკითხებოდით მწერალს მაშინ, როცა სახელმწიფო არ გვექონდა, მაგრამ როგორც კი ქვეყანა ჩნდება, პოლიტიკოსებს თავისი წილი მიაქვთ, მწერლებს რჩებათ ის ურყევი

ავტორიტეტი, რომელიც მათ ტალანტზეა დამოკიდებული, შეუძლიათ თქვან, საით უნდა წავიდეს ქვეყანა, მაგრამ ქვეყანა იქით არ წავიდეს, მაგალითად, რუსეთი არ წავიდა იქით, საითაც გენიალური მწერლები ტოლსტოი ან დოსტოევსკი ასწავლიდნენ. ამ დღეებში მოხდა პუტინისა და სოლჟენიცინის შეხვედრა, სოლჟენიცინი არის კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება ებრძოდა KGB-ს, პუტინი არის კაცი, რომელიც KGB-დან მოვიდა ხელისუფლებაში და რვა წელია რუსეთის კაგებიზაციას ეწევა, ისაუბრეს და შესანიშნავად გაუგეს ერთმანეთს, ანუ სოლჟენიცინის ავტორიტეტი განუღდა, როგორც კაცისა, ვინც პოლიტიკა იცის, სამაგიეროდ დარჩა ის ავტორიტეტი, რომელმაც ამხილა კომუნისმი. ის ნაწილი ავტორიტეტისა, რომელიც მასწავლის, როგორ უნდა ვიცხოვროთ, აღარ გვყავს. რაგინდ მაგარი მეცნიერიც უნდა იყოს თამაზ გამყრელიძე, ერთი წამითაც არ მჯერა, რომ შეუძლია თქვას, როგორ ვიმოქმედოთ რთულ ვითარებაში.

ქათი – უმეტეს შემთხვევაში, როცა ადამიანი სხვა სფეროში გადადის, მართლაც ანგრევს იმ ავტორიტეტს, რომელიც თავის სფეროში მოიპოვა. თქვენს პროფესიულ ავტორიტეტს პოლიტიკამ მოუმატა რამე თუ დააკლო?

ლევანი – მე ვარ პროფესიონალი მასწავლებელი, ამიტომ სადაც უნდა ვიყო, ჩემს საქმეს ვაკეთებ, ვცდილობ ვიღაცას რაღაც ვასწავლო, სხვათაშორის, ამაზე ქართული საქმე არ არსებობს.

ქათი – მოდით, ვთქვათ, რა არის საქირო იმისათვის, რომ საზოგადოებამ უფრო კრიტიკულად შეხედოს ავტორიტეტებს, რითაც პირველ რიგში მათ შეცდომებისაგან დაიცავს.

ნატო – როცა ჩვენს ყოფას ვუყურებ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, ხანდახან პესიმიზმი მიპყრობს ხოლმე, მაგრამ კარგად თუ დაუფიქრდები, ხვდები, რომ ეს ყველაფერი ბუნებრივი და ნორმალურია. თუკი რეჟოლუცია შედარებით მოკლე ხანში შეიძლება მოხდეს, ცნობიერების ცვლილებას დრო სჭირდება. ის, რომ ჩვენს საზოგადოებას თვითკრიტიკისა და სხვათა კრიტიკის უნარი ჰქონდეს, მოვლენების სიღრმისეული წვდომისკენ იყოს მიმართული, ჯერჯერობით სასურველი დოზით არ არის, მაგრამ ოდესმე ალბათ ესეც იქნება. დღეს ისე გამოვიდა, რომ ამ საზოგადოებისთვის მხოლოდ პოლიტიკური ავტორიტეტები არსებობენ, პროფესიულ სფეროებში ავტორიტეტები ნაკლებად ან საერთოდ არ აინტერესებთ, მერეც, არ ვიცით, რა ხდება რეგიონებში, გლეხისთვის ვინ არის ავტორიტეტი. ინდივიდებთან კი, ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ ყველა ხომ არ არის ჩამოყალიბებული, ძლიერი მე-თი.



Aus Liebe zum Automobil
სიყვარულით ავტომობილებისადმი

იბერია ბიზნეს ჯგუფი



Volkswagen EOS

„ფოლკსვაგენი“-ს ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში - „კრეს ავტოჰაუსი“
მის.: მარშალ გელოვანის გამზირი, ტელ.:(995 32) 911 911, ფაქსი:(995 32) 523 565

დისკუსია

ნიწო – არ მგონია, რომ ფასეულობები ასე მკვეთრად შეიცვალა, რაც 20 წლის წინ იყო, დაახლოებით იგივე კრიტერიუმებით ზომავს უმრავლესობა, ანუ ჩვენთან ავტორიტეტობის საფუძველი ჯერაც ვერ გახდა ცოდნა, პროფესიონალიზმი, კომპეტენცია და ღირსება, რომელიც კიდევ უფრო მაღალი საფეხურია ჩემთვის. დღევანდელი საზოგადოებისთვის ავტორიტეტია ის, ვინც ახერხებს ძალაუფლების მოპოვებას, ანუ “ყოჩაღობა” უფრო მეტი საფუძველი გახდა ავტორიტეტის მოსაპოვებლად და ავტორიტეტობა დაემსგავსა ყბადაღებულ პოპულარობას, ვინც ტელევიზორში ხშირად გამოჩნდება, ის ხდება ავტორიტეტი, ტელევიზიებშიც ხომ ის ადამიანები მოღვაწეობენ, რომლებიც ამ პრინციპით ირჩევენ

ასეთი სახით ბრძოლა ჩემთვის მიუღებელია, მითუმეტეს, როცა ჩანაცვლება ხდება კიდევ უფრო უარესი კანდიდატურებით, თუკი მეუბნები, რომ ეს არ არის ავტორიტეტი, მაშინ მართლა ღირსეული, რეალური ავტორიტეტი უნდა წარმოადგინო და მაგალითი მისცე საზოგადოებას. ეს თემა უკავშირდება ტელევიზიასაც – მოქალაქეობრივი თვითშეგნება, პასუხისმგებლობა იმისა, რა ძალაუფლება გააჩნია, ჩვენს ტელევიზიებს აბსოლუტურად არა აქვთ და ეს ვლინდება არა მარტო ფსევდო ავტორიტეტების პროპაგანდაში.

ნატო – ჩვენ საზოგადოებას აკლია განათლება და სამოქალაქო ცნობიერება, ეს ცნება 20 წლის წინ რას ნიშნავდა, არ ვიცოდით. ნელ-ნელა ხდება იმის აღქმა და სწავლა, რო-

ლიან მარტივად. მივესალმები იმას, რომ ქურდის ადგილი ციხეშია, მაგრამ ქურდის ავტორიტეტი რაც იყო, დარჩა და ეს ავტორიტეტი შეიძინა, მაგალითად, პარტიულმა ბოსმა, ანუ სხვაგან მოხდა გადანაწილება. სამართალს კვლავ ვერ ვენდობით, ჩანყოფი იხევ ხდება, არადა, ახალი ცხოვრება იქმნება იქ, სადაც იქმნება სამართლიანი სასამართლო. თუ არ გაქვს სამართლიანი სასამართლო, ქურდის ინსტიტუტის ადგილი კვლავ დარჩება, ამიტომ ადამიანთან ბრძოლა კი არ არის მთავარი, მთავარია ბრძოლა ფუნქციასთან. ასევე ხელოვნებაც, ნინოს ვეთანხმები, როდესაც ჩასარეცხებზეა ლაპარაკი, უნდა გაგვაღიზიანოს ტერმინმა და მიდგომამ, თორემ ხელოვნური ავტორიტეტები ისედაც გაუქმდება.

„ჩემგან რომ ისაზღვნენ, ისეთი ხალხის მოკლულია ილია ჭავჭავაძე, რაღვან ის საფრთხეს წარმოადგენდა ქართული საზოგადოებისთვის, საზოგადოებას აღიზიანებს, როცა სიმატლეს ეუბნებიან, დღეს ჩვეთთან საზოგადოება ყველაზე მაღალი ავტორიტეტია, რა სისულაღას უნდა ჩაიღიწოს, უნდა ვაქოთ და ვადიღოთ“.



ავტორიტეტებს.

ქეთი – საზოგადოებაც უპირობოდ იღებს “ტელეავტორიტეტების” მიერ შეთავაზებულ ავტორიტეტებს, არადა, ნორმალურ საზოგადოებაში ასეთ დროს ანტირეკლამის პრინციპი მაინც იმოქმედებდა.

დღეს ბევრი ძველი ავტორიტეტი არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ საზოგადოების გარკვეული წრისგანაც ჩასარეცხთა სიაში აღმოჩნდა, რამდენად მისაღებია ავტორიტეტთა გადაფასების ეს ფორმა.

ნიწო – ამ ტერმინის მოწონება ნამდვილად არ შეიძლება, მაგრამ ვთქვათ ისიც, რომ ნაწილი იმ ე.წ ავტორიტეტებისა რაღაცა სხვა მანქანებით იყვნენ ავტორიტეტები და როცა ამ სტატუსს კარგავენ პროტესტს გამოთქვამენ, მართალი გითხრათ, ვინც მართლა ავტორიტეტია, ის ყველაზე ნაკლებად ჩანს. რა თქმა უნდა, ხელისუფლების მხრიდან

გორ გავაცნობიერო ჩემი პასუხისმგებლობა იმაზე, რაც ხდება. პრეზიდენტი არ მომწონს – ჩემი წილი დავინახო ამაში, საქმე ვაკეთო, შრომა არ დავიშურო. თუ ყველა თავის საქმეს მიხედავს, ასეთი დამოკიდებულება ვირუსივით გავრცელდება, ცნობიერების მეტამორფოზას დრო და დიდი შრომა სჭირდება. ქვას რომ დიდი ტალღა გადაუვლის და უკან წავა, ქვა ისევ ისე რჩება, მაგრამ თუ ქვას ერთი წვეთი სისტემატურად, დიდხანს ეცემა, შეიძლება გაიხვრიტოს.

ქეთი – კრიმინალური ავტორიტეტების ნგრევა სრულიად სამართლიანად დაიწყო ხელისუფლებამ, მაგრამ გაუგებარი დარჩა, რითი ჩანაცვლა ისინი: პოლიციით, პატრულით, თუ რეზერვისტებით.

ლევანი – სამწუხაროდ, მოხდა არა ფუნქციის, არამედ ხალხის გამოცვლა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ფუნქციას სხვა აიღებს ძა-

ტელევიზიას არ აქვს უნარი საზოგადოებას თავს მოახვიოს რამე, მათ დაიჯერეს, რომ ეს შეუძლიათ, თორემ სინამდვილეში ასე არ არის. მთავარი ამ ქვეყანაში იყო, არის და იქნება საზოგადოება. ჩვენი პრობლემა ის არის, რომ საზოგადოება არის გაუნათლებელი, ჩამორჩენილი და ბნელი, ჩვენ ყველა მათთან ერთად, თორემ ჩვენი ელიტა მეტნაკლებად ისეთია, როგორც უნდა იყოს. ევროპის სიტუაციას რომ გადავხედოთ, ყველაზე კარგი, ბრიტანული საზოგადოების მაგალითს გეტყვით, გამოკითხვა აჩვენებს, რომ პირველი ნომერი ავტორიტეტი არის უინსტონ ჩერჩილი. მეორე ნომერი ბიზნესმენია, მეხუთე ადგილზეა შექსპირი, ყველაზე დიდი ბრიტანელი. ბრიტანეთის ნაცია ნორმალური ნაციაა, რომელიც პირველ ადგილზე აყენებს მას, ვისზედაც დამოკიდებულია მისი ცხოვრება, არ იფიქრებს სულიერ ლიდერებსაც, მაგრამ მეორე ადგილზე აყენებს

კონტაქტი

გაყიდვების სამსახური

პეტრიძის ქ. # 25

თბილისი 0179

ტელ: +995 32253434; 553434

ფაქსი: +995 32914645

sales@axis.ge

www.axis.ge



აქსისი

AXIS PALACE SAIRME

აქსის პალასი საირმა

ეს არ არის მხოლოდ ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლი, ეს არის ადგილი, სადაც სიმშვიდე, სილამაზე და ჯანსაღი ცხოვრების წესი ერწყმის ერთმანეთს, სადაც თანამედროვე სტილის, დასვენებისა და საუკეთესო საცხოვრებელი სახლის კომპონენტებია თავმოყრილი. სივრცე, რომელიც აქსისმა კომფორტად აქცია.

დასვენება და სილამაზე

საირმის კურორტის ისტორიულმა ტრადიციებმა საფუძველი ჩაუყარა პროექტის კონცეფციას. უზარმაზარი საცურაო აუზი, დამამედიკებელი SPA ცენტრი, სპორტული მოედანი, სრულად აღჭურვილი ფიტნეს კლუბი და აქსის პალასის სპეციალურად მომზადებული მომსახურე პერსონალი ქმნის კურორტის განცდას.

დისკუსია

ბიზნესს, იცის, რკინიგზა რომ არ გაეყვანათ, პრობლემა იქნებოდა. ჩვენთანაც პირველ ადგილზე პოლიტიკოსია, დავით აღმაშენებელი, ანუ ჩვენი ჩერჩილი, მაგრამ ნახეთ მეორე, მესამე, მეოთხე ადგილი.... სადაა რუსთაველი, ათეულშიც ვერ ხვდება, როგორ, ზურაბ ჟვანია, მიმა სააკაშვილი ათეულში არიან და ილია ჭავჭავაძე ან რუსთაველი პერიფერიაზე იყოს? ვაჟა-ფშაველასა და ბარათაშვილზე ხომ საერთოდ არაა ლაპარაკი. მეორეც, სად არის ქართველი ბიზნესმენი? საქართველოში სანამ არ იქნება ნამდვილი მენარმე, რომელიც ხალხს დაასაქმებს, მანამ ვერც ერთი ტელევიზია ვერ გახდის ავტორიტეტულს, რამდენიც არ უნდა აქონ და ადიდონ ბიზნესმენები. ივანიშვილი რა თქმა უნდა არის ავტორიტეტული ფიგურა, მაგრამ, ეს არის წმინდა ქართული ავტორიტეტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არ

არ იქცევი ისე, როგორც ვთქვით, გრიგოლ ხანძთელი. იმის თქმა მინდა, რომ თუ წარსულის ავტორიტეტები გვანუხებენ, მათგან უნდა გავთავისუფლდეთ. აი, მაგალითად, ივანე ჯავახიშვილი, ხომ იყო დიდი ავტორიტეტი. 900 აზრიდან 800 შეცდომა ხომ დაუშვა, უკვე დადგა დრო, გაზედოთ და ვთქვით ივანე ჯავახიშვილის შეცდომების შესახებ. მაგალითად, მან თქვა, რომ არსებობს იბერიულ-კავკასიური ერთობა, ეს იყო შეცდომა, რომელიც დღეს იცის ყველამ, მაგრამ იმის თქმა, რომ ივანე ჯავახიშვილს შეეშალა, არ შეიძლება, იმიტომ რომ კაცი ხუთლარიანზეა დახატული.

ქატი – მორიგი ანათემა ხომ არ გელოდებათ?

ლაჰანი – უკვე არა, იმიტომ რომ ყველამ იცის – დადგა დრო კრიტიკული გადაზრებისა. ის კაცი ქმნიდა ისტორიას. როცა ქმნი,

ბით. ავტორიტეტების მსხვრევა კი არ არის საჭირო, არამედ საჭიროა ავტორიტეტების გამოკვეთა იმ ნაწილებში, სადაც ისინი ნამდვილად ავტორიტეტები არიან. კრიტიკის გარეშე არ უნდა დარჩეს არც ერთი ავტორიტეტი და შესაბამისად მივალთ იმ აზრამდე, რომ კითხვები უნდა დაისვას ყოველთვის.

ნატო – ეს კრიტიკული დამოკიდებულება და კითხვები მარტო სხვებს კი არა, საკუთარ თავსაც ეხება, ანუ არ უნდა ეშინოდეს ადამიანს საკუთარ თავზე თუ პროფესიულ საქმიანობაში ჯერ თავის თავთან აღიაროს შეცდომები. იშვიათია ადამიანი, ვისაც გამბედაობა ყოფნის საკუთარ თავსაც ისე შეხედოს, როგორც უყურებს სხვას. როცა სულ სხვას აკრიტიკებ, საზოგადოება არ არის მზად იმისთვის, რომ ასეთი კრიტიკა მიიღოს, მაგრამ თუ აჩვენებ, რომ მარტო დიდ ავტო-

„თუ ავტორიტეტი კარგად არ გადანიშნავს, მაშინ გაუმარჯოს ავტორიტეტს და თუ კარგად გადანიშნავს, მაშინ ნახის იმდენი ავტორიტეტი ძირს“.



უნდა იყოს ავტორიტეტი იმ სფეროში, სადაც მოღვაწეობს ანუ ბიზნესში და უნდა ავტორიტეტული იყოს ქველმოქმედებაში, ნახევარი საქართველო მისი ქველმოქმედების ნაყოფს იმკის და კაციშვილმა არ იცის, მისი ბიზნესი რაში მდგომარეობს. საყვედურს ნამდვილად ვერ ვიტყვი. ქველმოქმედება დიდი ტალანტია, მაგრამ ჩვენთვის ის უფრო დიდი ავტორიტეტი იქნებოდა, მისი ბიზნესი რომ ეჩვენებინა და მაგალითი ყოფილიყო, როგორც ბიზნესმენი.

ქატი – რა არის ჩვენი მთავარი პრობლემა ავტორიტეტებთან მიმართებაში, მოვდგეთ და ვამსხვრიოთ, თუ გავანალიზოთ და ისე ვალიაროთ?

ლაჰანი – ჩვენი კომპლექსი იმაში მდგომარეობს, რომ გვყავს ავტორიტეტების მთელი წყება, რომლებიც გვანუხებენ, იმიტომ, რომ ყოველ წუთს შეიძლება გითხრან - შენ

შეცდომასაც უშვებ.

ქატი – თუმცა შეცდომების აღიარება არ ამცირებს ადამიანს. ისტორიის გააზრებისთვის დაფარული შეცდომა უფრო დიდი შეცდომა არაა?

ლაჰანი – რა თქმა უნდა, მაშინ იქნება ნამდვილი ავტორიტეტი, თუ იტყვით, რომ ადამიანი იყო და რალაც ნაწილში შეცდომები ჰქონდა, ნამდვილში დაუჯერებ ავტორიტეტს, მაგრამ თუ ყალბი იქნება, აღარ დაუჯერებ. მაგალითად, ძალიან სერიოზული და დიდი ფილოსოფოსია შოპენჰაუერი, მაგრამ მაგის მიხედვით ქალებთან დამოკიდებულება არ უნდა ავანყოთ – ის თვლიდა, რომ ყველა ქალის ოცნებაა მისი ქმარი მოკვდეს და დარჩენილი ქონება გაანიაგოს. შეიძლება ასეთი რამეც, მაგრამ არა მგონია ეს იყოს ქალების მთავარი ღირსება. მართალი ბრძანდე-

რიტეტებს კი არ აკრიტიკებ, ასევე უყურებ და აღიქვამ საკუთარ თავსაც, მაშინ საზოგადოება დაგიჯერებს და გალიზიანების ნაცვლად თანამოაზრედაც გაგიხდება.

ნინო – ალბათ, უფრო სწორი სიტყვა იქნება არა კრიტიკა, არამედ ანალიზი და თვითანალიზი. როდესაც პროფესიის ანბანს ვსწავლობდი, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საკუთარი თავის აღქმა გარედან, ანუ შეფასება ჩემი ფსიქოფიზიკური აპარატის. თუ არ ვიცი, ჩემი შესაძლებლობებით რისი გამოვლენა შემიძლია, ვერ მოვძებნი იმ ხერხებს, რომელიც მხოლოდ მე შემიძლია ვიხმარო მიზნის მისაღწევად. ანალიზი რასაკვირველია მოიცავს კრიტიკასაც, მაგრამ ჩვენი ყველაზე დიდი მინუსი თვითანალიზის უქონლობა მგონია.

ლაჰანი – თვითანალიზი და მუდმივად



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA



საქართველო ბანკი

ORANGE CARD



უპროცენტო ქაღალდი

ისარგებლეთ უპროცენტო კრედიტით ათვისებული თანხის ყოველთვიურად სრულად დაფარვის შემთხვევაში.

დისკუსია

სწავლების პროცესი აუცილებელია, იმიტომ რომ 30-40 წლის წინ მოპოვებულ ავტორიტეტს განმტკიცება სჭირდება. ჩემთვის იდეალი ასეთი ავტორიტეტებისა არის ძველი ბერძნული საზოგადოება, სადაც, სოფოკლე რომ ვარ, დავენერე ერთი ნაწარმოები და წელს მოვიგე ყველაფერი, გაისად რომ გავალ, შეიძლება ყველაფერი წავაგო, ამიტომ ყოველწლიურად უნდა ვამტკიცო, რომ მაგარი ვარ. "ოიდიპოს მეფის" დამწერს შეეძლო ნამონოლილიყო მხართეძოზე, მაგრამ არა, როცა "ოიდიპოსი" დაწერა და აღიარეს, მეორე წელს რაღაც დაწერა, რომელიც ჩავარდა და თქვეს, ეს ვინ ყოფილა, არაფერი არ ესმის თეატრში, ამის მერე 90-ზე მეტი ტრაგედია დაწერა. რა დაანერინებდა, ეს სისტემა რომ არ ყოფილიყო, ანუ ავტორიტეტობა უნდა იყოს მუდმივი ბრძოლის საგანი, უნდა

ლეს, მეღიშება ხოლმე, მაგრამ ფროიდმა რიგ შემთხვევებში, თუნდაც, მის საყვარელ სიზმრის ანალიზში მაინც დაუშვა შეცდომები.

ჰატი – ავტორიტეტისა და დროის თემა რომ შემოვიტანოთ, მუშაობს თუ არა დრო ავტორიტეტების სასარგებლოდ, რომ დაუფიქრდე, რამდენი ისეთი ავტორიტეტი წაიღო დრომ, ადრე რომ ქუხდა.

ლევანი – დრო წაიღებს წასაღებ ავტორიტეტებს, მაგრამ, არის სხვა ტიპის ავტორიტეტებიც, რომელთაც შეხება ჰქონდათ არა თანამედროვეობასთან, არამედ უკვდავებასთან. დღეს შეიძლება ბავშვმა უფრო მეტი იცოდეს მათემატიკაში, ვიდრე პითაგორამ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ პითაგორა მუდმივად იქნება ავტორიტეტი, იმის თქმა მინდა, რომ თუ ავტორიტეტი უკვდავია, ყოველთვის გამოგვადგება, საზოგადოებას სჭირდება ავტორი-

ალწერილია ევგენი ზამიატინის რომანში "Мы" და ჰაქსლის რომანში "О, Дивный Новый мир" – ესაა სამყარო, სადაც ადამიანებს არ ჰყავთ ავტორიტეტები, სამაგიეროდ აქვთ ნომრები, მაგრამ იქაც კი 503-ე ნომერმა შეიძლება ილიდეროს. ჯულიან მორენომ, სოციომეტრიის შემქმნელმა თქვა, რომ ადამიანი იბადება თავისი წილი არჩევნის პოტენციალით, რომ მას აირჩევენ ანუ ავტორიტეტული ადამიანი იბადება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, ავტორიტეტი რასაც იტყვის, ყველაფერი ჭეშმარიტებაა. მარტივ რამეს გეტყვით, ქართული გრამატიკის კონსტრუქცია თავიდან ბოლომდე მოახდინა აკაკი შანიძემ. პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ ქართული გრამატიკა ითხოვს არა თუ ახალ აკაკი შანიძეს, არამედ, ერთხელ მაინც რაღაცის ნორმალურად განსაზღვრას. აკაკი შანიძე ხომ იყო დიდი ავტორიტეტი. დღეს ვკითხულობ და უბრალოდ ვერ ვიგებ, რას ამბობს, ამისხენით, გვარი რა არის, ქცევა რა არის, ინვერსია რა არის. ვერ განმარტა იმ კაცმა, ერთი კაცი როგორ მოერეოდა ამხელა ენას. დღეს როცა კითხვა ისმის: რატომ არავინ იცის გრამატიკა, იმიტომ რომ არ ვარგა გრამატიკის სახელმძღვანელო. თუ იტყვით, რომ ის იყო ერთადერთი და განუმეორებელი ავტორიტეტი და აქ უნდა გავჩერდეთ, მუდმივად გვექნება პრობლემა. მერეც, მთელი მსოფლიო ხატავს ლათინურ შრიფტს, რომლითაც დაახლოებით 2 მილიარდი ადამიანი სარგებლობს, ქართული შრიფტი XIX – XX საუკუნეში სამმა კაცმა დახატა. გეკითხებით, ქართული შრიფტი ივარგებს? რა თქმა უნდა არა. როგორც კი ამას იტყვი, იმ წუთში ავტორიტეტები დგებიან - როგორ თუ არ ვარგა, ჩვენი ყველას ჯობია. როგორ ჯობია, როცა შენი ბოლო შრიფტი დაიხატა 50 წლის წინ, ახლა რომ რაღაცას ჯღაბნიან, უკაცრავად, მაგრამ შრიფტთან არაფერი აქვს საერთო. შესაბამისად, სანამ ასეთი ავტორიტეტები უკრიტიკოდ არიან დარჩენილები, სანამ წარსული არ არის გააზრებული, მანამ ავტორიტეტების შექმნა მოხდება იგივე წესით. როცა კრიტიკულ, ანალიტიკურ აზროვნებას დაიწყებ, იმასაც აღმოაჩენ, რომ ზრდის პოტენციალი გაქვს და გუშინდელი დღით კმაყოფილი არა ხარ, ამ შემთხვევაში ამთავრებ მთავარ ქართულ საქმიანობას - ტრახახს და იწყებ ახალ ქართულ საქმიანობას - საკუთარი თავის გაძლიერებას, რომელსაც მუდმივად აკეთებდა ილია ჭავჭავაძე, ამიტომ მიმაჩნია, რომ ის დიდი კაცი იყო.

ნატო – თუ საზოგადოებაც ჩაებმება თვითგანვითარების პროცესში, გარკვეულად ყველაფერი შესაბამისობაში მოვა და ის ავტორიტეტები, რომელიც თუნდაც პოლიტიკურ სფეროში გვყავს, ძალიან მალე აღარ გვეყოლება.

ჰატი – წელან ვთქვით, რომ სახელმწიფომ

„როსა სულ სხვას აკრიტიკებ, საზოგადოება არ არის მზად იმისთვის, რომ ასეთი კრიტიკა მიიღოს, მაგრამ თუ აჩვენებ, რომ მარტო დიდ ავტორიტეტებს კი არ აკრიტიკებ, ასევე უყურებ და აღიქვამ საკუთარ თავსაც, მაშინ საზოგადოება დაბიჯდება და ბაღიჯიანების ნაცვლად თანამოაზრედებს ბაგინდება“.



იპოვებდე ამ ავტორიტეტს, მუდმივად უნდა მოწმდებოდე, მუდმივად უნდა გიტარებდნენ გამოცდას, მაშინ იქცევი მსოფლიო ავტორიტეტად. რაც ბრძანეთ თვითანალიზთან დაკავშირებით, ეს არის ღრმა აზრი – დამნაშავეებს სხვაგან რომ ვეძებთ, პირველ რიგში ჩვენ ვართ დამნაშავეები, იმიტომ რომ არ ვენევით თვითგანვითარებას, თუ ადამიანი აღარ სწავლობს, დამთავრებულია მისი საქმეც და მისი ავტორიტეტობაც. ძირითადი პრობლემა ჩვენი საზოგადოებისა არის სურვილი – დაამთავროს სწავლა, არადა, სწავლა უნდა გაგრძელდეს, უფრო სწორედ, უნდა დაიწყოს. მაშინ გაგვიჩნდება კითხვებიც: აი, იმ დღემა ავტორიტეტმა ასე რომ თქვა, ეს მართლა ასეა? მაგალითად, უზარმაზარი ავტორიტეტია ფროიდი, ვინც მას ებრძვის და ამბობს, რომ ფროიდი თავიდან ბოლომდე სისულე-

ტეტი, ოღონდ ის ხელოვნურად არ იქმნება.

ნილო – ავტორიტეტი არსებობს კონკრეტულ დროსა და სივრცეში და თანამედროვეობისთვის მისი როლი განსაზღვრულია, მაგრამ ავტორიტეტი კაცობრიობის ისტორიისგან მოწყვეტილად არ უნდა განვიხილოთ, რადგან მას თავისი კონკრეტული ადგილი აქვს იმის გათვალისწინებით, მანამდე რა ხდებოდა მის სამოღვაწეო სფეროში და თავად მან რა საფეხური გაიარა, რა ნაბიჯები გადადგა წინ, ანუ როგორ ზის უფრო ვრცელ სურათში დეტალად. ამ კრიტერიუმითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ალბათ ავტორიტეტის შეფასებისას.

ჰატი – უავტორიტეტო საზოგადოება რომ წარმოვიდგინოთ, გაამართლებს ასეთი საზოგადოება?

ლევანი – უავტორიტეტო საზოგადოება

Tbilisi · G. Tabidze Street 3/5 · (032) 93 30 05 · www.bally.com

BALLY

SINCE 1851



დისკუსია

უკვე დაიწყო ახალი ავტორიტეტების შექმნის პროცესი, ამის პარალელურად ყალიბდება გმირის გამომყვანი და დამდგენი საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც.

ლაჰანი – სახელმწიფოს რომ ეს სურვილი აქვს, უკვე შევატყვეთ, ასეთი კლიბიც კი გაკეთდა: მოდის კაცი და ქვევით ანერია - ბანკირი, მოდის ქალი და ანერია პედაგოგი, მოდის ახალგაზრდა და ანერია პატრიოტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკირი და პედაგოგი არ შეიძლება იყოს პატრიოტი, ეს ჩვეულებრივი ტექნოლოგიური შეცდომაა, თორემ ყველამ იცის, რომ გმირი კეთდება. ისტორიული და მითოლოგიური გმირებიც კი გაკეთებულია. დიდი გმირი არ იყო აქილეუსი, არამედ, დიდ პოეტს, ჰომეროსს შეხვდა – ამბობს უზარმაზარი ავტორიტეტი და ეს ღრმა აზრია, რადგან გმირის, მითის ქმნას

ცმა რაც გააკეთა, სხვისი გაზრდილი შვილიც იგვეს აკეთებდაო, სწორედ ეს არის თვითანალიზი, რაც ჩემთვის გმირობის ტოლფასია.

ლაჰანი – შემიძლია შემოგეხმინათ და გითხრათ, ვინ გადარჩება ციხეში, ვინ არ გადაგვარდება და სახეს არ დაკარგავს. ციხიდან სულიერად ძლიერი გამოდის სწორედ ის, ვისაც ჰგონია, რომ რა დღეშიცაა ეს არის სწორი და სამართლიანი. შეიძლება უსამართლოდ დაგაპატიმრონ, მაგრამ თუ შენს თავში იბოვი იმდენ ცოდვას, რისთვისაც ასეთი მდგომარეობა დაიმსახურე, აუცილებლად გადარჩები. ეს არის უბრალო ფორმულაში ჩასმული ზნეობრივი გმირობა, რომელიც მდგომარეობს სიცოცხლისა და არა სიკვდილის დამკვიდრებაში. ციხის ერთ ამბავსაც გავიხსენებ, იუბილარი ვარ და ხალხი მყავს დაპატიუებული ჩაიზე და 35 კაპიკიან “რიბნი პაშტეტზე”, შენი

თავისი გენოციდის დღეს, ქართველები კი 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს. სომხები ამბობდნენ - ძალიან მაგრები ვიქნებოდით, მილიონნახევარი კაცი რომ არ ამოეფუჟათ, ანუ სხვა ტკივილზე ლაპარაკობდნენ, ხოლო ქართველები, ეს უპასუხისმგებლო გიჟვრაცუები ამბობდნენ - ჩვენი მომავალი წინ არის. ამ თვალსაზრისით გმირული ნაწილი უპასუხისმგებლობასაც ნიშნავს, მაგარი გმირები მაშინ ვიქნებით, თუ პასუხისმგებლობის სწავლასაც შევძლებთ. ქართველებს არ უყვართ ტირილი, მათ უყვართ სიცილი. ტირილი ადამიანური თვისებაა, სიცილი – ღვთაებრივი, ამიტომ არ გვჭირდება ზედმეტი გმირები, თითოეულ ჩვენგანში ისედაც ზის გმირი.

ქაში – რეზიუმეს სახით ვთქვათ, რა ლოგიკურ კავშირს ხედავთ ამ ორ მიმართებას შორის: ძირს ავტორიტეტი! გაუმარჯოს ავტორიტეტს!

ნატო – თუ ავტორიტეტი კერპად არ გადაიქცევა, მაშინ გაუმარჯოს ავტორიტეტს და თუ კერპად გადაიქცევა, მაშინ ნებისმიერი ავტორიტეტი ძირს.

ლაჰანი – ავტორიტეტობა მძიმე ტვირთია, როცა ოიდიპოსთან მივიდნენ და უთხრეს, შენ ხომ გმირი ხარ, სფინქსისგან გადაგვარჩინე, ახლაც ჩაივინე გმირობაო და შეკვეთილი გმირობა მოსთხოვეს, რითაც დამთავრდა ეს ამბავი, ყველამ იცის. ავტორიტეტები ხშირად უძღურნი არიან გამონგვევს უპასუხონ, რადგან არ არსებობს მყარი, 100%-იანი ავტორიტეტი, ამიტომ ავტორიტეტებს “კი” და “არა” ერთდროულად, ეს იმას ნიშნავს, რომ მისგან კერპს ვაცალკევებთ და რაც ნამდვილია, იმას ვიღებთ, თუმცა, იმის მომხრეც არა ვარ, ვილაცამ ჭეშმარიტების პრივატიზაცია მოახდინოს და როცა ავტორიტეტი ამბობს, რომ ორჯერ ორი ოთხია, მან იძახოს, არა, ოთხი კი არა, ხუთია.

ნიწო – ყველაზე ადამიანური ადამიანთა შორის - ასე შემიძლია დავახსიანო ავტორიტეტი, რომლის გარეშეც ეს სამყარო ჩემთვის სამყარო არ იქნებოდა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ცოცხალია ის, რაც ვითარდება, კრიტიკული აზროვნება აუცილებლად მიმაჩნია. თუ სიცილის უნარი ადამიანისთვის მთავარია, გამოდის, რომ თვითირონია ასევე აუცილებელი ყოფილა, ამიტომ შეგვიძლია ძალზე მშვიდად თვითანალიზიც გავაკეთოთ და ჩვენს თავზეც ვიციროთ, ამით მხოლოდ საკუთარი თავისა და საერთო ჯამში საზოგადოების განვითარებას შევუწყობთ ხელს.

„ჩემთვის ავტორიტეტია ყველა ის მწერალი, ვინც საშუალო აღმოგვიჩინა, ყველა ხალხიანი, პოლიტიკოსი, მეცნიერი, ვისთან ურთიერთობას ახალი გზის გახსნის იმპულსი ყოფილა. თუმცა ხალხურხეხავი ავტორიტეტი – არასანამან თქვა, ეს ასეა! – არ არსებობს“.



სჭირდება დიდი ხალხი, ესქილე ან ჰომეროსი. როდესაც გეუბნებიან: ნახე, რა მაგარია, კაცს კი სცემა და აგინა, მაგრამ მერე ბოდიში მოუხადა, ჰგონიათ, რომ გმირს ქმნიან ასეთი კაცისაგან. გმირის კეთებაში დასაძრახი არაფერია, მაგრამ ამას სჭირდება გააზრება, გემოვნება და რაც მთავარია, ტალანტი.

ნატო – დიდი ხანია ვმუშაობ აფხაზეთიდან დევნილ ადამიანებთან, რომელთაც წამება გამოიარეს და ისინი ნამდვილი გმირები არიან ჩემთვის. ერთი ქალბატონი მიყვებოდა, როგორ აწამეს, როცა ვკითხე, როგორ გადაიტანე-მეთქი, მითხრა, სანამ ტყვედ ჩავვარდებოდი, ვუყურე ქართველები როგორ აწამებდნენ ჩემს მეზობელ აფხაზებს და ვერაფრით დავეხმარე, რადგან შემეშინდა, როცა მე მანამებდნენ, დამსახურებულად მივიღე ეს წამება, იმიტომ რომ ჩემმა გაზრდილმა შვილმა, ანუ ქართველმა კა-

საჭმელი რომ სხვისთვის გაიმეტო ციხეში ესეც დიდი გმირობაა, თამადად მყავს მიხეილ პალიაკოვი, უგანათლებულესი ადამიანი და პასტერნაკის დიდი ექსპერტი, ციხეში სადღეგრძელო ისმევა ძალიან სწრაფად, რადგან ჩაი მალე ცივდება. გამოვიდა მიხეილი და თქვა: “Армяне, народ трагический”. რაფიკ პაპაიანი და გენრის ალთუნიანი ჭკუაზე არ არიან სიხარულით, რადგან ითქვა მთავარი სიტყვა და ქართველების დაფინანსებულ სუფრაზე შეაქეს სომხები. ამას როგორ გადაიტანდა ჩემი მეგობარი ჯონი ლაშქარაშვილი, იმწუთას დასვა კითხვა: А грузины? მიხეილმა ჩვენი წესები და ქართული სუფრა ბრწყინვალედ იცოდა და დაარტყა თერთმეტმეტრიანი პენალი – А грузины, თქვა მან, Народ героический. განსხვავება იმაში დაინახა, რომ ზონაში სომხები აღნიშნავდნენ 22 აპრილს,

დისკუსია გაიმართა ლიტერატურულ კაფე „ქარავანში“

cafe near opera



cafe KALA DUKHAN "khlebni" moedanze ACID BAR *cafe near opera* ★ **K&B** ★ **Moulin Electrique** coming soon **G.S.S.**

კაფე კალა: ერეკლეს ქ. 2, 8/10 ტელ: 899 799 737. დუქანი "ხლებნი" მოედანზე: იერუსალიმის ქ. 1. ტელ: 899 674 488. ეისიდ ბარი: რ. ლაღიძის ქ. 2. ტელ: 899 101 238.
ეისიდ ბარი 2: ჭავჭავაძის გამზ. 16 ტელ: 899 411 980. კაფე ოპერასთან: რ. ლაღიძის ქ. 2. ტელ: 899 681 166. კაფე კგბ: ერეკლეს ქ. 2, 8/10 ტელ: 822 985 013, 899 799 737.
მულენ ელექტრიკი: შარდენის ქ. 9

დაცვის სამსახურს უზრუნველყოფს ჯ.ს.ს. (ჯენერალ სექიურიტი სისტემ) "შეფნი ბიზნესის და პირადი დაცვა"
ლაღო ასათიანის ქ. 25. ტელ: 822 920 807. მობ: 899 480 003. მობ: 893 958 436

სამამალაი ფიქრები ინდოეთში

ავტორი: მელიკო წულაია
ფოტო: მელიკო წულაია, გუბა კოტატიშვილი





**„ვარ მხოლოდ დასაწყისში,
შემდეგ რაღაც იწყება და მე აღარ ვარ.“**

ნიუინსკი

გუშინდელ დღესავით მასსოვს ჩემი პირველი ვიზიტი ინდოეთში: გაი-ლო თვითმფრინავის კარი და ტრაპზე გადადგმული პირველივე ნაბიჯი თავბრუსმომხვევი აღმოჩნდა. არასოდეს დამავიწყდება ის სუნი, ორთქლი, თუ ტალღა, რომელმაც რაღაც ძალიან ძველი, ევოლუციის რომელიღაც საფეხურზე დაკონსერვებული და ღრმად ქვეცნობიერში დალექილი შეგრძნება ისევ ნაცნობი და ახლობელი გახადა. მას შემდეგ უკვე შვიდი წელი გავიდა და მაინც, დელის აეროპორტში ყოველ წელს იგივე შეგრძნება მეუფლება. მერე ქალაქისაკენ მიმავალი გზა იწყება. რიქმის მძლოლი თავაზიანი ღიმილით გიყურებს და უდარდელი ღილით მიგაქროლებს “პახარგანჯისაკენ”. “მეინ ბაზარ, აჯაი გესტ ჰაუზ”. ეუბნები მძლოლს და მისთვის უკვე გასაგებია, რომ ინდოეთში ახალი კაცი არა ხარ. “პახარგანჯზე” მისულს ერთი სული გაქვს, ბარგი სასტუმროში დაყარო და ნაცნობ ადგილებს მიაშურო: სად ყავას დალე, სად წიგნების მაღაზიაში შეივლი, მერე ნაცნობ გამყიდველს მიაკითხავ საჭირო ნივთების შესაძენად. იქვე, ასანონ აპარტში ერთ რუპიას (რუპია ინდური ფულის ერთეულია), ჩააგდებ, ინდოეთში ჩასვლის დღეს საკუთარ წონას დააფიქსირებ და ისიც იცი, რომ წამოსვლის დღეს იმავეს გააკეთებ და შენი წონა 7-8 კილოგრამით ნაკლები იქნება. მოკლედ, ნამდვილი ცხოვრება იწყება, ის ცხოვრება, სადაც “მე” და წარსული მხოლოდ დასაწყისშია და შემდეგ

იწყება რაღაც, სადაც “მე”-ს ადგილი უკვე აღარ არის. იწყება თავგადასავლებით, მოგზაურობებით, ახალი ნაცნობებით, ძველ მეგობრებთან შეხვედრებით, საყვარელი თუ ჯერაც უცნობი ადგილების მონახულებით და რაც მთავარია, თავისუფლების უჩვეულო განცდით, როცა ჰაერი იმდენია, რომ ფილტვები ძლივს გყოფნის ჩასასუნთქად.

მთელ დედამიწაზე რომ შეიცვალოს სიცოცხლის ფორმა, ალბათ “პახარგანჯზე” არაფერი შეიცვლება. ახლის და ძველის ასეთ ნახავს ვერსად შეხვდებით. ყველაფერი ერთმანეთში ირევა: ადამიანი, ძროხა (ძროხა დელიში ისევე თავისუფლედ გადაადგილდება, როგორც ადამიანი). ღმერთები, მუსიკა, სუნი. საოცარი ატმოსფერო იქმნება და მუდმივად გრძნობ მსუბუქ თავბრუსხვევას. თითქოს უხილავი ძალა გმართავს და ნელ-ნელა გიმორჩილებს. ინდოეთში ჩასვლის დღეს გამაფრთხილებს, “თუ იქით არ დაეჯახე ვინმეს, აქეთ არავინ დაგეჯახებაო”. დიდხანს მიჭირდა ამის დაჯერება, მაგრამ თანდათანობით მივხვდი, რომ ამ მოჩვენებით ქაოსში იდეალური წესრიგია. თუ ქალაქის პულსაციას არ დამემორჩილები, სჯობს მეორე დღესვე დაიხურო ქუდი და გაეცალო იქაურობას.

ადამიანები ნელა დადიან, აუჩქარებლად. თითქოს დრო გაჩერდა და საათი მხოლოდ შენთვის აგრძელებს მუშაობას. დელი ის ქალაქია, რომელიც ან მიგიღებს და თავს შეგაყვარებს, ანდაც, საერთოდაც უნდა დაივიწყო მისი არსებობა. არსებობს ინდური გამოთქმა; „ახლა დელი შორია“, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ შეიძლება, იყო დელიში, მაგრამ ვერც კი მიხვდი ახლოს მასთან, სწორედ აქედან იწყება ინდოეთის სიყვარულიც. თუკი შესძელი და გახსენი გული ამ სიყვარულისთვის, მაშინ შენს



თვალწინ გადაიშლება ის უთვალავი საიდუმლო ცოდნა და სიმდიდრე, რომელიც საუკუნეების მანძილზე ინდურ ვედებსა და მანტრებში ინახება (ვედა, მანტრა იგივე ლოცვაა, საიდუმლო წერილია, სანსკრიტზე), სწორედ ისე, როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე, ერთი ჯადოსნური სიტყვა და მთელი ინდოეთი შენს თვალწინ აღმოჩნდება. დრო კი იმდენი გაქვს, რომ არც კი იცი, რა უყო. თითქოს სიზმარი და რეალობა ერთმანეთში არეულა და კაეშანს მისცემიხარ. თანდათანობით გტოვებს შფოთვა და ასე ნელ-ნელა შემოდის შენში აზია უზარმაზარ, ცხელ, გავარვარებულ მზის დისკოსთან ერთად.

27.04.2007. გოა. ანჯუნა.

„შენ შეგიძლია ლექსი დაყო სიტყვებად, მაგრამ, შემდეგ ეს სიტყვები არაფერს ნიშნავს. და როცა არის მთელი, ეს მეტია, ვიდრე სიტყვები.“

რაჯნეში

ვზივარ ცარიელ ფურცელთან და ყველა მხრიდან ათასი ფიქრი მოდის. თითქოს უხილავი ძაფები მიჭირავს ხელში და ვერ ამირჩევია, რომელს გავყვე, რომელი მიმიყვანს სასურველ მიზნამდე. ეს ცარიელი ფურცელი დელის მატარებლების სადგურს მაგონებს. მატარებლები უამრავი მიმართულებით გადიან. ადამიანების რაოდენობა ყველა შენს წარმოდგენას აღემატება და უცბად ხვდება, რა მასშტაბებთან გაქვს საქმე. თუ ზუსტად არ იცი, რა გინდა, ღმერთმა იცის, სად ამოყოფ თავს. წესიერ

პასუხსაც არავინ გაღიროებს. საკუთარ თავზე პასუხისმგებელი მხოლოდ შენ ხარ და მეტი არავინ. კრიტიკულ სიტუაციაში მოხვედრილს, რამდენჯერ მინატრია, რომ ეს მარტივი რამ ბავშვობაში ესწავლებინა ვინმეს ჩემთვის. უსაფრთხოების გარანტია მხოლოდ შენი სტაბილურობაა. და კიდევ, დროის შეგრძნებაა. დრო ინდოეთში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასეთი გამოთქმაც კი არსებობს – „ინდიან თაიმ“, და თუკი, მარადიულობამ ვერაფერი დააკლო ამ კანონს, შენ ერთი ნამდვილად ვერაფერს შეცვლი. ზედმეტი მოძრაობები შეიძლება დამლუბველი აღმოჩნდეს. აქ იწყებს მუშაობას მთელი შენი გამოცდილება, ალლო და ბედნიერი ხარ, როცა ამ აურზაურში საკუთარ ადგილს პოულობ.

ვისაც არ უმგზავრია ინდური მატარებლით, მას არ უნახავს ინდოეთი. გაგიგონიათ სადმე ყრუ-მუნჯი მღეროდეს, დამიჯერეთ, აქ ასეთი რამეც შესაძლებელია. “ჩაი-ჩაია, ჩაია” სიმღერასავით ჩაგესმის ყურში დამტარებლის ხმა. წყალი სულ სხვა მნიშვნელობას იძენს შენს ცხოვრებაში. მატარებელი მოძრაობს ნელა, მაგრამ დაჟინებით, თითქოს ლიანდაგებს არა აქვს ბოლო. წარამარა იხედები საათზე, რადგან ინდოეთში მანძილს კილომეტრებით კი არა, დროით ზომავენ. სიცხე ნელ-ნელა აუტანელი ხდება. ყოველ გაჩერებაზე ჩადიხარ და არც კი იცი, მოასწრებ თუ არა უკან ამოსვლას. მთავარია, პასპორტი და ფული მუდამ თან გქონდეს, თორემ დაილუბები.

ხანდახან გულში ფიქრობ, ჯობდა, საერთოდაც არ აგეტეხა ეს მოგზაურობა, მაგრამ როგორც კი მატარებლის ფანჯარაში გაიხედავ, ეს აზრი უმალ გმორდება. ფილმის კადრებით ცვლიან ერთმანეთს უკიდევანო, ზანტი მდინარეები, სწრაფი ჩანჩქერები, პურისა და ბრინჯის



ყანები, მზის ჩასვლები და ამოსვლები, პალმები და ბანანის ხეები, ფარ-შევანგები და მაიმუნები, პატარ-პატარა სოფლები და დიდი ქალაქები. და კიდევ ფერები, ათასნაირი, თითქოს შენი თვალები ათასჯერ მეტი ინტენსივობით იწყებს მუშაობას და ტვინიც საოცარი სისწრაფით აღიქვამს დანახულს. „დიდი ხანია, ოცნებად მქონდა – ნავსულიყავი სადმე რკინიგზით. აი, ჩამოვხტი მატარებლიდან და არც კი ვიცი, საით წავიდე.“ მახსენდება იაპონელი პოეტის ისიკავა ტაკიბოკუს ტანკა. მოლოდინი თანდათან აუტანელი ხდება. მატარებელი დაფინებით მიიწევს სამხრეთისაკენ და უცებ ეჭვი გეპარება, რომ დედამინა მრგვალია. ხომ შეიძლება, სამ სპილოს, ან სულაც სამ ვეშაპს უჭირავს ჩვენი ცისფერი პლანეტა, სწორედ ისე, როგორც ეს ჩვენს წინაპრებს ეგონათ, მაგრამ არა, ეს ხომ წარსულში იყო. რა არის წარსული და მომავალი, შენ ხარ „აქ ეხლა“ და დამთავრდა. სინამდვილე იქ იწყება, სადაც მის აღქმას იწყებ. ფიქრები უსასრულოდ ირრევიან თავში და სასიამოვნოდ დალილს შეგიძლია, მშვიდად დაიძინო – გამოღვიძებულს იგივე სურათი დაგხვდება. ასე ნელ-ნელა ეძლევი სიზმრის ტკბილ ზმანებას. მატარებელი კი აგრძელებს თავის უსასრულო გზას სამხრეთისაკენ.

28. 04. 2007. ანჯუნა. გოა.

**“ისე, ტყუილად, არაფრის გამო
მინდა გავიქცე ამ მინდორ-ველზე.
რბილად დაგებულ მოლზე ვირბინო,
სანამ სული არ შემიგუბდება!”**

ისიკავა ტაკი ბოკუ

„დიდ სილამაზეს სიტყვა რად უნდა“, წერს აღმოსავლელი პოეტი, მაგრამ ადამიანი მაინც მიდრეკილია სიტყვებით გამოხატოს თვალით ნანახი და გულით აღქმული. ცხოვრებაში არსებობს განსაკუთრებული წუთები, რომლებიც აღარ განმეორდება. სწორედ ასეთი მომენტების აღბეჭდვის სურვილი ბადებს შემოქმედებით იმპულსს, რის გარასეც წარმოუდგენელია მოაზროვნე ადამიანის არსებობა. სწორედ ამ იმპულსმა მოგვიტანა ცივილიზაცია იმ ფორმით, რომელიც დღეს გვაქვს. სწორედ ამ იმპულსის გამო ჩამოდის ინდოეთში ათასობით მაძიებელი უხსოვარი დროიდან. ჰი-მალაებში, ერთ-ერთ პატარა სოფელში, ინტერნეტ ოფისში შესული, სახტად დაფრჩი, როდესაც კედელზე “ვეფხისტყაოსნის” ზიჩისეული ილუსტრაციის რეპროდუქცია დავინახე, მერე გაცოცხდა თანდათან სიამაყის გრძნობამ შეცვალა, რადგანაც, უცხად აღმოვაჩინე, რომ ჩვენი წინაპრები სულ სხვა გეოგრაფიული მარშრუტებით მოძრაობდნენ და მათი წარმოდგენაც უფრო ახლოს იყო აზიურ ხედვასთან. თვითონ წესი და ადათი, ცხოვრების მოწყობის ფორმა, რაც ყველაზე კარგად მუშაობდა და გამოყენებით ხელოვნებაში გამოიხატება, იმდენად ახლობელი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ ცნება ინდო-ევროპელი აბსოლუტურად გავითავისე.

ფესვები იმდენად ღრმად მიდის, რომ მათი მოჭრა შეუძლებელია. საერთოდ, საჭიროა კი ფესვების მოჭრა? როგორ გაიხაროს ახალმა ტოტმა, თუკი ფესვები არ არსებობს? რატომ უნდა იყო ნახევარი, როდესაც არსებობს გამთლიანების შესაძლებლობა?

რამდენიმე წლის წინ დარამსალაში აღმოვჩნდი, ცნობისათვის, ეს მხარე ინდური ტიბეტია და დალაი-ლამას რეზიდენციაც სწორედ აქ არის.



ის კი არა, იმდენად გამომართლა, რომ მასთან საჯარო აუდიენციაზეც მოვხვდი. ისე, უბრალოდ, ყოველგვარი დაგეგმის გარეშე. თურმე, ნუ იტყვი, ტიბეტელები წლების განმავლობაში ელოდებიან ასეთ შემთხვევას. მთელი თვე შეეყოვნდით ამ მართლაც საოცარი სილამაზის და ენერგეტიკის მატარებელ ადგილას.

ერთ-ერთ საღამოს ჩანჩქერის სათავისკენ გავისეირნეთ და გზად პატარა გამოქვაბული შეგვხვდა. პატარა-მეთქი ვამბობ, თორემ შიგნით იმდენი რამ დაგვხვდა, მთელ წიგნსაც ეყოფოდა. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და გამოქვაბულის კედლები მთლიანად დაფარული იყო პატარ-პატარა წარწერებით და ნახატებით. ალბათ, მსოფლიოში არსებულ ყველა დამწერლობას ნახავდით. აკლდა მხოლოდ ქართული. ჩვენც ცოტა ხანს ვიფიქრეთ, იქვე ოთახის კუთხეში მოთავსებული საღებავები გავაზავეთ და ქართული წარწერაც შევმატეთ ამ უჩვეულო გამოფენას. “ვერ დაიჭირავს სიკვდილსა, გზა ვინრო ვერცა კლდოვანი”, დიას, ასეც არის და ამ სიბრძნეს ეხლა ჰიმალაების მთებშიც წაიკითხავს ჩვენებური კაცი და მიხვდება, რომ მანამდე აქ სხვა ქართველებიც ყოფილან, ხოლო მისთვის, ვინც არ იცის ქართული (და ეს იქნება თითქმის ყველა არაქართველი), შოთას ფრაზა ულამაზეს ჩუქურთმად დარჩება.

ინდოეთი დღემდე ქართველების წარმოდგენაში მხოლოდ ოცნებასთან არის ასოცირებული. არადა, სინამდვილეში ეს უზარმაზარი ქვეყანაა, მდიდარი ბუნებით, მზარდი ეკონომიკური პოტენციალით, საესებით რეალური და თანამედროვე. აქ ყველა ეროვნების ადამიანი ჩამოდის სამოგზაუროდ, და ვისაც ერთხელ მაინც დაუდგამს ფეხი ამ დალოცვილ

მინაზე, ყველას უნდა უკან დაბრუნება. ეს რაღაც დაავადებასავითაა. ინდოეთიდან წამოსვლის წინ გიჩნდება აუხსნელი გრძობა, თითქოს, ვერ მოასწარი რაღაც ყველაზე მთავარის ნახვა, თითქოს სულის რომელიღაც ნაწილი გრჩება, რომელიც მუდმივად გაბრუნებს უკან. გამოთქმაც კი არსებობს: “ინდოეთით მონამლული”. და ეს არც არის გასაკვირი. განა ბევრი დარჩა დედამინაზე ისეთი ადგილი, სადაც ისე უბრალოდ შეგიძლია მოიკიდო ზურგჩანთა მხრებზე და “არხეინად” ნახვიდე სამოგზაუროდ, ყოველგვარი წინასწარი გეგმების გარეშე? არხეინად-მეთქი, რომ ვამბობ, იმას კი არ ნიშნავს, ფეხი-ფეხზე გადაიდო და არაფერი აკეთო (თუმცა ზოგიერთები ამასაც ახერხებენ). პირიქით, საქმე იმდენია, საიდან დაიწყო არ იცი, მაგრამ თვით მოგზაურობის კონცეფცია იმდენად მიმზიდველია და მრავლისმომცველი, იმდენად ახლოს მიყავხარ საკუთარ თავთან, რომ, როგორც იტყვიან, “ჩიტი ბრდღვანად ღირს”. თუ საზოგადოებრივი სტერეოტიპებისგან თავის დაღწევას მოახერხებ და მსოფლიოს მოგზაურთა უზარმაზარ არმიას შეუერთდები, ეს არც თუ ისე “უსარგებლო” და “უინტერესო” ნიშან იქცევა შენს ცხოვრებაში. ძველად, უხსოვარ დროში სწორედ ესე დადიოდნენ დერვიშები ინდოეთში სავაჭრო ქარავნებთან ერთად. ვაჭრები და მაძიებლები ხომ ყველა დროში საუკეთესო თანამგზავრები იყვნენ. სწორედ ისინი იკვლევდნენ გზას ახალ-ახალი ადგილებისაკენ და უზარმაზარ გამოცდილებას აგროვებდნენ, როგორც მატერიალურ, ისე სულიერ პლასტზე, რადგანაც არ არსებობს სულიერება მატერიის გარეშე, რადგანაც სხეული და სული განუყოფელია ერთმანეთისგან. იპოვო ზღვარი, ოქროს კვეთა ამ ორ



მდგომარეობას შორის, კარგი დასაწყისია, რომ საკუთარი არსი და პიროვნება ერთმანეთს დაუახლოვო და გამოლიანდე. ალბათ, ასეც არის ადამიანის არსებობის მთავარი მიზანი და მამოძრავებელი ძალა. ასეთია ევოლუციის პროცესის ურყევი კანონი.

28. 04. 2007. ანჯუნა. გოა.

**“სადღაც, კუნძულზე,
აღმოსავლეთ ოკეანეში
წყლის პირას ვზივარ თვალცრემლიანი
და პანანინა კიბორჩხალას
ვეთამაშები”**

ისიკავა ტაკი ბოკუ

მთვარის გავსებას ორი დღე უკლია. სიცხე თანდათან აუტანელი ხდება. უკვე 31 აპრილია. ახლოვდება “მუნსუნი”, წვიმების სეზონი. ყოველ დღე ვილაცას ვაცილებთ. კარგი იქნება, ვინმე მაინც დარჩეს, ვინც ჩვენ გაგვაცილებს. ბუნება გააქტიურდა, როგორც არასდროს. გოაში დაღლილობა იგრძნობა. სეზონის ბოლოა და ყველა საოცრად მოშვებულია. გუშინ არამბულში ვიყავით და მეგობრებს დავემშვიდობეთ, თუმცა, შეიძლება ნეპალში ისევ შევხვდეთ ერთმანეთს. “ჯორჯია ფორევერ” – ასე გვემშვიდობებთან ჩვენი მოსკოველი მეგობრები და ამ ფრაზაში დევს მათი სიყვარული და მონატრება საქართველოს მიმართ. ჩვენ ვიპოვეთ ახალი მიწა მეგობრობისთვის, ურთიერთობისთვის.

ჩვენ დავეკრივართ მოტოციკლებით სანაპიროდან სანაპიროზე, ვბანობთ არაბეთის ზღვაში, ერთად ვაკვირდებით მზის დისკოს ბრუნვას დედამიწის გარშემო. ჰორიზონტი ისე შორსაა, თვალი ძლივს სწვდება. ხანდახან გონება ვერც კი ასწრებს ამდენი სიღამაზის დატევას და გრძნობ, რომ არსებობს ზღვარი, რომლის იქითაც ვიბრაცია იმდენად სწრაფია, რომ გეშინია და თვალებს ხუჭავ, თუმცა, თვალედახუჭულიც იმავე მდგომარეობაში ხვდები. ჩვენ ჩვენი დროის “მეკობრეები” ვართ. გოა ხომ პორტუგალიელმა მეკობრეებმა აღმოაჩინეს და დაასახლეს. ჩვენც ასე, ჩვენი თავიკვლით გზა თავისუფლების კუნძულისაკენ. ხანდახან მგონია, რომ ყველა დაუმორჩილებელი და მემბოხე სულის ადამიანმა აქ მოიყარა თავი და ამიტომაც, მინაც, ჰაერიც ამ სულისკვეთებითაა გაუღენთილი. ლეგენდა დასავლელი ჰიპების შესახებ სულაც არაა მხოლოდ წარსული და ლიტერატურა. ეს მხოლოდ ცხოვრების წესია. იმ ადამიანების ცხოვრების წესი, ვისაც თავისუფლება უმთავრეს მიზნად გაუხდიათ. ეს ყველაფერი “აქ, ახლა” არსებობს და ნებისმიერ ადამიანს, ვისაც მართლა სურს გაიგოს და გაიზაროს 60-70-იანი წლების “ახალი ელურების” სულისკვეთება, ნებისმიერ დროს შეუძლია ამის გაკეთება. ის, რისი გამოტოვებაც ჩვენს წინა თაობას მოუწია პოლიტიკოსების ამბიციების გამო, აბსოლუტურად ხელმისაწვდომია ჩვენთვის. სინამდვილეში, ჯაჭვი არც გამწყდარა, რადგანაც, სანამ სიცოცხლის ის ფორმა არსებობს, რასაც ადამიანი ჰქვია, თავისუფლება ყოველთვის იქნება არსებობის უმაღლესი მიზანი. იცვლება მხოლოდ ტექნოლოგიები, რაც კიდევ უფრო ამარტივებს სასურველ მიზანს. სინამდვილეში, ალბათ, ასეც



არის მსოფლიო მოქალაქედ ჩამოყალიბების პროცესი.

სეზონის ბოლოს აღარ არიან ტურისტები. იაპონელებმაც იმატეს. ერთ კვირაში ვარანასში მივიღივართ, ინდოეთის წმიდათანმინდა ქალაქში და ძალიან მიხარია.

ვერც კი ვიგრძენი, ისე სწრაფად გავიდა დრო. თბილისში, ალბათ, უკვე გაზაფხულია და მალე აკაცია და იასამანი აყვავდება... დღეს შაბათია და საღამოსთვის ყველა ემზადება. სეზონის უკანასკნელი ღამის მარკეტია. ღამის მარკეტი ხომ გოას მშვენაბაა. უამრავი ხალხია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული, რათა აჩვენოს თავისი ოსტატობა. ცოცხალი მუსიკა, ათასნაირი ქვეყნის სამზარეულო და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმი იმდენია, რომ თვალბე გიჭრელდება და პირველ ჯერზე გიჭირს რაიმე ამოარჩიო. ეს თავისუფალი ბაზრობაა და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გამოცადოს თავისი შესაძლებლობები. ესაა მცდელობა თავი დააღწიოს სახელმწიფო სტუქტურებს და იყო თავისუფალი შემოქმედი. თავისუფალი არა მხოლოდ აზრებით, არამედ მატერიალურადაც, რაც უფრო მეტად კრეატიულს გხდის და საზოგადოებრივი აზრისგან გათავისუფლებს. ბაზრობის მერე, ალბათ, “ფართიც” იქნება, სადმე პლიაჟზე, ღია ცის ქვეშ. ეგრეთ წოდებული “ოფენ ეარ” ფართი და ცეკვა დილამდე, სანამ უკანასკნელი ძალა არ გამოგეცლება და დაღლილი სახლისკენ აიღებ გეზს. ან იქნებ, სულაც “ჩაპორაში” ამოყო თავი “ჯუს ცენტრში” წვენი დასალევად, ან ისაუბრო სადმე “კიორლისში”, “ფრიკების” საყვარელ ადგილას და ვინმეს წინა დღის შთაბეჭდილებები გაუზიარო. ყველაფერი შენს ხელშია. ლიმიტი არ არსებობს. შენა ხარ

შენი თავის ბატონი. წინა ღამის სიგიჟის გამო არავინ შეგაქებს და არც არავინ გაგაკიცხავს. ყველაფერი ხდება “ფორ ფან”, საუკეთესო განწყობისათვის. “ინ ინდია საბკაჩ მილეგა”, ამბობენ ინდოელები, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდოეთში ყველაფერი შესაძლებელია. სწორედ აქედან იწყება იმის შეგრძნება, რომ თავისუფლება მხოლოდ სიტყვა არ არის და არც ისე ადვილია, როგორც მავანს წარმოუდგენია.

ალბათ, არავის სჭირდება იმდენი წონასწორობა და დაკვირვებულობა, როგორც ადამიანს, რომელმაც თავისი დროის მიწყობა თვითონ გადანიჭა, ოღონდ, ამას, რა თქმა უნდა, დიდი ნებისყოფა და სიმტკიცე სჭირდება. “ადამიანი რომელიც იზრდება, ბევრჯერ უნდა შეენიანაღმდეგოს საკუთარ თავს”, ალბათ, მხოლოდ ასე შეიძლება ნამდვილი გამოცდილების დაგროვება.

ამას წინათ, ოლდ გოა მოვინახულეთ, გოას ძველი დედაქალაქი და გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ მოგვეძებნა ქეთევან წამებულის საფლავი. უფრო სწორედ, ადგილი, სადაც პორტუგალიელი მისიონერები მის წმინდა მკლავს ინახავდნენ. საოცარია, მაგრამ ინტუიციამ ზუსტად იმ ტაძართან მიგვიყვანა, სადაც სამარხი იყო. ტაძარი მიწისძვრის შედეგად დანგრეულია და მისი აღდგენა მიმდინარეობს. ჩვენს შეკითხვაზე გიდი გვპასუხობს, რომ არავითარი ნეშტი არ არსებობს, მაგრამ ნანგრევებში შესულებს ინდუსი მუშა ფრთხილად და პატივისცემით გვაჩვენებს იმ ადგილს, სადაც რაღაც საიდუმლო ყუთი უპოვინათ და ჩვენც, მოწინებთ ვცემთ თავყვანს ჩვენი დიდი წინაპრის ხსოვნას. სამახსოვროდ ქვის პატარა ნატყები მოგვაცქეს სამარხის კედლიდან. ალბათ, ის დროც



დადგება, როდესაც ნათელი მოეფინება ამ ისტორიას და ქართველები მოახერხებენ სათანადო პატივი მიაგონ დედოფლის ხსოვნას...

ერთი კვირაც და, შევუდგებით გზას ნეპელისაკენ. დაიწყება ახალი თავგადასავალი. აუტანელი სიცხეა და წერას ვწყვეტ... შეუძლებელია ერთ წერილში ჩაათიო ყველაფერი ინდოეთის შესახებ და მეც შევეცადე მემამბო ყველაფერზეც და არაფერზეც, ისე, ზოგადად. ცოტათი სუბიექტური თუ ვარ მომიტყვეთ, მე ხომ ეკვატორთან ესე ახლოს ვარ და ჯერაც “მონამღული” ვარ ინდოეთის სიყვარულით.

02.05 2007. ანჯუნა. გოა.

პ. ს. დღეს სავსე მთვარეა და გუშინ მთელი ღამე თვალს ვადავნებდით მთვარის გავსებას სიტარის ჯადოსნური მუსიკის თანხლებით...

03. 05. ანჯუნა. გოა. მადევა.

განგების ნებით წერილის გამოქვეყნებას თბილისში ჩამოვასწარი და უფრო ნათელი რომ გამეხადა ჩემი აზრების მდინარება, გადავწყვიტე, ერთი ამბავი კიდევ მომოეთხრო. არსებობს ერთი ჰაიკუ, რომელიც ასეთ ამბავს ყვება: ბერი კვეთს ქუჩას, კედელთან ყვავილია, ყოველდღიური ყვავილი, ისეთი, როგორსაც ყველგან შეხვდები. ბერი უყურებს. პირველად შეხვდა ბერმა ყვავილს მართლა – ის ისეთი ჩვეულებრივია, ისეთი უბრალო. ადრე, ბერს არასოდეს შეუწუხებია თავი, მართლა შეეხვდა ყვავილისათვის. ჩვეულებრივ ყვავილს არასოდეს უმზერენ, იმდენად


უბრალოა, რომ ეგრევე ივინყებენ. ბერსაც ეს ყვავილი ადრე არასოდეს უნახავს. პირველად თავის სიცოცხლეში ახლა იხილა ის და ეს შეხვედრა უნიკალური გახდა. აქ ყვავილი ყოველთვის იყო და ბერს ელოდა. ბერს არასოდეს შეუხვდავს მისთვის და ამის გამო წუხს. და, აი, რაღაც ხდება. ყვავილიც არის, ბერიც დგას და ცეკვავს. ხდება სატორი. ვიღაც ეკითხება ბერს: “რას აკეთებ” ის პასუხობს: “რაღაც უჩვეულო ვიხილე ამ ყვავილში, ყვავილი ყოველთვის მელოდა. მისთვის არასოდეს შემიხვდავს – მაგრამ დღეს შეხვდით.” ახლა ყვავილი აღარ არის უბრალო. ბერმა შეაღწია ყვავილში და ყვავილმა შეაღწია ბერში.

როცა ეს ჰაიკუ წავიკითხე, რაღაც უჩვეულო სევდა ვიგრძენი. ამდენი საოცარი ამბიდან რატომღაც სწორედ ეს ისტორია გამახსენდა დღეს. ჩემზე განსაკუთრებით ბერის მზადყოფნამ იმოქმედა ყვავილის დასანახად. მართლაც, ასეა, როდესაც ადამიანი მზად არის სასწაულთან შესახვედრად, მაშინ მთელი სამყარო მისთვის არაჩვეულებრივ ელფერს იძენს და სიცოცხლეც ერთ უსასრულო დღესასწაულს ემსგავსება. და თუ, მოგზაური იწყებს თავის გზაზე სიარულს, ის სახლში აუცილებლად დაბრუნდება.

თბილისი. 07.07.2007.



წელიწადი ინდოეთში



მოგზაურისთვის საჭირო რჩევები: ნიუდელი.

დელში ვჩერდებით 2-3 დღე. ვარკვეთ, რა მიმართულებით ვინყვებთ მოგზაურობას. ვყიდულობთ აუცილებელ ნივთებს და ზამთრის ტანსაცმელს სასტუმროში ვინახავთ.

ფულის ერთეული: ინდური რუპიაა 1 ამერიკული დოლარი 43 რუპის ტოლფასია.

ძირითადი საკვები:

ბრინჯი ბოსტნეულით, (ვეჯ ფრაი რაის) ბრინჯი ქათმის ჩახობილით. (ჩიქენ ქარი რაის) პური, ნანი (ლავაში), შემწვარი კარტოფილი, სალათები.

ხილი ნაირ-ნაირი. მანგო (მაისიდან), ბანანი, ანანასი, ყურძენი, ლიჩი...

დღეში 2-3 ლიტრი სითხე უნდა მიიღოთ. წყალი, ნატურალური წველები, ლასი (გლასეს გაცს), (განსაკუთრებით გემრიელია ბანანის ლასი).

სჯობს ინდურ სამზარეულოს ნელ-ნელა შეეჩვიოთ, რომ შემდეგ მატარებელში ან ავტობუსში მსუბუქად იგრძნოთ თავი

გადაადგილების ძირითადი საშუალებები:

რიქშა, ველო რიქშა, მეტრო (ცხლახანს ააშენეს იაპონელებმა), ფასზე სჯობს წინასწარ შეთანხმდეთ. ისე, საკუთარ ფეხებს არაფერი სჯობს.

ძირითადი მარკეტები:

მეინ ბაზარი. პალიკა ბაზარი. კაროლ ბაკი. სადა ბაზარი.

აქ შენი საფულის ზომის მიხედვით შეგიძლიათ შეიძინოთ ყველაფერი, რაც ინდოეთში დაგჭირდებათ. შეიძლება რიქშის მძღოლს შეუთანხმდეთ და ერთ დღეში ყველაფერს მოგატარებთ. დანარჩენს თვითონაც მიხვდებით.

ძირითადი მარშრუტები:

ჩრდილოეთი: შიმალაები. კულუ-მანალი. რიშიკეში. ლეეჰ...

მგზავრობის ხანგრძლივობა 17-18 საათი. ლამის ავტობუსი – ფასი 250-300 რუპია.

დარამსალა – დალაი ლამას რეზიდენცია. ქაშმირი. მგზავრობის ხანგრძლივობა 15-16-საათი. ლამის ავტობუსი ფასი – 250 რუპია. (7-8 ლარი)

დასავლეთი: რაჯასტანი. ჯაიპური. უდაიპური. კუშკარი.

მგზავრობის ხანგრძლივობა 14 საათი. ლამის ავტობუსი. ფასი – 200-250 რუპია.

სამხრეთი: ბომბეი. გოა. კერალა. კარნატაკა.

მგზავრობას ხანგრძლივობა სხვადასხვაა. ფასის და შესაბამისი კომფორტის მიხედვით. დაწყებული 600 რუპიიდან და ზევით ინფორმაციას ნებისმიერ ფორინერ ტურისტ ოფისში მოგცემენ.

აღმოსავლეთი: კალკუტა. ვარანასი. ჩენაი. კაჯუ-რაჰო. დარჯალინგი.

ტამილნადუ. შეგიძლიათ გადახვიდეთ ნეპალში.

მოკლედ, დანარჩენს თუ დაინტერესდით თვითონაც გაიგებთ. ზურგჩანთა მაქსიმალურად მსუბუქი უნდა იყოს, თუ გინდათ მაქსიმალური სიამოვნება მიიღოთ.



გზა მშვიდობისა!

ავტორი: ანა ჯორჯია-სამადაშვილი
ფოტო: ნინო ძანძავა, თამარ სუხიშვილი,
თამაზ ღვარამია

ისი ის მხარე, სადას ლიმონი ყვავის?

ბათუმის სიმბოლოდ დელფინი ითვლება. ამბობენ, რომ დელფინები მიაცილებენ ზღვაში მიმავალ გემებს, ხოლო მათ, ვინც კარგ საქმეზე შემოდიან ქალაქში, მხიარული ძახილით ეგებებიანო.

თქვენც აუცილებლად შემოგხვდებიან – თუ გაგიმართლათ და ცხადია, კარგ საქმეზე ხართ ჩაბრძანებული.

ბათუმის შესახებ ჯერ კიდევ არისტოტელე წერდა. ნავიკითხე, რომ რომის იმპერატორ ადრიანეს ბატონობის დროსაც ახსენეს ბათისი – პატარა სამხედრო სადგური. ისიც მსმენია, ბიზანტიურ წყაროებშიც აქებენ და აღიდეგენო. ისე, იმათი დიდება რად გვინდა, ჩვენც ხომ ვიცით, რომ ბათუმი შესანიშნავი ქალაქია.

რომაელების შემდეგ მრავალი საუკუნე გავიდა და თამარციხე, ანუ ბათუმი და მისი მიმდებარე მიწები თავადი გურიელების სამფლობელოში შევიდა. კახაბერის დროს, მეთხუთმეტე საუკუნეში, თურქებმა ლაზისტანი დაიპყრეს და მასთან ერთად ბათუმიც. მერე, 1564-ში, კვლავ გურიელმა, რასტიმამ, ბათუმი თურქებს წაართვა, მერე ისევ თურქებმა გაიმარჯვეს და ციხე-სიმაგრე ააშენეს. 1609-ში მამია გურიელმა თურქები სასტიკად დაამარცხა, მაგრამ მერე ის კვლავ თურქებმა ჩაიგდეს ხელში და 1878 წლამდე იქ იყვნენ გამაგრებული.

საბრალო ბათუმი! რა დღეები გამოუვლია...



ფოტო: ნინო კახაბაძე



ფოტო: თაბაჯი დავარაძე

ვასუშტი ბატონიშვილი ჰყვება, რომ XVIII საუკუნეში ბათუმი პატარა, კოხტა ქალაქი იყო და მშვენიერი ციხე-კოშკი ჰქონდა. მოგზაურმა ანდრიან დიუპრემ კი, რომელმაც სანაპირო 1807 წელს მოინახულა, ბრძანა, ეს ქალაქი კი არა, სოფელიაო – სულ ორი ათასი კაცი ცხოვრობს, სახლები სანაპიროზე და ტყეებშია მიმოფანტული, მალარია მძვინვარებს და საერთოდ, ცუდი ადგილიაო.

მოკლედ, კაცმა არ იცის, სინამდვილეში რა ხდებოდა. ჩვენ კარგი დავიჯეროთ.

1878 წელს ბათუმი რუსეთს გადაეცა და ბერლინის ტრაქტატის საფუძველზე, პორტო ფრანკოდ გამოცხადდა. ქალაქში ვაჭრობა განვითარდა და მოსახლეობაც გაიზარდა. ვინ აღარ ცხოვრობდა – ქართველები, ბერძნები, თურქები, სომხები, აფხაზები, რუსები, პოლონელები, ებრაელები, ჩინელები, სპარსები...

და ყველამ კვალი დატოვა, თან სერიოზული. თუნდაც ჰარკი ავიღოთ, აი, ის, ღამით რომ ჩაივლი და მაგნოლიების სურნელი რომ გონს აგირევს. მისი პირველი პროექტი გერმანელი მეზალის, რესლერისა ყოფილა, მისი საქმე ფრანგმა დ'ალფონსმა გააგრძელა და ქართველმა იასონ გორდეზიანმა დააგვირგვინა. ამ ჩვენს თანამემამულეს გამოცდილება დიდი ჰქონდა – ლონდონის ბოტანიკური ბაღის დეკორირებაშიც მიუძღოდა წვლილი.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ბათუმში კავკასიის ოლქის მთავარი საბაჟო ყოფილა. აქ იყო საკარანტინო დაწესებულებები, სატყეო მეურნეობები, თურქეთის გენერალური საკონსულო, საბერძნეთის, იტალიის, სპარსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების და საფრანგეთის საკონსულოები, ავსტრია-უნგრეთის, ინგლისის, ბელგიის, გერმანიის, ნიდერლანდე-



ფოტო: ნინო კახაბაძე

ბის, ნორვეგიისა და შვედეთის ვიცე-საკონსულოები – რა იქნა ეს ყველაფერი?

წვიმს და წვიმს! 1885 წლის 11-დან 13 აგვისტომდე იმდენი მოწვიმა, რამდენიც თბილისსა და იალტაში - ერთი წლის განმავლობაში. სამაგიეროდ, ყველგან უამელიები, მაგნოლიები, ლიმონი ყვავის და იანვარშიც კი ვარდებია გაფურჩქნული – მოკლედ, სამოთხეა.

და ვინაიდან სამოთხის ჰავისა არაფერი ვიცით, მაგრამ ის კი გვსმენია, რომ იქაურობა წალკოტია, შეგვიძლია მშვიდად ვუწოდოთ ბათუმს სამოთხის კარი – ზღვის, ყავის სურნელის და დიდი სიყვარულის ქალაქი.

- Ну что, Анка, поехали?

- Уговорил, речистый!

ამ პრინციპით ამოყავით თავი შეკრებაზე, რომელსაც ინტერრელიგიური რეგიონალური კონფერენცია ერქვა, მე და ჩემმა მეგობარმა

თამაზ დავარაშვილმა, რისთვისაც ღონისძიების ორგანიზატორის, რუსუდან ავალიშვილის დიდად მადლობელი ვარ. სინამდვილეში, ერთობ ეკლექტური მსოფლმხედველობის მქონე ანას იქ ბევრი არაფერი მექნებოდა სათქმელი - უმალ ექსპონატად გამოვდგებოდი, ნათელ დასტურად იმისა, რომ სხვადასხვა კონფესიების მშვიდობიანი თანაარსებობა არამარტო ერთ სახელმწიფოში, არამედ ერთ ადამიანშიც კი სავსებით შესაძლებელია.

კონგრესი მშვენიერი იყო, საზოგადოება - ჩინებული, ამინდი - კიდევ უკეთესი, მაგრამ ყველაზე საამო ის ფაქტი გახლდათ, რომ მოქმედება ბათუმში ხდებოდა. ზუსტად ვიცოდი - მორჩება საქმე, ხელს ვტაცებ ჩემს ძვირფას თაზაზელს და მასთან ერთად გავეშურები იქ, სადაც ყველა ოცნება ცხადდება: ციხისძირში.

როგორც გაირკვა, სულ ტყუილად ვიცოდი.



ფოტო: თამარ სუბანიძე

ქვეყანა სიუ

ცისქვეშეთში ჰყვებოდნენ, რომ სადღაც არსებობს ქვეყანა, სადაც ყველაფერი კარგია. იქაც იგივე ხდება, რაც დანარჩენ დედამიწაზე: მზე ამოდის და ჩადის, იქაც ზღვაა და კლდეები, იქაც ადამიანები ცხოვრობენ, მაგრამ ყველა და ყველაფერი ძალიან კარგია. იმ ქვეყანაში სურვილები ხდება, ისეთიც კი, რომ არც გიფიქრია, მინდაო. ამ ქვეყანას ჰქვია ქვეყანა სიუ.

სიუში მოხვედრა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. ერთი ისაა, რომ იქ სამუდამოდ ვერაფერს დარჩება, უნდა - არ უნდა, წამოსვლა მოუწევს. და კიდევ: ერთ მშვენიერ დღეს ქვეყანა სიუში ჩასული ალმოაჩენს, რომ ის აღარ არსებობს. იყო და აღარაა. ის მარადიული არაა, ერთი პატარა ქვეყანა სიუა მხოლოდ, დიდი სამოთხის წინკარი.

...
სავსებით რეალური ადგილია: ციხისძირი. გეხსომე-ბათ: აქ უძველესი ციხე-სიმაგრე პეტრას ნანგრევებია. ეს ციხე - უნინ ქალაქი ყოფილა - ჩვენი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნითა დათარიღებული. აქ ლაზები ცხოვრობდნენ და ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ ქალაქი ააშენა.

ამ ქალაქზე გადიოდა გზა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ბიზანტიის, სპარსეთისა და სომხეთის პროვინციებთან აკავშირებდა. ციხე-სიმაგრე აუღლებელი იყო. ამბობდნენ, მოჯადოებულია და ღამ-ღამობით კედლები ჩურჩულებენ, არავის დავნებდებითო. მაგრამ მე ღამით არ ავსულვარ და რაც არ ვიცი, არ ვიცი.

სამაგიეროდ, ღამით სხვა ციხე-სიმაგრეში ვყოფილვარ, იქვე, სულ ახლოს. ერთი უზარმაზარი თალი უნდა გაგველო და იქ იყავი. ამ ადგილს "ციხე-სიმაგრე ზღვის თავზე" ერქვა, ეს ლათინურად ეწერა კედელზე მიკრულ დაფას. თუმცა, მთლად ციხე-სიმაგრე არ ეთქმოდა, უმალ პატარა სასახლე იყო, კლდიდან ამოზრდილი. ზღვამდე კიბე ჩადიოდა და ტალღები კლდეებს ეხეთქებოდა.


სასახლე წალკოტში იდგა, მწვანე კონცხის ბოტანიკურის დარ ბაღში. ეზოში, პატარა აუზში, ოქროს თევზები ცურავდნენ და ვიცოდით, რომ ის უზარმაზარი პალმა ორასი წლისა იყო!

ეს სახლი ოდესღაც ერთ მამაც მეომარს, ახალგაზრდა პოლკონიკ ჰომორსკის აუშენებია. გარდა იმისა, რომ ომებში გამოუჩენია თავი, მისი სიამამაცე იმაშიც გამოიხატებოდა, რომ აქ დასახლდა: ყველას მიაჩნდა, რომ სანაპიროზე ავსულები ცხოვრობდნენ, მარადმწვანე ტყეში ათასგვარი სენი იყო ჩაბუდებული და ცხოვრება კი არა, გავლაც არ ღირდა. ნურას უკაცრავად! პოლკოვნიკს არც ავი სული ეკარებოდა და არც ციხე-ცხელეა. მან საუკეთესო მებადლები და ზუროთმოძღვრები დაიბარა და იქ, სადაც მანამდე არავინ ცხოვრობდა, საარაკო ბაღი გააშენა და სალ კლდეზე ოცნების სახლი აღმართა.

პოლკოვნიკი თავისი სახლით ძალიან ამაყობდა - და სავსებით სამართლიანად. ოთხივე აივანიდან ისეთი ხედი იშლებოდა - ეუპ! წინ რკინიგზა გადიოდა და ლომის-



ფოტო: თამარ სუხომიძე



ფოტო: თამარ სუხომიძე

თავებიან თუჯის ფანჩატურზე წარწერა იწონებდა თავს: ციხისძირი.

პოლკოვნიკის მეზობლად გენერალი ცხოვრობდა, მამონტოვი. აივლიდა ხოლმე პოლკოვნიკი მანდარინის ხეებით დაბურულ მარმარილოს კიბეს, ესტუმრებოდა თავის გენერალს, ჭადრაკს ითამაშებდა, ამ მთისას, იმ ბარისას იტყოდა...

მაგრამ ერთ დღეს პოლკოვნიკს მარცხენა მხარზე ვილაც საძაგელი ჩამოუსკუპდა და იმდენს ეჩიჩინა, სანამ ბანქოში ყველაფერი არ წააგებინა, ციხისძირის სახლიც კი! ციხე-სიმაგრე ზღვის თავზე სხვა ბატონს ჩაბარდა, კონიაკით მოვაჭრეს, რომელმაც კლდეში გამოკვეთილ უზარმაზარ, თაღებიან სარდაფებში მუხის კასრებით საუკეთესო სასმელი შეიტანა – მეც კი მინახავს ის კასრები, იმხანად ჩემზე მაღლები, და კონიაკის სუნიც მახსოვს... მაგრამ ეს ძალიან ბევრი წლის შემდეგ მოხდა. მაშინ კი, როცა პოლკოვნიკმა პომორსკიმ ბანქოში სახლი წააგო, ციხისძირში დიდი ტრაგედია დატრიალდა: სასახლის პირველმა მფლობელმა თავი მოიკლა, თან ისე კი არა, როგორც სამხედროთა წესია – იარაღით, არამედ კიბეზე დაეშვა, ზღვაში შევიდა და ერთ დროს მისი საყვარელი შავი ზღვის ტალღებში თავი დაიხრჩო.


ასე იყო ეს ამბავი, რომელსაც იმდენი წელი ვისმენდი, რამდენი წლისაც ვარ. ზუსტად იმდენი წელი, რამდენი წლისაც გახლავართ, ყველასთან ერთად, ვინც კი ოდესმე მყვარებია, კვლავ და კვლავ ვბრუნდებოდი ჩემს სიუში, სახლში, რომელსაც უბედური პოლკოვნიკი პომორსკი გადაჰყვა.

ლამით იქ ზღვის თავზე იმდენი ვარსკვლავი ინთებოდა, რომ ყურება ჭირდა – ძნელია, როცა ზუსტად ხედავ, სად წყდება შენი ბედი. ვარსკვლავები ცვიოდა და ცვიოდა, ჩაფიქრებას ვერ ვასწრებდით. მეზადურები თევზს იჭერდნენ, რალაცნაირად, უცნაურად – თითზე ჰქონდათ ძუა გამობმული, დაქაჩავდა ძუა და მთვარის შუქზე უამრავი ვერცხლისფერი თევზი აბრჭყვივალდებოდა ხოლმე. ციხისძირის სახლი დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და წელიწადის ყოველ დროს ულამაზესი იყო, და ყველაფერი უხდებოდა, აჭარის უსასრულო წვიმაც და ნოემბრის ქარიც. არ ჰქონდა მნიშვნელობა, რა ერქვა ხოლმე – სანატორიუმი “ნაუკა” თუ “შუქურა” – რა ბედენაა, ეს იყო ციხე-სიმაგრე ზღვის თავზე, ქვეყანა სიუ, სადაც ყოველთვის ყველაფერი კარგია და ყველა ოცნება ხდება.

და აჰა, ჩავედით მე და თაზაზელო და აღმოვაჩინე, რომ აღარ არსებობს ქვეყანა სიუ! იყო და აღარაა. დაანგრის და მიწასთან გაასწორეს. აღარაფერი ეშველება. მორჩა. ველარც მე ვნახავ და ველარც თქვენ. მე რა მიშავს, ოდესღაც მაინც შევირგე, მაგრამ, მეორეს მხრივ, თქვენ რა გიშავთ, – თუ არ ყოფილხართ, არც გული გეტკინებოდათ.

აღარ არსებობს ჩემი სამოთხე. მარადიული არ ყოფილა. ერთი პატარა ქვეყანა სიუ ყოფილა მხოლოდ, დიდი სამოთხის წინკარი.

>>> ბაბრქელეზა გვ. 188



ფოტო: თაზაზელო



ფოტო: თაზაზელო

სირველი რატასეები

პირველი გაზეთი, რომელიც მახსოვს, გაზეთი “პრავდაა”.

მის პირველ გვერდზე ბრეჟნევის ფოტო იყო, გვარიანად დიდი, მაგიდასთან იჯდა და ჩასცქეროდა თავის ქალაქებს.

რა თქმა უნდა, არ ვიცოდი, ვინ იყო ეს კაცი, ბეზიაჩემს ვკითხე. ბეზიაჩემმა მითხრა, რომ ბრეჟნევი. მეტი არაფერი.

ააა-ჰაააააააააა!...ეს ის კაცია, მჟავანაძე რომ მოხსნა, ვიფიქრე მე.

კარგად მახსოვს, ზუსტად ასე ვიფიქრე. იმიტომ, რომ მანამდე დიდად გამიკვირდა, სახლში რომ ლაპარაკობდნენ, მჟავანაძე მოხსნესო და ვიკითხე, მჟავანაძე როგორ მოხსნეს, თავისი ნება არ იყო, მოხსნიდნენ, თუ არა თქო?

ესე იგი, ვიცოდი რო მჟავანაძე ყველას უფროსია და ისიც ვიცოდი, მოხსნა რასაც ნიშნავს.

არაო, მამაჩემმა მითხრა, მაგის ნება არ იყო, ბრეჟნევის ნება იყოო. ეტყობა, კარგად ამიხსნა ეს ამბავი, იმიტომ რომ ბრეჟნევი დავიმახსოვრე.

საერთოდ, მამაჩემმა კარგი ახსნა იცოდა.

ჩვენი ეზოს კარს რომ გამოაღებდი, ქვემოთ მთელი თბილისი ჩანდა. ეზოს წინ სკამეიკა იდგა და იქ ვიჯექი ხოლმე, ქვემოთ არ მიშვებდნენ.

ეს ბეზიაჩემის სახლი იყო: ნახალოვკის ერთ-ერთ გორაზე, ეზოთი და უკან კიდევ ბალით.

ჩვენი სახლი შენდებოდა და იქ ვიყავით. ხო, ამ სკამეიკაზე რომ დაჯდებოდი, ჩანდა, როგორ ჩადიოდა მზე თბილისის თავზე. ცოტათი მეშინოდა კიდევ, ისე კარგად ჩანდა.

ერთხელ, მამაჩემი სამსახურიდან მოდიოდა და მე კი, იმ სკამეიკაზე ვიჯექი. ბეზიაჩემი ყოველი მხრიდან ხიფათთა მომლოდინე ბეზია იყო და მარტოდ დიდხანს არ დამტოვებდა ხოლმე, ამიტომ ჩამოვიდოდა და მომიჯდებოდა გვერდით. ანდა, რაიმე ხილს ჩამომიტანდა სახლიდან.

მაშინ ვაშლი ჩამომიტანა.

ისე კარგად მახსოვს ის ვაშლი, ხატვა კარგად რომ მესწავლა, ახლაც უზუსტესად დავხატავდი. მე კიდევ, თუ რამე არ მიყვარს ცხოვრებაში, ვაშლის კბეჩაა. იმ ვაშლს არც შევჭამდი: შინ რო შევბრუნდებოდი, სადმე მივმალავდი და ეგ იქნებოდა. ჰოდა, მამაჩემი ამოდიოდა ჩვენს ალმართ ქუჩაზე და გვერდითაც მომიჯდა.

მახსოვს რო ვუთხარი:

– მზე ჩადის...

მან კი მომიგო, რომ მზე არ ჩადის და დედამინა ბრუნავს მზის გარშემო და რომ დედამინა მრგვალია. დახედა ჩემს ვაშლს და მითხრა:

– აი, ასეთია..

მიავლო ყუნწში ხელი და ნელა დაატრიალა. ვაააააა...

მე ახლაც არ მჯერა, რო დედამინა მთლად



უმცროსკლასელის მოგონებები

ავტორი: აკა მორჩილაძე
ფოტო: ლევან ხერხეულიძე



მეზონა, რომ ფეხშიშველი სიარული არ შეიძლებოდა და ვფიქრობდი, ასე როგორ გამოუშვებს ეს კასი სცენაზე, ეტყობა, გამოვარულია-მეთქი. თანაც, გაიქვირდა, წარამარა ტანსაცმელს იხვლიდა და ისე გამოდიოდა და თუ გაბღენი ტანსაცმელი აქვს, ერთი ფეხსაცმელი რა გახდა-მეთქი.

მრგვალია, მაგრამ მაშინ გვარიანად დავიბენი. ამას მაშინ ნამდვილად ვერ გავიგებდი, იმიტომ, რომ მერეც ვერ გავიგე, მაგრამ ეს დაბზრიალებული ვაშლი და ჩამავალი მზე კი სამუდამოდ დამამახსოვრდა.

კიდევ რა მახსოვს იმ დროიდან? გამრავლების ტაბულას რომ ვერ ვსწავლობდი და რომ რამაზ ჩხიკვაძეს ჰქონდა წარმოუდგენლად თეთრი, პირადად ჩემთვის შემაფოთებლად მოულოდნელი სახე და ფეხშიშველი დადიოდა სცენაზე.

ჰო, თეატრში წამიყვანეს. ასევე პირველად. წითელი ფეხსაცმელები მეცვა, დღევანდელი ინსპექტორებისნაირი, ოლონდ, წითელი. იდგმებოდა “ყვარყვარე”. მგონი, საერთოდ აღდგომა იყო და თეატრშიც იმ დღეს წავედით. ვილაცამ მითხრა, რომ ჩემხელებს თეატრში არ უშვებენ და ძალიან კარგად უნდა მოვიქცე, რომ იქედან არ გამომაბუნძულონ. ამიტომ გვარიანად მეშინოდა. აბა, თუ არ შემიშვეს და დავრჩი იქ მარტო, რაღა ვქნა? ის აღარ მიფიქრია, რო მარტოს არავინ დამტოვებდა.

რამაზ ჩხიკვაძე იყო ფეხშიშველი და ძალიან თეთრი სახით. შევფოთდი. მანამდე მგონი ჰიტლერით ეცვა და იყო ყვითელი სახით. საერთოდ, ბევრს მოძრაობდნენ და გადი-გამოდიოდნენ და თეატრი მომეწონა, თანაც სცენაზე გადახდილი მანქანაც შემოაგორეს, ოლონდ, არ მომეწონა, რომ ნამდვილი ბორბლები არ ჰქონდა. ვგიჟდებოდი გადახდილ მანქანებზე. ოლონდაც, მეგონა, რომ ფეხშიშველი სიარული არ შეიძლებოდა და ვფიქრობდი, ასე როგორ გამოუშვეს ეს კაცი სცენაზე, ეტყობა, გამოპარულია-მეთქი. თანაც, გამიკვირდა, წარამარა ტანსაცმელს იცვლიდა და ისე გამოდიოდა და თუ მაგდენი ტანსაცმელი აქვს, ერთი ფეხსაცმელი რა გახდამეთქი. მოკლედ, ბავშვისთვის თეატრში სულ სხვა რამეებია საინტერესო.

საერთოდ კიდევ, თუ სკამეიკაზე არ ვიჯექი, ბებიჩემის ბაღში ყოფნა მიყვარდა. ბაღს საერთო ლოზე ჰქონდა ჩვენი მეზობლის, გოგას ბაღთან. რახან სულ იმ ბაღში ვიყავი, იქაურობის ბევრი რამე მახსოვს და დიდადაც მენატრება, ოლონდ, ის ამბავი წასულია: იქ ველარასდროს მოვხვდები.

გოგას ლეღვის ხეები ედგა ეზოში, ლობის კიდეზე იყო ჩამწკრივებული, მაგრამ მერე გოგიამ ცისფერი 21 იყიდა, ანუ ძველი ვოლგა და ლეღვები გარაჟს შეენირა. ბებიჩემს კი ვარდები ჰქონდა, ვარდები და უზარმაზარი ისამანი, ცოტა ყურძენი და ეგ იყო. ბაღში პატარა სათავსოც იყო, რომლის გვერდითა მხრიდან შეშის საწყობი იყო. შეშა, მაშ რა. დიდ ოთახში უშველებელი კაფელის ფეჩი იდგა, აქეთ, შუშბანდში, ჩვეულებრივი. მახსოვს, ამ ფეჩის გარშემო მსხდომი ბაბუაჩემის დები, ვერიჩკა და პელაგია, სულ შავებში. მგონი, ეს იმის შემდეგ იყო, ბაბუა რომ გარდაიცვალა.

ბაღში კი, კიდევ ერთი რამ იყო: დიდი ფიჭვი. ის დუძიკას დაერგო. დუძიკას მე აღარ მოვსწრებოვარ, მაგრამ მის შესახებ ყვებოდნენ და ხშირად ახსენებდნენ. ჩვენი სახლის პირველ სართულზე ცხოვრობდნენ მისი დედა და და. ისინი, მგონი, ბებიჩემის მდგმურებად ითვლებოდნენ მეორე მსოფლიო ომის დროიდან, თუმცა, მდგმურობა ფრიად სიმბოლური იყო. ასე მახსოვს.

საერთოდ, ჩვენი და გოგას სახლების პირველ სართულზე მდგმურები ცხოვრობდნენ, ეზოში კი იდგა თუთის ხე და საერთო ონკანი. მე ამ პირველი სართულების უფანჯრო სახლებში სრულიად გარეული ადამიანი გახდით. ის კარგად მახსოვს, რომ არცერთ კარს საკეტი არ ჰქონდა. არც ჩვენსას, და არც იმათსას. პირდაპირი მნიშვნელობით არ ჰქონდა, ისე კი არა, ახლა რომ ამბობენ, თბილისში კარი არ იკეტებოდაო და რაღაც გადატანითი მნიშვნელობის იერი რომ დაჰკრავს. მართლა არ ჰქონდა. ანჯამები ჰქონდა და ერთადერთხელ ვნახე, რომ დაკეტეს: ზაფხულში ქალაქგარეთ მივდიოდით და შინ საერთოდ არავინ რჩებოდა მთელი ორი თვით. ჰოდა,

ბებიჩემმა, საიდანღაც ძველებური ბოქლომი გამოაძრო და იმით დაკეტა. სხვა დროს, იქ დასაკეტი არაფერი იყო, ის ავეჯიც მახსოვს და საერთოდ, ვინ უნდა შემოსულიყო? უცხო იქ არავინ დადიოდა. ანდაო, ესეც მახსოვს, მერე ამბობდა ბებიჩემი, დუძიკას გამო აქეთ ვინ გამოიხედავდაო. დუძიკას ფოტოც მახსოვს. აი, 50-იანი წლების ფილმებში რომ ბიჭები არიან, იმათ ჩამოჰგავდა. ულვაში, ღიმილი, უკან გადავარცხნილი თმა... დუძიკა ერთხანს ნახალოვკელ ქურდებს მეგობრობდაო, მერე კი სამსახურიც ეშოვნა, ძალიან ეცადა ყველა, რომ ამ წრეს მოშორებოდა. მეგობრები ღამით შემოუვლიდნენ ხოლმე. დედაჩემი მეუბნებოდა, პატარები რომ ვიყავით, ძილში ხშირად ჩაგვესმოდა მოგუდული დაძახილი: დუძიკ, დუძიკ...

ცხადია, ღამით იყო სალაპარაკო და საქმეც ღამით იყო. დედაჩემი და მისი დები კი დღემდე რაღაცნაირად, ძალიან თბილად იხსენებენ დუძიკას, რომელიც ეზოს გარეთ მათი სრული პატრონი იყო. ძალიან კეთილი იყო, სრულიად არაადამიანურად კეთილი. ისიც ყოფილა, რომ ბებიჩემი შუშბანდიდან გავარდნია დამძახებლებს, თავი დაანებეთ, რა შეჭამეთ ეს ბიჭიო, მაგრამ დუძიკა ყოველთვის მიდიოდა. მერე, იმ დროის იშვიათ ავტოკატასტროფაში დაღუპულა... რამდენჯერ, მათი კარის წინ მჯდომს მესმოდა გრძელი და ტირილნარევი ჩურჩული: ეს დედა ელაპარაკებოდა ხოლმე გარდაცვლილ დუძიკას. დუძიკას დედა ჩემი დიდი მეგობარი იყო. ძალიან მომწონდა პირველი სართულის სახლებში ბოდიალი, ასევე გოგისთანაც, სადაც ერთი ჩემთვის სრულიად მაგიური ნივთი იდო გარდერობის თავზე: ირემი, რომელიც ყულაბაც გახლდათ. ირემი ზუსტად რომ ნამდვილი ირემით იყო შეღებილი და პირდაპირ თვალეში გიყურებდა.

სხვა ბავშვი იმ ეზოში არ იყო და როგორც ჩანს, ამიტომაც დავებეტებოდი მეზობლების სახლებში. სრულიად ჩვეულებრივი რამ იყო, დიდები ისე გელაპარაკებოდნენ, როგორც დიდს.

ყვარყვარეს შიშველი ფეხების ამბავმა, ალბათ, იმიტომ შემაფოთა, რომ მანამდე მრავალგზის მქონდა ნანახი, როგორ შეუშვერდა ეზოს ონკანს ჯერ გადაპარსულ თავს, მერე კი, შიშველ ფეხებს ჩვენი ქვედა მეზობელი, ვანიჩკა ჯიკაევი. ვანიჩკა დროული და მრავლისმნახველი კაცი გახლდათ, უშველებელი, ჩაგრეხილი ჭალარა ულვაში ჰქონდა და ცისფერი უმკლავო მაიკა ეცვა ხოლმე. ასე, სახალხოდ იბანდა ფეხებს, ცივი წყლით, რაც მათაცებდა და მამფოთებდა კიდევ, ბებიჩემი რაღაცას ნაილაპარაკებდა ხოლმე, როცა შუშბანდის მიწებიდან ონკანს შეყუდებულ ვანიჩკას მოჰკრავდა თვალს. მგონი, კარგს არაფერს. ამიტომ, ეს ამბავი მამფოთებდა. ვანიჩკას, სტალინური ქუდი ეხურა ხოლმე. ასეთივე ქუდით იყო ის იმ ფოტოზე, მათ სახლში, სადაც ვანიჩკას მიერ ციხეში გაკეთებული წვრილმანების შესანახი ყუთი იწონებდა თავს.

ფოტო სწორედ ამ ყუთის სახურავში იყო ჩასმული. იქ ვანიჩკა ახალგაზრდა გახლდათ. ალბათ, ციხიდან გამოუგზავნა თავის ცოლს, ფროსიას. ფროსია ცისფერთვალეა და ჩამრგვალებული ქალი იყო, ცხინვალიდან შვილიშვილები ჩამოუდიოდნენ ხოლმე. ხოლო ის ყუთი, რომელიც ძალიან მომწონდა, შავად შეეღებათ და ალისფერი ვარდებით მოეხატათ. ახ, ძალიან მომწონდა, მაგრამ შიგნემსები და ძაფები ეწყო და ეს მეტად მიტრუებდა იმედს.

ერთხელ ვანიჩკამ პირადი არქივის, თუ რაღაც ამგვარის წმენდა მოაწყო: აი, სახლიდან რომ უსარგებლო ნივთებს გამოიტან გადასაყრელად, ჰოდა, სარეცხის თოკზე ვილაც მელოტი კაცის ფოტო ჩამოკიდა.

ეს ვინ არის მეთქი, და ხრუშჩოვიო.

ხრუშჩოვი ნამდვილად არ ვიცოდი, ვანიჩკამ კი მეტი დამაჯერებლობისთვის დაამტა:

- ამან გამომიშვა მე, თორე ახლაც იქ ვიქნებოდი.

საიდან გამოუშვა, სად იქნებოდა, რა ჯანდაბა... ხრუშჩოვი ცისფერ ფონზე იყო გადაღებული და ილიმებოდა. სახლში ამოვედი და

ისტორია

ბებიჩემს ვკითხე, ის კაცი ვინ არის-მეთქი. ბებიჩემმა ტუჩებზე მიიღო თითი. საერთოდ, ფრთხილი ქალი გახლდათ, კომუნისტებისა ძალიან ეშინოდა. თუმცა, ეს სიფრთხილე პირობითი იყო. ანუ, მე არაფერს მეტყოდა, მაგრამ როგორც ჩანს, რაღაცეებს მაინც ამბობდა და ყურს მოვკრავდი ხოლმე. ეტყობა მამახსოვრდებოდა, იმიტომ, რომ ერთხელ მშვენიერი ამბავი მოხდა.

ეს ამბავი არ მახსოვს, მაგრამ დედაჩემი დღემდე ჰყვება:

მამას ტროლეიბუსით მოვყავდი საბურთალოდან. გეპეის პირველი კორპუსის ქვედა მხარეს, ხილიანის ასახვევში ლენინის ძეგლი იდგა. ერთი ხო იდგა მოედანზე, მეორე იქ, მერე მესამეც დადგეს მთავრობის ახალი სახლის წინ: ლენინი რაზლივში. ხო, მარა, ახლა გეპეისთან რომ იდგა იმასთან გვაქვს საქმე... მოკლედ, ტროლეიბუსი რატომღაც შეყოვნდა იმ ადგილას და მეც ეტყობა, სულ აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალებს და დავინახე ეს ძეგლი.

მამაჩემი ამბობდა, მოკლედ მკითხეო, ყოველგვარი შესავლების გარეშეო:

- ლენინი?
- ჰო, ლენინი.
- ამან დააქცია ქვეყანა.

ეს იყო ბებიჩემის ცნობილი ფრაზა. სადაც თვალს მოკრავდა, თურმე, ასე ამბობდა.

ტროლეიბუსში ყველა იცინოდა. თურმე, მე რა ვიცი, მაგრამ მაინცდამაინც ტკბილი ეპიზოდი არ იყო.

მერე მამაჩემს ვეკითხებოდი, ტროლეიბუსიდან ჩამომიყვანე-მეთქი? და ჩამოგიყვანე არა, ის კიდევო.

საქართველო მაინც სხვანაირი ქვეყანა იყო იმ საბჭოთა კავშირში. ისე, სახლში, სტალინის ფოტოებსაც მივაგენი და ბოლოს და ბოლოს ვიკითხე, ესენი რატო გვაქვს, ვანიჩკას რო ხრუშჩოვი აქ იმიტო-მეთქი? ბებიამ კი მითხრა, ადრე ყველას ჰქონდა სახლშიო, ისე გვედო ხოლმეო.

გვარიანი ფოტოპორტრეტები იყო, ეტყობა, კარის ფოტოგრაფის გადაღებული, იმიტომ, რომ ისეთები აღარსად მინახავს.

მოკლედ, საბჭოთა ლიდერებთან პირველი შეხვედრები ასეთი იყო, იქაც ყვარყვარე დაუმატე და თითქოს, არა უშავს.

ხო, დიდ ოთახში ტელევიზორი “რეკორდი” გქონდა და იქ სხვადასხვა რამებს ვხედავდი: კერძოდ, ფეხბურთს და ვცნობდი პროგრამა “მოამბის” წამყვანს, გვარად ძიგუას: ჭალარა, სათვალისანი კაცი იყო. საერთოდ არ მახსოვს, პირველი ფილმი, რომელიც ტელევიზორში ვნახე, ფეხბურთის რაღაცეები კი მახსოვს, მგონი, ეროსის ხმა, გვარი და სახელი გივი ნოდია და რაც მართლა კარგად მახსოვს, დინამო-ტოტენჰემის თამაშის ეპიზოდი, როცა კახი ასათიანმა გოლი გაიტანა. ჩანს, ფეხბურთი მაშინ უკვე ძალიან მიყვარდა და ეს პირველი გოლიც იმიტომ დამამახსოვრდა. ეტყობა, ისიც ვიცოდი, რომ ორ კვირაში საპასუხო თამაშია ლონდონში, რომელსაც მე აბა გვიანი საათის გამო ვინ მაყურებინებდა და ამიტომაც, სკოლაში წასვლის წინ მძინარე მამაჩემს დავადექი თავს.

- წავაგეთ... ხუთით ერთი წავაგეთ - ეს სიტყვებიც ზუსტად მახსოვს.

ესეც პირველი წაგება. მე რომ მახსოვს, თორემ იმ წლებში დინამო უფრო აგებდა, ვიდრე იგებდა.

კიდევ რა მახსოვს, იცი, როცა ვიძინებდი, ბაბუა მომიჯდებოდა ხოლმე და ზღაპრებს მიყვებოდა. მაგრამ ეს ამ ფეხბურთამდე იყო, იმიტომ, რომ ბაბუა ადრე გარდაიცვალა. ბაბუაჩემის პერსონაჟი თავი იყო და ვირთხუმ პეტროვიჩი ერქვა. ძალიან მომწონს ეს სახელი. საერთოდ, არ მახსოვს ის ზღაპრები, მაგრამ სახელი ძალიან კონტად იყო შერჩეული. მერე ჩემი ძილისწინა ზღაპრები დედაჩემმა გადაიბარა. ისინი გოჭზე და მის ამხანაგებზე იყო. ყველაზე კარგი წიგნი კი, რომელიც იმ დროს მქონდა, ჩექმებიანი კატა გახლდათ: რო გადაშლი



ოდნავ წამოვარდილს, სწორად ისეთი ფილმები მომწონდა, რეკორდები რომ დაატრიალებინებოდა. მაშინ, ჩემ ტოლბავში, ვესტარნებო და კოვბოვებო იმდენად არ იყო ლაპარაკი, უფრო ასეთი სიტყვა იყო: ბექსიკალი. ანუ, დიდშლაპინი კასი, ყველა ბექსიკალი იყო.



და ნახატები რო ამოდის, ისეთი, მგონი შემომეხია ის წიგნი, მხოლოდ ყდა მახსოვს. ხოლო პირველი წიგნი, რომელიც წავიკითხე, უფრო სწორად კი, ხშირად ვკითხულობდი, ენ ჰოგარტის “მაფინი” იყო. მაფინი ჩოჩორს ერქვა, მოგეხსნებათ, და ეს წიგნი ძალიან მომწონდა. შორიასლო ტრიალებდა “ბიძია თომას ქოხიცი”, მაგრამ მისი ყდისა მეშინოდა. ყდაზე სრულიად სულისშემძვრელი ბორკილებდადებული საბრალო ზანგი ეხატა და ამიტომ, წიგნი არ მომწონდა.

მეორე შუშაბანდის ბოლოში კიდევ ერთი პატარა ოთახი იყო და მთელი წიგნები იქ ელაგა. მე, ცხადია სურათებიანი წიგნები მომწონდა, მაგრამ ისინი იქ ძნელად მოიპოვებოდა. ამიტომ, ყდაზე თუ იყო სურათი, ისეთ წიგნსაც დავხედავდი ხოლმე. ასეთი იყო, ჯეინ ეარი, თუმცა, ეს ყდაც სრულიად შემაშფოთებელი იყო ჩემთვის, ჯეინის ისეთი ნორნამხდარი, თუ გაავებული სახე ჰქონდა, რომ იმის ხშირად შეხედვას ვინ გაბედავდა.

ლამლამობით, ძილის წინ, რატომღაც ვფიქრობდი, რომ ცხენზე ვზივარ და სადღაც მივაჭენებ. ერთი ყვითელი სათამაშო რევოლვერი მქონდა, მგონი, სმიტ ვესონის ყაიდაზე ჩამოსხმული, ახლა რომ ვფიქრობ, ნაგანს ნამდვილად არ ჰგავდა. თეთრი ტარი ჰქონდა და ტარზე კი ირემი ეხატა. მაშინ ბევრს ჰქონდა ასეთი რევოლვერები, მგონი, ყველაზე ხადავოი სათამაშო იმ დროის პატარა ბიჭებს შორის. ეს რევოლვერი სულ თან დამქონდა და ძილის წინ ბალიშის ქვეშაც ვინახავდი ხოლმე. არ ვიცი, რატომ, შესაძლოა, რაღაც ფილმი ვნახე, რომელიც არ მახსოვს, იმიტომ, რომ ოდნავ წამოზრდილს, სწორედ ისეთი ფილმები მომწონდა, რევოლვერებს რომ დაატრიალებენ ხოლმე. მაშინ, ჩემ ტოლებში, ვესტერნებზე და კოვბოებზე იმდენად არ იყო ლაპარაკი, უფრო ასეთი სიტყვა იყო: მექსიკელები. ანუ, დიდშლიაპიანი კაცი, ყველა მექსიკელი იყო.

მაშინ ხომ გოიკო მიტჩინის დროებაც გახლდათ, მისი შავ-თეთრი ფილმებისა, მერე ფერადი ვინიტუებიც მოჰყვა, მაგრამ ეს უფრო გვიანდელი ამბავია, მუჟანაძის ახალმოხსნილობის ბავშვობაში კი ესენი ნამდვილად შავ-თეთრი იყო.

აჰ, რაგვარი შურით ვუქცერდი მოზრდილ ყმანვილს, რომელიც გვიამბობდა ფილმს – “დიდი დათვის თანავარსკვლავედის შვილები”. რას ნიშნავდა ეს სათაური, საერთოდ ვერ მივხვდი, ვინაიდან ასტრონომიაზე არავინ მესაუბრებოდა, მაგრამ მაინც მეტად შემეშურდა, რომ ვილაცხები ნაზიარებნი იყვნენ ამ სრულიად მიმზიდველ სახელს.

სამაგიეროდ, კარგად მახსოვს პირველი ფილმი, რომელიც კინოში ვნახე, კვლავ და კვლავ მამაჩემთან ერთად: ეს იყო საბჭოთა რიბიზონ კრუზო, დღის სენასი. იქ ამბობდნენ, პარასკევას ქართველი თამაშობსო. ახლა ვიცი, რომ ირაკლი ხიზანიშვილი თამაშობდა.

მზიანი დღე იყო, კინოდან რომ გამოვედით სინათლემ თვალი მომჭრა. რობინზონ კრუზო წაკითხული არ მქონდა, მაგრამ წიგნი კი მენახა. მენახა კი არა, ჩემი იყო.

ბაჩამ მაჩუქა.

ბაჩა სრულიად უნიკალური პერსონაჟი გახლდათ. პირველი საჩუქრი, რომელიც მახსოვს, ბურთების სასროლი თოფი იყო, რომელიც საავადმყოფოშივე მომიტანეს, როცა გლანდები ამომაჭრეს. გლანდების კაციც მახსოვს: რომელსაც შუბლზე ის მრგვალი, ნახვრეტიანი სარკე ჰქონდა მიმაგრებული და მეჩხუბებოდა რაღაცეებს, როცა მაჭრიდა. ეტყობა მტკიოდა და ცუდად ვიქცეოდი, იმიტომ, რომ მეუბნებოდა, ესლა შევწყვეტ ოპერაციასო. გეგონება ვიცოდი, რას ნიშნავს ოპერაციის შეწყვეტა. მერე იმ სარკეზე სისხლის წვეთები დავინახე და ეს თოფიც ჩამახუტეს, რომელიც იქვე, საავადმყოფოშივე გამიტყდა. შინ პაბედამ მოგვიყვანა, ან სად იპოვეს ეგეთი მანქანა. სქელი საროჩკა მეცვა, ზამბაზისი. მაგრამ ახლა თოფზე არ ვლაპარაკობ, არამედ, პირველ წიგნებზე, რომლებიც მაჩუქეს.

ბაჩა, დაბალი, ასევე ჩამრგვალებული, შავგვრემანი ქალი იყო: ბაბუაჩემის ახლო ნათესავი, საბავშვო ლექსების მწერალი. ხშირად

მოდიოდა ხოლმე ჩვენთან და ღამითაც რჩებოდა უქმეებზე. უამრავი რამის მოყოლა იცოდა და როგორც ეტყობა, შინ იშვიათი ბიბლიოთეკა ჰქონდა: განსაკუთრებით ოცინანი, ოცდაათიანი წლების ქართული წიგნებისა. ამას ახლა ვატყობ, წიგნებს მჩუქნიდა ხოლმე და ისინი ოცდაათიანი წლებისა იყო. ჯერ რობინზონ კრუზო მომიტანა და მაჩუქა, მერე კი, ტომ სოიერის თავგადასავალი. ძალიან ძველი ტომ სოიერი იყო, ელენე ახვლედიანის ნახატებით. ინდიელი ჯოს მაგივრად ინდოელი ჯო ენერა: ეტყობა, მაშინ ასე თარგმნიდნენ. ნახატები იყო დაუვიწყარი. ახლაც მახსოვს. მაშინ ის წიგნი არ წამიკითხავს, მაგრამ კი ვათვალისწინებდი ხოლმე. ხმარებისგან გაცრეცილი, დაშლილი და თამბაქოსფერი ფურცლები ჰქონდა. ნახატებზე, ბიჭებს და გოგოებს რაღაცნაირი სახეები ჰქონდათ, დაჭყეტილი თვალები, ჩაცინებებიც სრულიად თაღლითური, მოძრაობებიც მაგარი იყო.

ბაჩა დიდად დრამატული ბედის ქალი იყო. ესეც, რა თქმა უნდა, მერე გავიგე, მარტოობა სძულდა და ამინებდა, სულ მარტო კი იყო. ძალიან მაგარი მოყოლა იცოდა. რას მიყვებოდა, დიდად არ მახსოვს, მაგრამ მაგრად რო მიყვებოდა, ეს ნამდვილია. სულ ვფიქრობდი, ნეტავ ამ წიგნებს ოდესმე თუ წავიკითხავ-მეთქი. სახლში წიგნების მეტი რა იყო, მაგრამ ბაჩას მოყოლილები მაინც სხვა გემოსი გახლდათ.

ქართული ფანტასტიკური რომანები თუ გსმენიათ ოცდაათიანი წლებისა? მგონი ივანე ყიფიანის წიგნს მიყვებოდა, სადაც პერსონაჟს გიორგი მოგელი ერქვა. გიორგი მოგელი: აგე, დღემდე მახსოვს ეს კაცი, რომელიც თეთრ კოსტუმში წარმომედგინა. ბაჩა ამბობდა, ამ წიგნში, ადამიანები საჭმელს არ ჭამენ, ბეჭდებს იკეთებენ და ასე ძღვებიანო. ესეც ქართული ნაუჩინი ფანტასტიკა.

ეს გიორგი მოგელი მხოლოდ ბაჩას მონაყოლიდან მახსოვს, მერე ისე ვიფიქრე, ივანე ყიფიანის პერსონაჟი უნდა იყოს-მეთქი, ყიფიანის ნაწერებს კი ეგრეც ვერ მივხვდი.

ყველაზე უფრო რაც არ მიყვარდა, კალამი და სამელნე იყო. მე ზუსტად იმის ბოლოს მოვესწარი, რომ, მგონი, მეოთხე კლასამდე, ჩანთაზე ნაქსოვ ტომსიკაში ჩადებული სამელნე მეჭირა და პენალში კალამი მედო. ეს მეტად არ მომწონდა, და რატომ არ ვიცი. ეტყობა, თხუზნიაობის გამო. სუფთა წერაშიც, პერსპექტივა არ გამაჩნდა... ოლონდ, ესლა სკოლის რაღაცეებზე არ ვლაპარაკობ, უბრალოდ, უცებ ვიფიქრე, რა არ მიყვარდა-მეთქი და სწორედ რომ კალამი, რაც შემდგომში გვარიანი უცნაურობა გამოდგა. ასევე მეჯავრებოდა ყველანაირი ხორცი და ჩემი ჭმევა ტრაგედია იყო.

იცი თუ მიყვარდა? ეზოს წინ ჭიშკართან რომ ვიჯექი იმ სკამიკაზე და ბაბუაჩემი რომ ამოდოდა აღმართზე, მუქი მწვანე ფართო ხალათი ეცვა, იყო მსუქანი და თავზე საზაფხულო შლაპა ეხურა. ვის გავდა და ჟან გაბენს. ერთხელ აიღო და შლაპა ანთებული სიგარეტით გამოიწვა შუა ადგილას, რის შემდეგაც გამოაცხადა, ზაფხულია, სიცხეა და ჰაერი უკეთ იმოდრავებსო. ასეთი ონაწრული რამეები ეხერხებოდა. სულაც არ დარდობდა, შლაპა რო გამოიწვა. აბა, მე გამომეწვა შლაპა. რა ამბავი ატყდებოდა?

რო ამოდოდა აღმართზე, გავიქცეოდი ხოლმე და დავეტაკებოდი. მგონი, ცხოვრებაც ეს არის, თან პატარა რო ხარ, გამოგდის ასეთი რაღაცეები. ახლა, რომც მოგიხდეს გაქცევა და დატაკება, ასჯერ დაფიქრებდი. ეს სიყვარულებიც, რაღაცნაირად შეკავებულია ხოლმე, ანდა ადამიანები ჩვეულებრივები ხდებიან, თუ რა არი, არ ვიცი. მგონი, ნამდვილი ადამიანი მაშინ ხარ, როცა პატარა ხარ, მერე, ვილაცა ხარ, იმის ნახევარიც არა, ბავშვობაში რომ იყავი.

პირველი სიბნელეც მახსოვს. ანუ, პირველი შუქის წასვლა. დედაჩემმა კინოში წამიყვანა, თუმცა, მგონი, მაშინ უკვე ცხრა წლისა ვიქნებოდი. კინო იყო, “ვერის უბნის მელოდიები”. მოვედით სახლში და ბნელა, ბუბიას ძველი ლამპები ჰქონდა. ვახ, როგორ წაფხდი. სახლში რო მოვდიოდით, იმას ვფიქრობდი, ესლა მედროვე პავლეს დაგხა-



ტავ-მეთქი. ლამის შუქზე, აბა, რა უნდა დამეხატა, დიდი ვერაფერი. მაშინ ასეთ რამეებს ვაკეთებდი ხოლმე: რვეულის სულ ბოლო გვერდზე სახეს ვხატავდი, მერე, ზედა ფურცლებზე, სახის ფორმაზე ამოჭრიდი ადგილს და ტანსაცემლს ვუხატავდი. ერთი ათს რომ გავაკეთებდი, ასე გამოდიოდა, რო თავი ერთია, ტანსაცმელი კი სულ სხვადასხვა. რატომ მომწონდა ასე, არ ვიცი. გადაშლიდი, სხვა ტანსაცმელია, ისევ გადაშლიდი, კიდევ სხვა და ასე გაუთავებლად. ლამის შუქზე მაინც დავხატე, მაგრამ მგონი, მალევე ჩამაგდეს ლოგინში, მაინც ბნელაო. ამ სიბნელემ როგორც მახსოვს, გვარიანად შემანუხა, ბებია კი თქვა, ომის დროს სულ სიბნელე იყო, რომც გქონოდა შუქი, მაინც უნდა ჩაგექრო, თვითმფრინავებიდან ქალაქი რომ ვერ დაენახათო. ისიც მოაყოლა, დაბლა ვიდექით ხოლმე, ქუჩის ბოლოში, მორიგეებადო.

იფ, ლამით მორიგეობა ჩვენი ქუჩის ბოლოში... დიდებული რამედ წარმოვიდგინე, იმიტომ, რომ ლამეები მომწონდა. ზოგჯერ ზაფხულში, თუ შემთხვევით არ დამაძინებდნენ, ეზოშიც კი ჩავდიოდი ხოლმე, ნიავი უბერავდა და სკამეიკაზე მეზობლები ისხდნენ. დიდი ბიჭები, ანდა რომელიმე ამომვლელი ჩაიმიუხლებდა ამ სკამეიკაზე მსხდომებთან. ვილაცა ონკანს მოუშვებდა და ეს ხმაც უხდებოდა იმ ზაფხულის ღამეს, ვარსკვლავებიც მახსოვს. ჰოდა, მორიგეობა მთლად მშვენიერი რამ იქნებოდა. ომისა არაფერი გამეგებოდა, მაგრამ ბებია ხშირად ახსენებდა ომს. უმცროსი ძმა, რომელიც თურმე, სწორედ აი, იმ ოთახში ცხოვრობდა, სადაც ახლა წიგნები იყო, გამთენიისას გაპარულიყო და მოხალისედ ჩაწერილიყო. ომი ჯერ კი არ იყო, მაგრამ ეს წასულა და ორიოდ კვირაში დაწყებულა კიდევ. ბებიას ჰქონდა მისი ერთადერთი წერილი, ომის დაწყებამდე სამი დღით ადრე გამოგზავნილი: ზედ შემშრალი ცრემლებით. ძალიან ხალისიანი წერილი იყო, როცა გავიზარდე, მერე წავიკითხე.

მაგრამ ეს ყველაფერი საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვარზე ხდებოდა: იქ პირველ სამ დღეში მოასწორეს ყველაფერი გერმანელებმა. ან სიკვდილი იყო, ან ტყვეობა და რახან ძმის დაღუპვის ცნობა არ მიუღიათ, ბებია ცოტათი მაინც ყოველთვის ფიქრობდა, რომ ის სადმე სხვაგანაა, რომელიმე ქვეყანაში.

რომ გავიზარდე, მივხვდი, რომ ეს ძნელი დასაჯერებელი იყო, რადგან უცხოეთში დარჩენილი ყოფილი ტყვეები საქართველოში უკვე ჩამოდიოდნენ კიდევ. ის კი არ ჩანდა. ბებია და მისი დები რომ შეიკრიბებოდნენ, აუცილებლად ლაპარაკობდნენ თავიანთ პატარა ძმაზე. აგერ, ბოლო დრომდე ასე იყო. ერთხელ, ამბავიც კი მოიტანა ვილაცამ, იუგოსლავიაში ნამყოფი კაცისგან მოთხრობილი, ტაქსში ჩავჯექით და მიძლოლი ძალიან გავდა თქვენს ძმასო, გამომიტყდა რომ ქართველი იყო, ოღონდ სახელი არ მითხრაო... ეს, მგონი, 80-იანი წლების დასაწყისში მოხდა. არ მგონია, ის ყოფილიყო.

იქ ჭიშკართან ჩემი ჯდომისას კი, ხანდახან მოდიოდა მაღალი და შავტუხა ბიჭი გელა, რომელსაც ასანთი ჰქონდა, ჭიანჭველების ბუდეებს ეძებდა და მერე მოკიდებული ასანთით დასდევდა ამ ჭიანჭველებს.

ეხლა კიდევ ერთი რამე გამახსენდა. ერიკა დევდსონ. ეს იყო პირველი უცხოური სახელი და გვარი, რომელიც დამამახსოვრდა.

ოღონდ ამ ამბავს სხვა დროს მოვყვები. ერთხელ კიდევ, ბაბუას ვყავდი ნაყვანილი სადღაც და ბორია პაიჭაძე შეგვხვდა. მისი ხმა მახსოვს.

ისით რა მიხვარდა? ეზოს წინ ჭიშკართან რომ ვიჯექი იმ სკამეიკაზე და ზაზუნაჩაი რომ ამოდიოდა აღმართზე, მუქი მწვანე ფართო ხალათი ეხვა, იყო მსუქანი და თავზე საჯაფხულო შტაკა ეხურა. ვინ გავდა და ჟან გაბენს.



ანკეცა

განათლება:

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კინომცოდნეობის ფაკულტეტი
- სასექსის უნივერსიტეტი, ინგლისი; მაგისტრის წოდება, მედიის მეცნიერებათა ფაკულტეტი
- ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, უნგრეთი, მაგისტრის წოდება, გენდერის მეცნიერებათა ფაკულტეტი

ზოგიერთი აკადემიური ნაშრომი

(რომელთა სათაურების თარგმნაც კი გაგვიჭირდა)

- კულტურული გლობალიზაცია, მულტიკულტურალიზმი და პოსტ-კოლონიური მდგომარეობა – გადაკვეთის ნერტილები”
- “ახალი ჰოლივუდის მამაკაცები: კრიტიკული მდგომარეობა”
- “ქალი-დედები: გიჟი სურვილის ლაბირინთებში”
- “დარღვეული იზოლაცია და კულტურული იმპორტი: როკ მუსიკა საბჭოთა საქართველოში და ფრანკოს პერიოდის ესპანეთში, 1960-70 წლები”.

პროფესიული საქმიანობა:

- ჟურნალისტი, რადიო თავისუფლების პრალის ბიუროს ახალი ამბების ცენტრალური სამსახური

ოჯახური მდგომარეობა:

- მეუღლე – ადრიანი

განსაკუთრებული ნიშნები:

- ექს-მწველი
- აქვს კარგი იუმორის გრძნობა
- აზროვნებს სხარტად და ლაპარაკობს ძალიან სწრაფად
- კლასიკური ტყუპებია – არაპროგნოზირებადი, ჯიუტი, ურთიერთგამომრიცხავი, ცნობისმოყვარე და სწრაფი

ყველაფერი სალომე ასათიანის შესახებ

ავტორი: შორენა შავერდაშვილი
ფოტო: დავით მისხი, პირადი არქივი

სალომეს იარლიყები არ უყვარს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასზე მესამე პირში წერა თითქმის შეუძლებელია. მე მხოლოდ იმის თქმის უფლება მაქვს, რომ ტომ ვეითსის ფანია და ვეგეტარიანელი. ეს ორად ორი იარლიყია, რაც მასში პრინციპულ დისკომფორტს არ იწვევს. ამიტომ, კულტურულ გლობალიზაციაზე, მემარცხენეობაზე, ფემინიზმზე და მასკულინიზმზე, ნაციონალიზმსა და მრავალფეროვანებაზე, მედიასა და ჟურნალისტიკაზე და, რაც მთავარია, გულწრფელ სენტიმენტებზე, სალომე პირველ პირში თავად მოგიტხობთ.

სალომეს იუმორის შესანიშნავი გრძნობა აქვს, თან დიპლომატია და დაგინდობთ, სტალინიზმისა და ფსევდო-ტოლერანტობის საფრთხეების განმარტებასთან ერთად, იმასაც გეტყვი, როგორ უნდა დაამარცხოთ ქსენოფობია და სიგარეტი!

უხსოვარ დროს

უხსოვარი დროიდან მეშვიდე კლასამდე წარჩინებული, წესიერი, ხუთოსანი ბავშვი ვიყავი. დედასთან ერთად ვმღეროდი, თეატრში მალვინას მათამაშებდა - ცისფერთვლებიანი, თმებიც ცისფერად მქონდა შელებილი.

მერვე კლასიდან რადიკალურად შევიცვალე. წავედი ზაფხულის არდადეგებზე და სექტემბერში სულ სხვანაირი დავბრუნდი — მომატებული, თმა შეჭრილი. დავინწყე შატალოებზე სიარული, რალაც პერიოდი ნიშნებიც გამოიფუჭდა. სხვა ინტერესები გამიჩნდა. დავინწყე როკის სმენა. დამაინტერესა 1968 წლის მოვლენებმა და ჰიპებმა, ოლონდ, ამის შესახებ ჯერ არაფერი ვიცოდი. ვუსმენდი ჯიმ მორისონს და ვწერდი მოთხრობებს მორისონის გავლენით, მწვანე გველებზე, მეფე-ხვლიკებზე და რა ვიცი. მოკლედ, სხვა რომანტიკა შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში. გავხდი მელანქოლიური, რომ არ ვთქვა, დეპრესიული — როგორც ხდება ხოლმე ხშირად, ამ ასაკში. ამან გამოიწვია გაუცხოება ჩემი თანატოლების მიმართ. პირველი სერიოზული, გაცნობიერებული განცდა, რომ “მე ცოტა სხვანაირი ვარ” ეგ იყო. წარმოიდგინე, 15-16 წლის ხარ და ბიჭები, ვისაც ეზრანჭები, ოჯახის წევრები, მეგობრები გეუბნებიან, რომ შენ “ქალის გარდა ყველაფერი ხარ”, იმიტომ, რომ არ იხატები, ქუსლებზე ვერ დგები. შეიძლება ცდილობ, მაგრამ ვერ დგები. თან ამ პერიოდში ხომ სხეული გეცვლება, ფსიქიკა გეცვლება, გოგოს მითუმეტეს.

მოკლედ, 2-3 წელი ჩემს თავს კარგად ვერც ვფლობდი, არც ვიცნობდი და ჩემს სხეულთანაც გაუცხოება მქონდა.

ამ გაუცხოების და კომპლექსების მიუხედავად, სკოლის დრო მაინც კარგად მახსენდება. თუმცა, სკოლის პერიოდის ბევრი მეგობარი, სამწუხაროდ, დაკარგე. ერთი სოფო შემომრჩა. ოლონდ, მას, ალბათ, უკვე მეგობარი აღარც ჰქვია — 25 წელია ვემეგობრობთ, უკვე ჩემი ცხოვრების ორგანული ნაწილია. ჩემი პირველი “რომანიც” სკოლას უკავშირდება, თუმცა, მგონი უკვე მაშინ მქონდა გარკვეული იდეოლოგიური პრობლემები — განსაკუთრებულ გენდერულ პლანში. გვექონდა პრობლემები. ახლა კი შეიძლება. პათეტიურად ჟღერდეს, მაგრამ ვიდრე გავიგებდი გენდერი და ფემინიზმი რა იყო, უკვე აშკარა პროტესტი მქონდა “ქართულ-ტრადიციული” ურთიერთობების წესების მიმართ — ქალმა რომ თავისი ადგილი უნდა იცოდეს და კაცმა — თავისი და რალაც ასეთი სისულელები. ამიტომაც, გამიხარდა მოგვიანებით იმის აღმოჩენა, რომ თურმე, ამ

ყველაფერს თავის სახელი ჰქვია და ამ ყველაფერზე ძალიან ბევრმა ჭკვიანმა ხალხმა იფიქრა.

მოკლედ, გარდატეხის ასაკში ძალიან ინტენსიური ცვლილებები მოხდა ჩემს თავს. მერე მშობლებს დაუფუჯერე და უნივერსიტეტში, დასავლეთ-ევროპულზე ჩავაბარე. დედაჩემი განსაკუთრებით აქტიურობდა. ინგლისური უკვე კარგად ვიცოდი და მითხრა, ინგლისურის სპეციალისტი გამოდი, იმიტომ, რომ მარტოს რომ მოგიწიოს თავის რჩენა, სტუდენტებს მოამზადებ და შემოსავალი გექნებაო.

უნივერსიტეტში ერთი სემესტრი ვისწავლე და მერე ინგლისში წავედი. პირველად, ენის კურსებზე, სამი თვით. ეს არის სადღაც 1994 წელი. ინგლისში წასვლა ერთგვარი პირველი გარდატეხა იყო. მანამდე ეტაპები შემზადება იყო ამ ცვლილებებისთვის. დამატებით ორი თვე დავრჩი — ოფიციალტად ვმუშაობდი და ჩემს პირველ დამოუკიდებელ ცხოვრებას იქ ვეზიარე.

„ერთ საერთო სასხოვრებალში ვსხოვრობდით და აღრიანვა სულ მესმოდა, რომ არის ერთი ძალიან სიმპათიური ბალკანელი ბიჭი. ვილასეაზი იმასაც ამბობდნენ, ჯეიმს დინს ჰბავსო. ბოლო-ბოლო ერთ-ერთ საშობაო წვეულეაზა ბავიყანი და სრულიად მოვიხიბლე“.



მწვანე ტალღა

“მწვანე ტალღაზე” მისვლა როკ დიჯეად 1996 წელს — ესეც ერთ-ერთი საეტაპო მოვლენაა ჩემს ცხოვრებაში. ჩემით მივედი და იქ მართლა სხვა სამყარო დამხვდა. პირველად ტომ ვეითსი იქ მომხვდა ყურში. “Blue Valentines” უკრავდნენ. არც ტომ ვეითსი ვიცოდი. მაშინ ვგიჟდებოდი ჯიმ მორისონზე, ჯენის ჯოპლინზე. მინდოდა ჯენის ჯოპლინს ფიზიკურად დავმსგავსებოდი და ამას ყველანაირად ვცდილობდი. ვკითხულობდი რალაცეებს და 68 წლის ამბების სრული რომანტიზაცია მქონდა, რაც, სხვათა შორის, დღემდე მაქვს გამოყოლილი, ოლონდ, იმედი მაქვს, ცოტა უფრო ღრმად და არა ისე ინფანტილურად, როგორც მაშინ. თუმცა, ვინ იცის.

იქ ბევრი კარგი ადამიანი დამხვდა. ხშირად, ლამის ცვლაში ვიყავი ხოლმე როკ-დიჯეი. რადიო მაშინ მეთვრამეტე საათულზე იყო და წარმოიდგინე, უყურებდი მთელს



ქალაქს, ჩაბნელებულს და უშუქოს. ხალხი ბატარებით უსმენდა რადიოს, გვირეკავდა, გვიკვეთავდა სიმღერებს... ძალიან საინტერესო ადამიანები რეკავდნენ — ვეტერანი როკერები, თავის დროზე რენტგენის ფიზიტებს რომ უსმენდნენ, და ახალგაზრდები, რომლებიც ნირვანას და თანამედროვე როკს ითხოვდნენ. მსმენელები რადიოშიც მოდიოდნენ ხოლმე, ვუსმენდით მუსიკას და ვლაპარაკობდით. მაშინ პირველად გავიარე, რომ ალტერნატიული, სუბკულტურული ცხოვრებით ჩვენს გვერდით ბევრი ადამიანი ცხოვრობს.

დიდი დინამიკები გვქონდა, ფანჯრებს ვაღებდით და როკს ვუკრავდით ბოლო ხმაზე. ჩაბნელებული ქალაქი და როკი. ნამდვილი რომანტიკა!.. ასე გაგრძელდა 2 წელი. ფანტასტიური დრო იყო, მიუხედავად იმისა, რომ ომების შედეგად დანგრეული იყო ყველაფერი. ის შესაძლებლობა, რომელიც მე მომეცა, მდიდარ ქვეყნებში ახალგაზრდებს, ალბათ, ძალიან იშვიათად ეძლევათ.

მერე, საქართველში ყოველ ჩამოსვლაზე მწვანე ტალღაში ვბრუნდებოდი ხოლმე. რალაც პერიოდში ციკლსაც ვაკეთებდი - “სექსუალური რევოლუცია” ერქვა. ვინვევდი სტუმრებს და ვლაპარაკობდით ყველაფერზე - დანყებული სკოლაში სექსუალური განათლებით, უმცირესობებით, ხელოვნებაში სექსის რეპრეზენტაციით, დამთავრებული შიდსით, “ქალწულობის ინსტიტუტით”, და ეროტული ქარიზმის ფენომენით.

სხვათა შორის, ჩემი გამოცდილებით შთაგონებულმა, ჩემმა უმცროსმა დამ, ნატუკამ, უკვე სკოლის ბოლო კლასებში დაიწყო დიჯეად მუშაობა. დღესაც რადიოშია — “უცნობში” — ახლა უკვე ახალი ამბები მიყავს. ძალიან მიხარია ნატა რომ მიყავს. ერთმანეთს თან ძალიან ვგავართ, და თან სრულიად სხვადასხვანაირები ვართ. ისიც ისეთივე ცნობისმოყვარე და დამოუკიდებელია, როგორც მე ვიყავი მის ასაკში. თუმცა, ჩემთან შედარებით, ბევრად უფრო მშვიდია და თავდაჯერებული. ალბათ, იმის გამოც, რომ ჩემნაირი უფროსი და ყავს ჭკუის მასწავლებლის როლში!.

„ჩემი თიჩარი“

ინგლისიდან რომ დავბრუნდი, 1994 წელს, მივხვდი, რომ სხვა ფაკულტეტზე მინდოდა გადასვლა. ამ დროს ტელევიზორში სულ გოგი გვახარია ჩანდა და როგორც ბევრი სხვა, მეც აღტაცებული ვიყავი მისი გადაცემებით. ამიტომ დასავლეთ-ევროპულიდან საბუთები გამოვიტანე, სახლში ვთქვი, მე აქ ველარ გავაგრძელებ სწავლას-მეთქი და უფასო ფაკულტეტიდან ფასიანზე, კინომცოდნეობაზე გადავედი.

ფოტო: მიორია ნაშობაძე

ისტორია

გოგი კინოს ისტორიას და თეორიას მიკითხავდა. ნამდვილი კერპი იყო სტუდენტებისთვის. არასოდეს დამავინწყდება, პირველად მეორე კურსზე როგორ მკითხა რალაც ფილმზე, მოგეწონაო? ჩემი აზრი აინტერესებდა. ეს უსერიოზულესი ამბავი იყო მაშინ. ახლა მართლა ნოსტალგიურად მახსენდება ის პერიოდი. წარმომიდგენია, თვითონაც როგორ იცინებს ამ ჩემი მოგონებების წაკითხვისას.

მერე უკვე გადაცემის კეთება დავიწყეთ ერთად და ამან ძალიან შემმატა თავდაჯერებულობა. თვითონ შემომთავაზა მოულოდნელად, მოდი “მწვანე ტალღაზე” გადაცემა გავაკეთოთო. გადაცემას “ვერტიკალური მონტაჟი” ერქვა, და კინომუსიკაზე იყო. წამყვანები გოგი და მე ვიყავით.

მოგვიანებით, “ფსიქოს” პერიოდში ვეხმარებოდი, კლიპებს ვაკეთებდი და ღია ეთერში ტელეფონებს ვპასუხობდი. ეგეც როგორი გამართლებაა! სხვა ქვეყნებში რომელ სტუდენტს ეძლევა საშუალება აიღოს პაზოლინის, ფელინის და კენ ლოუჩის ფილმებიდან კადრები და კლიპი ააწყოს. ხომ გამორიცხულია? ამ დროს მე სრული თავისუფლება მქონდა. ვიღებდით ერთ თემას კინემატოგრაფის ისტორიაში, ვთქვით ნარკომანიას, ან კერპთაყვანისმცემლობას, ან რომელიმე რეჟისორის შემოქმედებას. მერე გოგისთან კონსულტაციით და შთაგონებით, ვიღებ-





REUTERS / ანთონიო

„ბეზიაზე ახლოვანი აღმნიანი ღვინე არ მყავს. მას არს ფიზიკური თეორია აქვს ნაკითხული და არს იქნის ეს ყველაფერი – თვითონ ღვინეაღმნიანი – მებრამ მე შეგნებულად, პრინციპულად არ მასწავლა კერვა. ბიჭებთან ურთიერთობაზე მუშაობდა, შენ არაფერი ღვინე, შენს თავზე იფიქრე, მთავარია, შენი საქმე, შენი განწყობა, განვითარება, კარიერაო. ბეზია რომ მაგას გეტყვის, საქართველოში!.. სახლში ასეთი საყრდენის ყოლა ძალიან მნიშვნელოვანია. ამ მხრივაც ძალიან გამიმართლა.

დი რამდენიმე ფილმს, სადაც ეს თემა იყო განვითარებული. იქიდან ვკრებდი კადრებს, ვადებდი მუსიკას და ვწერდი ტექსტს. რამდენიმე კლიპი ძალიან კარგი გამოივიდა... ახლაც რომ ვუყურებ, მომწონს. მაგალითად პაზოლინი... ძალიან საინტერესო პერიოდი იყო. თითქოს მაშინ რაღაც იწყებოდა. „ფსიქო“ სალონური გადაცემა კი არა, ბომბი იყო. საზოგადოებრივ აუციონაჟს იწვევდა. სალონური გადაცემები ამას ვერ ახერხებდნენ. დღემდე ვთვლი, რომ ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამართლება გოგისთან შეხვედრაა. პათეტიკურად უღერს, მაგრამ ასეა. გოგისთან ურთიერთობისას მთლიანად გამიქრა იმის შეგრძნება, რომ სხვანაირი ვარ და რომ ჩემი არავის ესმის. პირიქით. ჩვენი ურთიერთობა სრული კომფორტი და ახალი სამყაროს აღმოჩენა იყო. თუ ვინმემ მოახდინა ჩემზე პირველი და მართლა წარუშლელი ზეგავლენა, ბეზიის მერე, რომლის გაზრდილიც ვარ, გოგი იყო, ნამდვილად. ჩემი „თიჩერი.“

პირველი საყრდენი

დედაჩემი 20 წლის იყო მე რომ გამაჩინა. ვარსკვლავი იყო, მომღერალი და იმ პერიოდში ახალი დაწყებული ქონდა მამაჩემთან ერთად კვარტეტში სიმღერა. ისინი ბევრს მოგზაურობდნენ და ბუნებრივია, ბეზიას მოუწია ჩემი გაზრდა, დედის დედას. ბეზიაზე ახლოვანი აღმნიანი დღემდე არ მყავს. სულ სხვა დამოკიდებულება ჰქონდა თავის შვილებთან, მკაცრი დედა იყო. მე კი ძალიან მიადევლდებოდა ბეზია-ბაბუასთან ურთიერთობა. ბეზია არც ფემინისტურ პოლიტიკას იცნობს და არც გენდერის თეორიებს - თვითონ დიასახლისია, პერსპექტიული, ნიჭიერი სტუდენტი იყო, მაგრამ შვილების გამო სახლში დაჯდომა მოუწია – მაგრამ მე შეგნებულად, პრინციპულად არ მასწავლა კერვა. სულ მეუბნებოდა, ისეთი სამსახური უნდა გქონდეს, რომ სხვებმა შეგიკერონო. საჭმლის კეთება მე თვითონ მაინტერესებდა, ვუყურებდი და რაღაცეები ვისწავლე. ბიჭებთან ურთიერთობაზეც ბეზია მეუბნებოდა,

შენ არაფერი ღვინე, შენს თავზე იფიქრე, მთავარია, შენი საქმე, შენი განწყობა, განვითარება, კარიერაო. ბეზია რომ მაგას გეტყვის, საქართველოში!.. სახლში ასეთი საყრდენის ყოლა ძალიან მნიშვნელოვანია. ამ მხრივაც ძალიან გამიმართლა.

ბაბუა? — ბაბუა მყავს ფანტასტიური. ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორია. საოცრად ნიჭიერი, ლალი, ხმაურიანი, მღერის და დღემდე ჩოგბურთს თამაშობს, ყოველ შაბათ-კვირას. ცოტა ხნის წინ, ადრიანს ჰყავდა თავის პროფესორი და მისი ცოლი სტუმრად. ერთ საღამოს ჩვენთანაც მოვიდნენ სახლში და ბაბუამ ისე უმღერა, უცეკვა და სადღეგრძელოები უთხრა, გადარეულები წავიდნენ, „აგულიიიი“-ს ძახილით.

მოკლედ, მთელი ბავშვობა ბეზია-ბაბუასთან მაქვს გატარებული და თბილისში ადრიანთან ერთად რომ დავბრუნდი, ისევე მათთან ერთად ვიცხოვრეთ. არც გვექონია ცალკე ცხოვრების სურვილი. ადრიანსაც უკვე თავის ურთიერთობა აქვს მათთან. ბაბუა და ის ნარდს და დომინოს თამაშობენ ხოლმე ხშირად.

ადრიანი

უკვე მეორედ რომ წავედი ინგლისში, ბრაიტონში, მაგისტრატურაზე, 1999 წელს, ეს უკვე საბოლოო გარდატეხა იყო ჩემს ცხოვრებაში. იქ ჩემი ფორმირება მოხდა როგორც ინტელექტუალური, ისე პიროვნული ან თუნდაც პოლიტიკური თვალსაზრისით. მაშინ ბრიტანეთის საბჭოს მიერ გამოცხადებულ სტიპენდიების კონკურსში გავიმარჯვე და ასე წავედი. დღეს თუ რამე შეხედულება მაქვს, ან რაღაცაზე ჩამოყალიბებული წარმოდგენა, ძირითადად ინგლისში გატარებული იმ ერთი წლის დამსახურებაა. ადრიანიც იქ შემხვდა.

ადრიანთან სასაცილო ისტორია იყო. ბრაიტონში ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი. თვითონ სწავლის პროცესიც ძალიან საინტერესო იყო. დღე და ღამე ბიბლიოთეკაში ვათენებდი, იქ მეძინა ფაქტობრივად, მაგრამ, არც ერთი წუთით არ მიგვრძნია, რომ „ვმეცადინებოდი“. ახალი თეორიები და კონცეფციები აღმოვაჩინე. საოცარი, მართლა ეიფორიული პერიოდი იყო — ეგეთი აღარასოდეს მქონია, მიუხედავად იმისა, რომ მერეც ბევრი ვისწავლე.

მოკლედ, ერთ საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით და ადრიანზე სულ მესმოდა, რომ არის ერთი ძალიან სიმპათიური ბალკანელი ბიჭი. ვიღაცეები იმასაც ამბობდნენ, ჯეიმს დინს ჰგავსო. ბოლოს საშობაო წვეულებაზე გავიცანი და მართლა მოვიხი-

ისტორია

ბლე. მაშინ თვითონაც სხვანაირი იყო, ძალიან გამხდარი და რალაცნაირი სასაცილო, დაჟინებული გამოხედვა ჰქონდა — ეტყობა ესმოდა კომპლიმენტები და იფერებდა. მოკლედ, მომეწონა. მაგრამ არ ვიცი, უბრალოდ, არ მჯეროდა ღრმა და რომანტიკული სიყვარულის იდეის, თუ იმიტომ, რომ დაღლილი და ტრავმირებული ვიყავი წინა ურთიერთობის დასასრულით, გადავწყვიტე, რომ სერიოზულ ურთიერთობას ვერ დავინყებდი. ვსეირნობდით, კინოში დავდიოდით. ოღონდ პირველივე დღეს, როგორც კი მივხვდით, რომ აღარ ვართ მხოლოდ მეგობრები, ვუთხარი, რომ ჩვენს შორის სერიოზული ვერაფერი მოხდება, კარგი ბიჭი ხარ, მომწონხარ და მოდი, სანამ აქ ვართ, ვიყოთ ერთად-მეთქი. კარგიო, დამთანხმდა.

ასე ვიყავით მთელი წელი. კინოში დავდიოდით, კაფეში ვისხედით, ძალიან ბევრს ვლაპარაკობდით. საერთო მართლა ბევრი გვექონდა — სხვა თუ არაფერი, ჩვენი ქვეყნები გავდა ერთმანეთს პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობით. თუმცა ასეთი “მსუბუქი რომანი” დიდხანს ვერ გავაგრძელებ — ზაფხულში, თავის დაბადების დღეზე, ადრიანმა მითხრა რომ ასე, “კონტრაქტებით” ურთიერთობა აღარ უნდოდა. ბრაიტონში, სანაპიროზე ვისხედით, კოცონები გვენთო, ვმღეროდით და ვიცინოდით — ბევრნი ვიყავით, ადრიანის დაბადების დღეს აღვნიშნავდით. რალაცნაირი, “ჰიპური” ლამე იყო, მართლა ლალი და თავისუფალი. და უცებ გამომიცხადა, ცივი და რაციონალური ხარ, როგორ შეგიძლია ასე “კონტრაქტებით” ურთიერთობაო. გული დამწყდა, ჩავთვალე რომ ისევ არ გამიმართლა და “ვერ გამიგეს”. კიდევ კარგი მერე ბუდაპეშტში წავედით.

„ერთხელ დავურაკე დედაჩემს ინგლისიდან და ვუთხარი, რომ ჩვენს შორის მთავარი პრობლემა მასკულინური გენეოლოგია ყოფილა-მეთქი... ამონდა, ამონდა დედის მიმართ ანტაგონიზმები, აბარა მანეს ვთვლი, რომ ეს სარიოზულ პრობლემად არ ქცეულა. თვითონაც ხვდავოდა, რომ აზრი არ ჰქონდა ჩემთან კამათს. ყოველთვის ჯიუტი ვიყავი და ისე ვსხოვრობდი, როგორც მოხონდა“.



მეორე შანსი - ზულაქეზი

ასეთი განცდა იმიტომ იყო, რომ ადრიან-მაც და მეც ერთად მივიღეთ სტიპენდიები ცენტრალურ ევროპის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად, და ინგლისიდან ორივე ზულაქეზში მოვხვდით. წარმოიდგინე, ადრიანსაც რომ არ მიეღო ეს სტიპენდია და ერთად არ წავსულიყავით, ვერასოდეს ველარ ვნახავდით ერთმანეთს. ახლა რომ ვფიქრობ ამაზე, ძალიან მეშინია. ალბათ, თან ვერც კი მივხვდებოდი, ვინ დავკარგე.

ზულაქეზში რომ ჩავვედით, ცოტა ხანს ისევ მხოლოდ ამხანაგები ვიყავით. სტუდენტური ცხოვრების შესაფერისად, სტიპენდიის დასაზოგად ბინა ერთად ვიქირავეთ. მთელი ერთი სემესტრი ადრიანს ინგლისელი გერლფრენდი ჰყავდა - მოდიოდა, ერთად ვსადილობდით. ჩემთანაც ვილაცხვებოდი ჩდებოდნენ და ქრებოდნენ. მაგრამ, ამ ერთი სემესტრის განმავლობაში მე და ადრიანი უკვე მართლა ძალიან დავმეგობრდით - ტელევიზორს ერთად ვუყურებდით, სადილს ერთად ვაკეთებდით, ვიცინოდით. და მალე მივხვდით, რომ ერთმანეთი გვიყვარს. მოკლედ, ძალიან გავვიმართლა — ჯერ ქართველმა და ალბანელმა რომ ერთმანეთი ინგლისში გავიცანით, და მერე უნგრეთში რომ აღმოვჩნდით ერთად. პირველი შანსი გავუშვი ხელიდან, მაგრამ მეორეც მომეცა. ასე რომ, ხანდახან თუ ზემოთ ავიხედები ხოლმე, ამაზე ვფიქრობ. ადრიანი ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი გამართლება!

დედა და მასკულინური ბენეოლოგია

ოჯახში განსხვავებული ღირებულებები გვაქვს, მაგრამ ერთი, რაც ყველას გვაერთიანებს კარგი იუმორის გრძნობაა. ეს გვშველის. დედაჩემა და მამაჩემა იმიტომ გაძლეს ერთად, რომ შეუძლიათ, შუა კონფლიქტის დროს, ყოველგვარი მოგვარების და გადაწყვეტის გარეშე, ორივემ სიცილი დაიწყოს. მამასთან მე ყოველთვის განსაკუთრებულად კარგი ურთიერთობა მქონდა, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ძალიან კარგად გვესმოდა ერთმანეთის. ალბათ, პირველ რიგში იმის გამო, რომ იუმორი გვაქვს ზუსტად ერთნაირი.

ძალიან მალე მივხვდი, რომ დედის მიმართ პრეტენზიები ბანალურია და მეტი არაფერი. შვილზეც ბევრი რამეა დამოკიდებული.

პირველად რომ ვნახე ბერგმანის “შემოდგომის სონატა”, ძალიან დამაფიქრა ამ ფილმმა. მერე ინგლისში რომ წავედი, მედიის პარალელურად, გენდერის საკითხებს ვსწავლობდი. მაშინ ფსიქონალიზით ვიყავი გატა-



ცებული, განსაკუთრებით ფსიქონალიზის ფემინისტური კრიტიკით. რამდენიმე ავტორი პირველად ნავიკითხე. დედასთან ურთიერთობის გააზრებაში განსაკუთრებით დამეხმარა, ფრანგი ქალია ასეთი, ლუს ირიგარე. ახლა ზედმიწევნით სერიოზულად ველარ აღვიქვამ, მაგრამ მაშინ ჩემთვის მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. სწორედ ის წერს ქალიშვილების და დედების ურთიერთობის რეპრეზენტაციზე დასავლურ კულტურაში. ამბობს, რომ ბიჭების და დედების ჰარმონიული ურთიერთობების ბევრი მაგალითი არსებობს, მაგრამ ბერძნულ მითოლოგიაში დემეტრასა და კორას მერე, გოგოებსა და დედებს შორის ჰარმონიული ურთიერთობის შემთხვევა კულტურაში თითქმის არ ყოფილაო. ამ ურთიერთობას ყოველთვის რაღაც პრობლემა ახლავს თან, ან კაცია შუაში. ეს ფროიდთან უკვე მოცემულია, რომ გოგონა პატარაობიდან დედის მიმართ გაუცხოებას გრძნობს და თუ მას მამასთან მიჯაჭვულობა არ უჩდება, ის უკვე პათოლოგიურად ვითარდება. ანუ, დედის მიმართ ანტაგონიზმი ნორმალურ განვითარებად ითვლება. ეს კი ფემინისტებისათვის, რასაკვირველია, პატრიარქალური კულტურის მორიგი გამოვლინებაა.

მერე ვნახე აღმოდგომის “მაღალი ქუსლები” — დღემდე ვთვლი, რომ ასეთი ფილმი დედის და ქალიშვილის ურთიერთობაზე არ არსებობს. “შემოდგომის სონატაზე” და “მაღალ ქუსლებზე” თემაც კი დავეწერე — შედარებითი ანალიზი. მახსოვს, ერთხელ დავურეკე დედაჩემს ინგლისიდან და ვუთხარი, რომ ჩვენს შორის მთავარი პრობლემა მასკულინური გენეოლოგია ყოფილა-მეთქი. ვერ გაიგო, რასაკვირველია, მაგრამ მეც

ნახევრად ხუმრობით დავურეკე. მოკლედ... რაღაც ასაკამდე მქონდა დედის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, ბევრს ვკამათობდით, არა მხოლოდ ჩვენს ურთიერთობაზე, ზოგად და განყენებულ თემებზეც. მაგრამ, მაინც ვთვლი, რომ ეს სერიოზულ პრობლემად არასოდეს ქცეულა. რაღაცეები არ მოსწონდა, ჩემი ცხოვრების სტილი არ ესმოდა. დღემდე არ მოსწონს რაღაცეები, ვერ ხვდება, მაგალითად, ბავშვი რატომ არ მყავს, მაგრამ ასეთი სხვადასხვაობა ალბათ ნორმალურია.

ახლა ძალიანაც მომწონს, რომ ცნობილი, ლამაზი და ცოტა ექსტრაგავანტული დედა მყავს. ურთიერთობაც ძალიან კარგი გვაქვს — ხშირად მე ვარიგებ ხოლმე ჭკუას. სრული თანასწორობაა!..

მოკლედ, ბევრი რაღაც შვილზეც არის დამოკიდებული და არ შეიძლება მშობლების მიმართ გაუთავებელი პრეტენზიები. როგორც ერთმა ჩემმა მეგობარმა თქვა, არსებობენ ცუდი დედები და მამები, მაგრამ უფრო ხშირად არსებობენ სულელი და ეგოისტი შვილებიო.

სადისერტასიო თემატიკა და „მნიშვნელოვანი ფიგურები“

ინგლისში, მას-მედიის თეორიების და კვლევის მეთოდების სწავლისას, განსაკუთრებით გამიტაცა გენდერის ფილოსოფიამ. ყოველთვის მაინტერესებდა, მაგრამ იქ საშუალება მომეცა ძალიან ბევრი მიმართულება და მიდგომა შემესწავლა.

ავტორი: ნინო ბერიშვილი
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

იური ბერიშვილი (ფერწერა)

პერსონალური გამოფენები:

- 1994 – თბილისი, სისფარი გალერეა
- 1999 – „ახსურდის ილუზია – ქენ საბანი“ – N გალერეა
- 2000 – „Fecit“ – TMS გალერეა
- 2002 – Emygration – აშშ საელჩო
- 2004 – TMS გალერეა
- 2007 – TMS გალერეა

კოლექციები და ფონდები:

მსოფლიო ბანკი, ვაშინგტონი, აშშ ნორტონ და ნენსი დოდჯების ნონკომფორმიზმის ფონდი, ზიმერლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, აშშ კოლოდ ზეის თანამედროვე ხელოვნების ფონდი „ახალი ხელოვნების კოლექცია“, ნიუ ჯერსი, ნიუ იორკი, აშშ. საქართველოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი/საქართველოს ეროვნული გალერეა, აშშ საელჩო გერმანიის საელჩო ქორთიარდ მარიოტი „მაგთი GSM“ – თბილისი

პროექტები:

- პროექტი – “Berish-Cinema” – 2002
- გუგენჰაიმის მუზეუმი - კოლოდ ზეის თანამედროვე ხელოვნების ფონდი /არქივი/
- აშშ პროექტი – „ალი ბაბუ და ყაჩაღები“
- ცარიცინოს თანამედროვე ხელოვნების ფონდი რუსეთი /არქივი/2003



ვახუშტი 1981, ორბელიანი ხაზი 27x63 სმ

არტ-პროფოკაბორი

„ვან გოგისა არ იყოს, იგი ხელოვნებაშიც ზუსტად იქ დგას, სადაც მხატვრობაში. თუმცა, პირადად მე შორსა ვარ განზრახვისაგან, ბერიშვილი დავასაჩუქრო ისეთი ბანალური დითირამებით, როგორცაა: ეთიკურობა, ნონკონფორმიზმი და ა. შ. ერთი კია, იგი მართლაც უკომპრომისო მხატვარია და ეს თვისება ხელსაც კი უშლის, ლაღად ჩაენეროს არტისტურ სოცლანდშაფტში. იგი არასდროს ელაქუცება რეციპიენტს, არ ცდილობს მისი გულის მოგებას, ანდა, თვალის მოტყუებას, პირიქით, გამუდმებით უწყობს მაყურებელს ერთგვარ პროვოკაციას, „აბნევს“, ყოველივე ამით კი, ლამობს თვალის რეფლექსია განუვითაროს მას...

დავით ანდრიაძე,
არტ-კრიტიკოსი

ჩარჩოს ბარეში



„ასეთი არჩევანი რომ დამიყენო – მხატვრობა თუ სამომხლო, ისევ მხატვრობას ავირჩევ. ვინაც რა უნდა, ის თქვას, ამის გარეშე არ შემიძლია. თუ ვინმე მეტყვის, რომ ჩემს ფარწარას უპატრონებს სხვა ქვეყანაში, სხვა ქვეყნის მოქალაქეობას მივიღებ. ჩემთვის ქვეყანა, სამომხლო არის მხატვრობა“.

იური ბერიშვილი დღეს ნამუშევრებს სახელებს აღარ არქმევს, ადრე არქმევდა, დღეს ის პირისპირ გეტოვებს ნახატთან, თვლის, რომ მის ნახატებს სახელი არ სჭირდება, ის კი არა, ჩარჩოშიც არ სვამს, – არც ჩარჩო და საზღვარი სჭირდება ნახატს, ამბობს, – “როგორც კი ჩარჩოში სვამ ნამუშევარს, ის იმ წუთას ხდება საგანი, რომელიც უნდა გაიყიდოს. არ მიყვარს ჩარჩოები. აღმოსავლურ მინიატურებს, იაპონურ აკვარელებს სულ არა აქვთ ჩარჩო“. ის თვითონაც ეგეთია, სულ ცდილობს ამ ჩარჩოების გარღვევას და, არც არის გასაკვირი – იური ბერიშვილი მხატვარია.

პირველად რომ შეეხვდი, ეგრევე მკითხა, – შემომხედეთ, ვგავარ მხატვარს? იური მაღალია, მე – დაბალი. აეხედე და, მართლა არ ჰგავს-მეთქი, ჩემთვის გაეფიქრე, ხმამაღლა არაფერი მითქვამს...

– ვგავარ მხატვარს? არ მაცვია ისე, როგორც მხატვრები იცვამენ, არ ვარ საღებავებით მოთხვრილი, არ ვსვამ, ტუსოვებს

არ ვეკარები. პალიტრასაც კი არ ვხმარობ, ხელს მიშლის, ზედმეტი დროის კარგვაა ჩემთვის. სიმართლე გითხრა, “მხატვარი“ სოციალური სახელი უფროა. ბავშვობიდან სულ ვხატავდი, ვკითხულობდი, მუსიკას ვუსმენდი (არადა, აღმოჩნდა, რომ თურმე, რაგბსაც პროფესიონალურად თამაშობდა). არა მაქვს დიდი პრეტენზია, ასე ვცხოვრობ, ფოტოლივით, ჰაერივით, თავისუფალი ვარ და შემიძლია ვთქვა, რომ როცა რაღაცას ვაკეთებ, მჯერა ჩემი თავის.

დილას დგება, ბუნებაში გადის, აქვე თბილისში, იპოდრომზე, ან ლისის ტბაზე, ან სადმე, ახლომახლო. სეირნობს, მერე ვილაცხვებს ხვდება, მერე ხატავს. ლამაზობითაც ხატავს თურმე და ძალიან უყვარს ლამე. სულ ხატავს. სახელოსნოც კი არა აქვს, არც ჰქონია არასდროს, იცის საკუთარი თავისა და შემოქმედების ფასი, და ამაზე ხმამაღლა საუბარს არ ერიდება, თვლის, რომ იმ სივრცეში არ მოხვდა, სადაც მის შემოქმედებას გაიგებდნენ და დააფასებდნენ.

ისე მოხდა, რომ ბერიშვილს უცხოეთში უფრო კარგად იცნობენ, ვიდრე ჩვენში. მისი ნამუშევრები ამერიკისა და ევროპის ცნობილ კოლექციებშია, ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის კოლექციაში კოლდერის, პიკასოსა და მიროს გვერდითაა გამოფენილი. თვითონ – ძველი საბჭოეთის საზღვრებს არასდროს გასცილებია. არადა, ძალიან უნდოდა წასვლა, უბრალოდ, ასე მოხდაო, ამბობს. მშვენიერი მოსაუბრეა, ვსაუბრობთ მხატვრობაზე, მერე ცხოვრებაზე, მუსიკაზე, პოეზიაზე, მერე ისევ მხატვრობას ვუბრუნდებით, მაინც ფერწერის ირგვლივ ვტრიალებთ.

– როდის მუშაობთ ყველაზე კარგად და რა ახდენს ყველაზე დიდ ზეგავლენას თვითონ ამ პროცესზე, ხატვაზე? რა გაძლევთ იმპულსს? რა გიშლით ხელს?

– მუშაობა ყოველთვის შემიძლია, თუ ფიზიკურად კარგად ვარ და თუ იმ დროს ხელს არავინ მიშლის. მუშაობა მარტოს მიყვარს, დამსწრეების გარეშე, თუ ეს მუსიკა ან სიჩუმე არ არის. ბუნებრივია,

ზეგავლენას ჩემი განწყობა და იმ დღის მომხიბვლელობაც ახდენს, რომელსაც ვხედავ და განვიცდი, კიდევ – მუსიკა, ხშირად ვუსმენ მუშაობისას. იმპულსი, მართლა არ ვიცი, რას ნიშნავს ამ შემთხვევაში – ფერი, მისი ხარისხი და ენერჯია. ზოგჯერ მზე ან ღამეც.

იური ოთხმოციანელია, ეს, ალბათ, ყველაზე მკაფიო და ნათელი თაობაა თანამედროვე ქართულ მხატვრობაში. თაობაა, რომელმაც უკვე ამ სახელით შევა ისტორიაში – ოთხმოციანელები.

– ქართულ მხატვრობაში რამდენიმე თაობა იყო, დიდი ოსტატების, აქ, ჩვენთანაც პატარა აფეთქება მოხდა, ზოგადად, ეს პერიოდი, 80-იანი წლები, მაგარი დრო იყო – გენიალური ანსამბლები, ჯაზი, კინო. მაგრამ, ამასთანავე, ეს იყო ჯანმრთელი სულის დეკადანსის დასაწყისი. როცა ოქროს ეპოქა ყვავის და ვერავინ ვერ ხვდება, რომ სინამდვილეში უკვე ჭკნება. 90-იანების მერე ეს ყველაფერი თითქოს დაიკარგა. ჩვენი თაობაც აპყვა დროს. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აღმოსავლურმა აზროვნებამ, ვილაცხვები ანთროპოსოფიით იყენენ გატაცებულები, ვილაცხვები – ეზოთერიკით, ვილაცხვები – ახალი ხელოვნებით, ბოისით, კონცეპტუალიზმით და ა. შ. ეს ფანტასტიკური წლები იყო. მაშინ “ინასტრანაია ლიტერატურა“ გამოდიოდა, სერიოზული ნაწარმოებები ითარგმნებოდა. და ჩვენი თაობაც ჩართული იყო ამ დიდ პროცესში.

იური ბერიშვილი წლების მანძილზე პროფესიონალი რაგბისტიც გახლდათ.

– ეს იყო ცხოვრების ძალიან კარგი და მძაფრი პერიოდი. რაგბს უმაღლეს ლიგაში ვთამაშობდი. რამდენჯერმე აკადემიაში ორიანიც კი დამინერეს რაგბის გამო. დავდიოდი შეკრებებზე, თამაშებზე და ვაცდენდი ლექციებს, მერე არჩევანის წინაშე დავდექი: ან რაგბი უნდა მეთამაშა, ან მხატვარი უნდა ვყოფილიყავი. და, რა თქმა უნდა, მხატვრობა ვარჩიე. სხვა გზა არა მაქვს.. ასეთი არჩევანი რომ დამიყენო – მხატვრობა თუ სამშობლო, ისევ მხატვრობას ავირჩევ. ვისაც რა უნდა, ის თქვას, ამის გარეშე არ შემიძლია. თუ ვინმე მეტყვის, რომ ჩემს ფერწერას უპატრონებს სხვა ქვეყანაში, სხვა ქვეყნის მოქალაქეობას მივიღებ. ჩემთვის ქვეყანა, სამშობლო არის მხატვრობა. სხვა არაფერი ვიცი. არა ვარ პატრიოტი, ეს სიტყვა თვითცილისწამებაა, დიდი ტყუილია...

– კი, მაგრამ ამის გამო ხალხი კვდებოდა.

– არა, არა, ადამიანები მინის, ოჯახის, შვილების გამო კვდებოდნენ, ბუნების გამოც. იდეისთვის მეც მოვკვდები. ოღონდ ეს სიტყვა – პატრიოტიზმი, არ მომწონს. ბალანჩინი არ იყო პატრიოტი? ლექსო თორაძე, ოთარ იოსელიანი უდიდესი პატრიოტები

არიან. საქართველოს სახელი არ არის მათი შემოქმედება? ხომ ვამაყობთ? თავისუფლება მაგარი რამეა. ხელოვანს არ სჭირდება ეს საზღვრები. როცა ქვეყანა ამაყოფს თავისი გენეტიკური პროდუქტით, მერე აღარ აინტერესებთ, ვინ იყო პატრიოტი და ვინ არა. სოციუმში ვცდილობ არ გავერიო, მასის ტიპი არ ვარ. უცხოეთში რომ ვყოფილიყავი, ნამდვილად მეტს გავაკეთებდი. რეალურად ასეა – იგებს ის, ვინც დროს იგებს. მე კი დრო დავკარგე. მესამე მთავრობას რომ ველოდებოდით, და რეალურად არაფერიც არ შეცვლილა ჩვენი თაობისთვის, რომელიც მთავარი დასაყრდენი იყო „ნეოროზენკრეციერებისთვის“ და მათი ყანმგარი ოპონენტებისათვის. აქ კულტურა შეიცვალა ფიზიკულტურით და ფინკულტურით (ფინანსისტების კიტჩკულტურით), მატერიალიზმის უსირცხვილო აპოლოგიით და მატერიალისტური პარადიგმებით. ამ პროცესსაც ჰყავს თავისი “მხატვრები“, საკუთარი პოსტმოდერნისტული სტილებით, ყველაფრის მცო-





დნე ტელენამყვანებით და ჯიბის მაჰატმე-ბით. შეხედეთ რა სოციალურ-აბსურდული პერფორმენსია... საბოლოოდ, ფრთა ჩავი-ქნიე. ტყე შეუნახე შეილებსა.. ჰოდა, მეც ტყე ვარ, თუ არა? თანაც მრავალფეროვანი, თავისი აკრძალული ნაყოფით, სადაც ბაობაბებიც იზრდებიან და წითელქუდეებიც დარბიან, ზოგი ჩვენი ბავშვობის დროიდან, ზოგიც – ეროტული და უკვე ცხოვრებაგამო-ვლილი – პოსტმოდერნისტული დროიდან.. მქონდა ერთი აბსურდული-ირონიული კონცე-ფცია-აქცია. პროექტს “ალი ბაბუ და ყაჩა-ლები” ერქვა, აქცია თავდებოდა კოლაჟით – დიდი მუყაოს გულზე წითელი ვარდებით და ირონიული წარწერით – „ჰეპი ენდ“. ეს იყო 2002 წელს. თითქოს ვინინასწარმეტყველეთ ის, რაც მერე 2003 წლის ნოემბერში მოხ-და. ტელეჩანაწერიც არსებობს. სამი წლის შემდეგ კი მარატ გელმანმა ეს იდეა გამოი-ყენა გამოფენაში – “რასია 2“, ეს იყო ჩემი ერთგვარი პროტესტი და გაღიზიანება სო-ციუმის მიმართ. აქაურობა, რა თქმა უნდა, მიყვარს. რაც არ მიყვარს, არც მინდა იმაზე ლაპარაკი, ხატვა ყველაფერს მაგინყებს, შე-მოქმედების მეტი არაფერი მაქვს, ესაა ჩემი სოციალური ბრენდი.

– თქვენი გამოფენებიდან, რომელია თქვენ-თვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და გა-მორჩეული?

– პირველი სოლო გამოფენა, 1994 წელს



მქონდა ეროვნულ გაღრმავებაში. დაუფინყარი გრძნობა იყო. ეს იყო პირველი გამოფენა ომის შემდეგ. გაღრმავების გარეთ დარჩა გადამწვარი რუსთაველი. მეჩვენებოდა, რომ უცნაურ სამშობლოში მოვხვდი, სადაც არავინ იცოდა რა იყო ომი, ერთადერთი იარაღი ფერის ესთეტიკა, სიჩუმე და გრძნობა იყო, რომლითაც ტილოები თავს იცავდნენ შემთხვევითი „სხვებისგან“. მეც იქ ვიყავი. მერე, 1999 წელს იყო – „ძენ საგანი – აბსურდის ილუზია“, ამ პროექტის გამეორებას ვაპირებ. გავისხენებ 1989 წლის „დამოუკიდებელი ასოციაციების“ გამოფენასაც, რომელიც ძირითადად სერგო კენჭაძემ და მე გავაკეთეთ მხატვრის სახლში. მაშინ მივიღე პირველი „სიამოვნება“ გურამ პეტრიაშვილის გულითადი და „კულტურული“ საქვეყნო კრიტიკისგან – მე და დავით კაკაბაძე არაერთგვარულ მხატვრობაში დაგვადანაშაულა. გამოფენები მქონია ამერიკაში, ზიმერლიში, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, პარიზში, ხუან მიროს საგამოფენო დარბაზში, წელს ვაშინგტონში, „ატრიუმში“, მსოფლიო ბანკის საგამოფენო დარბაზში, საიდანაც მერე ამ კოლექციაში მოვხვდი.

– როგორი გრძნობა გრჩებათ პერსონალური გამოფენების შემდეგ? რაიმე ეტაპი მთავრდება?

– ეს მხოლოდ სოციალური მომენტი, სინამდვილეში არაფერი იცვლება გამოფენის შემდეგ. გამოფენა არის ობიექტი, რომელსაც აქ სხვადასხვა მიზეზის გამო, უბრალოდ, ვერ აკეთებ იდეალურად. არა, ნამდვილად არ იცვლება არაფერი. ჩვენთან არაა გაღრმავების სტრუქტურა. დასავლეთში სხვანაირად ხდება. გაღრმავები აფინანსებენ მხატვარს. მხატვარი მშვიდად მუშაობს, მერე გამოფენას აწყობს და გაღრმავება თვითონ ზრუნავს გაყიდვაზე. მთელი სისტემაა, ადამიანში რისი რესურსიცაა, ზუსტად იმდენს გააკეთებს, მე ვიცი, რაც შემიძლია.

უკვე მეორეჯერ ვხვდები იური ბერიშვილს და ვფიქრობ, რომ ასკეტიკა. ვეუბნები კიდევ, თვითონ უარობს, არაო.

– ასკეტიკი კი არა, პრაგმატული ტიპი ვარ, რას მოიგებ, ბევრი რომ დალიო, ნარკოტიკი გაიკეთო, დრო რომ ატარო? ისეთ დროს ვატარებ ამ მოგზაურობაში, ფერწერა რომ ჰქვია, ბევრს არც დაესიზმრება, ამას ასკეტიზმთან საერთო არაფერი აქვს. ასკეტი

მოუკიდებელი და ღრმა სტრუქტურაა კოსმოსის, რაც უფრო ძნელად იმართება საზოგადოების მიერ, მით უფრო მეტად არ უყვარს ის საზოგადოებას. თუ ის ნეგატიური ძალაა, საზოგადოება ცდილობს გაანადგუროს, თუ პოზიტიურია, მაინც არ უყვართ. ეს არაა ახალი ამბავი.

– გწყდებთ გული, ნახატი მყიდველს რომ მიაქვს, თუ ფიქრობთ, დამაცადეთ, უკეთესს გავაკეთებ!

– ყოველთვის არა, მაგრამ არის ისეთი ნამუშევრები, რომლებიც დამნაწილია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისეთ ძუნ მყიდველთან გაქვს საქმე, რომელიც არასდროს დაგინდობს (მით მეტად, რაც უფრო მდიდარია), გევაჭრება. ამ მაგიურ რიტუალს რამდენიმე კვირის გამნავლობაში იმეორებს, ჯერ სახლში სარკესთან, მერე ჩემს სახლში – სურათთან, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს აბსტრაქციაა (რატომაც!). ამ დროს თავი უნამუსო და ბოროტი მგონია, რომ იმის მდგომარეობაში არ შევდივარ და “ვანვალე” და სირცხვილისგან არ ვიცი, რა ვქნა. საბოლოოდ, ის თავისას აღწევს და ხვდება ისტორიაში, იაფად... ტრეტიაკოვის, შჩუკინის და



„ჩვენთან არაა ბალერაების სტრუქტურა. დასავლეთში სხვანაირად ხდება. ბალერაები აფინანსებენ მხატვარს. მხატვარი მშვიდად მუშაობს, მერე გამოფენას აწყობს და გაღრმავება თვითონ ზრუნავს გაყიდვაზე. მთელი სისტემაა, ადამიანში რისი რესურსიცაა, ზუსტად იმდენს გააკეთებს, მე ვიცი, რას შემიძლია“.

ცდილობს, გრძნობები ჩაიხშოს, მე – პირიქით, შეხედეთ ჩემს ნახატებს!

– მიგაჩნით, რომ სოციალურად აქტიური უნდა იყოს მხატვარი? უნდა ჩაერთოს პოლიტიკაში? დღეს ეს დღეს საკმაოდ აქტიუალური თემაა ჩვენში.

– არა. ნამდვილად არა, ეს არაა მხატვრის საქმე, სამწუხაროდ, ხშირად პოლიტიკაში ერთგებიან დაკომპლექსებულები, მეგალომანები, ძალაუფლების სიყვარულით დაავადებულები. მხატვარი უნდა იყოს აუთენტური. სოციუმი უკვე თავს და უდგენს ადამიანს ნორმას. ბავშვი თავისუფალი იბადება, მერე იზრდება და მიდის მასზე ნადირობა ოჯახის, სკოლის, სოციალური ინსტიტუტების, საზოგადოების მიერ და საბოლოოდ მონა ხდება სოციუმისა და არა მეგობარი. რაც უფრო ინდივიდუალურია ადამიანი, რაც უფრო და-



ისტორია

მედიჩებისგან განსხვავებით. როგორ გგონიათ, ამის შემდეგ უკეთესს არ გავაკეთებ?

ნახატებს აღარ ვარქმევ სახელებს, ადრე ვარქმევდი, ხატავ და ერთხელაც შეიძლება მოვიდეს ის, ძენში სატორის რომ ეძახიან, ამ ნახატს “ახლა” ჰქვია, რამდენიმე ნახატს – “უმიზეზო ლანდაშაფტი”. ერთ ნახატს “კვირადლე” დავარქვი, კვირადლესავით ნათელი გამოვიდა და იმიტომ. მაქვს სერია “ლამე”, მიყვარს ლამე და ლამლამობით მუშაობა. მისტიკური დროა ლამე. ხომ გითხარით, მხატვრობა მოგზაურობაა, ბილეთი არ სჭირდება, ბენზინი სჭირდება მარტო, ეს ბენზინია – ჯანმრთელობა, საღებავები, და დაცვა სოციუმისგან. ამ ყველაფერს უბრალოდ ვუყურებ. ვხედავ, ვიზიონერი ვარ, და რასაც ვხედავ, იმას ვხატავ. მთარგმნელი ვარ, მხატვრობის ენაზე ვთარგმნი იმას, რასაც ვგრძნობ და განვიცდი. მხატვრობა ჩუმი ხელოვნებაა, არ სჭირდება სიტყვები, ტვინი კი არ ერთვება, ინტუიციით ხდება ეს. ყველაფერს ჩემი ქვეცნობიერებიდან და ხედვიდან ვაკე-



მხატვრობა მოგზაურობაა, ბილეთი არ სჭირდება, ბენზინი სჭირდება მარტო, ეს ბენზინია – ჯანმრთელობა, საღებავები, და დაცვა სოციუმისგან. ამ ყველაფერს უბრალოდ ვუყურებ. ვხედავ, ვიზიონერი ვარ, და რასაც ვხედავ, იმას ვხატავ.



თებ, ამიტომაცაა ჩემი. მხატვრები ხშირად კომპილტორობენ და არა მარტო ქართველები, რა უნდა ქნა? ინტერნეტით პლაგიატობას ვერ დაუმტკიცებ ვილაც ზოტს ნიუ-იორკში. (იური ბერიშვილის ნამუშევრები, რომლებიც “არტ-ლონდონზეა” გამოფენილი, ვილაც ამერიკელ ზოტს პირდაპირ გადაუხატავს, თურმე, საიტიც გაუკეთებია და ყიდის კიდევ)

სულ ვცვლი სტილებს, ვაკეთებ ტრანსფორმაციებს, მიყვარს არტ-პროვოკაციები. პროვოკატორი ვარ ხელოვნებაში. ესაა ის, რაც არასდროს გბეზრდება, და შეიძლება იქამდე მიიყვანო, რომ სტილი სულ გაქრეს, და საბოლოოდ ტრანსცენდენტამდე მიხვიდე, თავისუფალი ხარ, მიდიხარ სივრცემდე, ფერამდე, მერე ფერს იქით, ფერი პირველი ოქტავაა, იმის იქით სხვა ოქტავებია, სხვა ნათებებია.

ბერიშვილი ბევრ ნახატში ამუშავებს აღმოსავლურ თემატიკას, დახატული აქვს – „ვედანტა“, „ტიბეტი“. მთელი პროექტი – “ძენ საგანი – აბსურდის ილუზია“, ოღონდ მასთან მხოლოდ თემატიკა და აქცენტებია აღმოსავლური, ისე კი, ბერიშვილის მხატვრობა ევროპული ხელოვნების ნაწილია.



– აზიაში ვარ დაბადებული, ორი კვირა ვიცხოვრე იქ. ვხუმრობ ხოლმე, აღმოსავლეთით გატაცება ჩემი ესთეტიური გარყვნილების ერთ-ერთი დადასტურებაა-მეთქი, – სინამდვილეში, აღმოსავლეთმა ბევრი რამ მომცა, გადამარჩინა. უბრალოება მასწავლა. იაპონელებს აქვთ ეს პრინციპი, აქ პირველ ადგილას ყოველთვის მეტაფიზიკა დგას, დასავლური ხელოვნება კი სულ რაღაცის გამართლებას ეძებს – სიუჟეტის, ამბის, თვითონ ხელოვნების გამართლებას. რუსებს ხომ საერთოდ, მძიმედ აქვთ ამ მხრივ საქმე, რაც ვიზუალურ ხელოვნებას შეეხება, თუ რუსულ ავანგარდს არ ჩავთვლით და კიდევ ხატწერას, იმას, რასაც რუბლიოვი აკეთებდა. ეს სულიერი სფეროა. მიყვარს სიმშვიდე, არ მიყვარს ფორიაქი, მაზოხისტი არა ვარ, რეალურად აღმოსავლეთის ხელოვნება დასაბამიდან არ შეცვლილა. ვილაცამ იცოდა ხალიჩების ქსოვა და ქსოვდა, ვილაც იაპონიაში გენიალურ აკვარელებს ხატავდა, ვილაც შაიკუებს წერდა. დასავლეთი კი ახალი ადგილია, რომელიც დინამიურად

ვითარდება. აღმოსავლეთი ძალიან დამეხმარა, ავცდი დეპრესიას, ავცდი სოციალურ მასწავლებლებს და ჩემი გზით მივდივარ...

– თქვენი ნახატები მსოფლიოს პრესტიჟულ გალერეებშია.

– და არასდროს არ მინახავს ისინი იქ, იმიტომ, რომ იქ არასოდეს ვყოფილვარ – ჩემმა ფერწერამ დამასწრო. ვიცი, სად მივდივარ მხატვრობაში, ვექტორი ნაღდად ვიცი, ის არ ვიცი, სად და როდის თავდება, ეს ღმერთმა იცის მხოლოდ. ვილემ დე კუნინგს იცით რა ისტორია ჰქონდა? წავიდა ნიდერლანდებიდან ამერიკაში, და როცა ვარსკვლავი გახდა ამერიკელებმა მოქალაქეობის მიღება სთხოვეს, ჩადეს მასში ინვესტიცია და დღეს ამაყობენ, რომ კუნინგი ამერიკელი მხატვარია. ობიექტი რომ გააკეთო, ამისთვის კულტურული სივრცეა საჭირო, უცხოეთში ამას აკეთებ, აქ – ვერა. იქ აფასებენ ასეთ ხელოვნებას, აქ როგორც ჩანს, ჯერ არაა ამის დრო. საქართველოს დღეს ჩემი მხატვრობა არ სჭირდება, სჭირდება პური და წესიერი მართვა.

ოთარ იოსელიანი რომ წავიდა, კინოს იღებს. ფერწერა, რომელსაც მე ვაკეთებ, უნდა გააკეთო პარიზში, იტალიაში, ან შტატებში. აქ სხვა პრობლემაა, აქ საგნებს აგროვებენ, და არ უნდათ თანამედროვე, თავისუფალი მხატვრობა, რომელსაც არა აქვს ნაციონალური აქცენტი. ფიროსმანსაც კი არ ჰქონია ეს ნაციონალური აქცენტი, ფორმა ჰქონდა ნაციონალური, თორემ ფიროსმანის ვერცხლისფერი ველასკესის დონეზეა. თანაც, გადაწყვეტილებებს მძიმედ ვიღებ, დიდხანს ვფიქრობ, ჩემი მძიმე თავია ჩემი კონკურენტი...

– ნაციონალური აქცენტები ახსენეთ, გლობალიზაციის მომხრე ხართ?

– არა, სხვა რამ ვიგულისხმე. გლობალიზაცია რამდენიმე მილიონი წლის წინ დაიწყო. ამიტომ, ჩვენ გამოცდილების მილიონერები ვართ, მაგრამ ჭკუას მაინც ვერ ვსწავლობთ და ვეძებთ ამ ბუნებრივი პროცესის პროკურორს, რომელსაც “კრიმინალმა” სოციოლოგებმა გლობალიზაცია დაარქვეს.

>>> ბაგრძილია გვ. 198






წავალ, დაველაპარაკები, რა იცო, რა ხდება?!

ავტორი: სალომე კიკაღიაშვილი
ფოტო: ლევან ხარხელიძე, არქივი

ერთ მონჯღრეულ შენობაში ვართ. მე, ლევანი, ზაზა და ზაზას მწვრთნელი ავთო. „რამდენი პროცენტია თოკის განყვეტის?“ – ძალიან სერიოზული გამომეტყველებით ეკითხება ლევან ხერხეულიძე, ხელოვნურ კედელზე ასაცოცებლად მომზადებულ ზაზა რუსაძეს, რომელმაც ახალი თოკი და ასაცოცებლად საჭირო ახლად შეძენილი ალჭურვილობა უნდა გამოსცადოს. მართალია, კითხვა უბასუხოდ არ დარჩა და ზაზას მწვრთნელმა რაღაც ჩაიბურტყუნა, მაგრამ მე და ზაზამ განგებ, რაღაცეებზე ხმამაღლა დავინწყეთ ლაპარაკი, რომ ვერაფერი გაგვეგო. ჰოდა, სანამ ლევან ხერხეულიძე აპარატის ობიექტივში იყურებოდა, ჩემთვის, კუთხეში მოვკალათდი და ვცდილობდი, ყველაფერი გამეხსენებინა, რაც ჩემს დღევანდელ რესპოდენტზე ვიცოდი, რაც თავად მოუყოლია და სხვებისგან მომისმენია.

ბევრი არაფერი ვიცოდი. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ ოდესღაც ოთხი ნომერი სათვალე ეკეთა და ყოველ კვირა, „საყმანვილო ტელევიზიის“ ეთერში, თანატოლი ამერიკელების, გერმანელების თუ კიდევ სხვა ქვეყნების მოზარდებზე გვიყვებოდა ამბებს. 18 წლის იყო, როცა საქართველოდან წავიდა და ბერლინში დასახლდა. როცა საყმანვილო ტელევიზიას და იმ დროის საქართველოს მოღურ ინსტიტუტებს გაექცა. ბერლინის ბაბელსბერგის კინო-სკოლა დაამთავრა და მას მერე, მთელ თავის დროს მოგზაურობას და კინოს კეთებას უთმობს. ისიც ვიცი, რომ სახლი არა აქვს, რადგან ამ კითხვას მოკლედ პასუხობს: „სახლი? ალბათ, ჩემი სახლია თბილისი, ბერლინი, კიოლნი და ამსტერდამიც“, ის ადგილები, სადაც კინოს კეთების სურვილის გამო მოხვდა; ვიცი, რომ მისმა სადიპლომო ფილმმა „ბანდიტები“, რომელიც 1983 წლის თვითმფრინავის ბიჭების გახმაურებულ ამბავს ეხებოდა, დიდი წარმატება მოიპოვა და ახლაც, მისი აქ ჩამოსვლა ახალ პროექტს უკავშირდება. საქმე მის პირველ სრულმეტრაჟიან ფილმს ეხება, ჰოდა, ამიტომაც ვიფიქრე, წავალ, ვცდი, დაველაპარაკები, რა იცი რა ხდება?!



„ქალიან მომეწონა ის ბერლინი, რომელის ბარდაშავალ პერიოდში დამხვდა. ჯერ კიდევ არ ჰქონდა ერთიანი სახე, ყველაფერი იქმნებოდა და ყველასთვის ღია ქალაქი იყო“.

ბერლინში გაქცევა – „სასწავლავლად მივდივარ.“

95 წელია. მთელს ქალაქში დენი არ არის და ამიტომ, CD-ზე ჩანერილი წერილი და CV ვერსად ამობეჭდა. წერეთლის მეტროდან ბახტრიონის ქუჩამდე, ფოტოს გასამუშავებელი სითხეები ხელით ათრია, მაგრამ ისეთი ხარისხის ფოტოები დაბეჭდა, აი, აპარატის გამოგონების ეპოქაში, ანუ მე-19 საუკუნეში, პირველი ფოტოგრაფები რომ ბეჭდავდნენ. მთელი საბუთები თავიდან დაწერა, ამჯერად უკვე კალმით, ფოტოებთან ერთად ერთ დიდ კონვერტში ჩაყარა და იმდროინდელი ქალაქის სიამაყე – ნოვო-ალექსეევკას სახელობის თბილისის ჩამორღვეულ აეროპორტში წაიღო. კონვერტი და 20 მარკა უცნობ პილოტს გადასცა და სთხოვა – თუ შეიძლება, გერმანიაში რომ ჩახვალთ, ეს კონვერტი საფოსტო ყუთში ჩააგდეთო. ის კაცი გერმანიაშიც ჩაფრინდა და ამბის შემდეგი განვითარებიდან

გამომდინარე, კონვერტი საფოსტო ყუთშიც ჩააგდო, რადგან სულ მალე, ბაბელსბერგის კინო-სკოლიდან, პასუხი მოვიდა –

ზაზა რუსაძე ჩაირიცხა კინო სკოლაში, გთხოვთ ჩამობრძანდეთო.

– „არანაირი გაუცხოება არ მქონია, პირიქით, ისე მომწონდა მარტო ყოფნა... მარტო ტიპი ვარ, ვგიჟდები მარტობაზე. რაც ძალიან დიდი დოზით მჭირდება. ვგიჟდები ისეთ ადგილებზე, როგორც ნეიტრალური ზონებია: ავტობანები, აეროპორტები, რკინიგზის სადგურები; არც ერთ ადგილს არ ვეკუთვნი და ეს ძალიან მომწონს. თბილისში რომ იტყვი, მარტოს მინდა სასეირნოდ წასვლაო, ყველა ფიქრობს, რომ თავი უნდა მოიკლა. შარშან ფუნუკულიორზე ავედი, კარგი იყო, ბევრი ვისეირნე. ბოლოს ძაღლიანი დაცვა გამოიქვიდა – ეს ადგილი გაყიდულია, კერძო საკუთრებაა და „დავაი“ ახლა აქედან, დროზე მოუსვითო. მერე ახალი

ადგილი ვიპოვე - მცხეთაში, გზის პირას. რამდენიმე რესტორანია და ერთ ადგილას, ხის ძირას, მაგიდა დგას. მივდივარ, ლიმონათს ვსვამ და უკან მოვდივარ. ახალი ჩამოსული რომ ვიყავი, სახლში ინტერნეტი არ მქონდა და მითხრეს, შარდენზე წადი, იქ ვაირლესიაო. მოვდიოდი, ვითომ სამუშაოდ და ყველაფერი იმით თავდებოდა, რომ 8 საათის განმავლობაში სულ ვილაცქევს ვხვდებოდი, ვლაპარაკობდი, რაც სასიამოვნოა, მაგრამ... ინტიმურობა არ აქვს ამ ქალაქს.

ძალიან მომეწონა ის ბერლინი, რომელიც გარდამავალ პერიოდში დამხვდა. ჯერ კიდევ არ ჰქონდა ერთიანი სახე, ყველაფერი იქმნებოდა და ყველასთვის ღია ქალაქი იყო. იქ, სადაც დღეს ცენტრებია, მატარებელიც კი არ ჩერდებოდა – სადგური გაუქმებული იყო. მხატვრებს რალაც ნანგრევებში ჰქონდათ ატელიეები და ყველაფერი ჯერ მხოლოდ იქმნებოდა, ყველგან გრაფიტი

გხვდებოდა... ეს ყველაფერი ძალიან ცოცხალი იყო. მაგრამ, ამ 11 წლის მანძილზე რადიკალურად შეიცვალა, ის კაფეები, სადაც გცნობდნენ და ყოველ დღე დადიოდი, ტურისტული ცენტრები გახდა, ძალიან გამაღიზიანა უცებ გაჩენილმა ჰომოგენურმა სუბკულტურამ, ყველა ხელოვნებას აკეთებდა, ყველას ერთნაირი გემოვნება გაუჩნდა... ამიტომ კრიტიკებში გადავედი, დასავლური უბანია, რომელსაც ნაკლებად შეეხო ეს ცვლილება, თურქების უბანია და ძალიან ინტერნაციონალური ადგილია.

საკმაოდ გამიჭირდა. რთულია, თან ისწავლო და თან ფინანსურ მხარეს მიხედო. ჯერ, რადიკალიზაციის ორივე გამოხატულება, მერე ერთი წელი აკადემიურის ალება დამჭირდა, რომ სწავლისთვის ფული დამეგროვებინა. ყველგან ვმუშაობდი: კაფეში, მშენებლობაზე, პლაზმაც ჩამიბარებია საავადმყოფოში, იმიტომ რომ 40 მარკას მიხდიდნენ. თუმცა, ვერ გეტყვი, რამდენად საჭირო იყო ასეთი რადიკალური გამოცდები.

თუ კონცენტრირებული ხარ რამეზე და იმედს არ კარგავ, ყველაფერი გამოვა. დღეს ბევრი ქართველია გერმანიაში, რომლებიც ჩამოდიან და იტყუებიან, რომ იციან რა არის გერმანული კულტურა თუ გერმანული საზოგადოება. ნამდვილად ვიცი, რომ თავიანთი საცხოვრებელი სახლის კედლებს არ გასცილებიან და არც გერმანულ მეგობრებთან ჰქონიათ ურთიერთობა. ანუ რაღაც ჩაკეტილი დიასპორა შექმნეს. სამწუხაროდ, ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც დღეს აქ, მთავრობაში სხედან და საზოგადოების მოწყობის ევროპულ მოდელს ქადაგებენ.

თუმცა, ეს ჩემი წასვლა... იცი რა, ასე

დაერქვა – სასწავლებლად წასვლა, თორემ სინამდვილეში, ეს გაქცევა იყო, ბევრი რამისგან გაქცევა.

ბაქსევა

გაგანია საბჭოთა კავშირის დროს დაიბადე, საკმაოდ ნომენკლატურულ ოჯახში. ჩემი დიდი ბაბუა იუსტიციის მინისტრი იყო, ანუ დაიბადე ოჯახში, რომელიც... მორგებულ-არმორგებული, არ ვიცი, მაგრამ დისიდენტების ოჯახი ნამდვილად არ იყო და მატერიალური თვალსაზრისითაც კარგად ვიყავით. ყველაფერი მქონდა, მაშინ არც სისტემა და არც მსგავსი რაღაცეები არ მალეუვებდა, უბრალოდ, ეს ყველაფერი, უცბად, ჩემს თვალწინ დაინგრა, ნანგრევებად იქცა. სისტემის გაქრობა, ნგრევა ოჯახშიც, რასაც პრივილეგიების გაქრობა და მატერიალური პრობლემები მოჰყვა. მახსოვს, ერთხელ, სახლში დიდი არეულობა იყო. დღემდე არ ვიცი, რა მოხდა, იმიტომ, რომ დღესაც, არც ერთი ჩემი ოჯახის წევრი არ არის მზად იმისათვის, რაიმე რომ მიამბოს იმ ამბავზე. ვერ ვხვდებოდი, რატომ იყვნენ ოჯახის წევრები ოთახში ჩაკეტილები, სადაც არ მიშვებდნენ. ხვდები, რომ რაღაც ხდება, მაგრამ, შენ არ გეუბნებიან, დღემდე არ ვიცი რა მოხდა, რადიკალიზაციის მისტიური შურისძიება იყო სხვა ოჯახისა ჩემს ოჯახზე, რომელიც იმდენად ბუნდოვანია, რომ ჩემს ვერსიას ვაწყობ.

სკოლაში ხუთოსანი ვიყავი, უფრო სწორედ, ძალიან მონესრიგებული ადამიანი. შეიძლება, იმდენად ქაოტური ვარ შინაგანად, რომ ეს გარეგნული წესრიგი თუ პედანტურობა, დასაბალანსებლად მჭირდება, არ



ფოტო: ლუკან სიმბაულუკიძე



ფოტო: ლუკან სიმბაულუკიძე





„ავანტიურისტის ვიყავი, ქართული ენის გამოცდაზე გავდიოდი, ვიღებდი ზილეთს – ქართული რომანტიზმი, არაფერი არ ვიცოდი და ვიწყებდი ნოვალისის ლექსებზე ლაპარაკს, რომელიც გერმანულიდან ვიცოდი; ვყვებოდი ვიქტორ ჰიუგოზე... მერა აღარაფერს მემკითხებოდნენ, აბა, ეს ხომ თავისთავად ეცოდინებაო...“



ვიცი. ყოველთვის ყველაფერი ძალიან კარგად ვიცოდი, ყველა მასწავლებელი გიჟდებოდა ჩემზე და ამან ერთი პერიოდი კინაღამ დამღუპა, წარმოდგენა არ მაქვს ქიმიაზე, ფიზიკაზე, მათემატიკაზე, გეომეტრიაზე. ვერ წარმოედგინათ, რომ რაღაც არ ვიცოდი; თან ავანტიურისტი ვიყავი, ქართული ენის გამოცდაზე გავდიოდი, ვიღებდი ბილეთს – ქართული რომანტიზმი, არაფერი არ ვიცოდი და ვინყებდი ნოვალისის ლექსებზე ლაპარაკს, რომელიც გერმანულიდან ვიცოდი; ვყვებოდი ვიქტორ ჰიუგოზე... მერე აღარაფერს მეკითხებოდნენ, აბა, ეს ხომ თავისთავად ეცოდინებო... სკოლას რომ ვიხსენებ, რასაც ბაღზე გეუბნებოდი, ის მახსენდება: დაუფარავი სისასტიკე, იერარქიული წყობა... ნამდვილი ჯოჯოხეთი. ალბათ, ეს კიდევ იმის ბრალია, რომ ძალიან მგრძნობიარე ადამიანი ვარ და ვერ ვისხლექ რაღაცებს. სხვანაირი ტიპი ვიყავი და ამიტომ... ჰო, თან გაბრაზებული და ჯიუტი ბავშვი ვიყავი. დაძალება გამოიცილებოდა იყო. ბავშვობის ფოტოებს რომ ვუყურებ, ყველგან ძალიან გაბრაზებული სახე მაქვს. ზღვაში არ მიყვარდა შესვლა, ნ წლამდე ვერავინ ვერ მოახერხა რომ წყალში შევეყვანე, არ მინდოდა და მორჩა. ახლა? კი ჯიუტი ვარ, ოღონდ იცი... ამ სიჯიუტეს დამხმარე იარაღად ვიყენებ, იმიტომ, რომ ყველაზე დიდი ცოდნა, რაც ადამიანებს გაგვაჩნია, ინტუიციაა. გამოცდილება მიჩვენებს, რომ ის, რასაც ინტუიტიურად ვგრძნობ, ყოველთვის მართალია.

ერთ დღეს, რუსულის მასწავლებელმა გვითხრა, რაღაც კასტინგი არის ტელევიზიაში და არ გინდათ, სცადეთო. მე და ნინო სურგულაძე წავედით და ასე აღმოვჩნდი „საყმაწვილო ტელევიზიაში“. კარგად ვერთობოდით, პროგრამას განათლების სამინისტრო აფინანსებდა და დავდიოდი ამერიკაში, საფრანგეთში, გერმანიაში, სულ ვმოგზაურობდით, სხვადასხვა რეპორტაჟებს ვაკეთებდით. 12 წლიდან ჩემი ფული მქონდა და ძალიან მომწონდა ეს ყველაფერი. უბრალოდ, ერთხელ, რაღაც მომენტში, ჩემს გადაცემას ვუყურებდი და დავინახე ვიღაც ტიპი, რომელიც ძალიან ბრძნულ აზრებს იძახდა, ოღონდ, ამ სიბრძნის მიღმა, არანაირი გამოცდილება, არანაირი ცოდნა არ იყო. რაღაც დისბალანსი ვიგრძენი, ხარ მორგებული რაღაც ფორმას, კარგად მეტყველებ, დანერვილ ტექსტებს კითხულობ და გინდა არ გინდა, ბაძავ ვილაცხე, უფროს წამყვანებს. მიეხვდი, რომ რაღაც სიყალბე იყო ჩემში. თან, მერე, უცბად წამოვიდა შემოთავაზებები, ანუ იკვეთებოდა ჩემი მომავალი ცხოვრება: ვრჩები ტელევიზიაში, ვიქნები გადაცემების წამყვანი... ამ ყველაფერს ცნობიერად გავექეცი. კი, ტელევიზია დიდი გამოცდილება

იყო... ვილაცხეები ქუჩაში მცნობდნენ, ვილაცხეები დამცინოდნენ. მაგრამ ეს იყო გზა, რომელიც აღარ მზრდიდა და ერთ მიღწეულ ეტაპზე მაჩერებდა, მე კი პირადი ზრდის პროცესი მაინტერესებდა. როცა ყველაფერი თავად უნდა ნახო, გამოსცადო... ცხოვრებაში დინებასაც გავყოლილვარ, რომელსაც მაგრად მივუხეთქებოვარ კლდეს, მაგრამ... მერე მთავარი ისაა, როგორ ამოცოცდები! ამიტომ, რადიკალური გადაწყვეტილება მივიღე, უარი მეთქვა ამ ყველაფერზე და წავსულიყავი იმ ქვეყანაში, სადაც არავინ მიცნობდა, სადაც არანაირი პრივილეგია არ მქონდა. აქ საკმაოდ რთულია მოიპოვო თავისუფლება შენი განვითარებისთვის. ძალიან ჩაკეტილი და კლასტროფობიური საზოგადოება ვართ, ყველა ყველას იცნობს, სნობებიც ვართ, გვანტერესებს ვინ ვისი შვილია, შვილიშვილია და ეს რაღაც გამზადებულ ფორმას გვაძლევს, რომელიც ხანდახან, ცარიელია. ალბათ, ამასაც გავექეცი და ამის გამო პატივს ვცემ ჩემს თავს. ირონია მიყვარს, ცინიზმს ვერ ვიტან, არადა, ბავშვობაში საშინელი ცინიკოსი ვიყავი. ეს



ისტორია

შევცვალე ჩემს თავში, თუმცა, მაშინ ეს ჩემი თავდაცვის მექანიზმი იყო. არადა, მართლა უკანასკნელ თვისებად მიმაჩნია ადამიანში.

სხეულის მეხსიერებით მახსოვს ჩემი ნაბიჯების სიჩქარე, როგორ ვმოძრაობდი, ჩქარა მივდიოდი, რომ ავცდენოდი ქუჩის „ბირჟებს“. რაც თითქოს ახლა ისევ ბრუნდება, დანების ტრიალით და დაჭრებით.

გენიალური ფილმია „ნათლიმამა“, მაგრამ ამ ფილმმა დიდი ზიანი მოუტანა საქართველოს. მერე დაიწყო ომი, არეულობა, ქურდობის ინსტიტუტი და შენი სიძლიერის დამტკიცების აუცილებლობა, ანუ ის, რაშიც მე, ვერანაირად ვერ ვენერებოდი. ჯერ ფიზიკურად სუსტი ვიყავი, ამ მასიური ფორმიდან ამოვარდნილი, დიდი სათვალით დავდიოდი, მინუს 4 მქონდა, ზურგჩანთა მოკიდებული, რაც ასევე სირცხვილი იყო, „პაპკით“ უნდა გეველო! თან ტელევიზიით გამოვდიოდი... ბუნებრივია, იმათში აგრესიას ვინვევდი, ვინც სხვა მოდელით ცხოვრობდა. დედიკოს ბიჭი და მათი ძალადობის სამიზნე ხარ. მერე შეყვარებული ვიყავი სკოლაში და მეორე კასტამ მაშინვე გამაფრთხილა – ამ გოგოსთან არ დაგინახო გავლილიო...

მე? ძალიან სუსტი ვარ და ამის გამო სიძლიერეს ვინვითარებ, მჯერა, რაც ხარ შინაგანად, იმის საპირისპიროს ანვითარებ.


აგრესიული? პოტენციურად ძალიან აგრესიული ვარ, ოღონდ არარეალიზებული აგრესია მაქვს. ჩხუბით არ მიჩხუბია, არავინ დამიჭრია, ტვინით კი ბევრჯერ მივსულვარ იქამდე, რომ აი, ახლა ვგლეჯ სახეში, მაგრამ, არასდროს გამიკეთებია. ჩემი ძმა ორი წლით უფროსია, ძმებს შორის ყოველთვის ძალიან რთული ურთიერთობაა. ძალიან განსხვავებულები ვართ, ჩემმა ძმამ რეალიზაცია გაუკეთა თავის სურვილებს, შეიძლება ბევრი რამ არასწორი იყო, მაგრამ მაინც. მე არ ვიყავი რეალიზებული მთლიანად, ყოველთვის უფრო წესიერი ადამიანი ვიყავი, წესიერად ვიქცეოდი. რაღაც მხრივ, ჩემი ძმა უფრო საინტერესო პერსონაჟია, თავისი ცხოვრებით და სირთულეებით. მე სირთულეები მქონდა ამ ქუჩის ინსტიტუტთან, ჩემი ძმა კი, ამის ნაწილი იყო. რაღაც კლიჩეები ჰქონდა ეზოში და მგონი, ისევ ჩემი ძმის გამო არ მცემდნენ, არ ვიცი. ეს ყველაფერი, სიჯიუტე იყო თუ ინდივიდუალიზმი, არ ვიცი, მაგრამ ამაში ვერაფერს ვხედავდი არასწორს.

ერთი პერიოდი, წინა კბილები ცოტა დაშორებული მქონდა ერთმანეთს და ფურთხება დავიწყე. მერე ერთხელ, აი, თითქოს შენი თავიდან რომ გამოვხვალ და გვერდიდან შეხედავ, ისე შევხედე საკუთარ თავს და რაც დავინახე, არ მომეწონა, ძალიან არ მომეწონა. მე, მე არ ვიყავი, ამიტომ, მეორე დღესვე შევწყვიტე. დანაც ჩავიდე ჯიბეში, მაგრამ... უცხო სხეულივით იყო, რომც დამჭირებოდა, ვერ გამოვიყენებდი. ინდივიდუალიზმის და დემოკრატიის მომხრე ვარ, რომელიც იმას ამბობს, რომ არსებობს სხვადასხვა ფორმების თანაარსებობის საშუალება და არ არის აუცილებელი, ყველა ერთმანეთს ეთანხმდებოდეს, არა?!

ერთხელ ბანაკში ავლმოჩნდი – ზერკალნიაა ერქვა. სკოლიდან გაგვიშვეს, მამაჩემი ცკ-ში მუშაობდა, მე პიონერული რაზმის ხელმძღვანელი ვიყავი თუ რაღაც ამდაგვარი, მოკლედ, როგორც მაშინ ამბობდნენ, საკმაოდ ელიტარული ბანაკი იყო, ფინეთის საზღვარზე. ერთი თვე ბანაკის წესით ვცხოვრობდი, მახსოვს, ყველას უნდა გვემორიგევა ლენინის დროშასთან. ბავშვისთვის, ძალიან ძნელია ერთი საათი გაუნძრევლად,

ღიმიტრი 30 წლისაა, ის საქუთარ ავტორს ჰბავს: ასაკით, უსხოეთში სწავლის შემდეგ სამომავლოში დაბრუნებით, საზოგადოების მარწმუნებლად თავის დაღწევის სურვილით და ახალი ჰოზით – კლდეზე სოცვიით, რომლის პროცესში არ არსებობს გუშინ და ხვალ, სადაც არსებობს მხოლოდ ის ერთი წამი, როცა ხელით მოსაჭიდ ადგილს ეძებ.






ფოტო: ლეონ სიხიანი

ხელანეული დგომა. თან ზაფხულში, ჩაკეტულ სივრცეში. სანამ ჩემი რიგი მოვიდოდა, გავიგე, რომ ვილაცას გული წასვლია. ჩემი ჯერი რომ დადგა, დავდექი. გაუნძრევლად ვიდექი და უცებ, კედელზე პატარა თარო დავინახე, რომელზეც ვალერიანკის წვეთები იდო! უკვე გამზადებული! მერე ვთამაშობდით თამაშს – ზარნიცა ერქვა. ომის მდგომარეობაა, თამაშობ, ვითომ ომია, გაქვს მორიგეობა, დროშას უნდა უყარაულო ღამე, ასე სამი-ოთხი საათისთვის. სიგიჟეა, როცა ხვდები, რომ რალაცისთვის გწრთვნიან! და ყველაზე ცუდი ისაა, რომ დღეს, საქართველოში ისევე მკვიდრდება ეს ფორმა, უბრალოდ, სახელი აქვს შეცვლილი. ჰო, რაც არ უნდა იყოს, დღეს რომ ადამიანი გაცილებით თავისუფალია, ამას ლაპარაკიც არ უნდა. მაგრამ... ისიც ფაქტია, რომ ადამიანის მანიპულირების ისეთი ფარული მექანიზმები მოქმედებს, რასაც ვერ ვხვდებით და ვერ ვხვდავთ. ამაზე ბებიაჩემის ისტორია მახსენდება. დედაჩემის დედა ქიმიკოსი იყო და გერმანიაში გაუშვეს სამუშაოდ. იქიდან რომ დაბრუნდა, მალევე, მკერდის სიმსივნით

გარდაიცვალა. 56 წლის იყო. ოღონდ ძალიან უცნაურად ჰქონდა ეს სიმსივნე, ანუ ისეთი ფორმით, რომლითაც არ ჩნდება; რალაც ერთ ზოლად, მკერდის მთელს გაყოლებაზე ჰქონდა დაავადება. მერე, რალაც პერიოდის შემდეგ დედაჩემმა გაიხსენა, რომ როცა ბებია გერმანიაზე უყვებოდა, სულ ახსენებდა, რომ ლაბორატორიაში, მეტალის მაღალი მაგიდები იდგა, რომელიც მკერდის ზუსტად იმ ადგილამდე წვებოდა, სადაც სიმსივნე გაუჩნდა. ახლა წარმოიდგინე, ადამიანი, ქიმიკოსი, საბჭოთა დროში ცხოვრობს, ჰყავს ოჯახი, მატერიალურადაც უზრუნველყოფილია და თურმე ატომურ რადიოაქტიურ ნივთიერებებს აკეთებს, ისე, რომ არ იცის, რასთან აქვს საქმე... ისე, ჩვენც ჩერნობილის თაობა არ ვართ? კარგად მახსოვს, იმიტომ, რომ იმ დღეს ჩემი და დაიბადა. და ვერ გავიგე, რატომ არ გამიშვეს ეზოში, გარეთ, სათამაშოდ, სადაც ძალიან წვიმდა.

>>> ბაბრქილება გვ. 199





REUTERS/Pascal Lauener



ყველა მოქალაქე, რომელსაც შეუძლია, თავისი სტატუსის, წარსულის, რელიგიის, რეგალიის და ა.შ. მიუხედავად, ობიექტურად შეაფასოს თავისი ქვეყნის ქმედებები და პირადად თავისი შესაძლებლობები, მოაზროვნე მოქალაქეა.

ბოლო დროს, ასეთი მოქალაქეები ამერიკაში პოლიტიკური აქტიურობისათვის ყველაზე მოულოდნელ ადგილას – პოლიცემოში გაჩნდნენ. ირლანდიელი ბონოს გარდა ჩარლი შინმა, სიუზენ სარანდონმა, ტიმ რობინსმა, ჯორჯ კლუნიმ, შონ პენმა და ანჯელინა ჯოლიმაც დაიწყეს თავიანთი ვარსკვლავური პოპულარობის გამოყენება გლობალურ პოლიტიკაში.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აქ აქტიურ მოქალაქედ იქცა ბრედ პიტიც. ის ახლა იმას აკეთებს, რასაც მისგან არავინ ელოდა. ჟურნალი “თაიმიც” რამდენიმე ხნის წინ წერდა: როცა მამაკაცს ისეთი გარეგნობა აქვს, როგორც ბრედ პიტს – მისგან ცოტაც გაკმაყოფილებს, კერძოდ კი, ბლოკბასტერებში მონაწილეობა და ვარსკვლავ მსახიობ ქალებთან ცხოვრება. თუმცა, ამგვარ სტატუსს თვითონ ბრედ პიტი ვერ შეეგუა და დღეს უკვე აქტიურ მოქალაქედ იქცა. ის ამბობს: “ბოლო 15 წლის განმავლობაში მქონდა იმის ფუფუნება, რომ ბევრი მემოგზაურა. გამოცდილებამ დამანახა, რომ უცხო ქვეყნებში საზოგადოებები ამერიკას თანდათან სულ უფრო სხვაგვარად აღიქვამენ, ვიდრე წინათ. დღეს, მსოფლიოში სწრაფად გავრცელებადი მოსაზრების მიხედვით, ჩვენ, ამერიკელები, ოპორტუნისტები ვართ, სხვებს მხოლოდ მაშინ ვეხმარებით, როცა შექმნილ სიტუაციაში საჩვენო სარგებელს ვხედავთ. მაგრამ ეს არ არის ამერიკის სრული სურათი. ასეთები ჩვენ

კავშირი ტუტუსთან

ავტორი: ბრედ პიტი

ინტელისურიდან თარგმანა თამარ ბაბუაძემ

© VANITY FAIR



ამერიკელი მსახიობი ბრედ პიტი, ბაეროს კეთილი ნების ელჩი, აწვდილია ჯოლი და ირლანდიელი მომღერალი ბონოს მსოფლიო აქოსოშიკურ ფორუმზე დაოსში. 2006 წელი.

არ ვართ და ცხადია, ეს არც ჩვენი ისტორიაა”.

ასე რომ, ბრედ პიტს სურს, სამაგალითო მოქალაქე იყოს. მისი აზრით, რომ თუ იმოქმედებ, მსოფლიოში ზოგადი სურათის შეცვლა ნამდვილად შეიძლება და პიტიც მოქმედებს.

2004 წელს მან დემოკრატ ჯონ კერის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობით დაიწყო და პოლიტიკაში თავისი სახლის წინა ფასადზე კერის დიდი საარჩევნო პლაკატი ჩამოკიდა.

შემდეგ ქარიშხალ “კატრინას” მიერ დანგრეული ახალი ორლენის ალდგენის პროცესში მონაწილეობდა. ის შარშან, ზაფხულში თავისი ოჯახითურთ გადასახლდა კიდევ ორლენაში, დაუმეგობრდა მწვანეთა ორგანიზაცია Global Green-ს და მათთან ერთად გამოავლინა ეკოლოგიურად უსაფრთხო არქიტექტურის კონკურსის ხუთი ფინალისტი ფირმა, რომელთაც ახალ ორლენაში 10 ათასამდე ეკოლოგიურად სუფთა სტრუქტურა უნდა ააშენონ აღმართონ.

შარშან ნოემბერში ბრედ პიტი კალიფორნიაში 87-ე შესწორებასაც აქტიურად უჭერდა მხარს, რომლის მიხედვითაც, ნავთობკომპანიებზე სპეციალური გადასახადი უნდა დაწესდეს და აკრეფილი 4 მილიარდი დოლარით ალტერნატიული სანვავისა და ეკოლოგიურად სუფთა მანქანების პოპულარიზაცია უნდა მოხდეს.

ბრედ პიტს მხედველობის მიღმა არც აფრიკის კონტინენტი დარჩენია. უკვე რამდენიმე წელია, ბრედ პიტი აფრიკაში დადის, ჰუმანიტარულ დახმარებაზე ზრუნავს და სურს, ამერიკის ბიუჯეტის ერთი პროცენტი აფრიკის მოსახლეობის ჯანდაცვისა და განათლების სისტემების განვითარებისა და სუფთა წყლითა და საკვებით მომარაგების ფონდში გადაიტანოს. გარდა ამისა, ბრედ პიტი მხარს უჭერს აფრიკისთვის ვალების გაქვითვას და სავაჭრო სისტემის რეფორმასაც.

რამდენიმე თვის წინ კი ასეთი რამ მოხდა: მოქალაქე პიტის ინტერესები დაემთხვა ჟურნალ Vanity Fair-ის ინიციატივას, რომ ჟურნალის ერთი გამოშვება მთლიანად აფრიკის კონტინენტისთვის დაეთმო, ხოლო ჟურნალის აწყობის უფლება მონგვეული რედაქტორისთვის მიენდოთ. ასე აღმოჩნდა რედაქტორის რანგში – ბონო, ხოლო ინტერვიუერის რანგში – ბრედ პიტი. პიტს კორესპონდენტობა არ გასჭირვებია. ის განათლებით ჟურნალისტიკა, ჟურნალისტიკას 1982-86 წლებში მისურის უნივერსიტეტში ეუფლებოდა. ასე რომ, ჟურნალ Vanity Fair-ისთვის სამხრეთ აფრიკის ეპისკოპოსთან, დესმონდ ტუტუსთან ინტერვიუს იოლად გაართვა თავი.

თანაც, ტუტუსთან შეხვედრა და საუბარი ისედაც სურდა. ბრედ პიტის რესპონდენტი ხომ სამხრეთ აფრიკის ცოცხალი მატიანაა. 1975 წელს, აფრიკასა და ლონდონში სპეციალური თეოლოგიური განათლების მიღების შემდეგ ტუტუ იოჰანესბურგში ღვთისმშობლის ტაძრის მღვდელმთავარი გახდა – პირველი შავკანიანი, რომელიც ამ პოსტზე დაინიშნა. მისი ანტი-აპარტიდული გამოსვლებიც ყველაზე აქტიურად ამ პერიოდში დაიწყო.

ამ პერიოდშივე გამძაფრდა ანტი-აპარტიდული მოძრაობა ზოგადად ქვეყანაში. ანუ, ახდა ის, რაზეც დესმონდ ტუტუ პრემიერ-მინისტრ ვორსტერს რამდენიმე წლით ადრე პირად წერილში სწერდა: რომ სამხრეთ აფრიკაში სიტუაცია დენტის კასრს ჰგავს – ნებისმიერ წუთს შეიძლება აფეთქდეს. მინისტრმა მღვდელს არ უპასუხა. სამხრეთ აფრიკაში კი სიტუაცია მართლაც აფეთქდა.

დესმონდ ტუტუ სამხრეთ აფრიკის თეთრკანიანი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის არაძალადობრივ გზას უჭერდა მხარს და ფიქრობდა, რომ საჭიროა, უცხო ქვეყნებმა აპარტიდულ სამხრეთ აფრიკას ეკონომიკური ბოიკოტი გამოუცხადოს. 1976 წელს ლესოტოს ეპისკოპოსად დანიშნისა და 1978 წელს სამხრეთ აფრიკის ეკლესიების საბჭოს გენერალურ მდივნად არჩევის შემდეგ მისი ქადაგებები და ლექციები ნაბეჭდი სახით უკვე ყველგან ვრცელდებოდა.

ტუტუ ლექციების წასაკითხად ბევრს მოგზაურობდა, აფრიკაშიც და საზღვარგარეთაც. 1982 წელს გამოქვეყნდა მისი ლექციების კრებული “ღვთიური მიზანი”, ხოლო ქადაგებების კრებული – 1983 წელს. თავის ნააზრევში ტუტუ სასტიკად გამოხდა სამხრეთ აფრიკის თეთრკანიან მთავრობას, მაგრამ აკრიტიკებდა რამდენიმე ანტი-აპარტიდული დაჯგუფების ძალადობრივ ტაქტიკასაც. თვლიდა, რომ საჭიროა მოლაპარაკება და რომ ტერორიზმი გამოსავალი არ არის...

1984 წელს სამხრეთ აფრიკელ ეპისკოპოსს ნობელის მშვიდობის პრემია გადასცეს. 1985 წელს ის იოჰანესბურგის პირველი შავკანიანი ანგლიკანი ეპისკოპოსი გახდა, 1986 წელს კი – კეიპ ტაუნის. აპარტიდის დასრულების შემდეგ, 1995 წელს ნელსონ მანდელამ დესმონდ ტუტუ “სიმართლის და შერიგების საბჭოს” თავმჯდომარედ დანიშნა. ეს ორგანიზაცია აპარტიდის დროს ადამიანის უფლებების დარღვევის აურაცხელ ფაქტს იძიებდა და საჭირო შემთხვევაში დამნაშავეების ამნესტიას აწერდა ხელს. 1999 წლამდე საბჭომ 7 ათასამდე საქმე განიხილა და აქედან მხოლოდ 150 ბრალდებულის შეწყალებას მოაწერა ხელი. დანარჩენების საქმეები შესაბამის ორგანოებს შემდგომი ძიებისთვის გადაეცა.

დესმონდ ტუტუს პრინციპულობის გამო, საბჭოს მუშაობას უამრავი სკანდალი სდევდა თან. მათი საშუალებით იმგვარ ფაქტებს ეხდებოდა ფარდა, რის შესახებაც ხმამალა ვერ იმსჯელებდნენ. მაგალითად, საბჭოს მუშაობის შემდეგ ხანგრძლივი პატიმრობა მიესაჯა პოლკოვნიკ იუჯინ დე კოკს, რომელიც აფრიკელების გამოსვლებს სასტიკი მეთოდებით აწმობდა. დესმონდ ტუტუს საბჭო არც ანტი-აპარტიდულად განწყობილ აფრიკელებს ინდობდა. მათ ამხილეს ნელსონ მანდელას ყოფილი მეუღლე ვინი მადიკიზელა-მანდელაც და ბრალი აპარტიდის პერიოდში ძალადობაში დასდეს...

დესმონდ ტუტუ ნობელის გარდა უამრავ ჰუმანიტარულ ჯილდოს ფლობს, მათ შორის, განდის სახელობის ჯილდოსაც. მსოფლიო პოლიტიკურ მეტყველებას კი სწორედ ტუტუსგან დარჩა ერთი ცოცხალი შედარება: პოსტ-აპარტიდული სამხრეთ აფრიკა – ეს ცისარტყელას ქვეყანაა – ანუ ქვეყანა, სადაც ერთად ცხოვრობს უამრავი ეთნოსის წარმომადგენელი...

დღეს დესმონდ ტუტუ შიდისის გლობალური ალიანსის საპატიო თავმჯდომარეა. 2006 წლის 30 ნოემბრიდან გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოს მანდატით შექმნილ მისიას ხელმძღვანელობს, რომლის მიზანიც ისრაელში ჩატარებული სამხედრო ოპერაციების დროს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების მოძიება და დადგენაა. როგორც ამბობენ, ამ ოპერაციების დროს უამრავი უდანაშაულო მოქალაქე დაიღუპა.

უკვე ხანშიშესული ეპისკოპოსი კვლავაც პოლიტიკურად აქტიური ფიგურაა. ის მსოფლიოში ცნობილ ოც სხვა აკადემიკოსს, პოლიტიკოსს და საზოგადო მოღვაწესთან ერთად გაეროს გენერალური მდივნის კიდევ ერთ ინიციატივაში მონაწილეობს. Alliance of Civilizations - ასე ჰქვია ინიციატივას, რომლის მიზანიც ექსტრემიზმის ჩახშობა და იმ კულტურული და სოციალური ბარიერების გადალახვაა, რომელიც დასავლეთისა და მუსლიმური სამყაროს პოლარიზებას და მტრობას იწვევს.

გთავაზობთ ინტერვიუს, რომელშიც 76 წლის ეპისკოპოსი და თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პროგრესულად მოაზროვნე დესმონდ ტუტუ ბრედ პიტს იმ გლობალურ იდეებზე ესაუბრება, რომელთა განზოგადება და მთელ მსოფლიოზე მორგება, ტუტუს აზრით, პლანეტას გადაარჩენს. ეს ცისარტყელას ქვეყნის გაკვეთილი იქნება.

მთარგმნელისგან

„ბრედ პიტის რესპონდენტი, ნობელის პრემიის ლაურეატი დესმონდ ტუტუ სამხრეთ აფრიკის ცოცხალი მატიანაა. 1975 წელს, აფრიკასა და ლონდონში სპეციალური თეოლოგიური განათლების მიღების შემდეგ ტუტუ იოჰანესბურგში ღვთისმშობლის ტაძრის მღვდელმთავარი გახდა – პირველი შავკანიანი, რომელიც ამ პოსტზე დაინიშნა. მისი ანტი-აპარტიდული გამოსვლებიც ყველაზე აქტიურად ამ პერიოდში დაიწყო. ამ პერიოდშივე გამძაფრდა ანტი-აპარტიდული მოძრაობა ზოგადად ქვეყანაში. ანუ, ახდა ის, რაზეც დესმონდ ტუტუ პრემიერ-მინისტრ ვორსტერს რამდენიმე წლით ადრე პირად წერილში სწერდა: რომ სამხრეთ აფრიკაში სიტუაცია დენტის კასრს ჰგავს – ნებისმიერ წუთს შეიძლება აფეთქდეს. მინისტრმა მღვდელს არ უპასუხა. სამხრეთ აფრიკაში კი სიტუაცია მართლაც აფეთქდა. დესმონდ ტუტუ სამხრეთ აფრიკის თეთრკანიანი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის არაძალადობრივ გზას უჭერდა მხარს და ფიქრობდა, რომ საჭიროა, უცხო ქვეყნებმა აპარტიდულ სამხრეთ აფრიკას ეკონომიკური ბოიკოტი გამოუცხადოს. 1976 წელს ლესოტოს ეპისკოპოსად დანიშნისა და 1978 წელს სამხრეთ აფრიკის ეკლესიების საბჭოს გენერალურ მდივნად არჩევის შემდეგ მისი ქადაგებები და ლექციები ნაბეჭდი სახით უკვე ყველგან ვრცელდებოდა.“



ინტერვიუ დესმონდ ტუტუსთან

ავტორი: ზაქალ ჰიტი

ბრედ ჰიტი: მართლა ძალიან მიხარია, თქვენთან საუბრის საშუალება რომ მომეცა.

დესმონდ ტუტუ: თქვენ რა იცით! იმას ვგულისხმობ, რომ ჩემმა ფასმა მოიმატა მას შემდეგ, რაც ხალხმა გაიგო, რომ თქვენთან უნდა მესაუბრა...

ბ.პ. არა, დამამთავრებინეთ. მე ყველა თქვენი ფილმი მინახავს და თქვენი დიდი ფანი ვარ.

დ.ტ. მადლობა. ღმერთმა დაგლოცოს.

ბ.პ. რას ნიშნავს უბუნტუს კონცეფცია, რომლის შესახებაც სულ ვკითხულობ და ვკითხულობ?

დ.ტ. უბუნტუ არის ადამიანად ყოფნის არსი. და ჩვენს ენაზე ადამიანსაც ვეძახით უბუნტუს და უბუნტუს ვხმარობთ, როგორც არსებით სახელსაც, როცა გვინდა ვთქვათ, თუ რას ნიშნავს, იყო ადამიანი. ძირეულად, უბუნტუ ისაა, რასაც ყველაზე ხშირად ძველ ალტექმაში აწყდები. სწორედ ძველი ალტექმის ტექსტებში – ვთქვათ, იგივე ფსალმუნების კითხვისას – ხანდახან ვერ ხვდები ზუსტად, თუ რა იგულისხმება “მე”-ში: მხოლოდ ერთი ინდივიდი, თუ ინდივიდთა კრებითი გაგება. ჩვენთანაც ასეა: ადამიანს ვაფასებთ სხვა ადამიანებთან მიმართებაში. არ შეიძლება იყო ადამიანი და სხვა ადამიანებისგან განცალკევებით იდგე. ადამიანი მხოლოდ ურთიერთობებში ხარ.

ბ.პ. ესე იგი, თქვენ ადამიანთან ურთიერთკავშირზე, ურთიერთდამოკიდებულებაზე მელაპარაკებთ.

დ.ტ. დიახ, ჩვენ ყველანი ერთ მთლიან ურთიერთკავშირში ვართ. დარწმუნებული ვარ, ნანახი გაქვს ფილმი *The Defiant Ones*. ეს არის ფილმი ორი მსჯავრდებულის შესახებ. ერთი თეთრკანიანია, მეორე

– შავკანიანი. ისინი ციხიდან გაქცევას ახერხებენ, მაგრამ ერთმანეთისგან გაქცევას – ვერა. ხვრელს გაიყვანენ, ერთი მოახერხებს და ხვრელის ბოლომდე გავა, თითქმის უკვე თავისუფალია, თითქმის უკვე გარეთაა, როცა მიხვდება, რომ არა, სინამდვილეში მარტო ვერსად წავა, იმიტომ, რომ ხელბორკილების გარდა, რალაც უხილავი სულიერი ბორკილიც ადევს, რითაც თავის მეგობართან სამუდამოდაა დაკავშირებული. ამიტომ, ისევ უკან ჩაძვრება და მიხვდება, გაქცევა მხოლოდ ერთადაა შესაძლებელი. ასეა და, ჩვენც ვამბობთ: მე შენ მჭირდები მთელი შენი რაობით და არსებით, რომ მეც სრულყოფილად ვიყო ის, რაც ვარ. ეს იმიტომ, რომ არც ერთი ადამიანი არ არის თავისთავად, დამოუკიდებლად სრული. რადგან, სინამდვილეში ერთი ადამიანის სისრულე არაადამიანური თვისებაა.

ბ.პ. არა მგონია, ინგლისურ ენაში გვექონდეს ერთი სიტყვა, რომელიც ამ აზრს ბოლომდე გადმოსცემდეს.

დ.ტ. მეც არა მგონია, ასეთი სიტყვა მოინახოს.

ბ.პ. და რა ხდება დიდ რელიგიებთან დაკავშირებით? რატომ არ შეიძლება ამ დიდმა რელიგიებმა ერთმანეთთან საერთო ნახონ? რას იცავენ ისინი? ჩემს აზრს მოგახსენებთ: როცა მუდმივი საფრთხის განცდა გაქვს და მუდმივად იმის მტკიცება გჭირდება, რომ მხოლოდ შენი გზაა ჭეშმარიტი, ეს რწმენის ნაკლებობას ნიშნავს.

დ.ტ. დიახ, მგონი მართალი ბრძანდებით. რასაც თქვენ ამტკიცებთ, არის ის, რომ პრობლემა რელიგიებში არ არის, რადგან რელიგია სინამდვილეში ბევრ არაჩვეულებრივ ადამიანს შობს... აიღეთ, თუნდაც ბუდიზმი. ბუდიზმმა შვა დალაი ლამა. აიღეთ ინდუიზმი – მან შვა მაჰათმა განდი. ქრისტიანობის ნაყოფია დედა ტერეზა, მარტინ ლუთერ კინგი უმცროსი. ეს საერთო სურათია, რომელსაც ვერსად

ნაუხვალ, უნდა აღიარო. მაგრამ ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება, ერთმა რამემ შვას კარგიც და ცუდიც? ამას იმიტომ ვამბობ, რომ არსებობდა იგივე კუ კლუქს კლანი. კუ კლუქს კლანი იჩემებდა, რომ ქრისტიანობის პრინციპებით მოქმედებდა. ანდა, შეხედეთ, რას აკეთებენ ჩრდილოეთ ირლანდიაში. შენც უყურებ ამ ყველაფერს და ასკვნის: არა, ეს არ არის რელიგიის და რწმენის პრობლემა, რადგან არასდროს არც ერთი რელიგია მორწმუნისგან არ ითხოვს მკვლელობას. არც ერთ რელიგიას არ უქადაგია ერთი ადამიანის მიერ მეორის შევიწროება.

ბ.პ. არის თუ არა ეს სიცრუე, როცა ამბობენ, რომ რელიგიური პრინციპებით ხელმძღვანელობენ ადამიანური ღირსებისა და თანასწორობისთვის ბრძოლაში? თქვენ რას გვეტყვი...

დ.ტ. როცა კოფი ანანი მაღალი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციისგან Alliance of Civilizations-ისგან მოხსენებას გაეცნო, თქვა: „პრობლემა არა რწმენა, არამედ – მორწმუნე“.

ბ.პ. ასე რომ, უდავოა – დისკრიმინაციას ქრისტიანულ რელიგიაში ადგილი არ აქვს. დღეს კი ამერიკაში დიდი ვნებათაღელვაა ატეხილი ჰომოსექსუალების უფლებებისა და თანასწორობაზე.

დ.ტ. მე მაგალითად, ვერ გამაჩუმებ. მე იმ რეალობიდან მოვივივარ, სადაც ადამიანებს ძალიან დიდი ხნის განმავლობაში აწამებდნენ იმის გამო, რასაც, რომც მოენდომებინათ, ვერ შეცვლიდნენ – თავიანთი ეთნიკური წარმომავლობის გამო. ჩვენ იმიტომ ვიტანჯებოდით, რომ არ გვექონდა თეთრი კანი. შემდეგ, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ჩვენი ეკლესია არ აღიარებდა ქალს და ჩვენც კაცობრიობის

უდიდეს ნაწილს განვიკითხავდით და ვსჯიდით კვლავაც იმის გამო, რასაც ვერ შეცვლიდნენ – თავიანთი სქესის გამო. და იმიტომ დღეს მე ბედნიერი ვარ, რომ ჩვენს ეკლესიაში ეს ყველაფერი შეიცვალა. ბედნიერი ვარ, რომ აპარტიდის წარსულს ჩაბარდა. ხოლო მაშინ, როცა ეს ყველაფერი იყო, მე ვერ ვჩუმდებოდი. ჩემი არსების არც ერთ ნაწილს გულხელდაკრეფილი ჯდომა არ შეეძლო, იმიტომ, რომ ვხედავდი, ხალხს სჯიდნენ, დევნიდნენ, ისე ეპყრობოდნენ, როგორც ადამიანის მოდგმაზე დაბლა მდგომ არსებებს და მხოლოდ იმის გამო, რასაც ვერ შეცვლიდნენ – მათი სექსუალური ორიენტაციის გამო. ვერ წარმოვიდგენ, რომ ღმერთი, რომლისაც მწამს, ანუ იესო ქრისტე, მართლა მფარველობდეს იმ ადამიანთა მცირე ჯგუფის დევნას, რომელსაც ისედაც დევნიან. ქრისტე, რომლისაც მწამს, არის ღმერთი, რომელიც მუდამ დამცირებულთა, წამებულთა მხარეს იყო, მეტიც, მან განსაცდელში თავი სწორედ ამის გამო ჩაიგდო. ჩვენი, ანგლიკანური ეკლესია სერიოზულ კრიზისშია. ეს ყველაფერი ადამიანის სექსუალური ორიენტაციის გამო. ასე მგონია, უფალი ცხარე ცრემლით მოსთქვამს. მოსთქვამს იმიტომ, რომ მაშინ, როცა კაცობრიობას ამდენი ტკივილი აქვს, ადამიანი თავის ენერგიას, დროს და რესურსებს ამ თემას ახარჯავს.

ბ.პ. ხელეებს ვნებ – ამაზე უფრო ველარ დაგეთანხმებით. გმადლობთ, რომ ეს ყველაფერი თქვით.

თქვენ ბევრი გილაპარაკიათ ნელსონ მანდელაზე იმის შესახებ, თუ როგორ ჰქონდა მასაც და სამხრეთ აფრიკასაც უფლება, აპარტიდის რეჟიმიდან მრისხანებითა და სამაგიეროს გადახდის სურვილით გამოსულიყვნენ. თქვენ კი რადიკალური იდეით გამოხვედით და სიმართლისა და შერიგების საბჭო შექმენით. მალევე, დადებით არ ჩვენის წინაშე. ორ ცნობილ გზას შორის ერთს უნდა გაყოლოდით. პირველი იყო, სამაგიეროს მიგების სამართალი, როგორც ნიურმბერგში მოხდა. მეორე კი, საერთო შეწყალების გზა იყო. თქვენ კი, ქვეყნის განკურნება გადანყვიტეთ და სამართლის ახალი განსაზღვრება „განკურნების სამართალი“ ჩამოაყალიბეთ.

დ.ტ. რალაც გაგებით, ჩვენს მიერ არჩეული გზა ისევე უბუნტუსთან გვაბრუნებს. ესეც გარკვეულწილად, უბუნტუ იყო. უბუნტუს კონცეფციის მიხედვით, ყველაზე დიდი მონაპოვარი საერთო სახალხო ჰარმონიაა. მრისხანება, შურისძიება – მისი ანტონიმებია. მაგრამ ერთს მინდა ხაზი გავუსვა. ნუ დაგრჩებათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს სამყაროს ხედვის მხოლოდ და მხოლოდ ვინაო აფრიკული გზაა. ცოტა ხნის წინ, სტუდენტებს ერთი ახალგაზრდა ამერიკელი ქალის ისტორია ვუამბე. ის თეთრკანიანი იყო, ემი ბილი ერქვა. აფრიკაში შტატებიდან ფულბრაიტის სტიპენდიით ჩავიდა. ერთ დღეს თავისი შავკანიანი მეგობრები მანქანით ქალაქიდან სახლამდე, ერთ პატარა დასახლებაამდე ჩაიყვანა. როცა დაბაში შევიდნენ, ემი ბილის მანქანა ახალგაზრდების ბრბომ შენიშნა. ეს ბიჭები ერთ-ერთ პოლიტიკურ დაჯგუფებას ეკუთვნოდნენ და ასეთი დევიზი ჰქონდათ: „თითო უცხოელზე თითო ტყვია“. ამ ადამიანების მიზანი თეთრკანიანებისგან მათი ქვეყნის განმენდა იყო. დაინახეს ემი ბილი. გადმოიყვანეს მანქანიდან. ემი გაიქცა. მერე დაეცა. ბიჭები წაესივნენ და ცემეს. სხეული დანით დაუსერეს. სასტიკი წესით მოკლეს. მერე ეს ახალგა-



REUTERS

„ჩემს აზრს მოგახსენებთ: რწმენის ნაკლებობას ნიშნავს, როცა მუდმივი საფრთხის განსდა გაქვს და მუდმივად იმის გტკიცება გჭირდება, რომ მხოლოდ შენი გზაა ჭეშმარიტი“.

„არც ერთი იმ ქვეყანას არ აქვს ბალარჩინის შანსი, რომელიც ცხოვრობს დევიზით: „თვალი თვალის წილ“. განდი ამბობდა, როცა საზოგადოებაში ეს კანონი ვრცელდება, ბოლოს ყველა ბრძალობს... ვოსნეზობ, ნეტა, პასიფისტი ვიყო. არადა, არ ვარ. მე, უბრალოდ, მშვიდობის მოყვარული ვარ“.

ზრდა ბიჭები, რომლებიც დაჯგუფების ლიდერებად ითვლებოდნენ, დააპატიმრეს და ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიუსაჯეს. შემდეგ ჩვენს ორგანიზაციას - სიმართლისა და შერიგების საბჭოს ამნესტიის თხოვნით მიმართეს. ამ დროს კალიფორნიიდან აფრიკაში ემი ბილის თეთრკანიანი მშობლები ჩამოვიდნენ. გრძელი გზა გაიარეს და კეიპ-თაუნში შეჩერდნენ, სადაც დამნაშავეების ამნესტიის საკითხი უნდა განხილულიყო. ემის მშობლებს სრული უფლება ჰქონდათ, თავიანთი შვილის მკვლელების ამნესტიას წინ აღდგომოდნენ. მაგრამ ამის მაგივრად იცით, რა გააკეთეს? ადგნენ და თქვეს: “ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ ახალგაზრდების თხოვნას შეწყალების შესახებ”. განსაცვიფრებელი რამ მოხდა. მაგრამ ეს კიდევ არ იყო ყველაფერი. მას შემდეგ, რაც ეს ბიჭები გაათავისუფლეს, ემის მშობლებმა კეიპ-თაუნში ემი ბილის სახელობის ფონდი ჩამოაყალიბეს. ფონდის ერთ-ერთი მიზანი იყო, იმ შავკანიანი ბავშვების გადარჩენა, რომლებიც პატარ-პატარა აფრიკულ დასახლებებში ძალადობის მსხვერპლნი ხდებოდნენ. ამ ამოცანის განსახორციელებლად მათ სამსახურში თავიანთი გოგონას ორი მთავარი მკვლელი აიყვანეს.

ბ.პ. ასე რომ, “განკურნების სამართალს” შესწევს უნარი ძალადობის ციკლი დაასრულოს, არა?

დ.ტ. დიას, სინამდვილეში ეს კაცობრიობის უნივერსალური ნიშანთვისებაა – ისწრაფვოს არა შურისძიებისკენ, არამედ მშვიდობისა და შერიგებისკენ.

ბ.პ. მაშინ, ღირს კიდევ, გკითხოთ, თუ რა მოიმკეს იმ საზოგადოებებმა, რომელთაც სამაგიეროს მიზლის გზა აირჩიეს, ვთქვათ, იგივე შიას ჯგუფმა ერაყში? ესეც ზუსტად თქვენს ნააზრევს უკავშირდება. როგორი იქნება მათი მომავალი? თქვენ ხომ სამაგიეროს გადახდის გზას განიხილავთ, როგორც რაღაც კომპარს, რომელიც სულ უკან გიბრუნდება და მუდამ თან გასდევს.

დ.ტ. არ მინდა, ისე გამომივიდეს, თითქოს, ეს მართლაც საშინელებაა, მაგრამ, თქვენ თვითონ ნახეთ, რა ხდება ახლო აღმოსავლეთში: მოხდება ერთი ინციდენტი და მას მაშინვე მეორე მოსდევს, მერე უკვე სამდება, ბევრდება... სამაგიეროს უხდიან მტერს და ამიტომაც ეს პროცესი არასდროს სრულდება. ანუ გამოდის, რომ პროცესი იღებს სპირალის ფორმას, რომელიც იკლავს, იწვავს და არასდროს მთავრდება. ეს ჩვენი იდეა კი, ცხადია, ადამიანური ურთიერთობებიდან, ქვეყნების ურთიერთობამდე ზოგადდება. არც ერთ იმ ქვეყანას არ აქვს გადარჩენის შანსი, რომელიც ცხოვრობს დევიზით: “თვალი თვალის წილ”. განდი ამბობდა, როცა საზოგადოებაზე ეს კანონი ვრცელდება, ბოლოს ყველა ბრძალობს... ვოცნებობ, ნეტა, პაციფისტი ვიყო. არადა, არ ვარ. მე, უბრალოდ, მშვიდობის მოყვარული ვარ.

ბ.პ. ისტორიული მაგალითები ცხადყოფს, რომ სადაც კი უსამართლობას და უთანასწორობას აქვს ადგილი, იქ მუდამ ნგრევაც არის. მგონი, თქვენ ეს ცოტა სხვანაირად გაქვთ ნათქვამი, დაახლოებით ასე: ამ გზას “მშვიდობა მძევალი ხდება”. დღევანდელ მსოფლიოში გამეფებული დაუცველობის შეგრძნების ფონზე, სულ უფრო ნარ-



REUTERS

მოუდგენლად დიდ თანხას ახარჯავენ დაცვითი სისტემების შექმნას. ეს კი შემდეგ იმაზე აისახება, რომ სხვებისთვის დახმარების განწვევა ავიწყდებათ. თქვენ ჰუმანიტარულ დახმარებას, როგორც ალტრუიზმს არ განიხილავთ. სინამდვილეში, ეს მცდარი შეხედულებაა. მაგრამ ჰუმანიტარული დახმარება, ინვესტიციების ჩადება აფრიკაში, ანუ იმ რეგიონებში, სადაც განხეთქილება და უთანასწორობა გამეფებული, ჩვენსავე ინტერესშია. თქვენ რას იტყობით ამ საკითხის შესახებ?

დ.ტ. საქმე ძალიან მარტივადაა, თუ საზოგადოება ღარიბია, ის ლოგიკურად ხდება არასტაბილურობის სათავეც. თუ ამ ღარიბ საზოგადოებას წახემარებიან და იქაურობას მომგებიანს გახდიან, მაშინ ის არასტაბილურობის კერიდან კარგ საბაზრო ასპარეზად იქცევა ხოლმე. ამ საზოგადოებაში დამზადებულ ნაწარმს უფრო მეტი დაინტერესებული კლიენტი გაუჩნდება. ჩვენ ვაკეთებთ მშვენიერ

დღევანდელ მსოფლიოში გაგიფიქვანი დაუსვებლოვის შეზღუდვის ფონზე, სულ უფრო წარმოუდგენლად დიდ თანხას ახარჯავენ დასავითი სისტემების შექმნას. ეს კი შეიძლება იმაზე აისახება, რომ სხვახისთვის დახმარების განვსა ავიწყლებათ.



პიარს და ეს კარგია. მაგრამ სინამდვილეში, ჩვენ ჩვენივე თავს ვუკეთებთ სასარგებლო საქმეს, რადგან ვამბობთ, რომ ამ პოტენციურად არაჩვეულებრივი ბაზრის გამოყენება მალე ჩვენვე შეგვეძლება.

პირადად მე, ვერ ვხვდები, როგორ შეგვიძლია, ვხარჯოთ წარმოუდგენლად დიდ თანხები თავდაცვაზე. ზუსტად არ ვიცი, რა ჯდება, მაგრამ ხომ ფაქტია – ლაპარაკია კომპარულად დიდ თანხებზე, მილიარდებზე, ტრილიონებზე... ისლა დამრჩენია, ვიმედოვნო, რომ ჯერ თქვენნაირი ადამიანები და შემდეგ ჩვენნაირი უბრალო ადამიანებიც ხმას აიმაღლებენ და იტყვიან: “მოდი, შევწყვიტოთ ეს სისულელე. ეს უბრალოდ, უაზრობაა. ამხელა თანხების გამოყოფა თავდაცვის სისტემების შექმნაზე უკუშედეგს იწვევს – დღევანდელ მსოფლიოში მცხოვრები ადამიანი თავს კიდევ უფრო დაუცველად გრძნობს”. ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური და ძვირადღირებული თავდაცვის სისტემა ამერიკას აქვს. მაგრამ მისი მწყობრიდან გამოყვანა ერთი კაბელის მჭრელითაც შეიძლება. ანუ გამოდის, რომ არ არსებობს 100 პროცენტით დაცული და საიმედო სისტემა. გარწმუნებთ, გაცილებით უკეთესია, ჯერ მეგობრები შეიძინო, ვიდრე ყველა შენი მტერი გეგონოს იქამდე, სანამ სანინალმდეგოში არ დარწმუნდები... სულ ამის თქმას ვცდილობ ხოლმე და ახლაც გავიმეორებ: თქვენ გინდათ, ანარმოთ ომი ტერორიზმის წინააღმდეგ? ერთს გეტყვით მხოლოდ: ამ ომს ვერ მოიგებთ! მორჩა! ამ ომს ვერ მოიგებთ მანამ, სანამ არ ეცდებით და იმ ფაქტორებს ძირფესვიანად არ ამოფხვრით, რაც ხალხის სასონარკვეთის და გამწარების მიზეზია. მხოლოდ ამის შემდეგ გაიაზრებთ, რომ უკვე შეგიძლიათ, მშვიდად ისხდეთ და აღარ განერვიულებდეთ ის ფაქტი, რომ ვილაც თქვენზე გაბრაზებულია და შურისძიებას აპირებს.

ბ.პ. წინ დიდი რვიანის სამიტი გველის, ჩვენ კი ძალიან ბევრ რამეს დავპირდით აფრიკას. იყავით გულწრფელი და გვითხარით, როგორ ვახერხებთ პირობის შესრულებას?

დ.ტ. მთელი ამ ამბის პოზიტიური მხარეა ის, რომ მათ ნელ-ნელა უფრო ნათლად გაიაზრეს, რომ ჩვენც მათ პლანეტაზე ვცხოვრობთ.

ჰუმანიტარული დახმარება? – კი ბატონო, კარგია. ვალის გაქვითვა? – ეგეც კარგია. მაგრამ ეს ყველაფერი აზრს კარგავს, როცა საშინელი სავაჭრო წესები გაქვს. ნახეთ, რას აკეთებენ სუბსიდიებთან დაკავშირებით. სუბსიდიებს აძლევენ ევროპულ ფერმერებს, მათ რომ ჩვენს ბაზარზე თავიანთი საქონლის გაყიდვა უფრო ნაკლებ ფასში შეძლონ და ჩვენ კი გვეუბნებიან: “მოიყვანეთ თქვენი მოსავალი და გაყიდეთ, მაგრამ არ დაანესოთ ტარიფები. არ დაანესოთ ტარიფები, რათა ხელი არ შეუშალოთ ჩვენი საქონლის შემოტანას თქვენს ქვეყანაში. ტარიფებს ჩვენ თვითონვე დაგინესებთ და ამას ისე გავაკეთებთ, რომ თქვენმა ნაწარმა ჩვენს ბაზარზე იოლად ვერ შემოაღწიოს”. მსგავსი დამოკიდებულება უბრალოდ ალოგიკური და უაზროა. თუ საქმის გაკეთება სერიოზულად გვინდა, მაშინ უნდა დავინყოთ საუბარი უფრო სამართლიან ეკონომიკურ წყობაზე.

ბ.პ. დიას, რა თქმა უნდა, საჭიროა წყობა, რომელიც დაფუძნებულია სამართლიან დამოკიდებულებაზე და არა იმ ბიჭებზე, მაგიდასთან პირველებმა რომ მიასწრეს და ვალები გაქვითეს. თქვენ ერთხელ აპარტიდზე თქვით, რომ ის დამყარებული იყო ექსკლუზიურობის პრინციპზე. რა ვქნა, მგონია, რომ იგივე პრინციპი მოქმედებს ჩვენი სავაჭრო სისტემის შემთხვევაშიც.

დ.ტ. ყოჩაღ შენ! ხუთიანი გეკუთვნის ჩემს კლასში. ისე კარგად გამოგდით ყველაფერი, რომ ძალიან კარგ სემინარზე მგონია თავი.

ბ.პ. ღირსეულად ვიფერებ.

დ.ტ. ჩვენ ნამდვილად გვაქვს იმის უნარი და პოტენციალი, რომ ყველა ვარჩინოთ, ყველა, მთელს პლანეტაზე. ჩვენ გვაქვს იმის პოტენციალიც, რომ ყველას ჰქონდეს სუფთა წყალი, ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემა. ჩვენ გვაქვს იმის პოტენციალი, რომ ყველა ბავშვს გაუკეთდეს საჭირო აცრები. შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ იმ სნეულებათა უმრავლესობა, რითაც უამრავი ბავშვი ჩვენი პლანეტის უღარიბეს ქვეყნებში იტანჯება. და ღვთის გულისთვის! რატომ არ შეგვიძლია იმ ფაქტის აღიარება, რომ არ შეგწევს უნარი, გქონდეს სრული აპარტიდული უსაფრთხოება? გამორიცხულია, მიაღწიო აპარტიდულ აღორძინებას. თუ აპირებ, შეიქმნას თავდაცვის სისტემა, მაშინ ის გამონაკლისების გარეშე ყველას უნდა იცავდეს. თუ გინდა, იყო თავისუფალი, უბრალოდ ვერ შეძლებ ამ ფასეულობით კარანტინის პირობებში დატყბე. თუ გინდა, თავისუფალი იყო, მაშინ ყველა, აბსოლუტურად ყველა შენს გარშემო, თავისუფალი უნდა იყოს. და ბოლოს, თუ გინდა, იყო ადამიანი, მარტო ვერ იქნები. ადამიანები ადამიანურობას ერთად აღწევენ.

FM 104.3



SYNDICATE
JAZZ

WWW.RADIOSYNDICATE.GE

ინტერვიუ

ჯონი დეფრანჩესკოსთან

ავტორი: კახა თოლორაძე
ფოტო: ლევან ხერხეულიძე





– იმ ინსტრუმენტის (ორგანი Hammond B3) ისტორია, რომელზეც თქვენ უკრავთ, საკმაოდ დრამატულია. წლების განმავლობაში ის ხან გასაოცარი პოპულარობით სარგებლობდა, ხან კი საერთოდ ქრებოდა მუსიკალური სცენიდან. ამ ინსტრუმენტმა მართლაც რომ უცნაური გზა განვლო ეკლესიებიდან და კინოთეატრებიდან დაწყებული და ჯაზ-კლუბებით და როკ-ბენდებით დამთავრებული. “ჰამონდი” ძალიან პოპულარული იყო გასული საუკუნის ორმოცდაათიანებში, სამოციანებსა და სამოცდაათიანების დასაწყისში, შემდეგ კი მოულოდნელად, 1975 წელს, კომპანია “ჰამონდი” თუ არ ვცდები დაიხურა...

– არა, კომპანია არ დახურულა; 1975 წელს “ჰამონდმა” შეწყვიტა B3-ტიპის ორგანების გამოშვება, მოგვიანებით კი კომპანია გაიყიდა, არ მახსოვს რომელ წელს...

– 1992 წელს. დღეს ის “ჰამონდ-სუტუკის” სახელით ფუნქციონირებს...

– დიას, და ის დღეს B3-ის ტიპის საოცრად დახვეწილ დიგიტალურ ორგანებს უშვებს, თუმცა, ბევრი ვიცი ისეთი, ვინც უამრავ ფულს გადაიხდიდა “ჰამონდის” ძველ, ორიგინალურ მოდელში ან მის ნაწილებში...

– მოკლედ, დაწყებული სამოცდაათიანი წლების შუიდან “ჰამონდის” პოპულარობა შესამჩნევად დაეცა და ეს ოთხმოციანი წლების ბოლომდე გაგრძელდა. მერე კი, 1989 წელს, Columbia-მ თქვენი პირველი ალბომი ALL OF ME გამოუშვა და თვალის დახამხამებაში ყველაფერი შეიცვალა; “ჰამონდი” კვლავ პოპულარული გახდა, არადა, იმ წელს თქვენი ალბომი ორგანისტის მიერ ჩანერილი ერთადერთი დისკი იყო მუსიკალურ ბაზარზე. რა მოხდა, როგორ ახსნით ინსტრუმენტის ასეთ მერყევ პოპულარობას?

– ორგანზე ბევრი არაორგანისტი მუსიკოსი უკრავდა, მაგალითად ფეთს უოლერი, ქაუნთ ბეისი და სხვები, მაგრამ ვერავინ მოახერხა მისი ასე “მორჯულება”, როგორც ეს ჯიმი სმითმა გააკეთა. მთელი ეს “ორგანული პროცესი” მისი დაწყებულია და მისივე მეშვეობით ეს ინსტრუმენტი ნელ-ნელა მუსიკის სხვა ჟანრებშიც შეიჭრა, - ბლუზში, როქნ-როლსა და პოპში... ყველაფერი ეს ერთი მუსიკოსის წყალობით მოხდა. შესაბამისად, მისი



გავლენა მომდევნო თაობის ისეთ მუსიკოსებზე, როგორებიც არიან, ჯექ მაქდაფი, ჯიმი მაქგრიფი და სხვები, საკმაოდ დიდი იყო. ორგანიზაციის ჩალიან პოპულარული იყო ორმოცდაათიანების დასასრულს და სამოცნიანების და სამოცდაათიანების დასაწყისში, მერე კი, მოხდა ის, რომ ინსტრუმენტი “გაიყინა”.. ამით იმის თქმა მინდა, რომ თითქმის მთელი შემდგომი თხუთმეტი წლის განმავლობაში ვერავინ მოახერხა “ჰამონდის” მეშვეობით მუსიკის განახლება, მისი ახალ სიმალეზე აყვანა, სუფთა მუსიკალური თუ ტექნიკური თვალსაზრისით. “ჰამონდზე” განსხვავებულად არავინ აღარ უკრავდა; არ ჩანდნენ ახალი სახეები. სწორედ ამ დროს შეწყვიტა კომპანია B3-ის გამოშვება და “ჰამონდს” გრძელვადიანი “შესვენების” პერიოდი დაუდგა. 1989 წელი, როდესაც მე ჩემი პირველი დისკი ჩაენერე, ინსტრუმენტის დაბრუნების მომენტად იქცა და ეს იმიტომ, რომ დიდი ხნის განმავლობაში არავის მოესმინა ორგანზე ასეთი დაკვრის მანერა. ჩემმა დისკმა თავიდან გააღვივა ინტერესი “ჰამონდ B3”-სადმი.. ამას კი ის მოყვა, რომ დანარჩენი ორგანიზაციებიც დაუბრუნდნენ სცენას, ხოლო კომპანიამ თავიდან დაიწყო B3-ის გამოშვება, თანაც “ჰამონდი” ცდილობდა, ისეთი ინსტრუმენტების შექმნას, რომლებსაც ისევ ის ძველებური საუნდი ექნებოდათ. მე იმ დროს ძალიან ახალგაზრდა ვიყავი (დეფრანჩესკოს იმ წელს 17

წელი შეუსრულდა კ.თ), მაგრამ ბედის წყალობით ისე მოხდა, რომ მე ამ იდიომის განვითარებაში წვლილი შევიტანე.

– ესე იგი, “ჰამონდის” ხანგრძლივი “დაღუმების” ძირითადი მიზეზი მაინც ის იყო, რომ მუსიკოსებმა ვერ მოახერხეს ორგანის მეშვეობით მუსიკის ზრდა, არა?

– დიახ, და ალბათ, ისიც, რომ რაღაც მომენტიდან დაწყებული სინთეზატორები გაბატონდნენ მუსიკის სხვადასხვა სტილებში. ბოლოს და ბოლოს, სინთეზატორი ხომ “ჰამონდზე” უფრო მსუბუქი და ადვილად გადასადგილებელი ინსტრუმენტია...

– თქვენ რა, დღემდე თან დაატარებთ თქვენს “ჰამონდს” ტურნეებში?


– დიახ, მაგრამ ძირითადად შტატებში ტურნეების დროს...

ტერორიზმის ხანაში “ჰამონდის” ქალაქიდან ქალაქში და ქვეყნიდან ქვეყანაში ტარება საკმაოდ სარისკო საქმე უნდა იყოს, განსაკუთრებით საზღვრებზე შემოწმებების დროს...

– ჰო, ეს მართლაც პრობლემატურია, მაგრამ მე დიდი ავტობუსი მყავს და ამიტომაც, შტატებში ტურნეების დროს ჩვენ ძირითადად ავტობუსით გადავადგილდებით ხოლმე.

– ეს გავარკვეით; მოდით ეხლა ოდნავ წინ წავინიოთ: დამწყები მუსიკოსისთვის ორი ტიპის ზეგავლენა ზეა შესაძლებელი საუბარი: პირველი, ეს ის მუსიკოსები არიან, ვის ჩანაწერებსაც დამწყები მუსიკოსი უსმენს და ცდილობს მიბაძვის გზით ისწავლოს რაიმე, მეორე კი, ის მუსიკოსები, ვისთანაც დებოტანტებს უშუალოდ უწევთ დაკვრა. თქვენს შემთხვევაში ეს ყველაფერი ოდნავ განსხვავებულია; თქვენთვის მუსიკის შესწავლა ოჯახშივე დაიწყო თქვენვე მამის ჯონ “პაპა” დეფრანჩესკოს მეშვეობით... მაინტერესებს, ორგანზე დაკვრა ძირითადად მამის და მისი კოლეგა მუსიკოსების წამხედურობით დაიწყო თუ თვითონ მუსიკამ იმოქმედა თქვენზე?

– ალბათ, ორივე ვერსია მართალია. მამაჩემი დღესაც უკრავს და გარკვეული თვალსაზრისით, დღემდე ჩემი მასწავლებელია. რაც თავი მახსოვს “ჰამონდი” სულ ჩვენს სახლში იდგა, მაგრამ მამაჩემს არასდროს დაუძალებია ჩემთვის რომ დაკვრა მესწავლა. უბრალოდ, მე ძალიან მომწონდა “ჰამონდის” საუნდი, დღესაც მომწონს, ზუსტად ისევე, როგორც ბავშვობაში... სულ რაღაც ოთხი წლის ვიყავი, როდესაც მე თვითონ, ნელ-ნელა დავიწყე დაკვრა. დაფუძნებული იმასაც, რომ ამაში მამის მეგობრებიც დამეხმარნენ. გაინტერესებთ, ვინ იყვნენ მისი მეგობრები? მაშ ასე: ჯიმი სმიტი, რიჩარდ “გრუვ” ჰოლმსი, ჩარლზ ერლანდი, ჯიმი მაქგრიფი, მოკლედ, ყველა დროის უდიდესი ორგანისტები. ისინი ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე ჩვენი სახლში, ან მე



არსებობს ორი სახის მუსიკა: ცუდი და კარგი. ჩვენ ვაბზობთ „ჯაზი“, „როკი“ და ასე შემდეგ, მაგრამ მივიძღვებით, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენ მივალთ იქამდე, როდესაც უბრალოდ ვიტყვი – მუსიკა.

მივყვებოდი მამას კლუბებში, სადაც ხშირად იმართებოდა ჯემ-სეშენები. წარმოგიდგენიათ რას ნიშნავს მუსიკით დაინტერესებული მოზარდისათვის, როდესაც მის სახლში ჯიმი სმითი მიდის და მთელი საღამო ორგანზე უკრავს?

– წარმოგიდგენია... ასეთი მუსიკოსების გვერზე რამდენად ძნელი იყო თქვენთვის თქვენივე იდენტურობის ძიების პროცესი?

– იცით, ალბათ, ყველა დამწყები მუსიკოსი ასე იწყებს ამა თუ იმ ინსტრუმენტზე დაკვრის შესწავლას; სხვისი მუსიკის სმენით და მიბაძვით... შენ ცდილობ, რომ მოსმენილი ნოტი ნოტში გაიმეორო, მერე კი, მოგვიანებით, თუ ამის ნიჭი აღმოგაჩნდა, ნელ-ნელა იწყებ მოსმენილის შენებურად ინტერპრეტაციას. როდესაც დიდ მუსიკოსებს უსმენ, ხვდები, რომ ყველა მათგანი თავის თავს “აპარებს” იმაში, რასაც უკრავს. მათი ყოველი სოლო “ავტოპორტრეტი”.. სწორედ ამიტომაცაა, რომ ერთი ნოტიც კი საკმარისია, რომ მიხვდე, თუ ვის უსმენ. ჩემი “მოგზაურობა” მუსიკაში სხვების გამოცდილებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ხშირად, დიდი მუსიკოსები თავისი ფეხით მოდიოდნენ ხოლმე ჩვენთან სახლში; შეუძლებელი იყო ასეთი ცდუნებისათვის გაგეძლო. მათი წასვლის შემდეგ კი შეუძლებელი იყო ჩემი ინსტრუმენტისგან აგლეჯა...

– ინტერვიუსთვის მზადების დროს ერთ საინტერესო რამეს გავიხსენებ: აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა დიდი ორგანიზტი, თქვენი ჩათვლით, ფილადელფიდანაა; რა ხდებოდა ასეთი განსაკუთრებული ფილადელფიაში, რამაც ის “ჰამონდის” დედაქალაქად აქცია?

– ეს ასეა, მაგრამ მე აზრზე არა ვარ თუ რატომ მოხდა ასე. ისევე, როგორც დეთროითი ასოცირდება გიტარის მძიმე, ინდუსტრიალურ საუნდთან, ასევე ასოცირდება ფილადელფია “ჰამონდთან”. მამაჩემი და მისი მეგობრები ხუმრობდნენ ხოლმე, რომ ეს ასე იმიტომ მოხდა, რომ “ჰამონდის” შტატიდან გატანის დროს, როდესაც მუსიკოსები ტურნეში მიდიოდნენ, მათ სერიოზული პრობლემები ექმნებოდათ შტატის სასაზღვრო პოლიციასთან და ამიტომაც, ის ფილადელფიელები, ვინც ორგანზე უკრავდნენ, ქალაქში დარჩენას ამჯობინებდნენ; დანარჩენი მუსიკოსები კი იმის გამო, რომ ისინი ხშირად ვერ ახერხებდნენ დიდი ორგანიზტების ცოცხლად მოსმენას თავთავიანთ ქალაქებსა თუ შტატებში, ფილადელფიელების მოსასმენად აქ ჩამოდიოდნენ და მერე სამუდამოდ რჩებოდნენ ფილადელფიაში... ეს უბრალოდ, ხუმრობაა; სინამდვილეში კი, ღმერთმა უწყის, რატომ მოხდა ასე...

– მე ისიც შევამჩნიე, რომ ორგანიზტებს შორის რაღაც ძალიან ბევრი სმითები არიან: ჯიმი სმითი, ლონი სმითი, ჯონი “ჰამონდ” სმითი...

– ესეც სრულიად აუხსნელი ფენომენია. რომელიმე უნივერსიტეტის პროფესორს ამაზე ხარისხის დაცვაც კი შეუძლია... ეტყობა, ჯერ არ მიუქცევიათ ამ ფაქტისთვის ყურადღება. თქვენც ნუ ეტყვი...





ის, რასაც ჩვენ ჯაზს ვუნოდებთ, იზრდება და ვითარდება; ის სუნთქავს და მოძრაობს. ის სამუდამო მუსიკაა და არა რაღაც ფაზა მუსიკის ისტორიაში...

“ჰამონდიან” ბენდებს ორმოცდაათიანებში “ხალხის” და “თემის” ხმას უწოდებდნენ... როგორ გგონიათ, “ჰამონდი” ასეთივე “ხალხური” რჩება ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში?

– ჰო, ასე ამბობდნენ ხოლმე და ალბათ, იმიტომ, რომ “ჰამონდს” ძალიან “ადამიანური” საუნდი აქვს... ის ძალიან სულიერი ინსტრუმენტია. ნუ დაგავინებთ, რომ ამ ინსტრუმენტს წირების დროს იყენებდნენ და დღესაც იყენებენ ხოლმე და ამიტომაც, მისი მოსმენისას ეს სულიერება თითქოს თქვენში აღწევს ინსტრუმენტის საუნდის მეშვეობით და მისივე “სულიერი” წარსულის გამო. “ჰამონდის” საუნდი განსაკუთრებულ ტალღაზე “იჭერს” მსმენელის ყურადღებას. ეს საუნდი განსაკუთრებით პოპულარული სამოციანებში იმიტომ გახდა, განსაკუთრებით შავკანიან მოსახლეობაში, რომ როდესაც დალილ-დაქანცული ადამიანები სამუშაოებიდან ბრუნდებოდნენ, ორგანის საუნდი მათ სტრესის მოხსნაში ეხმარებოდა; თუმცა, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, – სამოციანები ზედმეტად ემოციური იყო პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ეს იყო ადამიანების პოლიტიკური შეგნების გამოვლინების ხანა და ხშირად, განსაკუთრებით შეერთებული შტატებში, გიტარების მძიმე საუნდთან ერთად ადამიანებს “ჰამონდის” სულიერი საუნდიც ესაჭიროებოდათ სჭირდებოდათ...

– მიგაჩნიათ, რომ ორგანს დღესაც იგივე ფუნქცია ესკისრება?

– აბსოლუტურად. უბრალოდ, დღეს ორგანის საუნდი მუსიკალური მეინსტრიმის ნაწილი გახდა. პირადად ჩემთვის, ინსტრუმენტის ეს “ხალხურობა” უკვე ტრადიციის ნაწილია, რომელიც არსად გამქრალა, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემში იმდენმა სხვა მუსიკალურმა გავლენამ “შემოიბინა”, რომ უბრალოდ, შეუძლებელი იყო ამ გავლენების უგულველყოფა. ნებისმიერი ინსტრუმენტი ერთმანეთს რაღაცას “ასწავლის”. მე ვერ წავუყურადებდი იმას, თუ რას აკეთებდნენ პიანისტები, საქსოფონისტები, ბასისტები და ასე შემდეგ. მათი ზეგავლენა ჩემი შესრულების მანერას ამდიდრებდა და მაიძულებდა ახლებურად გამეაზრებინა “ჰამონდზე” დაკვრის ჩემებული მანერა, იქნებოდა ეს ტექნიკური თუ ჰარმონიული ასპექტები.

– დღესდღეობით ჯაზის სამყაროში ჯაზის დეფინიციისაგან თავის არიდების საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს; თქვენც იმ ბანაკიდან ბრძანდებით?

– არა, უბრალოდ ასეთ მცირე დროში ძალიან გამიჭირდება ჯაზზე სიღრმისეულად საუბარი. მე გგონია, რომ ერთ რამე, რაც უნდა გვახსოვდეს ისაა, რომ – არსებობს ორი სახის მუსიკა: ცუდი და კარგი. ჩვენ ვამბობთ “ჯაზი”, “როკი” და ასე შემდეგ, მაგრამ მე ვიმედოვნებ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენ მივალთ იქამდე, როდესაც უბრალოდ ვიტყვით - მუსიკა. ახალგაზრდები, რომლებსაც ტვინი არა აქვთ კატეგორიებით მოწამლული, როდესაც უსმენენ ჩვენს მუსიკას, მათ ის იმიტომ მოსწონთ, რომ ეს მუსიკა მათ რაღაცას აგრძნობინებს. სამწუხაროდ, რადიოები და ტელევიზიები სულ სხვა სახის მუსიკის პრომოციონებს ეწევიან; ეს მათ სინდისზე იყო. მანამდე კი ის, რასაც ჩვენ ჯაზს ვუნო-

დებთ, იზრდება და ვითარდება; ის სუნთქავს და მოძრაობს. ის სამუდამო მუსიკაა და არა რაღაც ფაზა მუსიკის ისტორიაში...

– ჯაზის ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ ჯაზის ტრადიცია ინოვაცია არაა. ისინი დარწმუნებულები არიან იმაში, რომ საკუთარი იდენტურობის მოპოვება ჯაზში მისივე ტრადიციული არსენალის გამოყენებითაა შესაძლებელი ისე, რომ მოხმარებული ტრადიცია კლიშედ არ იქცეს.

– ამაზე საკმაოდ გამიჭირდება პასუხის გაცემა. პირადად მე ჯაზს “მიღმატ” ვიღებ იმას, რაც მომწონს და ამას ჩემს მუსიკაში ვიყენებ ხოლმე. ჯაზი კი ძალიან სპეციფიური და უკვე კარგად გამოყენებული ლექსიკონია, რის გამოც ჯაზმენებს ხშირად უნევთ ამ ჯუნგლებში ახალი ბილიკების ძიება, ვინაიდან ჯაზს უკვე დიდი ხნის განმავლობაში უკრავენ და ბევრი ბილიკი უკვე გაკვალულია. ახლებს ახალი ბილიკების გაკვავა უნევთ, ეს კი, ძალიან, ძალიან ძნელია. მაგრამ მეორეს მხრივ ეს ისაა, რაც ჩვენ ძალიან გვიყვარს და გვიზიდავს და რაც ნამდვილად ღირს ცდად...

– აი, ერთი ციტატა: “ინოვაციორები ისინი არიან, ვინც ახერხებს ჯაზში უკვე არსებული ენის რეინტერპრეტაციას”. უდაოდ, თქვენ ეს მოახერხეთ, მაგრამ საინტერესოა, თქვენ თვითონ როგორ აფასებთ ამ მიღწევას?

– მე, უბრალოდ ვუკრავ და ვიმედოვნებ, რომ ადამიანებს მოეწონებათ ის, რასაც უსმენენ, მაგრამ თუ არ მოეწონებათ, ეს მე ვერ შემაჩერებს. “ჰამონდის” ისტორიას კიდევ ერთხელ თუ დაგუბრუნდებით, აღმოვაჩენთ, რომ ჩემამდე არავინ უკრავდა ორგანზე ისე, როგორც მე. მერე კი, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, მე მიმდევრები გამომიჩნდნენ, რომლებიც დღესაც ჩემს მიერ დაწყებულ ტრადიციას აგრძელებენ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მომავალში გამოჩნდება ისეთი ვინმე, ვინც რაღაც სრულიად ახალს შემატებს ამ ტრადიციას. ასე რომ, ჩემი ძირითადი ღვაწლი არსებული ტრადიციის და თვითონ ინსტრუმენტის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაა.

– სულ ესაა?

– რა, საკმარისი არაა? კარგით, მოდით, იმასაც დაუფიქრებთ, რომ მე ძირფესვიანად შეეცვალე “ჰამონდზე” დაკვრის სტილი. ჩემი მიდგომა ჰარმონიისადმი დღესაც აიძულებს ახალგაზრდა ორგანისტებს ყურადღება მიაქციონ “ჰამონდზე” დაკვრის ჰარმონიულ ასპექტებს. იცით, ორგანზე დაკვრა საკმაოდ ძნელია; ჩვენ ხშირად ვხუმრობთ, რომ დაკვრისას ჩვენი ტვინი რამოდენიმე “ადამიანად” იხლიჩება. პირველი კლავიშებზე უკრავს, მეორე ფეხებით პედლებზე, მესამე დანარჩენ მუსიკოსებს უსმენს, მეოთხე კი სოლირებს...

– ლესთერ ბოუიმ ერთხელ თქვა, რომ მუსიკოსს ბევრ ბენდში დაკვრა იმისთვის ესაჭიროება, რომ მუსიკალური ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილოს; თქვენი დღევანდელი ბენდი რა სახის მუსიკალური ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებაში გეხმარება?

>>>ბაბრქიშვილი ბგ. 202

საზაფხულო მოგზაურობანი

ავტორი: ნინო ლომაძე

ეს წელიწადის მეხუთე, დამოუკიდებელი დროა, საზაფხულო არდადეგების წინა პერიოდი. როცა ქალაქის ურბანული სიგიჟისაგან თავის დაღწევის და შორს გადაკარგვის მოლოდინი პიკს აღწევს. როგორც წესი, ამ დროს, დიდად არც სამუშაოზე გეფიქრება და არც კარზე მომდგარი საზიზღარი დედლაინები გაღელვებს. ივლისის სიცხეც გვარიანად გთენთავს და ფიქრებიც ძირითადად ერთი შინაარსისაა - სად დავისვენო, ვისთან ერთად წავიდე, ზღვის ლაჟვარდოვან სანაპიროზე დავიდო დროებითი ბინა თუ ყველაზე ჯანმრთელად და სასიამოვნოდ დავიდალო – დაკიდულ ბილიკებზე ხეტიალით, ზურგჩანთის თრევით, როდესაც დღე ხანდახან გათენებამდე იწყება და ღამეები ცეცხლის იისფერი ალის ფონზე მოყვლილი ამბებით და ალკოჰოლით სრულდება.

თუ ჯერ არაფერი დაგიგეგმავთ, მომდევნო გვერდებს თვალი გადაავლეთ. ჩვენი ავტორები თავიანთ ყველაზე შთამბეჭდავ მოგზაურობაზე მოგიტხრობენ. იქნებ, სწორედ ახლა, თქვენი ზაფხულის დაგეგმვისას, საოცნებო მარშრუტი ან მისამართი რომელიმე პატარა ტექსტიდან ამოიკითხოთ.

ერთი სიტყვით – ბედნიერ დასვენებას გისურვებთ!





კაპადოკია

ბიორბი ნაღირაძე

თუ მშობლიური აჭარის კურორტების ერთფეროვნებამ დაგლალათ და თურქეთის ძვირადღირებული, სრული მომსახურების საგზურების გაგონებაზეც უკვე მიტნარების შეტევა გეწყებათ, მოდით კაპადოკიაში წადით, თუნდაც რამოდენიმე დღით.

ანკარიდან თუ ლამის ავტობუსს დაემგზავრებით, კაპადოკიაში დილის 5-6 საათზე ჩახვალთ. ეს მარშრუტი შედარებით იაფიც დაგიჯდებათ და კაპადოკიის (ჩემთვის) ყველაზე დიდ ღირშესანიშნაობასაც მხოლოდ ასე ნახავთ. ზუსტად ვიცი, დასასვენებლად წასულებს დილის 5 საათზე გაღვიძება ჩემსავით ძალიან დაგეზარებათ, მხოლოდ იმისთვის, რომ მსოფლიოში ყველაზე ლამაზი გათენება ნახოთ. როცა ვარდისფერი სინათლე ჰორიზონტის ჩათვლით მთელს სიბრტყეს ედება და ველზე უზარმაზარი ფალოსის ფორმის კრატერები ჩნდება (არაჩვეულებრივი გამოსაფხიზლებელი ეფექტი აქვს). ეს ვულკანების შედეგად სრულიად ბუნებრივი წარმოშობის კირქვის კრატერებია, რომლებსაც ადრე ადგილობრივი მოსახლეობა თავყვანს სცემდა, როგორც ნაყოფიერების ღვთაებებს. დღეს, ამ ხრიკ მინდვრებს “სიყვარულის ველებს” ეძახიან და ბლომად ტურისტებს დაატარებენ. ცოტა ხანში ვარდისფერი ყვითლით იცვლება და ეს უშველებელი ამფითეატრის ფორმის ქალაქი მთლიანად ოქროსფერდება. ამ ფიქრებში ხარ, როცა კლდეებიდან უზარმაზარი, ლურჯი, წითელი, ყვითელი, მწვანე ცეპელინები (საჭაერო ბუშტი) ამოფრინდება. ეს ფერადი ბუშტები სულ მთლად გაბნევს და ყველაზე ბანალურად რომ ვთქვა, თავი რომელიმე აღმოსავლური ზღაპრის გმირი გგონია. თვალებით უნებურად ჯინმომწყვდეულ სურასაც

ეძებ და გუნებაში სამ სურვილსაც უცბად ჩამოითვლი. თუ სიმაღლის არ გეშინიათ, ცეპელინებით მოგზაურობა კაპადოკიის ქალაქების ზემოდან დასათვალიერებლად საუკეთესო საშუალებაა.

მერე რომელიმე ტურისტულ სააგენტოს მიაკითხეთ, სულ ერთია რომელში მოხვდებით - ყველგან უმაღლეს დონეზე მოგემსახურებიან. ფასის, ადგილმდებარეობისა და ხედების გათვალისწინებით სასურველ სასტუმროს სულ იოლად იპოვნით. ძველ ქვაბულებში აშენებულ სასტუმროში გაჩერებას გულწრფელად გირჩევთ, სიძველის და თანამედროვეობის სინთეზს ყველაზე მძაფრად სწორედ ამ ქვაბულებში იგრძნობთ.

თუ კაპადოკიის ყველა პატარა ქალაქის დათვალიერებას გადწყვეტთ, გირჩევთ მანქანა იქირავოთ. სულ ექვსი თუ შვიდი ქალაქია და ყველა მათგანი თავის პატარა საიდუმლოს ინახავს. ავანოსში ადგილობრივი წარმოების კერამიკის ჭურჭელს დაათვალიერებთ. უძველეს ქრისტიანულ ქალაქ გომერეს ქვაბულებში მართლმადიდებლურ ფრესკებს აღმოაჩენთ და ულამაზეს ხალიჩებს, ფანდაგებს და ხურჯინებს შეიძენთ.

სალამოს დალილები თქვენი სასტუმროს ვერანდაზე, ჩირაღდებით გაბრდღვიალებულ პატარა რესტორანში მოკალათდებით და ადგილობრივი ან ნებისმიერი უცხოური სამზარეულოს გემრიელ კერძებს მიირთმევთ. მერე გარშემო კლდეების ყველა ფერდობიდან წამოსული სხვადასხვა მუსიკის ხმა ერთმანეთში აირევა. ალკოჰოლიც სასიამოვნოდ დაივლის ტანში და პიერ პაოლო პაზოლინის “ათას ერთ ღამე” უკვე მეორედ დაიწყება.

პორტუგალია

სალომე კიკალიშვილი

როგორც კი მიუნჰენის უშველებელი აეროპორტის მარნუხებს თავი დავაღწიე, სადაც სატელეფონო ჯიხურით ნამოჭიმულ უშნო და სუნიან კაბინებში ასე, 90 კაცთან ერთად ვენეოდი და თავი ქილაში მჭიდროდ ჩაჭყყილი გერმანული სარდელი მეგონა, ცოტა ვინერვიულე – რაღაც მთლად გულის გასახარად ვერ დაიწყო ეს ამბავი და ნეტავ იქ, რა მოხდება-მეთქი. როგორ მიმიღებს მე პორტუგალია და როგორ მივიღებ მე მას — ამ ფიქრებში გავატარე 2-3 საათი გერმანია-პორტუგალიის საჰაერო სივრცეში და ლისაბონის აეროპორტში პირველი, რაც კედელზე გაკრული ნაევიითხე – “მონიეთ ყველგან, სადაც გაგიხარდებათ. ზემოთ ნაჩვენები ნიშნის ქვეშ ნუ... თორემ ისე, თქვენ შემოგველოთ ჩვენი თავიო...” – მემამა.

აეროპორტი ქალაქის ცენტრშია და ამიტომ, ტაქსით სარგებლობა იმდენად იაფია, რომ როცა მრიცხველი 8-9 ევროს დანერს – ეს შენ ჩემგან, ბავშვებს უყიდე რამეო – შეიძლება ტაქსის მძღოლს ქართულად მიაძახოთ და ერთი-ორი ევროც დაუმატოთ.

არა, თამამად შემიძლია გითხრა, რომ თუ პორტუგალიაში არ ყოფილხართ, მაშინ ბევრი რამ დაგიკარგავთ ცხოვრებაში; თუ ერთხელ მაინც არ დასწრებხართ წმ. ანტონიოს სახელობის სადღესასწაულო კარნავალს და აჟიტირებულ, ტემპერამენტთან პორტუგალიელებთან ერთად თქვენც არ გიცეკვიათ მოედანზე; წმ. ჯორჯის ციხესიმაგრეში, კედლებზე არ გიფოფხიათ და თუ ერთხელ მაინც არ ჩაგივლიათ ტეჟოს სანაპირო ზოლზე, სადაც უცნაური სახლების შემხედვარე, თავი თეატრალურ დეკორაციებში გგონიათ. ჰო, ყვითელ ტრამვაიში როცა ახვალთ, სჯობს პირდაპირ არ იყუროთ, რადგან “სულ ზევით, ზევით” ისეთ ვინრო გზებზე მიიკლაკნება, რომ გული გისკდება — ახლა ვერ მოუხვევს, ახლა შეასკდება, ახლა გადაჭყლეთს... მერე ბალახებამოსულ სახლებს დაათვალიერებ და შორსმჭვრეტი მზერით იესო ქრისტეს იმ უშველებელ ქანდაკებას გახედავ, რომელიც მსოფლიოს ახალ 7 საოცრებაში შევიდა, მართალია იმ საოცრებებში რიო დე ჟანეიროს იესოა შესული, მაგრამ მერე რა... შეხედავ და იგივეა რა! არადა, ამ ყველაფრის ნახვა, ძალიან მისაღებ თანხად შეგიძლიათ. თვითმფრინავის ბილეთი ხომ იგივე დაგიჯდებათ, რაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გამგზავრება, „დონ ხოსესთან“ ატლანტიკის ოკეანის დელიკატესებს სულ რაღაც 12-15 ევროდ დააგემოვნებთ და ედენის თეატრის შენობაში ნამოჭიმულ ტყეს, ნამდვილ ტყეს, ლამის განათების ფონზე შეათვალიერებთ. თუ გემრიელად ჭყუმპალაობა მოგენატრებათ, მაშინ ტროას ნახევარკუნძულზე გირჩევთ გაემგზავროთ. ლისაბონიდან, უშველებელი ხიდით გადახვალთ სეტუბალში და იქიდან, სულ რაღაც 1,5 ევროდ გემით გადაკვეთთ ოკეანეს. მართალია, გაყინული ატლანტიკის ოკეანეში ცურვაზე არც უნდა იოცნებოთ, მაგრამ ჩალის ქოლგის ქვეშ, ყვითელ ქვიშაზე განთხმულს ეს ნამდვილად არ შეგანუხებთ. ხოლო თუ ჩემსავით, ოკეანის ზოლს ყურებში ipod გაჩრილი გაუყვებით, უცბად მოვარდნილი ტალღა ipod-საც დაგისველებთ და გაფართოვებული თვალებით ნუდისტურ პლაჟზეც ამოჰყოფთ თავს.

მერე? მერე ისევ ლისაბონი, „დონ კარლოსის“ ჭრელი მეთლახით გაფორმებული კაფე ავეინდა ლიბერდადეზე, გრილზე შემწვარი ტკაცუნა კანიანი თევზეული და ზღაპრულ პორტუგალიურ ენაზე მიღებული კომპლიმენტები, რომ თქვენ, დღეს, შეუდარებლად გამოიყურებით. მეტი რაღა უნდა ინატრო ამ სამოთხეში? კარგი, ჰო, მეორე დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საეჭრო ცენტრის „კოლუმბის“ ქუჩებში სეირნობა და...

ლისაბონი ხომ არც პარიზივით პრეტენზიულია და არც ბერლინით “ჩვეულებრივი”? ლისაბონი, უბრალოდ, საშინლად მაგარია.







სინოპი

ბობი ბვასარია

არავითარ შემთხვევაში არ დავასახელებდი ჩემს ნავსაყუდელს, ყველაზე კარგ დასასვენებელ ადგილს ამ პლანეტაზე, რადგან დასვენება ჩემთვის, პირველ რიგში, თანამემამულეებისგან დასვენებას გულისხმობს; არ გენყინოს საყვარელო მკითხველო, მაგრამ ვერანაირად ვერ "დავაპირებდი" ადგილს, სადაც ქართველს (საერთოდ, ტურისტს) ფაქტობრივად არ შეუძლებია. არა და როგორ მოენონებოდა! ზღვა, რომელიც ისეთი გამჭვირვალეა, როგორც ლიძევაში, როგორც ანტონიონის ფილმში "წითელი უდაბნო", ქვიშიანი ნაპირი, საუცხოო კლიმატი ცხელი დღეები და გრილი ღამეები (არავითარი კონდინციონერი არ გჭირდება!), უკეთილშობილესი ადამიანები, რომლებმაც ლამის ტაში შემოჰკრან ბედნიერებისგან, როცა გაიგებენ რომ "გურჯი" ხარ, დაბალი ფასები და სრული კომფორტი - დიდი და სუფთა აუზი, სამზარეულო ოროთახიანი ნომერში, უგემრიელესი "სიმინიე", ე.ი. მზესუმზირამოყრილი "ზუბლიკები", რომელსაც ყოველ დღით, საუზმეზე, თაფლში ანობ, უყურებ ზღვას და სამოთხეში გგონია თავი.

მაგრამ, ვიცი რა "გურჯის" ბუნება, ვიცი რა, რომ დაეზარება ბათუმიდან 12-13 საათი ჩახჩახი ავტობუსით (თანაც, სარფის საზღვარი დროზე თუ ვერ გაიარა, მინიმუმ 3 გადაჯდომა დასჭირდება), სიამოვნებით დავასახელებ ჩემს ნავსაყუდელს, აგერ უკვე მერვედ რომ ვაპირებ წელს წასვლას - ესაა სინოპი! პატარა და უძველესი თურქული ქალაქი-კონცხი, რომელიც შუაგულ ზღვაშია შეჭრილი. თავადაა ქალაქი-განდევილი. აქედან ყველა დასახლებული ცენტრი შორსაა. არსად არ მუშაობს ტვინი ისე კარგად, როგორც სინოპში!

მაგრამ, თუკი არა ხართ "ტიპიური გურჯი", ე.ი. გადაადგილება და "ჩახჩახი" განიჭებთ სიამოვნებას და ზღვაზე იმიტომ არ მიდიხართ, რომ თქვენს თანამემამულეებს "ახალი კუპალნიკი" უჩვენოთ, თუკი დასვენება თქვენთვის განდევილობას და ცივილიზაციისგან შორს ყოფნას ნიშნავს, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სინოპში!



უშგული

ანა კორძია-სამადაშვილი

თუ სვანეთში არ ყოფილხართ, საქართველო არ გინახავთ. ხოლო თუ უშგულის შესახებ არა გსმენიათ – აბა, რაზეა საუბარი...

ეს ვეროპის ყველაზე მაღალი სოფელია, ზღვის დონიდან 2200 მეტრის სიმაღლეზე განლაგებული, შეფენილია შხარას სამხრეთ ფერდზე, ენგურის სათავეებთან.

უშგულის აღწერა შეუძლებელია – თავად უნდა ნახოთ. აბა, რა გიამბოთ თამარის რეზიდენციებზე, კოშკების ქალაქზე, შვიდ სალოცავზე, როგორ მოგიყვებო, როგორია თვალუნვდენელი ალპური ველები, ენგურის გრილი და ბრჭყვიალა, ამქვეყნად ყველაზე თვალწარმტაცი შხარა?

თუ საქართველოში ცხოვრობთ, აქ მოხვედრა არ გაგიჭირდებათ. ყველაზე მარტივი გზა ასეთია: ზუგდიდში ავტოსადგურში მიბრძანდით, კოშკთან, იქ სამარშრუტო ტაქსის მძღოლს გაესაუბრეთ და გაემგზავრეთ მესტიაში. თუ საკუთარი წნევის იმედი დიდად არა გაქვთ, შეგიძლიათ, ერთი ღამე იქაც გაათენოთ – ამ თემაზე კვლავ მძღოლს გაესაუბრეთ. შემდეგ კი კვლავ სამარშრუტო ტაქსი, უკვე სხვაგვარი – და გასწიეთ უშგულისკენ. გზაში ნამდვილად არ მოიწყენთ, თავისუფალი სვანეთის ბუნება არაფერს შეედრება, თან კვლავ მძღოლთან გექნებათ საუბარი თემაზე: ვისთან ჯობს ღამისთევა.

ვისთანაც არ უნდა მოხვდეთ, არ ინანებთ. ყველა უშგულელი ქალბატონი ჩინებული მზარეულია და კუბდარი, ჭვიშტარი, ხაჭაპური და სხვა სიკეთე არ მოგაკლდებათ. და ყველა სახლიდან დიდებული ხედი იშლება – საითაც არ უნდა გაიხედოთ, უშგულია, საქართველოს ყველაზე ლამაზი მხარე.

კორფუ (კერკირა)

თამარ სუხიშვილი

ტურისტული სეზონი აქ კარგა დიდი ხნის წინ გაიხსნა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ტალღამ ოდისეუსი ნაპირზე გამოიჩინა... ის კორფუს ერთ-ერთი პირველი ტურისტი გახლდათ. ნეტა სადა ვარ და რომელ ქვეყანაში? – თავის თავს ჩაეკითხა ელინთა გზაბნეული გმირი. მას მერე ყველას, ვისაც კი ამ კუნძულზე ფეხი დაუდგამს, ალტაცებისგან გაოცებულს სწორედ ეს კითხვა ებადება. მზე ცალ თვალს გამოაჭყეტს თუ არა, აქაურობა მოუსვენარი ტურისტებით ივსება, ძირითადად – უცხოელებით. ზოგი ათენიდან თვითმფრინავით მოფრინავს, ზოგი კი – ბორნით ჩამოდის ილუმენიციდან – ასე დასვენება შედარებით იაფი ჯდება. ვიმეორებ – შედარებით. თორემ ფასებს სეზონზე ცეცხლი უკიდია.

ჩვენი მეგზურიც ოდისეუსის სეხნია გახლდათ. თუმცა, წინაპრისგან განსხვავებით, დიდი გონებამახვილობით არ გამოირჩეოდა. ამიტომაც მოხერხებულად გაგვაცურა მისმა თანამემამულე ტაქსის მძღოლმა. სანამ სასტუმრომდე მიგვიყვანდა, ერთი ციციქნა კუნძულს ბარე შვიდჯერ დაარტყა წრე. მერე კი შემოიკრა თავში ხელი ჩვენმა გმირმა, მაგრამ ის მძღოლი უკვე კმაყოფილი ილხენდა გვერდზე ტავერნაში. ასე რომ, ტაქსისტებთან ყურადღებით იყავით. ოდისეუსი მოატყუეს და უცხოტომელებს დაინდობენ?! მერედა, რამდენი გაუცურებიათ?! თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამხელა გზა ცურვისთვის არ გამოიარეთ?



ალბათ რაღაც ჯადო აქვს აქაურობას. როდესაც ციხესიმაგრის წვერში მოექცევი და მთელ კუნძულს გადმოხედავთ, მერე გამჭვირვალე იონიის ზღვის ტალღებსაც გაეთამაშებით და ერთხელ მაინც „პალაია ანაკტორას“ (ძველი სასახლეები) ბალებში ყინულიან „ფრაპეს“ (ჩვენებურად თუ მოვთარგმნით, ცივი ყავაა) ან ბერძნულ ყავას დააგემოვნებთ და ზედ უზოსაც დააყოლებთ (უზო ბერძნული არაყია და უზომოდ ნუ მიეძალებით!), ჩათვალეთ, რომ აქედან ველარასოდეს გააღწევთ, მანამ სანამ ბოლო კაპიკების თვლას არ დაინწყებთ. და იმ ბოლო კაპიკებსაც ზღვაში გადაუძახებთ იმის იმედით, რომ ოდესმე კიდევ მოხვდეთ ამ დაუფინყარ ჯადოსნურ წრეში.

პატარა კუნძულის გრძელი და ფათერაკიანი ისტორია პოსეიდონის სატრფიალო თავგადასავლიდან იწყება. ზღვების მბრძანებელს თავდავინწყებით შეჰყვარებია ნიმფა კორკირა (თუ კერკირა) და ამ ლამაზი კუნძულისთვისაც, სადაც ახლაც შემონახულია ანტიკური ხანის პოსეიდონის ტაძრის ნანგრევები, მისი სახელი დაურქმევია. დღეს ბერძ-

ნები კუნძულს კერკირას ეძახიან, სხვები – კორფუს, ანუ მწვერვალებს და იმ ორ ციხესიმაგრეს გულისხმობენ, რომლებიც გარს ერტყმის ძველ ქალაქს. ძველი ქალაქი ლაბირინთივითაა დაქსელილი ვიწრო ქუჩებით, განსაკუთრებულ ყურადღებას ვენეციური არქიტექტურა იქცევს. ქალაქის დიდი ნაწილი იტალიელების აშენებულია. სიმართლე რომ გითხრათ, სული კი ამოგვხდა ამ ლაბირინთში, ესეც ჩვენი ოდისევსის წყალობით. წმინდა სპირიდონის ტაძრის ძებნაში მთელი ერთი საათის განმავლობაში ვტკეპნიდით ერთსა და იმავე ადგილს და დიდხანს ვისმენდით ლეგენდებს ქალაქის მფარველი წმინდანის შესახებ. არადა, ეს ტაძარი ზედ ჩვენს ცხვირწინ არ აღმოჩნდა?

ჰო, კიდევ ერთი ლეგენდა. ერთხანს თურმე კოლხეთიდან გამოქცეული არგონავტებიც აქ იმალებოდნენ...

ლეგენდებს რა გამოლევს? ყველა ტურისტს ხომ საკუთარი ზაფხულის ლეგენდა მოაქვს ამ ლამაზი კუნძულიდან...



ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი

ქახა თოლორდავა

ჩემთვის, ისევე, ალბათ, როგორც ბევრი დანარჩენისათვისაც, სრულყოფილი დასვენება ხარისხიან დალასაც გულისხმობს; ვინაიდან უკანასკნელი ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში მე საქართველოს აღმოჩენით (არა, ბრჭყალების ხმარება ტყუილის თქმას ნიშნავს) ვარ დაკავებული და თანაც ყველაზე ხარისხიანად სიარულის დროს ვიღლები ხოლმე (შენრი დევიდ თოროს სრულიად გენიალურ “სიარულს” რომ შევეშვით, სულ რამდენიმე ხნის წინ წავიკითხე, რომ ცნობილი გერმანელი რეჟისორისთვის ვერნერ ჰერცოგისათვის სიარული ერთგვარი რიტუალის ფორმა და უარყოფითი ენერჯისაგან განთავისუფლების საშუალება ყოფილა; ოთხმოციან წლებში მან ფეხით გაიარა მანძილი მიუნხენიდან პარიზამდე იმ იმედით, რომ მისი მასწავლებელი, რომელიც სერიოზულად ავად იყო ამ რიტუალის შედეგად განიკურნებოდა). ამიტომაც, აი ერთი ახლო, ადვილად განსახორციელებელი, ვითომ ყველასთვის უკვე კარგად ნაცნობი, მაგრამ დამიჯერეთ, სინამდვილეში სრულიად უცნობი და საოცარი სილამაზის, აბსოლუტურად ხარისხიანად დამღვლი დისტინაცია: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი. წინასწარ გაფრთხილებთ, - აქ საქმე ლამის 76 000 ჰექტარზე გაშლილ ველურ ბუნებასთან გექნებათ და არა კარუსელებთან და შადრევნებთან პარკთან, ხოლო მათთვის, ვისაც კუს ტბის მიმდებარე გამწვანებული ტერიტორია ტყე უჭონია, აქ ჩამოსვლა დიდი სიურპრიზი იქნება. ეს ის ადგილია, სადაც პირველ ჩასვლაზე, მარშრუტიდან უკან დაბრუნებისას სალამოს თერთმეტ საათზე, მეტყვევების რჩევით შეეჩერდით და ხელეგაშლილები მდუმარედ ვიდექით ვარსკვლავებით მოჭედული ცის ქვეშ რამდენიმე წუთის განმავლობაში. მერე, კი დავინახე თუ როგორ განათდა და მკვეთრად გამოიკვეთა ჩემს გვერდზე მდგარი ადამიანების კონტურები. იმ სალამოს მე პირველად ვნახე, თუ როგორ ანათებენ ციციანთელებით “დახუნძლული” ადამიანები. მას შემდეგ მე კიდევ ბევრჯერ ვყოფილვარ ეროვნულ პარკში (ერთხელ ზამთარშიც ერთ პაკისტანელ სტუმართან ერთად, რომელიც ისე მონუსხა დაბარდნილი ტყის სილამაზემ, რომ სრულიად მოულოდნელად, მან ყველას თვალწინ თოვლის ქაშა დაიწყო) და ყოველ ჩასვლაზე სუნთქვის შემაჩერებელი სილამაზით გამოწვეული “აუჰ, შენი!”-ს რაოდენობა მატულობს და მატულობს (მე “აუჰ, შენი!”-ს ყველაზე ერთგული მეგობარი ვარ... რა მნიშვნელობა აქვს მეთერთმეტე თუ ასორმოცდამეორე?). აქ რამდენიმე, ან თუნდაც ერთი დღის განმავლობაში დარჩენა (პარკში რამოდენიმე ტურისტული თავშესაფარი და დასაბანაკებელი ადგილია) ზუსტად ისეთივე ენერგეტიკული მუხტის მიღების გარანტიაა, როგორც დედამიწის ნებისმიერ კუთხეში არსებულ გამორჩეულ ბუნებრივ გარემოში. ეხლა კი, თუ ოდნავ მაინც დაგაინტერესეთ, შებრძანდით საიტზე www.welcome@borjomi-kharagauli-np.ge და თქვენთვის აირჩიეთ მარშრუტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ხარისხიან დაღვლილობის “გასაჩხერად”.

ნებისას სალამოს თერთმეტ საათზე, მეტყვევების რჩევით შეეჩერდით და ხელეგაშლილები მდუმარედ ვიდექით ვარსკვლავებით მოჭედული ცის ქვეშ რამდენიმე წუთის განმავლობაში. მერე, კი დავინახე თუ როგორ განათდა და მკვეთრად გამოიკვეთა ჩემს გვერდზე მდგარი ადამიანების კონტურები. იმ სალამოს მე პირველად ვნახე, თუ როგორ ანათებენ ციციანთელებით “დახუნძლული” ადამიანები. მას შემდეგ მე კიდევ ბევრჯერ ვყოფილვარ ეროვნულ პარკში (ერთხელ ზამთარშიც ერთ პაკისტანელ სტუმართან ერთად, რომელიც ისე მონუსხა დაბარდნილი ტყის სილამაზემ, რომ სრულიად მოულოდნელად, მან ყველას თვალწინ თოვლის ქაშა დაიწყო) და ყოველ ჩასვლაზე სუნთქვის შემაჩერებელი სილამაზით გამოწვეული “აუჰ, შენი!”-ს რაოდენობა მატულობს და მატულობს (მე “აუჰ, შენი!”-ს ყველაზე ერთგული მეგობარი ვარ... რა მნიშვნელობა აქვს მეთერთმეტე თუ ასორმოცდამეორე?). აქ რამდენიმე, ან თუნდაც ერთი დღის განმავლობაში დარჩენა (პარკში რამოდენიმე ტურისტული თავშესაფარი და დასაბანაკებელი ადგილია) ზუსტად ისეთივე ენერგეტიკული მუხტის მიღების გარანტიაა, როგორც დედამიწის ნებისმიერ კუთხეში არსებულ გამორჩეულ ბუნებრივ გარემოში. ეხლა კი, თუ ოდნავ მაინც დაგაინტერესეთ, შებრძანდით საიტზე www.welcome@borjomi-kharagauli-np.ge და თქვენთვის აირჩიეთ მარშრუტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ხარისხიან დაღვლილობის “გასაჩხერად”.



Route 61

თამარ ბაბუაძე

ერთ ჩვეულებრივ დღეს, რომელიც ბევრი წლის წინ იყო, ჩემმა შვეიცარიელმა მეგობარმა დენიელ ვონვილმა მითხრა, ამერიკაში სამოგზაუროდ მივდივარო. გამეცინა. იმიტომ, რომ იმ ერთ ჩვეულებრივ დღეს ეს დიალოგი მე და დენიელს შორის სწორედ შუაგულ ამერიკაში გაიმართა – მინესოტას შტატის პატარა ქალაქ როჩესტერის კოლეჯში. ამ დიალოგამდე კი, მე და დენიელს ჩვენი ერთნობიანი სტუდენტური პროგრამის ფარგლებში, ერთად გვექონდა მოვლილი შუა-დასავლეთ ამერიკის ყველა დიდი ქალაქი, ცალ-ცალკე კი მას – ფლორიდა, მე – ლოს ანჯელესი.

ამიტომ ჩემი ქუეით, ვიხუმრე, აბა, მთელ ამ წელიწადს რაც ჩვენ ამერიკაში ვიმოგზაურეთ, იმას რაღა ერქვა-მეთქი.

route 66 გაგიგიაო? – შორიდან მომიარა.

დენიელი ჩვენს ჯგუფში ყველაზე უფროსი იყო – 21 წლის და ყველაზე ინტელექტუალური. ამიტომ გამიხარდა, რომ ვიცოდი, route 66 – პირველი ამერიკული გზატკეცილი ჩიკაგოდან ლოს ანჯელესამდე. მაგრამ, არ მაცალა სიხარული:

დულუთში რომ ნატამას მშობლებთან ერთად ამ ზამთარში იყავი, იცი ვინ დაიბადა მაგ ქალაქშიო?

მეორე კითხვასაც გაფუძელი, ბობ დილანი-მეთქი და თანდათან დავინწყე აზრზე მოსვლა, თუ საიტკენ მიყავდა დენიელს დიალოგი.

და რომელი გზატკეცილის პირას დაიბადა, იციო? აბა, რა ვიცოდი.

highway 61-ის გვერდითო.

და იცი რას ეძახდნენ მაგ გზასო? ბლუზის გზატკეცილსო, ყველა მაგ გზაზე იდო, ვინც ბლუზს უკრავდა და მერე ბობ დილანიცო.

და “გზაზე” ნაკითხული გაქვსო? – აგრძელებდა ჩემს დაკითხვას, კიდევ უფრო ნათლად რომ განემარტა, რას გულისხმობდა.

გავჩუმდი.

გაუხარდა. თითოთ დამცინა და მერე უკვე გიჟივით მომაცარა:



ჰოდა, ეგრეთ. თქვენ რომ ყველანი თქვენ-თქვენს ქვეყნებში გაფრინდებით, მე ნიუ იორკში დაფრჩები, იქ ბიძაჩემი ბაზელიდან ჩამოვა, მანქანას დავიქირავებთ, რუკებს ვიყიდით, სურსათ-სანოვარსაც და წავიდაა, ერთი ოკეანიდან მეორის ნაპირებამდე... სულ სხვანაირად ვიმოგზაურებო, იცი რა ფართობზეა გზების ეს სისტემა გადაჭიმული? 75 ათასი კილომეტრზე! ათასი შტატის საზღვარს გავივლი; ლამ-ლამობით მიყრუებულ და განათებულ ფერმებს ჩაუქროლებ, სადაც “ბუდეაიზერით” გაბერილმა ფერმერებმა თავიანთი შტატის დედაქალაქის სახელიც ძლივს იციანო; ძველ ხის ბარებში მოკლე უნიფორმიან, სქელ ოფიციანტს ერბო-კვერცხს შევანვევინებ ბეკონით და ზედ სქელ ამერიკულ ბლინებს დავაყოლებ კარამელის სოუსითო; ლაპარაკი ხო იცი, როგორ მიყვარს და ყველას გამოველაპარაკებო; ჯერ მორყეულ მიუზიქ-ბოქსში 25 ცენტს იანებს ჩავაგდებ, რამე ვუდსტოკურს დავატრიალებ, მერე ულვაშებიან და კომბინიზონიან ბიძებს მივუბრუნდები, ბოყინს ვაცლი და მერე ვკითხავ, რას ფიქრობენ კლინტონის და მონიკა ლევისსკის სიყვარულზეო (ეგ დრო იყო მაშინ); ბენზინგასამართ სადგურებზე რომ მანქანას ბაკს გავუვსებთ, მე და ბიძაჩემი ჩვენ-ჩვენ ბაკებს დავიცლითო; იაფფასიან მოტელებში დავიძინებ, უცნაური სახელები რომ ჰქვიათო. პატარა ქალაქი, დიდი ქალაქი, მანქანების საცობები და გზაზე შეხვედრილი მოტოციკლეტისტთა ბანდები, პატრულები და უდაბნოს გზატკეცილები, ლას ვეგასი, კანიონები, კალიფორნია და ბოლოს ფრისკო – გიჟივით ლაპარაკობდა. Real America ხო გესმის, რაც არის? ჰოდა, ეგ მექნებაო.

პირდალბებული ვუსმენდი. თან მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ფრისკო რომ იგივე სან ფრანცისკოა, მარშრუტი – ნიუ იორკი-სანფრანცისკო კი, ის საოცნებო გზაა, რაზეც, თურმე, წიგნებიც დაინერა, ფილმებიც გადაიღეს, მაგრამ მაინც არ გაცვდა და არ დაილია.

ჰოდა, ახლა როცა ამ დიალოგის თუ დენიელის გიჟური მონოლოგის შემდეგ ბევრი წელი გავიდა, ამ სპენს-პროექტისთვის სწორედ, დენიელის გზა გამახსენდა. ალბათ, იმიტომაც გამახსენდა, რომ უკვე დიდი ხანია, ვიცი – ამერიკაში ასე მოგზაურობა ძალიან კარგი წიგნის კითხვას ჰგავს, რომლის მთავარი გმირიც და ავტორიც შენ და შენი მეგზურები ხართ.

მოკლედ, წავიკითხავდი ამ წიგნს, რასაც real america ჰქვია და თქვენც გირჩევდით. ეს ის არის, რაც ნამდვილია და რაც ბუმის პოლიტიკის, ჰოლივუდის კინობროდუქციის, ამერიკის თავდაცვის სისტემის და დიდი მეგაპოლისების უკან არ ჩანს.

თუ ჩემზე მეტი ფული გაქვს, ახლავე შეგიძლია, ნახო საიტი www.alamo.com, მერე ჩახვიდე ნიუ-იორკში, დაიქირავო მანქანა, იყიდო რუკები, სურსათ-სანოვარე და იქიდან წავიდა ბოლომდე – ფრისკომდე!







დართლო დათო ტურაშვილი

არასოდეს დამისვენია და ამიტომაც დასვენებასთან დაკავშირებით ვერავის დავეხმარები რაიმე რჩევით, თუმცა სიამოვნებით შემიძლია გავიხსენო სოფელი დართლო მთათუშეთში, სადაც სტუდენტობის მეგობრებთან ერთად ჩავრჩი ორი კვირის მანძილზე.

მივდიოდით ხევსურეთისკენ ზურგჩანთებით და თუშეთიდან უნდა გადავსულიყავით ანუთის უღელტეხილით, მაგრამ დაინყო გადაუღებელი, კოკისპირული წვიმები და სოფელ დართლოში შეგვიფარეს ორი დღით. მესამე დღეს კი გამოიდარა, მაგრამ გზის გაგრძელება იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ შევძელით, რომ დაგვაბინავეს იმ სახლის გვერდით, სადაც ლელა თათარაიძე ცხოვრობდა. ქალბატონი ლელა რომ გარმონს განელავდა სალამოობით, არაყი უკვე მიღებული გვექონდა საკმარისი რაოდენობით და ნირვანასაც ისეთი სისწრაფით ვუახლოვდებოდი ხოლმე, რომ დართლოს დატოვება მართლა ძნელი იყო. თანაც ეს ხდებოდა საფიხვნოზე, სადაც ცეცხლის გარშემო დავსხდებოდით ხოლმე სტუმარ-მასპინძლებიანად და ვარსკვლავებით მოჭედდით ცას რომ ავხედავდი სიმღერის დროს, აღარსად მეჩქარებოდა.

დღისით ვკითხულობდით წიგნებს, მერე აივანზე ვთამაშობდით ჯოკერს, მერე ვსვამდით არაყს და სალამოს გავდიოდით საფიხვნოზე, სადაც ლელა თათარაიძე მღეროდა.

მგონი, ნამდვილი დასვენებაც ეგ არის და როცა დავიღლები ხოლმე, ყოველთვის დართლო მახსენდება და ისე მენატრება, როგორც ლელა თათარაიძის ჯადოსნური ხმა...

მიმოსვლანი

ლაშა ბაქრაძე

ჩემთვის ეგრეთ წოდებული პასიური დასვენება ჰორორია. სადმე ზღვისპირას ერთი-ორი კვირის გატარება: საუზმე — ზღვა — სადილი — ზღვა — ვახშამი — ბანქო ან უკეთეს შემთხვევაში “ტანცი” და კოქტილები კი არ მასვენებს, მლღის. ერთხელ და ერთადერთხელ ათიოდე წლის წინათ გერმანიიდან ასე “პუტიოკვა-საგზურით” ვიყავი ტუნისში (თანაც საყვარელ ქალთან ერთად) და მერე ერთი თვე დამჭირდა ამ “დასვენებისგან” დასვენება.

მიყვარს მოძრაობა, მოგზაურობა, რაღაც ახალის ნახვა, შეცნობა. ახალი მაინცდამაინც უცხოეთს არ ნიშნავს, საქართველოშიც (კავკასიაზე რომ არაფერი ვთქვათ) უამრავია ადგილი, სადაც მიუხედავად იმისა, რომ შეძლებისდაგვარად ბევრს ვმოგზაურობ, არ მინახავს. საერთოდ, იშვიათია ხალხი, რომელიც ქართველებივით ვითომ ამაყობდეს თავისი ქვეყნით და ასე ცუდად იცნობდეს თავის ქვეყანას. თბილისი-სარფის გზაზეც კი ბევრი საინტერესოს ნახვა შეიძლება, თუ კაცი ოდნავ გზიდან გადაუხვევს. მეორე მხრივ, შეიძლება ასეც ჯობს ბუნებისთვის, რადგან ქართველი სადაც მიდის, ნაგვის მთებს ტოვებს.

უცხოეთში ძირითადად ისეთ ქვეყნებსა და ქალაქებში ვმოგზაურობ, სადაც ნაცნობ-მეგობრები მყავს, რადგან მე ტურისტული ხელში სამოგზაურო ნიგნით, მხოლოდ ტურისტული ატრაქციონების ნახვა არ მიყვარს — მაინტერესებს როგორც ცხოვრობენ ადამიანები, რას ჭამენ (სამზარეულო კულტურის განუყოფელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილია ჩემთვის), რაზე ლაპარაკობენ, მაინტერესებს არა მარტო მუზეუმები, არამედ ყოველდღიური ცხოვრება. როდესაც შეგიძლია იცხოვრო ანდალუზიაში, პატარა სოფელში ალპუხარას მთებში და სოფლებთან ერთად ფიესტებზე იარო ან კრეტაზე მეთევზეებთან ერთად გახვიდე ზღვაში ან ტოსკანაში, მონტეპულიჩანოს ვენახებში ყურძენი დაკრიფო, დიდი ბედნიერებაა. სრულიად სხვაა, როდესაც არა ტურისტებისთვის განკუთვნილ რესტორნებში ზიხარ სადღაც დიდ მოედანზე სადაც უამრავი ხალხი ირევა, არამედ იქვე მოედანთან მეოთხე იტალიურ ეზოში (ისე როგორც ფლორენციაში) ძველ პიცერიაში ხარ, სადაც თავის დროზე წითელი არმიის ბრიგადების წევრები ტერორისტულ აქტებს გეგმავდნენ ან ბარსელონაში, “ლა პალომას” დისკოთეკაზე, სადაც 9 საათამდე მოხუცები ვალსს და ზოგჯერ ცოტა მიმკვდარებულ კატალონიურ სარდანას ცეკვავენ, ხოლო როცა ათზე ახალგაზრდებისთვის დი-ჯეები გამოდიან სცენაზე მეორე სართულის ხის ბალკონებიდან აკვირდებიან, როგორ ირჯებიან მათი შვილიშვილები, იქვე ბარსელონაში, ბარიო ჩინოში, პატარა მეცხრამეტე საუკუნის ბარებში, სადაც ტურისტი ალბათ არასდროს ხვდება ან ქალაქის მეორე ბოლოში, სამოციანი წლების ჯიმლეტ ბარში, სადაც ჰაერიც კი ტესტოსტერონით გაჯერებული გგონია. რა ჯობია, საშობაოდ ბუდაპეშტში ოტოს დედის დამზადებულ კერძებს ან აუცილებელ თორმეტკერძიან საშობაო სუფრას კრაკოვში? თუ არავის იცნობ, ასეთ ადგილებში ვერ მოხვდები. ისიც უნდა ვაღიარო, რომ სასტუმროების ფული არასდროს მქონია და ამიტომაც, თუ იშვიათად რაიმე საქმიან ვიზიტზე არ დამპატიჟეს, მეგობრების იმედად უნდა ვიყო. ბედად უამრავი უცხოელი მეგობარი მყავს და უფრო მეტ ადგილას ვარ დამპატიჟებული, ვიდრე, სამწუხაროდ, ამის დრო და საშუალება მაქვს.

ბავშვობიდან მინდოდა მენახა რომი, და მხოლოდ ახლახან ვიყავი, რადგან მანამდე იქ არავის ვიცნობდი. (“მესამე რომი — მოსკოვით” დავინწყე, მერე მეორე რომში — კონსტანტინოპოლ-სტამბულში ვიყავი და ბოლოს პირველ რომამდეც მივალნი, ქალაქამდე, რომელსაც ყველა ევროპული ცივილიზაციის დიდი მეტროპოლია იმეორებს, ქალაქთა დედა-მდე. კარგია, რომ ბოლოს ვნახე, თორემ, შეიძლება, ლონდონსა და პარიზსაც აღარ მოეხდინა ისეთი შთაბეჭდილება, როგორც რომის უნახავზე მოახდინეს). ირანშიც, სადაც ყოველთვის მინდოდა მოხვედრა, გამოჩნდნენ მეგობრები, ვისთანაც ჩასვლა ღირს. კარგა ხანია დრო მოვიდა ევროპიდან აზიაში, შორეულ აღმოსავლეთში, ამერიკასა და ჩემი ბავშვობის ოცნება — აფრიკაში გადავინაცვლო. არ არის ქვეყანა, რომელშიც სიამოვნებით არ ნავიდოდი. თვით გზაში ყოფნაც და არა მხოლოდ რაიმე საბოლოო მიზნამდე მიღწევა სიამოვნებას მგვრის. მოძრაობაა ჩემი დასვენება.








საქართველო

ავტორი: მანა სუმბაძე

ფოტო-პროექტი აბრეზი



ეს ხელნაკეთი აბრები გარდამავალმა ეპოქამ მოიტანა და ნელ-ნელა ქრება.
მათი დიზაინი ჩვენი ყოფისა და დროისთვის ძალიან ორგანულია, გასწვავებით თანამედროვე, დახვეწილი, ევროპული დიზაინისგან, რომელიც
ჩვენთან მზა-მზარეულად შემოდის და მათ ცვლის. თან ეს პროცესი ძალიან სწრაფად ხდება.
ამიტომ გვინდოდა ამ ნიმუშების ფირზე აღბეჭდვა.



ფეხსაცმლის
შეკეთება
РЕМОНТ
ОБУВИ




ქიმიკის
შეხვერა



ფეხსაცმლის
შეკეთება





899 184989

AUDI

MERCEDES

OPEL





ფეხსაცმლის
საღიბი



მანკაბი 4 T: 987655

შეჭრა 3
 შეღებვა 12
 შეღიკება 15
 ქიმიკი 4
 ღებვა-სახე 4



ფეხსაცმლის
რესტავრაცია
განახლება
შეღებვა
განახლება
РЕСТАВРАЦИЯ
ОБНОВКА
ОКРАСКА ОБУВИ



მანკის
შეკეთება

განახლების
შეკეთება



ფეხსაცმლის
განახლება, განახლება
РЕСТАВРАЦИЯ И
РАСТЯЖКА ОБУВИ



გორაკი
ტანსაცმელი



РЕМОНТ ОБУВИ
РЕСТАВРАЦИЯ
10⁰⁰ - 18³⁰



ფეხსაცმელი




საგანკის
შეკეთება

საქსანთი
სანმეწვევი

დუქანი
ღაბა

შპს
ფირმა „მონა“
სურსათი

ანი ხატავური
ვლავლობთ
შეკეთებს

სინკაფი
მთხვევების

აჭაკული
ხატავური
კამბუკბერი

KEO BEER

საქსანთი
სურსათი
minimarket

სიღობი-
მოსტრეულები

თონა
შაშაზა
ბოჭის შენვა

სურსათი

ქარხნის მუშა-48
კაბუნი 33067
ბაჭის ადგილ-ნაშენებელი
ყველა ღირს
ფონი, მისი 693060

გენერატორების
შეკეთება



ROBIN

РЕМОНТ
ГЕНЕРАТОРОВ

7 8 9 3 7 4 5 0

გენერატორების
შეკეთება



ROBIN


РЕМОНТ
ГЕНЕРАТОРОВ

РЕМОНТ ГЕНЕРАТОРОВ
გენერატორების შეკეთება

HONDA
ROBIN
KOSİKA



Dream to



Shackleria

Ya me di al poder que a mi destino rige.

No me agarro ya de nada, para asi no tener nada que defender.

No tengo pensamientos, para asi poder ver.

No temo ya a nada, para asi poder acordarme de mi.

Sereno y dcsprendido, me dejara el aguila pasar a la libertad.

Carlos Castaneda. "El don del águila"

კიბერსამყაროში მოგზაურობამ კიდევ ერთხელ დამაყენა დილემის წინაშე: ვინ ვართ ჩვენ, მხოლოდ ერთი უაზრო რგოლი ევოლუციის ჯაჭვში, თუ შემოქმედის ხატი? პირველს პირადად მე ეგზისტენციალურ კრიზისამდე მივყავარ. გულისრევის მძაფრი გრძნობა და სასონარკვეთილება მეუფლება საკუთარ თავს დიდი მექანიზმის თუნდაც სრულყოფილ კბილანად რომ წარმოვიდგენ. თუმცა, არ შეამჩნიო მუდმივად როგორ იბრძვიან არსებები გადარჩენისთვის, გამარჯვებისთვის და საკუთარი სასიცოცხლო სივრცის გაფართოებისათვის, სირაქლემას მოუხერხებელ პოზაში დგომას ნიშნავს. ცხადია ისიც, რომ თუ ჩვენ მხოლოდ მატერიის გადამამუშავებელი ავტომატები ვართ, ერთადერთი გზა თვითრეალიზაციისათვის სწორედ რომ ველური ბრძოლაა. რესურსების უკმარისობის პირობებში ყოველთვის ვიქნებით იძულებული ერთმანეთს პირიდან წავგლიჯოთ ნადავლი. თუმცა, ეს იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენი არსებობა, მართლაც, მხოლოდ მატერიალური სამყაროთი შემოიფარგლება.

მეორე გზა, რომელიც გვიმხელს, რომ ჩვენ შემოქმედის ხატად ვართ შექმნილი, ისეთივე თავისუფალი ნებით, ალბათ, არაფრისაგან რაიმეს შექმნის ისეთივე უნარით, გვთავაზობს თვითრეალიზაციას არა ბრძოლის, არამედ თანამშრომლობის გზით. როდესაც ძალგის

საგნები პირველყოფილი წყვდიადიდან გამოიტანო, შესაჯიბრიც არაფერია და გასაყოფიც. და უფრო საინტერესო ხდება სხვებთან ერთად უცნაური სამყაროების შექმნა.

კიბერსივრცემ დამანახა, თუ როგორ შეიძლება ადამიანების ძალისხმევა ერთმანეთთან დაპირისპირებას კი არა, ახალი, საინტერესო გარემოს შექმნას მოხმარდეს. თუმცა, ძნელია იმ ჩვევების დათმობა, რომელსაც გარემო მთელი ცხოვრების მანძილზე გვიყალიბებდა. ალბათ, ამიტომაცაა სასუფეველში მოხვედრა ასე რთული. კიბერსივრცეც მცირედ, მაგრამ მაინც სასუფეველს წააგავს თავისი შესაძლებლობებით. ჩვენ კი, ჩვენი ჩვევები ვირტუალურ სამყაროშიც შევიტანეთ, იქ, სადაც ჯერ თითქოს ყველაფერი საკმარისია, სადაც შეგვიძლია ვაკეთოთ ის, რაც გვინდა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობა მხოლოდ სიახლის ძიებას მოვახმაროთ.

როგორც ჩემმა ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა: "მომავალი უფრო სწრაფად გვიახლოვდება, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვედგინა". და ახალი რეალობის ეს ტალღა მალე ყველა ჩვენთაგანს გადაუვლის. ტალღა, რომელიც წაღეკავს ყველაფერს ძველს, დრომოჭმულს და ალბათ, ეპოქების წინ დამარხულ პირველყოფილ სიბრძნესაც შლამს გადააცლის.

მე მივენდე ძალას, რომელიც განაგებს ჩემს ბედს, მე არაფერს ვეჭიდები, და არც არაფერი მექნება დასაცავი, მე არ მაქვს აზრები, ამიტომაც მე ვიხილავ, მე არაფრის მეშინია, ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი თავი არ დამავიწყდება, განდგომილი, მსუბუქი სულით არნივს გვერდზე ჩაეუფრენ, რომ მოვიპოვო თავისუფლება.

კარლოს კასტანედა. "არნივის ნაბოძარი"



1. ექოკონფერენცია – განსაზღვრული თემატიკის შეტყობინებების ნაკრები ფიდონეტის ქსელში. თავისი გარეგნობით, ფუნქციონალური შესაძლებლობებით, სოციალური შემადგენლობით და ა.შ. ინტერნეტის ქსელში ახალი ამბების ჯგუფს წააგავს.
 ფიდონეტი – საერთაშორისო არაკომერციული ქსელი, რომელიც 1984 წელს ორმა ამერიკელმა პროგრამისტმა: ტომ ჯენინგსმა და ჯონ მედილმა შექმნეს. ლეგენდის მიხედვით “ფიდი” ტომ ჯენინგსის ძაღლის მეტსახელი იყო.

2. კასტანედა, კარლოს (1925-1998) – ამერიკელი ანტროპოლოგი, მწერალი, მისტიკოსი. განსაკუთრებით პოპულარული იყო მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და 70-იან წლებში.

3. toltecdreaming - კარლოს კასტანედას მიმდევართა ინგლისურენოვანი მეილ-ლისტი.

4. ARIML (Alternative Russian Ixtlan Mail List) - კარლოს კასტანედას მიმდევართა რუსულენოვანი მეილ-ლისტი.

საინტერესოა რას ვიხილავთ, როდესაც რეალობა თავის მორიგ საიდუმლოს გაგვიმხელს. მანამდე კი, იძულებულები, ნამცეც-ნამცეც ვაგროვებთ ცოდნას და ვცდილობთ იდუმალი მოზაიკა ავაწყოთ.

კიბერსივრცეში პირველი გაუთვალისწინებელი ნაბიჯი, ალბათ, ინტერესთა ჯგუფების შექმნა იყო. ადამიანმა მალე მოუძებნა ახალ საკომუნიკაციო ინსტრუმენტს არაპირდაპირი გამოყენების სფერო და სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო კიბერსოციუმის ჩამოყალიბება. დღეს გლობალურ ქსელში ათასობით ინტერესთა ჯგუფია მეილ-ლისტების, ფორუმების და ჩეთების სახით. ადამიანები ხვდებიან ერთმანეთს ვირტუალურ სამყაროში, რათა გაუზიარონ ერთმანეთს აზრები, მოუსმინონ ან იკამათონ. ზოგიერთი ასეთი საზოგადოება უფრო მჭიდროდ აერთიანებს თავის წევრებს, ვიდრე რეალური სამყაროს სხვადასხვა დაჯგუფება. ვირტუალური საზოგადოებების ერთი ნაწილი ღიაა ყველასათვის, მეორე კი დახურული. ხანდახან, ასეთ ჯგუფში მოხვედრისათვის ახალ წევრებს გარკვეული ინიციაციის გავლაც კი სჭირდებათ.

ერთი-ორ კიბერსოციუმთან მეც მქონდა ურთიერთობა რამდენიმე წლის განმავლობაში. კუმუნჩიკი სწორედ ერთ-ერთი ასეთი ჯგუფის მეილ-ლისტის მოდერატორია.

– გამარჯობა, დიდი ხანია აღარ გვისაუბრია. როგორ მიდის საქმეები?

კუმუნჩიკი – კარგად. ამ ბოლო დროს ხალხი ცოტა პასიური გახდა. ვცდილობ, რაიმეთი დავექოქო, ვნახოთ, რა გამოვა.

– დიდი ხანია რაც ქსელში მოღვაწეობ. გახსოვს, როგორ დაიწყო ყველაფერი?

კუმუნჩიკი – სულ თავიდან? მაშინ კომპი არ მქონდა. 96-97-ში. სახლში “პოისკი” მქონდა, ეკრანის მაგივრად ტელევიზორით. ჩემ მეგობარს სამსახურში ჰქონდა ქსელი. ხანდახან მივდიოდი მასთან და ექოკონფერენციებს¹ ვუყურებდი. ეს მაშინ ჩემთვის ნამდვილი სასწაული იყო. ჩავეწერე კასტანედას² მიმდევრების რომელიღაც ინგლისურენოვან კონფერენციაში, საინტერესო ადამიანები გავიცანი. მიმონერა მქონდა მათთან. სახლში “პოისკზე” ვკრეფდი ტექსტს და შემდეგ მეგობარი უგზავნიდა სამსახურიდან. ისინი მაგიით და სიზმრებით იყვნენ გატაცებულები. ეს ყველაფერი სასწაულს გავდა. მაშინ ისეთივე ალფრთოვანებული ვიყავი, როგორც ეხლანდელი ახალბედები არიან.

– შენი მეილ-ლისტი როგორ შექმენი?

კუმუნჩიკი – 2001-ში სერგეი იზრიგი გავიცანი. მეგობარმა მითხრა რომ toltecdreaming³-ში

საინტერესო ტიპი გამოჩნდა და მისი სტატია გამომიგზავნა. ეს მისი პირველი სტატია იყო, საშინელი ინგლისურით წერდა. მე ჩავეწერე ამ კონფერენციაში და ასე გავიცანი სერგეი. დავითანხმე რუსულენოვანი სიზმრების მოყვარულებისათვის დაეწერა. მაშინ ariml-ში ვიყავი. იზრიგიც სწორედ მანდ მივიყვანე. კარგი პრომოუშენი გაუკეთე ქსელში. ბევრი ახალი წევრი ჩაენერა ariml-ში. ოღონდ სერგეი იქ დიდხანს ვერ გაჩერდა. ამბობდა რომ ხალხს მისი არ ესმოდა. ცალკე განყოფილებაც გაუკეთეს, იქაც შეეკრიბეთ ხალხი, მაგრამ ვერც იქ გაჩერდა. ის ყველაფერზე ბრაზდებოდა. უბრალო შეკამათებზეც კი სწორედ მაშინ გადავწყვიტე მოდერირებადი მეილ-ლისტი გამეკეთებინა, ისეთი, სადაც ლოიალურ ატმოსფეროს შევინარჩუნებდი და მივცემდი იზრიგის საშუალებას მსურველებისათვის რაიმე ესწავლებინა. მაშინ ამ ლისტს dreamhackers ერქვა, იზრიგის თანამოაზრეთა ჯგუფის სახელის მიხედვით.

1993 წლის ნოემბერში დაცვის კერძო სამსახურის “C.K.” საინფორმაციო-ანალიტიკურმა ჯგუფმა უცნაური დაკვეთა მიიღო ძილისა და სიზმრების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებაზე. ამავე წლის დეკემბერში ჯგუფს დამატებით თხოვეს ჩაეტარებინათ მოსახლეობის ფართომასშტაბიანი გამოკითხვა სიზმრების შესახებ. თავიდანვე გამოირიცხა მკითხაობისა და სიზმრისეული სახეების ინტერპრეტაციის თემა. შემკვეთის მხრიდან ჯგუფში ჩაერთვნენ სერგეი იზრიგი და დიმიტრი ვოლოხი. 1994 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით 10 ათასამდე ადამიანი გამოკითხეს. მათში ვოლოხი მოსკოვის გარეუბანში იპოვეს მოკლული. მოგვიანებით გაირკვა, რომ დაცვის სამსახურში მუშაობდნენ უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები. მათ აინტერესებდათ ვინ იყო ასეთი უცნაური პროექტის დამკვეთი და ვოლოხს თანამშრომლობა შესთავაზეს. მან უარი განაცხადა და იზრიგის გაფრთხილებაც მოასწრო.

1995 წლის თებერვალში ვილნიუსში ჩატარდა სემინარი გაცნობიერებულის სიზმრების შესახებ. მოგვიანებით, ივლისში გამოიცა ბროშურა, რომელშიც პირველად აღწერეს სიზმრების კარტოგრაფირების მეთოდი. უშიშროება გავიდა სემინარის ორგანიზატორებზე. ორმა მათგანმა ფოტოებზე სერგეი იზრიგი ამოიცნო. სექტემბერში, ქორწინებამდე ოთხი დღით ადრე,

იზრიგის საცოლე მოიტაცეს და მხეცურად მოკლეს. დამნაშავეები ვერ იპოვეს, მაგრამ რამდენიმე დღეში იზრიგის პირველი ჯგუფის თითქმის ყველა წევრი დააპატიმრეს. იზრიგიმ გაქცევა და მეგობრების დახმარებით ბელორუსიაში გადასვლა მოახერხა.

1998 წლის ოქტომბერში ნოვოსიბირსკში დაიჭირეს ძმები მურავიოვები, რომლებიც “სიზმრების ჰაკერების” ჯგუფის წევრები იყვნენ. მათგან უშიშროებამ ჯგუფის მუშაობაზე საკმაოდ დიდ ინფორმაცია გაიგო. 2000 წელს კი უშიშროების საიდუმლო ლაბორატორიაში, რომელიც ცნობიერების სასაზღვრო მდგომარეობებს იკვლევდა, უცნაური ზარების სერია გაისმა. ზარების ავტორს მიაგნეს. დაკავებულმა ახალგაზრდამ დაკითხვისას აღიარა, რომ ტელეფონის ნომერი სიზმარში ნახა. შემდგომ გაირკვა, რომ ის “სიზმრების ჰაკერების” ჯგუფის წევრი იყო.

2000 წლის ოქტომბერში იზრიგი ФСБ-ს თანამშრომლებს შეხვდა და სთხოვა გაეთავისუფლებინათ დაკავებული “ჰაკერები”. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ჯგუფის კვლევების მასალებს გამოაქვეყნებდა. 2001 წლის თებერვალში იზრიგიმ ინფორმაციის ინტერნეტში გამოქვეყნება დაიწყო. აპრილში დაკავებულები გაათავისუფლეს.

2001 წლის განმავლობაში ბევრი ახალი წევრი შეუერთდა “ჰაკერების” ჯგუფს. იზრიგის მეგობრების ძალისხმევით შეიქმნა “სიზმრების ჰაკერების” ვებ-გვერდი და ფორუმი.

სერგეი იზრიგი. ჯგუფ “სიზმრების ჰაკერების” საჯარო ისტორია.

– როგორც ვხედავ დიდი ხნის გამოცდილება გაქვს კიბერსაზოგადოებებთან ურთიერთობის. შენი აზრით რითი განსხვავდებიან ისინი რეალური ჯგუფებისაგან?

კემუნჩიკი – რეალობაში ენერგეტიკული კავშირი უფრო ძლიერია. არავერბალური ურთიერთობა აქ ბევრს განსაზღვრავს. ხშირად ლაპარაკი არცაა საჭირო. ქსელში იძულებული ხარ, უფრო მეტი ილაპარაკო. ქსელში დაუსჯელობის სინდრომიც მეტია. შეიძლება ვინმეს შეაგინო და არავინ დაგინაყავს სახეს. თუმცა უპირატესობაც ბევრია. აქ მთელი მსოფლიოა მისანვდომი. რეალურ სამყაროში შენს

5. **ДЭИР (школа дальнейшего энерго-информационного развития)** - ორგანიზაცია რომელიც თავის თავს წარმოაჩენს როგორც მსმენელების სოციალური ეფექტურობის გაზრდაზე ორიენტირებულ სასწავლო სკოლად.

6. **NLP** - ნეირო ლინგვისტური პროგრამირება.

7. მედიჩის პასიანსი - პასიანსი, რომელიც ლეგენდის მიხედვით გამოიგონა ჯონ დიმ და ასწავლა მარია მედიჩის, როგორც მომავლის პროგნოზირების და მართვის ხერხი.

8. კსენდოუკი, ალექსი პეტრეს ძე - მწერალი, მისტიკოსი. თავის ნაწარმოებებში ის ინტერპრეტაციას უკეთებს და ანვითარებს კარლოს კასტანედას სწავლებას.

9. ტროფიმოვი, სერგეი პავლეს ძე - მწერალი და მთარგმნელი, ცხოვრობს და მუშაობს ქ. რიგაში, ლატვია. 1983-1991 წლებში იყო ლიტერატურული მოძრაობა "სამიზდატის" აქტიური მონაწილე. თარგმნიდა ოკულტურ და ფანტასტიკურ ლიტერატურას. 1994-1998 წლებში მუშაობდა გამომცემლობა პოლარისში.

გვერდით თანამოაზრე შეიძლება ვერც იპოვო, ინტერნეტში კი მათ ადვილად მიაგნებ.

- როგორ ფიქრობ, ქსელი შეუწყობს ხელს საზოგადოებას, ნაკლებად კონფორმისტული გახდეს?

კეშუნჩიკი - ალბათ, კი. რეალობაში ძნელია არ მოერგო მეზობელ პეტიას დიდი მუშტებით. ქსელი კი სამყაროს აფართოებს. შეგიძლია ბევრ ადამიანთან გქონდეს ურთიერთობა. ადრე მარტო პეტიას იცნობდი მეზობელი ეზოდან, ახლა კი შეგიძლია გაცივო ბევრი სხვაც, სხვადასხვა ქალაქებიდან და ქვეყნებიდან. არ ვიცი შეცვლის თუ არა ეს საზოგადოებას, მაგრამ მე ბევრი მეგობარი ვიპოვე ქსელში. ბევრთან რეალობაშიც მაქვს ურთიერთობა. და რა თქმა უნდა, ქსელთან კავშირი რომ არ მქონდეს, ჩემი ცხოვრება ნამდვილად ნაკლებად საინტერესო იქნებოდა.

- რა არის ქსელში ურთიერთობის ყველაზე დიდი ნაკლი?

კეშუნჩიკი - ის რომ ადამიანი გვერდით არაა. არ შეგიძლია შეეხო, იგრძნო რას განიცდის. ალბათ, ყველაფერი ინფორმაციის სიმწირეშია. მარტო სმაილიკებით ძნელია გამოხატო ემოციების მთელი სპექტრი.

- მაგრამ მაინც მილიონობით ადამიანი სწორედ ასე ამჯობინებს ურთიერთობას. შენი აზრით, მაინც რა არის ის, რაც ინტერნეტ-საზოგადოებებს კრავს?

კეშუნჩიკი - საერთო ინტერესები. თუმცა, ხშირად ქარიზმატული ლიდერიც მნიშვნელოვანია. მაგალითად ისეთი, როგორც იზრიგი იყო. დღეისათვის ინტერნეტში გაცილებით მეტი ინტერესთა ჯგუფია, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში. რეალურ ცხოვრებაში ჯგუფები ძირითადად ადგილმდებარეობის მიხედვით იქმნება და უფრო ხშირად დიდი ქალაქებისთვისაა და მახასიათებელი. ინტერნეტში მთავარი საერთო მიზანი და ინფორმაციის გაცვლაა. რეალობაში მეგობრის სანახავად დიდი მანძილების დაფარვა და დრო გჭირდება. ინტერნეტი საშუალებას გაძლევს, უბრალოდ, ბმულზე დაწკაპუნებით დაუკავშირდე ვისაც გინდა დედამიწის მეორე მხარეზეც კი. თუმცა, პასუხისმგებლობაც მცირეა. თუ გეზარება წერილის დაწერა - არ წერ. რეალურ ცხოვრებაში კი ძნელია თავი აარიდო პასუხის გაცემას.

ქსელური პროექტები ქსელის კანონებით ვითარდება, რომლებიც ოფლაინური კანონებისაგან ძირითად სტატუსის ამაღლებისათვის ბრძოლის

მეთოდებით განსხვავდება. "რეალურ სამყაროში" თქვენი სტატუსი დამოკიდებულია იმაზე, რასაც თქვენ ფლობთ, რა ტიტულები და სამეცნიერო ხარისხები გაქვთ, რა თანამდებობა გიკავიათ. ქსელში თქვენზე მსჯელობენ იმიტომ, რასაც თქვენ გაცემთ.

პაველ პროტასოვი. "Русский Журнал".
P@утина, выпуск 65.

- შენ თქვი, რომ იზრიგი ქარიზმატული ლიდერი იყო. რითი იყო ის განსაკუთრებული?

კეშუნჩიკი - პირველ რიგში მაინც მომხიბვლელი იყო. ამაში მას ვერავინ შეეძრებოდა. "ჰაკერების" მთელი ეს ისტორია, ინტრიგები, შეთქმულების თეორიები და რა თქმა უნდა უნიკალური მეთოდებიც ამას ხელს უწყობდა. მე არა მგონია, რომ მისი მეთოდები უფრო ეფექტური ყოფილიყო ვიდრე მაგალითად ДЭИР⁵-ის ან NLP⁶-სი, მაგრამ უფრო მიმზიდველი რომ იყო, ცხადია. შეიძლება ზოგისთვის ისინი მუშაობდნენ. ვიცნობ რამდენიმეს, ვინც ამბობს, რომ თუნდაც "სიზმრების კარტოგრაფირებით" ან "მედიჩის პასიანსით" ბევრ რამეს მიაღწია. მაგრამ მაინც, ეს მეთოდები არ გამოდგა უმრავლესობისთვის.

გარდა ამისა, თვითონ იზრიგიც ცდილობდა რაც შეიძლება ბევრისთვის მიეწვდინა ხმა, წარმოეჩინა თავი ქსელში. მისი ჯგუფის წევრები ხშირად ჩნდებოდნენ სხვადასხვა ფორუმებზე, ხშირად სკანდალური განცხადებებით და ავრცელებდნენ ინფორმაციას "ჰაკერების" შესახებ. მახსოვს ერთ-ერთი "ჰაკერი" როგორ დაუპირისპირდა კსენდოუკს⁸ საკუთარ ფორუმზე, მაშინ ყალბი მისამართებიდანაც კი აგზავნიდა წერილებს. იზრიგი რამდენიმე გოგოს დაყოლიებას ცდილობდა ლისტში, ჩემსაც მათ შორის, რომ დაეწერათ წიგნი ჰაკერებზე.

ზოგიერთმა ლისტში მეც დამაბრალა, რომ კსენდოუკმა გადამიბირა და დამაპირისპირა ჰაკერებს. მაგრამ მე არავის დავპირისპირებო და არც იზრიგისთან მიჩხუბია. რაც შეეხება კსენდოუკს, მას არ ვთვლიდი ღირსეულ მოწინააღმდეგედ და ამას ყოველთვის ვეუბნებოდი იზრიგის. თუმცა, ის რატომღაც მნიშვნელოვნად თვლიდა მასთან ბრძოლას. ისე იზრიგის პარანოიდალურ გამონათქვამებში ჩანდა, როგორ ეძებდა ის მტრებს ყველგან, ჩვენს რიგებშიც კი. ФСБ-სთან დაკავშირებული ისტორიაც გამოგონილი თუ არა გაზვიადებული მაინც მგონია. ესეც იზრიგის ქარიზმატულობის ნაწილი იყო. ის თავიდანვე ამბობდა, რომ უნდოდა ის საიდუმლო ინფორ-

მაცია გამოექვეყნებინა, რომელსაც ფლობდნენ ჰაკერები, რადგან არ უნდოდათ, რომ მხოლოდ ძალოვანებისთვის ყოფილიყო ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი.

ჰაკერების თანამედროვე სუბკულტურის აღწერისას, ფსიქოლოგები ჩვენ “შეზღოვებულ პროგრამისტებს” გვინოდებენ – ადამიანებს, რომლებიც რეალურ სამყაროს “მსოფლიო სუპერკომპიუტერის ოპერაციულ სისტემად” აღიქვამენ. ეს სასიამოვნო შეფასება მცირე შესწორებას ითხოვს. სინამდვილეში, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თითოეული პროგრამა თავისი კანონებით და პრინციპებით დამოუკიდებლად მცხოვრებ “სამყაროს” წარმოადგენს. ამ “სამყაროებში” ხეტიალისას ჰაკერი საკმაოდ რთულ საინფორმაციო სტრუქტურებში და დაცულ სისტემებში შესვლის და მოგზაურობის უნარს იძენს. ის იკვლევს მათ, ტყდება მათი სილამაზით და ხშირად ზოგიერთ იდეას თავისი პირადი მიზნებისათვის იყენებს. შევეცდებით იმ ჰაკერული ჯგუფის გამოცდილება აღვინეროთ, რომელმაც ადამიანის ტვინის ერთ-ერთ ყველაზე რთულ “პროგრამაში” – სიზმრების სამყაროში შეჭრა გადაწყვიტა.

პროექტმა, რომელიც დაახლოებით რვა წლის წინ დაიწყო, ავტორები საინტერესო შედეგამდე მიიყვანა. მეთოდი

იმით იყო უნიკალური, რომ სიზმრებთან მუშაობისას დაცული პროგრამების “გატეხვის” ჰაკერული მეთოდი და ხელოვნური სივრცეების აგების რამოდენიმე კონცეფცია გამოიყენებოდა.

ის, რომ სიზმრები “დაცული პროგრამაა”, ყველამ საკუთარი გამოცდილებით იცის. ადამიანები ძილში ცხოვრების მესამედს ატარებენ. სიზმრები ხუთი ათასი წლის განმავლობაში სამეცნიერო კვლევის ობიექტი იყო. რა მოგვცა ამან? პრაქტიკულად არაფერი. წარმოიდგინეთ კაცობრიობის მიერ ყოველდღიურ სამყაროზე 50 საუკუნის განმავლობაში დაგროვილი ცოდნა, და შეადარეთ ის ამავე პერიოდის სიზმრების ფაქტურას. წარმოუდგენელი შეუსაბამობაა!

მე თვითშემეცნების საინტერესო და ეფექტურ მეთოდს გთავაზობთ, რომელიც ჯერჯერობით არც არავის აუხსნია და არც ავტორიტეტების ქონიანი თითებით არის გაცრეცილი. თქვენს წინაშე მოქმედების სახელმძღვანელოა, რომელიც ცოტათი გზამკვლევს წააგავს. შეგიძლიათ ის იმ მრავალგანზომილებიან სამყაროს პორტალად ჩათვალოთ, რომელიც ელის თქვენს აღმოჩენებს. ამ გზაზე ყოველი მოარული პირველია. და სწორედ ამიტომ, თქვენზეა დამოკიდებული ამ მეთოდის



განვითარება და მისი ფილოსოფიური დასაბუთება...

სიზმარი ზემოქმედებების აღწერაა, რომელსაც ჩვენი ტვინი გადასცემს ცნობიერებას. სიზმრისეული სამყარო ილუზიაა. სინამდვილეში, თითოეული სიზმარი ალქმის ბუშტია, რომელიც რომელიღაც დროის კონკრეტულ მომენტში ქმედების, ადგილის, პერსონაჟების, თქვენი ემოციების და განცდების აღწერას შეიცავს. იმას, რასაც ჩვენ სიზმრების სამყაროს ვუწოდებთ “ბუშტების” გროვაა – სიცარიელე სიცარიელეში, რომელიც ქაოსისაგან თხელი აპკითაა გამოყოფილი.

თქვენ იტყვით, რომ ეს ყველაზე სულელური იდეაა, რომელიც გაიგონეთ ამ ბოლო დროს. მაგრამ ის ერთ არანორმალურ ჰაკერს მოუვიდა თავში, ასე რომ ნურაფრის გაგიკვირდებათ.

ჩვენ გადავწყვიტეთ სიზმრისეული “ალქმის ბუშტუკების” გროვა შეგვეცვალა ადამიანური ცნობიერების იმ მატრიცის ზუსტი ასლით, რომელიც ჩვენ სიზმრისეულ სამყაროს აღგვიწერს. თითოეულ ჩვენგანს სიზმრების რუკა უნდა შეედგინა და ერთიანი სურათის მისაღებად მასზე “ფაზლი-ბუშტუკები” განეთავსებინა....

სერგეი იზრიგი. “სიზმრების ჰაკერები”

– ინტერნეტში ძნელია მიხვდეთ თუ ვისთან გაქვს ურთიერთობა სინამდვილეში. შენი აზრით იზრიგი მართლა არსებობდა თუ მის უკან სხვა პიროვნება იდგა?

კეშუნჩიკი – არ ვიცი. თუმცა იზრიგიც და “ჰაკერებიც” სხვადასხვა ფორუმებზე სხვადასხვა ნიკით სარგებლობდნენ. ვფიქრობ, რომ სინამდვილეში იყო მეგობრების არც ისე დიდი ჯგუფი, რომლებიც თავისთვის ეწეოდნენ პრაქტიკას, მიაგნეს რამდენიმე საინტერესო მეთოდს, თუმცა ის გამირობები, რომლებსაც ისინი თავის თავს მიაწერდნენ, მე არარეალურად თუ არა, გაზვიადებულად მაინც მიმაჩნია. ალბათ, ამ მასალების გამოქვეყნება ქსელში და ხალხის დაინტერესება ერთი დიდი ექსპერიმენტი იყო. უნდოდათ შეემოწმებინათ, რამდენად იმუშავებდა მათი იდეები. იყო ისეთი მოსაზრებაც, რომ იზრიგის სახელით ქსელში სერგეი ტროფიმოვი⁹ მოქმედებდა.

მე დავშორდი “ჰაკერებს” და ამიტომაც შეეუცვალე ამ ლისტს სახელი.

...ვირტუალურ სივრცეში პიროვნების რეალურობა მხოლოდ თვითპრეზენტაციის რეალურობით განისაზღვრება. ამავე დროს პოსტმოდერნისტული კულტურის ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ დღეისათვის “მე”, როგორც მარეგულირებელი და შინაარსწარმოქმნელი სტრუქტურა ჭარბი გახდა, სოციალურად აუცილებელი მხოლოდ ინდივიდუალურობის ინსცენირებაა, შედეგად პიროვნება თავის თავს მხოლოდ “მე”-ს ფასადით, ანუ თვითპრეზენტაციით ავლენს. ვირტუალური სივრცე ადამიანს ნებისმიერი სახის კონსტრუირების მაქსიმალურ საშუალებებს სთავაზობს. განუსაზღვრელობის პოსტმოდერნისტული მდგომარეობა სიცოცხლეს შთაბერავს კრეატიულ სუბიექტს. სოციალური ორიენტირების დაკარგვის გამო მატულობს სოციალური დამოკიდებულებების და საკუთარი იდენტურობის კონსტრუირების აუცილებლობა. ვირტუალურ სივრცეში სოციალური კონსტრუირების შესაძლებლობების ნათელი გამოვლინებაა ქსელური საზოგადოებების წარმოშობა და აქტიური განვითარება...

ე. პ. ბელინსკაია. “ქსელური საზოგადოების ჯგუფური დინამიკის პრობლემისათვის.” 2000 წლის 25 მაისი.

მარტიშენკო ვიქტორი ერთერთი იმათაგანია, ვინც ამ ფორუმზე იზრიგის გაუჩინარების შემდეგ გამოჩნდა. ის რადიოელექტრონული მოწყობილობების ინჟინერ-კონსტრუქტორია, მუშაობს ინჟინრად და ხშირად ყოფისთვის თუ ფსიქოლოგიური ექსპერიმენტებისათვის სხვადასხვა ელექტრონული აპარატების კონსტრუირებითაა დაკავებული.

– ვიქტორ, როდის დაიწყე ურთიერთობა ქსელურ საზოგადოებებში?

ვიქტორი – 1998-დან ფიდონეტ-ში ექო-კონფერენციებს ვნახულობდი. მაშინ ეს ჩემთვის ქსელში ურთიერთობის ერთადერთი საშუალება იყო, რადგანაც, ინტერნეტი ძალიან ძვირი იყო. ვათვალისწინებდი ექო-კონფერენციების სიას და ცნობისმოყვარეობის გამო ჩავვენერე ru.magic და su.magic-ში. “ჰაკერები” google-ში ვიპოვე. შემთხვევით ავკრიფე რაღაც და გამომიგდო “სიზმრების ჰაკერები”. დამინტერესა და შევედი ამ ბუშტულში.

– შენი აზრით, დიდი განსხვავებაა ქსელური ჯგუფებსა და რეალურ ჯგუფებს შორის?



ვიქტორი – ქსელურ ჯგუფებში ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან გვხვდებიან, რეალობაში მათი ურთიერთობა წარმოუდგენელი იქნებოდა. მათ საერთო ინტერესები აერთიანებთ. ყველაზე დიდი განსხვავება კი ჯგუფის წევრების რიცხვია. რეალობაში ძნელი წარმოსადგენია ურთიერთობა 300 კაცთან ჯგუფში, ქსელში კი დარწმუნებული ხარ, რომ თითოეული მათგანი მიიღებს შენს შეტყობინებას. გარდა ამისა, ქსელში ურთიერთობა უფრო გახსნილია და გაცილებით ადვილია უცხო ადამიანებთან საუბარი. რეალობაში ძნელია იპოვო თანამოაზრეები და ხშირად ადამიანი გარემოცვას ეხამება, იღებს მათ ინტერესებს, მიზნებს. ინტერნეტი ხელს გინცობს არ გახდე კონფორმისტი. თანაც, ინტერნეტში ხეტილისას ადამიანი თავის თავში ისეთ ახალ ინტერესებს აღმოაჩენს, რისი ეჭვიც კი არ ქონდა.

ინტერნეტ-მისიონერების როლს ტელესაკომუნიკაციო კომპანიები ასრულებენ. მათ ყველას ერთი მისია აქვთ – მისცენ ადამიანს საშუალება დაუკავშირდეს დანარჩენ კაცობრიობას მისი კულტურული და სამეცნიერო მემკვიდრეობით. ინტერნეტის საშუალებით თითოეულ ადამიანს შეუძლია უშუალოდ მთელ მსოფლიოსთან ურთიერთობა, თანაც იმ ენაზე, რომელიც მისთვის მოსახერხებელია. ინტერნეტის საშუალებით ადამიანებმა შეზღუდული ფიზიკური უნარებით თავისი ადგი-

ლი იპოვეს საზოგადოებაში და მათმა ცხოვრებამ ახალი აზრი შეიძინა. ქალაქები და ქვეყნები, სადაც არ არის ან შეზღუდულია ინტერნეტი უკვე ვეღარ განვითარდებიან ნორმალურად, ისინი განწირულები არიან სტაგნაციისთვის. დედაძინა ნამდვილად ჩვენ საერთო სახლად გადაიქცა და თითოეული ცალკეული მოქმედება ან უმოქმედობა მთელ კაცობრიობაზე ახდენს გავლენას. ხელისუფალთა ნებისმიერი საიდუმლო ხრიკი, ჩანაფიქრი ნათლად ჩანს, მაშინაც კი, როდესაც ისინი ამის შესახებ არ საუბრობენ. და ათასობით კილომეტრიდან შესამჩნევია დიდი საქმეები ერთი პატარა ადამიანისაც კი. ეს ინტერნეტია...

Речка Бо. "ინტერნეტი, როგორც ახალი რელიგიური პარადიგმა". TRON-ის სიახლეები. 2007 წლის 12 აპრილი.

– როგორ ფიქრობ ქსელი შეცვლის საზოგადოებას? და საით?

ვიქტორი – საზოგადოება ქსელის გამოჩენისას შეიცვალა. რა მიმართულებით ვერ ვიტყვი. ქსელი უბრალოდ ადამიანს არჩევანის მეტ თავისუფლებას აძლევს, მაგრამ ამას როგორ გამოიყენებს, დამოკიდებულია კონკრეტულ ადამიანზე.

>>> ბაბრქიმეზა გვ. 204

ნიგინდას

იყო და არა იყო რა

ავტორი: დათო ტურაშვილი
ფოტო: იური მერიტოვი





საბჭოთა პერიოდის მამებს ერთი უცნაური ხუმრობა ჰქონდათ, რომელიც საკმაოდ ხშირი იყო საბჭოთა საქართველოში. ახლა შეიძლება დაუფვერებლადაც კი ჟღერდეს, მაგრამ უფროსები სიამოვნებით წაავლებდნენ ხოლმე პატარებს ყურებში ხელებს, ასწევდნენ მაღლა სიცილით და შვილებს მართლა ძალიან დებილური შეკითხვით მიმართავდნენ:

– გინდა მოსკოვი დაგანახო?

გარდა უცნაურისა, ეს იყო საკმაოდ მტკივნეული ხუმრობაც, მაგრამ მთავარი აქ მაინც არ იყო განვლილი ყურების ტკივილი, ყველაზე სამწუხარო იყო დაპყრობილი ხალხის ცნობიერება — არასოდეს უთქვამს არცერთ ქართველ საბჭოთა მამას თავისი შვილისთვის, ლონდონს ან პარიზს დაგანახებო, რადგან საბჭოთა ადამიანისათვის სამყარო იწყებოდა მოსკოვით და იქვე მთავრდებოდა. ქართველებისთვისაც მოსკოვი და საბჭოთა იმპერია იყო მთელს დედამიწაზე ერთ-ერთი უძლიერესი, კოსმოსის ამთვისებელი ზესახელმწიფო და ვინც ასე არ ფიქრობდა, ისინი უკვე კარგა ხნის დახვრეტილები იყვნენ, ან ციხეებში ისხდნენ ან სამზარეულოებში და ქართული ჩაის ხვრუპდნენ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია წარმოუდგენელი სისწრაფით კრეფდა. იყვნენ მოხალისე სკეპტიკოსებიც, რომლებიც ყოველდღე სვამდნენ ღვინოს პროტესტის ნიშნად (და არა ჩაის) და თბილისის ბირჟებზე იდგნენ მანამ, სანამ მილიცია გამოივლიდა კატეგორიული მოთხოვნით — დაუყოვნებლივ დაშლილიყვნენ უსაქმურები.

1961 წლის 12 აპრილსაც ვერაზე, პეტრე მელიქიშვილისა და იაკობ ნიკოლაძის ქუჩების კუთხეში, ყოფილი დუქნის (“ტანც-გეურქას”) წინ, ამაყად იდგა რამდენიმე ახალგაზრდა მოქალაქე და მილიციელების გამოჩენამდე ცოტა ზედმეტად ხმაურიანად, მაგრამ დარდიმანდულად მუსაიფობდა. თუმცა, სანამ მილიცია მოვიდოდა, მშობლიურ ბირჟას (როგორც ერთგვარ სამსახურს) ტაატიტ მიუახლოვდა წინაღამენათევი და ნამთვრალევი, იმავე უბნის მკვიდრი რობინზონ ჯამასპიშვილი. სწორედ იმ დღით, როგორც კაცობრიობისათვის ცნობილია (იმავე კაცობრიობის ისტორიაში პირველად), ადამიანმა (კოსმონავტმა იური გაგარინმა), განახორციელა ღია კოსმოსში გაფრენა და ეს ინფორმაცია მიანოდეს კიდევ ბირჟაზე ახალმოსულ, ნაბახუსევ ქართველ ახალგაზრდას, რომელმაც საბასუხოდ თქვა ისტორიული, დაუვინყარი ფრაზა:

– მაგასა ჭამს ბიჭო, რობინზონა ჯამასპიშვილი?!

როგორი დაუფვერებელიც არ უნდა ყოფილიყო რობინზონ ჯამასპიშვილისთვის საბჭოთა კოსმონავტიკის წარმატება, იური გაგარინი მაინც გაფრინდა კოსმოსში, იქიდან მთელს კაცობრიობასა და განსაკუთრებით კი, ანა მანიანის მხურვალედ მიესალმა და დედამიწაზეც მშვიდობიანად დაბრუნდა. მეტიც, საბჭოთა სისტემის უპირატესობის პროპაგანდის მიზნით ბედნიერ იური გაგარინს მთელს დედამიწაზე ბუშტებითა და ყვავილებით დაატარებდნენ და ეს იყო პირველი საბჭოთა ადამიანი, რომელიც არა მხოლოდ სოციალისტური ქვეყნების მოქალაქეებს უღიმოდა, არამედ მთელს დედამიწას. შეიძლება, ამ ღიმილს ემსხვერპლა კიდევ მოგვიანებით, როცა დარდისაგან სმა დაიწყო და სრულიად უკონტროლოც გახდა — შესაბამისად არასასურველიც საბჭოთა ხელისუფლებისათვის და ის გაქრა ცაში, როგორც მილიონობით ადამიანი საბჭოთა მიწაზე.

უახლესი ისტორია

აღარ იყო იური გაგარინი და, შესაბამისად, აღარ იყო პრობლემაც, რომელსაც იგი საბჭოთა ხელისუფლებას უცხოეთიდან დაბრუნებული უქმნიდა ხოლმე, რადგან ის ყოველთვის გულწრფელად ყვებოდა ყველაფრის შესახებ, რაც დასავლეთში მოსწონდა. განსაკუთრებით გიჟდებოდა ნამდვილ ამერიკულ ჯინსებზე და ოცნებობდა ნამდვილი ჯინსების წარმოებაზე მშობლიურ საბჭოთა კავშირშიც, რომ საბჭოთა მშრომლებსაც ჰქონდათ კარგი ჯინსები და მათაც, ამერიკელი მშრომლებივით, ამაყად ევლოთ საბჭოთა ქალაქების ქუჩებში.

სხვებს თუ ექვებოდათ, გაგარინმა ხომ დანამდვილებით იცოდა, რომ კოსმოსის ათვისებაში საბჭოთა კავშირს, ბადალი არ ჰყავდა მაშინდელ მსოფლიოში და ჯინსების შეკერვას კი რაღა უნდოდა, მაგრამ იური გაგარინმა არ იცოდა, რომ ჯინსების შეკერვას ნემსისა და ძაფის გარდა, კიდევ რაღაც სჭირდებოდა, რაც საბჭოთა

გაგარინიც ისე მოკვდა, რომ საბჭოთა ჯინსები მაინც არ ელირსა და მისი წინასწარმეტყველური ხუმრობაც გამართლდა — საბჭოთა კავშირი სწორედ იმიტომ დაიშალა, რომ კოსმოსის ამთვისებელ ზესახელმწიფოში, ჯინსების შეკერვა, უბრალოდ, ვერ შეძლეს.

თუმცა, ისტორიის საბჭოთა სახელმძღვანელოში მაინც ეწერა, რომ იური გაგარინმა კოსმოსში გაჭრა ფანჯარა. ის იყო პირველი და ისტორიის სახელმძღვანელოში ასევე ეწერა, რომ პეტრე პირველმაც გაჭრა ფანჯარა, ოღონდ ევროპაში და ჩვენ ზუსტად არც ვიცოდით, რას ნიშნავდა ევროპაში ფანჯრის გაჭრა, მაგრამ გვექონდა ეჭვი, რომ ეს იყო დაახლოებით იგივე, რასაც გოზალა აკეთებდა ჭავჭავაძის პროსპექტზე.

გოზალა იყო ქურთი ან იეზიდი, ან ორივე ერთად და იჯდა ჭავჭავაძეზე ათასხუთასი ულამაზესი კაბით შემოსილი, როგორც



კავშირში, უბრალოდ, არ იყო. თუმცა, სურვილი კაპიტალისტური უპირატესობის დამარცხებისა იმდენად დიდი იყო, რომ საბჭოთა საქართველოში, კერძოდ კი ხაშურის საგალანტერიო ფაბრიკაში, ჯინსების შეკერვა მაინც დაიწყო. არჩევანიც არ იყო შემთხვევითი, რადგან სურამში, (იქვე ხაშურთან), ქართველი ებრაელები ნამდვილ ჯინსებს ჰყიდნენ ჩუმად და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ამ ისტორიულ პროგრამას მაშინდელი ცეკას კულუარებში მართლაც საეტაპო სახელი ერქვა: “ჯინსებისა ჯინსებითა დამთრგუნველი!”...

პროგრამა კი მშვენიერი იყო და ხაშურის საგალანტერიო ფაბრიკაში შეკერილ პირველ ქართულ ჯინსებსაც მშვენიერი სახელი (“ბაკურიანი”) ერქვა, მაგრამ, ამ პროგრამის ხარისხიანად განხორციელება მაინც ძალიან რთული აღმოჩნდა (გასაგები მიზეზების გამო), და ის ქართული ჯინსისმაგვარი შარვალიც, მხოლოდ ხაშურიდან ბაკურიანამდე ძლებდა ერთჯერადი მოხმარებისათვის და შეგეძლო ბაკურიანის მისადგომებთან ისე გადაგვედო, გულიც არ დაგწყვიტოდა. იური

ჭრელი ხიდი თბილისსა და ევროპას (ასევე დანარჩენ კაცობრიობას შორის) და იყო იმავე ასაკის, რასაც ჩვენი ქალაქი ითვლიდა დღიდან დაარსებისა, რადგან დღიდან მისი დაარსებისა, გოზალა თბილისში ცხოვრობდა.

იგი ნათესავებიანად ცხოვრობდა სადღაც ატენის ქუჩაზე, მდინარე ვერეს ხეობაში, სანამ იქ ცათამბჯენებს ააშენებდნენ და მათი სიმღერების ხმა უფრო მაღლაც ადიოდა ხოლმე, როცა ჰქონდათ ქორწილი ან რომელიმე დღესასწაული რომელიმე ღმერთის სადიდებლად. თუმცა, ისინი ძირითადად მზეზე ლოცულობდნენ და მზეს ეთაყვანებოდნენ, რომელიც ჩვენ, მათგან განსხვავებით, დიდი ხნის წინ მივგატოვეთ და მხოლოდ ცეცხლის თაყვანისცემა დავიტოვეთ და ისიც მხოლოდ პატარებისათვის. მაშინაც, ბავშვობაშიც, მხოლოდ ბავშვებს ახსოვდათ ზუსტად ის დღე, როცა საქართველოს ყველა სოფელსა და თბილისის ყველა უბანში კოცონს ააგიზგიზებდნენ ხოლმე და იმ კოცონების გარშემო კი ძალიან ბევრი საუკუნის წინან-

დელ რიტუალს ასრულებდნენ, რომელიც მხოლოდ პატარებს ახლოვდათ გენეტიკური მესხიერების წყალობით. უფროსებს კი (ჩვენს საბჭოთა მშობლებს), არათუ ჩვენი მამადაწერი და წარმართული წარსული, ქრისტიანული ანმყოფ დავიწყებული ჰქონდათ დროებით მაინც და თბილისის ქუჩებსა და ეზოებში დანთებული ცეცხლი, ჯორდანო ბრუნოს შესანდობარი ეგონათ.

თვითონ გოზალა კი ცეცხლთაყვანისმცემელი არ ყოფილა, ის ეთაყვანებოდა მზეს, ისევე, როგორც მისი წინაპრები ოცდაათი საუკუნის წინ და ეფიცებოდა იმავე მზეს ჭავჭავაძის პროსპექტზე და თბილისის თაკარა მზის ქვეშ გველოდებოდა ჩვენ — ათეისტი მშობლების საბჭოთა ბავშვებს. ჩვენ მონდომებით ვაგროვებდით სახლიდან გამოტანებულ ფულს და ზოგჯერ ვითმენდით და არ ვჭამდით შესვენებებზე გაკვეთილებს შორის, რადგან გაკვეთილების შემდეგ ჩვენ გველოდებოდა გოზალა — ერთადერთი ფანჯარა საქართველოდან ევროპაში, ერთადერთი არგუმენტი იმისა, რომ საქართველოც იმავე პლანეტაზე არსებობდა, სადაც დანარჩენი კაცობრიობა და გოზალა თან ატარებდა იმ დანარჩენი ცივილიზაციის სამ ნიშანს: პედროს, დონალდოს და სუპერბაზუკას...

პედრო ღირდა ორმოცდაათი კაპიკი, დონალდო კი — მანეთი (სუპერბაზუკის ფასი მერყეობდა მომხმარებლის მოთხოვნის მიხედვით). პედროს ინახავდა მეთორმეტე კაბის შიგნით და სანამ გოზალა გადამალულ ცივილიზაციას ეძებდა, ჩვენ ვკანკალებდით ცივილიზაციასთან კონტაქტის მოლოდინში და როცა გოზალა (როგორც იქნა) გამოიღებდა (მეთორმეტე კაბის ქვემოდან) სანატრელ პედროს, ჩვენ ვღეჭავდით მას როგორც სამოთხის ბალის აკრძალულ ხილს და მზად ვიყავით სამოთხიდან გამოძევებისთვისაც კი ამ სიამოვნების სანაცვლად, მაგრამ საბჭოთა მილიცია სხვაგვარად

ქორვაჭრებმა მშვენივრად ისოდნენ, რომ იმ მილიციელსაც, ისავე აკლდათ პედრო და ჯინსები, რომორც საბჭოთა საქართველოს დანარჩენ მოქალაქეებს და ამიტომაც, გოზალა ისევ იჯდა ჭავჭავაძეზე ათას ხუთასი ჭრელი, მაგრამ ულამაზესი გამაღილი კაბით.

ფიქრობდა. მილიცია ებრძოდა ქორვაჭრებსა და გადამყიდველებს (ქორვაჭარი მაშინ (საბჭოთა ეკრანიდან) უფრო შემადრწუნებლად უღერდა ვიდრე ფრინველის გრიპი), მაგრამ ქორვაჭრებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ იმ მილიციელებსაც (ვინც ატენის ქუჩაზე გოზალას დასაპატიმრებლად ჩავიდოდნენ), ისევე აკლდათ პედრო და ჯინსები, როგორც საბჭოთა საქართველოს დანარჩენ მოქალაქეებს და ამიტომაც, გოზალა ისევ იჯდა ჭავჭავაძეზე ათას ხუთასი ჭრელი, მაგრამ ულამაზესი გამაღილი კაბით.

გოზალა იყო უფრო პუტკუნა, ვიდრე მსუქანი და როცა ჭავჭავაძეზე იჯდა მოვლილი, მაგრამ დაღლილი ფარშევანგივით, შეიძლება, არც იცოდა, რომ ის იყო უძველესი ასირიული ცივილიზაციის ჩამომავალი და არა უბრალოდ აისორი, როგორც მას (და მათ) თბილისში უწოდებდნენ. თბილისში მათი დასახლებები სხვაგანაც იყო, მაგრამ ატენის ქუჩაზე, მდინარე ვერეს ნაპირებზე ჩასახლებული გოზალას ნათესაობა მაინც ყველაზე ხმაურიანი იყო, რადგან იქ ბოშებიც ცხო-

ვრობდნენ — ინდოეთიდან ევროპისაკენ მიმავალ გზაზე, საქართველოში ჩარჩენილი ბოშები, რომლებსაც ევროპისკენ აღარ ეჩქარებოდათ. აქ, მდინარე ვერეს ნაპირებზე, ატენის ქუჩის ბოლოში, იყო ყველაფერი, რისთვისაც ბოშები ინდოეთიდან დაიძრნენ და ბოშურ ბედნიერებას კი შეიძლება ყველგან მიაგნოს ბოშამ, სადაც თავისუფლებას ეძებს. მთელს საბჭოთა იმპერიაშიც სწორედ ბოშები იყვნენ ერთადერთი თავისუფალი ხალხი და მხოლოდ ბოშები ცხოვრობდნენ ისე, როგორც მათ სურდათ და მოსწონდათ. მხოლოდ მათთვის არ არსებობდა საზღვარი, რომლითაც საბჭოთა ხალხები დანარჩენი ცივილიზაციისაგან იყვნენ შემოღობილები და არავინ იცოდა, როგორ შლიდნენ და აქრობდნენ საზღვრებს ბოშები იქ, სადაც ამ საზღვრების გადაკვეთა ჩიტებსაც უჭირდათ. ბოშები კი ჩიტებივით თავისუფლები იყვნენ და გარდა იმისა რომ ფრენაც შეეძლოთ, ჩიტებისაგან განსხვავებით პასპორტებიც არ ჰქონდათ. ისიც არავინ იცოდა საიდან ჰქონდათ ბოშებს ყველაფერი, რაც საბჭოთა ბავშვებს აკლდათ და ისიც არავინ იცოდა, საიდან ჰქონდა გოზალას სანატრელი პედრო და დონალდო. თუმცა გოზალა არ იყო ბოშა და ის ძველი შუმერულ-ასურიული ცივილიზაციის მემკვიდრე გახლდათ თბილისში, ატენის ქუჩაზე, მდინარე ვერეს მიტოვებულ ნაპირებზე.

ატენის ხეობაში პედროს გამო ჩასვლა როგორ დაგვეზარებოდა (თუკი უფროსკლასელები თბილისიდან სურამში დადიოდნენ ჯინსების მოსარგებად), მაგრამ ამის აუცილებლობა, უბრალოდ არ იყო. გოზალა, მიუხედავად იმისა, რომ არც ჯიპა ჰქონდა დამთავრებული და არც იესემი, მარკეტინგისა და მენეჯმენტის საკითხებში მაინც მშვენივრად ერკვეოდა (დიპლომების გარეშე) და ზუსტად იცოდა, რომ ჭავჭავაძის ხალხმრავალ პროსპექტზე, ყველაზე დიდი სკოლის წინ, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ჯდომა, ყველაზე მომგებიანი იყო მისი ბიზნესის განვითარებისა და მისი მრავალტანჯული ხალხის კეთილდღეობისათვის.

გოზალა იყო მთავარი ფანჯარა ევროპაში, მაგრამ საქართველოს მაშინ კიდევ რამდენიმე (პატარა) სარკმელიც აკავშირებდა სხვა, დანარჩენ ცივილიზაციებთან და ჯინსებთან ერთად თბილისამდე საღეჭი რეზინებიც აღწევდნენ. საღეჭ რეზინებს საქართველოში მრავალი სახელი ჰქონდათ, გასაგები მიზეზის გამო, და მათ უწოდებდნენ როგორც “ჟუვარკებს”, ასევე “ჟივარკებს”, “ჟუარკებს” და “ზივარკებსაც” კი. იყვნენ ადამიანები საბჭოთა საქართველოში, რომლებიც საღეჭ რეზინებს კვებდნენ უწოდებდნენ (ალბათ ფიჭვის ხეების გავლენით) და ბოლოს ამ ტერმინმა იმძლავრა კიდევ. საბჭოთა ხელისუფლებაში კი იმძლავრა სურვილმა ადგილობრივი, საბჭოთა კენწარმოების შექმნისა დასავლური, მაგნიტისგან განსხვავებული დასაცავად და პირველად (1917 წლის გადატრიალების შემდეგ), კრემლმა ისტორიული გადამწყვეტილება მიიღო პოლიტიკურად სპეციალურ სხდომაზე. სხდომა იყო გრძელი და მძიმე, რადგან მომხსენებლები დიდხანს საუბრობდნენ კაპიტალისტების მზაკვრულ და ვერაგულ გეგმებზე საბჭოთა ახალგაზრდობის გარყვინის მიზნით და ბოლოს, როცა ლეონიდ ბრეჟნევმა იკითხა, თუ ვინ გადაარჩინდა საბჭოთა ახალგაზრდობის მომავალს, სხდომაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

დუმილი ფრთხილი ჩახველებით დაარღვია საბჭოთა სომხეთის წარმომადგენელმა და მან ფრთხილადვე გამოთქვა ვარაუდი (ამ თვალსაზრისით) მომავალი სომხური მესიანური მისიის შესახებ, თუ სომხები საღეჭი რეზინის წარმოების ნებართვას მიიღებდნენ.

ერევანთან ძალიან ახლოს, ძალიან მოკლე დროში, კვების პირველი საბჭოთა ქარხანა მართლაც გაიხსნა და ამ ქარხანაში დამზადებული საღეჭი რეზინები ძალიან მაღლე, მთელს საბჭოთა იმპერიაში იყიდებოდა, ისევე, როგორც ყველგან თბილისის მაღაზიებში. ეს მართლაც ძნელად დასაჯერებელი სიახლე იყო საბჭოთა ბავშვებისთვის, მაგრამ ჭეშმარიტად ნეტარ არიან ისინი, ვისაც ერევნის

უახლესი ისტორია

კევი არ დაუღეჭავს, რადგან ეს იყო ქვა და არა რეზინა და ქვის დაღეჭვაც თუ შეიძლებოდა, ქართველებმა მართლა არ იცოდნენ.

ქართველებმა (საუკუნეების მანძილზე) იცოდნენ, რომ მათ წინაპრებს შორის იყო ვინმე ნაცარქექია, რომელმაც არაერთხელ ადინა ქვას წვენი. ქართველებმა ასევე იცოდნენ, რომ ქვის გადაყლაპვა შეიძლებოდა, მაგრამ ქვის დაღეჭვაზე, საბჭოთა სომხეთის ექსპერიმენტამდე, წარმოდგენა არ ჰქონდათ. ქვის გადაყლაპვა კი, არათუ შესაძლებელი, სასურველიც კი იყო ქართველებისთვის ქალაქში შესვლის წინ. ეს ტრადიცია იმიტომ გაჩნდა, რომ ქართველები ძირითადად სოფლებში ცხოვრობდნენ და ის რაც ქალაქებში ხდებოდა, იმდენად უჩვეული იყო მათთვის, რომ, ემანდ ქალაქმა არ დაგვცადოსო და პირველშესვლის წინ კენჭებს ყლაპავდნენ. წესი იყო კენჭის გადაყლაპვისა, მაგრამ განსაკუთრებით მონდომებული (ან შეშინებული) ქართველები, ქვებსაც ეტანებოდნენ, (ვაითუ კენჭმა არ იკმაროსო). ილია ჭავჭავაძესაც (პირველად რომ თბილისს მიადგა) კენჭი გადაყლაპეს და თურმე ბევრიც იცინა, მაგრამ ქვის დაღეჭვაც თუ მოუწევდათ მის საყვარელ ქვეყანაში ადამიანებს, დიდი ილიაც კი ვერ წარმოიდგენდა. არადა, სულ რაღაც ერთი საუკუნის შემდეგ, სულ სხვა გზით წასულმა მისმა ხალხმა, ქვათა ღალატის მოსმენასა და წაკითხვას, ისევ ქვების ღეჭვა ამჯობინა სომხების წყალობით. მართალია უფროსები თავს იკავებდნენ და ერევის კენწარმოებას არც აღიარებდნენ, მაგრამ ქართველი პიონერები მაშინ ტექნოლოგიურად სრულიად ჩამორჩენილი საბჭოთა სტომატოლოგიის კლიენტები ხდებოდნენ.

პიონერები კი ძალიან ბევრი იყვნენ და პიონერების ორგანიზაცია თითქმის მაშინვე გაჩნდა, როცა ბოლშევიკებმა შეიარაღებული გადატრიალება მოახდინეს რუსეთში და ძალაუფლებას დაეპატრონენ. გამოსაგონებელიც ბევრი არაფერი იყო, რადგან ბოისკაუტები უკვე არსებობდნენ, საბჭოთა ხელისუფლებამ კი ინგლისელების გამოცდილებას საბჭოური ატრიბუტიკა და იდეოლოგია დაამატა. განსხვავებაც სწორედ ის იყო, რომ სკაუტი (მაგალითად ინგლისში), შეიძლება სურვილისამებრ გამხდარიყავი, მაგრამ პიონერობა საბჭოთა კავშირში, ნებისმიერი ბავშვისთვის აუცილებელი იყო და წითელი ყელსაბამითაც აუცილებლად გაგნასკვავდნენ. ამ წითელი ყელსაბამით შეგეძლო თავიც ჩამოგეხრჩო, მაგრამ ბოლშევიკების მზაკვრობაც სწორედ ის იყო, რომ თავის ჩამოხრჩობაზე ფიქრს რომ იწყებდი, პიონერი უკვე აღარ იყავი — კომკავშირული სამკერდე ნიშანი გელოდა. კომკავშირში შესვლა აღარ იყო აუცილებელი (თუმცა იყო მასობრივი), მაგრამ ის უპირატესობა ჰქონდა, რომ წითელი ყელსაბავშვის ტარებას უკვე აღარ მოითხოვდნენ შენგან და რაც მთავარია, კომკავშირის სამკერდე ნიშანი იყო ძალიან პატარა. მართალია ოფიციალურად, განუყრელად შენთან ერთად უნდა ყოფილიყო კომკავშირის სამკერდე ნიშანიც, მაგრამ სკოლის უნიფორმა ისეთი იყო (საბჭოთა პერიოდში), რომ ყველაფერი სულერთი ხდებოდა შენთვის, მათ შორის კომკავშირიც.

საბჭოთა სკოლის უნიფორმაც ბიჭებისთვის თავიდან იყო ქვის, რომელსაც აბრტყელებდნენ და კერავდნენ შარვლებად და კოსტუმებად, თუმცა ყველანაირი ქვა (ამ მიზნით) ბუნებრივია არ გამოიყენებოდა. რუსები უპირატესობას ანიჭებდნენ რიყის ქვებს, რომლებსაც წყალი ველარ წვდებოდა (შესაბამისად იმ ქვებს სტაბილური ფერი ჰქონდათ), მაგრამ კონკრეტულად, რა ფერის იყო საბჭოთა სკოლის უნიფორმა, მაშინაც ძნელი სათქმელი იყო და ახლა მითუმეტეს ძნელია.

ეს იყო კაცობრიობისთვის მანამდე სრულიად უცნობი, ენითა-ლუნერელი ფერი, რომელსაც არათუ ცისარტყელა, მიწის არცერთი სარტყელიც არ შეიცავდა. თუმცა, ბოლშევიკები გაურკვეველობას ვერ იტანდნენ და მოგვიანებით სკოლის ფორმებიც შეცვალეს და მშობლებმაც ამოისუნთქეს, რადგან სანამ საბჭოთა კავშირში ავტოკა-

ლამი (ეგრეთწოდებული პასტა) გაჩნდებოდა, მონაფეებს სკოლაში ჩანთებზე წამოკონწილებული სამელნეები დაჰქონდათ. ბუნებრივია, სამელნე მელნით სავსე უნდა ყოფილიყო (შიგ სანერი კალმის ჩასანობად) და ადვილი წარმოსადგენია, როგორი მელანშიამოტუტყუნულები ბრუნდებოდნენ შინ საბჭოთა მონაფეები. რასაკვირველია, ეს არ იყო გიშრის ტბის მელანი (სხვათა შორის, ბერბერულ ალჟირშია), რომელსაც შოთა რუსთაველი ხმარობდა, მაგრამ (ტვინში თუ არა), ტანსაცმელზე ლურჯ კვალს მაინც ტოვებდა. ჰოდა, რადგანაც მელანი ლურჯი იყო (და საბჭოთა მონაფეც მაინც ისერებოდა), საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ სკოლის უნიფორმაც, ბარემ ლურჯი ყოფილიყო. იმ ლურჯ სიახლეს მოსკოვის ფორმა ერქვა.

სინამდვილეში ყველა ფორმა (სკოლაც, ჯარიც და ავიაციაც) მხოლოდ მოსკოვის იყო, მაგრამ იმ ლურჯ შარვალსა და პიჯაკს იმიტომ დაერქვა მოსკოვის ფორმა, რომ დასაწყისში ეს სიახლე მხოლოდ მოსკოვში მცხოვრობ მონაფეებს ეცვათ. იმპერიის დედაქალაქი მოსკოვი იყო, ჩვენ კი მხოლოდ პროვინციული გუბერნია-რესპუბლიკა ვიყავით და საქართველომდე ახალი ფორმების ჩამოღწევას მაინც დრო უნდოდა. თუმცა, მაინც იყვნენ ქართველი მამები (და, ალბათ, ყველაზე მეტნი სხვა რესპუბლიკებთან შედარებით), რომლებსაც გული არ უთმენდათ (ისე უნდოდათ შვილების გახარება) და მოსკოვში მიფრინავდნენ. იქ, მოსკოვში, სადაც, კრემლთან ახლოს, იყო ორი მაღაზია, ორი ქართული სიხარული, სადაც ქართველი ქალები ფლოსტებიტაც კი დატყაპუნებდნენ ხოლმე (თუ იქვე, რომელიმე სასტუმროში ცხოვრობდნენ), მაგრამ მოსკოვის ფორმები, ძირითადად, მაინც ქართველ მამებს ჩამოჰქონდათ. ყიდულობდნენ იმ ორი დიდი მაღაზიიდან ერთ-ერთში, რომელთა სახელებიც ყველა ქართველმა დედამ იცოდა, თუმცა ამ სახელების მნიშვნელობა ისეთივე

„სირაქი იყო ერთადერთი აღბილი
მაშინ, სადაც შიშველი ქალბის ნახვა
შეიძლებაოდა. ხალხის იზლებაოდა,
ღელეხი და ბავშვები სახლში მიღიოდნენ
ბუშტავით. მამები კი ყვავილიაბით
ხალში, სირაქის უკანა გამოსასვლელთან
ელოდნენ თავბანნირულ აქრობატავს“.

გაუგებარი და ამოუხსნელი იყო მათთვის, როგორც ფლოსტები და ჩუსტები.

მოსკოვისა და საბჭოთა იმპერიის ორ ყველაზე დიდ მაღაზიაში (სადაც ქართველი ქალების ნახვა შეიძლებოდა ჩუსტებშიც და ფლოსტებშიც), ზოგჯერ უცხოური წარმოების ფეხსაცმელებიც იყიდებოდა. ქართველები, მაშინაც განსაკუთრებით მგრძობიარენი, ფეხსაცმელების მიმართ იყვნენ და ფეხსაცმელის მიმართ საქართველოში, მაშინაც განსაკუთრებული მოთხოვნილება არსებობდა. ამიტომაც გუმში და ცუმში, ფეხსაცმელების ახალი პარტიის (ეგრეთწოდებული იმპორტულის) გამოჩენის ამბავი, დაუყოვნებლივ აღწევდა მოსკოვიდან ათასზე მეტი კილომეტრით დაშორებულ საბჭოთა საქართველომდე. თბილისში (გასგები მიზეზების გამო) განსაკუთრებული სისწრაფით ვრცელდებოდა ცნობები გუმისა და ცუმის განახლების შესახებ და ქართველები ისევ მოსკოვში მიფრინავდნენ. ძირითადად ეს იყო „ცებოს“ (ჩეხური ან სხვა სოციალისტური

წარმოების ფესვსა (მელი) და იშვიათად „ტომენი“ ან „სალამანდრა“ (კაპწარმოებისა), მაგრამ ფეხშიშველი სიარული ქართველებს იმთავითვე არ უყვარდათ, როგორც (მაგალითად) რიგში დგომა. თუმცა, რიგში დგომა მათ არ უნებდათ, რადგან ისინი რიგსაც ყიდულობდნენ (რიგის ნომერს საბჭოთა მოქალაქეებს, მაღაზიების მისაღვომებთან, პირდაპირ ხელებზე აწერდნენ) და ფეხსაცმელშეძენილ ქართველ კაცებს ისლა დარჩენოდათ რომ ადგილობრივი (ან დედაქალაქში დანარჩენი რუსეთიდან ჩამოსული) ქალები მოეტყნათ. ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტიმურ კავშირში შესვლა, ქართველი მამაკაცებისათვის საკმაოდ იოლი იყო, რადგან რუსი ქალებისათვის (უმრავლესობისათვის) მაშინ სექსუალური ალტერნატივა, არ არსებობდა. ასეთი ქალების აღმოჩენა მოსკოვში ან რუსეთის ნებისმიერი ქალაქის ნებისმიერ რესტორანში ძალიან ადვილი იყო და რაც

იშვიათად გახსნიდნენ ხოლმე და ათასობით საბჭოთა ტურისტს, პოლონეთში უშვებდნენ. მათ შორის იყვნენ ქართველებიც (შეიძლება სხვებზე მეტნიც) და მათ პოლონეთიდან ნამდვილი საღვთი რეზინები ჩამოჰქონდათ – ისეთები, როგორც გოზალას ჰქონდა ან ისეთები, თბილისის სახელმწიფო ცირკთან რომ ჰყიდდნენ რომელიღაც მომთაბარე თუ მოხეტიალე ტომის ქალები. ცირკის მისაღვომებთან (რომელიც ბოლოს ქართველ პუტანკებს დარჩათ), ჯადოსნური ჟუჟაჩკებიც კი იყიდებოდა, მაგრამ თვითონ ცირკში მოხვედრა, ერთობ პრობლემატურიც კი იყო, თუ თბილისში საგასტროლოდ (მაგალითად) იგორ კიო ჩამოდიოდა. რადგან სხვა შოუ და სანახაობა არ არსებობდა, არათუ კიოს ცირკს, ოთარ რატიანის წარმოდგენასაც კი, მთელი თბილისი და საქართველო ესწრებოდა დიდიან-პატარიანად. უფროსებიც ისევე სიამოვნებოდა და სიხარულით დადიოდნენ



მთავარია, ისინი არ იყვნენ პუტანკები კლასიკური ან დღევანდელი გაგებით. ისინი არ ითხოვდნენ ფულს სექსის სანაცვლოდ და ხშირ შემთხვევაში რესტორანში დაპატიჟებითაც კმაყოფილდებოდნენ. იმ კმაყოფილ და ბედნიერ ქალებს (ძირითადად), ჰქონდათ თმის უცნაური, დაკოსილი ვარცხნილობა და გიჟდებოდნენ ცეკვებზე. ხოლო თმის ვარცხნილობის გავლენით გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, თბილისის საპარკმახეროების ვიტრინებზეც კი არსებობდა საკმაოდ სურეალისტური შინარსის განცხადებები: „ვაკეთებთ პოლონურ ქოჩორ ბუჩქს...“

პოლონეთი მაგარი ქვეყანა იყო და რუსებს ყოველთვის ებრძოდა, მაგრამ მაშინაც კი, როცა პოლონელებს ხვრეტდნენ თავისუფლების გამო, პოლონელი ბარიგები საბჭოთა საქართველომდეც კი აღწევდნენ კომერციული მიზნების განსახორციელებლად. მოსკოვის დამოკიდებულებაც პოლონეთის მიმართ იცვლებოდა ხოლმე და თუ ზოგჯერ პოლონეთის საზღვარი საგულდაგულოდ იყო ჩაკეტილი, არცთუ

ცირკში, როგორც პატარები და ბავშვებისაგან განსხვავებით, ქართველ მამებს, ცირკისაკენ გული (და თვალები), სხვა მიზეზის გამოც მიუწევდათ. ცირკი იყო ერთადერთი ადგილი მაშინ, სადაც შიშველი ქალების ნახვა შეიძლებოდა, თუმცა აკრობატებს შორის, ასაკოვანი ქალებიც იყვნენ ხოლმე და მაღაყების შესრულებისას, მათ გამო, ხალხი ღელავდა კიდევ. ამ აღელვებულ ხალხს კიდევ უფრო ძაბავდა ხოლმე ორკესტრი, რომელიც ცოცხლად ასრულებდა მკაცრად განსაზღვრულ რეპერტუარს, მაგრამ ბოლოს მაინც ყველაფერი მშვიდობიანად სრულდებოდა. ხალხიც იშლებოდა, დედები და ბავშვები სახლში მიდიოდნენ ბუშტებით. მამები კი ყვავილებით ხელში, ცირკის უკანა გამოსასვლელთან ელოდნენ თავგანწირულ აკრობატებს. აკრობატი ქალები (რუსები ან ზოგადად სლავები) სასტუმროში ცხოვრობდნენ საბურთალოზე, სადაც შამპანურით აღინიშნებოდა ხოლმე ყოველი წარმოდგენის წარმატებული დამთავრება...

ბიორები გვასხარია
ნაწილი ოსტაეორა

1994

„დარჩით ჩვენთან!“

სანამ პროგრამას დავეგეგმავდით, თავისი წიგნი მაჩუქა - "ჩარლი. პატარა ადამიანი"? არა, გმირი".

რასაკვირველია, შევეკამათე, როგორ იყო გმირი, მთელი ცხოვრება გმირებს და კერპებს დასცინოდა - მეთქი.

ვიგრძენი, რომ ენყინა. მისი წყენინება კი არ მანყობდა; როცა ვე-ტყოდი, რის ჩვენებას ვაპირებ "სარკმელში", გაიბუტებოდა და ისევ დამინყებდა ახსნას, რომ ჩემი გადაცემა "ილუზიონს" არ უნდა და-ემსგავსოს.

შეფი როცა გაგიბრაზდებათ, გირჩევთ, არასდროს დაიხიოთ უკან. უბრალოდ, შეეცადეთ კონფლიქტს (ან, მოსალოდნელ კონფლიქტს) ექსცენტრული კომედიის სახე მისცეთ.

"ბატონო ოთარ, იცით, გუშინ ინსპექტორმა გამაჩერა. სანამ საბუ-თებს ვუჩვენებდი, შემათვალეერა და მკითხა: "უი, შენ სეფიაშვილი არა ხარ?"

მეგონა, ესამოვნებოდა. არა, ამ ამბავმა დიდად არ მოხიბლა.

"ველარ დამიმასხვორა რა ამ ხალხმა. ხან ოთარ სეფიაშვილს მე-ძახიან, ხანაც იცით, ვის? სერგი გვარჯალაძეს!"

ალბათ, იმიტომ, რომ ერთი წელი არ იყავი საქართველოშიო, მოკლედ მომიჭრა და მიმანიშნა, რომ საქმეზე უნდა გადაესულიყა-ვით. მაგრამ საქმეზე ლაპარაკი ჯერ ადრე იყო. წავაგებდი.

შეფებთან ურთიერთობის ეს რეცეპტი, ცხადია, უნივერსალური არ არის. შეფსაც გააჩნია; ოთარ სეფიაშვილი, კაცი, რომელმაც საქარ-თველოს კინო შეაყვარა, განსაკუთრებული შეფი იყო. შეფი-კინო-მანი. ყველა კინომანს კი ერთი საერთო თვისება აქვს - ცნობისმო-ყვარეობა. კინომანები სტატიკურ სივრცეს ვერ იტანენ. ილზნებიან კამათზე და სანთლით ეძებენ ადამიანებს, რომლებიც უკვე შექმნილ "კონსტრუქციებს" დაუნგრევენ.

პაზოლინიზე ჩამოვუგდე სიტყვა. ვიცი, რომ არ გიყვართ ეგ კაცი და მოდით, მე ვუჩვენებ - მეთქი მის ფილმებს.

"- კარგი რა. პაზოლინი რა რეჟისორია - კომუნისტი და თანაც პედერასტი!"

ჰო, დამავიწყდა. თუკი შეფმა ჰომოფობური აზრი გამოთქვა, "გე-ნეტიკურ რეკომბინაციებზე" მსჯელობა არ დაიწყეთ. კამათი იქამდე მივა, რომ "ეს არაბუნებრივია", "სოდომის და გომორის ცოდვაა"... მერე აუცილებლად დაგეზარებათ ლაპარაკი. სჯობს, ყურადღების გადატანის გამოცდილ ხერხს მიმართოთ.

"-ბატონო ოთარ, ვისკონტის ფოტო რომ გიკიდათ კაბინეტში...ეტ-

ყობა არ იცით. პედერასტიც იყო და სხვათა შორის, კომუნისტიც"

მიტრიალდა და კაბინეტის კუთხეში, ჭიკარტით დამაგრებულ სუ-რათს შეხედა - ლუკინო ვისკონტი "ლეოპარდის" გადაღებაზე, ბერტ ლანკასტერის გვერდით.

"მაგრამ, ეგ ხომ ზემოდან იწვა? ასე არ არის?"

ეს თქვა და გაელიმა. ოლონდ, ჩემს ენამოსწრებულობაზე კი არა, ჩემს ეშმაკობაზე გაელიმა. იცოდა, რომ დიდი ხანია "გამოჭერილი" მყავდა - ვისკონტი მისი სისუსტე იყო. მისი და ჩემი სისუსტე.

სუსტებს კი ჩხუბი სად შეგვიძლია? ადვილად ვთმობთ ყველაფერს. რალაცნაირად... გვეზარება ჩხუბი. ყველაზე ხშირად "ჰოს" ვამბობთ და მუდმივად ვიპარებით ბრძოლის ველიდან. ჩვენს დეზერტირო-ბას კი იმით ვამართლებთ, რომ "ძალადობა არ შეგვიძლია". ლამაზი სახელიც დაგვარქვეს - "პაციფისტები"!

რა თქმა უნდა, პაციფისტებს შორის მხდელიც ბევრია და კონფორ-მისტიც. "რაც გინდათ ის ქენით, ოლონდ ნუ იომებთ, რადგან ომი ჩემს პატარა სამყოფელს გამინადგურებს და ვაი-ვაგლახით შეგრო-ვილს დამიკარგავს". ამის მერე იწყება - "მე ყველა მიყვარს", "მტერი ჩემთვის არ არსებობს" - რიტორიკა, რომელსაც კაცობრიობა პაცი-ფისტებს მიაწერს ხოლმე.

მაგრამ იესო ქრისტეს, ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნიო, რომ ამბობდა, "წვრილ ბურჟუას" ნამდვილად ვერ უწოდებ. ვერც შაკია-მუნის (იგივე ბუდას) დააბრალებ, მშობარა იყო და ამიტომ უარყო-ფდა ძალადობასო. ვერც ჯენის ჯოპლინზე იტყვი, ფარისევლობდა, როცა ვუდსტოკის ფესტივალზე განაცხადა, ჩვენ არ გვჭირდება ლიდერი, ჩვენ ერთმანეთი გვყავსო.

თუკი მილიტარისტებს ეჩხუბებით, გირჩევთ, პაციფისტების გამარ-თლება არ დაიწყეთ. უბრალოდ, ეს კარგი ხალხი ჩამოთვალეთ. გა-რწმუნებთ, გაგეცლებიან. ოლონდაც გახსოვდეთ, მტრედი, მართა-ლია, შინაურ ფრინველად ითვლება, და, როგორც წესი, უწყინარია, თუკი გაბრაზდა - ყვავ-ყორნებსაც გამოთხრის თვალებს. ისტო-რიაში ყოველთვის დგება მომენტი, როცა ადამიანთა საყოველთაო ძმობის მეხოტბენი (ე.ი. პაციფისტები) უპირისპირდებიან იმათ, ვინც ძმობას (ან "და-ძმობას") არ ცნობს. ადამიანები თავისუფლებას ქა-დაგებენ, სახიფათო მტრის მიმართ კი იძულებულნი არიან, იარაღი გამოიყენონ. იარაღის სახეს ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა - შეიძლება ტანკი იყოს, შეიძლება ავტომატი, შეიძლება შურდული, კომბალი, ან, უბრალოდ, სიტყვა. ამ უკანასკნელს რომ ადამიანის



სრამლიანი სათვალე

მოკვლა შეუძლია, პაციფისტივობა კარგად იციან. მაგრამ, აბა, სხვა რა ქნან? "ამბობენ" და კლავენ. "სახიფათო მტერი" კი, იცოცხლე, პაციფისტივობაც ბლომად ჰყავთ.

"პარანოიკი იყო ეგ შენი პაზოლინი. ოიდიპოსის კომპლექსით და-თრგუნული. ამას კი..."

დიდხანს ეძებდა სიტყვას. სრული კომფორტისთვის ნამოდგა, სკამი მოატრიალა, ზურგი შემექცია და ვისკონტი-ლანკასტერის ფოტოს "დათვალიერება" დაიწყო

"...ამათ კი ესმოდათ, რომ დათმობა გმირობაა"

ნაწყვეტ-ნაწყვეტ თქვა ეს სიტყვები. როგორც ქართველები იტყვიან - "გულდაკლებულად".

ის-ის იყო "პაზოს" გამართლება უნდა დამეწყო, რომ ოთარ სეფიაშვილის კაბინეტში ტელევიზიის ერთი თანამშრომელი შემოვიდა, გაზეთ "7 დღით" ხელში. შუახნის, ჭალარა ქალი იყო, რომელიც რატომღაც ასე მესალმებოდა "გამარჯობა, გვახარია!". გულწრფელი ქალი - არასოდეს მალავდა, რომ ვერ მიტანდა.

"ბატონ ოთართან არა მაქვს საქმე. შენ გეძებდი, ბოშო... რა არის ეს? ტელევიზია არ გყოფნით და ახლა გაზეთებიდან გვასწავლით ჭკუას?"

ჯერ ვიფიქრე, ჩემმა წერილმა გააღიზიანა მეთქი - ბერლინის ფესტივალის მიმოხილვამ, სათაურით "სექსუალური უმცირესობანი,

შინდელი", ან, თუნდაც "ხვალინდელი" ომი. წლის დასაწყისში, როცა გაზეთში დაიბეჭდა პუბლიკაცია სათაურით "მხედრონი და ოპერა", ნათელი გახდა, რომ გაზეთი ერთ ძალიან სერიოზულ თემაზე აპირებდა დისკუსიის დაწყებას - ომი, მაშინაც კი, როცა წაგებულა, ჯარისკაცს გმირულ სახეს ანიჭებს. თუმცა, ამავე დროს, სწორედ ომი აჩვევს ჯარისკაცს სისასტიკეს. სწორედ ომი ამძაფრებს ძალაუფლებისკენ სწრაფვის ვნებას.

"მხედრონის" ლიდერების, ზაზა ვეფხვაძისა და გია სვანაძის მკვლელობა თბილისის ცენტრში.

რუსთავის "მხედრონის" ლიდერის, თემურ ტალახაძის მკვლელობა (მისი თანხმობის გარეშე რუსთავში მაშინ ჯიხურსაც კი ვერ გახსნიდი).

ერთნი ამტკიცებდნენ, ძალაუფლების გადანაწილება დაიწყო. მეორენი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ 94 წელს საქართველოში თავად ხელისუფლება მოგვევლინა ტერორისტის როლში - მთავრობა იმ ხალხისგან თავისუფლდებოდა, ვინც მოიყვანა ხელისუფლებაში.

შეფმა ისევ მოატრიალა სკამი. ჭალარა ქალბატონს გაზეთი გამოართვა. გადაათვალიერა და ღრმად ამოიხრა:

"საწყალი თენგიზი!"

არ მახსოვდა, რომ "7 დღის" ამ სკანდალურ ნომერში დათო ბუხრიკიძემ თენგიზ აბულაძის დაკრძალვის ცერემონია აღწერა. ჩამოთვალა ხალხი, ვინც სამგლოვიარო სიტყვა წარმოთქვა - ედუარდ შევარდნაძე, ჯაბა იოსელიანი, ვახტანგ გოგუაძე... და დაუმატა: "ეს იყო ხელოვანის დაკრძალვა, რომელსაც ბევრი ახალი და ძველი არავიძე მიუყვებოდა"

"დათოს წერილზე ამბობთ? ეგ ბიჭი ჩემი პირველი სტუდენტია!"

ამაყად განვაცხადე და რატომღაც იმ ჭალარათმიან ქალს გაგხედე, ხან "გვახარიას" რომ მეძახდა, ხანაც "ბოშოს".

"შენ რომ არ გიყვარს "მონანიება"? არ გემორჩილებიან ყოფილი სტუდენტები?"

გადავწყვიტე ამეხსნა შეფისთვის, რომ მხოლოდ მიხარია, როცა სტუდენტები პედაგოგების აზრების ტირაჟირებას არ ეწევიან... რომ

თაობების ომი ბუნებრივია. ამით ორ კურდღელს მოვკლავდი - "პაზოსაც" ვუშველიდი (თავისი ოიდიპოს კომპლექსით) და იმ ჭალარა ქალბატონსაც დავარწმუნებდი, რომ მე არა ვარ პაციფისტი! არა ვარ!

სიგარეტს მოვუკიდე და დიდი მონოლოგისთვის მოვემზადე. მაგრამ ქალმა არ მაცალა:

"იცი რატომაა ეს გაზეთი საზიზღრობა, ბოშო? სანამ შენი რედაქცია ბანდიტიზმში დაადანაშაულებდა "მხედრონს", ჯერ, სჯობდა, გაერკვია, ვინ აფინანსებს სატელევიზიო ფესტივალ "მანას", რომლის ჟიურის თავმჯდომარე ამ გაზეთის აქტიური ავტორი - გვახარიაა!"

აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე - "მანა"! პირველი სატელევიზიო ფესტივალი, რომლის გამოც ნახევარი ტელევიზია აღარ მესალმებოდა. განსაკუთრებით ფინალის წინ, როცა საუკეთესო გადაცემების, საუკეთესო წამყვანების ნომინანტთა შორის ვერ მოხვდა, მაგალითად, გადაცემა "ტაიმ-აუტის" ავტორი ნატო ონიანი... სამაგიეროდ ნომინანტებს შორის ლიდერობდა ტელეკომპანია "იბერვიზია", რომელსაც, როგორც ბოროტი ხალხი ამბობდა, ბოდიში კალამბურისთვის, მაგრამ მართლაც "ბოროტები" აკონტროლებდნენ.

ნომინანტებს შორის არ იყო "ილუზიონიც". ეს პროგრამა საერთოდ არ იყო წარდგენილი სატელევიზიო ფესტივალზე.

„რა თქმა უნდა, პასიფისტებს შორის მხლალის ბევრია და კონფორმისტის. მაგრამ იხსოვრის, ნატარ არიან მშვიდობის მყოფელნი, რომ ახლობდა, „წვრილ ბურჯუნს“ ნამდვილად ვერ უწოდებ. ვერს შაქია-მუნის დაბრალვებ, მშიშარა იყო და ამიტომ უარყოფდა ქალბატონს. ვერს ჯანის ჯოჯლინა იტყვი, ფარისევლოვდა, როცა ვუდსტოქის ფესტივალზე განაცხადა, ჩვენ არ გვჭირდება ლიდერი, ჩვენ ერთმანეთი გვყავს“.

რევოლუცია და შიდაი. წერილში საგანგებოდ იყო გამოყოფილი ადვოკატის სიტყვები "ფილადელფიაში": "ამერიკის კონსტიტუციაში არ წერია, რომ ყველა ნორმალური ადამიანი თანასწორია. იქ წერია, რომ ყველა ადამიანი თანასწორია!"

მაგრამ აღმოჩნდა, რომ "შვიდ დღეში" ჭალარა ქალბატონი აღაშფოთა არა ჩემმა, არამედ მაია გოგოლაძისა და ლია ტოკლიკიშვილის წერილმა "და ხვალ იყო ომი..." ოთარ სეფიაშვილს გაზეთი გადაუშალა და საგანგებოდ შემოხაზული ადგილი წაუკითხა: "საქართველოს ომს ვერ მოაგებიანებდა ზეადამიანობისა და ძმაბიჭობის ინსტიტუტი"

ასეთი პუბლიკაციების გამო "7 დღეს" განუწყვეტილად არბევდნენ. თანაც, სრულიად განსხვავებული პოლიტიკური ჯგუფები. რედაქციაში ხუმრობდნენ, რომ გაზეთმა მთელი საქართველო გააერთიანა - ზვიად გამსახურდიას მომხრეები (ზოგიერთი მათგანი ამტკიცებდა, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალება შევარდნაძის სპეცსამსახურების მიერ გავრცელებული ინფორმაციაა და რომ გამსახურდია ჰელსინკი იმყოფება), კანცელარია, "ედა" (საწყალი დათო ბუხრიკიძე - მაგრამ მოხვდა მაშინ ყბაში), პარლამენტი...

"პაციფიზმი" - ის ბრალდება იყო, რომელიც ლამის მთელმა საქართველომ დაუდო გაზეთს. "7 დღეს" ნაკლებად აინტერესებდა "გუ-



სრამელიანი სათვალე

„...ამათ კი ესმოდათ, რომ დათმობა გმირობაა“ - ამიტომ ხომ არ მითხრა ეს ოთარმა?

„ჭაღარა ქალი“ მართალი აღმოჩნდა - პირველი „მანას“ ფინალურ შოუში, რომელიც ფილარმონიაში მოეწყო, „ფინანსური დახმარებისთვის“ საგანგებოდ გადაუხადეს მადლობა ჟიურის წევრს, კოტე ჯაბას-ძე იოსელიანს. თუმცა ეს კაცი ხომ ჟიურის არც ერთ სხდომას არ დასწრებია?! მხოლოდ დასკვნით შეხვედრაზე მოვიდა. ისიც დაგვიანებით, როცა გამარჯვებულების ვინაობა უკვე გარკვეული იყო.

მაგრამ სინდისი, ხომ იცით, როგორი მუხთალი რამეა. რამდენიც არ უნდა იმართლო თავი, თუკი გაიღვიძა, დედას გიტყვებს!

30-იანი წლების ამერიკულ ტრილერებში ხდება ასე. პერსონაჟს თავში რაღაც აზრი მოსდის, მაგრამ ჯერ ვერაფერს ხვდება. სამაგიეროდ, ამ „გამონათებას“ გრძნობს მაცურებელი, რომელიც ელოდება, როდის გაიაზრებს გმირი სიახლეს, როდის მიხვდება, რომ „კონსტრუქცია“ დაენგრა თავში. კლასიკური ამერიკული ტრილერის, უფრო სწორად „ფილმ-ნუარის“ დრამატურგიის კანონით, „გამონათების“ შემდეგ გმირის ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მოხდეს.

ჰოდა, თუკი თქვენს თავს ახლა „ფილმნუარის“ მაცურებლად წარმოიდგენთ, დაინახავთ სატელევიზიო ფესტივალ „მანას“ ცოტა არ იყოს დაბნეულ და გუნებაწახდელ ჟიურის თავმჯდომარეს, რომელ-

„ოზარკაჟუნიის ფესტივალზე, ჟიურის დასკვნით

სხდომაზე ერთმა ამერიკელმა ქალბატონმა გაიძულა

მთქვა ისეთი რამ, რისთვისაც სხვას თვალზეს

დავთხრიდნი: „ქალი რომაა რაჟისორი, იმიტომ ქაჩავთ,

არა? ქარბად გიხმობთ ფემინისტებს!“. ასეა, ჩემო

ქვირფასო პასიფისტებო... დამარცხება არავის უყვარს.

ბამარჯვების მისაღწევად კი რა არ შეიძლება ნამოხდეს

კაცს (და სხვათა შორის, ქალსაც)“.

მაც იგრძნო, რომ უსამართლობის სამსახურში ჩადგა. იგრძნო, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გაიაზრა ეს.

ჩანთაში ჩავიდე „ჩაუბლინი“ და „მანას“ ჟიურისგან დაჩაგრულ ტელევიზიის ვეტერანებს გამოვემშვიდობე. ვითომ ვერ გავიგე რა მომაცხა შეფმა: „ვისკონტინზე როდის ვილაპარაკოთ, გოგი?“

მეორე დღეს, „ილუზიონში“ ოთარ სეფიაშვილმა „ვესტსაიდის ისტორია“ აჩვენა. რობერტ უაიზის, ჯერომ რობინსისა და ლეონარდ ბერნსტაინის ამ ფილმს „ვესტსაიდის ამბავი“ უწოდა და ილაპარაკა უფრო მეტი, ვიდრე, ჩვეულებრივ, ლაპარაკობდა ხოლმე.

რა ვიცი. დღესაც მგონია, რომ ყველას მიმართავდა მაშინ - ძველ და ახალ არავიძებებს, იმათ, ვინც თავის თავს „ბოროტები“ უწოდა და იმათაც, ვინც დარწმუნებული იყო, რომ მშვიდობას და სილამაზეს ემსახურებოდა.

მეც მომმართავდა.

1961 წელს გადაღებული „ვესტსაიდის ისტორია“ ჩვენს ეკრანებზე მხოლოდ 1980 წელს გამოუშვეს. 20 წუთი ამოჭრეს, რამდენიმე სიმღერა კი რომელიღაც ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს „გახმოვანებინეს“ რუსულ ენაზე.

ნომერი პირველი მიუზიკლი მსოფლიო კინოს ისტორიაში საბჭოთა

ეკრანებიდან რამდენიმე დღეში მოიხსნა. პუბლიკა ჯგუფ-ჯგუფად გადიოდა კინოთეატრებიდან. კრიტიკოსებსაც ძალიან სწორხაზოვნად მოეჩვენათ ეს ყველაფერი. მითუმეტეს, რომ მარიას და განსაკუთრებით ტონის როლების შემსრულებლები ცუდად თამაშობენ და არც ისე კარგად მღერიან.

„ვესტსაიდის ისტორიას“ მეც მერჩვენა თუნდაც რობერტ უაიზის ძველი, ჯერ კიდევ მაკარტიზმის ხანაში გადაღებული ფილმი „დღე, როცა დედამინა გაჩერდა“... იქ უცხოპლანეტელი ჩადის ვაშინგტონში და ევედრება ხალხს შეწყვიტონ დაპირისპირება და სისხლისღვრა. არ ემორჩილებიან. უცხოპლანეტელი იძულებულია მთელ დედამინაზე გამორთოს ელექტროენერგია.

სასაცილო ფილმი იყო. სასაცილო - რა თქმა უნდა დასავლეთისთვის, რომელიც უკვე ხარხარებდა ძალადობის სცენებზე კინოში. 1994 წელს მსოფლიოს ქუენტინ ტარანტინო მოევიდინა თავისი „მაკულატურით“... ვის რაღაში აინტერესებდა ბანდების ბრძოლა „ვესტსაიდის ისტორიაში“? თანაც, სიმღერ-სიმღერითა და ცეკვით? ანდა, ვის რაში აინტერესებდა ომნაგებული და გაპარტახებული საქართველო, სადაც... არა, რაღაც დაუგვიანდა „7 დღეს“. „ზეადამიანობისა და ძმობის ინსტიტუტი“ მას შემდეგ დაინგრა, რაც დამარცხებული ძმობები და მათი ავტორიტეტი-ზეადამიანები ნადავლით ხელში დაუბრუნდნენ დედაქალაქს. აღმოჩნდა, რომ ყოფილ „ძმობებს“ დღისით, მზისით შეუძლიათ სისხლის გუბეში ჩაახრ-

ჩონ ძმაკაცები სწორედ იმიტომ, რომ თავადაც გაუჩნდათ სურვილი გადაიქცნენ „ავტორიტეტი-ზეადამიანად“

ისე, ლეონარდ ბერნსტაინი კარგი ხუმარა კაცი იყო. დაწერა კიდევ ერთხელ, რა გახდა ეს ბეთჰოვენი, სადაც ნახვალ ყველგან ბეთჰოვენს უკრავენო - საკონცერტო დარბაზებში, რომლებიც დიდი კომპოზიტორების ბიუსტები-თაა გაფორმებული, ცენტრში ყოველთვის ბეთჰოვენი დგასო, თუკი დალუპულ გმირებს ეძღვნება კონცერტი, აუცილებლად „ჰეროიკული“ სიმფონიის ნაწყვეტს უკრავენო, გაეროს კონცერტებზე ხომ საერთოდ - მეცხრე სიმფონია აუცილებელია!

„მეცხრე სიმფონიის ფინალის მელოდია - ლუდის ბარს უხდება, მეხუთე სიმფონიის ნაწილები კი მხოლოდ სამ აკორდზეა აწყობი-

ლი“ - ქილოკობდა მაესტრო... ქილიკობდა, თუმცა ყველამ იცოდა, ბერნსტაინი ბეთჰოვენს აღმერთებდა! ასეთი „თამაშით“, რომელსაც, ალბათ შეიძლება, აზროვნება ვუნდოთ, მაესტრო მხოლოდ და მხოლოდ კერპისგან გათავისუფლებას ცდილობდა. ბერნსტაინმა იცოდა, რომ კერპის, ე.ი. „ზეადამიანის“, ე.ი. „ავტორიტეტის“ სიყვარული მაინც და მაინც კარგად არ მთავრდება ხოლმე. იცოდა და, ამიტომაც დაწერა, ალბათ, ულამაზესი მუსიკა „ვესტსაიდის ისტორიისთვის“, მუსიკა, რომელსაც შეუძლია „მხეცი ჩაკლას კაცში“ (იოსებ სტალინი).

94 წლის იმ წვიმიან შაბათ-საღამოს ოთარს, როგორც ჩანს, სჯეროდა, რომ „ბოროტები“ და „კეთილები“, მათგან დევნილი ზვიადისტები და ისინიც, ვინც წლის დასაწყისში ახალ პოლიტიკურ მოძრაობაში, „მოქალაქეთა კავშირში“ გაერთიანდა, ცრემლებით დაიხრჩობდნენ თავს ბერნსტაინის მუსიკაზე. შესავალ სიტყვაში გვთხოვა, ყური დავუგდოთ, როგორ მეორდება ფინალში მიუზიკლის ყველაზე სევდიანი თემა „Somewhere“, თითქოს იმის მისანიშნებლად, რომ ჰო, ჰო, (სუსტების საყვარელი სიტყვა) „ძმობისა და ავტორიტეტების ინსტიტუტს“, ისევე როგორც შურს, ეჭვიანობას, ფანტიზმს, ნიუანსების შეგრძნების უუნარობას, აუცილებლად მიჰყავს ხალხი

სკამლიანი სათვალე

ძალადობამდე. ჰო, ჰო... ომი - ტანკებით, ავტომატებით, შურდულეებითა თუ სიტყვებით - ადამიანის ბიოლოგიური მოთხოვნილებას, მაგრამ სადღაც ხომ არსებობს ხსნა, სადღაც ხომ არიან ცოცხალი არსებები, რომელთაც აქვთ საოცარი უნარი თქვან "ჰო" და ამავე დროს, "არა" იგულისხმონ, იქილიკონ ბეთჰოვენზე და ამ ქილიკით აუხსნან სიყვარული.

სატელევიზიო გადაცემების რეიტინგები იმხანად არ არსებობდა. ამიტომ "ვესტსაიდის ისტორიაზე" ჟიურის წევრებს ვკითხე, "მანელების" მორიგ სხდომაზე. მხრები როცა აიჩეჩეს მივხვდი, რომ "ილუზიონს" იმ საღამოს არავინ უყურა - მწვავე პოლიტიკური გადაცემა იყო, თურმე, "იბერვიზიაზე". მგონი, არავინ ნახა მაშინ ნომერი პირველი მიუზიკლი, მგონი არავინ მოუსმინა ოთარ სეფიაშვილს.

ჩემს გარდა. სატელევიზიო ფესტივალ "მანას" ჟიურის თავმჯდომარის გარდა, რომელმაც მაშინ უკვე გაიაზრა, რომ "ინსტიტუტების" მანიპულაციის მსხვერპლი ხდებოდა.

ჟიურის თავმჯდომარეობა უაღესად საინტერესო სამუშაოა. პირადად მე ყოველთვის მიმართლებდა - ობერჰაუზენში, ნიონში, ანჟეში... ყოველთვის ვარწმუნებდი ჟიურის სხვა წევრებს, რომ სწორედ ეს, და არა რომელიმე სხვა ფილმი მთავარი პრიზის ღირსი. შედარებით გამიჭირდა ობერჰაუზენის ფესტივალზე, სადაც ჟიურის დასკვნით

„ჰოს“ თქმაზე აღვილი არაფერი იყო – გამოხვიდოდი, პატარა პაუზას დაარტყამდი „სტანისლავსკის სტილში“ და გამოაცხადებდი გამარჯვებულს. მერე ამოვიდოდა სხენაზე ის ქარბი ქასი, ზაზა დარასელი, მიულოცავდი და სინდისი აღარ შეგანუხებდა. მაგრამ რა უნდა ქნა, როცა გული გერევა ამ ტოტალურ ტყუილზე, როცა „Somewhere“ გიტრიალებს თავში და „დარჩით ჩვენთანაა!“ არ გემღერება?

სხდომაზე ერთმა ამერიკელმა ქალბატონმა მაიძულა მეთქვა ისეთი რამ, რისთვისაც სხვას თვალებს დავთხრიდი: "ქალი რომაა რეჟისორი იმიტომ ქაჩავთ არა? კარგად გიცნობთ ფემინისტებს!".

ასეა, ჩემო ძვირფასო პაციფისტებო... დამარცხება არავის უყვარს. გამარჯვების მისაღწევად კი, რა არ შეიძლება ნამოცდეს კაცს (და სხვათა შორის, ქალსაც).

"მანას" ჟიურის სხდომებზე, რომელსაც არა მარტო ჟიურის წევრები ესწრებოდნენ, "ნამოცდენები" საშიში იყო. არადა. როგორ არ მინდოდა გაემარჯვა იმას, ვისაც ყველანიარად "ქაჩავდნენ"!

"Somewhere" დილიდან მიტრიალებდა თავში. ჟიურის სხდომაზეც ვლილინებდი. მუსიკას კი, ხომ იცით, რა ახასიათებს? გადადება იცის! ეს თქვენ გგონიათ, რომ "გულში მღერით". სინამდვილეში, თუკი მუსიკა აგეკიატათ, ერთ-ორ ბგერას მაინც გამოუშვებთ გარეთ და სხვასაც აიძულებთ ილილინოს.

"Somewhere" მხეცს კლავს კაცში (და ქალში)

ტელევიზიის ვეტერანებს პრიზები მაინც გადავაცემინეთ. თუმცა მთავარი მაინც სხვა იყო; ათასნაირი ზენოლის მიუხედავად სატელევიზიო ფესტივალ "მანას" გამარჯვებული შედარებით თავისუფალი და შედარებით დამოუკიდებელი მეორე არხი გახდა!

მეორე არხი თავისი განუმეორებელი სერგით, პირველად რომ აჩვენა ტელევიზორში პრეზერვატივი სრულიად საქართველოს და და-

ყოლა: "ეს, პრეზერვატივია!"

ახლა საჭირო იყო გამიჯვნა ამ ხელოვნურად შექმნილი სანახაობისგან, რომელსაც, როგორც შოუს შეიძლება არა უშავდა (დღეს ასეთ შოუს ველარავინ დგამს), მაგრამ ყველაფერი, რაც სცენაზე ხდებოდა – კონვერტების გახსნა, სიხარულის ცრემლები, მოულოდნელობაზე თამაში, მაინც კატასტროფულად არაადეკვატური იყო.

მეც უნდა გამეხსნა კონვერტი და დარბაზისთვის, რომელსაც ძველი და ახალი არავიძეები ამშვენებდნენ, მეთქვა: "აბა, ვნახოთ, ვინ გახდა გამარჯვებული?"

"ჰოს" თქმაზე ადვილი არაფერი იყო – გამოხვიდოდი, პატარა პაუზას დაარტყამდი "სტანისლავსკის სტილში" და გამოაცხადებდი გამარჯვებულს. მერე ამოვიდოდა სცენაზე ის კარგი კაცი, ზაზა დარასელი, მიულოცავდი და სინდისი აღარ შეგანუხებდა. მაგრამ რა უნდა ქნა, როცა გული გერევა ამ ტოტალურ ტყუილზე, როცა „Somewhere“ გიტრიალებს თავში და „დარჩით ჩვენთანაა!“ არ გემღერება?

ექსცენტიკა - ჟანრი, რომელიც ცენტრს გაშორებს და ანგრევს ყალბ კონსტრუქციებს. ესაა ყოველთვის გამოსავალი!

გამოვედი გაკაშკაშებულ სცენაზე ცამპა-რუმპას თანხლებით და დარბაზს გამოვუცხადე: "მე ჟიურის თავმჯდომარე ვარ, რა აზრი აქვს ამ კონვერტის გახსნას, როცა შედეგები უკვე ვიცი. ვერ დავინყებ, ახლა, თქვენს მოტყუებას - სატელევიზიო ფესტივალ "მანას" გამარჯვებული - მეორე არხი!"

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ის ჭაღარათ-მიანი ქალი ტკბილად მომესალმა ტელევიზიის კიბეზე, მივხვდი, რომ გმირობა ჩავიდინე! ნუ, ძალიან, ძალიან კმაყოფილი ვიყავი ჩემი თავით. არავინ გავანანყენე და თან, სამარცხვინო არაფერი გამიკეთებია. მოკლედ "ჰოც" და "არაც"... ოთარიც აღარ ერეოდა ჩემს პროგრამაში. ის "ილუზიონს" აკეთებდა, მე - "სარკმელს".

ოქტომბერში, როცა ბერტ ლანკასტერის გარდაცვალების ამბავი გავიგე, შეიძლება ითქვას "მისასამძიმრებლად" შევედი მის კაბინეტში. უკვე იცოდა.

"ამ შაბათს, ალბათ, "ლეოპარდს" უჩვენებთ არა?"

ეს რომ ვკითხე, ჩვენი დაუმთავრებელი საუბარი გამახსენდა ვისკონტინე. სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ლანკასტერის სიკვდილს "ლეოპარდით" გამოეხმაურებოდა. მითუმეტეს, რომ თავი დასაყვირებდა "გავიდა დრო ლომებისა და ლეოპარდებისა, მოვიდა დრო ტურებისა და აფთრებისა", ოთარ სეფიაშვილისთვის იმ დროს განსაკუთრებით მტკივნეული უნდა ყოფილიყო.

"დათმობა გმირობა"... ამას არ იმეორებდა "ვესტსაიდის ისტორიის" ჩვენების ნინ?

არაო. ბევრი ვიფიქრე და მაინც "ნიურბერგის პროცესი" ავირჩიეო.

"ჰო. აქტუალურია. შევარდნაძემ ხომ განაცხადა გულში, ჩვენც ბევრი რამე გვაქვს აფხაზებთან მიქარულიო. ისევ ილაპარაკა პროვინციულ ფაშიზმზე. უსმინეთ?"

"ნიურბერგის პროცესთან" ამას კავშირი არა აქვსო. და საერთოდ... შესავალი უკვე ჩავენრეთ, ფაქტობრივად მხოლოდ ლანკასტერის ბიოგრაფიას ვყვებით.

"მე კი, იცით, როგორ დამეხმარა თქვენი შესავალი "ვესტსაიდის ისტორიისთვის"?"

ამაზე არ მიპასუხა. არადა, მიმანიშნა, რომ მშვენივრად გაიგო რას ვგულისხმობდი.



სრამლიანი სათვალე

– ხედავ როგორი დამთხვევაა? ორივე ფილმი ერთ წელსაა გადაღებული. თანაც პოლიფუნქციური... უფრო მეტიც, იმ წელს შენი პაზოლინი თავის პირველ ფილმს იღებდა, ჩვენი ვისკონტი კი ლოურენს ოლივიეს ეხვეწებოდა, "ლეოპარდში" ითამაშეო. მაგრამ ნახა "ნიურბერგის პროცესი", ლანკასტერით აღფრთოვანდა და გეგმები შეცვალა"

მერე დააყოლა, კინოში ხშირად ხდება ასეო, ერთი უმნიშვნელო ფილმი შედეგის წინაპირობა ხდებაო.

რა თქმა უნდა, ამიტომ არ გაიხსენა 1961 წელი. ამიტომ არ მიაყოლა ერთმანეთს "ვესტსაიდის ისტორია", "აკატონე", "ნიურბერგის პროცესი" და "ლეოპარდი". ჭეშმარიტი კინომანი მხოლოდ ერთი შეხედვითაა სუსტი და დამთმობი. არადა, იცით რითაა შეიარაღებული? ისტორიის სქელი ჯაჭვით, რომელიც ქვას ქვაზე არ დატოვებს, თუკი "მშვიდობის მტრედი" გაგვიბრაზდა. ჭეშმარიტმა კინომანმა ყველაზე კარგად იცის, რომ ისტორია ფილმივითაა აწყობილი – მონტაჟურად. ერთი მოვლენა თავის თავში ბადებს მეორეს, ერთი არსება – სხვას; სუსტი-ძლიერს, უმწეო-ზეადაამიანს... და პირიქით.

ჟურნალისტი წერს: "საქართველოს ომს ვერ მოაგებინებდა ზეადა-მიანობისა და ძმაბიჭობის ინსტიტუტი", კინომანი ამას კითხულობს და ფიქრობს, მერედა, ვინ შეუწყო ხელი ამ ინსტიტუტების შექმნას,

ფინალში წარმოთქვამს ბრძალზე ბრძალ, მართლაც რომ შექსპირისაული მასშტაბის მონოლოგს. „მთელი კადრი „ივსება“ ბერტ ლანკასტერის სრამლიანი თვალაზრით. რაქვიანივით ჟღერს მისი სიტყვები: „მადანაშავე ვარ, რადგან ისტორიას ვემსახურებოდი და არა ქაშობრიობას. დანაშავე ვარ, რადგან ვერ გავიმიჯნე დროს. ოღონდ, გემუდარებით, ოღონდ, ისტორიას გაასამართლეთ!“

ვის, ან რას უნდა მოვთხოვოთ პასუხი - ჩვენს კულტურას? რელიგიას? საბჭოთა სისტემას? მილიტარისტებს? პაციფისტებს? იქნებ ამ "ძმაბიჭობის" მშობლებს, უსიყვარულოდ რომ მიაგდეს თავიანთი შვილები ქუჩაში, ანდა, პირიქით, მთელი ცხოვრება რომ უჩინებდნენ, მამას და "მამებს" აუცილებლად უნდა დაუწიოთ? როგორ დავიძვრინოთ თავი უსიყვარულობისა და ძალადობის ამ მორევისგან - ისტორიისგან, რომელიც ბერძნულად "თხრობას", "მოთხრობას" ნიშნავს?

"ნიურბერგის პროცესს" შესავალი მართლაც არ სჭირდებოდა. ყველასთვის ცხადი იყო, რომ კრამერმა გადაიღო არა ნაცისტური დანაშაულების, არამედ ისტორიის გასამართლება. ბერტ ლანკასტერის გმირი, ერნსტ იანგი, ყოფილი მოსამართლე, რომელიც ახლა საბრალდებო სკამზე აღმოჩნდა, სხვებისგან განსხვავებით, თავს არ იმართლებს. ხანდახან ელიმება მხოლოდ ადვოკატზე, რომელიც ამტკიცებს, ეს კაცი თავისი ქვეყნის კანონებს იცავდაო. მხოლოდ ფინალში წარმოთქვამს გრძელზე გრძელ, მართლაც რომ შექსპირისეული მასშტაბის მონოლოგს. მთელი კადრი "ივსება" ბერტ ლანკასტერის ცრემლიანი თვალებით. რეჟიმივით ჟღერს მისი სიტყვები: "მე დამნაშავე ვარ, რადგან ისტორიას ვემსახურებოდი და არა ქაშობრიობას. დამნაშავე ვარ, რადგან ვერ გავემიჯნე დროს. ოღონდ, გემუდარებით, ოღონდ, ისტორიაც გაასამართლეთ!"

"ბატონო ოთარ, გადაცემის იდეა მომივიდა. მომავალ წელს კინოს ასი წლისთავი უნდა ვიზეიმოთ. შეიძლება მეგობრებთან ერთად ახალი ციკლი დავიწყო? კინო, როგორც მეოცე საუკუნის ისტორია... სათაურიც მოვიფიქრე - "თეთრი კვადრეტი"

დაიწყეო მითხრა. მკითხა, ეგ მეგობრები ვინ არიანო.

ახალგაზრდებს ვთხოვე, 25 წლის ბიჭები არიან - მეთქი.

გასვლის წინ კი დავაყოლე: "სხვათა შორის, ჩემგან განსხვავებით, "მონანიება" ძალიან უყვართ!"

ერთი წლის შემდეგ, "თეთრი კვადრეტი" სატელევიზიო ფესტივალ "მანა 95"-ს ნომინანტი გახდა. გავიგე, რომ "მანას" ორგანიზატორებმა კატეგორიულად მოსთხოვეს ჟიურის, "გვახარიათ გადაცემა" გამარჯვებულად არ გამოეცხადებინა. ფინალურ შოუზე დასასწრებად გადაცემის სამ ავტორს ერთი მოსაწვევი გამოგვიგზავნეს. გიორგიმ და კახამ (25 წლის ბიჭებმა, "მონანიება" რომ მოსწონდათ) მირჩიეს, ბოიკოტი გამოგვეცხადებინა მოქალაქეთა კავშირის ძალისხმევით ჩატარებული ფესტივალისთვის. ასეც მოვიქცით. მოსაწვევი ჩვენს მეგობარს, დათო მელიქიშვილს გადავეცით და ვთხოვეთ, თუკი მაინც გავიმარჯვებდით, სცენაზე ასულიყო და ჩვენი წერილი წაეკითხა.

"მანას" სახელმწიფო ტელევიზია პირდაპირ ეთერში გადმოსცემდა.

"საუკეთესო კინოგადაცემის ნომინაციაში გამარჯვება გადაცემამ "თეთრი კვადრეტი!" - საზეიმოდ გამოაცხადა ნინო ზაუტაშვილმა კონვერტის გახსნის შემდეგ.

დათოს "პროჟექტორები" მიანათეს და "ცამპარუმპა" ჩაურთეს. ხელებს კი აქნევდა საწყალი, მე არაფერ შუაში ვარო. მაგრამ მაინც გაუმართეს ოვაციები (ტრანსლაციის რეჟისორმა ამ დროს რატომღაც დარბაზში მოკალათებული ძველი და ახალი არავიძებები გვიჩვენა)

ავიდა და თქვა: "ამ გადაცემასთან მე არაფერი მაკავშირებს. ჩემმა მეგობრებმა მთხოვეს, წამეკითხა ეს წერილი... "თეთრ კვადრატს" სამი ავტორი ჰყავს. მაგრამ დაგვსაჯეს და მხოლოდ ერთი მოსაწვევი გამოგვიგზავნეს. ალბათ იმიტომ, რომ მე, გიორგი გვახარია, სატელევიზიო ფესტივალ "მანა 94"-ის ჟიურის თავმჯდომარე,

ვილაც-ვილაცების მანიპულაციებს არ დავმორჩილდი"

დათომ სიტყვა "მანიპულაცია" ვაი-ვაგლახით წაიკითხა. გაუჭირდა ჩემი საზიზღარი "ხელის" გარკვევა.

ნინო ზაუტაშვილმა, ძალიან კარგით თქვა და დაბნეულობისგან ტაში დასცხო. დარბაზიც აყვა. ისინიც - არავიძებები! ნეტავ რას უკრავდნენ ტაშს?


საოცარი რა იყო იცით? ჟიურის თავმჯდომარე, კოტე მახარაძე, ფინალურ შოუს "ავადმყოფობის გამო" არ დაესწრო. დღემდე ვერ გამირკვევია, რატომ.


მეორე დღეს, ის ჭადარა ქალი ტელევიზიის კიბეზე შემხვდა. აღარც "ბოშო" უთქვამს და აღარც "გვახარია". პირდაპირ გადავიდა საქმეზე:

"ხლა ისევ გმირი გგონია თავი, არა? მაგრამ მე ხომ ვერ მომაცყუებ. ეგ, ალბათ, იმ ახალგაზრდების იდეა იყო? კაი ბიჭები არიან ეგენი. გადაეცი ჩემგან - იქნებ გიშველონ რამე!"

ჰო, ჰო, გმირი არა ვარ, "პატარა ადამიანი" ვარ მეთქი. მაგრამ, შევატყვე, რომ არ დამიჯერა.

კარგი ქალი იყო.





ტბილისი | 1942 წელს...

ერთი რალაცნარი ნიგნის დაწერა გადაწყვიტე. ვითომ, მოქმედება თბილისში ხდება 1942 წელს, ოლონდ, საქართველო საბჭოთა კავშირის წევრი არ არის, დამოუკიდებელი ქვეყანაა. ასე დავინწყე.

პირველი - ჩვენ ჩამოვედით მატარებლით, მხოლოდ ათი წუთის დაგვიანებით, გაჩახჩახებულ, მზიან ამინდში, ვიგრძენით ბაქნის ხმაური და თვალთა წინაშე გაიჩინა დამხვედურთა სამოსის გადღაბნილმა, მაგრამ სასიამოვნო ფერებმა. ჩვენ დაგვიხვდნენ მღვდლები და მსახიობები. მსახიობები იტალიური სახალხო თეატრის სამოსში გამოწყობილიყვნენ. არლექინი ყირას გადადიოდა ზედ ჩვენი ვაგონის კართან.

ბაქნის ფილაქანი თეთრი იყო, თითქოს რბილიც.

მე მეგონა, რომ ინკოგნიტოდ ჩამოვედით, მაგრამ თურმე გვხვდებოდნენ. ჰასტინგსი შეცბუნდა, როცა მღვდლებმა, ჯამებში ჩაყვეს ფუნჯები და წყალი გვასხურეს, მაგრამ მე ვიცოდი აღმოსავლეთის ორთოდოქსული ეკლესიის რიტუალები და არ გამკვირვებია. თაიგულები საოცარი იყო, ულამაზესი, მათ ზღვის სუნი ასდიოდა და დასვლებულმა ჰასტინგსმა ნაიბურტყუნა, ნეტავ ნომერი ზღვის მხარეს

იყოსო. ვილაცა გასხლტა ვაგონის კარში ჩვენი ბაგაჟის მისახედად. მას ფართო, ქამარშემორტყმული იქაური პლაშჩი ეცვა, რომელსაც ჩოხა ჰქვია და ვერცხლისფერი სამხრეები უბზინავდა, რამდენიმე საბრძოლო მედალთან ერთად.

ამ გაუგებრობაში რუსკოსტუმიანი მაღალი კაცი მოგვადგა და ისე, რომ მღვდლებსა და ჩვენს შორის არ ჩამდგარიყო, ლამის შეუმჩნევლად წამჩურჩულა:

- მე ინსპექტორი მასხულია ვარ... მომყევით, მისიე... ესენი თქვენ არ გხვდებიან. შეეშალათ. მომეცით თქვენი თაიგულები.

მერე სათითოდ ემთხვია ხელზე ოთხივე მღვდელს, და ჭრელ და ფერადოვან კაბა-სამოსთა და თაიგულთა ბრბოში გაშლილი ხელით გაგვიკვალა გზა სადგურის სიღმისაკენ.

- ოტელ მეტროპოლში დადგებით. ცხელი წყალი ოთახებში გაქვთ. აბაზანა მისიე...

ესა თქვა და იქუხა კიდევ. საკი ხელიდან გავაგდე და თეთრ ფილაქანს გავეკარი. თვალის კიდით დავინახე ჩემს გვერდით განრთხმული ჰასტინგსი. მერე კი დავინახე, ადამინთა ფეხები. კობტა ქალის კოჭები და წითელი, ჩხვლეტიკაქუსლიანი ფეხსაცმელები. შიში სადღაც გაჰქრა და ადგილი მსუბუქ ეროტიკას დაუთმო.

ვიგრძენი, რომ მკლავში ვილაცამ მომხვია ხელი და წამომაცენა. ინსპექტორი იყო.

ჰასტინგსი კი ისევ იწვა.

- ბოდიში მსიე... წყეული რუსები... ეს ტყუილი აფეთქება იყო. მხოლოდ ხმა, რათა ხალხში შიში დაეთსონ... ინსპექტორი ტანსაცმელს მიფერთხავდა, ხელისგულის ღონიერი ჩამოქნევით - საერთოდ ასაფეთქებელ ყუმბარას შვიდნაირი ხმა აქვს. ჩვენ ყველამ ვიცით, რომელს როგორი... ეს უბრალო სატკაცუნო იყო. აჰა, დივერსანტი უკვე აუყვანიათ.

დავინახეთ, როგორ მოჰყავდა სამ შავოსან პოლიციელს, ცუდად ჩაცმული გაუპარსავი კაცი.

- თუმცა, ალბათ, ამ საბრალომ არაფერი იცის, მას ორიოდ გროში გადაუხადეს და ცრუ საფეთქებლის ხალხმრავალ ადგილას დახეთქება სთხოვეს. შეხედეთ, დაყრუვებულა.

მე არ ვიცოდი, როგორ უნდა შეატყო კაცს, ყრუა თუ არა, თუ არ გამოველაპარაკები, ანდა ერთხანს მანაც თუ არ დააკვირდები, მაგრამ ინსპექტორმა დამამშვიდა:

- ისინი ყველანი ყრუვდებიან... ათიოდ კაცია მთელ თბილისში, ვინც ესენი ააფეთქა... წამობრძანდით, წამობრძანდით. ვინმეს თვალში არ შევეჩხიროთ. აქაც ჯაშუშები ტრიალენ

ბენ... თქვენს ბაგაჟზე იზრუნებენ, – უთხრა მან ჰასტინგსს, რომელიც ჩვენს მატარებელს გასცქეროდა ფეხზე წამოდგომის შემდეგ.

ჩვენ ჩქარი ნაბიჯით შევედით სადგურის დიდ დარბაზში, სადაც ასევე უამრავი ხალხი ირეოდა და მაინც მოისმოდა საგუნდო სიმღერა.

საკმაოდ ახლოს ჩავუარეთ გუნდს, რომელიც, ალბათ, რაღაც საგალობელს მღეროდა.

- აჰ, რკინიგზელთა გუნდია, - თქვა ინსპექტორმა - სუსტია... ორი ჰყავთ კარგი მომღერალი. ყველას კონტრდაზვერვის გუნდი სჯობს...

ჩვენ გამოვედით და გავიარეთ ხმაღამონვდილი საპატიო ყარაულის ორმხრივი მწკრივის შუაში, სადაც ოცდაათი გვარდიულად ჩაცმული ექვსი ფუტის სიმაღლეზე შერჩეული ხმაღამონვდილებული ჯარისკაცი იდგა.

მაშინ არ ვიცოდი, რომ ეს საპატიო ყარაული ჩვენს საპატივცემულოდ გამწკრივებულიყო. ამას ვერც მივხვდებოდით, რადგან მწკრივებს შუა ხელბარგიანი ხალხი თავისუფლად გადიგამოდებოდა. ხმლები გასაოცრად ელავა მზის შუქზე.

მერე ძალიან უცნაურ და მოულოდნელ მანქანაში ჩავსხედით. მანქანა იყო ისეთი, რომ შიგკაცი გაიმართებოდა: შიგ ჩიპენდელის ორი ნამდვილი სავარძელი იდგა.

მანქანა კონტრდაზვერვის უფროსის პირადი საკუთრება ყოფილიყო. ამიტომ, მის უკანა კედელზე, რომელსაც კარი ჰქონდა, მგონი საოჯახო ფოტოები ეკიდა. ამდენი უღვაში არასოდეს მინახავს, ჰასტინგსმა კი თქვა, მეტიც შემხვედრიაო.

კარი გაიღო და იქედან გამოვიდა ოთხი კაცი, რომლებსაც თეთრი სერთუები ეცვათ, ჩანჩული ოქროსფერი სამხრებით. ისინი ცნობილი რესტორნის მმართველს ჰგავდნენ, მაგრამ მე რატომღაც ვიფიქრე, რომ კონტრდაზვერვის ოფიცრები არიან, თუმცაღა, მაინც ოფიციალტები გამოდგნენ, რადგან ინსპექტორის მოკლე ბრძანების შემდეგ კარსიქით გაუჩინარდნენ და მალევე გამოჩნდნენ, ღვინის ბოთლებითა და ხემსით დატვირთული სინებით.

ეს დასაწყისი სასტიკად არ მომეწონა და გუშინ სხვანირად დავიწყე.

მეორე - ბევრი რამ იყო საინტერესო და მოულოდნელი თბილისში ჩვენი ჩასვლისას: ჯერ იყო და ბაქანზე ვილაგებში ავერიეთ და მღვდლებმა წყალი გვაპურეს, იტალიური კომედიის სამოსში გამოწყობილმა მსახიობებმა კი ყვავილები მოგვართვეს და მხოლოდ ამის შემდეგ მოგვარტვეს და მხოლოდ ამის შემდეგ კი, ზედ ბაქანზე ბომბიც აფეთქდა, რომელიც ყალბი გამოდგა და როცა მე და ჰასტინგსი მიწას გავეკარით, გარშემომყოფთ სიცილი დაგვავარეს, რადგანაც თვითონ მშვენივრად

არჩევენ ყალბი და ნამდვილი ყუმბარების ხმას და ნაყინის ლოკვა არც კი შეუწყვეტიათ. მსახიობებისგან შემთხვევით მოძღვნილ ყვავილებს ზღვის გასაოცარი სუნი ასდიოდა, რის გამოც წყალნაპკურებმა ჰასტინგსმა თქვა, ნეტავ ჩემი ნომრის ფანჯარა ზღვის მხარეს გადიოდესო, მგონი, ამ ოცნებისკენ სადგურის თეთრი ფილაქანიც უბიძგებდა, წარმოუდგენლად რბილი და თბილი. მერე გავიარეთ ოცდაოთხმდლიანი საპატიო ყარაული სადგურის მთავარ შესავლელში, რომელიც თურმე ჩვენთვის ყოფილიყო მოწყობილი ადგილობრივი კონტრდაზვერვის მიერ, თუმცა, მწკრივებს შუა თავისუფლად მიმოდებოდა ხელბარგიანი ხალხი. შემდეგ, იქედან საგანგებო მანქანით წამოყვანილნი მზით გაჩახჩახებულ მოედანზე შევესწართ კინოფილმის გადაღებას: სცენაში ასამდე რუხ კოსტუმში გამოწყობილი სტატისტი მონაწილეობდა: როგორც აგვისხნეს, ისინი საგანგებო სამსახურის გადაცემულ მუშაკებს განასახიერებდნენ და რუსთა ჯამუშის დაჭერას ცდილობდნენ, რაც მგონი გამოუვიდათ კიდეც. ჩვენი მანქანა კინალამ გადაღებაში მოჰყვა. თურმე, ჩვეულებრივ, კინოსტუდია დეკორაციებს აშენებს, მაგრამ ამ შემთხვევაში, კაღრში ძეგლი უნდა გამოჩენილიყო და მისი ბუტაფორია ვერ გააკეთეს, რადგან მოქანდაკე გარდაცვლილიყო.

ინსპექტორი მასხულია ისეთი მუშაკი ჩანდა, რომ მისი სმენა ძალიან სასარგებლო იყო. ინგლისური საგანგებოდ, კონტრდაზვერვაში შესვლის შემდეგ ესწავლა. როდესაც შეამჩნია, რომ ჰასტინგს მანქანის სარკმილიდან თვალი მიუბრუნებდა კოხტად ჩაცმული, ქალებისკენ, გვიჩვენა:

- ჩვენს ქვეყანაში კაცს ყოველთვის უნდა გაუღიმოთ, ქალებს კი - არასდროს, ვინაიდან მერე კაცებს ვეღარ გაუღიმებთ.

ჩვენ უნდა გავჩერებულიყავით სასტუმრო ლონდონში, რომელიც, ალბათ, წყნარ ადგილას, მიმაღულად მდებარეობდა, ვინაიდან, ყოველთვის ასეთ ადგილას ვჩერდებით ხოლმე. სინადვილეში, სასტუმრო ქალაქის ერთ-ერთ ფართო და ხალხმრავალ ავენიუზე აღმოჩნდა და კარგა დიდიც გამოდგა. ძველებური შენობა იყო და კარში მთლად იასამნისფერ, მოოქროვილ სამოსში გამოწყობილი პრიალა კოკარდიანი თეთრწვერა შვეიცარი იდგა.

შიგ რომ შევედით, მაღალი კლასი კიდევე უფრო თვალში საცემი შეიქნა, რამაც ჰასტინგსი გაახარა, მაგრამ გაირკვა, რომ სასტუმრო ლონდონი სულაც არ არის სასტუმრო, არამედ აქაური კონტრდაზვერვის ერთ-ერთი შენობაა და სასტუმორს იერი ბუტაფორიულად აქვს. სასტუმროდ მხოლოდ ორი სართული გამოიყენება, ხოლო ზედა ოთხ სართულზე, შენობულად მუშაობს აქაური კონტრდაზვერვა, მაცხოვრებლები კი, ძირითადად ჩვენ ვართ,

ანდა სხვა ჩვენნაირი აგენტები.

სასტუმროს რესტორანი თურმე საღამოობით ყოველთვის სავსეა, თუმცა, ჩვენ იქ საღამოს შესვლა არ გვირჩიეს და მოგვცეს საერთო ნომერი, რამაც ჰასტინგსი ჩამოლრულა, ინსპექტორმა მასხულიამ კი აგვისხნა, რომ ეს ონსპირაციისთვის კეთდება. საწოლი კი განიერი და კარგი ჩანდა, მაგრამ მაინც არ მეგონა, რომ ჰასტინგსთან ერთად წოლა მომიხდებოდა. რას ვიზმადით, ინსტრუქცია ინსტრუქციაა.

მოგვართვეს საუზმე და მასხულიამ, რომელიც იქვე, მეოთხე სართულზე მუშაობდა, დაგვიტოვა ბარათი: საღამოს ცხრა საათზე კაფე "თუთებში" უნდა მივსულიყავით და იქ პირველად უნდა შევხვედროდით ოფიცერს, რომელიც

საქმის არსს გაგვაცნობდა.

საერთოდ, ამ მივლინების მოსურნე არ ვიყავი, მაგრამ ჩვენითანა ხალხის გადაადგილების ამბავს მოგეხსენებათ, ვინცა წყვეტს. ჯგუფი თავიდანვე ორკაციანი იგულისხმებოდა: მე, როგორც მეთაური და ოპერაციის წამყვანი

და ჰასტინგსი, როგორც მკვლევობის ლიცენზიის მქონე მუშაკი.

თბილისში კარგახანს მოვდიოდით, ომის დროს მისი უდიდებულესობის მზვერავების გადაადგილება, იოლი არ არის. მთელი ევროპის გადმოკვეთა ოდნავ შემოვლით მოგვიხდა, მაგრამ სტამბულში ტრანსინდურ ექსპრესს დავაჯექით, რომელმაც ჩვენი ჩამოსვლიდან ოცდახუთ წუთში, გვიხიხიე სამხრეთ აღმოსავლეთით აიღო.

- შეიძლება ქალაქში გავიდეთ? - ჰკითხა ჰასტინგსმა მასხულიას.

- რა თქმა უნდა.. თქვენ რა იარაღი გაქვთ? იარაღი იქონიეთ, თორემ ეს გადაჭარბებულ ინტერესს გამოიწვევს, - თქვა ინსპექტორმა.

- გამოსაჩენ ადგილას?

- არა, - ფერდი გვაჩვენა მასხულიამ - აი, ასე... სადმე რომ ჩამოსხდებით, რომ იგრძნობოდეს, რომ აქ იარაღია.

- რატომ?

- ტრადიცია ასეთი. უიაღარო კაცი შეიძლება ჰომოსექსუალისტი იყოს. არ შემოგხედავენ კარგად. ჩვენთან იარაღის ტარების უფლება ყველას აქვს.

- ომის დროსაც?

- განსაკუთრებით ომის დროს. პრეზიდენტის განაკარგულებით, თხუთმეტი წლიდან ყველას შეუძლია იარაღის ტარება. როგორ აგისხნათ... თუ კაცს სამსახური აქვს, თუ ოჯახს ინახავს, მას იარაღიც აქვს... მოგეხსენებათ, აქ ყოველ საათს შეიძლება ომი დაიწყოს. ჩვენ ჰიტლერს მხარს არ ვუჭერთ, მაგრამ სტალინი ჩვენი პირველი მტერია.

ახლა ესეც არ მომწონს. მგონი, ეს ამბავი არასდროს დამთავრდება.

პარტნიორი „თიზისი ბანკი“



სხალი
შოკოლადი
ლიტერატურა

162 **საბა - 2007**

ავტორი: გიორგი კაკაბაძე
პირველი სუთნელი

163 **კრიტიკა**

ავტორი: ლაშა ბულაძე
ჟანრის მკვლევარობა

167 **კოეზია**

ავტორი: ანდრო ბუაჩიძე

168 **ფესტივალი**

ავტორი: ინგრიდ დეხრავე
ხელის თხოვნა ანუ როგორ
შეიქმნა როტარდამში მოჯახი

174 **კოეზია**

ავტორი: შოთა იათაშვილი

176 **პროზა**

ავტორი: თეა თოფურია
პიტნის კალა

178 **თარგმანი**

ავტორი: ჯოანი პაპინი
ფრანს კაფკას დაბრუნება

180 **რეცენზია**

ავტორი: დავით პაიჭაძე
თბილისური კრიმინალის ადგილი

ავტორი: გელა ოდიკაძე
ლექსების პასიანსი

ავტორი: თომა ამირანაშვილი
კრიტიკოსის არჩევანი

ავტორი: გია არგანაშვილი
აქა ამბავი ქაქუცაძეებისა

184 **ახალი წიგნები**

186 **ახალი ამბავი**

პირველი ხუთნაწილი

ავტორი: გიორგი კაკაბაძე

ყოველწლიური ლიტერატურული კონკურსი მოლოდინით აღსავსე დღე-სასწაულია მწერლებისთვის, მძიმე შრომა ყიურის შემადგენლობისთვის და საინტერესო სამუშაო მასმედიისთვის. თუმცა, საქართველოს მაგალითზე ამას ვერ ვიტყვი, რადგან ლიტერატურისადმი ჩვენი მოსახლეობის ინტერესი საოცრად დაბალია; ეს "საბას" ლიტერატურული კონკურსის რიგით მეხუთე ცერემონიალმაც დაადასტურა. მოვლენას, რომელიც თავისი მნიშვნელობით საქართველოს ნებისმიერ სპორტულ ჩემპიონატს უტოლდება, სულ რამდენიმე წუთიანი სიუჟეტი დაუთმეს ტელეარხებმა და ორიოდე ენაკვიმატი წერილი გაზეთებმა.

როგორც ჩანს, მიზეზი, რის გამოც შეიძლება მაყურებელმა ამ კონკურსის ტრანსლაციას თვალი ადევნოს, არ არსებობს. ასეთი მიზეზი არავითა, მაგრამ უმთავრესი მწერალსა და მკითხველს შორის განწყვეტილი ურთიერთობებია.

ალბათ, უმადური უნდა იყო, რომ "თიბისი"- ბანკის ღვანლი არ დააფასო და არაფერი თქვა იმ თანხებზე, რომელიც კონკურსში გამარჯვებულებს, რაღაც დროით, ღირსეული ცხოვრების საშუალებას მისცემს. მაგრამ თანხები ძირითად ლიტერატურულ პრობლემებს ვერ გადაწყვეტს. ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია ჟან პოლ სარტრის მაგალითი, რომელმაც ნობელის პრემიაზე განაცხადა უარი. 250 ათასი შედეგური კრონი ბევრად მეტი იყო ვიდრე ჩვენი ქართული პრემია, მაგრამ სარტრს გაცილებით დიდი არგუმენტი ჰქონდა, რომ იგი არ აელო.

ობიექტურად რომ ვთქვათ, განა პრემიას შეუძლია ლიტერატურაში მწერლის ადგილის განსაზღვრა? მისი მნიშვნელობის შეფასება? შეიძლება ჩაითვალოს, რომ ვინც წელს ვერ აიღო "საბას" პრემია, მაგრამ შესაძლებელია გაისად აიღოს, წლებადღეს ლაურეატებზე უარესი მწერალია? ან შეიძლება ჩაითვალოს, რომ ნობელიანტები: რომენ როლანი, ანატოლ ფრანსი, ან ელფრიდე ელინეტი გაცილებით დიდი მწერლები არიან ვიდრე ნობელის გარეშე დარჩენილი: ტოლსტოი, რილკე, ჯოისი და სხვები? ნამდვილი პრობლემა პრემიის მიღება ან მიუღებლობა კი არა, ნიჭიერი ლიტერატურის შექმნაა.

საქართველოში წელიწადში ოცამდე რომანი მაინც იწერება და ნაწერს მელანი არ შეშრობია, ისე მიაბრუნებენ ავტორები სტამბაში დასაბეჭდად იმ დროს, როდესაც კარგი რომანი მხოლოდ ასწლეულში ათი-თხუთმეტი თუ გამომჩნდება, ისიც მსოფლიოში. ჩვენთვის ლიტერატურა აღარც არისტოკრატთა თავშესაქცევია, არც სისტემის იდეოლოგია და არც მკითხველთან ურთიერთობის ფორმა. როგორც ჩანს, დღეს ჩვენს საზოგადოებაში მწერლის როლი მხოლოდ გამოცემული ნიგნების რეკორდული რაოდენობით განისაზღვრება. ამიტომაც პერიოდი საბადან-საბამდე ძალიან მნიშვნელოვანია.

არსებობს კიდევ ერთი ფსიქოლოგიური დაბრკოლება: თითქმის ყოველ კონკურსზე გაისმის ერთი და იგივე სახელები და მოჩანს ერთი და იგივე სახეები. შთაბეჭდილება რჩება, თითქოს იქმნება ახალი ოფიციალური ლიტერატურა, ხოლო ეს ავტორები მისი მოციქულები არიან. გამორიცხული არაა, რომ მალე მკითხველმა მათი ტექსტებიც კონკრეტული დოგმების, ქცევის ნორ-

მებისა და მორალის ახალ ინსტრუქციად აღიქვას. მართალია კონკურსზე ერთი საინტერესო ნომინაციაც არსებობს - "ლიტერატურული დებიუტი", რომელმაც ახალბედა ავტორებს გზა უნდა გაუხსნას, მაგრამ სინამდვილეში ამ ნომინაციაში გამარჯვება მხოლოდ იმის დადასტურებაა, რომ წლებადღე-ლი (ან გასული წლის) ყიური ამა თუ იმ ავტორს ენდო და მას სამომავლოდ ლიტერატურული შანსი მისცა. როგორ გამოიყენებენ ამ შანსს, ეს უკვე თავად ამ ავტორების გადასაწყვეტია, ზოგი როგორც ლიტერატორი გაიზრდება და გაცილებით უკეთეს ნაწარმოებს დანერს, ზოგსაც პრემია თავში აუვარდება და მხოლოდ მიღწეული წარმატებით დაკმაყოფილება. მთავარი ისაა, რომ ლიტერატურული დებიუტის ნომინაციას ახალი არტურ რემბოს აღმოჩენა არ შეუძლია და ამას უნდა შეეუბნებოდეთ. საქართველოში ლიტერატურული ფენომენების პოვნა რამდენჯერმე წარუმატებლად დამთავრდა და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან დიდ მწერლად არავინ იზადება, დიდ მწერლებად წლების მანძილზე დაულაღავი ფიქრის, ეჭვის, შემოქმედებითი კრიზისის, შეცდომების, ძიებებისა და ექსპერიმენტების შედეგად ხდებიან.

წლებადღეს "საბაზე" ერთი არაჩვეულებრივი პრეცედენტი მოხდა: დრამატურგიის ნომინაციაში ჯილდო არცერთი ნომინანტისთვის არ გადაუციათ. ეს ყიურის პრინციპული საქციელი გახლდათ და კარგი იქნება, თუ მსგავს შემთხვევებში იგი წესად იქცევა მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგია ქართული ლიტერატურის ყველაზე პრობლემური გვარია და მას განსაკუთრებული ყურადღება და დახმარება სჭირდება. საქმე ისაა, რომ ყველა მწერალი არ იცნობს დრამატურგიის კანონებს და პიესებს შესაბამისი გამოცდილების გარეშე წერს. პიესა მოთხრობისაგან ან ნოველისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, რადგან იგი სცენის კანონებს ემორჩილება. დრამატურგია პირველ რიგში განსაკუთრებულ მოქმედებას, ორიგინალურ მიზანსცენებს, კომპოზიციის გრძობას და ბევრ სხვა ნიუანსს მოითხოვს, აქ ფურცელზე აზროვნება საკმარისი არ გახლავთ. პიესა ძირითადად სცენაზე უნდა იქმნებოდეს; დრამატურგის, რეჟისორისა და მსახიობის საერთო ძალისხმევით. ყოველ შემთხვევაში ასე წერდნენ შექსპირი და მოლიერი და არც თუ ისე ცუდად გამოსდიოდათ. ამიტომ ნურავის ეწყინება, თუ ყიური მის პიესაში მხოლოდ ლიტერატურა დაინახა და არა სამყაროს თეატრალური ხედეა.

რადგან ორიგინალური ტექსტების შექმნა ჯერ-ჯერობით მძიმე ტვირთად დაგვწოლია, მსოფლიო შედეგების თარგმნას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ბაჩანა ბრეგვაძის, ჯემალ აჯიაშვილის, დავით წერეთლის და თამაზ ჩხეკელის ღვანლის დაფასებაც ამის დადასტურებაა, მაგრამ (ეს მაგრამ უკვე გამომცემლებს ეხება), როდესაც ასეთი მთარგმნელები გვყავს, ნუთუ არ შეიძლება მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილება გავიზიაროთ და მათ ჩვენი ქვეყნისთვის აუცილებელი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ავტორების თარგმნა შევუკეთოთ?

მართალია, მწერალსა და მკითხველს შორის შუამავლობა კრიტიკასაც შეეძლო, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ეს ყველაზე მოძულეული და უმადური საქმიანობაა, მწერლებს კრიტიკული წერილები სძულთ, მკითხველებს ნაკითხვა ეზარებათ, გამომცემლები კი მისი დაბეჭდვისაგან ყველანაირად იკავებენ თავს. თუმცა მათი ბეჭდვით ყველაზე მეტად მოგებულნი ისევ გამომცემლები დარჩებოდნენ, რადგან ობიექტური კრიტიკოსი ყოველთვის პატრიარქივითაა, მის ნათქვამ სიტყვას მწერლის წმინდანად შერაცხვა ან ეკლესიიდან განკვეთა შეუძლია.

ამიტომ, თუ მკითხველს ნიჭიერ და გემოვნებიან ლიტერატურას ვერ შევთავაზებთ, თუ დღენიდაგ მათი რიცხვის გაზრდაზე არ ვიფიქრებთ, ნებისმიერი კონკურსი მისი ორგანიზატორებისთვის, მწერლებისთვის, გამომცემლებისთვის, წიგნის მაღაზიების მეპატრონეთათვის და ა.შ... ცარიელ ტრიბუნებზე გამართულ ჩემპიონატს დაემსგავსება, საიდანაც შეგვიძლია ომახიანად შევძახოთ: "პირველი ხუთნაწილის წარმატებით დასრულებას გილოცავთ, ამხანაგებო!"





ქანრის მკვლელობა

ავტორი: ლაშა ბულაძე

ანუ როგორ კითხულობენ კინესახს საქართველოში

წელს მეხუთედ ჩატარდა ლიტერატურულ პრემია „საბას“ კონკურსი. ჟიურიმ, რომელიც ყოველწლიურად იცვლება, გასულ წელს გამოცემული წიგნები განიხილა და გამარჯვებულებიც გამოავლინა. გამარჯვებული, ტრადიციულად, რვა ავტორი უნდა ყოფილიყო, და ერთი კონკურსგარეშე - ქართულ ლიტერატურაში შეტანილი წვლილისათვის, მაგრამ „საბა“, სამწუხაროდ, მხოლოდ შვიდ ავტორს ერგო და არა რვას, ანუ პრემიები მხოლოდ შვიდ ნომინაციაზე გაი-ცა. შესაბამისად, დაიჩაგრა არა მხოლოდ კონკრეტული ავტორი ან რჩეულთა სიაში შესული ავტორთა ჯგუფი, არამედ მთელი ჟანრი - დრამატურგია. ზემოთ მკითხველს შევასხენე, რომ „საბას“ ჟიურის შემადგენლობა ყოველწლიურად იცვლება - წესდება აქვს „საბას“ ასეთი - თუმცა, ლიტერატურულ მსაჯულთა ცვლის მიუხედავად, ქართული დრამატურგიის მიმართ დამოკიდებულება, როგორც წესი, ყოველთვის უარყოფითია.

„საბას“ ჟიურის წევრი ოდესღაც თქვენი მონა-მორჩილიც გახლ-დათ და მას ახსოვს, როგორ ცდილობდა ზოგიერთი მისი კოლეგა ჯერ კიდევ მაშინ, საქართველოში ამ ისედაც უავტორიტეტო ჟანრის ჩანისლვას, საერთოდ ნუ გავცემთ პრემიას პიესებშიო. იგივე გან-

მეორდა მომდევნო, თუ იმის შემდგომ „საბაზეც“, როცა კვლავაც მოინდომეს ქართული პიესების დასჯა და ეს ბრძნული სიტყვები რომ არ ეთქვა ჟიურის ერთ-ერთ წევრს - „რას შერებით, ხალხო, ბანკი 4000 ლარს გვჩუქნის, ჩვენ კი უკან ვუბრუნებთ და საწყალ დრამატურგს არ ვაძლევთო.“ - ქართული დრამატურგია უკვე მა-შინ დარჩებოდა შეფასების გარეშე. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ქართული დრამატურგია „საბაზე“ ოთხჯერ გადაურჩა სიკვდილს, წელს კი, მეხუთედ, სამწუხაროდ, ვეღარ. საინტერესოა ისიც, რომ ამგვარი დამოკიდებულება ჟიურის წევრებს სხვა ჟანრების მიმართ არასდროს უჩნდებათ - წარმოუდგენელია, რომ მსაჯულთა შეი-დეულმა ოდესმე ასეთი სისასტიკე გამოიჩინოს პოეზიის, ან, ვთქვათ, პროზაული კრებულის (ანუ მოთხრობების) ნომინაციის განხილვი-სას. დარწმუნებული ვარ, რაც არ უნდა საშინლად გამოიყურებოდეს პოეტური ნომინაცია, ვერცერთი ჟიურის წევრი ვერ გაბედავს და ვერ იტყვის, მოდი, წელს პოეტებს ჯილდო არ მივცეთო, - უარესი-დან ცუდს ამოარჩევენ და იმას მისცემენ, და ეს მოხდება მხოლოდ იმიტომ, რომ პოეზია ავტორიტეტული ჟანრია საქართველოში, დრა-მატურგია კი არა, უავტორიტეტოა!

ნუთუ მართლაც ასეთი უნიჭო ტექსტები იქმნება საქართველო-ში სცენისათვის, რომ ყველაზე უნიჭო პოეტები, მემოთხრობეები, რომანისტები და ესეისტებიც კი მათ სჯობიან! ნუთუ მართლაც ასეთი დიდი სხვაობაა ცუდ ქართულ პიესასა და ცუდ ქართულ ლე-

ქს სორის, რაკი ცუდი ქართული პიესის გამო მთლიანად ჟანრი იწარგება, ხოლო ცუდი ქართული ლექსი მხოლოდ მისი ავტორის პრობლემად რჩება. გულწრფელად ვერ გამიგია, როგორ შეიძლება, რომ ასეთი მომთხოვნი და სასტიკი იყო ერთი ჟანრის მიმართ, სხვა ჟანრების დასჯა კი - თუკი მაინც და მაინც ვინმეს ან რამის დასჯა გაქვს გადანყვეტილი - აზრადაც არ მოგდიოდეს! განა შესაძლებელია ცალმხრივად, ან ნაწილობრივ ობიექტურობა. თავს უფლებას მივცემ და ეჭვს გამოვთქვამ, მწერლებს - ნუგზარ შატაიძეს, ირაკლი სამსონაძეს, ან გურამ ბათიაშვილს შეფასების გარეშე არავითარ შემთხვევაში არ დატოვებდნენ, ეს ავტორები თავთავიანთი მოთხრობებით, რომანებით, ლექსებით ან პუბლიცისტური სტატიებით რომ ყოფილიყვნენ „საბაზე“ წარდგენილები - მათი დანაშაული ტექსტიდან პერსონაჟის სახელის მსხვილი ასოებით გამოცალკევება, ვრცელი აღწერილობების ნაცვლად მოკლე რემარკების დანერა და ნაწარმოების არა წერტილით, არამედ სიტყვა „ფარდით“ დასრულება. როცა ნუგზარ შატაიძის, ან ირაკლი სამსონაძის მოთხრობებს ვკითხულობთ, ასეთი ბრაზიანები აღარ ვართ, პირიქით, დაუფარავად გამოვთქვამთ მათ მიმართ აღტაცებას, მაგრამ, თუკი იმავე ავტორებმა გაბედეს და პიესებიც შემოგვკადრეს, ნურას უკაცრავად, იმისთანა პრინციპულობას გამოვიჩინოთ, მთებს შევაზანზარებთ. ნუთუ, ასე შესაძლებელია იცვლება ამ ავტორთა წერის სტილი თეატრისათვის განკუთვნილ ტექსტებში. რასაკვირველია, არა. მწერალი ნუგზარ შატაიძე პიესებშიც მწერალ ნუგზარ შატაიძედ რჩება და, ვფიქრობ, მისი დრამატურგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელიც სწორედ ესაა. იგივეს თქმა შეიძლება სხვა ავტორებზეც. აქედან გამომდინარე, თუკი მოგვწონს ამა თუ იმ მწერლის ენა და სტილი, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, როგორ შეიძლება ის მოგვწონდეს მხოლოდ ნაწილობრივ, ჟანრების მიხედვით.

შესაძლებელია, არ მოგვწონოს კონკრეტული ავტორის კონკრეტული ტექსტი და ერთი ტექსტი მეორე ტექსტზე უარესად ან უკეთესად მიგვაჩნდეს, მაგრამ როცა განსაკუთრებულ აგრესიას და, ვიმეორებ, ვითომდა ობიექტურობას კრიტიკოსები მაინც და მაინც ერთი ჟანრის მიმართ იჩენენ, ძალაუფლებურად გიჩნდება შეკითხვა: ამოჩემებული გაქვთ, ბატონებო, ეს ქართული დრამატურგია. ეროვნული დრამატურგია ქართულ ლიტერატურულ ოჯახს მიტმასნილი გერია, თუ უპატრონო მანანაა, რომლის აორთქლების შემთხვევაშიც კაცისფილი არ მოიკითხავს მის ასავალ-დასავალს. ჩემი აზრით, ქართული დრამატურგიისადმი ა პრიორი ცუდი დამოკიდებულება მხოლოდ უხეიროდ დაწერილი ქართული პიესების ბრალი არ უნდა იყოს, აქ, როგორც ჩანს, ბევრად უფრო შავად არის საქმე, ვიდრე გვგონია: უბრალოდ, პიესების კითხვა გვეზარება, ან, უფრო უარესი, არ ვიცით, როგორ წავიკითხოთ ისინი - პიესების კითხვის ტრადიცია საქართველოში ხომ არასდროს ყოფილა! თუმცა, ამის მაგივრად, ტრადიციად იქცა სტერეოტიპი - რომ ქართული პიესა ნებისმიერ შემთხვევაში უვარგისია! ვალიარებ, ძნელია ებრძოლო ამ სტერეოტიპს, როცა რეალურად ქართული დრამატურგია ორად ორ ავტორზე, დავით კლდიაშვილზე და პოლიკარპე კაკაბაძეზე დგას, მიუხედავად იმისა, რომ ისეთ ოსტატთა მიერ, როგორებიც რაფიელ ერისთავი, აკაკი წერეთელი, ავქსენტი ცაგარელი და „თბილისელი მოლიერი“ გაბრიელ სუნდუკიანცია, საქართველოში მანამდეც იწერებოდა შესანიშნავი, დღეს უკვე კულტად ქცეული პიესები („ხანუმა“, „ჯერ დაიხოცნენ და მერე იქორწინეს“, „პეპო“ და ა.შ.), მაგრამ უკვე შემდეგ, მეოცე საუკუნეში, კომუნისტურმა იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულმა პათოსმა თითქმის მთლიანად შთანთქა ქართული დრამატურგია და რომ არა პოლიკარპე კაკაბაძე თავისი

შედეგით „ყვარყვარე თუთაბერი“, სიტყვების „ეროვნული დრამატურგიის“ ხსენებაზე ქართველ მაყურებელს მხოლოდ მკვდარი ენა, ყალბი პერსონაჟები, ყურით მოთრეული უინტერესო სიუჟეტები და გულისამრევი პათეტიკა გაახსენდებოდა.

ქართული დრამატურგია, ჩემი აზრით, საინტერესო მხოლოდ მეოცე საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში გახდა. თამაზ ქილაძის, ლაშა თაბუკაშვილის, გურამ ბათიაშვილის, ლალი როსე-ბას, შადიმან შამანაძისა და ირაკლი სამსონაძის პიესებმა, ვფიქრობ, შეძლეს და ნაწილობრივ მაინც აღუდგინეს ქართველ დრამატურგს ავტორიტეტი. თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოში მაინც ბევრად უფრო მეტი უნიჭო პიესა იწერებოდა, ვიდრე ნიჭიერი, შესაბამისად, სტერეოტიპიც უვარგისი ქართული დრამატურგიის შესახებ დღემდე მყარია და ქართველი რეჟისორების დიდი ნაწილიც, რომლებიც ქართულ პიესების დადგმას აპირებენ, პიესის სათაურის წაკითხვისთანავე იღებენ გადანყვეტილებას, რომ ამ ტექსტის არა მხოლოდ დადგმა, არამედ სიუჟეტის შეცვლა, სცენების ამოღება ან ჩატენვა, პერსონაჟთა დამატება ან, პირიქით, შეკვეცა და გამართვაა საჭირო. ასე რომ, ზემოთ ტყუილად არ მითქვამს ქართული დრამატურგიისადმი სკეპტიკურ-უარყოფითი დამოკიდებულება ტრადიციად იქცა-მეთქი, სტერეოტიპს, რომელსაც პირობითად „ქართველი დრამატურგები უნიჭოები არიან“ ჰქვია, ისე ღრმად აქვს ზოგიერთი მკითხველის გონებაში ფესვები გადგმული, რომ უკვე ვეჭვობ, ქართველად რომ დაბადებულიყო შექსპირიც კი და რომელიმე მათგანისთვის თავისი ახლად დაწერილი პიესა მიეცა წასაკითხად, მაინც დაიჭყანებოდნენ და იტყოდნენ: აჰ, თუკი თქვენც ქართველი დრამატურგი ბრძანდებით, ნუ, ესე იგი, აუცილებლად რალაც იდიოტობა გექნებათ დაწერილიო.

ვფიქრობ, ნიშანდობლივია, რომ იმ სივრცეში, სადაც გასაგებ მიზეზთა გამო ქართულ დრამატურგიაზე მოიჩინეს წყევლასავით ადევნებული, ტრადიციად ქცეული სტერეოტიპების შესახებ არაფერი სმენიათ და სადაც მხოლოდ გემოვნებაა ის ძირითადი ფაქტორი, რის გამოც შეიძლება მოიწონონ ან დაიწუნონ ესა თუ ის პიესა, ტექსტებს, რომელთაც აქ ასე ზერელედ ეპყრობიან, იქ კითხულობენ, წარმატებით დგამენ და აჯილდოვებენ კიდეც, და როცა ერთსა და იმავე პიესას საქართველოს საზღვრებს მიღმა ასეთი პასუხისმგებლობითა და ინტერესით ეკიდებიან და აქ კი საერთოდ არც აღიარებენ პიესად, შეუძლებელია არ გაგახსენდეს ცნობილი ანდაზა შინაური მღვდლის შესახებ და არ გაგახსენდნენ თავად ქართველი სნობებიც, რომელთა აზრითაც, ალბათ, ქართული დრამატურგია არა საკმარისად აღიარებულია უცხოეთში და, აქედან გამომდინარე, სათანადო „სვეტცკობა“ აკლია. თუმცა, ბოლო-ბოლო, სნობიზმი სულაც არ არის დიდი ტრაგედია, სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ჩვენგან განსხვავებით სრულიად სხვაგვარად ესმით სიტყვა „პასუხისმგებლობის“ მნიშვნელობა ევროპულ ან თუნდაც თითქოსდა ჩვენთვის კარგად ცნობილ რუსულ თეატრში. მოსკოვის ერთ-ერთ ახალგაზრდულ თეატრში პირადად ჩემზე არა იმდენად ინტერპრეტაციამ, რამდენადაც, პირველ რიგში, პიესის ტექსტის მიმართ რეჟისორთა და მსახიობთა ინტერესმა და ყურადღებამ მოახდინა შთაბეჭდილება. დრამატურგის თითოეულ სიტყვას, რაიმენაირ მითითებას თუ სასვენ ნიშანს ისე დაუღალავად და ენერგიულად აანალიზებდნენ, რომ უნებურად უხურხულადაც კი ვიგძენნი თავი. ამ დროს, რა არის ამაში უცნაური და არაჩვეულებრივი. მაგრამ გაგიკვირდება, აბა რა, როცა გაგახსენდება რომელიმე რიგითი ქართველი რეჟისორი, ან თუნდაც ოდინდელი მაცესტრო, რომლისთვისაც პიესის ტექსტი მხოლოდ დანაღმული ველია, დრამატურგი კი - პოტენციური მტერი,

რომლის ნახელავის დადგმაც მხოლოდ მისი დაშლით, დახერხვით, პლასტიკური ოპერაციებითა და ათასნაირი საჭირო თუ არასაჭირო ფოკუსებითაა შესაძლებელი.

ქართველ რეჟისორთა უმეტესობა - ორიოდ კაცის გამოკლებით, ალბათ, - პიესის ტექსტს კი არ ხსნის, არამედ კონფლიქტი აქვს მასთან, და რაც უფრო სასტიკი, სისხლიანი და მასშტაბურია ეს კონფლიქტი, მით უფრო კმაყოფილია რეჟისორიც. ასეთებს, ინტერპრეტაცია სიუჟეტის შეცვლაც ჰგონიათ, რადგან მათთვის პიესის ტექსტი მხოლოდ ბალასტია, რომელიც მათსავე ფსევდო-ფილოსოფიურ-პანტომიმურ იდეებს უნდა მოუერგოს (არც კი მეგონა, თუ ოდესმე წყვილად ვიხმარდი ამ სიტყვებს, მაგრამ ამნაირი სპექტაკლები მართლაც საკმაოდ მოხშირდა საქართველოში: რეჟისორი ფილოსოფოსობს, მსახიობები კი ცეკვავენ! უკვე მგონია, რომ ქართველ რეჟისორებს სადღაც, რომელიღაც საკურთხეველთან ფიციც კი აქვთ ნათქვამი: „არც ერთი სპექტაკლი ცეკვის, ბოლის და ფურცლების გადმოყრის გარეშე!“). კლასიკური თუ არაკლასიკური პიესების ტექსტებს ყოველგვარი დაფიქრების გარეშე ცვლიან და აბსოლუტურად დარწმუნებულები არიან საკუთარი გადანყვეტილებების სისწორეში. რამდენჯერ გამიგონია ასეთი უტიფრული ფრაზა ზოგიერთი თავკერძასაგან: „ხელახლა გადავწერე, რა. რეპეტიციებზე პახოდუ ვყრიდი სცენებს და ახლებს ვუმატებდი!“ მე ისეთი მსახიობებიც მინახავს, ამყად რომ ჩაულაპარაკებიათ, მთელი პიესა არც წამიკითხავს, მარტო ჩემი სათქმელი სიტყვები წავიკითხეო, რა აზრი აქვს თავიდან ბოლომდე წაკითხვას, თუკი რეჟისორი მაინც ყველაფერს შეცვლისო.

ამისთანა ვანდალიზმს კლასიკოსი კი გაუძლებს, მაგრამ იმ ავტორმა რაღა ჰქნას, რომლის პიესასაც მაყურებელი სწორედ სპექტაკლის სახით ეცნობა პირველად - განა იმ ყველაფერზე, რაც რეჟისორმა ჩაუმატა ან მოუკლო, მას არ მოუწევს პასუხის გაცემა?! არიან კი დღეს ისეთი ცნობისმოყვარე მაყურებლები, რომელნიც სპექტაკლის ნახვისთანავე წიგნის მალაზიებს მიაშურებენ, იმავე ავტორის იმავე პიესას შეიძენენ და ტექსტს თეატრში ნანახს შეადარებენ. კი აბა, თან გადაგყვებიან! თუკი რეჟისორის მიერ მიწებ-მოწებებულ პიესა-ფრანკენშტაინს არ მოიწონებენ, უმალ ისევე დრამატურგს გალანძღვენ საქართველოში და არა რეჟისორს, გაადაარჩინა პიესა, უფრო უარესი იყოო. კლასიკოსს კი რა დაუშავდება. არც არაფერი. რაც არ უნდა შეცვალათ სიუჟეტი „ოტელოში“ და მთავარ გმირს სულ ერთი-მეორეს მიყოლებით რომ დაეახრჩობინოთ კასიო, იაგო და ემილია, მაყურებელს მაინც ემახსოვრება, რომ სინამდვილეში ეჭვიანმა მავრმა სათნო დეზდემონა გაიმეტა სასიკვდილოდ და არა ზემოთ ჩამოთვლილი პერსონაჟები. როგორც არ უნდა გაჯიუტდეს „ჰამლეტის“ დამდგმელი, ცნობილ სიტყვებს პიესის მთავარ გმირს არაფრით ვათქმევინებო, დარბაზში მჯდომი თუნდაც ერთი წიგნიერი მაყურებლის მესხიერებაში დანიის უფლისწული მაინც ჩაიკითხავს „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგს და რამდენიც არ უნდა ახრჩოს ოფელია ჰამლეტმა ან რა სინშირითაც არ უნდა აფეხმძიმოს ოტელომ ემილია ან თუნდაც იაგო, შექსპირს ამ ოინბაზობებით მაინც ვერაფერს დავაკლებთ, რადგან მისი სიუჟეტები უკვე კარგა ხანია არქტიპებადაა ქცეული. მაგრამ სრულიად განსხვავებული პასუხისმგებლობა და ყურადღება გვმართებს, როცა ახალი პიესა პირველად ისხამს



ხორცს სცენაზე, - კარგი იქნება, თუკი ასეთ დროს მაინც გავიხსენებთ, რომ ინტერპრეტაცია სულაც არ ნიშნავს პიესის დასახიჩრებას. თუმცა, რეჟისორებს, მსახიობებს და მითუმეტეს, მაყურებელს რა უნდა მოთხოვო, როცა დრამატურგის ნახელავს თეატრალური კრიტიკოსებიც კი, არა ტექსტის, არამედ სპექტაკლის მიხედვით განიხილავენ. საქართველოში პიესების კითხვა თეატრალურ სამყაროში მოღვაწე პროფესორებსაც რომ ეზარებათ, ამაში სულ ცოტა ხნის წინ, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დრამატურგის, „აბსურდის თეატრის მამის“, ეჟენ იონესკოს „მელოტი მომღერალი ქალის“ პრემიერის შემდეგაც დავრწმუნდი. მსცოვანმა თეატრალმა, რომელიც, როგორც იქვე გაირკვა, სტუდენტებსაც კი უკითხავს ლექციებს თეატრის შესახებ, ჯერ ასე უცნაურად მიულოცა ერთ-ერთ მსახიობს: რას იზამ, შენ კი კაი იყავი, მაგრამ პიესაა ცუდიო, მერე კი აქეთ გამოგვხედა და ყველას გასაგონად იკითხა: პიესის ავტორი ვინააო. ნეტავ, რომელ თეატრზე ან რა თეატრზე უკითხავს ეს ქალი ლექციებს სტუდენტებს. ან იქნებ თვლის, რომ დრამატურგია სულაც არ არის თეატრი. მაგრამ თუკი დრამატურგიას არც ლიტერატურის ნაწილად მოიაზრებენ ზოგ-ზოგიერთები?! თუ უცხოური პიესა, რაკი ის უცხოურია, ითვლება დრამატურგიად და ლიტერატურად (მერე რა, თუკი მას იონესკოს გენიალური ქმნილება არ მოეწონა!), ქართული კი, რაკი ის ქართულია - არა. თუმცა, მიუხედავად ამ ინტელექტუალური, სნობური, თუ საგემოვნებო სკეპტიციზმისა, ერთგვარ პარადოქსთანაც გვაქვს საქმე: ქართული პიესები ხშირად და აქტიურად იდგმება საქართველოს თეატრების სცენებზე, - რეჟისორები ჩეხავენ, ჭრიან, ასხვავებენ, მაგრამ მაინც დგამენ, და სწორედ ესაა გასაკვირი! მუდმივად იმას გაიძახიან, რომ ქართული დრამატურგია არ არსებობს და კარგი ქართული პიესის მოლოდინში არიან, თეატრები კი, ამის პარალელურად, ქართული პიესებითაა გადავსებული, და თუკი აქვე ბოლოდროინდელ სტატისტიკასაც მოვიშველიებთ, დავრწმუნდებით, რომ ყველაზე მეტი მაყურებელი სწორედ თანამედროვე ქართულ პიესებსა ჰყავთ.

გახსოვთ, ალბათ, ლაშა თაბუკაშვილის „მერე რა, რომ სველია სველი იასამანის“ ანშლაგები რუსთაველის თეატრში, აკა მორჩილას „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ ახმეტელში, ირაკლი სოლომონაშვილის „რა-დოო!“, დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“ „თავისუფალ თეატრში“ და ა.შ. მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა ჩვენ ეს პიესები და ვართ თუ არა კმაყოფილები ამ პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლების მხატვრული ხარისხით, ფაქტი ფაქტად რჩება - მაყურებელი მეტწილად სოციალურ ტექსტებს ანიჭებს უპირატესობას. და ეს მხოლოდ ქართული მოვლენა არ გახლავთ - ევროპულ წამყვან თეატრებშიც მხოლოდ ოთხმოცი პროცენტი უკავია კლასიკას, დანარჩენი კი თანამედროვე დრამატურგიაა. თუმცა, ამით სულაც არ მინდა იმის თქმა, რომ მაინცდამაინც მაყურებელი უნდა ჰკარნახობდეს დრამატურგსა და რეჟისორს, როგორი პიესები წერონ და როგორი სპექტაკლები დადგან. ესთეტიკურ ნორმებს შემოქმედი აყალიბებს და არა მაყურებელი - „დაკვეთა“ არ უნდა მოდიოდეს დარბაზიდან. ამ ილუზიით უკვე საკმარისად მოიტყუეს თავი ქართველმა თეატრალებმა და ამიტომაც დაემსგავსა ქართული სპექტაკლების დიდი ნაწილი საესტრადო კონცერტებსა და შოუებს. მე ასევე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ თეატრი რაიმენაირი სახის ტაძარია, ან ინტელექტუალთა კლუბი (თუმცა, შესაძლოა, ასეთი თეატრიც საინტერესო იყოს), მაგრამ იუმორსა და გაართობასაც ხომ აქვს თავისი ხარისხი! ქართული თეატრის აშკარა და ღრმა მსოფლმხედველური თუ ფორმისეული კრიზისის მიზეზების შესახებ ჩვენ აქ არ ვისაუბრებთ, უბრალოდ, სამწუხაროა, რომ ასეთი შთამბეჭ-

დავი სხვაობა ჩვენს თეატრალურ პროცესებსა და თუნდაც მხოლოდ ევროპულ თეატრალურ პროცესებს შორის. ცა და დედამიწა, როგორც იტყვიან. თუმცა, კრიზისის ერთ-ერთ შესაძლო მიზეზზე მაინც შევჩერდები და ამჯერადაც ისევ თეატრალების, საუკეთესო შემთხვევაში, არაცნობისმოყვარეობაზე, უარესში კი, გაუნათლებლობაზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. ბოლო ათი წლის განმავლობაში თბილისის თეატრებში უცხოელი დრამატურგების მხოლოდ სამი თუ ოთხი პიესაა დადგმული. როცა ამ უცნაური მოვლენის მიზეზს ვეკითხები ზოგიერთ ქართველ რეჟისორს, კიდევ უფრო უცნაურ პასუხს ვიგებ მათგან: „არ არი და!“ ანუ, აქ იგულისხმება, რომ რეჟისორმა არ იცის, სად და როგორ მოიძიოს თანამედროვე უცხოური პიესა! ან, სავარაუდოდ, არცერთხელ არ შესულა წიგნის მაღაზიაში (ინტერნეტში შესვლაზე აღარაფერს ვამბობ!), ან, უბრალოდ, კითხვა ეზარება. რა საჭიროა კითხვა. ნავა, ნახავს რომელიმე ადგილობრივი ცოცხალი კლასიკოსის სპექტაკლს, პიესის შინაარსს სპექტაკლიდან შეიტყობს, თუკი სპექტაკლი მოეწონება, პიესასაც მოიპოვებს, კლასიკოსზე უკეთესად დავდგამო, იტყვის, მართლაც დადგამს და კლასიკოსზე უკეთესად ვერა, მაგრამ კლასიკოსის სპექტაკლს კი ნამდვილად მიამგვანებს. უკვე სამ წელიწადზე მეტია, რაც ორი შესანიშნავი წიგნი დაიბეჭდა, სადაც ოცამდე თანამედროვე ამერიკული, ფრანგული, გერმანული და რუსული პიესის ქართული თარგმანებია დაბეჭდილი, მაგრამ ჯერჯერობით მათგან არც ერთი არ დადგმულა ჩვენს თეატრებში. დადგმას რას ვჩივი, ალბათ, ნაკითხულიც კი არ ექნებათ. ამ დროს, ამ ტექსტების მიღმა ხომ ის თეატრალური ტენდენციები იკვეთება, რომელიც დღეს ამა თუ იმ თეატრალურ, სახელოვნებო თუ ზოგადად სოციალურ სივრცეშია აქტუალური. არც კი ვიცი, როგორ აიხსნება ეს, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატური გულგრილობა.

პიესებისადმი უცნაური და ველური დამოკიდებულების შესახებ კიდევ ბევრი რამის დანერა შეიძლება, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ამ მცირე სტატიით დავკმაყოფილდები.

მკითხველს ბოდიშს ვუხდით, ალბათ, აშკარად შესამჩნევი პროფესიული ტენდენციურობისათვის, ხოლო „საბას“ წლევედელ ჟიურისა და „თიბისი ბანკს“ კი გულწრფელ მადლობას, რადგან როგორც პრემირებული რომანის ავტორს, წესით მხოლოდ მადლობის თქმა უნდა მიმჩნედეს საჭიროდ.

„საბას“ მომავალ ჟიურის კი, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მინდა ვთხოვო, მეტი პასუხისმგებლობითა და ნაკლები ინფანტილიზმით მოეკიდონ საქართველოში მრავალგზის ჩაგრულ დრამატურგიას და ნუ იქნებიან ქართველი ჩეხოვებისა და ბეკეტების მოლოდინში, ვინაინად არანაირი გარანტია არ არსებობს იმისათვის, რომ ასეთები კვლავაც გამოჩნდნენ - არც „ბუკერია“ დარწმუნებული, რომ ყოველ წელს ჯულიან ბარნსს ან სალმან რუსდის დააჯილდოებს და არც „ნობელი“ აუქმებს ლიტერატურულ ნომინაციას, რაკი მორის მეტერლინიკი და თომას მანი აღარ არიან ცოცხლები - ლიტერატურული პრემია ლიტერატურული პოლიტიკაც გახლავთ და ჩვენს შემთხვევაში, როდესაც ისედაც მცირეა ლიტერატურის გავლენა საზოგადოებაზე, ჟანრის არალიარება მხოლოდ კონკრეტული პიესების დანუნებას კი არა, არამედ ზოგადად მის მოკვლასაც ნიშნავს. მოკლულთა აჩრდილებს კი, მოგეხსენებათ, შურისძიებაც სჩვევიათ!

ავტორი: ანდრო ბუაჩიძე

ქალაქბარეთ

რატომ მოვხვდით მე და შენ ამ ქვეყანაზე, სადაც არსებობს რეგალიები და წოდებები, სადაც არსებობს მკვლევარები და რატომ კლავენ არ იციან, სადაც იცვლება ხშირად ტაროსი და სულ უაზროდ ლიმნისფერი მზე ანათებს ამ ქედებს უკან. ცივი ქარია, ალბათ მოთოვა ტყეებს მიღმა, ჩვენ მივაბიჯებთ ნელა და ცივი: უკვე ცხოვრების საკმარისი გზა გავიარეთ და კვლავ მივდივართ. ცარიელია ტრასა. შენ ამბობ: კარგია, რომ აქ იცხოვროს კაცმა, - მზიან ტრასასთან აქვე სულ ახლოს ლისის ტბა არის, მალე ავტობუსის გარაჟები აღარ იქნება, და მათ ნაცვლად აქ იპოდრომს გააშენებენ.

ქალაქბარეთ, ნუცუბიძის პლატოს იქით ჩვენ მივაბიჯებთ ნელი ნაბიჯით. შენ იხდი კურტკას და მხრებზე ისხამ, და მერე უკვე არაფერზე აღარ ვსაუბრობთ, ნელა მივდივართ მზიან ტრასაზე. ეს პირველი მზიანი დღეა მარტის თვეში. საიდან მოვხვდი აქ, სადაც ქვაფენილზე ორმოები და მარცხნივ კი ტრიალ მინდორზე ლტოლვილების კორპუსია, სარეცხი კიდეა აივნებზე და ბავშვი ტირის ზედა სართულზე. შორიახლოს კი ჩვენს წინ და თან მარცხენა მხარეს მოჩანს ის — ე.წ. “ბავშვთა სოფელი” და თეთრი სახლი — ჩემი შვილების საბავშვო ბაღი. მე იქ მივდივარ პატარების გამოსაყვანად, შენ კი მომყვები. ჩვენც ხომ ჩვენი წარსულიდან გამოვეშურეთ და უკანვე ველარ დავბრუნდით. დიღმის მასივი მივატოვეთ და გავიფანტეთ სხვადასხვა მხარეს. კლასელები ვართ. კიდევ ერთხელ შევხვდით ერთმანეთს. ცხოვრების გზები კიდევ ერთხელ გადაიკვეთა. როგორც ღამეში შუქნიშნები კვეთენ მოედნებს და მიიწევენ სახლებისკენ. ჩვენ უკვე გავცდით ლტოლვილთა კორპუსს. აქ ჭალა და ჯუჯა ნაძვები, და წყალი დაგუბებული. გზისპირას ვდგავართ ორივენი და გადავყურებთ: მიტოვებული საძირკველია, ქვის სალტეებში მწვანე წყალი დგას. წყალში ცა მოჩანს მოწმენდილი და ცარიელი, ხიმინჯებია, მიგდებული მშენებლობის მიუსაფრობა, მზე და სიცივე და მივაბიჯებთ



მზიან ტრასაზე, საიდან მოვხვდით აქ არ ვიცით, სადაც იმედებია ღრუბლებივით განოლილი ქედების მიღმა, სადაც ვეძებდით ბევრ რამეს და ვერ კი ვიპოვეთ და ახლა უკვე შუახნისანი მივაბიჯებთ, რადგან ცხოვრება სიარულია, შენ ყოფილი ფეხბურთელი ხარ, მე კი ისევ იმ ერთ წერტილს მივჩერებივარ. ახლოვდება ე.წ. “ბავშვთა სოფელი”, და აგურის წითელ სახლში სინყნარეა, თეთრ სახლში კი ჩემი შვილები მელოდებიან და აშენებენ კუბიკებისგან ახალ ცხოვრებას.

ოთახი

როგორ იბუდებს ამ ბინაში სიცარიელე, რაც შენ დატოვე სამუდამოდ ეს ოთახები და დღის სინათლე იატაკზე როცა იელვებს, სხვა რამეს ამბობს, ამ სივრციდან რაც შენ გახვედი სიჩუმეს იკრებს ყველა ნივთი — ბზა თუ რვეული, მარადისობა თითქოს ინყოფს თავის საბუდარს მთრთოლვარე ხელით, და არ უნდა რომ ჭირვეული იყოს, ამიტომ ჭკვიანურად ქსოვს აბლაბუდას. და ეს ოდნავი აბლაბუდა თითქოს მუდმივად ითრევს ამ ოთახს და ედება სხვა ოთახებსაც და მთელი ბინა დაიკავა უკვე უწილმა; არ შეიძლება რომ ის იყოს სადმე ნახევრად.



ხელის თხოვნა ანუ როგორ შექმნა როტერდამში პოეზიამ ოჯახი

ავტორი: ინგრიდ ლხრავე

ფოტო: ტინაქა და ლანბა, პიტარ პანდარეიერი

ყოველი წელს, ზაფხულობით, ნიდერლანდური ქალაქი როტერდამი, ევროპის პოეზიის დედაქალაქად იქცევა ხოლმე. ეს მას შემდეგ, რაც 1970 წელს ფესტივალი “Poetry International Rotterdam” დაარსდა და მალევე, ევროპის ერთ-ერთ ყველაზე დიდ და პრესტიჟულ პოეზიის ფესტივალად იქცა. 38-ე ფესტივალზე, პირველად ქართველი პოეტებიც მიიწვიეს. წერილში ნაიკითხავთ, როგორ ჩავიდნენ მაია სარიშვილი, შოთა იათაშვილი, რატი ამალღობელი და მათი ბელგიელი, თბილისში მცხოვრები მთარგმნელი, ინგრიდ დებრავე, ნიდერლანდებში და როგორ ჩატარდა როტერდამის საერთაშორისო პოეზიის ფესტივალი ოცდამეთვრამეტეჯერ.

მაინც და მაინც წასვლის ღამეს, პირველი საზაფხულო ბუზი ჩემს ბინაში შემოფრინდა, დავსდევ, მინდა გავაგდო, მაგრამ გარეთ გაფრენას არ აპირებს. მე კი მეცოდება, წარმოვიდგინე, დავბრუნდები და მისი ხმელი გვამი დამხვდება. უცნაურია, წასვლამდე რამდენიმე წუთი მრჩება და ამ ბოლო წუთებსაც ბუზის გადარჩენას ვახმარ. საბედნიეროდ. შოთა შეთანხმებულ დროს მობილურზე მირეკავს: “გამოდი.” ბუზიც სწორ გზაზე გავუშვი და აღარაფერი მამბრკოლებს ნიდერლანდებში გასამგზავრებლად.

თბილისსა და ამსტერდამს შორის რამდენჯერ ვიფრინე, არც კი მახსოვს. ყოველ ფრენას კი განსაკუთრებული საბაბი აქვს. საბაბი შეიძლება იყოს – ნიდერლანდური ენისა და კულტურის კონფერენცია, ჩემი დისა ან ძმისშვილის დაბადების დღე, აუცილებელი სამედიცინო კვლევა, დასვენების საჭიროება, გამოფენა, ერლომ ახვლედიანის წიგნების ნიდერლანდური თარგმანის პრეზენტაცია, და ასე შემდეგ.

ამჟამად კი, ბალახისფერი ჩემოდნით, მარკით “სემსონაიტ”, აიბუქით, ხელჩანთით და სამი ქართველი პოეტით ნიდერლანდებში მივემგზავრები. ჩვენი ფრენის დღესვე, როტერდამის საერთაშორისო პოეზიის ფესტივალი 38-ჯერ იხსნება. ჩვენ საპატიო სტუმრებად ვარ დაპატივებული.

ტაქსში მძლოლის გარდა, რატი ამალღობელი, მაია სარიშვილი და შოთა იათაშვილი მელოდებიან. ღამის 3 საათზე — კაცების შენუხება მინევის. ჩემი ეზოს ჭიშკრის ბოქლომს ვებრძვი. ივლისში რვა წელი გახდება, რაც საქართველოში ვცხოვრობ, მაგრამ საბჭოთა ნივთების ხმარება ჯერ კიდევ ვერ ვისწავლე. არადა, ჭიშკარი ღია რომ დავტოვო, და ქურდებს მეზობლების მანქანე-

ბის მოპარვა გავუადვილო, გამორიცხულია. ადამიანი ჯიპის გარეშე, ადამიანად ხომ არ ითვლება?! საბედნიეროდ შოთა ფარანით მეხმარება, რატი კი – შერჩენილი საბჭოთა სიბრძნით.

აეროპორტში ვჩქარობთ. ტაქსში ბავშვური სიხარული იგრძნობა. რაც დრო გადის, თბილისის დატოვებისას ყოველთვის მელანქოლია მიმდარდება ხოლმე. დღეს კი ეს განცდა ჩვენს მიზანს დაემთხვა: წელს როტერდამის ფესტივალი სწორედ იმ მელანქოლიასა და სიგიჟეს ეხება.

ნახევარი წლის წინ, სანამ საქართველოში მუდმივი ბინადრობის ცნობის მოსაპოვნებლად საჭირო საბუთებზე დავრბოდი, ნიდერლანდებიდან დამიკავშირდნენ: “რამდენიმე ქართული წიგნი ნიდერლანდურად რომ გადათარგმნე, პოეზიაზეც ხომ არ იმუშავებდიო?” დავთანხმდი. თორმეტი პოეტის სამ-სამი ლექსი გადავთარგმნე, ნიდერლანდულებისთვის ქართული პოეზიის ლანდშაფტის საჩვენებლად. ამ თარგმანების მიხედვით წელს ფესტივალისათვის სამი პოეტი აარჩიეს. ჰოდა, მაია, შოთა, რატი და მე ერთ თვითმფრინავში ერთიანი მიზნით აღმოვჩნდით. მაიას ემინია, შოთას ეძინება, რატი რამდენიმე რიგის მოშორებით მოხვდა და თავისი აიპოდი ჩართო. შეუმინებული ადამიანი ყველაზე საინტერესოა, იმიტომ, რომ ყველაზე ნაღია. მითუმეტეს მაია, რომელსაც შიმის კი არ სრცხვინია, არამედ სწორედ შიმსა და ნუხილს იყენებს თავის ლექსების ძრავად. მის გვერდზე ვზივარ და ვხვდები, არც უნდა დავანყნარო, ვინაიდან ეს განცდები მისი ახალი ლექსების საფუძველს წარმოადგენს.

სხიპპოლზე, ანუ ამსტერდამის აეროპორტში, ის დიდი პატივი, რითიც ნიდერლანდებში გვიღებენ, ოდნავ გვაკვირვებს: ფესტივალის მძლოლი და საქართველოს ახალი დანიშნული ელჩი გვხვდებიან. ვიზნევი. მძლოლის მოსვლის თაობაზე წინასწარ გამაგებინეს. ქალბატონ მაია ფანჯიკიძეს კი აეროპორტში ნამდვილად არ ველოდი. რამდენიმე თვის წინ ქალბატონ მაიას ნიდერლანდური ენის გაკვეთილები ჩავუტარე. მალე კი ვხვდები, რომ ქალბატონი მაია დედამისის დასახვედრად მოვიდა. ეს კარგად დაემთხვა, ვთანხმდებით, რომ ფესტივალის ქართულ საღამოზე საქართველოს წარმომადგენელი იქნება. საზეიმო განწყობა უკვე ჰაერში იგრძნობა.



მანქანასთან რომ მოვხვდით, მძლოლი გვთავაზობს, რომ წინ დავჯდეთ: “ჩემი ქართული დაჟანგულია, ამიტომ გზაში საჭირო ინფორმაციას შენ მოგაწოდებ.” ერთი საათის მერე სასტუმროში ისეთ დროს მივდივართ, რომ საუზმეს ვუსწრებთ. ბოლო სართულზე ყავას და წვენს ვწრუპავთ, შემწვარ კვერცხს, ხილის სალათს, კრუასანებს და კიდევ უამრავ სხვა დელიკატესს მივრთმევთ. სასაუზმის შუშის კედლებში როტერდამის განუმეორებელი ხედი ირეკლება. როტერდამი ქალაქია, რომელიც, როგორც გროზნო, ნაჰასაკი, ბერლინი, იერუსალიმი, კიშალი და მრავალი სხვა ქალაქი, ნანგრევებად გადაიქცა და ფერფლიდან აღსდგა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადწყვიტეს, რომ დაბომბილი როტერდამი თავიდან კი არა, არამედ მომავლისკენ მიმართული მიდგო-

მით აღედგინათ. სანამ ნამგზავრები ვისვენებთ და გემრიელად მივირთმევთ, ჩვენს გარშემო მსოფლიო დონის არქიტექტურული ლანდშაფტი იშლება. ყველა შენობა თავისი განუმეორებელი აურით ჩვენს ყურადღებას ითხოვს. ამ ამბავს ჯერ ჩემთვის ვინახავ. მეც დავილაღე.

როტერდამის გულს წარმოადგენს მოედანი, სადაც კინო, თეატრი და კულტურის ცენტრი წრეს ქმნის. კინოში ყოველწლიურად მსოფლიოში ცნობილი კინოფესტივალი ტარდება, კულტურის ცენტრში ვარსკლავების კონცერტები იმართება, და თეატრში ყოველ გაზაფხულზე, პოეზიის წასაკითხად და მოსასმენად დედამიწის ყველა კუთხიდან იკრიბებიან. ამ სამი შენობის შუაში მდებარე მოედანი ქალაქელების ყველაზე საყვარელი

ადგილია. მის ხის იატაკზე სეირნობა სასიამოვნოა, გრძელ სკამებზე ჩამოჯდომა მეგობართან საუბარს უზღებდა, სიცხეს პირდაპირ იატაკიდან ამოსული შადრევანი აგრილებს. სწორედ ეს სულიერი კუნძული წარმოადგენს ჩვენს ყოველდღიურ სამუშაო ადგილს.

ფესტივალი ერთი კვირის განმავლობაში გრძელდება. თანდათან მოდის წარმატებები: პირველ საღამოს ათიოდე სხვა პოეტთან ერთად შოთა და რატიც გამოდიან. მეორე დღეს, გაზეთში სათაურია: “ყველა პოეტს ტაში, ყველაზე მეტი – რატი ამაღლობელს”. მეორე საღამო მთლიანად ქართველ პოეტებს ეთმობათ. შოთა ყველა ლექსის დასრულებისთანავე ტაშს იმსახურებს, რაც ნიდერლანდებში იშვიათი მოვლენაა. ბოლო საღამოს დახურვის ფართიზე კი ვხვდებით, რომ მაიას უკვე ფანები ჰყავს. მრავალი ადამიანისგან უსასრულო ქების გარდა, მაია ერთი კაცისგან საჩუქარს იღებს: მაიას რომ ხედავს, საცეკვაო მოედანს ტოვებს, თავის ოფლიან მაისურს იხდის, და მაიას ჩუქნის.

ჩემს მიმართ კი უფრო ჰაეროვანი დამოკიდებულება შევამჩნიე. ზოგიერთი დაინტერესდა, საქართველოში პურის ფულს რითი ვშოულობ. ვაღიარე, რომ ეს იოლად არ გამომდის. შენუხებულებმა მირჩიეს, ნიდერლანდებისთვის ტურისტული სააგენტო გავხსნა, ან რესპოდენტად ვიმუშავო, ან რა ვიცი, კიდევ რა არ მირჩიეს. ამ რჩევების მოსმენა არ გამჭირვებია. ბოლო დროს მოთმინების უნარი მომემატა.

ფესტივალს “კარის ფოტოგრაფი” ყავს, რომელიც ფესტივალის დაარსებიდან, 38 წელია მუშაობს და ბროდსკი, შიმბორსკა და შეიმას ჰინი ჰყავს გადაღებული. კინოფესტივალზეც, მისი დაარსებიდან მოყოლებული, სტუმრების პორტრეტებს იღებს. ყველას უყვება, როგორ უყვარს თავისი პროფესია. როცა იგებს, საიდან ვართ, ამაყად გვეუბნება, რომ ფარაჯანოვი, ტარკოვსკი და იოსელიანი მრავალჯერ გადაიღო. ბოლო დღეს მითხრა, რომ ჩემს პორტრეტსაც დიდი სიამოვნებით გადაიღებდა: პატარა ნიმფას გავხარო. ვაფრთხილებ, რომ დიდი შანსია, ნიმფა ფოტოფირზე არ დაფიქსირდეს, და თუ დაფიქსირდება, ფრთები მაინც არ მაქვს-მეთქი. როგორ არ გაქვს, უბრალოდ არ ჩანსო. ამ კაცმა ჩინებული პორტრეტი გადამიღო, ამის მერე უკვე მჯერა, რომ განსაკუთრებული არსება ვარ, ოღონდ შესაფერის ტყეს ვეძებ, ნიმფას როლის შესასრულებლად. თითქოს მართლა ფრთები მაქვს, ისე, როგორც

სხვას ფანტომური ტკივილი აწუხებს — ტკივილი დაკარგული სხეულის ნაწილში.

საბედნიეროდ, მხოლოდ საქართველოდან მოსული ოთხეული არ ბრწყინავს. იაპონელი კიაო ნომურა, შუახნის კაცი, რომელიც ბრძენ პროფესორს ჰგავს, მიმზიდველი, მშვიდი ხმით, სასტიკ ლექსებს კითხულობს.

ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის გამოსვლისას ფესტივალის თანამშრომელი მიკროფონთან პატარა კიბეს ადგამს. იე მიმი ტაივანელი გოგოა, რომელიც ფულის საშოვნად დონატებს ყიდის, სხვა დროს კი ლექსებს, პიესებს და სცენარებს წერს. სანამ ლექსების კითხვას დაიწყებს, ტკბილი, ფრანგული მუსიკა ისმის, მაგრამ, მისი ლექსებიდან თანამედროვე და რეპულ სტილში, ახალგაზრდის შინაგანი სამყარო იშლება და ყალბ სიტკბობას სპობს.

ტრადიციულად, ფესტივალი გარკვეული თემის ირგვლივ ტარდება. ამჟამად მელანქოლია და სიგიჟე პოეზიის აკვნად გამოაცხადეს. ორგანიზატორებმა ეს არჩევანი სიტყვასიტყვით წარმოიდგენეს, და მრავალი საკმაოდ მშვიდი პოეტის გარდა, ერთი ნამდვილი შეშლილიც ჩამოიყვანეს. ჰანს ვლეკი ახალგაზრდობიდან ძლიერ, ეგზისტენციალურ ლექსებს წერს. მისი პოეტური სამყარო ყოველდღიურობასთან კონფლიქტშია, და რამდენიმე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნის მერე საბოლოოდ ესპანეთში დასახლდა. იქ მარტო ცხოვრობს, საზოგადოებრივი ცხოვრებისგან მოშორებით. დიდი ხანია, სამშობლოში აღარ ყოფილა. არავინ იცის, როგორ ჰანს ვლეკს შეეხვებოდა.

თავის საღამოზე თითქოს საცირკო ატრაქციონს აწყობს. “სპექტაკლი” თან ჯადოსნური, თანაც – უხერხულია. სანამ მისი გამომცემელი ჰანს ვლეკის ცხოვრებასა და შემოქმედებას გვაცნობს, თვითონ პოეტი პირველ რიგში ზის და ამ ყველაფერს, გაუჩერებლად და ხმამაღლა თავის კომენტარს ამატებს. მისი გამომცემლის, მეგობარი-პოეტის, დოკუმენტალისტის გამოსვლების მერე თავად ჰანს ვლეკს გადასცემენ სიტყვას. დარბაზი იძაბება. ალბათ, თითოეული მაცურებელი სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავს, რომ უხერხულობისგან დარბაზი არ დატოვოს და უყუროს, როგორ იშორებს პოეტი მიკროფონს, როგორ უსასრულოდ ეძებს საქალაქში წასაკითხ ლექსს, პულტს როგორ ტოვებს და სცენაზე ბოდიას როგორ იწყებს, გამომცემელი და მეგობარი სცენაზე როგორ ბრუნდებიან და ამაოდ ცდილობენ,



პოეტი ბავშვით დაანწყარონ, და თავისი მოვალეობა შეასრულებინონ. ამას ისე ვუყურებ როგორც პერფორმანსს: კაცმა ღია ნაცრისფერი კოსტუმი ჩაიცვა, და იმავე ფერის დიდი ქუდი დაიხურა. დარბაზი არენად გადაიქცა, რაც ნიშნავს, რომ მაცურებლები ზევიდან უყურებენ სცენას. ჰანს ვლეკი თავს არ წევს, მისი სახე რომ არ გამოჩდეს. მისი ტანადობა ლამაზ სურათს ქმნის: სახე დარბაზი პოეტის სახის ნაცვლად მის ქუდს უყურებს, და პოეტის ლექსების ნაცვლად მის მუსიკალურ და მოუსვენარ ბოდას უსმენს. საღამო დამთავრდა. ხალხი ადგა, და დარბაზი, უხეშად კი არა, ბუნებრივად და პატივისცემით დატოვა. გარეთ ფესტივალის ერთი თანამშრომელი მომიყვა, რომ იმ დღით ჰანს ვლეკი თავისი ნომრის აივნიდან მეზობლის ოთახში გადაძვრა.

ჩვენი საუკეთესო წუთები სასტუმროს ნომერში შედგა. ფესტივალის კვირეულის განმავლობაში პოეზიის საღამოების გარდა, ბევრი სხვა პროექტიც იყო დაგეგმილი. ერთს “გადაჩურჩულების პროექტი” დარქვეს. ეს ნიდერლანდელი პოეტის ლექსის რიგრიგობით ნიდერლანდურიდან ქართულად, ქართულიდან რუსულად, რუსულიდან ფრანგულად – და ასე შემდეგ – თარგმანს გულისხმობდა. ყოველ დღე, ერთი ენიდან მეორეზე ითარგმნებოდა, რათა ბოლო დღეს ბოლო ენიდან, რომელიც აფრიკული იყო,

ისევე ნიდერლანდურად თარგმნილიყო. რასაკვირველია, ბოლოს შინაარსით და ფორმით საკმაოდ განსხვავებული ლექსი გამოვიდა. ამ თამაშში მონაწილეობის დროს, ერთი შეხედვით შეიძლება უმნიშვნელო, სინამდვილეში კი, ყველაზე ლამაზი წუთები გვექონდა: შოთა, მათა და მე ლოგინზე წამოწოლილები, რატი – პატარა მაგიდასთან, და ჩვენი გონება ერთი მიმართულებით მომუშავე. ასე ერთობლივად გადავთარგმნეთ ლექსი, სადაც პოეტი ნანობს, რომ მისი შემოქმედება მძღნერის სუნით აყროლებულ ვარდს ჰგავს. ჩვენმა თანამშრომლობამ დაამტკიცა, რომ შრომა ჩემში სიყვარულს აღვიძებს. ჩემს ნომერშიც სანერ მაგიდასთან სარკე ეკიდა. დღიურის დასაწერად ან პრეზენტაციის მოსამზადებლად სარკის წინ ვჯდებოდი, და ჩემს თავს ასე შრომაში ჩაფლულს რომ ვხედავდი, გული მიჩქარებოდა.

მოგზაურობა ბევრ რამეს გასწავლის. ქართველებიც ნიდერლანდებში ყოფნის წყალობით საკუთარ იდენტობაზე ფიქრდებოდნენ. ერთი ქართველი პოეტი ნანობს, რომ ქართველი მეგობრობას იოლად გიცხადებს, ოღონდ ეს მეგობრობა მხოლოდ იქამდე გრძელდება, ვიდრე მას ამისი სურვილი და ინტერესი ყოფნის, და, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში მალე მთავრდება. დასავლელი კი ძნელად გიმეგობრდება, ოღონდ თუ დაგიმეგობრდა, მაშინ ხშირ შემთხვევაში გრძელვადიანი და

გულწფრელი ურთიერთობა გამოდის. ამას ქუჩაში მეუბნება. კომენტარისთვის არ მცალია, იმიტომ, რომ ყველანაირად ვცდილობ, გუბეში არ ჩავვარდე.

მეორე დღეს, საერთო ქართველ ნაცნობს ვხვდებით, რომელიც რამდენიმე კვირით ნიდერლანდებში ისვენებს. წლების მანძილზე ნიდერლანდებში სწავლობდა, და ორი წლის წინ ისევ საქართველოში გადასახლდა. ახლა ქართველების საღამოზე გვესტუმრა. ნიდერლანდელი პოეტების არსებობაში ეჭვი ეპარება. რაც აქ ცხოვრობს, ნიდერლანდები ყველაზე არაპოეტურ ქვეყნად ეჩვენა. ჩვენი გამოცდილი ქართველი მეგობარი ამტკიცებს, რომ ნიდერლანდებში ემოციებს ტაბუ ადევს. ქართველები ბედნიერი ერია, ვინაიდან მტკიცედ სჯერათ, რომ ემოციებზე და მეგობრობაზე პატენტი აქვთ მოპოვებული.

ცოდნას უცნობი და იდუმალი საქართველოს შესახებ ჩემთვის არ ვინახავ. ამ რვა

წლის განმავლობაში, რაც საქართველოში ვცხოვრობ და კულტურათა შორის გაცვლაზე ვმუშაობ, ვფიქრობ, რომ საქართველო შეგიძლია გიყვარდეს, შეგიძლია გძულდეს, გულგრილი კი, ამ ქვეყნის მიმართ ვერ დარჩები. სასიხარულოა, თუ შენს ბიოგრაფიაში საქართველო რაიმე როლს თამაშობს, უკვე საინტერესო ადამიანად ითვლები. ყველგან გეკითხებიან, იქ როგორ ცხოვრობ, და ღმერთო, იქ რატომ გადასახლდი. როტერდამის ფესტივალზეც “ქართულ დელეგაციას” ყურადღება არ აკლია. ყოველ დღე, მაგალითად 11-დან 2 მონაწილე პოეტს ორ მთარგმნელობით სემინარს სთავაზობენ: ერთი ნიდერლანდელი პოეტის შემოქმედებას ეხება, მეორე კი, მაია სარიშვილის ლექსებს.

მაიას სათარგმნი მასალა ჩემი არჩეული ათი ლექსიდან შედგება. ყოველ დღე, მაია და მე დილაადრიანად ვტოვებთ სასტუმროს, გზაში ქუჩის მუსიკოსს, ასაკოვან აკორდეონისტს და თეატრის ფოიეში შეკრებილ

პოეტებს ვესალმებით. პირველ სხდომაზე პორტუგალიელი, ტაივანელი, ნიდერლანდელი და ეგვიპტელი პოეტები გაერთიანდნენ. ორ საათში ერთ ლექსს ვთარგმნით პორტუგალიურად, ჩინურად, ნიდერლანდურად და არაბულად. კვირეულის განმავლობაში პოეტები მაიას ლექსების თარგმნის საშუალებით საქართველოს შესახებ რაღაცებს იგებენ: საქართველოში მოხუცმა ქალებმა როცა აღარ იციან, პურის ფული საიდან იშოვონ, ქუჩაში ბუმტებს ყიდიან. ქართველი სტუმარს როცა იღებს, თავისი შვილებით ამაყობს, რომლებსაც სტუმრის გასართობად სიმღერები და ლექსები ასწავლა. ოჯახში ქალი ხშირად ცდილობს, თავისი წუხილი არ გამოხატოს. ბევრი ქართული ოჯახის ფინანსურ სირთულეებზე მსჯელობის დროს, ერთი ნიდერლანდელი პოეტი სილარიბესთან დაკავშირებით თავის აზრს გვიზიარებს: “სილარიბე ის კი არ არის, რაც ნიდერლანდელი მასზე წარმოიდგენს. შეიძლება ოთხი შვილით და დაბალი შემო-



სავლით გიჭირდეს, და მაინც, ღარიბად არ ითვლებოდე.”

დღე არ გადიოდა, მაია ვინმეს რომ არ შეეყო და არ ეთქვა, რომ დიდი პოეტია. ყველა კომპლიმენტზე მაია ყველაზე ნაზი და გულწრფელი ‘თენკ იუ’-თი პასუხობდა, რაც ოდესმე გამიგია. ქართველებს შორის მაია ამ ფესტივალზე აღმოჩენა იყო. ერთ-მა ორგანიზატორმა მითხრა, რომ პირველად როცა მაიას ლექსები წაიკითხა, ეგონა, რომ კაცის იყო. სხვამ ჩემი თანდასწრებით მაიას უთხრა, რომ ახალი შიმბორსკა გახდებოდა. მაია სარიშვილმა, როცა თბილისში მისი ლექსების თარგმანზე ვმუშაობდით, ერთხელ აღმინერა, როგორ წერს. პირველი ლექსიც ასსოვს: ბავშვობაში კორპუსში ცხოვრობდა, და ყოველ დღე მოუთმენლად ელოდებოდა ნაგვის მანქანას. ის კორპუსთან ახლოს ჩერდებოდა, და ყველა თავისი ფანჯრიდან ნაგავს ყრიდა. ერთხელ თავისი პირველი თოჯინა ნაგავში აღმოაჩინა. დედამ ნახმარი თოჯინა ჩუმად მოიშორა. პატარა მაიამ კი ისე განიცადა, რომ მისი პირველი ლექსი იმ დაკარგულ თოჯინას მიუძღვნა. მითხრა, რომ წერის დროს, თითქოს წყალშია ჩაძირული, და სასწრაფოდ ლექსი უნდა დაწეროს, რომ დროზე ამოვიდეს და ისუნთქოს. მისი საყვარელი სანერი ადგილი ის ოთახია, სადაც მის ოთხ შვილს სძინავს, და მათი ტანსაცმელით სანერ ლამპას ფარავს, სინათლემ ბავშვები რომ არ შეაწუხოს. მაიას ლექსები დღიურით იკითხება. პირდაპირი და ფიზიკური ხატებით ახერხებს ქალის შინაგანი სამყაროსა და არსის ჩვენებას.

ფესტივალის დახურვის საღამოზე ყველა პოეტი ერთი ლექსით გამოდის, რომელიც მელანქოლიას ეხება. ბოლო საცეკვაო საღამოს მერე ერთმანეთს მელანქოლიურად ვემშვიდობებით. გულში კი, ყველას, ალბათ, მაინც უხარია, რომ ჩვენი დროებითი “ოჯახი” იშლებოდა. შოთას ერთი ბელგიელი პოეტი-მეგობრის გაცნობაც მოვასწარი. რამდენიმე წლის წინ შოთა და ის რუმინეთში ერთ-ერთ ფესტივალზე შეხვდნენ, და დღეს როტერდამში შოთას მოსასმენად და სანახავად ჩამოვიდა. ჩემთან მოდის, და ნებართვას მთხოვს, გასაცნობად ერთი ლექსი წაიკითხოს. უარს არ ვეუბნები. სანამ ჩვენს გარშემო უამრავი ხალხი ხმამაღალი მუსიკის ფონზე ყვირის, ყურში შემდეგნაირ სტრიქონებს მიჩურჩულებს: “შენ თვალელებში ანგელოზები ცურავენ/ ოცნებები მიატოვე/ სინამდვილე ახლა დგება”. მაღლობა გადავუხადე, და ლექსი დავიმასხვორე – მოგვიანებით დასაფიქრებლად.



შემდეგ დილას ქართველები ნიდერლანდებში უკვე აღარ არიან, ბოლოჯერ ეს აუზმობ სასტუმროს სახურავზე. სადგურში წასასვლელად რომ ჩავდივარ, ერთ-ერთ პოეტს გასასვლელში ვხვდები, ანგოლელო-პორტუგალიელს. ვთავაზობ, რომ სადგურში ერთი ტაქსით წავიდე. პარალელურ ქუჩაზე ბანკ-ავტომატიდან საჭირო გზის ფულს ვიღებ, და როცა სასტუმროსკენ ტაქსის დასაჩერებლად მივრბივარ, ანგოლელო-პორტუგალიელს ჩემი ბარგი უკვე ტაქსში შეაქვს. თითქოს, მრავალი წლის ცოლ-ქმარი ვიყო. გზაში ჩაძინებულ როტერდამში ცხენებიან და ყვავილებით მორთულ, თეთრ ეტლს ვხვდებით. ქორწილია-მეთქი. ბედნიერად იყენებო, პოეტმა. იქნებ ნიჭიერი და ბრძენი მეუღლეები გახდნენო. მე კი, კატასტროფული ქმარი აღმოვჩნდი, არც ერთი ქორწინება არ გამომივიდაო. ნუგეშად ტაქსისტს მე გადავუხადე.

სადგურში ბოლო პოეტსაც ვემშვიდობები. მაინც არ თხოვს ჩემ ხელს. აღარასოდეს შევხვდებით. ჩემი ბაქანის მოსაცდელში შავკანიანი ქალი შემოდის სამ პატარა ვაჟთან ერთად. თვალელებს ვერ ვაშორებ. სხდებიან, ბიჭები თანდათან ფეხებს ამოდრავებენ. მათი ფეხების მოძრაობაზე მუსიკა მესმის, და მეც შინაგანად ცეკვას ვინწყებ. მატარებელი მოდის, და ბრიუსელისკენ, ჩემს სამშობლოში მივემგზავრები ჩემების სანახავად.

გვერდით ორი ბრიტანელი მეცნიერი ზის. საქალაქდისგან ერთი ფურცელს აიღებს, და მეორეს აჩვენებს. ეცინებათ. თვალის კუთხიდან ვცდილობ გავარკვიო, რა წერია ფურცელზე და რაზე ეცინებათ: ჩემთვის გაუგებარი, ოღონდ ლამაზი სქემები ხატია. ერთ-ერთს ასე ჰქვია: “შპეკუნორლდ”. ლექსის სათაურად ცუდი არ იქნებოდა. წვიმა ფანჯარას სცემს, და რაინის გრძელ ხიდზე რომ გადავდივართ, მეჩვენება, თითქოს მდინარეში წყალი კი არა, ნისლი მიედინება.

ბრიუსელში სხვა მატარებელზე უნდა გადავჯდე. სამშობლოში ვარ. ფანჯრიდან ძველი სახლები ჩანს. ყველგან გრაფიტია. ქუჩებში ხალხი ქოლგით ქარს ებრძვის. პირველ ვაგონში ვზივარ. მძლოლმა კარი ღია დატოვა, და ყველა მისი მოქმედება ჩანს. გვირაბში თავის კაბინაში სინათლეს ანთებს, და შემხვედრ კოლეგას ესალმება. დერეფნის იქით ერთი გოგო ზის, თავის მშობლებთან ერთად. კაცი ქალიშვილს ესაუბრება. ქალი კი ერთი ხელით გაზეთს კითხულობს, და მეორე ხელი ქმრის მუხლზე უდევს. ქმრის ხელი ცოლის ხელზე ისვენებს. მინდა, რომ ის გვერდი, რომელსაც ქალი კითხულობს, სანამ მე არ ჩავალ, არ დამთავრდეს.

ვატუ, ბელგია, 6 ივლისი 2007



ავტორი: შოთა იათაშვილი

ქალაქში, მტვერში, ნაიქსა კასი

ბენიკ ხარანაულს

რა კარგია, რომ მიხვდი,
რომ დღეს ბედნიერი ხარ,
დღეს,
გადატყავებული ხელისგულებით,
ჩაჭრილი მაჯვით,
დასერილი შუბლით,
ჩალურჯებული იდაყვით და მუხლით,
ბედნიერი ხარ,
რადგან ბოლოს და ბოლოს
ჭეშმარიტად დაეცი,
დაეცი ერთხელ, ორჯერ, სამჯერ –
დაეცი შენი ქალაქის მტვრიან ქუჩებში,
დაეცი შენი ქვეყნის პირველი პოეტის ბინიდან
ფორიანით და ბორძიკით გამოსული,
დაეცი და მიხვდი –
მიხვდი, რომ ჭეშმარიტად დაეცი –
დაჰყურებ გადატყავებულ ხელისგულებს,
სისხლი, ვით მელანი,
თითებისაკენ ჩაედინება,
კალმისტრისაკენ იკვლევს გზას,
და შენც წერ ლექსს,
ახალ, უცნაურ ლექსს და
ბედნიერი ხარ,
რადგან პირველად ცხოვრებაში
ჭეშმარიტად დაეცი და იცი უკვე,
რას ნიშნავს ეს –
დაეცე –
დაეცე შენს ქალაქში,
შენს ქუჩაში,
შენი ხალხის თვალნი,
შენი ხალხის ფეხებთან,
დაეცე,
დაეცე,
დაეცე...
რათა წამოგაყენონ,
რათა მიგიყვანონ სახლში,
რათა მოგიარონ,
რათა მოგეფერონ,
და შენც, – ერთხელ ჭეშმარიტად დაცემულმა, –
ადგე და მშვიდად განაგრძო
დაცემულთა მარადი გზა...

19 მაისი, 2007 წელი.

ფანქარი მინაში

დღეს ფანქარი დავასაფლავე.....

ჩემი ერთგული,
დაკუთვებული,
ხანდაზმული,
ბრძენი ფანქარი...

ოთხი დღის წინ ხელში ჩამაკვდა...

არ გეგონოთ, რომ ლექსსა ვწერდი...
ვიჯექი და ქვეშმინერით
გადასახადის, ვალების და
პურისა და სიგარეტის ხარჯებს ვკრიბავდი...

მოდრღნილ ბოლოზე პირი ვტაცე,
მაგრამ უკვე გვიანი იყო:
არ უშველა ხელოვნურმა სუნთქვამ, არადა
მთელი ცხოვრება გაჭვარტლული ჩემი ფილტვების
შხამიანი სიო იყო
მისეული შთაგონების უცვლელი წყარო...

ჩემმა ძველმა კრებულებმა,
საქალაღდეთა ზვინებმა და
კომპიუტერის კლავიშებმა
დაიტირეს იგი, იგლოვეს.....

ხალვათი სასახლე შევურჩიე:
ჩემი საწერი მაგიდის უჯრა;
გადასახადის, ვალების და
პურისა და სიგარეტის
მწარე ციფრებით აჭრელებული
ფურცელი სუდარად გამოვიყენე...

ჩავატანე სათლელეები, საშლელეები
და ორი ლექსი:
„ფანქარი ცაში“ და „ფანქარი არაცაში“,
და ნივთების მუხათგვერდში დავასაფლავე.....

ახლა ვზივარ, – მარტოსული, სევდიანი, –
მომცრო გორაკთან,
ხელში ჯოხი მიჭირავს და
დედამინის ზედაპირზე,
მცირე ხნით მაინც, –
სანამ წვიმა გადარეცხავს
ან ვილაცის ჩექმა გადაგლესს, –
აღვბეჭდო, ვცდილობ,
გარდაცვლილი ჩემი ფანქრის ეპიტაფია...

ჯოხი...
ხელჯოხი...
ანწი უთუოდ იგი უნდა დამიმეგობრდეს.
როცა ფანქარი მინაში გინწევს,
ჯოხილაა შენი მეგზური.
ჩიჩქნე,
კანწრე,

დაეყრდენი,
უფრო მძაფრად შეიგრძენი
ასოების გამოყვანის წარმავალობა.....

ხოლო ბოლოს,
როდესაც იგრძნობ
აღსასრულის მოახლოებას,
მოიკრიბე ერთხელაც ღონე,
გადატეხე ეგ ხელჯოხი,
ჯვრად შეკარი შენი ქალარით,
დაასე საფლავს და ექეცი
საკუთარ ფანქარს
მარადიულ თანამეცხედრედ...

3-4/VII. 2007.

სახე

დაელალა სახე.
გალიმებებისაგან.
მონყენებისაგან.
ნაძალადევი მიმიკებისაგან.
სარკეში ჩახედვებისაგან.....
დაელალა.
ხელი ჰქონდა,
რომელიც სულ მუდამ ილღებოდა და ისვენებდა.
ფეხიც ჰქონდა,
რომელიც არანაკლებ ილღებოდა და
მაინც სულ მუდამ ისვენებდა.
დალლილი გულიც კი ისვენებდა უპრობლემოდ
და დალლილი ტვინიც.
სახე კი, აქამდე მოუღლეელი,
უცებ, ერთ წამში მიუსავათდა,
მოექანცა.
დადო თავი ბალიშზე და მიხვდა,
ველარასოდეს მომჯობინდებოდა,
ველარასოდეს აღიდგენდა ძალებს
მისი სახე.
და დახუჭა თვალები და მოკვდა:
ჯანმრთელი გულ-ღვიძლით,
ჯანიანი ხელ-ფეხით,
ნათელი გონებით.....

სახემ უმტყუნა.
სულ რომ არ ელოდა, მაშინ უმტყუნა.

„ჩემო ბიჭო, ჩემო ბიჭო,
ლამაზო ბიჭო.....“ –
დასტიროდა რამდენიმე დღე
სახითმკვდარს დედა...

2/VII. 2007.

დასაწყისი

მამა იოანეს

ეხლა ღმერთზე გელაპარაკები.
მერე რა, რომ შენ ახლა პოეტი ხარ,
მე ეხლა ღმერთზე გელაპარაკები.
ნაღმმა გუშინნინ მკლავი მომანყვიტა,
ბერად აღვიკვეცე გუშინ,
დღეს კი თითებით არარსებულთ პირჯვარს გადაგსახავ
და მშვიდი სიჯიუტით გეტყვი:
ეხლა, ეხლა, აი, ეხლა,
მე შენ ღმერთზე გელაპარაკები.
ვთქვათ, პიანისტი ვიყავი ოთხი დღის წინ,
ვთქვათ, მხატვარი – სამი დღის უკან,
მაგრამ ორი დღის წინ კეთილმა ნაღმმა
მკლავი ნამგლიჯა და
დღეს მე შენ, პოეტო, თავქარიანო,
მხოლოდ და მხოლოდ ღმერთზე გელაპარაკები.
ნუ გეშინია, დარჩებით თქვენ, პოეტები ამქვეყნად,
დარჩებიან მხატვრებიც და გადარჩებიან პიანისტებიც –
მე ხომ ისინი, ვთქვათ, ბოროტი ნაღმისაგან დავიცავი,
ამ ბოროტმა ნაღმმა კი კეთილად წამანყვიტა ხელი,
და ვდგავარ ახლა თქვენს წინაშე,
პირჯვარს გსახავთ და ჯიუტი სიმშვიდით გიმეორებთ:
მე თქვენ ეხლა, ყველას,
მხოლოდ და მხოლოდ ხელთუქმნელზე გელაპარაკებით!
სადღაა ჩემი მკლავი,
სადღაა ან იდაყვი, ან მაჯა, ან ხელის მტევანი...
არსადაა –
მაგრამ ჩემი მთავარი საფიქრალი
სამი თითვივით ერთდება ჩემს შუბლთან და მოძრაობს:
ზემოდან ქვემოთ,
ქვემოდან მარჯვნივ,
მარჯვნიდან მარცხნივ –
მას შემდეგ, რაც
ნაღმმა ამ გზაზე დააყენა ჩემი ფიქრები,
ვარ ასეთი – ფიქრებით პირჯვრისმსახავი და
სადაც შემხვდებით,
გეუბნებით,
მერე რა, ახლა ვინ ხართ,
მე თქვენ ეხლა,
მე თქვენ ეხლა ღმერთზე გელაპარაკებით!

1-2.02.2007.





პიტნის კალო

ავტორი: თეა თოფურია

ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ტენიდნენო. ჩემი საქმეც ასეა, ვირივით. მე ვვირობ და ამათ კიდევ პიტნა არ ელევათ, ლამისაა ძნები დადგან. აჰა, ამასწინათაც, ამოვიდა ერთი ჩემი მეზობელი და ჭა უნდა გავთხაროთო. რის ჭა-მეთქი. აი, კორპუსის წინო. ჭა რად გვინდა-მეთქი, – თან ახალგაღვიძებული ვარ, ვდგავარ, თვალებს ვისრეს – წყალი ზედა სართულებზე არ ამოდის და აბა, რა ვქნათო. ვედრო და ბანარი უკვე გვაქვსო. კინალამ არ ვუთხარი, ბანარი თუ გაქვს, ჭა და უფსკრული არა ხარ, მოიბი ბარემ კისერზე-მეთქი, მაგრამ ამისთანებს ხომ სიკვდილს ვერ უხსენებ, სწყინო.

რას შვრება, ნეტავ, ის ბავშვი? ვერ მივაჩვიე ესენიც, რომ გაუარონ და მოიკითხონ მაინც. ერთ ქალაქში არ ცხოვრობენ?! ერთი დედ-მამის შვილები არ არიან?! ამასწინათაც მითხრა მარინემ, გავუარე, ვუკაკუნე, ვუკაკუნე... ალბათ სახლში არ იყო. რას გაუგებ მაგას?! ჯერ ბავშვობაში ვერ იტანდა ვერავის, ნაილებდა წიგნებს და საქათმეში სწავლობდა გაკვეთილებს. მაგის გადამკიდე ქათმები შუა ეზოში დებდნენ ხოლმე კვერცხებს. გამოდი-მეთქი, ვეტყოდი და გამოვიდოდა, განა არა, მაგრამ მეორე წუთას გავხედავდი და ახლა

ხეზეა ამძვრალი, დაუკავებია პური და ყველი და ლოღნის. რად ვერ იტან, შვილო, ხალხს-მეთქი და აბა, რა ვიციო. არ უყვარდა და ასეთი დარჩა უკარება, სად დადიოდა, რას შვრებოდა, ვერაფერს გაიგებდი. მეზობლებს აღარც კი ახსოვდათ, დაბადებული თუ იყო სოფელ-ქვეყანაზე. ესაო, წითურაო, შენი არ არისო, უცებ გაახსენდებოდათ ხოლმე, ისე სხვათაშორის... ეგენი კი არა, მეც ლამის სულ დამავინყდა, ამასწინაზე ისევ მარინემ მკითხა, რომ დაიბადა, რა დღე იყო. ვერ გავიხსენე, მგონი თოვდა, მგონი კი ივლისი იდგა. არ მახსოვს, არა, მუცელი რომ ამტკივდა, ისიც არ მახსოვს.

კიდევ კარგი, ბევრი და-ძმა მყავდა და მაგათში ადვილად ვიკარგებოდი ხოლმე, თორემ ამ ცხოვრებას რა აიტანდა. აგერ მეზობლები რომ ჭას თხრიან, ასეთი ჭა მეც მქონდა სოფელში, თხრიდნენ და სანამ წყლამდე ჩავიდოდნენ, შიგ ვიმალებოდი. ერთხელაც მომადგა ჩემი ძმა და ჩამომძახის, ეჰეო, ჰეეო... ბნელა და იმას ჰგონია, ჭას ჩასძახის. მეც ავდექი და გავეპასუხე, მომწყდი თავიდან-მეთქი. აღრიალებული გაიქცა, იძახის: დედა დედა... ვილაც ქალები მოუყვანეს მერე, გამოულოცეს.

რა სცხია ადამიანის?! შეგეშინდება, ისე იცის უცხოობა. ბებამისი რომ დავმარხეთ, განა ისეთი რა პატარა იყო, რომ ერთი არ უტირია. სხვები, რომ ღნოდნენ, მაგას რა?! მინისძვრა რომ იყო კიდევ?! ვითომც აკვანში დაგირწევია, სულ არ გამოსულა გარეთ. ვსხედვართ ყველანი ეზოში ძალღიან-კატიანად და უცებ მომაგონდა, მივაგლმოვაგლე თვალი და არ ჩანს არსად. შევვარდი სახლში, ვიფიქრე, აღარ დარჩა ალბათ ცოცხალი-მეთქი, არადა, არც ამდგარა თურმე ქვეშაგებიდან. გამოვარბებინე გარეთ პერანგისამარა, დაჯდა, არაფერი უთქვამს... ჩუმი იყო, ნეტავ გულში მაინც თუ ლაპარაკობსო, გაიფიქრებდი.

ცოლის შერთვა რომ დავუპირეთ, მაშინაც განა თქვა რამე. იყო თავისთვის, არც კი, არც – არა. თან კი ვჭოჭმანობდი, რა ოჯახი ამას მოეკითხება, ხიდან ვერ ჩამოგვიყვანია-მეთქი. მეზობელ ნინიკას გოგოს ვგულობდი ვითომ, ერთი უბრალო იყო ისიც, შეუმჩნევი, არც აქებდა ვინმე, არც – აძაგებდა. ბავშვს ხომ გააჩენენ და მერე თუნდაც ორივეს ხეზე უთენ-უღამებით-მეთქი, მაგრამ რა... გავიხედე და აღარ არის. ორი წლის მერე ისე მოვიდა, თითქოს აქვე მალაზიაში გადასულიყოს. განა მკვდარი მეგონა ან რამე ფარსაგი, ვიცოდი, რაც მყავდა, მაგრამ მაინც... მანონს თბილად ვფუთავ და კარი შემოაღო. ამივარდა ტირილი, რად მიკეთებ, შვილო, ამისთანებს, დედა ვარ-მეთქი.

ორი წელი ხომ ვიხეტიალე, მერე ისევ მივედი სახლში. ჩემებს საქათმეში ვემალებოდი და ახლა კიდევ ნინიკასიო. განა არ მეტ-

ყოფიდა, ამ ქვეყნის არ ვიყავი. ავლაგდებოდი ხოლმე შუალამისას, მაღლა, სულ მაღლა იყვნენ ვარსკვლავები, ლივლივებდნენ ისე, ცა ილუნებოდა. მეც თითქოს ამ ცადაბრეცილზე დავდიოდი, ეს მერჩივნა ადამიანებთან ბორიას. ადამიანი მაშინ მახსენდება, ძალიან რომ მომშივდება ან ძალიან რომ შემცივდება ხოლმე, საჭმელს რომ მაძლევენ, ბუხართან რომ მსვამენ... ძალიან ვარ, ნუნკალი ძალიან ვარ, პურის გულისთვის კუდს რომ აქიცინებს. დედაჩემმა კიდეც, რად მიკეთებ, შვილო, ამისთანებს, დედა ვარო. თან მანონს ახვევდა, ჩემი ძმის ჯემპრში. გულში ვიფიქრე, ჩემს დედობას, მანვნის დედა ყოფილიყავი, არ გერჩივნა?! რძეს მაინც შეადედებდი-მეთქი.

ღამ-ღამე სიარული უყვარდა. მისი შიშით მოსაშარდად ვერავინ გამოსულიყო გარეთ. დაადებდა ხოლმე თავს და.....მოგვადგებოდა დილით საიდანაც დადებდა. დაწვებოდა მერე და დაიძინებდა ან ეზოში იჯდა გარეთ. არც რას ვეკითხებოდი, ყველას თავი გვექონდა მიწებზე ული. კიდეც ჩავეძიებოდი, ადამიანები რად არ გიყვარს-მეთქი და არ გისწავლებიათო. განა რა სწავლა უნდა სიყვარულს, შენმა დამძებმა როგორ ისწავლეს-მეთქი და გაჩუმდებოდა ისე. საცოდავი იყო, რაღაცნაირი, თავს ძლივს ეზიდებოდა.

ყურძენს დამიკრიფდა დედაჩემი და დამიდებდა გარეცხილს. ისეთი თვალებით მიყურებდა ხოლმე... შვიდი და-ძმიდან მარტო მე მიყურებდა ასეთი თვალებით. ჩავლუნავდი ხოლმე თავს, აბა რა მექნა, ექვსი ბავშვის გამონაცვალ საშოში რომ გამომზარდე, ექვსი ბავშვის შარდით აქოთებულ სახვევებში რომ გამომკარი-მეთქი, გულში ვფიქრობდი. საცოდავ დედაჩემს ჩემს მერე ბავშვის გაჩენა არც მოგონებია. რომ დაბერდა და დაპატარავდა, იტყოდა ხოლმე, მერვე ვარო. ჩემი უფროსი ძმა ტკბილ ნამცხვრებს მოუტანდა და ჩუმად ჭამდა თავისთვის, შავებში ჩაცმული. შავსაც იმიტომ იცვამდა, რომ სხვებს ეცვათ მაგის ტოლებს. მზისგულზე შავით უკეთესად გამოვჩნდები, ჭრელი კუბოშიც მეყოფაო... სიბერეში დამემგვანა, მე თავის ნაბოლარას.

ქალაქში ისე გაიკრიფნენ, თითქოს ყურძენი დაგიკრეფია. შვიდიდან ერთი არ დარჩა წყლის მომწოდებელი, არც დამლაპარაკებელი. საკუთარ თავს ვექაქანები ხოლმე, ბეხრეკოო, განა მარტო გაჩენა, აკვანიც გულიანად უნდა გერწია, ქადაც გულიანი უნდა გეცხო, ახლა ერთი მაინც დაგირჩებოდა, გვერდით გეყოლებოდა, ან იქით დააყვედრებდი ან აქეთ დაგამადლებდა-მეთქი.

ვეშაირები ხოლმე ჩემს თავს და თან ველოდები, როდის ჩამოვლენ მორიგეობით, ხან უფროსი, ხან - შუას წინა. უმცროსის კი ამბავიც უნდა იზოგო. რაც ნავიდა, მას შემდეგ მზის დაბნელება ორჯერ ვნახე, ის კი, ვერც ერთხელ. თავიდანვე ასეთი დაქანცული და მისავათებული გაჩნდა და რაც გაჩნდა, ის დარჩა. ჩემგან თუ გამოყვა და რას ვიზამ?! მეც რა ბრალში ვარ?! ღმერთმა მთელი სამყარო ისე

შექმნა, თითქოს არაფერი. ადამიანის შექმნამ კი უცებვე დალალა. მე თუ მეშვიდე ადამიანზე დავილაღე, რაღა გასაკვირია?!

ამათ კიდეც, ჭა უნდა ვთხაროთო, ბანარი გვაქვსო. ხოდა, ხომ უნდა მეთქვა, მოიბი კისერზე-მეთქი, მაგრამ ეს ვუთხარი, ჭას რად თხრით, დედას არ უყვარდით, დედა არ გიყვარდათ-მეთქი. დადგა და მომაშტერდა, განითლდა, გაპილილიდა. დაეშვა კიბეებზე და მერე მართლა არ მოაყენეს რაღაც ბულდოგისმაგვარი?! აარჩინეს და ვდგავარ, ვფიქრობ, განა მარტო გაჩენა, და ძუძუს პირში ჩადება, უსულგულოდ ქვეყანაზე რომ ვეთრევი, ახლა ვინა მასწავლის ადამიანობას წიგნით და რვეულით-მეთქი. ტაძარი როა აგერ, იქ დიდი ხატია, ღვთისმშობლის მიძინების, ქრისტეს მარიამი ხელში უჭირავს, არადა, საერთოდ ხომ პირიქითაა. იქაც დავდგები ხოლმე მართლა ვირივით და მიკვირს, გასაკვირი რაა, მაგრამ მაინც. თან ხომ როგორი ახალგაზრდაა ქრისტე ხატებზე...

ჩავედი. მარინემ, გიკაკუნე, გიკაკუნე, ვერ გაგაგონეო, დედა ვნახე და მნახოსო. ძროხა დაბორილობდა ეზოში ბლავილით. დასკლომაზე ჰქონდა ცური. სამი დღის მოსაწველია, ვერ ვდგებო, დედამ მითხრა. ლოგინში იწვა, დაღუული, დაღუული, დეკემბრის დღე რომ დაიღვეა ისე, ხელები ამოეყო საბნიდან. შენც სამი დღის მშიერი ხარ-მეთქი? კვითხე და ვერ გაიხსენა. დავუნყე ძროხას წველა, აზმუვლდა, გამლუპა რძეში. დავალევი დედას და მერე ცეცხლს მივეცოდვილე ასანთებად. ბუხართან დამსვიო, ვერ დგებოდა თვითონ. ავიყვანე, სანამ ოთახში სკამს მოვქებნიდი, კარგა ხანი მეჭირა ხელში.



იტალიური ლიტერატურის ფუნდამენტური ანთოლოგია ჯოვანი პაპინის (1881-1956) ახასიათებს როგორც "საუკუნის დასაწყისის კულტურის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ინიციატორს - მიუხედავად ქაოტური განათლებისა და იმთავითვე ანტიკადემიური, დილექტანტური მისწრაფებებისა". იგი მაშინდელი ფლორენციის ლიტერატურული წრეების ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული, რედაქტორობდა ჟურნალს, რომელშიც თითქმის ყველა იმდროინდელი იტალიელი მწერალი იბეჭდებოდა, დაწინაურებული და დაწყებული - მარინეტით დამთავრებული.



მისი ნაშრომები კულტურის ძალზე ფართო სპექტრს მოიცავდა: ინტელექტუალურ-ანარქისტული "ტრაგიკული ყოველდღიურობა" (1906) და "წყალნაღებელი" (1912), ღრმა კათოლიციზმით აღბეჭდილი "ქრისტეს ისტორია" (1921) და კლასიკური "ცოცხალი დანტე" (1933). მასვე ეკუთვნის სკანდალურად ცნობილი "ემმაკი" (1953) და წიგნები ხელოვნების შესახებ, "მიქელანჯელოს ცხოვრება მისი ეპოქის ცხოვრების ფონზე" (1949) და "ბიუსტების შუშაბანდი", თუმცა განსაკუთრებული წარმატებით მაინც მისი "ნაწყვეტები" სარგებლობდა, მოკლე, ძალზე მახვილი ტექსტები, რომლებშიც ხშირად ესეისტური სანყისი ძლევედა წარატიულს. სწორედ ამ უნარს შეგვიძლია მივაკუთვნოთ წარმოდგენილი მოთხრობაც, კავკას ერთ-ერთი პირველი "აპოკრიფი", რომელმაც არა მხოლოდ ბორხესის არარსებული ტექსტები შეიძლება გაგვახსენოს, არამედ, უმბერტო ეკოს კლასიკურ-პოსტმოდერნისტული "ვარდის სახელიც".

მთარგმნელი

ავტორი: ჯოვანი პაპინი

ფრანს კაფკას „დაბრუნება“

პრატა, 27 მარტი

ერთმა პრადელმა ბუკინისტიმა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ცნობილ მწერალთა ავტოგრაფების კოლექციას ვაგროვებდი, ფრანც კაფკას გამოუქვეყნებელი მოთხრობის ავტორისეული მონახაზის შეძენა შემომთავაზა. ამ დროისთვის უკვე ნაკითხული მქონდა "პროცესის" ინგლისური თარგმანი და ამიტომ, ვიდრე საკმაოდ სოლიდურ თანხას გადავიხდდი, მოვიხდომე თვალი გადამეწლო გერმანული სიტყვებით გადასებული ექსგვერდიანი ხელნაწერისთვის.

"დაბრუნება", ასე ერქვა შავად ჩანერილ მოთხრობას, რომელზე მუშაობის გაგრძელება კაფკამ არ მოისურვა თუ ვერ მოასწრო. სადაზღვეო აგენტს, ბატონ მ.ვ.-ს, საქმეებზე წასვლა უნევს ბოჰემიაში, თანაც დიდი ხნით, და იძულებულია, თავისი ახალ-

გაზრდა მეუღლე მარტო დატოვოს სახლში, პრადლიდან ასი კილომეტრის მოშორებით. მას გული წყდება, რადგან სულ რამდენიმე დღის წინ დაქორწინდა და ძალიან უყვარს თავისი მეუღლე, მაგრამ მოვალეობანი და საქმის ინტერესები აიძულებს წავიდეს. მოგზაურობა ექვსი კვირა უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომლის შესახებაც კაფკა არაფერს ამბობს, ბატონ მ.ვ.-ს მოუწია ორ თვემდე გაეხანგრძლივებინა განშორების ვადა. ბოლოს, დგება ნანატრი დღეც, იგი შინ ბრუნდება: ჩამოდის სადგურზე, სადაც ტელეგრაფით გამოცხადებული ეტლი ელოდება. ბატონმა მ.ვ.-მ წარმატებით დაასრულა საქმეები, იგი ბედნიერი, მაგრამ ყველაზე უფრო ის ახარებს, რომ ამდენი ხნის შემდეგ იგი კვლავ გულში

ჩაიკრავს საყვარელ მარიას. მან უკვე თავისი ბალის ხის ჭიშკარშიც შეაბიჯა; ლამეა; შესახვედრად მებალე მოემართება, ხელში ფარანი უჭირავს. მ.ვ. აქეთ-იქით იყურება: არაფერი შეცვლილა, მაგრამ ყველაფერი თითქოს განახლებული ეჩვენება. ბებერი, თეთრი ნაგავი მხიარულად ეგებება საყვარელ პატრონს; ხანდაზმული მოახლე ქალი, ვინც ჯერ კიდევ ბავშვობიდან იცნობდა მას, ღმილით ზღურბლზე გამოდის, ესალმება. მძიმე, სამგზავრო მოსასხამის გახდაში ეხმარება.

"ახალი არაფერია?" "არაფერი ბატონო". "ქალბატონი სადაა?" "აი ისიც, კიბეზე ჩამოდის". მართლაც, მუხის კიბეებს ზემო სართულიდან ქალი მოუყვება, მხიარულად ესალმება ბატონ მ.ვ.-ს, მაგრამ იგი ქალის მოახლოებისთანავე გაოცებისგან შეხტება და იმის ნაცვლად, რომ გადაეხვიოს მეუღლეს, უკან-უკან იწევა და სიტყვის თქმასაც ვერ ბედავს. ხავერდის კაბაში გამოწყობილი ეს ახალგაზრდა, ლამაზი ქალბატონი მარია არაა, იგი არაა მისი ცოლი! მარიას შავი, სამხრეთელი ქალის თმები აქვს, ამას კი ფერფლისფერი-ქერა. მარია საშუალო სიმაღლისაა, ჩასუქებული, ეს კი მაღალია, ტანადი და გამხდარი. უცნობს თვალებიც სხვანაირი აქვს — ღია ცისფერი, თითქმის ნაცრისფერი, მარიას კი შავი თვალები ჰქონდა.

ქალბატონი ეალერსება, მოგზაურობისა და ჯანმრთელობის ამბავს ეკითხება, შემდეგ ხელს ჩაჰკიდებს მ.ვ.-ს, თავისკენ მიიზიდავს და ცხელი ტუჩებით ორივე ლოყას დაუკოცნის. მოგზაურს თითქოს მეტყველების უნარი წართმევია, ხმას ვერ იღებს; მას ჰგონია, რომ საკუთარი სახლის ნაცვლად ზმანებათა სამყაროში შეაბიჯა და აუცილებლად ვიღაცამ უნდა გააღვიძოს. მაგრამ ყველაფერი, უცნობი ქალის გარდა, ძველებურადაა. სახლი იგივეა, ავეჯიც — მისივე ხელით შერჩეული; მებალე ჩემოდნები შემოიტანა და ქალბატონის განკარგულებებს ელის; მოახლე ქალი უცნობს ისე ექცევა, თითქოს მის წინაშე ქალბატონი მარია იყოს. ძალიც, როგორც ყოველთვის, დარბის და ყფის. მაინც რა მოხდა? მის გარდა რატომ ვერავინ ამჩნევს, რომ ეს ქალი მისი მარია არაა?!

ბატონი მ.ვ. დუმლით აჰყვა კიბეებზე უცნობ ქალბატონს და საძინებელ ოთახში შევიდა. იქაც არაფერი შეცვლილა. მარიას ტუალეტის მაგიდა ისევ ისეთია, იგივე ფლაკონებითა და სხვა, მისთვის კარგად ნაცნობი საგნებით; მარიას ხალათებიც ისევ იმ ადგილას ჰკიდია; მისი, მ.ვ.-ს ფოტოსურათიც იქვე, ღამის მაგიდაზე იდო. ახალმა მარიამ ისარგებლა მისი დაბნეულობით, მოეხვია და ტუჩებში აკოცა მას; მ.ვ.-მ იგრძნო, რომ თუმცა სხეული სხვა იყო, სუნამო იგივე დარჩა, ძველებურად მწკლარტე და ეკზოტიკური.

“დაილაღე?” — შეეკითხა ქალი. თუ გინდა მოისვენე, ვიდრე ვივანხმებდეთ. მე მგონი, ძალიან გამოიცვალე, ისეთი უცნაური გახდი... რატომ მექცევი ასე ცივად? მე ხომ ამდენ ხანს გელოდე! მოხდა რამე? ცუდად ხომ არ ხარ? გინდა შენი საყვარელი ლიქიორი? სულ აქ მქონდა ბოთლი, როცა დაბრუნდებოდი...”

“არაფერი არ მინდა, თქვა როგორც იქნა ბატონმა მ.ვ.-მ, ცოტას დავისვენებ და აზრზე მოვალ. ჯერ ვერაფერი გამიგია. მარტო დამტოვეთ”.

“როგორც გინდა, ალერსიანად უბასუხა ქალმა. ჩავალ სამზარეულოში და ამბავს გავიგებ. დღეს შენი საყვარელი კერძები გვექნება”.

ხელზე მოეფერა, გაიღიმა და გავიდა. ბატონი მ.ვ. გაუხდელად მიწვა ლოგინზე, გრძნობდა, რომ გონება მისდიოდა. ვერაფრით გაეგო, რა ხდებოდა მის თავს. გაოგნებული ვერანაირ ახსნას ვერ პოულობდა. მაინც რა მოხდა? თავად ხომ არ შეიცვალა ამ ორი თვის მანძილზე ისე, რომ საყვარელ მეუღლესაც კი ვერ ცნობს? იქნებ მარია გამოიცვალა?! მაგრამ ვერავინ რომ ვერაფერი შეატყო? საშინელი ფიქრები უღრღინდა გულს — იქნებ მარია ძალით მოაცილეს აქაურობას ან სულაც მოკლეს მსახურთა დახმარებით და სხვა ქალმა, ქალმა, რომელიც აქამდე არასდროს უნახავს, მაგრამ რომელსაც, ალბათ უყვარდა იგი, მარიას ადგილი დაიკავა?

ეს ვარაუდები ერთნაირად უაზროდ ეჩვენებოდა და შეეცადა თავიდან გამოეგდო მათზე ფიქრი, მაგრამ ვერანაირი სხვა ახსნა, უფრო ბუნებრივი და მისაღები, ვერ გამო-



ძენა. ბატონი მ.ვ. რომანტიკოსი არ იყო და არც ჰოფმანისა და ედგარ პოს მოთხრობები ეხატებოდა გულზე. საღმა აზრმა, როგორც იქნა დასძლია ეჭვი. მან გადაწყვიტა პანიკას არ მისცემოდა და შეეცადა შეგუებოდა, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად მაინც, ასეთ უჩვეულო სიტუაციას.

თავს ისე დაიჭერს, თითქოს ეს უცნობი ქალბატონი მისი მარია იყოს. იქნებ თანდათან, დაკვირვებით მიაგნოს ქუმმარტებას. ასეთმა გადაწყვეტილებამ ცოტა დაამშვიდა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ აღმოფხვრა შფოთვა. როცა ცრუ-მარია ოთახში შემობრუნდა, ბატონ მ.ვ.-ს უეცრად ახალი იმედი ჩაესახა და ლოგინიდან წამოხტა: სიბნელეში მოეჩვენა, თითქოს შემოსული ის იყო, ვინც ორი თვის წინ დატოვა, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა: ეს ქალი უცხო იყო, უცნობი.

მ.ვ.-მ თავის მოთოკვა შეძლო და “ცოლს”

ხელი ჩასჭიდა. გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ მსუბუქი მაქმანებიდან გამოზრდილი ეს ხელი მარიასას ჰგავდა, თითქმის სინდისმა შეაწუხა. ახალი ცოლი ისეთივე ალერსიანი, მზრუნველი, მხიარული და ელეგანტური იყო, როგორც პირველი. თავისი მოვალეობა ახლა უკვე არც ისე რთული და საშიში ეჩვენებოდა. ისინი ერთად ჩამოვიდნენ სავახშმოდ...

კაფკას ხელნაწერი ამ ადგილას განყდა და შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, როგორ დასრულდა ეს იდეალებით მოცული ისტორია. მართალია, მოთხრობა დასრულებული არ იყო, მაგრამ სიამოვნებით გადავიხადე ორასი კრონი, რომელსაც ბუკინისტი მთხოვდა მასში.

თარგმნა მალხაზ ხარბელიამ



ავტორი: ჯავით კაიჭაძე

თბილისური კრიმინალის ალდი

აკა მორჩილაძე, *Maid in Tiflis*. თბ. “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა”, 2007.

აჰა! – ქართულ ლიტერატურაშიც გაჩნდა რომანი, სადაც მოქმედების ნაწილს წიგნები წარმოთავაზენ და ბიბლიოთეკა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე პერსონაჟები. ამიერიდან ჩვენცა გვაქვს ჩვენებური “ვარდის სახელი” და შეგვიძლია გადავიღოთ “მეცხრე კარიბჭე”.

მაგრამ მეექვსეა, აკა მორჩილაძის რომანში *Maid in Tiflis* სწორედ წიგნის თემა იყოს ნამყვანი. თუ ეკოსა და პერეს-რევერტესთან (უფრო კი პოლანსკისთან) წიგნის მიგნება, ფორმალურად მაინც, პერსონაჟთა ძირითადი მიზანია, აკა მორჩილაძე ატრიაზავებს ამ მოტივს. წიგნი აქ სულაც არ არის მიზანი. წიგნებს არც მიგნება სჭირდება, რადგან ყველა გამოფენილია, საოჯახო ბიბლიოთეკაში ძევს. მარტო ერთია დამალული და, როგორც ბოლოსკენ აღმოჩნდება, მასაც იგივე დატვირთვა აქვს, რაც ყველა დანარჩენს.

წიგნებისადმი აკა მორჩილაძის პერსონაჟთა დამოკიდებულება უაღრესად ქართულია: მათ არ კითხულობენ. ხომ ვიცით, რომ ოჯახებში წიგნების უმეტესობა არ გადაუშლიათ. მით უმეტეს, ძველი, საბჭოთა დროს გამოცემული და ნაგროვები წიგნების. მამ რაღას ყიდულობდნენ? არავითარი ენიგმა აქ არ არის. წიგნი — კაპიტალია, “დაგროვების საშუალება”. გააჭირდება — გაყიდი. ყოველ შემთხვევაში, ეს პასუხი აქვს აკა მორჩილაძის პერსონაჟს, კოლია მოგელაძეს, რომელიც კარგა ხნის მკვდარია.

აი, რა არის *Maid in Tiflis*-ის მთავარი თემა: მკვდრების, აჩრდილების, თან მყოფთა და თან არმყოფთა ძალა. მათი გავლენა ცოცხლებზე, მათი დიქტატი, უნარი, გმართონ, გამოქმედონ, გაგართონ ან სიცოცხლე გაგიმწარონ საიქიოდან. მაგრამ მთავარი თემის დადგენაც რომ ძალიან საეჭვოა? წიგნში გაცილებით მეტ თემასა თუ მოტივს დაძებნი.

აკა მორჩილაძის რომანები და მოთხრობები ორ პირობით ნაწილად შეიძლება დავეყოთ: პირობითი ისტორია ხშირად “ზუსტი” დროით, მოგონილი ამბებით, ზოგჯერ მოგონილი ადგილებით და ასეთივე თანამედროვეობა. ეს უკანასკნელი კი აკა მორჩილაძესთან არ არსებობს კრიმინალის გარეშე. ის არის ადგილ ქართული კრიმინალისა, რომლის ხელში დაიბადა, იზრდება და აგრძელებს განვითარებას ახალი ქართული სახელმწიფო, პოსტსაბჭოთა ქართული საზოგადოება. ამ ციკლის სათავეში დგას “მოგზაურობა ყარაბაღში” (გახსოვთ, არა, როგორც იწყება: აქ ომი იყო თუ რაღაც, რაც შქვია — აი, ის რომ გაიქცა და

მერე რომ...). სრულდება კი ციკლი ჯერჯერობით ამ რომანით, *Maid in Tiflis*. მოდი ახლავე ვთქვათ, რომ სათაურის გამოფერა ბევრს არაფერს მოგვცემს: მაიდ წარმოითქმის როგორც მადე და ნიშნავს ქალწულს ან შინამოსამსახურეს. მოკლედ, ნაცვლად დამზადებულია (ან: მოგონილია, შედგენილია) თბილისში ხელთა გვაქვს ქალწული თბილისში. სლვა ესე, ალბათ, უნდა გავიგოთ, ვითარცა მკითხველის შემზადება ცრუმოდრობების, ირონიისა და ლიტერატურული თამაშისათვის, რაც რომანს მართლაც არ აკლია. თითქმის იგივე და ცოტა მეტი ფუნქცია აქვს წიგნის 12 თავს ეპიგრაფად ნამძღვარებულ ჯონ ლენონისა და პოლ მაკარტნის ტექსტებს, რომანისთვის თავისუფალ თარგმანში...

კრიმინალს დაუბრუნდეთ. თუ აკა მორჩილაძის ადრეულ რომანებსა და მოთხრობებში ის იყო ცოცხალი, ხელშესახები, მჩქეფარე — ახლა რაღაცნაირად დაკრისტალბებულია, თითქმის უხილავი, ბოროტი ნატვრისთვლია, რომელსაც ყველაფერი ძალუძს. ვგულისხმობ, ამ რომანში, რაც უნდა, ყველაფერს აღწევს.

ამ ორი სერიოზული მოტივის — აჩრდილთა ძალაუფლებისა და კრიმინალის კვეთა წიგნში ზოგან ძალიან სასაცილოც შეიძლება იყოს. კოლია მოგელაძის შვილიშვილს, პლენანოველ მოგელას ბებერი ქალაქელი ბანდიტები აკითხავენ, ბაბუაშენს განძი ჰქონდა ეზოში დაფლული და იქიდან წილი გვეკუთვნისო. უკაცრავად ვარ მოუქნელი შედარებისთვის: მოგელას სტუმრების ეპიზოდი შორეულად მაგონებს შალვა რამიშვილისა და გია ჭანტურისა დარდუბალას, მაიკლ ჯექსონის ცნობილი კლიპის პაროდისა, დაფხავებული ინვალიდი ვამპირები რომ ამოდინან მინიდან და ეშვიან შევარდნაძესთან ცეკვავენ.

პლენანოველ მოგელას სახელი არ აქვს. მის მეგობარს და სრულიად ასიმეტრიულ ალტერ ეგო ბარნოველ ლევიკოს არ აქვს გვარი. მოგელას ქალს არც ერთი აქვს და არც მეორე. მას ქმარი გაუქრა, სამაგიეროდ დარჩა ავსტრიაში მცხოვრები მამამთილი (ხო ხვდებით უკვე, ვინც იქნება), რომელიც შვილის სიკვდილს არ იჯერებს და სურს, მთლიანად მართოს რძლის ცხოვრება. ის თითქმის არ ჩანს, მაგრამ სულ მოქმედებს. ბარნოველი ლევიკო მკვდარია, ბოლოშია მივხვდებით (ისიც არა დანამდვილებით), რამ მოკლა, მაგრამ სიკვდილის შემდეგ ასევე გამუდმებით მოქმედებს და ცოცხლად დარჩენილ ძმაკაცს აიძულებს, წიგნებს დააკვირდეს, კანაფით დაბინდული ტვინი გაანძრიოს და თვითონაც გაინძრეს. აკა მორჩილაძეს ძნელი საქმე გამოსდის: წიგნიერი, განათლებული, მომხიბლავი ბიჭი საბოლოო ჯამში აფერისტია, ხოლო უსაქმური ნარკომანი კი — ძალიან სიმპათიური პერსონაჟი. მისი ინერტულობა და ჩემთვის უწვდომელ სივრცეებში განრინება — ეს თბილისის ბრალია, ქალაქის, სადაც ვერაფერი ხარობს და ადამიანებიც თანდათან ქრებიან.

თორემ ჰოლანდიაში, სადაც თბილისს თავდალწული მოგელა და მისი ქალი გაიცნობენ ერთმანეთს... რომანის ეს თავი, მგონი, 21-ე საუკუნის ჯერჯერობით მთავარი ცვლქობაა ქართულ ლიტერატურაში. გულწრფელი, სენტიმენტალური და რომანტიკული *Love Story* მოთხრობილია ენითა და აქცენტით, რომელიც განუხრელი ირონიის საგანია სრულიად აღმოსავლეთ საქართველოში. ჩარლზ ჩაპლინი იხსენებს, როგორ წარმოთქვა ანა პავლოვას სადღეგრძელო ვითომ ჩინურ ენაზე, რადგან ღარიბი ინგლისური ენა ვერ აუვიდოდა მის გრძნობებს. ეგებ თბილისური დიალექტი, რომელიც საფუძვლად უდევს ქართულ სალიტერატურო ენას, მართლა უძღურია სიყვარულის აღსაწერად და ამისთვის იმერული დიალექტი უნდა გამოვიხმოთ? აკა მორჩილაძის დიდოსტატური ოპუსი და უსაზღვრო ენობრივი არტისტიზმი პასუხს თუ არა, ამ კითხვას ნამდვილად გაგიჩენთ.

Maid in Tiflis-ში არის კიდევ ერთი თავი, რომელიც გაგახსენებთ, რომ აკა მორჩილაძე გახლავთ ისტორიკოსი გიორგი ახვლედიანი. ის თან მოგვითხრობს და თან მსჯელობს ქართული ხასიათისა თუ ქცევის ორ, ვთქვათ რბილად, თავისებურებაზე, რომლებიც დამპყრობელთა ორმა სატრამპამ — ხოსრო მირზამ, იმავე როსტომ მეფემ და ლავრენტი ბერიაშვილმა შესძინეს ქართველებს. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ თითოეული ეს თვისება — თრიაქის წევა და უცხო ქალების სიყვარული — გახლავთ “მაკოორდინირებელი შტრიხი” პლენანოველი მოგელასა და ბარნოველი ლევიკოსათვის. წავიკითხავთ რა (არ მეშინია ამ სიტყვის) მის ბრწყინვალე ესეს, უთუოდ გავიფიქრებთ, რომ აკა მორჩილაძე აღარ არის მარტო მწერალი. ის არის მწერალი და საზოგადო მოღვაწე.



ავტორი: ბალა ოდიკაძე

ლექსების პასიანსი

თემურ ჩხეტიანი, ფოთლების პასიანსი (ლექსები). თბ. "დიოგენე", 2006.

ლექსების თანმიმდევრობით დაწყობა ანუ ციკლების შედგენა, ჩემი აზრით, ცალკე ხელოვნებაა. პოეტს ლიტერატორის ალღოც უნდა ჰქონდეს მომადლებული, რომ ლექსების გარკვეული ნიშნებით შემკვერელი მთლიანობა შექმნას. შეიძლება პოეტმა სამი ან ოთხი კარგი ლექსი მოიძიოს, იქვე ექვსიოდე, ნაკლები მნიშვნელობის ლექსიც დაამატოს, მაგრამ შედეგადა კი ამგვარად ციკლი? მე ვფიქრობ, არა.

ციკლიში ყოველი ლექსი მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ყოველი ლექსი უნდა "ფლობდეს" სივრცეს. ერთი სრული ციკლი კი სწორედ ამ სივრცეთა ისეთი განაწილებაა, როცა კიდეც ახალი, უფრო ფართო სივრცის პერსპექტივა იქმნება. ეს ხდება მაშინ, როცა დაახლოებით თანაბარი მხატვრული დონის ნაწარმოებები იყრის თავს. ყოველი ჩავარდნა მთლიანობის რღვევის და სიცარიელის შეგრძნებას აღძრავს. ერთი არასწორად დადებული ან გვერდშენეული კუბიკის გამო შეიძლება კუბიკებისგან აგებული მთელი შენობა ჩამოშვავდეს.

თემურ ჩხეტიანის საკმაოდ ვრცელ წიგნში ვცდილობ განწყობილების სიმკვეთრით აღბეჭდილი ის ლექსები შევარჩიო, რომლებიც ჩემთვის სასურველ, ჩემთვის წარმოსახულ ციკლად გაერთიანდა.

მიუხედავად იმისა, რომ თემურ ჩხეტიანმა სხვადასხვა დროს გამოცემული წიგნები გააერთიანა, მაინც შეიძლება იმ ერთი ზოგადი მკაფიო განწყობილებისმიერი გამჭოლი სხივის მოძებნა, რომელიც ამ წიგნებს ემოციურად კრავს. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს ლაიტმოტივი, ეს ლირიკული დინება უნდა ვიპოვო. ამ უმთავრესი მოტივის პოვნის შემდეგ ვაკვირდები ლექსწერის რა ხერხების მეშვეობით გადმოსცემს ავტორი ხაზგასმულად თავის სათქმელს. საბოლოოდ, რაც შეიძლება მჭიდროდ უნდა მოვუყარო თავი იმ ლექსებს, რომლებშიც კონცენტრირებულია მთავარი განწყობა და ამ განწყობის გადმომცემის ლექსწერის ხერხები.

აი რას წერს თემურ ჩხეტიანი: "...მაგრამ მე ვწერდი მხოლოდ იმდენს, / რამდენიც შემეძლო / ვწერდი ცოტას, / რადგან თვითონ მეც ცოტა ვიყავი." როცა ის ამბობს, რომ წერდა იმდენს, რამდენიც შეეძლო, ანუ წერდა ცოტას — ეს პროფესიული დამოკიდებულებაა საკუთარი თავისადმი. ის წერდა ცოტას, ე.ი. წერდა მაშინ, როცა

შთაგონება ეწვეოდა. შთაგონება კი ის განწყობა იყო, რომელიც მას თითქმის მუდმივად ჰქონდა, მაგრამ დროდადრო მდინარესავით არა მხოლოდ მოედინებოდა, არამედ ადიდებოდა და ნაპირებიდან გადმოდიოდა კიდეც. სწორედ ამ "წყალდიდობის" პერიოდში წერდა თემურ ჩხეტიანი ლექსებს, ვინაიდან მხოლოდ ასეთ დროს იძენენ ლექსები მნიშვნელობას, ისიც მაშინ, როცა ზეანუელი განწყობა და შესაბამისი ლექსწერის ხერხები ერთმანეთს.

მე ვიღებ თემურ ჩხეტიანის კრებულს და პასიანსივით ვშლი იმ ლექსებს, რომელთაგანაც შეიძლება უკვე არსებულზე უკეთესი ციკლი შედგეს. ბუნებრივია, ბევრი ლექსი ამოვარდება წიგნიდან, რადგან უმთავრესია არა ლექსების რაოდენობა, არამედ თუნდაც მცირე რაოდენობის ლექსებით შექმნილი ლირიკული სივრცის სიფართოვე.

აი, ვთქვათ ერთი ასეთი ლექსი: "ჩემმა სხეულმა გაიარა ოთხი კედელი / გაეშურა ოთხივე მხარეს, / თვალს მიეფარა და... დამეძინა." აქ პოეტის ობიექტივმა ჩაძინების მომენტი აღბეჭდა, მხოლოდ არა ვიზუალური სივრცე, არამედ შეგრძნებათა ნაკადი. ან ასეთი ლექსი: "მე ვწვავ ხელნაწერებს, / იფერფლება ნელა ქალაქი, / ხოლო კვამლი / თეთრი და მწარე / უკან მიბრუნებს ცრემლებს ლექსიდან." კიდევ ერთი: "ჩაიარა გვიანმა მანქანამ / ჩაიარა შუალამის ეშელონმა, / სადღაც ფანჯარაში გაკრთა სილუეტი, / ფანჯარაც ჩაქრა... / სიჩუმეა, ჩუმად ვენევი." კიდევ ერთი: "მსურდა, რომ კარი გამომეღო, / მაგრამ მე ხელში / სახელური შემრჩა მარტოდენ, / იქვე დაეტოვე / ეგებ ვინმემ გამოიყენოს."

ამ მცირე ზომის ლექსებში არა მხოლოდ წამიერი განწყობილება, არამედ უეცრად აღძრული ასოციაცია მოხელთებული. აქ პოეტმა ძნელად მისაღწევ მიზანს მიაღწია: ფოკუსი თითქმის ბოლომდე გაასწორა, რამდენადმე ზუსტი სიტყვიერი ექვივალენტი გამოუძებნა განცდას. ვერ ვიტყვოდი იგივეს ამ ციკლური მონაკვეთის სხვა ლექსებზე.

წიგნში არ შევიტანდი იმ ლექსებს, რომელთა საერთო სათაურია "ხუთი მარტივი შაირი". ეს ლექსები ზოგადი განწყობილებით თითქოს ორგანულად თავსდება კრებულის კონტექსტში, მაგრამ შესრულება, ამ შემთხვევაში ხალხური სამეტყველო კილო, არ ესადაგება ვარიაციულად მრავალგზის გამეორებულ განწყობილებას.

თემურ ჩხეტიანის პოეზიაში ყველაზე ხელშესახებად მარტოობის მოტივია წარმოჩენილი. ეს მარტოობა სულიერიც არის და ფიზიკურიც. სადღაც პროვინციაში, ხმაურიან ქალაქებს მიღმა ცხოვრობს ამ ლექსების ლირიკული სუბიექტი, ამ სივრცეში ბუნებრივად ჟღერს ფრაზა: "მაისი ისევ წვიმიანია", რადგან ირგვლივ არაფერი ხდება, მხოლოდ და მხოლოდ წვიმს. ასეთია თემურ ჩხეტიანის პოეზიის ატმოსფერო, - გამჭვირვალე, მსუბუქი ნაღველით და სინანულით გაჟღენთილი. ეს არის მისი პოეტური კრებულის ლაიტმოტივი და ამ ნიშნით ვშლი მეც მისი ლექსების პასიანსს. მხოლოდ ვარჩევ იმ ლექსებს, სადაც მონყენილობა მშრალი დეკლარირებული სტილით კი არა, პოეტური მინიშნებების ენით არის გამოხატული. პასიანსი ორი მთავარი ტექსტის ირგვლივ გაიშლება, ეს ლექსებია "ბუდე" და "ფოთლების პასიანსი". აქვე ჩემს მიერ შერჩეული მთელი ციკლი მოიყრის თავს: "თიხის ლარნაკი", "ოთახი", "თებერვლის ფურცელი", "გაუქმებული სიზიფე", "იანვარი", "ორნი ერთად" და სხვა.

და კიდევ: საერთო სურათს თემურ ჩხეტიანის პოეტური მდინარეების ერთი შენაკადიც ერთვის. ეს არის, პირობითად რომ ვთქვათ, ჭვრეტითი-მედიტაციური ლირიკა. ფაქტობრივად ეს მახვილგონივრული ლირიკული განაზრებებია, ოღონდ აქაც ჩხეტიანისეული წყნარი, მარტოობაში აღძრული ფიქრის ჩქამი იძვრის: "ფსალმუნი II", "მუზეუმი III" და სხვა ლექსები.

პასიანსი განწყობილია. აქ უფრო ნაკლები ლექსია, მაგრამ მეტია სივრცე და საგანთა სიმკვეთრე.



ავტორი: თომა ამირანაშვილი

კრიტიკოსის არჩევანი

ანდრო ბუაჩიძე “ილუზიების მსხვერვალი”. გამომცემლობა “სამკალი”. თბილისი 2006.

ანდრო ბუაჩიძისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს სხვადასხვა ვითარებაში რას წერს კაცი – ლექსს, მოთხრობას თუ კრიტიკულ წერილს. მთავარია, ვინ წერს. ეს “ვინ”, მისი აზრით, უნდა იყოს მხატვარი, ლიტერატორი, ნატიფი კულტურის მქონე პიროვნება.

ამის განმარტება დასჭირდება მკითხველს, ვიდრე ლექსების ორი წიგნის ავტორის და ამ ჟანრში რამდენიმე ლიტერატურული პრემიის მფლობელის, მესამე – კრიტიკული წერილების კრებულს აიღებს ხელში.

ამას ისიც დაეუმატოთ, რომ ანდრო ბუაჩიძე თარგმნის პოეზიას, წერს პიესებს, მოღვაწეობს პედაგოგიურ სარბიელზე...და წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა ლიტერატურულ კონკურსებში..

ასეთ შემთხვევაზე ახლა არცერთი ცნობილი ქართული ანდაზა ან შეგონება არ მახსენდება, რადგან ვთვლი, რომ ჩვენში კრიტიკას უფრო უჭირს, ვიდრე ლიტერატურას და რაც უფრო მეტი შემოქმედი დასაქმდება ამ ჟანრში, უფრო უკეთესი იქნება.

ჩვეულებრივ, შემოქმედი სწავლულზე უფრო თამამია საკუთარ მსჯელობაში. ერიდება ვრცელ ლიტერატურულ-თეორიულ დისკუსიას და მზამზარეული აზრების გამოხატვას. შემოქმედებითი გამოცდილება, რომ ყოველი ფრაზა აუცილებლობით იყოს ნაკარნახევი, მის ტექსტს შინაარსიანს და ადვილად გასაგებს ხდის.

ამ წიგნში ავტორი განსაკუთრებით ლაღად გრძნობს თავს, როდესაც პოეტის შემოქმედებას ეხება, ამ დროს იგი კი არ “აკრიტიკებს”, არამედ ერთგვარი გიდის მოვალეობას ასრულებს და მკითხველს ლექსწერის რთულ პროცესში ახედებს.

კრიტიკოსი ანდრო ბუაჩიძე მარტივად წერის მომხრეა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორი იმის ახსნას ცდილობს, რაც პროზაული ენით არ გადმოიცემა), არ უყვარს სწორი განსჯები და “სიართულედ მონათლული ბნელმეტყველება”, რადგან ეს ყველაფერი მისთვის ყოველთვის სწორხაზოვან აზროვნებასთან ასოცირდება.

კრებულში ავტორმა ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ ლიტერატურულ წერილებს, ესეებს და საუბრებს მოუყარა თავი (შეიძლება ამ ხნის მანძილზე კრიტიკოსის აზრო-

ვნებაშიც მოხდა ლირებულებათა გადაფასება, მაგრამ ამას საგანგებოდ არ დავკვირვებვარ). ეს კი ლიტერატურის საკმაოდ ვრცელ ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ არეალს მოიცავს, სადაც ლირებულებათა ცვლილება და ილუზიების მსხვერვა კარგად იგრძნობა.

ასეთ დროს კრიტიკული აზრი და ათვლის საერთო წერტილის მოძებნა უფრო ძვირად ფასობს. ავტორიც ეთანხმება მოსაზრებას, რომ მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა ხელახლა უნდა შეფასდეს, ბოლშევიზმის ლაფი და ჭუჭყი ჩამოსცილდეს ქართულ კულტურას, უნდა აღდგეს ის კრიტიკიკები, რომლებიც კომუნისტებმა მახინჯი იდეოლოგიით გაამრუდეს, თუმცა ამჩნევს საპირისპირო ტენდენციას, რომ გარკვეულ წრეებში გამოჩნდნენ “არასრულფასოვნების კომპლექსით დასწრული ტიპები”, რომელთაც ლირებულებათა შერყვნა და ნამდვილ ფასეულობათა უარყოფა მოიწადინეს.

ალბათ, ამ ტიპებს შორის აღმოაჩინა კრიტიკოსმა საბჭოთა კალმონის თავისებური ნაირსახეობა “მწერალი-პრაგმატიკოსი”. ადამიანი, რომლისთვისაც მწერლობა საბოლოო მიზანი კი არ არის, არამედ მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებაა. თათბირების, პრეზენტაციების, ტელედებატების მუდმივი მონაწილე მწერალი, რომელმაც უკვე იმდენი დაწერა, რომ სოციალურად ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. ის თავს ლირებულებათა უარყოფით იწონებს, თუმცა საკმაოდ მოქნილია და მზად არის დათმობაზეც წავიდეს, თუ იერარქიულ კიბეზე ერთი საფეხურით ამაღლების საშუალება მიეცა.

ამავე წერილში, მწერალ-პრაგმატიკოსის სრულყოფილი პორტრეტის გვერდით, იკვეთება კონტურები “უბირი ავტორისა”, რომლის ლიმიტსომგვერდ ნაწარმოებებში, თუ პროზად არის დაწერილი, “სექსუალური აღვირახსნილობა” ჭარბობს, ხოლო თუ ლექსებია - “პერიოკულ-პატრიოტული” მოტივი.

ანდრო ბუაჩიძე აკვირდება ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას და სხვა საინტერესო აღმოჩენებასაც გვთავაზობს, თუმცა ის მაინც ერიდება ავტორიტეტებთან ბრძოლას და ხმაურთან პოლემიკას, მას ლირებულებათა დამკვიდრების საკუთარი გზა აქვს არჩეული.

რადგან კრიტიკოსი არჩევანში თავისუფალია, ალბათ, რაღაცას უნდა ნიშნავდეს ორი-სამი წერილი გურამ რჩეულიშვილის, ჯემალ თოფურაძის, თამაზ ბაძალუას, ვახუშტი კოტეტიშვილის, ირაკლი სამსონაძის შემოქმედებაზე; უფრო ძველი თაობიდან ალექსანდრე ყაზბეგის, ნიკო სამადაშვილის, გერონტი ქიქოძის; ხოლო უცხოელთაგან დოსტოევსკის, ვულფის, რილკეს, პასტერნაკის (რა თქმა უნდა, წიგნში ის სია უფრო ვრცელია) გამოყოფა, გამოჩენა, როგორც ხდება ნაყოფისდამხედვეთ, რომ ოდესმე მაინც დაბინავდნენ ღირსების შესაფერისად, დასხდნენ მარჯვნივ და მარცხნივ...

შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმთა შორის კრიტიკოსი სამყაროს თანამედროვე რაკურსით ხედვის, ევროპული ფასეულობის და ახალი მსოფლმეგრძნების საზომ ერთეულსაც იყენებს. ესაა თანამედროვე ლირებულებები და სრულიად საკმარისია შემოქმედისთვის, რომ მან თავის თანამედროვეთა შორის მართლაც ღირსეული ადგილი დაიკავოს, ვიდრე უფრო ახალი მსოფლმეგრძნება არ დაძველებს დღევანდელ სიახლეს და ხელახალი გადაფასების დრო არ დადგება.

რა თქმა უნდა, კრიტიკოსსაც შეუძლია ამ საზომით შეაფასოს ლიტერატურული პროცესები და რომელიმე თანამედროვე კლასიკოსის “ხელისმომკიდედ”, პოპულარულ კრიტიკოსად იქცეს. თუმცა, არსებობს სხვა გზა, შეფასების სხვა “მუდმივა”, არაპოპულარული მეთოდი, რომელიც არა მხოლოდ ტექსტის, არამედ საერთოდ ადამიანის “მარადიულ კონტექსტში” განხილვას გულისხმობს.

კრიტიკოსის არჩევანი ამ შემთხვევაშიც თავისუფალია. ვფიქრობ, ეს არჩევანი ანდრო ბუაჩიძეს უკვე გაკეთებული აქვს (ნიკო სამადაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილი), ახლა მხოლოდ მისი ერთგულება ევალება, რაც თანდათან, ალბათ უფრო გაძინდება.



ავტორი: გია არბანაშვილი

აქა აბაზვი ქაქუცელისა

ივანე ლიქოკელი, “ხევსურები და ქაქუცა”. თბ. “არტანუჯი”, 2006.

1922 წელს ხევსურებმა საბჭოთა ხელისუფლებას ომი გამოუცხადეს.

ასეთი ცნობას ისტორიის ვერც ერთ სახელმძღვანელოში ვერ შეხვდებით, რადგან დღემდე 1922 წლის ზაფხულში ხევსურეთში განვითარებულ მოვლენებს, რომელშიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმიც მონაწილეობდა, აჯანყების სახელით ვიცნობდით.

რა თქმა უნდა, საუბარია ერთსა და იმავე მოვლენაზე, ივანე ლიქოკელის წიგნი “ხევსურები და ქაქუცა” კი მხოლოდ ცდაა ამ ისტორიული მოვლენის რაობის, ფორმისა და შინაარსის გარკვევისა.

ომია და ომი იყოს. შესაძლოა, ასეთი განმარტება უფრო მისაღებია ისტორიული მეცნიერების მკვლევართათვის, ხოლო ჩვეულებრივი მკითხველისათვის ამას გადმწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ის კმაყოფილი დარჩება, რაც ადრე ყურმოკვრით, ზეპირგადმოცემით იცოდა, კიდევ გამდიდრდება ახალ-ახალი მასალებით და მოვლენათა სრული, შეულამაზებელი სურათი აღდგება.

წინასიტყვაში ავტორი დაგვირბდა, რომ არ გაიმეორებდა სხვადასხვა მემუარებში გამოქვეყნებულ მასალებს, აჯანყების მონაწილეთა მონათხრობით, ზეპირგადმოცემაზე დაყრდნობით ახალი ფაქტებით გაამდიდრებდა მთელი ამ მოძრაობის ისტორიას და ადგილობრივი გარემოს, ხევსურთა წეს-ჩვეულებების სათანადო ცოდნით გამოკვლევას ობიექტური ისტორიის სახელს შესძენდა.

ასეთი პირობა ამ ოციოდე წლის წინ სრულიად საკმარისი იქნებოდა მკითხველის ნდობის მოსაპოვებლად, მაგრამ დღევანდელმა სამწუხარო გამოცდილებამ მას უნდობლობა გაუმძაფრა ისტორიული ტექსტების მიმართ. ასე ადვილად აღარც ზეპირი გადმოცემებისა სჯერა და არც მოვლენების გაპოეტურების ცდა ხიბლავს, მან იცის, რომ წარსულის დავინწყება ან გაიდიდება ფასეულობათა აღრევას იწვევს და ამისთვის უანგარიშოდ არაფერს ირჯება.

ასეთი მკაცრი რეალობაში მოუწევს ამ წიგნს მკითხველთან შეხვედრა, მე კი გულწრფელად ვუსურვებ მას წარმატებას, რადგან ავტორს წლების განმავლობაში საკმაოდ ბევრი უმუშავია, კვლევა კი ორ უმნიშვნელოვანეს საკითხს -- ხევსურეთის აჯანყებას და ქაქუცა ჩოლოყაშვილის პიროვნებას ეხება.

ხევსურეთის აჯანყება 1921-24 წლებში ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, მიუხედავად იმისა, რომ უკვე

ორი ათეული წელია იმ მოვლენების კვლევა მიმდინარეობს, ჯერ კიდევ ბევრი რამ ბურჟუაზია მოცული, ამის მიზეზი კი ისაა, რომ კვლევა კონკრეტული დროით იზღუდება და არ ხდება თემის სრულყოფილი განხილვა, რომელიც მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფორმატშია შესაძლებელი. დასაწერია ვრცელი ისტორიული მიმოხილვა 1801 წლიდან მოყოლებული, ვიდრე 1989 წლის აპრილამდე და კიდევ აქეთ, რომელიც ალბათ მომავალში დაინერგება. ამისთვის კი მომავალ ისტორიკოსს ხელთ სწორედ ასეთი დოკუმენტური მასალა უნდა ჰქონდეს, რომ საკითხის განხილვა გაუადვილდეს.

შეუძლებელია ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელის გამიჯვნა ხევსურეთის აჯანყებისგან, თუმცა, ეს ორი სრულიად დამოუკიდებელი მოვლენაა, ერთ შემთხვევაში თუ ავსებენ ერთმანეთს, მეორე შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდიან და ავტორს უხდება მტკიცება, რომ ხევსურეთის აჯანყება მაინც დაინწყებოდა ჩოლოყაშვილის რაზმი რომ არ შესულიყო ხევსურეთში და შეფიცულთა მიერ ხევსურეთის დატოვება ობიექტური მიზეზებით იყო ნაკარნახევი.

ირკვევა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის პიროვნების ირგვლივ კითხვები მაინც არსებობს, თუმცა ჩვენი ცხოვრების უცნაურობა ისაა, რომ ამ კითხვების დასმას საზოგადოებიდან შეიძლება ისეთივე მძაფრი რეაქცია მოჰყვეს, როგორსაც ათწლეულების მანძილზე მისი სახელის სხენება იწვევდა.

ასეთია ამ დატანჯული კაცის ბედისწერა, ბრწყინვალე არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელს, დაუდგრომელი ხასიათის გამო შინაურებმა მეტსახელად ქაქუცა რომ დარქვეს. ამ სახელით, კავალერიის პოლკოვნიკი მატანსაც ვერ უნდა გაცდენოდა, მაგრამ სხვანაირად ინება განგებამ, სწორედ ამ სახელით და ეროვნული გმირის მანტიით 2006 წელს ხალხმა მისი ნეშტი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში პატივით მიაბარა მშობლიურ მიწას. პირველად 90-იან წლებში გაცხადდა მისი სახელი, როცა ეროვნული მოძრაობის მესვეურებმა თავდადებულთა გალერეაში ცარიელი ჩარჩოების შევსება მოინადინეს, თუმცა მაშინ ის ჯერ კიდევ რიგითი თავგანწირული იყო, შემდგომმა თაობამ უფრო ზევით, მთაწმინდაზე მაღლა ასწია მისი სახელი და თავიანთ სულიერ წინაპრად გამოაცხადა.

წიგნში ადგილი ეთმობა აჯანყების მონაწილეს, ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის მიხა ხელაშვილის პიროვნებასაც. მისი ლექსები ქრონოლოგიურად მიჰყვება მოვლენებს, თუმცა, ამ თემაზე რამდენიმე ლექსი და მათ შორის, ეს ცნობილი სტრიქონებიც: “ერთი შეცდომა დაუშვი, გამოვყვე ქაქუცელებსა...” დამაკლდა თვალში...

წიგნს უხდება იშვიათი ლირებულების შავ-თეთრი ფოტოები და ფერადი ხევსურული დიალექტი: “..... ტყვიის წვიმამ შემკრთალ არვის უნახავ ის-ი, სიკვდილს ქვე არას ჩაგხედევდ... ცხენზე ჯდომა რახელი-იცოდის, ქვეთას გვერდზეთი მაველის აი უნაგირს უზანაგის უხმარად... ქვე რახე შეშპრობათამამობა იცოდა იმან, აი ფხთ რო ცეცხლი ეკიდის, ჩოხის კალთან ქვე არ იძროდიან...” და ასე დაუსრულებლად, გმირის სახეს დანატრებული ხევსურები ფარდაგებს აქსოვენ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის სახელს.

ხევსურეთს ხომ ყოველთვის მითებით ჰყავდა განებივრებული დანარჩენი საქართველო, ჰოდა, ამჯერადაც მითიურ გარემოს ქმნიან ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის პორტრეტისათვის. მაღე აქ, ფიც-ვერცხლით შეკრულ და ღვთიური ფიცით შედუღებული რაზმის, ღვთით მოცემულ და დამტკიცებულ, გაბეულადებულ პოლკოვნიკს ისეთ საგმირო ლექსს გამოუთქვამენ, რომ როგორც ბესიკ ხარანაული ამბობს, ჰომეროსის მუხაც დაიმორცხვებს მის წინაშე...

ამიტომ სჯობს, ისევ ხევსურთა გმირულ პანთეონში დარჩეს მისი სახელი, რომ ისტორიკოსთა განმაქიქებელი სიტყვა ვერასოდეს მისწვდეს.



ოთარ ჭილაძე

„ყოველმან ჩემთან მოკვლავან“ (რომანი).
მეოთხე გამოცემა. თბ. "არტე", 2007.

ნეტავ, რა სჭირს ადამიანს? ან რა შეაყოლა ღმერთმა ტალახს ასეთი მოურჩენელი? – კითხვები, რომელთა პასუხადაც სქელტანიანი რომანები იწერება, ფერწერული ტილოები იხატება, მუსიკალური ბგერების ჰარმონია იქმნება. მართალია, შეკითხვა დღემდე პასუხგაუცემელია, მაგრამ, სამაგიეროდ, გვრჩება შედეგები, რომლებიც სამუდამოდ გვა-

მასსოვრებენ თავს. სწორედ ერთ-ერთი მათგანია ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემთან მოკვლავან“ – რომანი მოურჩენელი პერსონაჟებით, განუკურნებელი სახეებით, ყველა დროისა და თაობის საყვარელი მწერლის წიგნი. რომანის ახალი გამოცემა ერთგულ მკითხველს კიდევ ერთხელ გაახსენებს დაუფიქრებელ პერსონაჟებს, მათ კი, ვინც წიგნს აწი უნდა გაეცნონ, წინ პირველად წაკითხვის დიდი სიამოვნება ელით.

აკა მორჩილაძე

„ძველი გულაქაურისა და ხმლისა“ (რომანი)

თბ. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2007.



ბადუნა ფანველი ციხიდან გამოდის – რა ესაქმებოდა იქ, ან მერე რატომღა გაათავისუფლეს – დანამდვილებით კაცივითღა არ იცის... არც იმის ამხსნელ-განმმარტებელია ვინმე, გამუდმებით რატომ იკარგება ბადუნას მუნჯი და ჭკუანაკლული უმცროსი ძმა თედი, რატომ მიიწევს ზღვისკენ... ან კიდევ სად გაქრა ბიჭების დედა, მინამ ჩაყლაპა თუ ქარმა გაიტაცა... გმირების ტრაგიკული ისტორია, რომელსაც ფონად რუსეთ-თურქეთის ომი გასდევს, მწერლის ახალი რომანის სიუჟეტად იქცა. წიგნი ნამდვილი სიუპრიზია აკა მორჩილაძის პროზის მოყვარულთათვის, ხოლო მათ კი, ვინც აკას ჯერ არ იცნობს, ეს სევედიანი და საინტერესო ისტორია მისი სხვა ნაწარმოებების წაკითხვას მოანდომებს.

ბრიგოლ აბაშიძე

„100 ლექსი“ (ლექსები)

შემდგენელი დავით აბაშიძე; თბ. "ინტელექტი", 2007.

ნუ გაგიკვირდებათ, რომ ხანდახან შავ ზღვაზე თეთრი ლექსები იწერება, ნურც ის მოგეჩვენებათ უცნაურად, თუ საქართველოს დაუძინებელი მტრები ლამაზი ლექსების მუზები ხდებიან, და არც იმან გაგაოცოთ, როცა საუკუნეებით დადუმებული აკლდამებისგან ვინმე ყურადღებას ითხოვს – პოეტებს რას გაუგებ... გრიგოლ აბაშიძის „100 ლექსი“ კიდევ ერთხელ გაახსენებს პოეზიის მოყვარულებს ნაცნობ რითმებს, საყვარელ ტექსტებს, სტროფებს, რომლებიც ზეპირად იცოდნენ... ქართველი მკითხველის ის ნაწილი კი, რომელიც გრიგოლ აბაშიძეს მეტწილად მისი ისტორიული რომანებით („ლაშარელა“, „თეთრი ღამე“) იცნობს, მწერალს ახალ, განსხვავებულ ჟანრში იხილავს.



კამილო ხოსე სელა

„პასკუალე დუარტეს ოჯახი“ (რომანი).

მთარგმნელი ლამარა თურმანიძე. თბ.

„ინტელექტი“, 2007.

გაუგონარი სისასტიკე, დაუნდობელი მკვლელობების სერია, სასიკვდილო განაჩენი, უპრინციპო ძალადობა, სისხლი – ნაკადებად, და ეს ყველაფერი ერთ რომანში თავმოყრილი, ერთი შეგნული ადამიანის თავგადასავლად შეკრული. ესპანელი ავტორის, კამილო ხოსე სელას პირველი რომანი არგენტინაში გამოიცა

(1942) – ესპანეთი შოკში ჩააგდო ნატურალიზმის ასეთმა ფორმამ და ამხელა დოზამ. თუმცა, მალე ესპანელმა მწერალმა არა მარტო სამშობლოში, მსოფლიო ლიტერატურაშიც მოიპოვა აღიარება და 1989 წელს ნობელის პრემიაც მიიღო. წიგნში „პასკუალე დუარტეს ოჯახის“ გარდა მისი რამდენიმე მოთხრობაცაა შესული.

ჯემალ ქარჩხაძე, მაკა მიქელაძე

„ბარძნულ-რომაული მითები და მითები დაკავშირებული ფრთიანი გამოთქამები“

ილუსტრატორი ნინო ჩაკვეტაძე,

თბ. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბ. 2007.



სიტყვები, რომლებიც ხშირად ესმის თქვენს პატარებს, ფრაზები, რომლებსაც ბევრჯერ გადაყრისხართ ბავშვებთან ერთად წიგნების კითხვისას, ან კიდევ ტელევიზორის ეკრანებთან მიმხდრებს გაუგონიან სხვადასხვა მყარი შესიტყვებები და მერე არაერთხელ დაუყენებიათ პატარა ონავრებს იმ სირთულის წინაშე, აგებსნათ მათ ენაზე, რას ნიშნავს „სიზიფეს ქვა“, „არიადნეს გორგალი“, „ტროას ცხენი“... ახალი წიგნი კი ერთგვარი სახალისო მასწავლებელია; ბერძნულ-რომაული მითოლოგიის პერსონაჟების ზღაპრად მოყოლილი თავგადასავლები, მათთან დაკავშირებული ხატოვანი გამოთქმები და განმარტებები პატარებს სამყაროს აღქმას გაუადვილებს და შეამზადებს მათ სამომავლოდ უფრო დიდი და ღრმა ცოდნის მისაღებად.

ლორან ბოლდე


„სკორტების მზე“ (რომანი).

მთარგმნელი ნინო ახვლედიანი. თბ. "აგორა", 2007.



გამარჯვებისთვის იყო გაჩენილი, მაგრამ უფრო ხშირად აგებდა. უნდოდა გმირი ყოფილიყო, მაგრამ საბოლოოდ დამნაშავე და ანტიგმირი გახდა. ოცნებობდა, ლამაზი ცხოვრება ჰქონოდა, მაგრამ 15 წელი ციხეში გაატარა. და ყველა ამ მარცხის, წარუმატებლობის მიუხედავად, მაინც არ წყვეტდა გამარჯვებაზე ფიქრს და ბედნიერებისკენ სწრაფავს. შინ დაბრუნებულს კიდევ

ერთხელ გაუცრუვდა იმედები – საყვარელმა ქალმა აჩუქა შვილი, რომელსაც ზუსტად იგივე ბედი ეწია, რაც მამამისს – სკორტების კლანის მორიგი წარმომადგენელი გახდა და ვერ ასცდა წინა თაობის წყევლას, ყოფილიყო "უცხო თავისიანებს შორის". როგორია მანკიერი ადამიანის ბედი, რომელიც გამუდმებით ცდილობს, გააღწიოს სიბნელიდან, მაგრამ საბოლოოდ ერთსა და იმავე წრეზე ტრიალებს... რომანისათვის "სკორტების მზე" ლორან ბოლდეს გონკურის პრემია მიენიჭა და წიგნი მსოფლიოს 34 ენაზე ითარგმნა.



პერ პეტერსონი
„ბაქაშუპი სხენები“
Per Petterson / OUT STEALING HORSES
258გვ Graywolf Press

ტრონდ სანდერი მარტო დარჩა – მას მეუღლე და და დაეღუპა, ახლა კი ამ ტყვიის განკურნებას სწორედ მარტოობით ცდილობს. არავითარი დრამატიზება – უბრალოდ, სურს, სახელმწიფო სუბსიდიზე იცხოვროს და ძველი ადგილმდებარეობა შეიცვალოს. ამასობაში საინტერესო დასკვნამდეც მიდის – თურმე ილბიანი ადამიანი ყოფილა –

მისი ცხოვრებისეული მისწრაფება ხომ ყოველთვის მარტოობა იყო?.. ვითომ, მეუღლის დაღუპვამ ის უბრალოდ გაათავისუფლა? საინტერესოა სკანდინავიელის თვალთ დანახული განსხვავება მარტოობასა და გარიყულობას შორის... ნორვეგიელი მწერლის, პერ პეტერსონის ახალი რომანი სულ ცოტა ხნის წინ IMPAC-ის ირლანდიური ლიტერატურული პრემიის მფლობელი გახდა.

ნაილ გრიფიტსი
„ლილიპუტი“
Runt / Niall Griffiths
149გვ Jonathan Cape



ნაილ გრიფიტსის ახალი რომანის პერსონაჟი ეპილეფსიით დაავადებული პატარა ბიჭი – ლილიპუტია. იგი 16 წლის ასაკში სიხარულით ტოვებს სკოლას და ბიძამისის ჯოჯოხეთურ ფერმას. მამა არ ჰყავს. დედა კი ცდილობს, შეინარჩუნოს შეურაცხმყოფელი ურთიერთობა მამინაცვალთან... ბიჭის ერთადერთი მეგობარი მისივე ძაღლია, რომელთან ერთადაც სახლის წინ მიგდებულ, მიტოვებულ ჟანგიან მანქანაზე წვიმის წვეთების ხმას უსმენს ხოლმე. მორიგი წვიმისას ბიჭს იდეა მოსდის – გადაწყვიტოს, ძაღლთან ერთად შეთქმულება მოაწყოს მამინაცვლის წინააღმდეგ და, არც მეტი, არც ნაკლები – მოკლას იგი, ისე, როგორც მტაცებელი ფრინველები ხოცავენ თავგებს. "ჩვენ ვქმნით მონსტრებს, იმისთვის, რომ ხანდახან სწორედ მათმა არსებობამ შეგვახსენოს ჩვენი ადგილი ამ სამყაროში," – ამბობს გრიფიტსი თავისი ახალი რომანის შესახებ.




ინგო შულსე
„მოზილური ტელეფონი“
Ingo Schulze / Handy
280გვ Berlin Verlag

1999 წლის დეკემბერი, საახალწლო ღამე – ბერლინი ათასწლეულის დასასრულს ხვდება. ახალგაზრდა მასწავლებელი, ფრანკ რეიხერხტი, რომელიც დასავლეთ გერმანიაში მუშობს, საშობაო არდადეგებზე შინ ბრუნდება, და სწორედ ათასწლეულის მიჯნაზე ხვდება იულიას, თავის ძველ, დაკარგულ შეყვარებულს. არადა, დამო-

რებიდან მთელი წლის მანძილზე არაამქვეყნიურით დაბოდილობდა აქეთ-იქით, არც კარიერული წარმატების გემო გაუგია და ვერც ახალ ნაცნობებთან მოძებნა საერთო ენა. ყველგან იულიას აჩრდილი დაჰყვებოდა, და იმაზე ფიქრი, რომ ყველაფერი შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო. ახლა კი, როცა მისთვის ახალი ათასწლეული სასწაულებითა და ბედნიერებით იწყება, ცოტა არ იყოს, დაბნეულია...

ეპოქალური რომანის "ახალი ცხოვრების" (Neues Leben) შემდეგ ეს წიგნი თანამედროვე გერმანელი მწერლის, ინგო შულცეს, მეორე სერიოზული ნაშრომია.



ფრედერიკ ბებლბერი
„მიტუვაპაში დახმარება“
Au secours pardon / Frédéric Beigbeder
318გვ Grasset & Fasquelle

99-ფრანკიანი სარეკლამო განცხადების ავტორი ოქტავი კვლავ ბრუნდება. ამჯერად ის დიდი ჩრდილოეთის დედაქალაქში, მოსკოვში, დახეტიალობს – არც მეტი, არც ნაკლები, ახალი პროფესია შეიძინა. ეს სწორედ ის არის, რაზეც დიდი ხნის მანძილზე ოცნებობდა – სამოდელო სააგენტომ მას ქვეყნის ულამაზეს გოგონებს

შორის საუკეთესოების არჩევა დაავალა. უცნაური, მაგრამ ასეთ დროს ყველა გოგო გაუცნობიერებლად ცდილობს, ერთსა და იმავე მითიურ არსებას დაემგვანოს, და მეტ-ნაკლებად გამოსდით კიდეც ეს... აი, სანკტ-პეტერბურგელი მოზარდი ლენა კი სულაც არ გავს სხვებს, რაც ოქტავის ყურადღებას მიღმა არ რჩება. თუმცა, ეს ყველაფერი არ არის – გოგონა ოქტავის ცხოვრებაში პირველი და უკანასკნელი სიყვარული აღმოჩნდება...

მაიკლ ონდატჯე
„დივისადერო“
"Divisadero" / Michael Ondaatje
273გვ. Alfred A. Knopf



ქუჩას, სადაც ანა ცხოვრობს, "დივისადერო" ჰქვია. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ესპანური სიტყვის "დივისიონ"-ის ("გაყოფა") მიხედვით ეს ქუჩა გამყოფი ხაზი უნდა ყოფილიყო სან-ფრანცისკოსა და პრესიდოს ველებს შორის, ან კიდეც, ეტიმოლოგიას უფრო თუ ჩავუღრმავდებით, ისიც დასაშვებია იქნება, რომ რომანს იმ ადამიანის სახელი ჰქვია, ვინც შორი დისტანციიდან აკვირდება რაღაცას. ასეა თუ ისე, ანას თავგადასავლის ნაკითხვის შემდეგ მკითხველს სრული თავისუფლება ექნება, თვითონ, თავისი შეხედულებისამებრ დაარქვას რომანს სახელი. ახალი წიგნის პერსონაჟი ონდატჯე ერთგულ მკითხველს რაღაცით იმავე ავტორის "ინგლისელი პაციენტის" ჰანას მოაგონებს. "დივისადერო" მწერლის მეხუთე რომანია.



ტენესი უილიამსი
„უზის წიგნაკაზი“
Tennessee Williams / Notebooks
784გვ Yale

ინგმარ ბერგმანის პირველი სალამო ნაციონალურ თეატრში (1970) კინალამ ჩაიშალა საშუალო ასაკის წვერებიანი მამაკაცის გამოხდომის გამო, რომელიც პარტერში თავის მშვენიერ კომპანიონთან ერთად იჯდა და მეგი სმიტის ყოველ წარმოთქმულ ფრაზასა თუ მიხრა-მოხრაზე ხმამაღლა ხარხარებდა. აბეზარი მაცურებლის

საქციელმა სალამო კომედიად აქცია. ლონისძიების მსვლელობისას მას რამდენჯერმე სთხოვეს კიდეც, დაეტოვებინა დარბაზი. ეს კაცი, არც მეტი, არც ნაკლები – ტენესი უილიამსი იყო, მე-20 საუკუნის ცნობილი მწერალი, დრამატურგი და სცენარისტი. მისი ცხოვრება ბოჰემური თავგადასავლებით, ალკოჰოლიზმითა და ეპატაჟური გამოხდომებითაა დატვირთული, შესაბამისად, წიგნში თავმოყრილი მისი მოღვაწეობის ისტორიებიც სხვადასხვა საინტერესო და დღემდე უცნობი ფაქტების მომცველია.



ჰემინგუეის კატების უფლებები ირლენდში

ერნესტ ჰემინგუეის სახლის ბინადარი 6 კატა ამერიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სასამართლო პროცესის შედეგად მწერლის სახლიდან გამოასახლა. სამინისტროს მესვეურებმა განაცხადეს, რომ ცხოველების ადგილი, ჩვეულებრივ, გალიაშია. ფედერალური ბიურო კი ამტკიცებს, რომ კატები სამუზეუმო ექსპონატს წარმოადგენენ და სახლ-მუზეუმში მათ შენახვას სპეციალური ლიცენზია სჭირდება. საქალაქო კომისიასაც თავისი მოსაზრება აქვს ფუმფულა ცხოველებთან მიმართებაში – კატები საგამოფენო ნივთები არ არიან და ისინი, უბრალოდ, უნდა გაათავისუფლონ ყველანაირი სამოქალაქო კანონის ზემოქმედებისგან. სახლ-მუზეუმში, სადაც ჰემინგუეი 10 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მუშაობდა, კატების გამოსახლების შემდეგ დროებით დაიკეტა.

ტერორისტული პოეზია

ლექსები, რომლებიც გუანტანამოს ყურის "ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის" ციხის პატიმრების მიერაა დაწერილი, მალე წიგნად გამოვა. ტექსტები ციხის სხვადასხვა ჭურჭელზე იყო ამოჩაპნილი, ან კიდეც კბილის პასტით იწერებოდა კედლებზე. წიგნი 17 პატიმრის 22 ტექსტს შეიცავს, მათი შეგროვება და რედაქტირება ერთ-ერთმა მოხალისე ადვოკატმა, მარკ ფოლკოფმა ითავა. მისი თქმით, აქამდე პატიმართაგან არცერთს არანაირი შეხება არ ჰქონია პოეზიასთან. ლექსები არაბულ ენაზეა დაწერილი და მათი ინგლისური თარგმანები რედაქტორის გარდა ამერიკის თავდაცვის სამინისტრომ გადაამოწმა. ფოლკოფის თქმით, ლექსებში პატიმრების იმედგაცრუება ჩანს ამერიკის მიმართ, და კიდეც, დიდი სურვილი, მალე დატოვონ ციხის კედლები და დაუბრუნდნენ სამშობლოს.

ილიტერატული წერილები კლასიკოსებისგან


იმისთვის, რომ ცხელ ზაფხულს წიგნების კითხვა მოსაბეზრებელი საქმიანობა არ გახდეს, ინტერნეტ სივრცეში ახალი ინტელექტუალური გასართობი გამოიგონა. საიტო <http://www.dailylit.com/> მათთვის არის, ვისაც ლიტერატურის კითხვა უყვარს, მაგრამ დროის უქონლობისა და გადატვირთული სამუშაო დღის გამო მონიტორს მიღმა წიგნებისთვის დრო აღარ რჩება. თუ თქვენც ერთ-ერთი მათგანი ხართ, საიტზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ მარტივად გამოიწერთ სასურველი ავტორის სასურველ წიგნს, რომლის განსაზღვრული რაოდენობის ნაწყვეტებიც პერიოდულად მოგივით, არც მეტი, არც – ნაკლები, ელექტრონული ფოსტის მისამართზე, როგორც მეგობრის ან თანამშრომლის მორიგი წერილი. იმისთვის, რომ ასეთი ტიპის მეგობარმა (მაგ. ჰომეროსი, დანტე, სერვანტესი...) თავი არ მოგაბეზროთ, ან პირიქით – არ მოგანატროთ, წერილების პერიოდულობას თავად აირჩევთ.

ლიტერატურული პრემია არამხატვრული პროზისათვის

ამერიკელი რეპორტიორი, Washington Post-ის ბალდადის ბიუროს ყოფილი დირექტორი, რაჯივ ჩანდრასეკარანი, სემუელ ჯონსონის სახელობის პრესტიჟული პრემიის მფლობელი გახდა დოკუმენტური პროზისათვის. მისი ნაშრომი "იმპერიალისტური ცხოვრება ზურმუხტოვან ქვეყანაში" ("Imperial Life in the Emerald City") ბალდადის მწვანე ზონის უსაფრთხოებას ეხება, და როგორც ყიურის თავმჯდომარემ, ჰელენა კენედიმ განაცხადა, ბოლო 50 წლის მანძილზე ასეთი ძლიერი რეპორტაჟი არ დაწერილა. სემუელ ჯონსონის პრემია არამხატვრული პროზისათვის გაცემულ ჯილდოებს შორის მსოფლიოში ყველაზე დიდ თანხას მოიცავს – რაჯივ ჩანდრასეკარანი 30 ათასი ფუნტი სტერლინგის მფლობელი გახდა.

სალმან რუშდის სისოცხლეს ისევ საფრთხე ემუქრება

ტერორისტული დაჯგუფების, ალ-ქაიდას ეგრეთ წოდებულმა "მეორე პირმა", აიმაან ალ-ზავაჰირმა, თავის მორიგ აუდიო-მიმართვაში ძირითადი დრო დიდი ბრიტანეთისადმი მუქარას დაუთმო. მისი მოთხოვნაა, ჩამოართვან ინდური წარმოშობის მწერალს – სალმან რუშდის – რაინდის ახლადმინიჭებული წოდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ისლამური სამყარო გადამჭრელი ზომების მიღებით იმუქრება. დასჯის კონკრეტულად რა მეთოდებს გულისხმობდა ტერორისტი – ეს არ უთქვამს. მსოფლიოს მუსულმანთა დიდი ნაწილი სალმან რუშდის შემოქმედებას თავიანთი რელიგიისა და აღმსარებლობის შეურაცხყოფის უმაღლეს საფეხურად მიიჩნევს. ამ მიზეზით ირანსა და პაკისტანში მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფები თანხასაც კი აგროვებენ მის დასაჯილდოებლად, ვინც ახლადგამომცხვარ რაინდს თავს ნააცლის.



წერილები აუქსიონზე

შვეიცარიელი იურისტის, ალბინ შრამის, გარდაცვალების შემდეგ მის არქივში საოცარი კოლექცია აღმოაჩინეს – სხვადასხვა წერილებს შორის ისეთი ავტორებიც იყვნენ, რომელთა აქამდე უცნობი ტექსტებიც ძალიან მალე აუქციონზე ხუთ და ექვსნიშნა ციფრებში გამოსახულ თანხად გაიყიდება.

აქ არის ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის 1811 წლით დათარიღებული წერილი, სადაც იგი მეგობარს, ნოლას ცმესკალს, ხელოვნების რაობაზე ესაუბრება; ოსკარ უაილდის სამადლობელი სიტყვა ემილი რენის მიმართ (1888), ერნესტ ჰემინგუეის მოკითხვა ეზრა პაუნდს (1925), ფრანსისკო გოიას მიერ მოყოლილი საკუთარი სილატაკის ამბავი მეგობარ მარტინისადმი (1790)...

წერილების გატანა აუქციონზე უკვე დაიწყო. ნაპოლეონის გრაფიკული კოცნები ჟოზეფინას მიმართ უკვე გაყიდულია – მასში 276,000 ევრო გადაიხადეს.

ბრიტანული გამოცემლობები ჯეინ

ოსტინს არ გაჭდავენ

ჯეინ ოსტინი დებიუტანტი მწერლის, დევიდ ლასმანის ექსპერიმენტის იარაღი გახდა. მას შემდეგ, რაც ბრიტანული გამომცემლობებისაგან ლასმანი დადებით რეცენზიას ვერ ეღიბა და პირველი წიგნის დაბეჭდვაზე ყველამ უარით გამოისტუმრა, მან სახალისოდ ასეთ ხერხს მიმართა – ჯეინ ოსტინის რომანებიდან ნაწყვეტები ამოკრიფა, პერსონაჟებს სახელები შეუცვალა, ფსევდონიმად "ელისონ ლეიდი" აიღო (ოსტინის ადრეული ფსევდონიმიც სწორედ „A Lady“ იყო) და ტექსტები გამომცემლობებში დაარიგა. რამდენად უცნაურიც არ უნდა იყოს, 18 გამომცემლობიდან 17 (მათ შორის Penguin და Bloomsbury) ვერ მიხვდა, ვინ იყო ტექსტების ნამდვილი ავტორი და ლასმანს მათს გამოქვეყნებაზე მშვიდად უთხრეს უარი. არ მოტყუვდა მხოლოდ ალექს ბოულერი Jonathan Cape-დან.

"თუ ასეთი მსხვილი გამომცემლობები ვერ ცნობენ მსოფლიო ლიტერატურის შედეგს, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რამდენი ღირებული ტექსტი შეიძლება გაუშვან ხელიდან," – გაკვირვებულია ლასმანი.

ჯეიმს ბონდის ახალი წიგნი

ბრიტანელი მწერალი, სებასტიან ფოლკსი, "ჯეიმს ბონდის" ახალი რომანის ავტორად დასახელდა. წიგნი, რომელსაც "ემმაკის მზრუნველობა" ("Devil May Care") ერქმევა, 2008 წლის 28 მაისს იხილავს მზის შუქს – სწორედ ამ დღეს აღინიშნება "ჯეიმს ბონდის" პერსონაჟის "ლიტერატურული მამის", ბრიტანელი მწერლის, იან ფლემინგის 100 წლისთავი. იანი 14 წიგნის ავტორია აგენტ 007-ის შესახებ.

მსოფლიოში ამჟამად ჯეიმს ბონდის სათავედადასავლო, მძაფრსიუჟეტოანი წიგნის 200 მილიონზე მეტი ეგზემპლარია გაყიდული და აგენტ 007-ის ეპოპეამ ავტორებს 4 მილიარდ დოლარზე მეტი შემოსავალი მოუტანა. თუმცა კი, ჯეიმს ბონდის კინოგმირის წარმატებასა და პოპულარობასთან ლიტერატურული პერსონაჟი ახლოსაც ვერ მივა.

ბეირუთი – მსოფლიოს წიგნთა

დედაქალაქი

ლიბანის დედაქალაქი ბეირუთი "2009 წლის მსოფლიოს წიგნის დედაქალაქად" იქნა დასახელებული. გადაწყვეტილება 3 ივლისს იუნესკოს შტაბ-ბინაში შეკრებილმა ამომრჩეველთა კომიტეტმა მიიღო. ასეთი არჩევანი დაფუძნებულია კულტურული მრავალფეროვნების მიმართ ლიბანის შემწყნარებლობაზე, დილოგა და ამტანობაზე, ასევე წარმოდგენილ პროგრამაში თანამშრომლობის პასუხისმგებლობასა და შინაარსიანობაზე. იუნესკოს გენერალური დირექტორის, კოტირო მაცურის აზრით, წიგნი, როგორც ურთიერთგაგებისა და მშვიდობის იარაღი, დიდ როლს ითამაშებს აღმოსავლეთ და დასავლეთ სამყაროს შორის დილოგში. ბეირუთი "მსოფლიოს წიგნის" მეცხრე დედაქალაქი იქნება. მანამდე ეს ტიტული მადრიდს (2001), ალექსანდრიას (2002), ნიუ-დელის (2003), ანტვერპენს (2004), მონრეალს (2005), ტურინს (2006), ბოგოტასა (2007) და ამსტერდამს (2008) ჰქონდა მინიჭებული. არჩევნები ყოველ წელს იმართება.



ჰარუკი მურაკამი – ნობელის პრემიის

ლაურეატი?

იაპონიის მუნიციპალურმა ბიბლიოთეკამ მცდარი ინფორმაცია განათავსა თავის ვებ-გვერდზე – თითქოს პოპულარულ რომანისტს, ჰარუკი მურაკამის, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიეღოს. ბიბლიოთეკის საიტზე განთავსებული სტატიის მიხედვით, შარშანდელი ნობელის პრემიის ლაურეატი მურაკამი გახდა, არადა, ეს პრიზი, როგორც ვიცით, თურქ ავტორს, ორჰან პამუკს ერგო. მუნიციპალური ბიბლიოთეკის მესვეურებმა ბოდიში მოიხადეს შეცდომის გამო და მიზეზიც ახსნეს – ინფორმაცია, რომელიც იმ განსაკუთრებული შემთხვევისთვის იყო წინასწარ მომზადებული, თუ იაპონელი ავტორი ნობელის პრემიას მიიღებდა, ტექნიკური შეცდომის გამო აღმოჩნდა სისტემაში საიტის განახლებისას. მურაკამის ლიტერატურული "დამსახურების" შესახებ ინფორმაცია 18 ივნისიდან 4 ივლისამდე იყო საიტზე განთავსებული.



გზა მზვიდობისა!

>>> ღასაწყისი 83. 54

მაცხია

ცისქვეშეთში ჰყვებოდნენ, რომ არსებობენ მაცხიები. ისინი სწორედ მაშინ ჩნდებიან მაცხითა ცხოვრებაში, როცა ძალიან გიჭირს, მაგალითად, ვიღაცა გიყვარს და სულ ტყუილად, ან მიხვალ სიუში და აღარ დახვდება.

ძნელი სათქმელია, ვინაა სინამდვილეში მაცხია, მაგრამ მაგას არცა აქვს მნიშვნელობა. სულ არაა აუცილებელი, ვიღაცას დღედაღამ სდიო და სულში ჩაუძვრე, სანამ გაჯავრებულ გულზე მაგნოლის ფესვად ან რამე მსგავსად არ გადაიქცევა. ხოლო თუ ნერვებს არ აუშლი, მაცხია მხოლოდ სიხარულს მოგიტანს - დაგიმტკიცებს, რომ ყველაფერი კარგადაა და ამიერიდან ერთიათად კარგად იქნება.

იმ საღამოს ზემოთ მოთხრობილის გამო გამწარებული გახლდით, თან ძალიან. და გამწარებულ გულზე გავიცანი კაცი, რომლის დანახვისთანავე დავასკენი, რომ ის მაცხიაა, თორემ, აბა, მაინცდამაინც ახლა და აქ როგორ გაჩნდა?! დარდი არ გქონდეს, ისეთებს გაჩვენებო! და მაჩვენა, და მიაბო, და მე თქვენ გაამბობთ ამბავს ალექსანდრე თევზაძისა, რომელმაც ოდესღაც დიპლომა-

ტის კარიერაზე უარი თქვა - დიდება ღმერთს! და ჩემი მშვენიერი ცხოვრების რამდენიმე დღე მთლად დღესასწაულად გადააქცია.

. . .

ვერაფრით ვერ ვხვდები, ამ მხარეს მახინჯაური რად ჰქვია - ის თუ მახინჯია, აღარ ყოფილა საშველი. ალექსანდრემ მიაბო, რომ დიდი, დიდი ხნის წინათ ოსმალებს ერთი ქართველის ცოლშვილი დაუხოცავთ, თავად კაცი ტყვედ აუყვანიათ და ძალიან დაუსახიჩრებიათ: ყურები და ცხვირი დაუჭრიათ. ქართველმა გაქცევა შეძლო, ლაშქარი შეკრიბა და სწორედ ამ ადგილას სასტიკად დამარცხა ოსმალები. ისინი გარბოდნენ და ყვიროდნენ: მახინჯი გაიური, მახინჯი გაიური! რა გაეწყობა, მძიმე ისტორია გვაქვს.

სამაგიეროდ, “მწვანე კონცხი” დიდებულად ჟღერს. ყველა ენაზე ამაყად შეგიძლია თქვა, რომ მწვანე კონცხზე ცხოვრობ.

მამ, ასე: მახინჯაურს რომ გაივლით, მწვანე კონცხზე, სერპანტინზე, სულ ზემოთ, სახლი დგას. ამ სახლიდან ხედი იშლება: ზღვა, ცოტა სანაპირო და ზღვაში გამავალი გემები. ბალი სამოთხისაა, სახლი - საოცნებო, ხედი - გასაოცარი (ხედავთ,

რამდენი კარგი სიტყვა მცოდნია!). ეს სახლი ალექსანდრე თევზაძეს ეკუთვნის.

თავად მოჰყვა, რომ დიდი მოგზაურობიდან აჭარაში დაბრუნებულმა სწორედ ამ ადგილას გააჩერა მანქანა და აქედან გადახედა ბათუმს. ჰყვება, რომ მაშინ იფიქრა, აქ რომ სახლი მქონდეს, საერთოდ არსად აღარ წავალო. შინ მისული მამამ კვლავ სერპანტინზე აიყვანა, სწორედ იქ, სადაც მანამდე იდგა, და უთხრა, რომ ეს მისია, მისი ეზოა, მისი სახლის ადგილი - საჩუქარი. და მას აქეთაა, ალექსანდრე თევზაძე ყველაზე ღამაზ ადგილას, ყველაზე ღამაზ სახლში ცხოვრობს.

უნინ სხვა სახლი იყო, გურიაში, ზემო ხეთში. ისიც ძალიან კარგი სახლი ყოფილა, ოღონდ სხვანაირი. სახლამდე მანქანა არ აღიოდა, კარგახანს უნდა გველო ფეხით, მერე კი იყო სამოთხეები - ძველი სახლი, რომელშიც ოცდახუთი წლის შემდეგ დაბრუნებულმა ალექსანდრემ დიდი ცვლილებები აღმოაჩინა: ყველაფერი უფრო პატარა დახვდა, ვიდრე უნინ ეგონა - ეზოც, ვენახიც, ხეებიც. სახლი აღარ დგას, მაგრამ ალექსანდრე ოდესმე ააშენებს, ზუსტად იქ და ზუსტად ისეთს, როგორც იდგა, პატარა მარნით და ზამბარიანი სანოლებით.

მანამდე კი, როგორც მოგახსენეთ, ჩვენი გმირი მწვანე კონცხზე ცხოვრობს, აივნის რიკულებს ლურჯად ღებავს და, მე მგონი, ჩინებულად გრძნობს თავს თავის მეგობრებთან და ჯილდოსთან ერთად.

ჯილდო ლაბრადორი გახლავთ, მრავალ ადამიანზე ბევრად უფრო ზრდილი, კეთილი და გამგონი. საუკეთესო ზნე აქვს, მაგრამ მოგეხსენებათ, ყოველთვის ყველას გულს ვერ მოიგებ. თავისდაუნებურად ამ კარგმა ცხოველმა ალექოს საუკეთესო მეგობარს, ანდრია ბერძენიშვილს, გული ატკინა.

ალექსანდრეს თქმით, ზამთარში ბათუმში არამარტო ახალი ადამიანის, არამედ საერთოდ ადამიანის დანახვაც ჭირს. ამიტომ საღამოს კაფეში მისულ ალექოს და ანდროს უმაღლე თვალში მოხვდათ მეზობელ მაგიდასთან მჯდომი ქალი - მოკლევადიანი, ძალიან გრძელფეხება, უზარმაზარი წამწამებით და წელამდე ქერა თმით. ქალი ჯილდომაც შეამჩნია და რა აღარ ქნა: ყურადღება არ მოაკლო, ეფერა, თავი მოანონა. შედეგი ის გახლდათ, რომ კაფედან გასვლისას ჯილდო ქალს გაჰყვა და აღარ დაბრუნდა!

ჯილდოს საძებნელად ქუჩაში გასულ ალექსანდრეს მშვენიერი სცენა დახვდა: ქალი მანქანას ქოქავდა, წინა სავარძელში კი ამაყად იჯდა ბედით კმაყოფილი ჯილდო. როგორია? ქალი ალექსანდრეს შეევედრა, ამალამ ეს საოცრება ჩემთან გამოუშეო. ვაჭმევ, ვასმევ, ცივ ნიავს არ მივაკარებ და ხვალ დილით აქვე მოგიყვანო. ასე არავისთვის არაფერი მითხოვია, გულს ნუ მატკენო. რა გაეწყობოდა: ჯილდო სტუმრად წავიდა, ალექსანდრე კი კაფეში დაბრუნდა.

და აი, ანდრია აღმფოთდა: როგორ!? ჯილდო,

კარგი თუ ცუდი, მაგრამ მაინც ძალიან ჯილდო ლამაზ ქალს გაჰყვა და ორი ჯანმრთელი მამაკაცი მთელი საღამო ერთმანეთის შემყურე უნდა ყოფილიყო? ანდრიამ გაჯავრებით გადაჰკრა ასი გრამი, ქურთუკი ჩაიცვა და წავიდა. მართალია, ამჟამად ჯილდოსთან კვლავ კარგი ურთიერთობა აქვს, მაგრამ მის გულში რა ტრიალებს, კაცმა არ იცის.

უცხო ქალები - განსაკუთრებული თემა. შორს, სამხრეთ აფრიკაში, კეიპტაუნთან, დილით აივანზე გასული ალექსანდრე თევზადის თვალწინ საოცარი სანახაობა გადაიშალა: ოკეანის სანაპიროზე ზღვის ლომები იწვნენ, მათთან ერთად კი - ქალები. თან ერთობ შიშვლები. თან გარუჯულები. თან ლამაზები, თან ზღვის ლომებთან ერთად. ალბათ ასეთ დროს ძალიან ჭირს გურჯობა...

ალექსანდრე თევზად მრავალი შორეული ქვეყნის, უცხო მხარის და ოკეანის ამბებს ჰყვება, ყოველგვარი სანტიმენტების და ზედმეტი ემოციების გარეშე. ის მოჰყვება, როგორ გაუთამამდა ოდესღაც ინდოეთის ოკეანეს და კინაღამ დაიხრჩო. ინდოეთში დიდხანს ცხოვრობდა და იქ, გოაში გაიკეთა ეს სვინინგი. იქ ერთ ასეთ წვეულებაზე რუსი მწერალი ქალი გაუცნია, რომელიც "შე უფლისწულს" ეძახდა და მასზე წიგნიც დაწერა, ოღონდ რა - არ ვიცით (მე, ეჭვიანი, იმედს ვიტოვებ, რომ არ ვარგა): იმის მერე ალექსანდრე მოსკოვში არ ყოფილა, სულ სხვა ქვეყნებში იარა, სხვა მხარეებში.

ასე, 2003 წელს კვლავ ოკეანის პირას შეხვდა, ოღონდ უკვე არა ინდოეთში, არამედ იოჰანესბურგში. იქ, სანაპიროსთან, სრულიად მოულოდნელად გადააწყდა მშვენიერ გოგონას, რომელიც დიდი თავყრილობიდან გამოსულიყო, და ერთად უყურეს, როგორ ამოდიოდა ოკეანიდან მზე და მასთან ერთად - ახალი წელი, და ალექო ამბობს, რომ ეს ძალიან კარგი იყო, და მე მჯერა. მე თუ მკითხავთ, ახალი ყველაფერი კარგია, წელიც, ოკეანეც, გოგონაც. თავად განსაჯეთ: ალექსანდრეს ყველა უჩინებდა, მაინცდამაინც ნამიბიაში ნუ ჩაფრინდები და აფრიკაში ნუ მოიკლავო თავს, მაგრამ მაინც გაემგზავრა და აჰა - ექვსი ჯადოსნური თვე გაატარა სამხრეთ აფრიკის სანაპიროზე, იქ იყო, სადაც ყველაზე წმინდა წყლის ალმასები მოიპოვება, ლომები მიდი-მოდიან, მზე ოკეანიდან ამოდის და საერთოდ, კარგია, ძალიან კარგია.

ახლაც იქაურ დოლებს აბრაგუნებს - აივნიდან ისმის. კედელზე სპარსული რამ ჰკიდია, მთლად ხალიჩა არაა, რა ჰქვია ასეთ რამეს, არ ვიცი. აქვე მჯდომი ახალგაზრდა ერთბაშად სამ გოგოს უგზავნის სასიყვარულო გზავნილებს - ნეტა სახელები თუ აერევა... ბატონი ჯილდო ხალიჩაზე ფშვინავს და ალბათ მომავალ ძაღლების კონკურსზე ხედავს სიზმარს. ჩვენ კი კვლავ იმ თემას დავუბრუნდებით: მაქცია.

მაქციებზე ჰყვებიან, რომც მოკვდნენ, არაფერი დააკლდებათ. ჰოდა, ალექოს საქმეც ასეა. ერთ დღეს ბათუმის ერთ გაზეთში ცნობა გამოქვეყნდა, რომ ამა და ამ დღეს, ამა და ამ ქუჩაზე სროლა ატყდა და დაზარალებული ალექსანდრე თევზად

საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. იქვე მთლად გულისგასახეთქი ფოტოსურათიც იყო დაბეჭდილი: ასფალტზე თეთრად შემოხაზული ადამიანის კონტური - არც მეტი, არც ნაკლები, ალექო თევზადის ცხედრის ანაბეჭდი.

ეს გაზეთი ალექომ საავადმყოფოში აღმოაჩინა - მართლა დაჭრეს, და რომ გამოფიზლდა, აღმოჩნდა, რომ გულზე ედო. ახლა ჰყვება, რომ ცოტა არ იყოს, დაიბნა და გაკვირვებით შესცქეროდა იქვე მწოლ ანდრიას: აშკარად ორთავიანი ცოცხლები იყვნენ.

- როგორ ფიქრობ, - კითხულობს ალექო, - ადამიანებს ბავშვობაში რომ უთხრა, როგორი ცხოვრება ელით, რამდენი მიღწევდა ზრდასრულ ასაკამდე?

ძნელი სათქმელია. ერთი კი ვიცი: ნებისმიერს რომ უთხრა, მდინარე ონდუნდოზონანანანანანანას ნახავ (მე მოვკვდე, ასე ჰქვია, რუკიდან დასახელება სიტყვასიტყვით გამოვვიბეჭდე, ოკაუტუეჯოსთანაა), ქაიროსთან ორ უღამაზეს ქალთან ერთად მანქანით მზის ჩასვლას აედევნები ან უღამოს ცხელ ლამეში პირამიდის თავზე დადგომა გინერიაო, ნამდვილად ეცდება იმ დღემდე მიღწევას.

მეფეთა ველზე მისულ ალექსანდრეს აუხსნეს, რომ გვიანია და პირამიდებთან მისვლა აღარ შეიძლება. ალექსანდრემ გადაწყვიტა, რომ შეიძლება. გამცილებელმა ბრძანა, დამიჭერენ და მეშინიაო, დატოვა სტუმრები უღამოში და წავიდა. ალექსანდრემ კი პირამიდაზე ასვლა დაიწყო.

არცთუ იოლი საქმეა: დიდი ქვითაა ნაგები. მაგრამ ალბათ თავზე მოქცევა ერთითად ტკბილი ხდება. ალექსანდრემ პერანგი გაიხადა, ის-ის იყო, ალტაცებას უნდა მისცემოდა - და თვალის მომჭრელი სინათლე, გაუგებარი შეძახილები: დაიწყო ლაზერ-შოუ, საოცარი სანახაობა, და დასწრეთა გულის გასახეთქად მიკერინოსის პირამიდას მამაკაცი აგვირგვინებდა. ტაში!

მერე იყო დიდი აყალმაყალი, პოლიცია, ახსნა-

განმარტებები და სხვა და სხვა, მაგრამ ეგ არაფერი. ვეჭვობ, რომ ჩვენს გმირს დიდად არ უღელვია. რამდენიმე ფაქტი რომ არა, ვიფიქრებდი, სულ არ ღელავს-მეთქი.

მაგრამ არა. უღელვია, თან ძალიან. ერთხელ - იოჰანესბურგთან, სადაც რატომღაც თავი გადადო და ყველაზე მკვირცხლ ცხენს შემოველო. ცხენს ბევრი არ უფიქრია და, ალექოს თქმით, აინყვიტა, მიმიქარავს პორშე კარურა... იქაურ ხეებს ქვასავით ფოთლები ჰქონია, ბევრი ვერაფერი სისხარულია. იმ არამზადა ცხენის სურათს ჩვენი გმირი დღესაც ინახავს, ისე, სამახსოვროდ.

მეორე ამბავი ცოტა უარესია. შავ ზღვაში ორი კაცი იღუპებოდა, ტალღებს ვერ ერეოდნენ, და ალექომ შეცურა, რაღაც სამაშველო რგოლით ხელში. კი, მიუსწრო და გადაარჩინა, მაგრამ სანამ ვერტმფრენი მოვიდოდა, შეეშინდა. ამას გაცემული ჰყვება, და მეც მიკვირს - რატომ შეეშინდა, ნეტა არ იცის, რომ მაქციებს დახრჩობა არ უწერიათ?

. . .
თბილისში დაბრუნებულმა გადაწყვიტე, რომ მწვანე კონცხზე გატარებული დღეები მესიზმრა. არ ყოფილა. საერთოდ, არ არსებობს.

არსებობს! კვლავ მწვანე კონცხზე ვარ! კვლავ არავინ და არაფერი მალიზიანებს და ცხოვრება მშვენიერია, როგორც ქვეყანა სიუში, როგორც მაქციები გვპირდებიან ხოლმე, როგორც დიდი ხნის წინათ, ბავშვობაში, გზაში რომ ვთამაშობდით: ვინც რამე სულიერს პირველი დაინახავს, უნდა დასძახოს და სხვებმა მისი ხმა უნდა გამოსცენ - მუუუ! ხომ გახსოვთ, ინდაური ჭირს ხოლმე.

შესაბამისად, საყვარელო მკითხველო: თუკი ვინმე სადმე გეპატივება, უმალ დათანხმდი, ენაწყლიანს, და თუკი გზაზე მაქცია შემოგეყარა, პირფერისწერით ნუ გაიქცევი. რა იცი, ეგებ ქვეყანა სიუში მიჰყავხარ.

ჰოდა, ამ კარგი ზაფხულის დამდეგს გულით გისურვებ: გზა მშვიდობისა!



ფოტო: თამაზ დაბაშვილი



ფოტო: დავით მუსათ

ყველაფერი სალომე ასათიანის შესახებ

<<< დასაწყისი გვ. 70

იმდენად დავინტერესდი, რომ სასექსის უნივერსიტეტში მაგისტრის ხარისხის მოპოვების მერე, გადავწყვიტე, პირდაპირ მეორე მაგისტრატურა დამეწყო, და გენდერის ირგვლივ არსებული ლიტერატურა მესწავლა. ამისათვის წავედი ბუდაპეშტში. სხვათა შორის, დავიტრახაბებ და ვიტყვი, რომ ორივე მაგისტრის ხარისხი წარჩინებით მაქვს დაცული.

ძალიან საინტერესო იყო იმ სიღრმის და მრავალფეროვნების აღმოჩენა, რომელიც “ფემინიზმს”, როგორც ფენომენს ახასიათებს. რომ არსებობს ლიბერალური, მარქსისტული, პოსტ-მოდერნისტული, “განსხვავების” თუ სხვა “ფემინიზმები” თავ-თავიანთი გამოვლინებებით როგორც პოლიტიკურ, ისე აკადემიურ სფეროში; რომ, მაგალითად, ბევრი ფემინისტისთვის ქალის და მამაკაცის თანასწორობის იდეა მიუღებელი და ქალების მასკულინიზაციის ტოლფასია, ვინაიდან ამით ქალები მხოლოდ მოირგებენ იმ აგრესიულ ცივილიზაციას, რომლის შექმნაშიც მონაწილეობა არ მიუღიათ.

თუმცა, უნდა ვთქვა, რომ ფემინიზმის და ქალთა პრობლემებზე დაწერილ ლიტერატურაზე მეტ ყურადღებას იმ ტექსტებს ვუთმობდი, რომლებ-

იც “უმრავლესობებზე” — ამ შემთხვევაში, მამაკაცებზე, და მასკულიზურ იერსახეებზე იყო. ინგლისში სწავლას რომ ვამთავრებდი, მაშინ გამოვიდა ჰოლივუდის ცნობილი ფილმი “American Beauty”, რომელმაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, უწინარესად იმის გამო, რომ ლიად ასახავდა ე.წ. “მასკულიზური კრიზისის” ფენომენს. სამაგისტრო დისერტაცია სწორედ ამაზე დავწერე — რას ნიშნავს ეს კრიზისი, და იყო თუ არა ოდესმე პოპულარულ კინოში ისეთი ეპოქა, რომელშიც მთავარი გმირი, მამაკაცი არ განიცდიდა “კრიზისს”. ეს ძალიან საინტერესო სფეროა, განსაკუთრებით, თუ ქრონოლოგიურ ანალიზს მიმართავ — ზედმინენით თავდაჯერებული ჰემფრი ბოგარტი და კლარკ გებლი, უაღრესად მასკულიზური, მაგრამ ისტერიული მარლონ ბრანდო, 80-იანი წლების გროტესკული კაცი-კარიკატურები, შვარცნეგერი და სტალონე, და ბოლოს “კრიზისში” მყოფი გმირები...

ქალებიდან მამაკაცებზე — ან, თუ განვაზოგადებთ, უმცირესობიდან უმრავლესობაზე - აქცენტის გადატანაში ერთგვარი პოლიტიკური მუხტი დევს. როცა მხოლოდ უმცირესობებზე - ქალებზე, შავკანიანებზე, ჰომოსექსუალებზე — მათ უფლებებზე და პრობლემებზეა ლაპარაკი — ამით

ერთგვარად ძლიერდება ის აზრი, რომ “ნორმას” პრობლემები არ აქვს. რომ მამაკაცი, ჰეტეროსექსუალი, თეთრკანიანი უპრობლემო, ბუნებრივი კატეგორიაა. ასე კი ნამდვილად არ არის.

ისე, საქართველოში მარტო გენდერზე და ქალთა უფლებებზე დამცინავად რომ მიწყებენ ლაპარაკს, ვპასუხობ, ორი დისერტაცია კაცებზე მაქვს დაწერილი-მეთქი. ეს კი დიდ დაბნეულობას იწვევს ხოლმე. ჭრის. ალბათ, მოვა დრო და გენდერის რომელიმე ახალგაზრდა მკვლევარი ქართველი მამაკაცის სტერეოტიპზეც დაწერს. მასალა უამრავია — მარტო ქართველი კაცის და რუსი ქალის მითი რად ღირს... დღემდე შეგხვდებით საბჭოთა დროის ნოსტალგია, და მოგონებები მამაკაცების პიკანტურ თავგადასავლებზე მოსკოვში. ალბათ, ამაში ერთგვარი კომპენსაციის ვნებაც იღო — კოლონიზატორის და კოლონიზებულის ურთიერთობის მოდელი. “შენ კი ხარ რუსეთი, რომელსაც დაპყრობილი გყავარ, მაგრამ, სამაგიეროდ, შენი ქალები ჩემზე გიჟდებიან, და მეც მოვიფიქრე და მათ ვიპყრობ”...

მეორე დისერტაცია, ბუდაპეშტში, გენდერის, ეთნიკურობის, და რასობრივი ნიშნის გადაკვეთაზე დავწერე — იმაზე, თუ რა მოსდით ფილმებში მასკულიზურ იერსახეებს როცა შემოდის ეთნიკუ-

რი, ეგზოტიკური პერსონაჟი. ისევე ჰოლივუდის შთაგონებით — ზუსტად იმ დროს გამოვიდა რამდენიმე ფილმი, სადაც ვარსკვლავები, ბრედ პიტი და ჯონი დეპი, მოხეტიალე ბოშებს თამაშობდნენ. ორივე პერსონაჟი ზუსტად ესადაგებოდა იმ პარადოქსული, მაგრამ მაინც ერთგანზომილებიანი მოდელის ელემენტებს, რომლითაც “უცხო” რეპრეზენტაცია ხდება დასავლურ კულტურაში. “ბოშა” თავისუფლების სიმბოლოა, ეროტულია, ეგზოტიკურია — თან სამიში, დესტრუქციული და ირაციონალურია.

ამ რეპრეზენტაციული კოდებით სავსეა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, და არა მარტო ადგილობრივ, ქართულ მედიაში. ნახეთ, რეკლამები “Malaysia Truly Asia”, და მსგავსი... რასაკვირველია, არ არის აუცილებელი ყველას ჰქონდეს ნაკითხული ედუარდ საიდის “ორიენტალიზმი”, რომელიც ხსნის, რომ ეს რეპრეზენტაციული კოდები, ეგზოტიკური აზია და რაციონალური ევროპა, თავისი სულისკვეთებით კოლონიურია, მაგრამ, პოპულარულ დონეზე რაღაც ცოდნა უნდა არსებობდეს... სხვათა შორის, საქართველოც თანდათან იწყებს თავისი თავის ამგვარ რეპრეზენტირებას, ფოლკლორული კლიშეების და რეკლამების გატანას გარეთ ტურისტების მოსაზიდად, და ძალიან საინტერესოა, რა კოდები და სტერეოტიპები დამკვიდრდება ამ პროცესში.

ედუარდ საიდი ახლა საიდან გამახსენდა... თავის დროზე, “ორიენტალიზმი” პირველად რომ წავიკითხე, იშვიათად მქონია ასეთი განცდა, ვფიქრობდი, ეს წიგნი მე უნდა დამეწერა-მეთქი. ეს იყო ყველაფერი, რაზეც ვფიქრობდი, რაც მანუხებდა და ნაწილ-ნაწილ ვიცოდი სხვა ტექსტებიდან, მაგრამ ასე თავმოყრილი არსად მენახა. ძალიან მიყვარს ეს წიგნი.

გრამის “ციხის დღიურებზეც” ასეთი განცდა მქონდა. სხვათაშორის, ნოდარ ლადარიამ თარგმნა “ციხის დღიურები” და მე ვარ ტექსტის სამეცნიერო რედაქტორი, რაც ძალიან მიხარია.

ასევე, როგორც ვთქვი, ლუს ირიგარეა განსაკუთრებული ფიგურა ჩემს ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა, რომ იდეალისტიკა და ზოგჯერ ძალიან ნაივური. მისული ნაივურიც. მხატვრული ლიტერატურიდან — კორტასარი. 18 წლის ვიყავი პირველად რომ წავიკითხე და ვთქვი, რომ ჩემი საყვარელი მწერალია-მეთქი. მაშაყირებდნენ, შენ ყველაფერზე რასაც კითხულობ, ეგრე ამბობო. მაგრამ კორტასარი დარჩა. მენატრება ხოლმე ის ემოცია, რაც მისი რომანების და მოთხრობების პირველად წაკითხვისგან მაქვს მიღებული. თუმცა, სხვა ავტორებიც არიან. კერუაჯი, მაგალითად...

ძალიან მიყვარს სიუზან ზონტაგი. გამორჩეულად...

რადიო თავისუფლება

რადიო თავისუფლებაც ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი განსაკუთრებული ეტაპია. იქ ყველა

საფეხური გავიარე — თავიდან შტატგარეშე კორესპონდენტი ვიყავი, ვაკეთებდი ყოველკვირულ გადაცემას “უმცირესობებზე” “სხვა სახე”. ამ გადაცემის გაკეთება ჩემი სრულად გააზრებული, იდეოლოგიური გადწყვეტილება იყო. საქართველოში არსებობს საოცარი მრავალფეროვნება არა მარტო ვინაობა, “ენჯიომნიკური” გაგებით. ეთნიკურ-რელიგიური მრავალფეროვნების გარდა, არის ბევრად ფართო სპექტრი ცხოვრების სტილის, მსოფლმხედველობის, მენტალიტეტის... ნახევარი წელი ვიმუშავე ამ ციკლზე და უამრავი საინტერესო რამ აღმოვაჩინე. ბევრი ადამიანი გავიცანი. როგორც კი ოდნავ გადაწვე ფასადს, სტერილურს, სტაბილურს და ერთფეროვანს, იმის იქით უამრავი საინტერესო რამე ხდება.

მერე წავედი პრალაში, სამი თვით, პრაქტიკის გასავლელად. მალე ქართული სამსახურის პრალის წარმომადგენლობაში შტატი განთავისუფლდა და მიმიღეს. ქართულ რედაქციაში თითქმის ორი წელი ვიმუშავე. ძალიან ბევრი რამ მომცა ამ პერიოდში. ვაკეთებდი ყველაფერს, როგორც ჟანრობრივი, ისე შინაარსობრივი და ტექნიკური თვალსაზრისით. ხშირად ისე ხდებოდა, რომ ერთ გადაცემაში ჩემი სხვადასხვა სიუჟეტი გადიოდა — ირანის ატომურ პროგრამაზე და დევიდ ბოუის 60 წლის-თავზე, მაგალითად. ეგრეა, იქ, ყველა ყველაფერს აკეთებს. ამაზე ხშირად ვხუმრობდით კიდევ.

ბევრი რამ ვისწავლე — მოდერაცია, ახალი ამბები, ინტერვიუები. პოლიტიკურად დინამიკური პერიოდებიც დამემთხვა და რამდენიმე ძალიან საინტერესო ინტერვიუც ჩავეწერე.

ბოლო სამი თვეა გადავედი ახალი ამბების ცენტრალურ სამსახურში. აღარ მიმყავს გადაცემები, ეთერში აღარ ვარ. ახლა უკვე ვწერ ორიგინალურ მასალებს ინგლისურად. ეს მასალები უკვე მთლიანი მოხმარებისთვისაა, რადიო ხომ ოცდაათამდე ენაზე მაუწყებლობს. ძალიან მომწონს - სხვა ტემპია, მუშაობის სხვა სტილი, სხვა ადამიანები... არის დღეები, როცა ორი მასალის გაკეთება გვიწევს. “ნიუსრუმის” ტემპს და დინამიკას ვსწავლობ. პარალელურად მუშაობ თემებზე, რომელიც არ არის ახალ ამბებზე მიბმული. მაგალითად, ახლახანს მოვრჩი თემის წერას, არის თუ არა სამხრეთი კავკასია “რეგიონი”..

პლურალიზმი და ექლექტიკა

დასანანი ის არის, რომ დღეს საქართველოში არ ჩანს რეალური პლურალიზმის განვითარების პერსპექტივა, თუნდაც მხოლოდ პოლიტიკის სფეროში. ვერ ვიტყვი, რომ ეს მხოლოდ ხელისუფლების ბრალია. რატომ არ იქმნება საქართველოში პოლიტიკური პარტიების სისტემა? გამოცდილება არ არის? საბჭოური პოლიტიკური კულტურიდან მოვივიარეთ? მმართველი პარტიაც კი არ არის კონკრეტულ იდეოლოგიურ პლატფორმაზე შემდგარი ძალა. ეს არის ხუთი თუ ექვსი ინდივიდის გარშემო შემოკრებილი პარტია

და ამორფული, გაუგებარი ასულები. მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურების გამოსვლების ანალიზი რომ გააკეთო, ეს ტექსტი ურთიერთგამომრიცხავი ელემენტებით იქნება სავსე.

მილიტარისტულ-პატრიოტული ლოზუნგი, მემამარცხენე სენტიმენტი და მერე უცებ მართლმადიდებლურ-ნაციონალისტური რიტორიკა ერთად ისმის ხოლმე. ეს ეკლექტიკა საინტერესოა, მაგრამ კარგი, ალბათ, არ არის.

„ჩვენ, ქართველები“

მნიშვნელოვან ფასეულობებზე ლაპარაკი — პლურალიზმი იქნება ეს, ლიბერალური დემოკრატია თუ მულტიკულტურალიზმი - ხდება ძალიან ზედაპირულად, ისევე საბჭოთა ლოზუნგების დონეზე. მაგალითად, გავეხსნათ აზერბაიჯანული თეატრი! ამას ემატება გამაღიზიანებელი დიდაქტიკა, რომ ასე უნდა ვცხოვრობდეთ და ეს არის დემოკრატია. ამ დროს კი, რეალურად, მხოლოდ ზემოდან ქვემოთ “ჭკუის სწავლებას” იშვიათად მოაქვს შედეგი... და ხშირად უკუშედეგით მთავრდება ხოლმე.

ლოზუნგების დონეზე კი იმიტომ რჩება, რომ ჯერჯერობით, ვერ ვახერხებთ ეთნიკური ნაციონალიზმის ბატონობისგან გათავისუფლებას. სადღეგრძელოდ ქცეული ნაციონალიზმისგან. ბუნებრივია, ნაციონალიზმი კარგი იარაღია, ძალიან დიდი ემოციური მუხტის მატარებელი იარაღი. თუმცა, ბევრი სხვა “იზმისგან” განსხვავებით, ნაციონალიზმს არ ჰყოლია თავისი დიდი მოაზროვნეები, ისეთი “მამები”, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, მარქსი მარქსიზმისთვის და ჰობსი ლიბერალიზმისთვის. მაგრამ, ისტორიამ დაამტკიცა, რომ ყველაზე მეტი ემოციის მობილზება სწორედ ნაციონალურ სენტიმენტს შეუძლია — სხვა თუ არაფერი, ამან მოიტანა ფაშიზმიც და ნაციზმიც. აქედან გამომდინარე, რასაკვირველია, პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ფიგურებს მუდმივად ექნებათ ამ ემოციებით თამაშის ცდუნება. ეს ძალაუფლების და გნებათ, რეიტინგის მოპოვებისთვის ძალიან ადვილი გზაა — მიმართო მასას — “ჩვენ, ქართველები”. მაგრამ ვინ შედის ამ ქართველებში და ვინ არა? ეს “ქართველები” ხომ ძალიან მრავალფეროვანია. ჩვენთან კი, ხშირად ადამიანი ქართულად მეტყველებს, საქართველოში დაიბადა და აქვე ცხოვრობს, და მასზე მაინც, ბებია სომეხი ყავდაო გაიძახიან.

არადა, საქართველოს მართლა შეუძლია ლალი, გახსნილი და მრავალფეროვანი ქვეყანა იყოს. უნდა გამოჩნდეს ის წვლილი, რომელიც კულტურულ ისტორიაში ე.წ. “უმცირესობებს” აქვთ შეტანილი; ის მრავალფეროვნება, რომელიც ამ ქვეყანას ყოველთვის ახასიათებდა და დღესაც ახასიათებს — არა მხოლოდ ეთნიკურ და რელიგიურ ჭრილში, არამედ, ცხოვრების სტილების, შეხედულებების და მსოფლმხედველობების თვალსაზრისითაც...

ქილევ ერთი ქართული მითი – სტუმართმოყვარეობა

საინტერესოა, რა მოუვა, ვთქვათ, ქართული სტუმართმოყვარეობის მითს გლობალიზაციასთან ერთად. მაგალითად, თბილისში უკვე აშკარად იგრძნობა ჩინელების სანინალმდეგო ემოცია. ალბათ, ეს სტერეოტიპი, რომ ქართველი სტუმართმოყვარეა, იმიტომ, რომ ჩამოვა მდიდარი დასავლელი და მას სიმღერით, ქეიფით და საჭმლით მოგხიბლავთ, მალე აღარ იქნება ერთმნიშვნელოვანი. სტუმარი არ არის მხოლოდ გაპრანჭული მდიდარი. პირიქით, ორი მესამედი სამყარო არ არის მდიდარი, და მითუმეტეს, არ არის ევროპული. და თუ მართლა სტუმართმოყვარეობაზე ვლაპარაკობთ, მაშინ არ შეიძლება სტუმრის გამოჩენვა. ვინ უნდა მიიღო და ვინ – არა. ეგ უკვე სუფთა რასიზმი.

ქართველების და სომხების ეს გაუთავებელი საგა ხომ ცალკე თემაა. იგივე ხდებოდა – შორს რომ არ წავიდეთ – ბალკანეთის ქვეყნებში, 90-იან წლებში. ხორვატები და სერბები ერთმანეთისგან განსხვავებულობის დამტკიცებას სულ პატარა დეტალებით, ვთქვათ, სხვადასხვა სიგარეტის მონევით ცდილობდნენ. რეალურად კი, ისინი ძალიან გვანან ერთმანეთს. პატარა სხვაობები არის, რა თქმა უნდა, მაგრამ... დაახლოებით იგივე ხდება ჩვენთან. ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსი, რასაკვირველია, ცალკე პრობლემაა, მაგრამ ის, რომ თბილისის ენციკლოპედიაა გამოსული და თბილისის ენციკლოპედიაში არ არის ნახსენები ზუგდიდოვი და აზარიანი — ეს სერიოზული საკითხია. ვლასპარაკობთ ენციკლოპედიაზე – ეს ხომ არ არის ვიღაც მარგინალი, ფაშისტურად განწყობილი, ერთი რომელიღაც ისტორიკოსის ნაშრომი. ეს ენციკლოპედიაა, სადაც ფაქტები უნდა იყოს. ეს ხომ ძალიან ინფანტილური დამოკიდებულებაა. ისტორია ხომ ქართველების მოგონილი არ არის და ვიცით, რომ ისტორიას ხშირად პოპულისტური მიზნებისთვის იყენებენ და ის არასოდეს არ არის ობიექტური, მაგრამ ეს ალბათ გამორჩეულად ინფანტილური დამოკიდებულებაა – როცა ქალაქში, კოლექტიურ, ვერბალურ მახსოვრობაში არის სახელები და ენციკლოპედიაში, საერთოდ არ არის.

საზოგადოების ფსევდო იმიჯი

წელან “ზემოდან ქვემოთ” ნამოსულ დიდაქტიკაზე ვლაპარაკობდით — რაც, რასაკვირველია, მხოლოდ პოლიტიკოსებს არ ეხება. მგონია, რომ ეს ტენდენცია უფრო ზოგადია — საზოგადოების ნარმოჩინება როგორც, ერთი მხრით, დასავლეთში განათლება მიღებული ლიბერალების, და მეორე მხრივ კი შავრაზმელი, ფუნდამენტალისტი ქსენოფობების. ეს უკანასკნელები უნდა “განათლონ” და წინ წაუძღვნენ. ამას ბოლშევიკური ელფერი დაკრავს. არის, რასაკვირველია, დიდი სეგმენტი საზოგადოების, რომელიც მართლა შოკინისტურად და ქსენოფობურად აზროვნებს, მაგრამ ასე არ არის ყველა.

არა მგონია, რომ საზოგადოება მართლა ასეა დაყოფილი. აქცენტი გამაზე, მრავალფეროვნებაზე უნდა იყოს, რომელიც არსებობს, მე ეს ნამდვილად ვიცი, ძველა, გამოცდილი მაქვს. საზოგადოება არ არის მარტო წითელი ინტელიგენცია, შავბნელი ქსენოფობები (ქურდული ქვე-სეგმენტის ჩათვლით) და პროდასავლური ლიბერალები. დღეს, სამწუხაროდ, მარტო ეს სეგმენტები ჩანს, რიტორიკულადაც, თითქოს მარტო ეს სამი “ენა” თუ ტერმინოლოგია გვესმის. უფლებებზე დაყრდნობილი “ენჯიონკემბის” ენა, რელიგიურ სენტიმენტებზე, სისხლის და გენის ცნებებზე დაყრდნობილი “შავრაზმელების” ენა და საბჭოთა კლიშეებზე დაყრდნობილი “ინტელიგენციის” ენა. ეს კი, ჩემი აზრით, საზოგადოების ფსევდო სახეა. აქ გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია. განსაკუთრებით, ალბათ, საზოგადოებრივ მედიას. რეპრეზენტირებით, დისკუსიით, რეალური დებატებით უნდა გამოჩნდეს მრავალფეროვნება. ამისათვის აქეთ-იქით გახედვ-გამოხედვაა საჭირო. მეტი არაფერი.

ქვის კედელი

რას ნიშნავს, იყავი ტოლერანტული ჩემს მიმართ? ან გამოიჩინე ემპათია ჩემს მიმართ? ტერმინი “ტოლერანტობა” პროტესტს იწვევს ჩემში, იმიტომ, რომ ამაში თავისთავადაა იერარქია ჩადებული. ვის აქვს იმის უფლება და საშუალება იყოს ტოლერანტული ვიღაცის მიმართ — უმცირესობა ხომ ვერ იქნება ტოლერანტული უმრავლესობის მიმართ? იმიტომ, ეს დამოკიდებულება ამყარებს არსებულ იერარქიებს. სწორედ ამაში დასავლეთის გამოცდილება ძალიან მომწონს – ვთქვათ, “Stone Wall-ის” პრინციპი – კარგად გააზრებული, პოლიტიკურად აგრესიული, ღია და ფიქსირებული პოზიცია უმცირესობის მხრიდან, რომ ჩვენ ვარსებობთ, და მოგწონვარ-არმოგწონვარ, სულერთია. ჩვენ უნდა ვიარსებოთ. თუ არ მოგწონვარ, ჩემი კი არა, შენი პრობლემაა. არ შეიძლება ვიღაცის ცხოვრების წესმა გაგალიზიანოს, თუ შენ კმაყოფილი ხარ შენი ცხოვრების წესით. თუ რაღაცეები არ გაქვს მოგვარებული და ვიღაცეები იმდენად გაღიზიანებენ, რომ მზად ხარ მოკლა – უნდა დაფიქრდე შენ რა გჭირს, იმას კი არა. იმიტომ, ეს რბილი და თბილი დამოკიდებულება, რომ მოდი რა “შემინყნარე” იმიტომ, რომ მე ვარ განსხვავებული და დისკრიმინირებული, მცდარია.

ბილალის ვნება

პათეთიკურად ჟღერს, მაგრამ უნდა ვთქვა — ჩემი აზრით, ფართო გაგებით პოლიტიკური კულტურის განუვითარებლობის მთავარი მიზეზი სტალინისტური მენტალიტეტია... პოსტ-საბჭოთა პერიოდში ქვეყანამ სამი “ლიდერი” აირჩია — ხმათა თითქმის 100 პროცენტით, როგორც საიდანდაც მოვლენილი მესია. ორიგინალური არ იქნება თუ ვიტყვი რომ ამაში “სტალინის” — ბე-

ლადის — მოთხოვნა დევს. ეს არ არის არც სააკაშვილის, არც შვეარდნაძის არც გამსახურდიას ბრალი, ეს სტალინის და სტალინიზმის ბრალია. საქართველოში არ მოხდარა სტალინიზმის და ზოგადად, საბჭოთა კავშირის სიღრმისეული გააზრება და დისკრედიტაცია - ის, რაც მოხდა, ვთქვათ, გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის გამოცდილების ირგვლივ. იქ კი, სადაც ბელადის ვნებაა, დემოკრატიაზე ლაპარაკი ცოტა ძნელია...

როგორ დავანებოთ სტარბოქსებს

თუ ვინმეს რამე შემიძლია ვურჩიო, იმავე მთავრობას, საგანმანათლო და გაცვლითი პროგრამების მაქსიმალური დაფინანსებაა. მოგზაურობა და ადამიანების გაცნობა სტერეოტიპებთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა. როცა ადამიანს იცნობ, იქ უკვე გამოიციხულია ზოგადი კატეგორიებით და კლიშეებით იაზროვნო და ფობიები გქონდეს თავში.

დღეს ადრინიც და მეც ამაზე ვლაპარაკობდით — როგორი ბედნიერები ვართ იმის გამო, რომ ძალიან ბევრ ქვეყანაში გვყავს ძალიან კარგი მეგობრები. ნაცნობები კი არა, მართლა მეგობრები. ვცდილობთ, ბევრი ვიმოგზაუროთ, მათთან ჩავიდეთ. ეს არის მთავარი. დიდაქტიკა და სახელმძღვანელოები ტოლერანტობაზე არაფერს მოიტანს. საზღვრები ღიაა და მაქსიმალური ინტენსივობით უნდა გაუშვათ ბავშვები და სტუდენტები უცხოეთში სასწავლებლად, დასასვენებლად. მე რომ ვიღებდე გადაწვეტილებას, ამას გავაკეთებდი პირველ, მეორე და მესამე რიგშიც. მთელს რესურსს ამას მოვახმარდი. ოღონდ, ერთი პირობით — რომ მართლა ისწავლიან და სტუდენტური ცხოვრებითაც იცხოვრებენ. ქართველების ჯგუფურად სიარული, ერთმანეთის სახლებში ხიჩკლების კეთება და ხაჭაპურების ცხობა არ ითვლება.

იდეოლოგიური კარმონია

ადრინამა რომ გამიცნო, ნამდვილი პოლიტიკური რადიკალი ვიყავი. ღამეებს კითხვაში ვატარებდი. ინგლისში, მაგისტრატურაზე რომ ჩავედი და მეორე კვირაში რომ უცბად ტროცკი და ლენინი მიხსენეს, ალტიუსერი და ფრანკფურტის სკოლა წამაკითხეს და მერე გრამში, ვიფიქრე, ესენი ხომ არ მაშაყრებენ-მეთქი. ჩვენთან ხომ ეს მიდგომები და თეორიები ჯერ კიდევ დისკრედიტირებულია საბჭოთა გამოცდილების გამო. ახლა ძალიან მოხარული ვარ, რომ ასე მოხდა. სხვანაირად ძალიან საინტერესო მოაზროვნეებს ვერ გავიცნობდი. გრამში ჩემთვის დღემდე განსაკუთრებულია. ალბათ, იმიტომ, რომ თბილისში, სტუდენტობის დროს, როცა კინოს ისტორიას ვსწავლობდი, პაზოლინის ვალმერტეტი და ვიცოდი რომ მას გრამში ძალიან უყვარდა. ასე რომ, გრამში მიმართ გულგრილი თავიდანვე არ ყყოფილვარ. სხვათაშორის, ადრინისგან ვავიგე, რომ ნახევრად

სიასლა



სხელი შოკოლადის 10 საუკეთესო ისტორია,
მინი ფორმატით, უკვე გაყიდვასია



ალბანელი ყოფილა. თუნდაც ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიის გამოყენების გაგება თუ გინდა, გრამში უნდა წაიკითხო. ჩემი აზრით, ის ძალიან კარგად ხსნის როგორ ხდება ესა თუ ის იდეოლოგია ბუნებრივი, ჰეგემონური, იმდენად, რომ ამ სრულიად ხელოვნურ კონსტრუქციის ასეთად აღქმა და ანალიზიც კი რთულია.

იმ პერიოდში, გარეგნულადაც სხვანაირი ვიყავი, რაღაცნაირი აფორიაქებული და დაძაბული. ადრიანი სხვა ტიპია – დინჯი, მშვიდი, განონასწორებული. მაშინ გაუთავებლად ვკამათობდით ხოლმე - სხვა მეგობრებთან ერთად — იმაზე, თუ საით მიდის სამყარო და როგორი გადასარჩენია. ბევრი დღემდე მაშიყრებს იმ პერიოდის გამო - თმაგაშლილი, ბობოქარი ფემინისტი იყავი და “ჰეგემონიააააა”, გაიძახოდით. დიდად არც ახლა შემცვლია შეხედულებები ან პოლიტიკური ორიენტაცია. მაგრამ, ამ ბოლო დროს ნერვებს ვზოგავ და თუ ვატყობ, რომ იდეოლოგიურ კამათს აზრი არ აქვს, ვეცლები. ერთადერთი რაზეც მე და ადრიანი ამ ბოლო დროს ვკამათობთ, ტომ ვეითსის თაყვანისმცემელთა ფორუმი, სადაც — ვალიარებ — ზედმეტად დიდ დროს ვატარებ.

რატომ ატარებს სალომი ტომ ვეითსის ფორუმზე ბევრ დროს

ტომ ვეითსის ფორუმი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ბოლო აღმოჩენაა.

ყოველთვის მეცინებოდა ინტერნეტ-ფორუმზე, ინტერნეტ საზოგადოებებზე. სულ ვამბობდი, იმდენი საქმე და მეგობარი მყავს, სად მცალია ინტერნეტისთვის-მეთქი.

თურმე, არასოდეს არ უნდა თქვა, არასოდეს. რა იცი, რა ხდება.

ამ ფორუმის აღმოჩენის შემდეგ უკვე 4-5 თვე გავიდა, ეიფორიამ გამიარა, მაგრამ მაინც ძალიან მომწონს. ბევრი ახალი მეგობარი მყავს, მართლა სრულფასოვანი მეგობარი, მიუხედავად იმისა, რომ თვალთ არ მინახავს არც ერთი. თუმცა, სახელებით და ფოტოებით ვიცნობთ ერთმანეთს. პირადადაც ვაპირებთ შეხვედრას. ტომ ვეითსის ირგვლივ აბსოლუტურად ყველაფერზე ვლაპარაკობთ, მაგრამ, ამავე დროს, ბევრი სხვა განყოფილებაც არის — მუსიკაზე, ლიტერატურაზე, კინოზე. ერთმანეთის ამბებზეც ვჭორაობთ ხოლმე. ტომ ვეითსის გამოა, ალბათ, რომ სნობიზმის, და ინტელექტუალური პრანჭვისგან საერთოდ დაცილილია ეს ფორუმი. გულწრფელია და სადა. ამ ფორუმმა მიმახვედრა, მართლა რა მაგარი რამეა ინტერნეტი. ერთი და იგივე ინტერესის ირგვლივ გაერთიანებული ადამიანები, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, რეალურ დროში ველაპარაკებით ერთმანეთს ამ ინტერესის შესახებ!..

რთული კითხვაა, რატომ მიყვარს ტომ ვეითსი. მის მიმართ იმდენად ემოციური დამოკიდებულება მაქვს, და მისი მუსიკა ისე მჭიდროდაა დაკავშირებული ჩემი ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპთან, რომ ამაზე რაციონალური საუბარიც კი მიჭირს. საერთოდ, მუსიკის სმენა ბავშვობიდან ჩვევად მაქვს ქცეული - დედაჩემის მუსიკის გარდა, ჩვენთან სახლში სულ ბიტლზი, დორსი და როლინგ სტოუნსი ისმოდა, მელომანი ბიძის წყალობით. დღესაც სულ მუსიკას ვუსმენ — მუშაობის პროცესში, დასვენების დროს, გზაში... უკვე წლებია, გამუდმებით ვუსმენ ჰენდრიქსს, ჯოპლინს, დორსს, ლედ ზეპელისს, პერლ ჯემს, საუნდგარდენს, ჯეფ ბაკლისს, მაილს დევისს... მაგრამ ტომ ვეითსის მსგავსად არავინ მიყვარს. სხვა ვერც ერთი მუსიკოსის თაყვანისმცემლებთან ვილაპარაკებდი

საათობით ინტერნეტ-ფორუმებზე.

ვეითსის მუსიკა სულ სხვაა, აბსოლუტურად გამორჩეულია ყველაფრისგან — წარმოუდგენლად საინტერესო და მრავალფეროვანია. თან, მუსიკალური გემოვნების გარდა, არის კიდევ მსოფლმხედველობა, ცხოვრების წესი და ფილოსოფია რომელსაც ეს კაცი ატარებს, და რომელიც ათწლეულების განმავლობაში მუდმივად ტრანსფორმირდება. 70-80 წლების ტომ ვეითსი, ოთხმოცდაათიანების და დღევანდელი სულ სხვადასხვაა. მისი ყოველი ახალი ალბომი ახალი სიღრმის აღმოჩენაა. რაც უცვლელი რჩება, ნონ-კონფორმიზმი და უკომპრომისობაა. ალბათ, ამიტომაც მიყვარს ასე ძალიან — ამტკიცებს, რომ დღევანდელ კონფორმისტულ, ფარისევლურ, კომერციულ სამყაროში შეიძლება, რომ ბოლომდე უკომპრომისო დარჩე. ერთი ტომ ვეითსი – არ ვიცი, არავის არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო — გადანონის 100,000 ჰალსტუხიან და გამოპრანჭულ პოლიტიკოსს, ბიზნესმენს თუ შოუ-ბიზნესის “ვარსკვლავს”. მის ფონზე ეს ყველაფერი კომიკური და ძალიან ორდინარული ხდება.

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში კონცერტებს აღარ მართავს. ფორუმზე ძალიან ველოდებით რომ ახალ ტურს გამოაცხადებს. მის კონცერტზე მოხვედრა ჩემი ცხოვრების მუდმივი, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ოცნებაა.

არასოდეს დამავინწყდება, 90-იან წლებში, “მწვანე ტალღაზე” მუშაობის დრო. დიჯეები თითქმის გამუდმებით ვკამათობდით ხოლმე — ზოგს უფრო მძიმე როკი მოსწონდა, ზოგს შედარებით მსუბუქი, ზოგი მხოლოდ კლასიკური როკის მომხრე იყო, ზოგი კი შიგადაშიგ ელექტრონულ მუსიკას უშვებდა ხოლმე ეთერში. ვზოცავდით ერთმანეთს რეპერტუარის გამო. ერთადერთი მუსიკოსი,

რომელიც ყველას ერთნაირად მოგვწონდა, ტომ ვეიტსი იყო. მგონი მარტო ერთი ალბომი გვქონდა, “Blue Valentine” — და სუყველანი გავგიჟდით ამ ალბომში შესულ სიმღერაზე, “Blue Valentines”. ამ სიმღერას დაახლოებით საათში ხუთჯერ ვუშვებდით. ბოლოს მაკა ჯახუა, ჩვენი უფროსი, ამ დისკს სეიფში კეტავდა ხოლმე — და სწორიც იყო, იმიტომ რომ როცა არ უნდა ჩაგერთო რადიო, მწვანე ტალღაზე სულ ეს სიმღერა ტრიალებდა. ძალიან მელანქოლიური, ლირიკული სიმღერაა, გიტარის თანხლებით, ხელმოცარულ სიყვარულზე. მერე სეიფის კოდი ვისწავლეთ, თუ დისკის სხვა ასლები მოვიტანეთ. ვუშვებდით ისტერიულად ამ სიმღერას, ვიჯექით და ბედნიერები ვუსმენდით.

ვეიტსთან ტელეფონით ინტერვიუს ჩანერაზეც ვოცნებობ. ძალიან რთული კია ეს საქმე, მაგრამ იქნებ გამოვიდეს. ამ ბოლო დროს, ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობს. სახლშია, საყვარელ ცოლთან ერთად 3 შვილს ზრდის და ჯერ-ჯერობით კონცერტებსაც არ ატარებს. ცოტა ხნის წინ ერთ თოკ-შოუში იყო მინვეული. იუმორი აქვს, მართლა საოცარი. მუსიკას რომ დაანებოს თავი, საუკეთესო კომიკოსი იქნება. კონცერტების დროსაც ბევრს ლაპარაკობს. მოკლედ, წამყვანს უყვებოდა, რომ ღამე ბავშვების ოთახთან გავიარე და უფროსი შვილები პატარას ეუბნებოდნენ, არასოდეს, არასოდეს თხოვო მამას საშინაო დავალების შესრულებაში დახმარება. გული დამწყდა, ასეთი რა დავაშავეო, ამბობდა. ალბათ, როცა დაეხმარა, რალაც ისეთი ექსცენტრიული უთხრა, რომ ბავშვებმა ხელი ჩაიქნიეს.

როგორ ბახდა სალომე არა-მწველი

2 წლის წინ დავანებე მონევას თავი. 30 თუ 31 ივლისის ღამეს, გადავავდე ბოლო “ბიჩოკი” და ვთქვი, რომ ეს ჩემი ბოლო სიგარეტი იყო. კარგა ხნით ადრე მივხვდი, რომ ძალიან დამოკიდებული ვხდებოდი სიგარეტზე. ოთახიდან ოთახში ვერ გავდიოდი კოლოფის გარეშე და ამის გამო უკვე საშინელი დისკომფორტი მქონდა. რალაც ადგილებს ვსაზღვრავდი — იქ როცა მოვხვდები, მოვწევ, იქ მონევა არ შეიძლება. პრალაში, სამსახურში არსად არ შეიძლება მონევა, გარეთ უნდა ვახვიდე. მაგრამ, იმდენად ძნელი მეგონა მონევისთვის თავის დანებება, რომ არც კი ვცდილობდი.

ერთი ამხანაგი მყავს, საქართველოზე შეყვარებული ერთი ირლანდიელი ბიჭი, რომელიც აქ გამომოსახლდა, ჩემი მეზობელი გახდა. მე და ის, ორი გიჟი მწველი, სიგარეტის თავგადაკლული სიყვარულით ვიყავით გაერთიანებული, ხშირად ვამბობდით ხოლმე, რომ არასოდეს დავანებებდით.

ერთხელაც ჩამოვიდა თბილისში და მონევა რამდენიმე თვის დანებებული ჰქონდა. თურმე ორი ახლო ნათესავი ერთდროულად გარდაეცვალა, ერთ-ერთი - სიგარეტთან დაკავშირებული დავადებით. მე საბედნიეროდ გამიმართლა, ეგეთი

შოკი არ მიმიღია, მაგრამ მასხოვს კაფეში ვისხედით და მთელი საღამო ვფიქრობდი, რომ ეს უკვე აუტანელია — ამან თუ დაანება, მე როგორ ვერ უნდა დავანებო. ადრიაინი არ ენევა და ისიც სულ მთხოვდა, დაანებო. ვიფიქრე, აბა ვცდი-მეთქი.

პირველი დღეები დაძაბული ვიყავი. ახლა ცუდად გავხდები, ახლა ლომკა დამეწყება-მეთქი, ვფიქრობდი. მერე ერთ მშვენიერ დღეს, მეხუთე-მეექვსე დღეს მივხვდი, რომ ცუდად კი არ ვიყავი, ცუდად გახდომის მეშინოდა. დისკომფორტი როგორ არ არის, მაგრამ მსუბუქი გაციების თუ სურდოს ტოლფასია, და ესეც ერთ კვირაში გადაის.

მერე უკვე ძალიან ადვილია. როგორც კი გაიზრება, რომ არც ისე ცუდად არ ხარ, როგორც გეგონა რომ იქნებოდი, მერე მიდის კარგად. მართლა მგონია, რომ ეს მითი, რომ სიგარეტისთვის თავის დანებება ძნელია, თამბაქოს კომპანიების მოგონილია იმისათვის, რომ ხალხი დააშინონ და დანებების სურვილი არ გაუჩნდეთ, ან დანებების პროცესში კიდევ უფრო მეტი სტრესი შეუქმნან.

მერე ჩემს ირგვლივ ბევრმა დაანება. დღემდე რომ მხედებიან ძველი ნაცნობები, ვერ იჯერებენ, რომ არა-მწველი გავხდი. ბაბუა ძალიან ამყობს ჩემით — წლების წინ, მანაც ერთ დღეში გადავადო სიგარეტი. არადა, მანამდე უამრავს ეწოდებოდა, ბებია მიყვება ხოლმე. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი თავით და ვისაც უნდა გავუწვევ კონსულტაციას, თუნდაც იმილით, როგორ დაანებონ მოწვევას თავი. თუმცა ასეთი “ქადაგება” ზოგჯერ უკუშედეგს იწვევს. მაგალითად, მე ალან კარის წიგნი რომ არ წამეკითხა, კიდევ უფრო ადრე დავანებებდი მონევას თავს. ძალიან ამიშალა ნერვები. თუმცა, ინდივიდუალურია, ბევრს უშველა. ბევრს შველის სუროგატები, სალექი რეზინები და ტაბლეტები. მე საერთოდ არაფერი გამომიყენებია. მართლა ადვილია და სადღაც ერთ თვეში მიხვდებით, რომ ძალიან ჭკვიანური ნაბიჯი გადადგით.

პარტი მდინა და საინტერესო რისკონდენტები

ვიცი რომ სწობურად ჟღერს, მაგრამ უნდა ვთქვა — ძალიან მიყვარს ბრიტანეთის მედია, და ყველაზე ხშირად მას ვუყურებ, ვუსმენ ან ვკითხულობ. Channel 4, რომელიც სამწუხაროდ სატელევიზიო არ გადის და მარტო ინგლისში შეგიძლია უყურო, ჩემი საყვარელი ტელევიზიაა. ძალიან კარგად გამოსდით ინტელექტუალური შინაარსის შეთავსება რადიკალურ სულსკვეთებასთან და მასობრივ ფორმატებთან. BBC ტელევიზიაც მიყვარს და რადიოც. “Hard Talk”-ის ახალი წამყვანი, სტივენ საკური, ჩემთვის მისაბაძი ჟურნალისტი. მინდა, ასე პროფესიონალურად ვიღებდე ინტერვიუებს!..

ჩემს ინტერვიუებს რაც შეეხება, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ინტერვიუ ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან, ტერი დევისთან მქონდა. ეს ის პერიოდია, ქართველებს რომ

ასახლებდნენ რუსეთიდან, საშინელ პირობებში ამყოფებდნენ და რამდენიმე ადამიანიც რომ გარდაიცვალა. მოკლედ, ინტერვიუს დროს მითხრა, ვიდრე ფაქტები არ მეცოდინება, რეაგირებას ვერ მოვახდენ, მედიის რეპორტებზე დაყრდნობით ჩვენ გადანყვეტილებას არ ვიღებთ. ამ დროს კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ევროსაბჭოში ჩვენი ელჩი, ზურა ჭიაბერაშვილი აქტიურად მუშაობდა სწორედ ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით.

ეტყობა, იმდენად დაძაბული ვიყავი, რომ ძალიან შევეუტიე. პროფესიული თვალსაზრისით, კარგი ინტერვიუ გამოვივიდა, კრიტიკული და საინტერესო.

ჯორჯ სორისთან მქონდა ძალიან საინტერესო ინტერვიუ ორი წლის წინ, რევოლუციის მერე. მის წვლილზე რევოლუციამ. საინტერესო შემთხვევა იყო ჯონ მაკკინთან (ახლა უკვე ძალიან სწობურად გამოდის!). წინა დღეს შევეთანხმდი მის მდივანს ინტერვიუზე. ვარდების რევოლუციის მეორე წლისთავზე ვაკეთებდი გადაცემას და მინდოდა მისი კომენტარი ჩამენერა, როგორც ამ პროცესების ერთ-ერთი აქტიური მხარდაჭერის. მეორე დღეს ჯონ მაკკინმა დათქმულ დროს თვითონ გადმოირეკა რადიოში და მელოდნენ, როდის გადავრთავ-გადმოვრთავდი ტელეფონებს, რომ ჩანერაზე გამეშვა. ძალიან თბილად მახსენდება ეს ფაქტი.

ისევ რადიო თავისუფლება

ის მისია, რასაც რადიო თავისუფლება ასრულებს, აბსოლუტურად ცარიელი ნიშაა დღეს საქართველოში.

ბოლო 15 წლის განმავლობაში, საქართველოში ჩამოყალიბდა აზრი, რომ “კარგი” მედია ის არის, რომელიც ხელისუფლებას აკრიტიკებს. კონკრეტულად რას აკრიტიკებს, არ აქვს მნიშვნელობა. ამიტომაც, ძალიან ხშირად ეს არ არის არსობრივი კრიტიკა. მეტიც — ხშირად ეს კრიტიკა გარკვეული ძალების ინტერესებით არის მოტივირებული, და არა ჟურნალისტიკის პრინციპებით. ჟურნალისტს არავინ სთხოვს მარმარილოს კომპურაზე შემოჯდომას. რასაკვირველია, მას უნდა ჰქონდეს პოზიცია, მაგრამ ლაპარაკია პროფესიული სტანდარტების, ეთიკის დაცვაზე. რადიო “თავისუფლება” ჰქვია რადიო “თავისუფლება”. მას არ ქვია — როგორც ჩვენი რადიოს პრეზიდენტმა ამას წინათ თქვა და ძალიან მომეწონა - რადიო რელატივიზმი, ან რადიო ფარდობითობა. აქედან გამომდინარე, რადიო თავისუფლებას კონკრეტული მიზანი აქვს — დემოკრატიული ფასეულობების გამყარება, ინფორმაციის თავისუფლების ხარისხის გაზრდა, ადამიანის უფლებების დაცვა და სოციალურად არაპრივილეგირებული ჯგუფების ინტერესების დაცვა. ამიტომაც, ვერ იქნება ის ვერასოდეს ნეიტრალური, ამ სიტყვის აბსოლუტური გაგებით. მაგრამ ის რომ, რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური თუ ბიზნეს ძალის



ინტერესები გამოხატოს, და იმის მიხედვით იყოს მიკერძოებული ან მიუკერძოებელი, ეს ამ რადიოს მახასიათებელი ვერასოდეს იქნება. და ამით არის ის დღევანდელ ქართულ მედია სივრცეში უნიკალური.

მედის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია საზოგადოების ინფორმირებაა. ინფორმაცია უნდა იყოს მრავალფეროვანი, ღრმა, და მართლაც კრიტიკული — ოღონდ კრიტიკული, ფართო, ანალიტიკური მნიშვნელობით. დანარჩენს აუდიტორია — ხალხი - თვითონ მიხვდება.

ასევე, საქართველოში თითქმის არ შუქდება საერთაშორისო პოლიტიკა. წარმოდგენა არ გვაქვს რა ხდება მეზობელ ქვეყნებში, რომ აღარაფერი ვთქვათ აზიასა და აფრიკაზე, რომელიც, ალბათ, აღარც გვახსოვს, სად არის. ვერ ვიტყვი, რომ რადიო თავისუფლება მთელს გლობუსს თანაბრად ფარავს, მაგრამ რადიოს ქართული სამსახურის შეგნებული პოლიტიკაა, რომ უცხოეთის ამბები მიაწოდოს ქართველ მსმენელს და წარმოაჩინოს, თუ რა კავშირი აქვს ამ პროცესებს საქართველოსთან, და პირიქით, რა გავლენას ახდენს ლოკალური მოვლენები გლობალურზე.

ჰერ-ჰერობით ბოლო ბაჩირიბა - კრალა

თუ დამიჯერებ, არასოდეს დავმსხდარვართ მე და ადრიანი ჩვენს გეგმებზე სერიოზულად სალაპარაკოდ. ისე გაირბინა დრომ, რომ ვერც მივხვდით. უკვე 6 წელია ერთად ვართ, მაგრამ არასოდეს გვექონია რუტინული, სტაბილური ცხოვრების წესი. რომ გვეთქვა - მოდი ბავშვზე ვიფიქროთ, ან, თუნდაც, მაგიდა ვიყიდოთ. ჩვენი არსად არაფერი გვაქვს, ყველგან მიმოფანტული გვაქვს ნი-

ვთები, წიგნები, ტანსაცმელი... რაც ადრე ძალიან მომწონდა, მაგრამ ახლა უკვე ცოტა მბეზრდება. თუმცა, იმდენად ინტენსიური და საინტერესო იყო ბოლო 10 წელი, არ ვნანობ.

ბოლოს ცოტა რთული პერიოდი გვექონდა. მე პრალაში ვიყავი, ადრიანი ძირითადად იტალიაში. მე როცა პრალაში გადავედი, იმ წელს ადრიანმა სადოქტორო დისერტაციაზე დაიწყო მუშაობა ფლორენციის ევროპულ უნივერსიტეტში. სხვათა შორის, ალბანეთის და საქართველოს შედარებით ანალიზზე მუშაობს — იკვლევს, როგორ აღიქვამდნენ “ევროპის” იდეას ქართველი და ალბანელი პოლიტიკოსები და ინტელექტუალები მეოცე საუკუნის დასაწყისში, კომუნისტების პერიოდში, და დღეს. ევროპა არა როგორც გეოგრაფიული მოცემულობა, არამედ როგორც სიმბოლური ფენომენი, იდეა. ქართული წყაროების კითხვაში მეც ვეხმარები, თუმცა თვითონაც კარგად კითხულობს და წერს ქართულად. იტალიაში უკვე ყველა საჭირო კურსი გაიარა, გამოცდები ჩააბარა, და ანი სულ ჩემთან ერთად იქნება, პრალაში. ახლა მხოლოდ უნდა წეროს. მაგრამ აქამდე, რთული პერიოდი იყო. საქართველოს და ალბანეთის მოქალაქეებს, ყოველ ფეხის გადადგამაზე ვიზა გვჭირდებოდა, თავიდან ველოდებოდით ამ ვიზებს, მე ჩეხეთში, ის იტალიაში. თან მე ჯანმრთელობა არ მქონდა კარგად, თვალზე მქონდა რალაც პრობლემები. ახლა ყველაფერი უკეთაა, ადრიანი პრალაშია, მე ჩემი ახალი სამსახური მომწონს და ალბათ, კიდევ რამდენიმე წელი დავრჩებით იქ, მიუხედავად იმისა, რომ ხმაურიანი, დიდი მეგაპოლისები უფრო მომწონს.

როცა ამბიციურ ფიქრებს მივეცემი ხოლმე, ვფიქრობ, რომ მე გავაკეთებდი ძალიან კარგ ტელევიზიას, რადიოს, გადავიღებდი კარგ ფილმს

და დაწერდი კარგ წიგნს. ვიმღერებდი კიდევ, როცა დედა არ მომისმენდა, მაგრამ — არ ვიცი. ეს ოცნების დროს ხდება, როცა ძალიან კარგ ხასიათზე ვარ. არ ვფიქრობ მომავალზე, რომ არ მოგატყუო.

იმედი მაქვს, რომ მექნება საინტერესო საქმე, ისევე მეყოლება ერთმანეთზე გიჟი და საინტერესო მეგობრები. აი, სად ვიქნები, ეგ ძალიან რთული კითხვაა. ჩემს თავს თუ ჩავეძიები, მაინც თბილისზე ვფიქრობ, მაგრამ არ ვიცი, ასე ვფიქრობ უკვე 10 წელია. ჩამოვდივარ და ისევე წასვლა მიწევს...

ერთადერთი რაც ნამდვილად მინდა, რომ იყოს: სადაც ვიქნები, როგორც ვიქნები, მინდა, რომ ადრიანთან ერთად ვიყო. სანამ ადრიანი იქნება ჩემთან, ვიცი რომ ყველაფერი კარგად იქნება. სენტიმენტალურად უღერს, მაგრამ ეგრეა...

P.S.

სალომეს sms: “კიდევ 15 წუთი მჭირდება რა, შხაპი უნდა მივიღო. ვაუთოვები და საშინლად დამცხა”.

გავიკვირვე, კიდევ აუთოვებ-მეთქი.

– “ვაუთოვ რომელია, ზენრები და საბნის პირები დავაწყვე დასტა-დასტად. ასე ვიცით მემარცხენეებმა!”

– “მართლა გითხრა, ვაუთოვო? მეციცხა. ეგ იგევეა, მე რომ გითხრა, ფეხბურთს ვთამაშობდი და ზარი ვერ გავიგეო” – მომწერა პასუხად სალომეს მეგობარმა, გოგი გვახარია.

ასეა. სალომე ჭკვიანიც არის და ზენრების უთობაც არ ეზარება, ტომ ვეითის მუსიკის ფონზე. რა სჯობს მრავალფეროვნებას!

შენიშვნა: სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები სალომე ასათიანს ეკუთვნის და არ გამოხატავს „რადიო თავისუფლების“ პოზიციას.

ანუხა მურვანიძის სტუდია გრიმ-მასაა გაძლავთ
საშუალებას სამ თვეში დაუფლოთ
ვიზაჟისტიკის პროფესიას





ფოტო: ლევან ხაჩაპურიანი

არტ-პროექტორი ჩარჩოს გარეშე

<<< **ლასანისი** 83. 78

ქართულ ნაციონალურ აქცენტებში საგნებისადმი სიყვარული და მსუქანი ხელოვნება ვიგულისხმებ, ვიტრინის ხელოვნება, რომელიც შაქარმოყრილ ტორტს ჰგავს. ნამდვილი ხელოვნება ღვინოსავითა ან მწვანე ჩაივით. მე კი, მწვანე ჩაის ვსვამ, ოღონდ, უშაქროდ.

ბერიშვილის მართლაც გამორჩეული და უნიკალური კოლორისტიკის ფონზე ცოტა უჩვეულოდ გამოიყურება რამდენიმე შავ-თეთრ, უფრო სწორედ, სეპიას ტონალობაში შესრულებული სურათი. სწორედ ესაა მისი ჯერ დაუმთავრებელი პროექტი, რომელსაც ირონიით "Berish- Cinema" დაარქვა...

– ცხოვრება კადრებია, შენც ერთ-ერთი კადრი ხარ. თუ გინდათ, კინო დაარქვით, ჩემს ცხოვრებას ისე ვუყურებ, როგორც ფრაგმენტს ფრაგმენტებში. მიყვარს კინო, მაგრამ, არ მიყვარს ძალიან ჭკვიანური კინო, აი, რუსები "ზაუმნის" რომ ეძახიან, ისეთი. არ მიყვარს ტარკოვსკი, პირველად რომ ვნახე, გამიკვირდა და მომეწონა, მერე კიდევ ვნახე და ვიფიქრე, როცა შენს წინაშე ამხელა მეკვიდრეობა, კულტურა, მამაშენის ლექსები, მერე ამ ყველაფერს აერთებ და "ზაუმნი" ფილმს იღებ, ეს უკვე არაა დიდი კინო. მიყვარს ფელინი, ანტონიონი, სატიადჯიტი რეი, იოსელიანი. იმ დროიდან მოვიდივარ, როცა მეტრები იღებდნენ კინოს, და არა ფოტოგრაფები. ამ ნახატებში შავ-თეთრი ფერის ფერი გავაცოცხლე. ესეც იმ წლების ნოსტალგიაა, არ ვფიქრობდი იმაზე, რა

გამოვიდოდა, ამაზე არასდროს ვფიქრობ ხატვისას, ჯერ სულში უნდა მოხდეს პროცესში ჩართვა და მერე უნდა გადათარგმნო ყველაფერი ფერწერის ენაზე. როგორც სამურაიმ, ხმლის ერთი მოქნივით რომ აგვარებს საქმეს. არ მიყვარს სიტყვა ბრძოლა, მაგრამ ესეც ბრძოლასავითაა. სადღაც ბუნებაში არსებობს მომხიბვლელი იდეა, რომელიც საჩუქარია, თუ დაინახე, ხელიდან არ უნდა გაუშვა. ეს კინოპროექტიც აქედან მოვიდა. ჯერ-ჯერობით ვმუშაობ, ვნახოთ რა გამოვა.

იურის ბინა-სახელოსნოში ჯერ დაუმთავრებელი ნიუ ჰკიდეა, რომელსაც თვალს ვერ ვაშორებ, თითქოს დაცლილია ფორმისგან, არადა, ძალიან სხეულებრივია და ეროტული.

– ნიუს რომ ხატავ, მაქსიმალურად ეროტული უნდა იყოს, ასხივებდეს, ანათებდეს, არ მრცხვენია ამის და არც იმაზე ვფიქრობ, ვილაცამ უხამსობად არ აღიქვას. დღეს თუ არა, ხვალ მაინც მიგიღებენ. ახლა არავის უყვირს შავფულეებიანი ქალი, ლოტრეკმა რომ გააკეთა თავის დროზე, მაშინ უკვირდათ. ქალი შეუცნობადი ობიექტია, სხვადასხვა ნათება აქვს. არასდროს ვხატავ კონკრეტულ ქალებს. უფრო კონკრეტული ის ენერჯიაა, რომელიც მახატვინებს. მომწონს და ვაკეთებ. ერთი ეროტული პეინტიცი მაქვს დახატული. კულტურულმა ადამიანმა ყოველთვის იცის ზღვარი.

შემოქმედება ლოცვა და უზენაესის ყურისკენა მიმართული, ამბობდა იოსებ ბროდსკი, თან ამბატებდა. პოეტისთვის იდეალური თანამოსაუ-

ბრე ანგლოზიაო. ეს ის თემაა, რომელზეც, ხმამალლა ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, უხერხულიც კია, მაგრამ, ჩვენი საუბრის ბოლოს, იური ბერიშვილი თვითონ შეეხო ამ თემას, სიმართლე გითხრათ, არც გამკვირვებია. ირგვლივ მისი ნახატები ენყო და მომეჩვენა, რომ ამის თქმის უფლება ჰქონდა, ეს ბუნებრივი და მოსალოდნელიც კი იყო მისგან.

– ეს სამყარო ქურუმებმა გადაარჩინეს, ხელოვანიც ქურუმი, მას ტრანცენდენტთან აქვს შეხება, დიდი დირიჟორი ქურუმი, ინტერპრეტატორი კი არაა, ის სხვაა, ის ლოცულობს, ლოცულობს ისე, სანამდეც მიუშვებენ, მისტერიებთან აქვს საქმე, ელ გრეკო ბრინჯაოა, ველასკესი – ოქრო. აღმოსავლეთსაც ესაა აქვს. სიტყვაში ამას აკეთებდნენ შექსპირი, დოსტოევსკი, ბროდსკი, გალაკტიონი, ჯოისი – ნამდვილი ქურუმები, მლოცველები იყვნენ. მუსიკაში ბახი, რომელსაც სულ ვუსმენ. ჯაზსაც მაგარი ქურუმები ჰყავდა, ფერწერას ხომ, თავისთავად...


ფერის განზომილებაში როცა ხვდები, უნდა გახდე გამტარი, მაქსიმალური წვა ტრანცენდენტის დავალებაა, ამას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, იქ არ არსებობს არც მტერი, არც შური, არც ბოროტება. მთაზე ხომ ვერ ახვალ ღიპით, და რომ ახვალ, იმას კი არ იტყვი, აი, რამსიმალღე მთა დავიპყარო, იტყვი – რა ლამაზად ჩანს აქიდან ცა და ვარსკვლავებიო! ფერის მეტაფიზიკა, ფერის ვიბრაცია რომ დაინახო, დიდი საჩუქარია. როცა კაცი ნამუშევართან მიდის, ინტელექტუალური ეგო უნდა გადაადგოს, მაქსიმალურად გათავისუფლდეს და აუცილებლად მიხვდება, ვის შეხვდა – გამვლელს თუ ქურუმს...

იური ბერიშვილი დღეს ერთ-ერთ ნარმატებულ აბსტრაქციონისტად ითვლება, თუმცა, თვითონ სხვანაირად ფიქრობს...

– მეორადობის ექსპლუატატორი არ უნდა გახდე. რაიმე გარე ინფორმაციის საფუძველზე კი არ უნდა გააკეთო ობიექტი, არამედ შინაგანად უნდა იყო მზად ამისთვის. თავისუფლების მომენტი ფორმაში – სულ ესაა აბსტრაქციონიზმი, ყველამ იცის ეს ისტორია, "ნითელქუდა" რომ დავხატე და მეუბნებოდნენ, მგელი სად არისო, მგელი ისაა, ვინც ამას უყურებს-მეთქი, მგელი მე ვარ, მხატვარია მგელი. მერე მომეწონა ეს ირონია და მეორე ნითელქუდაც გავაკეთე. ძალიან ეროტული ნითელქუდა, პოსტმოდერნიზმის ეპოქის ნითელქუდა, ნახევრად აბსტრაქტული ფიგურატივი, სადღაც შორს ბაობაბი დგას, რა შუაშია, მაგრამ მაინც გავაკეთე. იქვე სადღაც მგელია, სადაა, მხოლოდ მე ვიცი.

– **ქართულ ავანგარდიზმზე რას იტყვით?**

– ავანგარდიზმი დღეს უკვე გადაიქცა ყავანგარდიზმად და სალონებში გადაინაცვლა, სადაც პოულობს კიდევ თავის უკომპრომისო ვატერლოებს პატარ-პატარა ნაპოლეონებით. ანდერგრაუნდი დიდი ხანია მოკვდა. დაგვრჩა ოვერგრაუნდი, ამისთვის კი, საჭიროა ფრთები და... ლურჯი პასპორტი კოსმოსში...



ფოტო: ლიანა ნაკალოძე

ნავალ, დაველაკარაკები, რა ისი, რა ხლება?!

>>> **დასაწყისი გვ. 86**

რალაც პერიოდი, რადიოში დავინწყე მუშაობა. ლამის ცვლაში ვიყავი, მე ხომ ლამის ტიპი ვარ. მომწონდა რადიოში ყოფნა, მართო ვიჯექი ბნელ ოთახში და მთელი ღამე ვლაპარაკობდი, მუსიკას ვუშვებდი. არადა, იცი რა საშიში დრო იყო?! რადიო გეოლოგიის ინსტიტუტში იყო, სპორტის სასახლის უკან. როცა მივედიოდი, იმას გამოუშვებდნენ, ვინც შიგ იყო, მერე მე შემიშვებდნენ და გარედან მკეტავდნენ, რომ ვილაც არ შემომგარდნოდა. ძალიან აქტიური ვიყავი და როცა ცხოვრება ასე მდორედ მიდიოდა, თვითონ ვიგონებდი რალაცეებს, საქმეს ვიგონებდი. ახლა, ბერლინში, ტელევიზიაში “დოიჩე ველეში” ვმუშაობ, საინფორმაციო გადაცემებს ვამონტაჟებ და იქაც ლამის ცვლა მაქვს აღებული. ყველაზე რთული იუგოსლავიის ომის დროს იყო. ისეთი რალაცეების მონტაჟი მიხდებოდა, რომ... ისეთ რალაცეებს ვხედავდი, რა თქმა უნდა, ბევრ რამეს არ ვუშვებდით, მაგრამ... ითრგუნები, ძალიან ითრგუნები, ამიტომ ტელევიზორს თითქმის აღარ ვუყურებ. ტელევიზია ხომ არასდროს გვეუბნება იმას, რომ დღესაც ამოვიდა მზე, რომ დედამინა ისევ ტრიალებს უსასრულო კოსმოსში...

ჩემი მეგობარი, აჩიკო ერისთავი, მოსკოვში მუშაობს, ბურდენკოს კლინიკაში, ნეიროქირურგია. ძალიან მინდოდა ოპერაციაზე დასწრება და იმდენ ხანს ვეხვეწე ჩამოვალ-მეთქი, რომ ყველაფერი მომიგვარა, ანუ ნებართვა აიღო პაციენტისგანაც და კლინიკისგან, 5 საათიან ოპერაციას დავესწარი, თან ფოტოებს ვიღებდი. უყურებ სხეულის ამ ნაწილს, სადაც ამხელა საოცრება დევს, ამხელა

კომპლექსურობა, თითოეული ადამიანი ისეთი დიდი გამოცანაა... ამ ყველაფერს ჩემს ახალ ფილმშიც გამოვიყენებ, როცა ერთ-ერთ გმირს ტვინის ოპერაციას უკეთებენ, ბრილიანტს პოულობენ. როგორც გაკრისტალებული აზრების სიმბოლოს. აზრი ხომ ნელ-ნელა იბადება, ილექება, როგორც კრისტალი, რომელიც ყველაზე მკვრივია, მაგარია, შუშას და მეტალსაც კი ჭრის. დოსტოევსკის ფრაზაა, რომელიც ძალიან მიყვარს “ადამიანი ეს საიდუმლოა, რომელსაც ვერასდროს ამოიცნობ, მაგრამ ამ გამოცნობისას, შენ შეგიძლია გახდე ადამიანი”, ეს არის ამოცანა, სხვა მიზანს ვერ ვხედავ ჩემს ცხოვრებაში, გავიგო ის, რასაც ჩვენ ვეძახით ადამიანს და არ დავკმაყოფილდე გამზადებული, მკვდარი ცოდნით. შეიძლება, ბევრი ნიგნი გქონდეს ნაკითხული, მაგრამ თუ არ გააცოცხლე ეს ცოდნა, მკვდარია; დიმიტრი ამბობს – მე, სიმართლე ვარ, რა ამბიციურია ხო? მაგრამ არა, თუ მე არ მივიღე მონაწილეობა სიმართლის შექმნაში, ის არ არსებობს ჩემთვის”.

ვინ არის დიმიტრი?

ზოგადად კინოს და უცნაური სახელწოდების კინოსცენარის – „ჩემი საბნის ნაკეცის“ შესახებ

დიმიტრი 30 წლისაა, არ იცის, რომ ეს სახელი შესტაკოვიჩის საპატივსაცემოდ დაერქვა და ვერც იმას ხვდება, რომ ჯერ მხოლოდ ფურცლებზე არსებობს; მომავალი ფილმის სასცენარო ფურცლებზე. ის საკუთარ ავტორს ჰგავს: ასაკით, უცხოეთში სწავლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებით, საზოგადოების მარწმუნებდნ და თავის და-

ღწვევის სურვილით და ამით გამოწვეული ახალი პოზით – კლდეზე ცოცვით, რომლის პროცესში არ არსებობს გუმინ და ხვალ, სადაც არსებობს მხოლოდ ის ერთი ნამი, როცა ხელით მოსაჭიდ ადგილს ეძებ. სადაც, ყველაზე საინტერესო მას მერე იწყება, რაც ერთ-ერთი მორიგი აცოცების დროს, დიმიტრი და ანდრეი (ფილმის მეორე გმირი) უცნაურ ტყეს აღმოაჩენენ და სადაც, ეს უკანასკნელი მისტიურად უჩინარდება. ჩვენ კი, მაყურებელი, მთელი ფილმი იმის გარკვევას ვცდილობთ, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მაშინ, როცა ორმა კაცმა, უცნაურ ტყეს მიაგნო. დამანტრიგებლად ჟღერს, არა?! ორი წელია რაც ამ სცენარზე მუშაობს. ის თითქოს ნელ-ნელა მოჰყვებოდა ზაზას, თავისთვის პარალელურ რეჟიმში არსებობდა. არსებობდა მაშინაც, როცა ის და დიტო ცინცაძე, დიტოს ბოლო ფილმის „კაცი საელჩოდან“ სცენარს წერდნენ; როცა ორი დოკუმენტური ფილმი გადაიღო და დიდი წინააღმდეგობის განწვევის შემდეგ, ამსტერდამში აღმოჩნდა. მისი დიდი ხნის მეგობარი, რეჟისორი ინეკე სმითი ხომ ამდენს ურჩევდა, ჩასულიყო ამსტერდამში, სადაც უმაღლეს სარეჟისორო კურსებს გაივლიდა, ზაზა კი... ზაზას წარმოედგინა, რომ უნდა მჯდარიყო ჯგუფში და კოლექტიურად ეწერა სცენარი; რისი გაფიქრებაც და უსიამოვნო ჟრუანტელის დაგლა მთელ ტანში ერთი იყო. მოკლედ ახსნა – „არ შემიძლია, ვერ ვფუნქციონირებ მსგავს სიტუაციაში“, თუმცა ყველაფერი სხვანაირად აღმოჩნდა. ექვსი თვე ცხოვრობდა ამსტერდამში, ჰქონდა კარგი სტიპენდია და იჯდა თავისთვის, წერდა სცენარს.



შოთა ღვინაძე

არადა, როდესაც ჯერ კიდევ 2003 წელს, ბერლინში, ბაბელსბერგის კინო-სკოლა დაამთავრა, დილემის წინაშე დადგა – რჩებოდა გერმანიაში თუ სადმე უნდა წასულიყო. მართალი გითხრათ, ძალიან არ მოეწონა ეს კონკრეტული, როცა უნდა გადაწყვიტო – „მით უმეტეს, როცა კინოზეა ლაპარაკი, რეჟისურაზე, ხვდები რომ არასწორია იყო ერთ ადგილას“. ამიტომ, ცოტა რადიკალური ტერორი მოუწყო თავის თავს – „გავათავისუფლე ჩემი თავი იმისგან, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის: სიმშვიდე, სახლი, სივრცე, ჩემი სივრცე და მოგზაურობა დავინწყე“. თავისი მატერიალური მე, ბერლინელი თურქების მეორად მალაზიას უბოძა, თავისთვის ძვირფასი მასალები და ფოტოები ლეპტოპში მიასკანერა და – „მოკლედ, წავედი ჯერ ნიუ იორკში, მერე 4 თვე L.A-ში ვცხოვრობდი. მერე ისევ ბერლინი, ამტერდამი... ეს პერიოდი რომ დამთავრდა, ისევ – ახლა სად? და რალაცნაირად, ლოკურად გაჩნდა აქ ჩამოსვლის იდეა. აქ მინდა გადაღება, აქ მინდა ყოფნა, ჩამოვედი, დავაარსე საპროდიუსერო კომპანია zazar-film. მართალი გითხრა, ეს მოდელი, რომ მთლიანად არსად არ ვარ, არამედ, სულ სადღაც ვარ და სულ რაღაც კონტექსტით, ძალიან მომწონს. ანუ, უბრალოდ კი არ ვირჩევ სივრცეს, საქმის გამო მჭირდება აქ ყოფნა, საქმის გამო მინდოდა ამსტერდამში ყოფნაც. ეს უფრო ამართლებს, ადამიანები ხომ ზარმაცები ვართ და სულ გვეგონია, რომ ადგილებშია პრობლემა, მე იმიტომ ვერ ვაკეთებ

ახლა რალაცას, რომ აქ ვარ და ახლა ეს არ მაქვს; ამ დროს კი შიგნით მიდის ეს პროცესები და თუ ამას სწორად წარმართავ, მერე ადგილი უკვე სულერთია. რასაკვირველია, ბევრ ადგილს აქვს თავისი ენერგეტიკა და ბევრ რამესაც განსაზღვრავს, მაგრამ... მაგალითად, ნამდვილად ვერ ვიცხოვრებ L.A. -ში, იმიტომ რომ მივხვდი, კინოს კონტექსტში ეს რადიკალურად სხვა სამყაროა, შეუძლებელი და ნამდვილი ჯოჯოხეთია იქ ცხოვრება. ეს არის სივრცე, სადაც მთელი მსოფლიოდან ჩადიან კინემატოგრაფისტები, მსახიობები, მომღერლები, აი, ამ ამერიკული ოცნებით, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იმ ქვეყანაში არსებობს. ოცნებით, რომ ერთ დღეს, შეიძლება, ვილაცამ მოგაქციოს ყურადღება და შენი ცხოვრება მთლიანად შეიცვალოს. ეს ჩემთვის ძალიან მიუღებელია, ფილოსოფიურად მიუღებელია ასეთი აზროვნება, იმიტომ, რომ შანსი გექვსეა ყოველ წამს, შანსი, რომელიც ხელიდან გაუშვი ისევ თავიდან მოდის შემდეგ წამში. იქ კი, სულ გესმის, რომ სადღაც უნდა მიხვიდე, ვილაცის ყურადღება რამენაირად უნდა მიიქციო; უნდა შეხვდე იმას და ამიტომ, იქნებ რალაცნაირად მასთან კერძო წვეულებაზე აღმოჩნდე და ეს კერძო წვეულება, საცურაო კოსტიუმებში გამონყობილი ვილაც ხალხია, რომელიც სრულიად შემთხვევით ცურავს რომელიღაც აუზში და ამ ცურვის დროს, შეიძლება დაგველაპარაკოს კინოზე, აქვს ნახევარი წუთი, რომ მოგიყვას, რა მაგარი იდეა აქვს და ა.შ. და ა.შ. ვერანაირად ვერ ვფუნქციონირებ ამ სისტემაში, ანუ თუ ვილაცა არ მენდობა, ნაკლებად შემიძლია ვიყო პროდუქტიული, თუ მენდობი, მაშინ თვალდახუჭული გავივლი ბანარზე და არ ჩამოვარდები. თან იქ იმდენად დიდი კონკურენციაა, რომ შენ კი აღარ განსაზღვრავ რამეს, გარემო განსაზღვრავს შენ. L.A. კი არ გზრდის, იქ სულ იმაზე ფიქრობ, რომ გალიმებული სახით რაიმე დინებაში ჩავარდე. სადაც არც ერთი წამით არა გაქვს უფლება იყო სუსტი, იყო გულახდილი. თუ, რა თქმა უნდა, უკვე არ გაქვს მოპოვებული გარკვეული სტატუსი, მაგრამ, თუშამ სტატუსისთვის ჩემი თავი უნდა დავკარგო, მაშინ არა, აღარ მინდა. ფაქტურად L.A.-დან პირდაპირ სამეგრელოში მოვხვდი. ჩემს სოფელში, მთიან სამეგრელოში. თვენახევარი ვიყავი მარტო, მშობლებისთვის ცოტა გაუგებარი იყო და შეშინდნენ, რანაირად არის იქ, მარტო?! რა სჭირს?! რა უნდა ჭამოს?!... არადა, იცი რა მაგარი იყო... ძალიან დავიცალე, დავმშვიდდი.

ძველი სახლია, 1901 წელს, ჩემმა დიდმა ბაბუამ ააშენა. მართალია, დღეს იქ არავინ ცხოვრობს, მაგრამ ძველი კედლებიდან გამუდმებით გიყურებენ უცნობი წინაპრების შავ-თეთრი ფოტოები. უცნაური ცხოვრებით ცხოვრობ. დილით იღვიძებ, მანქანის ხმა არ გესმის, შენი თავის გარდა, არაფერი სხვა არ განსაზღვრავს შენ დილას. გინდა, გვიან ადგები, ჩახვალ და ბალახზე წამოწევი. ფიქრობ სცენარზე, ოღონდ ძალიან ქაოტურად. უბრალოდ ვიჯექი და ბლოკნოტში ვინერდი ყველაფერს.

მერე ენა, არასაკმარისი აღმოჩნდა რალაცების გამოსახატად და სქემების გაკეთება დავინწყე, ეს სქემები პატარა, სასაცილო ნახატებად იქცა, ჩანახატებს ვაკეთებდი და ძალიან პროდუქტიული პროცესი იყო, მთლიანად ჩავერთე საკუთარ თავში და საკუთარ თავთან ურთიერთობაში. ამან იმდენად დამაინტერესა, რომ მშვენიერი დიალოგი გავმართე საკუთარ თავთან”.

საწერი მაგიდა აივანზე გაიტანა. სადღაც ძველი ლარნაკი იოვა და მაგიდის კუთხეში, ლამაზად დადო. საშინელი პედანტია, არ ეზარებოდა ყოველ დილით ახალი ყვავილის ძებნაში მთელი ეზო მოველო და მაგიდაზე, ახალ-ახალი ნატურმორტები გაეკეთებინა. ყოველ დილით ახალი ნატურმორტი, მაგიდა აივანზე, აბსოლუტური სიმშვიდე, მაღლა კავკასიონის დათოვლილი მთები და... მოკლედ, თავისი თავისთვის კომფორტის და სიმყუდროვის შექმნა ყოველთვის ხუთიანზე შეეძლო.

– „ერთხელ უცნაური რალაც მოხდა. ვზივარ, ვწერ და ვხედავ, რომ ბოლი ასდის მაგიდას. რამდენიმე წამი აბსოლუტური შოკი იყო, ვერ მივხვდი რა ხდებოდა. აღმოჩნდა, რომ ლარნაკში, მზის სხივი არეკლიდა, როგორც ლუპაში, ისე მოხდა კონცენტრირება და ამ სხივმა, ხის მაგიდის ზედაპირის ამონვა დაიწყო; შავი ხაზი დავინახე, იცი რა... იმდენად საოცარი იყო, რომ მივხვდი, ეს ფილმი ნამდვილად უნდა გავაკეთო-თქო. მერე ცინიკურად შევხედე ამას, ნიშანი არა... მაგრამ ჩემთვის აბსოლუტურად ჯადოსნური მოვლენა იყო და წარმოიდგინე, აი ამ შემართებით და ალტკინებით, თან ის, რომ ჩამოვედი, ამდენი წლის მერე ვბრუნდები, ნახევრად, მაგრამ მაინც ვბრუნდები, სცენარი დასაფინანსებლად კინოცენტრში, კონკურსზე გავიტანე. არ დამაფინანსეს, რას იზამ, კონკურსი იყო და ვერ გავიმარჯვე. ერთადერთი, ემოციურად შემეხო ის, რომ კომისიას არც კი მოუწია ჩემთან მეორე ტურში საუბარი. ძალიან გაგებრაზდი. საშინლად გაგებრაზდი. თუმცა, იმ დღესვე დამირეკეს ჰოლანდიიდან და მითხრეს, რომ როტერდამის საერთაშორისო კინოფონდი აფინანსებდა ჩემს სცენარს და მაძლევდნენ პროექტის განვითარებისთვის საჭირო თანხას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემიძლია აქ ვიყო, ვიმოგზაურო, ვიარო კლდეზე ცოცვაზე, ვიარო სპექტაკლებზე... ვილაცისთვის ეს შეიძლება სასაცილოდ ჟღერდეს, თითქოს ვერთობი, მაგრამ ეს ჩემი საქმის ნაწილია, თუ მსახიობები ვერ ვნახე, თუ ფილმებს არ ვუყურე, ისე არაფერი გამოვა.“

საერთოდ, იცი, როგორ ხდება... რალაც ეტაპზე აცნობიერებ, რომ ცხოვრებაში ციკლები არსებობს, ციკლები, როცა ვიზრდებით და ეს ყველასთან სხვადასხვანაირად ხდება.

ძალიან გავიზარდე და ძალიან მომწონს ეს პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ გაზრდა გაცივებასთან არის დაკავშირებული. როცა იზრდები,

თითქოს ცივები, ინტენსიურობას კარგავ, რადიკალურად აღარ განიცდი რალაცევებს. აღმოჩნდა, რომ იმდენი ჩავისუნთქე, თუ არ ამოვისუნთქე, გავსკდები. და, ალბათ, ამ სცენარით უნდა ამოვისუნთქო. იოსიფ მანდერშტამის მეუღლის მოგონებებს ვკითხულობდი, რომელიც წერს, რომ 20-იანი წლების საბჭოთა კავშირი, ძალიან უცნაური იყო, ადამიანები კი არ საუბრობდნენ, ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთსო. რასაც მერე შიფრავს: საუბარი გულისხმობს იმას, რომ მე და შენ ვსაუბრობთ, იმიტომ, რომ არ ვიცით რაზე ვსაუბრობთ, ანუ აზრებს ვცვლით; ის აზრები იმ წამში იბადება, იმ წამში ცოცხლდება, ის თავისთავად უნიკალურია, ერთჯერადია, საუბარი ამ გაცვლას გულისხმობსო. ამბის მიყოლისას კი, აზრები აღარ იცვლებოდა; და ჩემთვის, დღევანდელი კინო სამწუხაროდ ამას აკეთებს, აზრებს კი აღარ ცვლის, აზროვნების წრეში კი აღარ გვადგებს, ამბებს გვიყვება, რაც, უკვე მოყოლილია, ამიტომ ვაფასებ იმ კინოს, რომელიც აზროვნების წრეში მაგდებს, ქართველებიდან ეს არის ოთარ იოსელიანი, იწყება ფილმი და მე აზროვნების წრეში ვარ, იქ ამბავს კი არ მიყვებიან... ჩემი ფილმიც მინდა, რომ ასეთი იყოს... ეს გამოძიება, თრილერი კი არაა, მაყურებელთან ერთად ხმამალა აზროვნების მცდელობაა. ეს ხომ ხელოვნებაა და ჩვენ გვაქვს ის პრივილეგია, რომ ვილაყა ჩვენს ფიქრებში დავპატიოთ.

ჩემთვის ამას აქვს აზრი და არა იმას, რომ მოვყვე, როგორ ჩავედი ბერლინში და როგორ გამიჭირდა იქ ყოფნა, როგორ შევეხალე უცხო კულტურას. ქვეყანას, სადაც ძალიან გამიჭირდა ფინანსურად, მაგრამ, აქ ხომ საპასუხო არაფერია?! იმაზე ვწუხვარ, რომ კინოს ნელ-ნელა ინფორმაციული დატვირთვა ეძლევა, სოციალური ამბები მოდის წინა პლანზე, ყველა არხს რეალური შოუები აქვს ატაცებული, მწერლები სპეციალურად წერენ, რომ ეს ამბავი ნამდვილ ამბავზეა აგებული, მერე კარგად რომ გაიყიდოს წიგნი. ეს, ზოგადი მოვლენაა და მინდა, რალაცენარად, ქვეცნობიერად დავუპირისპირდე ამას. შეიძლება ამბიციურია, მაგრამ, ეს ხდება ჩემში”.

ამ ზოგად მოვლენას თვითონაც ვერ გაეცა, მაშინ, როცა სადიპლომო ფილმის თემად, ერთი ნამდვილი ამბავი აიღო. „ბანდიტებზე“ გიყვებით, დოკუმენტურ ფილმზე, რომელიც 83 წელს, თვითმფრინავის ბიჭებს ეხებოდა.

– „ეს პირველი ფილმი იყო, სადაც ფიქრი დავინყე. პირველი ფილმი, სადაც ადამიანური აზროვნების ჩიხები დავინახე, სადაც ფიქრს გავყვები და პასუხი ვერ ვიპოვე. უბრალოდ, ერთ დღეს მართლა მივხვდი, რომ ჩემი თავისუფლება, ის რომ, აქეთ-იქით დავდივარ, რამდენიმე წლის წინ შეუძლებელი იყო. დავინტერესდი, რა კავშირია ჩემს თავისუფლებასა და იმ ალტინებულ ნაბიჯს შორის, რომელიც ტრაგიკულად დასრულდა. ამიტომ დავინყე ამ მასალაზე ფიქრი, მივხვდი

რომ არაფერი არ ვიცოდი. კადრი გამახსენდა – ცისფერი ფონი, სადაც ზის დიქტორი, რალაცას ლაპარაკობს, სახლში ჩემთან კი დიდი ყურადღებით უსმენენ, მე რვა წლის ვარ და ვერაფერს ვერ ვხვდები. უნივერსალური ამბავი აღმოჩნდა, ის არის სიყვარულზე, ღალატზე, ფატალიზმზე. ის ხომ დოსტოევსკის პოტენციის ამბავია. სამი წელი დაჭირდა ამ ფილმის გადაღებას, რთული იყო არქივებში შესვლა, ჯერ კიდევ შევარდნაძის დრო იყო, დიდი მისტიფიკაცია იყო ამ ამბის შესახებ, რაც, პრინციპში, დღემდე გრძელდება. იყო დიდი კითხვის ნიშანი, რომელსაც პასუხი ვერ გავეცი, თუმცა, გააჩნია საიდან შეხედავ, სიმართლე სულ იცვლება. როცა ქარიზმატულ ადამიანებს ვუყურებ, რომლებიც ასეთ ნაბიჯზე მიდიან, სისტემას სახეში აფუთებენ, მაგრამ... ამ დროს მოდის აზრი, კი მაგრამ სხვები? ის მგზავრები, რომლებიც მშვიდად მიფრინავდნენ ბათუმში? და აქ უცებ ბზარები ჩნდება, ეს ჩიხია, სადაც სიმართლე და ობიექტურობა არ არსებობს და სწორედ ამის აღწერა მინდოდა ფილმში. ამ ფილმით მინდოდა მეთქვა, ნუ ვიქნებით ასეთი რადიკალურები, თუმცა... მე თვითონაც ვერ დავმალე სიმპათია მათ მიმართ. ფილმი “არტეს” დაკვეთით გადავიღე, მაგრამ, მახსოვს როგორ გაჯანჯლდა ყველაფერი, ამბობდნენ - ამბავი მოგვწონს, მაგრამ რეჟისორი გამოცვალებული, ვერ ვენდობითო. საბოლოოდ, ფილმი ბევრი ფესტივალში მოიარა და როცა “არტეზე” ჩვენების შემდეგ, ფილმის რეიტინგი მოვიდა, ისე გამიხარდა - ჩავარდნაა, მაგრამ ჩემთვის ისეთი სიხარული იყო, ნარმოვიდგინე, რომ 48 ათასი ადამიანი ამ ამბავზე ფიქრობდა, რომ ერთად ვუყურებდით, მართალია, გამოსავალი ვერ ვიპოვეთ, მაგრამ ჩვენ ერთად ვფიქრობდით! სულ მეშინოდა, რაიმე პოლიტიკური სარჩული არ მოეძებნათ, ფილმი უკვე მზად მქონდა, როცა აქ ვარდების რევოლუციის პერიოდი დაიწყო, მირეკავდნენ, სწორედ ახლაა ფილმის ჩვენების დრო; სწორედ ახლა არ არის მაგ ფილმის ჩვენების დრო-მეთქი და არ ჩამოვიტანე.”

ამ ამბიდან რამდენიმე წელი იყო გასული, როცა ზაზა საქართველოში, სოფელ მეტეხში აღმოჩნდა, სადაც ინეკე სმითი, დოკუმენტურ ფილმს იღებდა. ფილმს უცნაური სახელით – „პუტინის დედა“. ზაზა რეჟისორის ასისტენტად მუშაობდა და ინტერვიუების ხაზი, ფაქტობრივად მას მიჰყავდა. ვერა პუტინა სოფელ მეტეხში ცხოვრობს, სოფლის შესასვლელში რომ იკითხოთ - სად ცხოვრობს პუტინის დედაო, აგერ იქითკენო - გეტყვიან და ხელით იმ ადგილს დაგანახებენ, სადაც უბრალო სოფლის სახლში, ერთი უბრალო რუსის ქალი – ვერა ცხოვრობს. ეტყობა სოფელში, დიდი ხნით ჩასული უცხოელები რომ დაუნახავთ, ვილაყა ვილაყებებს უფიქრიათ, რა იცი, რაში გამოგადგებიანო და ერთ დღეს, სრულიად შემთხვევით, მთელი გადამღები ჯგუფი, გასაოცარი დიალოგის მომსწრე გახდა. საქმე ის იყო, რომ ვერას მიკრო-

ფონის მოხსნა დავინყვებია და... მოკლედ, აი, რა მოხდა. ეზოს ჭიშკართან, მეზობლის ქალი იდგა, ქალიშვილთან ერთად და არ ეშვებოდა ვერას, ის კაცი რომ გყავთ (ის კაცი – ჰოლანდიელი პროდიუსერი დენისი) გამოიყვანე გარეთ, ჩემი ქალიშვილი გავაცნოთო, რა იცი, რა მოხდებაო... ვერა პუტინა კი, აბა, რისი პუტინა იყო, რომ ამ საჩოთირო სიტუაციიდან, მშრალი არ გამოძვრალიყო და უთქვამს – „რას ამბობ? შენ რა, არ იცი, რა რთული სიტუაციაა ჰოლანდიაში? ხალხი შიმშილით იხოცება, ერთი მოგასმენინა რა ამბებს ჰყვებიან ეს საწყლები, სულ გული დაგეთუთქვებო. მე რომ მიყვარხარ, მაგიტომ გეუბნები, თორემ რა, მოდი და შემოიყვანე შენი ქალიშვილი“. იმ დღის მერე, ის ქალი თავისი ქალიშვილით არც არავის უნახავს, და საერთოდ, სათოფრზეც აღარავინ ეკარებოდა საშინელითიდან ჩამოსულ უცხოელებს.

– „არ ვიცი რამდენად ღირს იმაზე ლაპარაკი, როცა გამოიტაცა ელექტონულმა მუსიკამ და მასთან დაკავშირებულმა ყველანაირმა ნარკოტიკმა, ძაან საფრთხილო საქმეა იმაზე ლაპარაკი. რომ დავინყო რალაცეების მოყოლა, ყველაფერი იმდენად ლამაზად გამოჩნდება და ისე გამოვა, თითქოს ვილაყას რეკლამას უკეთებ.“

თავისთავად, ყველა ჩემი გადაწყვეტილება, აქედან ვეროპაში წასვლის, მერე ვეროპიდან – ამერიკაში და ა.შ. რალაც პირადულითაც არის განპირობებული. ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი განცდები, სასიყვარულო ისტორიები, მაგრამ, რამდენად მინდა იმაზე ლაპარაკი, ან რამდენად საინტერესოა ვილაყისთვის ამის მოსმენა ან ნაკითხვა, არ ვიცი... მარსელ პრუსტის ერთი წერილია, სადაც წერს – კრიტიკოსები, ბალზაკის ბიოგრაფიას კითხულობენ და ასე უნდათ გაიგონ, რა დაწერაო; როცა, ამ დროს პირიქითაა, ბალზაკის ლიტერატურიდან შეგიძლია გაიგო მისი ცხოვრება და არა მისი ბიოგრაფიიდანო. მეც მინდა, რომ ჩემზე არა ჩემი ბიოგრაფიით, არამედ ჩემი ხელოვნების გამო ილაპარაკონ.

ჩემი პროფესიის ნაწილი ხომ ავანტიურაა. გინდა არ გინდა, უნდა შეგეძლოს რომ პროდიუსერები დაიყოლიო. თანაც, ისე უნდა მოახერხო ყველაფრის წარმართვა, რომ შენ უძღვებოდე საქმეს და არა პროდიუსერი. გაცნობის, კონტაქტების დამყარების ყველაზე კარგი საშუალება კინოფესტივალებია, ამიტომ ვხუმრობ ხოლმე: მორჩაა, ახლა დაიწყო საერთაშორისო მასშტაბის პროსტიტუციაა. ანუ აქ, სულ გინეცს თამაში, თუმცა... აქაც, შარდენზეც, ყველა თამაშობს და თან მშვენივრად!

ჩემი ოცნება? ჩემი ფილმია. არ ვიცი, შეიძლება ახალგაზრდა რეჟისორისთვის ცოტა მიუწვდომელია, მაგრამ... ერთ-ერთი როლისთვის ძალიან მინდა იმა ჩუროკოვა მოვიწვიო. თან იმასაც ვფიქრობ, რომ ცხოვრებაში არაფერია შეუძლებელი და, რატომაც არა?! ვცდი, ნავალ, დაველაპარაკები, რა იცი, რა ხდება?!”



ინტერვიუ ჯონ დეფრანჩესკოსთან

<<< **დასაწყისი გვ. 102**

ბაირონ ლანდჰამთან, ჩემს დრამერთან, უკვე თვრამეტი წელია ვუკრავ. ჩვენ ერთად გავიზარდეთ. მე მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ბაირონი მუსიკალური არქივია; მასში ყველა სახის მუსიკა “შეედინება” - ინდური, აფრიკული, ბრაზილიური... მანაც ბევრი ისწავლა ჩემგან და ის სტილი, რასაც ჩვენ ახლა ვუკრავთ, ჩვენი თანამშრომლობის შედეგია. ჩვენი ყოველი ტურნე სხვადასხვა მუსიკალური იდეების ჩვენივე სტილში მოქცევის მცდელობაა. ჩვენ მსოფლიო მუსიკას ჩვენივე სტილის ჩარჩოებში წარვუდგენთ მსმენელს და ეს პროცესი ამოუწურავია.

– რონ ბლეიკის დამატებით რა შეემატა ბენდს?

– რამოდენიმე წლის წინ, რონის ალბომზე მუშაობისას აღმოვაჩინე, რომ ორგანის და საქსოფონის კომბინაცია რალაც განსხვავებულის შექმნისაკენ მიბიძგებდა; ის განსხვავებულ უღერადობას სძენდა ბენდს; რონი კი, დამეთანხმებით, სრულიად უნიკალური მუსიკოსია. გადავწყვიტე, მისთვის მეთხოვა ტურნეში წამოვლიყო ჩემთან ერთად; ვფიქრე, რომ კარგად გავერთობოდით; თანაც, ასეთი “გართობების” დროს ჩვენ ბევრს ვსწავლობთ ერთმანეთისგან. მე “მსმენელი” მუსიკოსი ვარ.



ვგულისხმობ იმას, რომ ზოგიერთი ჩემი კოლეგისაგან განსხვავებით, მე ბევრ მუსიკას ვუსმენ; ყველაფერს, რაზეც ხელი მიმიწვდება. მხოლოდ ასეა შესაძლებელი მუსიკის ევოლუციისათვის თვალის გადავინება.

– და თუ საჭიროა რალაც-რალაცებს იყენებთ კიდევ თქვენსავე მუსიკაში, არა?

– რა თქმა უნდა, მაგრამ აქვე იმასაც დაუვმატებ, რომ ტრადიციაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. მუსიკოსს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მყარი საფუძველი, რაც მისი ინდივიდუალობის გარანტიაა. სხვანიარად ჯაზის დაკვრა წარმოუდგენელია.

– ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ჯაზის წარსული იმდენადაა მითოლოგიზირებული, რომ ხშირად ის ხელს უშლის მუსიკას წინსვლაში? ანუ, რამდენად ხელისშემშლელი შეიძლება აღმოჩნდეს ზედმეტად ხშირი “ოპ, მაილზი, ოპ, სონი როლინზი, ოპ, ჯონ ქოლთრეინი” წამოძახილები მუსიკაში?

– სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს გარდაუვალია და გარკვეული თვალსაზრისით გასაგებიცაა. დღესდღეობით აღარ არიან მაილზის და ქოლთრეინისნაირი ლიდერი ფიგურები და ამიტომაც, ბევრი მისტირის იმ დროს. მაგრამ, იცით რას გეტყვით, მაილზიც ასე იყო. როდესაც მე მასთან ვუკრავდი, თითქმის ექვსი თვის განმავლობაში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ტვინს ვუხვრეტდი შეკითხვებით მუსიკაზე და მუსიკოსებზე. მაილზი ყოველთვის მოთმინებით და ყურადღებით ეკიდებოდა ჩემს დაუსრულებელ შეკითხვებს და ყოველთვის მასსუბობდა ხოლმე და იცით, რა შევამჩნიე? ისიც, როგორც დღეს მე ან ჩემი თაობის ნებისმიერი მუსიკოსი, მხოლოდ თავის უფროს კოლეგებზე საუბრობდა ხოლმე. დღეს აქ ჩემს მაგივრად მაილზი რომ მჯდარიყო, ის დიზიზე, ქლარკ თერიზე, როი ელდრიჯზე ან საჩმოზე ისაუბრებდა. ხშირად ანმყოფად წარსული უფრო მდიდარი ჩანს და ჯაზის შემთხვევაში, ეს მართლაც ასეა.

– არადა, ამ მხრივ დღეს თითქოს ყველაფერი ბევრად უკეთესია, - არსებობს უამრავი ჯაზის სკოლა არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპაშიც, ინტერნეტის მეშვეობით ბევრად გაადვილებულია მუსიკის გაყიდვა, მოკლედ, მუსიკოსებისათვის თითქოს უფრო მეტი შესაძლებლობებია გახსნილი და მაინც, ისინი გამუდმებით წუნუნებენ იმაზე, თუ როგორი ძნელია ჯაზის ინდუსტრიაში გადარჩენა. თქვენც კრიზისის განმცხადებელი ხართ?

– არა, პირადად ჩემთვის ეს ასე არაა; მე დღესაც ბევრს ვუკრავ და საკმაოდ ბევრი მსმენელიც მყავს. მე მიყვარს ის რასაც ვაკეთებ, მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ ბევრი ძალიან მაგარი, ჩემზე ბევრად უკეთესი მუსიკოსი, გაჭირვებით ირჩენს თავს თა-

ვისი მუსიკით. ეს კი იმიტომ, რომ მათი მუსიკის კატეგორიზაცია ინდუსტრიის ხელთაა. ინდუსტრიის აზრით კი, მათი მუსიკა ზედმეტად რთულია მსმენელისათვის, რომელიც პრიმიტიულ მელოდიებს მიაჩნის მთელი ამ წლების განმავლობაში. მე გამიმართლა, რადგანაც ვაკეთებ იმას, რაც მიყვარს და ვატყობ, რომ ეს ყველაზე მთავარი რამაა ჩემს ცხოვრებაში. დაკვრის პროცესი მე ბედნიერად მამყოფებს ბედნიერებას მანიჭებს. უნდა აკეთო ის, რაც გიყვარს და არავითარ შემთხვევაში არ შეცვალო კურსი მხოლოდ იმიტომ, რომ განსხვავებულად მოაჩვენო თავი მსმენელს. შეიძლება განსხვავებული გახდეს კიდევ, მაგრამ, არ გიყვარდეს ის, რასაც უკრავ; მაშინ კი, რა აზრი აქვს ამ ყველაფერს? ჩემთვის მსმენელისაგან წამოსული დადებითი ენერჯია ყველაფერია. ეს ყოველთვის ასე არ ხდება ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ ისეთ ზონაში ხვდები, სადაც მუსიკის ყველა ელემენტი თითქოსდა ახლებურად და საოცარი სიძლიერით ეფინება მსმენელს. აი ასეთი წამები შეუდარებელია!

– მე ვიცი, რომ “ჰამონდის” საუნდი ძალიან პოპულარულია დიჯეებსა და ჰიფ-ჰოფერებში და ისინი ხშირად იყენებენ ჩარლზ ერლანდის, ჯონ “ჰამონდ” სმიტის, ლონი სმიტის და სხვების საუნდს. თქვენც “გასამპლებული” ხართ?



– წარმოდგენა არა მაქვს; ალბათ, კი. ორგანის საუნდი ძალიან “ფანკური” და ეს მოწონთ დიჯეებს და ჰიფ-ჰოფერებს, მაგრამ მე მართლა არ ვიცი “გასამპლებული” ვარ თუ არა.

– მოდიო ცოტა ხნით ისევ “ძველებს” დავუბრუნდეთ. თქვენ ბევრს განუხებენ შეკითხვებით მაილსზე, მაგრამ თქვენ არანაკლებ დიდებულ მუსიკოსებთან დაგიკრავთ, ბობი ჰათჩერსონთან, ჯონ მაქლაფლინთან...

– ჯორჯ ქოულმენტან... მე მასთან ერთად ჩემი უკანასკნელი ალბომი Live: The Authorized Bootleg ჩავწერე. საოცარი მუსიკოსია, არა? გაიხსენეთ თუ როგორ დაუკრა მან მაილსთან ცნობილ ალბომზე My Funny Valentine - Four and More. დღეს ის უკვე 71 წლისაა, მაგრამ უწინდებური ენერჯით უკრავს. ალბომს თუ მოუსმენთ ნამდვილად გაგიჭირდებათ იმის გარჩევა ვინაა 71 წლის, მე თუ ის. სწორედ ამიტომაცაა ასე რომ აღმერთებენ ახალგაზრდა მუსიკოსები თავის უფროს კოლეგებს.

– ვიცი, რომ მსგავსი შეკითხვებით თავი მობეზრებული გაქვთ, მაგრამ მაინც საინტერესოა რისი შესწავლა მოახერხებთ მათგან?

– არა, არა, შეკითხვები მათზე მე თავს არასდროს მომაბეზრებს. ინტერვიუს დაწყებამდე მე სწორედ მაილსზე ვესაუბრებოდი ჩემი ბენდის წევრებს. მე ძალიან დიდ პატივს ვცემ და მიყვარს ჩემი უფროსი კოლეგები, ვინაიდან დაკვრა სწორედ მათი მუსიკის სმენის შედეგად ვისწავლე; ყველაფერი, რაც მე ვიცი, მათ მასწავლეს. მე უბრალოდ რაღაც ჩემი დავამატე მათ აღმოჩენილს. ეხლა კი შეეცადეთ წარმოიდგინოთ თუ რა უნდა მეგრძნო, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ ამ დიდ მუსიკოსებს ჩემთან დაკვრის სურვილი აქვთ. ეს საოცრად დიდი პატივია ჩემთვის და მე არც ერთ შანსს არ ვუშვებ ხოლმე ხელიდან, თუ ასეთი შესაძლებლობა მეძლევა. მათ იმდენი რამ იციან, იმდენის გადმოცემის უნარი აქვთ! როდესაც მათთან უკრავ, გგონია, რომ რაღაც კარგი გააკეთე ცხოვრებაში! ეს საოცარი შეგრძნებაა! ყველა ეს ადამიანი იმდენად რეალიზებულია, რომ მათი მსოფლხედველობა საოცრად დადებითია. სხვათა შორის, ბობი ჰათჩერსონთან მე თბილისის შემდეგ დავუკრავ, გერმანიაში... ეს ის მუსიკოსები არიან, ვისთანაც დაკვრას ბავშვობიდან ვოცნებობდი. დღეს კი, მე მათთან ერთად ვუკრავ. ამაზე მეტი რა უნდა უნდოდეს მუსიკოსს?



Dreamhackers

>>> **დასაწყისი გვ. 134**

ქსელის გარეშე ცხოვრება ნაკლებად საინტერესო იქნებოდა და არც კი გვექნებოდა წარმოდგენა ბევრ ისეთ რამეზე, რითიც ცხლა ვართ გატაცებული. შეიძლება ზოგიერთი უბრალოდ ერთობა ქსელში ყოფნით, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მათთვის, ვინც მიჩვეულია ცოდნის მოპოვებას, ეს პირველ რიგში ცოდნის წყაროა და არა დროის გაყვანის საშუალება.

– შენ ამ მეილ-ლისტის წევრი მას შემდეგ გახდი, რაც “ჰაკერებმა” და ბევრმა მათმა ერთგულმა მიმდევარმა დატოვა ის. რამ მიგიზიდა იმაში, რასაც “ჰაკერები” ლაპარაკობდნენ?

ვიქტორი – მათმა გამოკვლევებმა ძალიან დამაინტერესა. მომეწონა ის, რომ ისინი იყენებდნენ არა მარტო სხვების მეთოდებს, არამედ არ რცხვენოდან შეეშუშებინათ საკუთარიც, ავტორიტეტების მიუხედავად. ალბათ, იმიტომ მომეწონა, რომ მეც ცოტათი ასეთივე ავანტიურისტი ვარ და რამდენიც არ უნდა მითხრან, რომ “ასე არავინ არ აკეთებს” და “ამით შენ ვერაფერს ვერ მიაღწევ”, ჩემსას მაინც გავაკეთებ, სანამ თვითონ არ დავრწმუნდები. ხოლო იზრიგი ყველაზე ილბლიანი მკვლევარი იყო და დიდ პატივს ვცემ მას იმიტომ, რომ შექმნა ეს ჯგუფი. და თუნდაც ყველაფერი რასაც ის ლაპარაკობდა გამოგონილი ყოფილიყო, მისი იდეები მაინც საუცხოო იყო და მშვენიერი რეზულტატით მივიღეთ.

“სიზმრების ჰაკერები” – კარლოს კასტანედას რუსი მიმდევრების ჯგუფია. კასტანედას შემოქმედების და ფილოსოფიის სხვა თავყვანისმცემელთაგან განსხვავებით “სიზმრების ჰაკერებმა” გაცნობიერებულ სიზმრებთან მუშაობის საკუთარი უნიკალური მეთოდები შეიმუშავეს. ქსელში არსებული ურთიერთსაინანაღმდეგო ინფორმაციიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ “ჰაკერების” საქმიანობით დაინტერესდნენ უშიშროების სამსახურები და მალე ამ ჯგუფის ვებ-გვერდი დაიხურა. ჯგუფის ლიდერის სერგეი იზრიგის შესახებ არ არსებობს სანდო ინფორმაცია. ჯგუფის წევრები აშკარად აღარ ჩანან ქსელში. ჯგუფის საიტის ვარიანტი შემონახულია სხვა პოსტინგზე.

<http://ru.wikipedia.org/>

სერგეი ტროფიმოვის ИБИ¹⁰-ს სერიაში გამოცემული ნაწარმოებების ანოტაციაში ის მოხსენიებულია, როგორც სერგეი იზრიგის სულიერი

მასწავლებელი და მეგობარი. ქსელში ბევრი ფიქრობს, რომ სწორედ ის იდგა სერგეი იზრიგის სახელის უკან. როგორც თვითონ ამბობს იზრიგი ნიჭიერი მკვლევარი იყო, მაგრამ ის მოკლეს. თუმცა არ აკონკრეტებს ვინ, მაგრამ, მის ნაწარმოებებში ნათლად ჩანს თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო დაინტერესებული იზრიგის მკვლელობით. რა თქმა უნდა, სინამდვილის დადგენა დიდ და თითქმის განუხორციელებელ გამოძიებას მოითხოვს. სერგეი ტროფიმოვი სწორედ ამ იდუმალებით მოცული სინამდვილის დადგენას და გამომწვევებს ცდილობს, თუმცა ბევრისათვის ის სინამდვილე, რომელზეც ტროფიმოვი ლაპარაკობს შეიძლება, წარმოსახვის ზღვარს სცილდება.

– სერგეი, ალბათ, ერთადერთი ადამიანი ხარ “ჰაკერების” გარდა, რომელიც ქსელის გარეთ იცნობდი იზრიგის და მის თანაგუნდელებს. შეგიძლია მომიყვებ უფრო დანვრებით მის შესახებ? სერგეი ტროფიმოვი – ეს პირადი ისტორიაა, რომლისგანაც საჭიროა გათავისუფლდე. რა სარგებელი გექნება იმისაგან, თუ გაიგებ მისი ცხოვრების დეტალებს? მოდი ამაზე საუბარს თავი დავანებოთ. მან მოგვცა ყველაფერი, რისი მოცემაც უნდოდა. მაგრამ ყველაფრის გაკეთება ვერ მოასწრო, რაც უნდოდა. კიდევ სამიოდე წელი რომ დასცლოდა იზრიგი, ალბათ, რადიკალურად შეცვლიდა კაცობრიობის ისტორიას.

– იზრიგის ერთ-ერთი მთავარი იდეა ე.წ. “მედიჩის პასიანის” გამოყენება იყო მოვლენების ჯაჭვით მანიპულირებისათვის. მან ერთხელ აღნიშნა, რომ ეს მეთოდი ჯონ დიმი¹¹ ასწავლა თავის დროზე მარია მედიჩის¹². რა კავშირი ქონდათ “ჰაკერებს” ჯონ დის იდეებთან და კიდევ ვის გავლენას განიცდიდნენ ისინი?

სერგეი ტროფიმოვი – ჯონ დიმი ორი ტრაქტატი დაწერა სულიერ არსებებთან კონტაქტებზე, ის მათ ანგელოზებს ეძახდა. ტრაქტატები ლათინურადაა დაწერილი და არაა ნათარგმნი თანამედროვე ენებზე. ერთერთ მათგანში ის კონტროლირებადი სიზმრების ტექნიკას აღწერს. მეორეში კი კაზუალური სამყაროს საინტერესო თავისებურებებზე მოგვითხრობს. ალბათ, რაღაც კავშირი ჯონ დისა და “ჰაკერების” იდეებს შორის იყო.

– თუ იცი სად არიან დანარჩენი “ჰაკერები” და ამჟამად რას აკეთებენ?

სერგეი ტროფიმოვი – ამ მომენტისათვის ისინი ძირითადად “მოვლენათა პორიზონტების” კვლევით არიან დაკავებული, ეს ძალიან საინტერესო და სერიოზული თემაა და სინგულარობასა¹³ და ე.წ. “ჭიების ხვრელების”¹⁴ კვლევებთანაა დაკავშირებული. მაგრამ გასაგები მიზეზების გამო

ცდილობენ არ გამოჩნდნენ საზოგადოებაში და ჯერჯერობით საკუთარი კვლევების შედეგების გამოქვეყნებისგანაც თავს იკავებენ.

– “სიზმრების ჰაკერების” ისტორიით და მათი სამყაროთი ბევრი დაინტერესდა. თქვენც დაწერეთ მათზე რამდენიმე ნაწარმოები. რა არის სინამდვილე და რა მხატვრული გამოწვლინი?

სერგეი ტროფიმოვი – ჰო, ვიცი, ბევრმა მოხერხებულმა ადამიანმა გამოიყენა ახალი საინტერესო მასალა თავისი პოპულარობის მოსაპოვებლად. მაგრამ, ის რაც დაწერეს რეუტოვმა, ქსენდიუკმა და მისთანებმა “ჰაკერებზე”, სინამდვილესთან არანაირ კავშირში არ არის. ის ნოველები რომლებიც კი ИБИ-ს სერიაში გამოქვეყნებულ ჰაკერებზე, ფანტასტიკაა. თუმცა, მასში მე რუსეთის პარაფსიქოლოგიური ინსტიტუტების რეალურ მუშაობაზე არსებული ზოგიერთი ცნობა გამოვიყენე.

– იზრიგიც და “ჰაკერებიც” საზოგადოებისათვის ცნობილი ქსელის საშუალებით გახდნენ. მათ რამდენიმე კიბერსოციუმის ჩამოყალიბებასაც კი შეუწყვეს ხელი. რას ფიქრობ, რა როლი აკისრია ქსელს კაცობრიობის ისტორიაში?

სერგეი ტროფიმოვი – ქსელს მე უფრო ფართოდ აღვიქვამ, ვიდრე მხოლოდ უსაზღვრო ინფორმაციის წყაროს და კომუნიკაციის მოხერხებულ საშუალებას. ჩემი აზრით ქსელი გარკვეულ წილად ცნობიერი არსებაა, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია პლანეტა დედამიწა ვუწოდოთ. ადამიანები თავისი აქტის შეზღუდულობისა და ეგოცენტრულობის გამო თავის თავს ბუნების გვირგვინად თვლიან. მაგრამ სხვა “გვირგვინებიც” არსებობს. ზოგიერთი მათგანი პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა. ჩვენ გარდამავალი რგოლი ვართ პარაზიტებსა და შემოქმედ არსებებს შორის. თუმცა ნაწილობრივ პარაზიტულ ცხოვრებას ვენევით, უნარი გვაქვს შევცვალოთ გარემო, შევქმნათ ვირტუალური სამყაროები და ტექნიკური მოწყობილობები. მაგრამ მაინც, ამ პლანეტის შვილები ვართ, ქსელის ნაშიერები. თუ მიმოვიხედავთ, დავინახავთ, რომ ყველაფერს ჩვენს გარშემო ქსელური სტრუქტურა აქვს, ჩვენ ორგანიზმსაც კი. ინტერნეტი მხოლოდ ქსელის კერძო გამოვლინებაა. რა თქმა უნდა, ის გვამღვებს უპირატესობას, მაგრამ ეს ქსელთან, პლანეტასთან, კონტაქტის უპირატესობაა და ის, რა თქმა უნდა, შეცვლის ბევრ რამეს ჩვენს ცხოვრებაში. ის ადამიანები, ვინც ბევრ დროს ატარებენ ინტერნეტში, საზოგადოებას უკვე არანორმალურებად ეჩვენება. ისინი იცვლებიან, ისინი ეწყობიან ქსელს, მათ აზროვნების განსაკუთრებული ტიპი უწყობილება. ეს ევოლუციის ფაზაა. და ეს კარგი ნიშანია. კაცობრიობა ვითარდება

იმ სფეროებში, რომლებიც სახეობის გადარჩენისათვისაა მნიშვნელოვანი.

სერგეი ტროფიმოვი სხვა, შედარებით არასახარბიელო პროგნოზებიც გააკეთა კაცობრიობის მომავლის შესახებ. თუმცა ეს უკვე სხვა ისტორიაა. რაც შეეხება სიზმრების ჰაკერებს, ჩემი აზრით, მათი სახით კიდევ ერთი საოცარი, საინტერესო, შეიძლება ავანტიურისტული და პროვოკაციული ჯგუფი გაქრა ინტერნეტიდან. თუმცა, მათ შესახებ გამოძახილი ჯერ კიდევ ისმის ქსელის უსაზღვრო სივრცეში: მათ შესახებ მსჯელობენ ფორუმებზე, მათ ჯერ კიდევ ბევრი მიმდევარი ყავთ, ბევრი მონინალმდევე და მტერიც კი. მათი იდეები ბევრ მხატვრულ თუ ფილოსოფიურ ნაწარმოებში გამოჩნდა და ალბათ, კიდევ გამოჩნდება. მათ შესახებ უკვე დაინერა მოთხრობები და რომანიც კი. თუმცა სინამდვილეში სად წავიდა და რა ბედი ეწია სერგეი იზრიგის, ინტერნეტ საზოგადოებისათვის ჯერ-ჯერობით უცნობია. მაგრამ, მინდა იმის იმედი დავიტოვო, რომ მისი ახალი ავატარა ვირტუალურ სამყაროში ახალ პროვოკაციას ამზადებს ჩვენი გონების გამოსაფხიზლებლად.

– შარშან ზაფხულში ინტერნეტში გამოჩნდა შეტყობინება იმის თაობაზე, რომ მკვლევარების ერთ-ერთმა ჯგუფმა შეძლო ტელეპორტაცია სხვა სამყაროში. ჩვენი ინსტიტუტი დაინტერესდა ამ ინ-

ფორმაციით, და ანალიტიკურმა ჯგუფმა გამოგნებელი მონაცემები მოგვანოდა ...
... ხელისუფლებამ ჰკითხა თავის სამეცნიერო კონსულტანტებს: “თქვენ შეგიძლიათ ამ რეზულტატების განმეორება ან თუნდაც ახსნა?” მეცნიერებმა უპასუხეს: “არა, რადგან ის რაზედაც ისინი საუბრობენ, ფიზიკურად შეუძლებელია განხორციელდეს”. ხელისუფლებამ გაღიზიანებულმა დაიღრინა: “კი, მაგრამ რა ვუყოთ ამ ფოტოებს, აგენტების მოხსენებებს, რეალურ ფაქტებს?” “არაფერი” – უპასუხეს სწავლულებმა – “რადგან ეს ერესია და ამიტომ მთელი თქვენი მასალები შეუძლებელია ვალიაროთ, როგორც მეცნიერული მონაცემები.” “კი, მაგრამ მაშინ რა ვუყოთ ამ ფოტოებს?” – იკითხა ხელისუფლებამ – “სხვა ქვეყანამ რომ გადაიბიროს?” “უბრალოდ მოიშორეთ” – ურჩიეს სამეცნიერო კონსულტანტებმა – “რაში გვჭირდება ეს გონების ამღვრევა და სამეცნიერო მსოფლმხედველობის საფუძვლების შერყევა? გარდა ამისა, ეს შეიტანს ქაოსს ეკონომიკაში და ძალაუფლების გადანაწილებაში...”

სერგეი ტროფიმოვი. “წითელი კეფირი”

10. **ИБИ** - ფანტასტიკური მოთხრობების სერია ს. ტროფიმოვის ავტორობით, რომელიც სანკტ-პეტერბურგის გამომცემლობა “Бесъ”-ში გამოიცა.

11. **ჯონ დი (1527 წლის 13 ივლისი - 1609 წლის 26 მარტი)** – უელსელი მათემატიკოსი, ასტრონომი, ასტროლოგი, გეოგრაფი და ოკულტისტი. მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი აგრეთვე მიუძღვნა ალქიმიას, მკითხაობას და ჰერმეტიულ ფილოსოფიას.

12. **მარია მედიჩი (1573 წლის 26 აპრილი - 1642 წლის 3 ივლისი)** – საფრანგეთის დედოფალი, მეფე ჰენრი IV-ის მეუღლე. მოგვიანებით თავისი შვილის მეფე ლუი XIII-ის რეგენტი. 1617-1621 წლებში იმყოფებოდა გადასახლებაში.

13. **სინგულარობა გრავიტაციული** – არე, სადაც სივრცით-დროითი კონტინუუმის სიმრუდე მიისწრაფვის უსასრულობისაკენ ან წყდება, ან მეტრიკა ხასიათდება სხვა პათოლოგიური თვისებებით, რომელთა გონივრული ფიზიკური ინტერპრეტაცია შეუძლებელია.

14. **ჭიის ხვრელი** – ხვრელი, რომელიც ჰიპერსივრცის გავლით აკავშირებს სივრცე-დროის კონტინუუმის ორ ადგილს. ტერმინი დაამკვიდრა ამერიკელმა ფიზიკოსმა ჯონ უილერმა 1957 წელს.

დეგაპრინტი
DEGAPRINT

სივრცული ოფსეტური ბეჭდვა
ტელ.: +995 32 995007 / 998843
ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net



www.ucnobifm.ge

ამართლებს ეკოლოდინს



ლესია უკრაინკას 3, თბილისი 0108, საქართველო

ტელ. +995 (32) 922536, 922562, 922563

ფაქსი +995 (32) 922537

info@investbank.ge • www.investbank.ge



www.geocell.ge

